

ქართული ისტორიოგრაფია

I

გაეროცემლოზა „მეცნიერება“
თბილისი
1968

კრებულში გაშუქებულია ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიის საკვანძო საკითხები, მოცემულია ცდა ფეოდალური ეპოქის გამოჩენილ ისტორიკოსთა მემკვიდრეობის შესწავლა-დაფასებისა, აგრეთვე— დიდი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის გარკვევისა.

სარედაქციო კოლეგია:

პ. რ ა ტ ი ა ნ ი (მთ. რედაქტორი),
უ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, შ. ხ ა ნ თ ა ძ ე.

ჩვენი კრებული

ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა თვით მისი საკუთარი ისტორიის შესწავლაა. სწორედ ამ რთული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას ემახტრება სპეციალური დისციპლინა — ისტორიული მეცნიერების ისტორია, ანუ ისტორიოგრაფია, რომელიც საბჭოთა ისტორიული მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა დარგია.

წინამდებარე ისტორიოგრაფიული კრებული იმ სპეციალური კვლევა-ძიების ნაყოფია, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაიშალა. ეს კვლევა-ძიება მიზნად ისახავს ქართული ისტორიული მეცნიერების ყველა დარგის ისტორიის გაღრმავებულ შესწავლას, პირველ რიგში კი ქართული ისტორიული აზრის წინსვლა-განვითარების მთლიანი სურათის დადგენას.

როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია გავიხსენოთ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები. როგორც იყვენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ეამთააღმწერელი და ვახუშტი ბაგრატიონი. ქართული ისტორიული აზროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ განვითარდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ახალი საქართველოს მესიტყვეებმა, სახელოვანმა თერგდალეულებმა, დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ისტორიულ მეცნიერებას მიზნად მშრომელი ხალხის ისტორიის შესწავლა დაუსახეს და ამ მიმართულებით კოლოსალური მუშაობაც გასწიეს.

მაგრამ არც თერგდალეულებს და არც მათ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ისტორიკოსთა სახელოვან თაობას (დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ნ. ურბნელი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი და სხვ.), რომელთა თავდადებულმა შრომამ ქართული ისტორიოგრაფია უამრავი შესანიშნავი ნაშრომით გაამდიდრა, არ შეეძლოთ ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე ამალღებულებიყვნენ და ქართული ისტორიული მეცნიერების ნამდვილად მეცნიერული ისტორია შეექმნათ. ასეთი ამოცანის დაძლევა შესაძლებელი იყო მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მეოხებით, დიდი ლენინისა და მისი მოწაფეების ისტორიულ შეხედულებათა შეთვისებითა და გამოყენებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტულ-ლენინური შეხედულებების დანერგვა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში დაიწყო, უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში მიმდინარეობდა. გამწვავებული სოციალური და ეროვნული ბრძოლის ქარცეცხლში, ისტორიოგრაფია არაიშვიათად სხვადასხვა პარტიებს შორის გააფთრებული იდეური ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ხოლმე, დინჯი და ობიექტური მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის კი ცოტა დრო რჩებოდა. რევოლუციამდელ ხანაში ქართველ ხალხს არ ჰქონია ელემენტარული პირობები მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობისათვის, კერძოდ კი, ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. ასეთი პირობები ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ცარიზმის თვითმპყრობელური სახელმწიფო და რუსეთის ყველა ხალხს მოუტანა სოციალური და ეროვნული თავისუფლება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწრაფად განვითარდა მეცნიერების ყველა დარგი და მათ შორის ისტორიული მეცნიერებაც. თუმცა ესეც უნდა ითქვას: საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ქართველ ისტორიკოსებს თავიანთი წინსვლის გზაზე მრავალი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. ჯერ იყო და მარქსიზმის სხვადასხვა ჯურის ვულგარიზატორებმა სცადეს ნამდვილი ისტორიისათვის ზურგი შეექციათ და ქართველი ხალხის წარსული დაემცირებინათ, რითაც დიდად შეაფერხეს და გააძნელეს საქართველოს ისტორიის სწორი, მეცნიერული გაგება; შემდეგ პერიოდში კი ჩვენი ისტორიული მეც-

ნიერების განვითარება სერიოზულად შეაფერხა ქართველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილში გამეფებულმა დოგმატიზმმა. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქართული ისტორიული მეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების წლებში განუწყვეტლივ ვითარდებოდა და ძალებს იკრებდა.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებას უდიდესი ამაგი დასდო ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ახალ ვითარებაში განაგრძო და შემდგომ განავითარა ქართული ისტორიული აზროვნების ყველაზე საუკეთესო ტრადიციები. ქართული მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს ივ. ჯავახიშვილის მოწაფეებმა — ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა. რომელთა საქმეს დღეს წარმატებით განაგრძობენ მათი მრავალრიცხოვანი მოწაფეები და თანამებრძოლნი.

ამჟამად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ ქართველ ისტორიკოსებს არასოდეს არ ჰქონიათ შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის ისეთი შესანიშნავი პირობები, როგორიც ამჟამად აქვთ. ამიტომ სრულებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ახლა შეუფერხებლად ვითარდება და წინ მიდის ქართული ისტორიული მეცნიერების ყველა დარგი, მათ შორის ისტორიოგრაფიაც. სწორედ ამ წინსვლის ნიშანია წინამდებარე სპეციალური ისტორიოგრაფიული კრებული.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი პირველი კრებული ვერ გადაწყვეტს ამჟამად ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგომ ყველა ამოცანას; მასში მოცემულია ცდა მხოლოდ ზოგიერთი მომწიფებული ისტორიოგრაფიული საკითხის მეცნიერული გაშუქებისა. კრებულის რედაქცია იმედოვნებს, რომ შემდგომში, საკვლევადიებო მუშაობის გაშლისა და სათანადო მასალების დაგროვების კვალობაზე, იგი შესძლებს მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ისტორიოგრაფიული ხასიათის კიდევ არა ერთი კრებული თუ ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი მატყიანა
და მისი ავტორი

„ქართლის ცხოვრების“ პირველი ავტორების ძიებას მკვლევრები ჩვეულებრივ იმ ორ მინაწერაა თუ სარედაქციო შენიშვნაზე აგებენ, რომლებიც ამ საისტორიო კრებულის უძველეს ნუსხებშია დაცული:

1. „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს (მიერ) ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“¹.

2. „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობისა“².

ჯერ კიდევ 1923 წ. აკად. კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ ეს მინაწერები ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს შეიცავენ³. მართლაც

¹ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 244.

² იქვე, გვ. 248.

³ კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. ერთულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 188 (გადმოთქმულია ჟურნალიდან: „ჩვენი მეცნიერება“, № 4, 1923); აგრეთვე, ს. ყაუხჩიშვილი, შესავალი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 021; შ. ბაღრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, № 7, 1962.

და, თუ პირველი შენიშვნით, ლეონტი მროველი ავტორია „მეფეთა ცხოვრებისა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევისა“ და „არჩილის წამებისა“, მეორე შენიშვნა გვაუწყებს, რომ „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა უამითი-უამად“, ე. ი. დრო და დრო და, მაშასადამე, სხვადასხვა ავტორის მიერ. ხოლო „ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჭუანშერ ჭუანშერიანმანო“.

მართალია, პირველი მინაწერი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას, თუ რა ფარგლებში უნდა წარმოვიდგინოთ ლეონტი მროველის მიერ აღწერილი „მეფეთა ცხოვრება“, მაგრამ რადგან „არჩილის წამებაც“ ლეონტი მროველის თხზულებადაა გამოცხადებული, ეს შენიშვნა, თითქოს, ისე უნდა გავგოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ გარკვეული ნაწილი — დასაბამიდან მოკიდებული „არჩილის წამების“ ჩათვლით, ლეონტი მროველს აკუთარის.

მეორე მინაწერის თანახმად კი „ქართველთა ცხოვრების წიგნის“ ვახტანგამდელი მონაკვეთი იწერებოდა „უამითი-უამად“. ასე დრო და დრო და არა ერთი ავტორის მიერ. ხოლო ვახტანგის ისტორიის შემკველი ნაწილი „არჩილის წამების“ ჩათვლით⁴, დაუწერია ჭუანშერ ჭუანშერიანს.

როგორც ვხედავთ, ამ ორ მინაწერს შორის სრული წინააღმდეგობაა. რომელს უნდა მიეცეს მათ შორის უპირატესობა. ანუ ლეონტი მროველი თუ ჭუანშერ ჭუანშერიანი? ან იქნებ ორივე ერთად? ასე ისმის საკითხი.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა განხილული მინაწერებიდან ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ ლეონტი მროველი ავტორია „ნინოს მიერ ქართლის მოქცევისა“. „არჩილის წამებისა“ და „მამათა და მეფეთა ცხოვრებისა“ დასაბამიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის ისტორიამდე⁵; ხოლო ვახტანგისა და მის მომდევნო მეფეთა ცხოვრების ავტორად, ვიდრე ე. წ. ქართლის მატრიანემდე, მიიჩნია ჭუანშერ ჭუანშერიანი⁶.

თუმცა აღნიშნული მინაწერები, თუ მათ ერთმანეთთან კავშირში განვიხილავდით, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას

4 მეორე მინაწერის ჩვენება — „ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე“. ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებს მოეპოვებათ „არჩილის წამების“ ბოლოში.

5 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 171

6 იქვე, გვ. 185.

არ იძლეოდნენ და არც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები ყოფილან ამ თვალსაზრისით შემოწმებული, ივ. ჯავახიშვილის აღნიშნულმა შეხედულებამ თითქმის საყოველთაო აღიარება პოვა.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ცალკეულმა მკვლევარებმა აღნიშნული საკითხის მიმართ იმთავითვე განსხვავებული თაოსაზრისი დაიკავეს. მაგალითად, პროფ. ს. კაკაბაძე 1912 წ. აღნიშნავდა, რომ მთელი მატიანე, ვიდრე დავით აღმაშენებლამდე, იყოფა ორ დიდ ნაწილად.

პირველი ნაწილის ავტორად („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“) ს. კაკაბაძეს მაშინ მიაჩნდა ლეონტი მროველი, რომელსაც თავისი თხზულება დაუწერია არა უადრეს XI ს. მესამე მეოთხედისა⁷. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილს, რომელიც ს. კაკაბაძის მაშინდელი დაკვირვებით მოიცავდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას ვიდრე ბაგრატ IV-ის ცხოვრების ჩათვლით, მისი ავტორია ჟუანშერი, რომელსაც თავისი თხზულება შეუდგენია აგრეთვე XI საუკუნეში, მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებაზე ერთგვარად უფრო ადრე⁸.

1924 წ. ს. კაკაბაძე ძველ ქართულ მატიანეებსა და მათ ავტორებზე უკვე სრულიად განსხვავებულ აზრს ავითარებს.

ს. კაკაბაძის აზრით, ე. წ. „მეფეთა ცხოვრება“ სამი ნაწილისაგან ანუ სამი ცალკეული ნაწარმოებისაგან შედგება:

1. ეთნარქებისა და ეპონიმების სქემა („ცხოვრება პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“)⁹.

2. „ფარნავაზის ცხოვრება“ („თავი შემოსულა ალექსანდრესი“)¹⁰.

3. „მეფეთა ცხოვრება“, რომელიც შეიცავს დანარჩენ ჩიქსტს საურმაგიდან ვახტანგ გორგასლის ცხოვრების დაწყებამდის. მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრების“ გამოკლებით¹¹.

7 С. Какабадзе, О древне-грузинских летописцах XI столетия. Тифлис, 1912, гл. 27.

⁸ იქვე.

⁹ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 96.

¹⁰ იქვე, გვ. 97.

¹¹ იქვე.

ს. კაკაბაძის შეხედულებით, ლეონტი მროველი არის „მეფეთა ცხოვრების“ საერთო რედაქტორი და „არჩილის წამების“ ავტორი, რომლის მოღვაწეობის დრო 900—920 წლებში უნდა მოდიოდეს¹². „არჩილის წამებაში“ ს. კაკაბაძე გულისხმობს მთელ თხრობას მურვან ყრუსა და ჭიკნაუშის შემოსევათა შესახებ, დაწყებული სიტყვებიდან — „ხოლო სტეფანოზს ესხნეს ძენი ორნი არჩილ და მიჰრ“, ვიდრე ცნობამდე ჭუანშერის ავტორობის შესახებ¹³.

რაც შეეხება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას, ვიდრე სტეფანოზ II-მდის, ს. კაკაბაძის დაკვირვებით, ის დაწერილი უნდა იყოს მე-8 ს. მესამე მეოთხედში, რომლის ავტორიც ლეონტი მროველის მიერ დატოვებული ცნობის მიხედვით (მეორე მინაწერი) ყოფილა არჩილ მეფის სიძე — ჭუანშერ ჭუანშერიანი¹⁴.

აკად. კ. კეკელიძის სტატიაში „ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, რომელიც 1923 წ. გამოქვეყნდა, ავტორი ცდილობს გაარკვიოს ლეონტი მროველისა და ჭუანშერის თხზულებათა მოცულობა. კ. კეკელიძის აზრით, ლეონტისა და ჭუანშერის შრომათა მოცულობის გარკვევა არ შეიძლება დამყარებულ იქნეს მარტო მინაწერებზე, რადგან ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს შეიცავენ, რომელთაგან მეორე იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ იმაზე დამყარება ლეონტი მროველისა და ჭუანშერის შრომათა მოცულობის გარკვევისას პირდაპირ შეუძლებელია¹⁵. კ. კეკელიძის დაკვირვებით, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ დაწერილია არა ჭუანშერის, არამედ იმ ისტორიკოსის მიერ, რომელსაც ეკუთვნის „მეფეთა ცხოვრება“ და რომელიც ლეონტი მროველის სახელითაა ცნობილი.

ამის საბუთს კ. კეკელიძეს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, პირველ ყოვლისა აძლევდა ლეონტი მროველის შრომის საერთო მიზანი და გეგმა¹⁶.

12 იქვე, გვ. 157, 182.

13 ს. კაკაბაძე, დასახ. შრომა, გვ. 180.

14 იქვე, გვ. 188—190.

15 კ. კეკელიძე, ეტიუდები. IV, გვ. 200.

16 იქვე, გვ. 190—191.

მეორე მნიშვნელოვან საბუთად კ. კეკელიძეს მიაჩნდა ლიტერატურული მსგავსება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასა“ და ვახტანგ გორგასლის ისტორიას შორის¹⁷.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კ. კეკელიძემ ამ თვალსაზრისის შემუშავებისას მეორე მინაწერში წარმოდგენილი გამოთქმა „ვახტანგისითგან“ განმარტა, როგორც exclusive¹⁸. ჭუნაშვილის შრომა კი. მისივე აზრით, უნდა შეიცავდეს ქართველთა ისტორიას მეექვსე საუკუნის გასულიდან, ბაგრატიონთა დამკვიდრებიდან ჩვენში, ბავრატ IV-ის გარდაცვალებამდე¹⁹.

თავისი შეხედულება ძველ ქართულ მატრიანეებზე გამოთქმული აქვს პ. ინგოროყვასაც. პ. ინგოროყვამ „ამბავი მეფეთა“ (resp. „ცხოვრება მეფეთა“) მიიჩნია ლეონტის ნაწარმოებად, რომელიც მისი განსაზღვრით, საქართველოს ისტორიის მითჯური ხანიდან იწყება და სრულდება ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-ის 20-იან წლებში²⁰. ლეონტი მროველი პ. ინგოროყვამ, ნ. მარისა და მ. ჯანაშვილის მსგავსად, VIII ს-ის მწერლად მიიჩნია, რომელსაც თავისი თხზულება დაუწერია VIII ს. პირველ ნახევარში²¹. ჭუნაშვილისად მკვლევარი მიიჩნევს „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილს, სადაც VI—VIII საუკუნეების ისტორია არის აღწერილი²². რაც შეეხება „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას“, ეს მატრიანე წარმოადგენს უწარმოელის ნაწარმოებს²³.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამომცემლის, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით. ს. ყაუხჩი-

¹⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 192.

¹⁸ იქვე, გვ. 189.

¹⁹ იქვე, გვ. 191—192.

²⁰ პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი მე-8 საუკუნისა, ენიშკის „მოამბე“, X, 1941, გვ. 94—95.

²¹ იქვე, გვ. 95.

²² იქვე, გვ. 150.

²³ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა-„მნათობი“, № 4, 1939, გვ. 137.

შვილმა „ქართლის ცხოვრება“ გამოსცა ივ. ჯავახიშვილის სქემის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მან არ გაიზიარა კ. კეკელიძის თვალსაზრისი „ვახტანგის ცხოვრებაზე“ და სამართლიანად უარყო მისი ერთ-ერთი საბუთი — გამოთქმა „ითგან“ ქართულში, როგორც exclusive²⁴.

აკად გ. მელიქიშვილის შეხედულებით ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი სერიოზული ეკვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული²⁵. სამაგიეროდ, ჭუანჭერის ღვაწლი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის წიხაშე მკვლევარს იმგვარად წარმოუდგენია, რომ ჭუანჭერმა თავისი თხზულება (VI—XI საუკუნეების ისტორია) შეუერთა არსებულს, რომელიც ისტორიულ თხზულებათა კრებულის სახით არსებობდა და მოიცავდა პერიოდს — უძველესი დროიდან ვახტანგ გორგასლის ისტორიის ჩათვლით²⁶. „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველეს ნაწილს გ. მელიქიშვილი სამ ნაწილად ჰყოფს: ვახტანგის ისტორია, რომელიც, მისი აზრით, ატარებს დამოუკიდებელი ნაწარმოების აშკარა ნიშნებს; ვახტანგამდელი ანუ ე. წ. „არმენოფილური“ ნაწილი მატეანისა და მოთხრობა ქართლის შოქცევის შესახებ²⁷.

ბოლო დროს²⁸ შ. ბადრიძემ გამოაქვეყნა ორი წერილი: „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნის შესახებ“ და „ლიონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის“. თუ პირველ წერილში შ. ბადრიძე უმთავრესად ცდილობდა ეჩვენებინა სიმაგრე დებულებებისა, რომ ჭუანჭერი ავტორია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა“, მეორე წერილში მან სრული კატაგორიულობით მოხსნა ლეონტის ავტორობის საკითხი და მას მხოლოდ გადამწერისა თუ რედაქტორ-გადამკეთებლის სახელი დაუტოვა. ავტორის ეს დასკვნა, უმთავრესად, ზემოხსენებულ მინაწერებზეა აგებული (შ. ბადრიძემ უარყო პირველი მინაწერის ცნობა მეორის სასარგებლოდ). ჭუანჭერი მან მიიჩნია მხოლოდ „ვახტანგის ცხოვ-

24 ქართლის ცხოვრება, I, შესავალი, გვ. 022.

25 Г. Мелликишвили, К истории древней Грузии, 1960, гв. 30.

26 იქვე, გვ. 31.

27 იქვე, გვ. 31—32.

28 შ. ბადრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, № 7, 1962.

რების“ ავტორად, ხოლო ლეონტი მროველი—გადამწერად თურედაქტორად „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილისა, რომელიც თურმე „აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“²⁹.

აწე დგას დღეისათვის „ქართლის ცხოვრების“ უძველესი მატრიანებისა და მათი ავტორების საკითხი. რადგან საკითხი ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო გადაწყვეტისაგან, ვფიქრობთ, რომ არც ჩვენი დაკვირვება თუ მოსაზრება იქნება ინტერესმოკლებული. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანის მოცულობა და ვინაობა მისი ავტორისა.

სანამ საკითხის უშუალო კვლევას დავიწყებდეთ, ზედმეტი არ იქნება ვაჩვენოთ ჩვენი დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ უძველესი მინაწერებისადმი. როგორც ითქვა, ეს მინაწერები ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს შეიცავენ. პირველი მინაწერი, თავისთავად აღებული, საეკვოს არაფერს შეიცავს. რაც შეეხება მეორეს, ის იმდენად სერიოზული ეჭვების შემცველია, რომ საჭიროა ახლაც იქნეს მასზე ყურადღება შეჩერებული.

მეორე მინაწერის ცნობა, რომ „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“, ამჯერად გვერდზე გადავდოთ და ქვევით ჩავიკითხოთ: „ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან. ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარებამ ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.

თითქმის ყველა მკვლევარს, ვინც კი ჯუანშერის საკითხით დაინტერესებულა, მიაჩნდა, რომ ამ ცნობაში, პირველ ყოვლისა. შეცდომაა ჯუანშერის მიჩნევა არჩილის ძმისწულის ქმრად ანუ მისი გამოცხადება VIII ს. მოღვაწედ. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ეს ცნობა ჯუანშერის ვინაობის შესახებ მერმინდელი გადაწერის მიმატებული უნდა ყოფილიყო³⁰. ადრე პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნავდა: «Эта безусловная ошибка объясняется

29 ი. ჯავახიშვილი, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, გვ. 176.

30 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 185.

вероятно, самовольной интерпретацией позднейшего переписчика»³¹.

კ. კეკელიძე მეორე მინაწერის უკანასკნელი ფრაზის გადარჩენას და გამოყენებას ცდილობდა, როდესაც აღნიშნავდა: „memento ჭუანშერის შესახებ... თავდაპირველად „მატიანე ქართლისაჲს“ (ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით) ბოლოში იკითხებოდა, ხოლო შემდეგ ის გადმოუტანიათ იქ, სადაც დღეს იკითხება“³².

მაგრამ ასეთი ახსნა სრულიად დაუჭერებელია. ჯერ ერთი, აქ საეჭვოა ის, რომ გადამწერმა ე. წ. „ქართლის ძატიანისა“, რომელიც XI ს. 70-იან წლებზე წყდება, ქვეშ მოხსენებული ავტორი გადმოიტანა „არჩილის წამების“ ბოლოში და ია არჩილის ძმისწულის ქმრად გამოაცხადა. და რაც ყველაზე საკვირველია, ჩაურთო (თუ გადმოიტანა) ფრაზა — რომ „მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ“.

ასეთი უგუნური სიყალბის დაშვება, რომელსაც გზა გაუკაფავს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებშიც. წარმოუდგენელი ამბავია.

შ. ბადრიძე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის მომარჯვებით, სადაც, მისი აზრით, დაცულია „უაღრესად სწორი და ყველაზე არქაული ფორმა (მეორე) მინაწერისა, რომელიც, აშკარაა, უცვლელადაა გადმოსული დედნიდან“³³, აცხადებს: „ჩვენს წინაშეა კონკრეტული ჩვენება, როგორც ეს უკვე ცნობილია, ჭუანშერის არჩილის ძმისწულის ქმრად გამოცხადება შემდგომი დროის გადამწერთა მიერ ჩადენილი საქმეა“³⁴.

შ. ბადრიძეს სომხურ თარგმანში დაცული მინაწერი არქაულ და სანდო ფორმად იმიტომ მიაჩნია, რომ იქ არ მოიპოვება ის ცნობა, რომლითაც ჭუანშერი გამოცხადებულია არჩილის ძმისწულის ქმრად (როგორც ჩანს, მასაც ჭუანშერი არ მიუჩნევია VIII ს. ავტორად), მაგრამ ეს საქმის ვითარებას სრულიად ვერ სცვლის.

31 С. Н. Какабадзе, О древне-грузинских летописях XI столетия, 33-23.

32 კ. კეკელიძე, ეტიუდები. IV. გვ. 191.

33 შ. ბადრიძე, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნის შესახებ, „ცისკარი“, 1962, № 4, გვ. 146.

34 იქვე.

სომხურ თარგმანში დატული მინაწერი სხვა არაფერია, თუ არა ქართულის შენოკლებული და თავისებურად გაგებული თარგმანი.

მთავარი სომხური თარგმანის მინაწერში ის კი არ არის. რომ ჯუანშერი იქ არაა მოხსენებული არჩილის ძმიაწულის ქმრად, არამედ ის, რომ იქაც ჯუანშერი ავტორია ისტორიისა „ვახტანგის ცხოვრებით“ მოკიდებული და „არჩილის წამებით“ დამთავრებული, ანუ ამ უკანასკნელი ნაწარმოების ბოლოში არსებული მინაწერის ენით რომ ვთქვათ, „აქამდის“. კიდევ მეტი, ეს მინაწერი, იმეორებს რა ქართულის ცნობას, ხაზს უსვამს, რომ ეს „აქამდის“ გულისხმობს ჯუანშერის ცხოვრების დროსაც (VIII ს.), რადგან მან „მერძისი მიანდო (თავის) დროზე მხილველთა და დამხედურთ“.

როცა მკვლევრები უნდობლობას უცხადებდნენ მეორე მინაწერის იმ ცნობას, რომლითაც ჯუანშერი იყო არჩილ მეფის ძმისწულის ქმარი, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჯუანშერისეული მონაკვეთის ავტორი მათ არ მიაჩნდათ თხზულების ბოლო ფურცლებზე აღწერილი ამბების თანამედროვედ, ე. ი. VIII ს-ის მწერლად³⁵.

მეორე მინაწერის სრულ რეაბილიტაციას არც ს. კაკაბაძის 1924 წლისათვის გამოთქმული მოსაზრება იძლევა. როგორც აღინიშნა, მართალია, ს. კაკაბაძემ ამჯერად ჯუანშერ ჯუანშერიანი სცნო VIII ს. მწერლად, რომელსაც ეკუთვნის „ვახტანგის ცხოვრება“ სტეფანოზ II-მდე, მაგრამ რადგან ამის შემდეგ მისი თხზულება ვიდრე ცნობამდე ჯუანშერის ავტორობის შესახებ. ს. კაკაბაძის აზრით, ლეონტი მროველს გაუგრძელებია, ეს მინაწერის მკაფიო მითითებას სრულიად არ ეთანხმება.

3. ინგოროყვამ ჯუანშერი მხოლოდ VI—VIII საუკუნეთა მათიანის ავტორად სცნო, რაც ასევე უგულვებელყოფს მეორე მინაწერის ჩვენებას — ჯუანშერი, როგორც ავტორი „ვახტანგის ცხოვრებისა“.

ამგვარად, არც ერთი არსებული შეხედულება, ლეონტი მროველისა თუ ჯუანშერის შესახებ, არაა თანხმობაში მეორე

³⁵ როგორც ვხედავთ, ჯუანშერისადმი აღძრული ეპიკები შემოგვინახა სომხურმა თარგმანმაც, რითაც აშკარაა, რომ მინაწერი ჯუანშერის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე უკვე არსებული XII საუკუნისათვის მიიწ.

მინაწერის ცნობასთან. მაგრამ, მეორე მხრით, ვერც ვერავინ განთავისუფლებულა მისი გავლენისაგან.

გავითვალისწინეთ რა ყოველივე ეს. საკითხის შესწავლა დავიწყოთ ტექსტის იმგვარი წაკითხვით, რომ, პირველ ხანებში, ანგარიში არ გავიწვევია არც მინაწერებისა და არც სათაურებისათვის. თუ მინაწერებს მოვერიდეთ იმ სავალალო როლის გამო. რომელიც მათ შეასრულეს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შესწავლაში, სათაურებისადმი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმ უბრალო მიზეზით, რომ ყოველი სათაური არ შეიძლება ყოფილიყო ახალი თხზულების დაწყების მაჩვენებელი, ან ზოგჯერ პირიქით, შესაძლებელია, ერთი სათაურის ქვეშ სხვადასხვა თხზულება გაერთიანებულყო. მაგალითად, იმგვარ სათაურს, როგორიცაა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, შეეძლო მთლიანად მოეცვა საქართველოს ისტორია დასაბამიდან XIX ს-ის დამდეგამდე. სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ავტორთა თხზულებების გაერთიანებით.

მას შემდეგ, რაც ტექსტი გავათავისუფლეთ ყოველგვარი ფორმალური ჩარჩოებისაგან, ე. წ. „მეფეთა ცხოვრება“ ჩვენ წარმოვიდგა, როგორც ერთი მთლიანი და განუყოფელი ნაწარმოები — დასაბამიდან, ვიდრე VIII ს. ბოლომდე.

ამოტ ბაგრატიონზე საუბრით („შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა ამოტ კურაპალატისა“), „ქართლის ცხოვრების“ კრებულში იწყება ახალი ავტორის შრომა — ე. წ. „მატიანე ქართლისა“. რომელიც მოყვანილია 1072—73 წლებამდე.

ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ენა და სტილი თხზულებისა (ლექსიკისა და სინტაქსური კონსტრუქციების თავისებურებანი), ისტორიული მეთოდი, მსოფლმხედველობა და კონცეფცია ავტორისა.

როგორც აღინიშნა, მკვლევართა უმრავლესობას „მეფეთა ცხოვრება“ ვიდრე ვახტანგ გორგასლის ისტორიამდე, ერთი ავტორის თხზულებად მიაჩნიათ. მაგრამ არის სხვა მოსაზრებაც. ს. კაკაბაძე თვლის, რომ ეს ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ სხვადასხვა დროს შედგენილი ხუთი ცალკეული ნაწარმოების გაერთიანებით შეიქმნა.

შ. ბადრიძეც იმ აზრისაა, რომ ვახტანგის წინა ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ანონიმურ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს. რომელიც თურმე. მეორე მანაწერის თანახმად, „ალიწერებოდა უამითი-უამად“. მართალია, იგი არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ამ არქაულ ნაწილს (შ. ბადრიძის ტერმინია) საერთო რედაქცია უხდა გაველო.

„მეფეთა ცხოვრების“ ამ მონაკვეთის დანაწილება ცალკეულ ნაწარმოებებად. მასში შემავალი თავებისა და სათაურების საფუძველზე. სრულიად გაუმართლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ დავინახოთ ის საერთო და ორგანული კავშირი, რომლითაც ეს თავები შეკრულია ერთ მთლიან თხზულებად, რაც ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფია და არა რედაქტორისა თუ რედაქტორების საქმიანობის შედეგი. მაგრამ ჩვენი ამ განცხადებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ავტორს, თავისი თხზულების ცალკეული თავების წერისას, ზელთ არ ჰქონდა შესაფერისი (და ამდენად, სხვადასხვა) ისტორიული თუ ლიტერატურული ხასიათის წყაროები. მაგრამ ისინი იმდენადაა გადამუშავებული და დამუშავებული ძიის საკუთარი მეთოდით, მსოფლმხედველობითა თუ ისტორიული კონცეფციით, რომ ამ წყაროების გამოყოფა დამოუკიდებელი ნაწარმოებების სახით მისი თხზულებიდან ხელოვნური და ნაძაღვევია.

სისუსტე ამ თვალსაზრისით შედარებით ემჩნევა „ნინოს ცხოვრებას“³⁶, რომელიც კიდევ გამოაცალეს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ხელიდან, როცა მიიჩნიეს სხვა მწერლის მიერ დამუშავებულად და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მექანიკურად შეტანილ ნაწარმოებად.

3. ინგოროყვას აზრით, „ნინოს ცხოვრება“ იმ სახით, როგორც ის „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მოიპოვება, ეკუთვნის XI ს. მწერალს იოანე დეკანოზს, რომელსაც საკუთარი ნაწარმოებით შეუცვლია ლეონტი მროველი, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი დაკარგულა³⁷.

³⁶ გასაგები მიზეზის გამო: ავტორი ამ შემთხვევაში უფრო მეტად იყო დამოკიდებული წყაროზე — „ნინოს ცხოვრების“ არსებულ რედაქციებზე. რომელთა საფუძველზეც მან მოგვცა მათიანისეული რედაქცია „ნინოს ცხოვრებისა“.

³⁷ 3. ინგოროყვა. ლეონტი მროველი. ქართველი ისტორიკოსი მე-8 საუკუნის. გვ. 107—108.

ს. კაკაბაძის თვალსაზრისით, წინათ არსებული თხრობა ქართლის გაქრისტიანების შესახებ მათიანიდან ამოულიათ და მის ნაცვლად იქ ლეონტი მროველს შეუტანია „ნინოს ცხოვრება“ მე-9 ს. რედაქციისა, რომელიც შემდეგ გადაუკეთებია მესამე პირის თხრობად იოანე დეკანოზს³⁸.

კ. კეკელიძეს არა ერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ „ნინოს ცხოვრება“ ეკუთვნის ლეონტი მროველს, რომელმაც დაწერა „მეფეთა ცხოვრება“. მხოლოდ ის შეადგენდა დამოუკიდებელ შრომას და თავდაპირველად „მეფეთა ცხოვრებაში“ არ ყოფილა შეტანილი³⁹. „ნინოს ცხოვრება“, მისი აზრით, მათიანეში შეტანიათ დაახლოებით XII ს-ის მეორე ნახევარში. როდესაც ლეონტისა და ჭუანშერის შრომებიდან შეუდგენიათ ერთი კრებული პირველი რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“⁴⁰.

შ. ბადრიძის შეხედულებით ლეონტი მროველი არ შეიძლება ყოფილიყო „ნინოს ცხოვრების“ ავტორი, რადგანაც ის თავისთავად წარმოადგენს ფსევდოეპიგრაფიულ ძეგლს⁴¹.

არც ერთი ეს შეხედულება მისაღები არაა. „ნინოს ცხოვრება“, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მათიანის ორგანულ ნაწილს, დაწერილს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის მიერ: რომ ის თავიდანვე იყო გათვალისწინებული მათიანისათვის, მხოლოდ ცალკე თავის სახით, რაც მთელი თხზულებისათვის გამოწაკლისი სრულიად არ ყოფილა.

კ. კეკელიძე, რომელსაც „ნინოს ცხოვრება“ ლეონტი მროველის დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიაჩნდა, თავის დაკვირვებას ასე ასაბუთებდა: „ავტორი გადმოგვცემს მირიანის ცხოვრება-ერცელ პარაგრაფში, რომელსაც ათავებს მირიანის მიერ მოხდენილი სარწმუნოებრივი რეფორმის მოკლე აღწერილობით (? — ა. ბ.):

„მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩუენი ნინო და დაეყო მცხეთასა შინა სამი წელი და განაცხადა

38 ს. კაკაბაძე, ს. ისტორიის ძიებანი, 1924, გვ. 156—180

39 კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, წიგნი I, 1951, გვ. 215.

40 იქვე, გვ. 216.

41 შ. ბადრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკვირისათვის, გვ. 176—177.

ქადაგება ქრისტეს სჯულია და იქმოდა კურნებასა თვნიერ წამალთა
ჯმარებისა და ჯამამლად იწყო ქადაგებად ქრისტეს სჯულია,
ქეშმარტიცა მის ღმრთისა ჩუენისა“.

ლეონტის მიზნებნათვის, ისტორიის საზოგადო კურსში, ეს
მოკლე ცნობაც საკმაო იქნებოდა, ამიტომ სრულიად ბუნებრივად
ვას თავისი მოთხრობა ამ სიტყვების შემდეგ ასე გაუგრძელებია:

„მაშინ კეისარსა კონსტანტინეს რომელ ჰყვა მძევალი, ძე მი-
რიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოგზავნა მეფემან კონსტანტინე
ნიქითა დიდითა. და მოუწერა ესრეთ“. მაგრამ შემდეგი დროის
რედაქტორს სწორედ ამ აბზაცებს შუა ჩაუყერებია ცხოვრება
ნინოსი, რომელშიაც უფრო ვრცელადაა გადმოცემული ეს უმნიშე-
ნელოვანესი ფაქტი მირიანის მეფობისა“⁴². ჭერ ერთი, ამ მაკელო-
ბაში დაუჭვრებელი ისაა, რომ ისტორიკოსმა თავის ვრცელსა და
გაბმულ მატინანეში ისეთი უმნიშვნელოვანესი მომენტი ქართველი
ხალხის ისტორიაში. როგორც იყო ქრისტიანული რელიგიის მი-
ღება, არსებითად არ აღნიშნა და ეს ამბავი ნინოს ქართლში მოსვ-
ლითა და მის მიერ ახალი სარწმუნოების ქადაგების მოკლე აღნიშ-
ვნით შეცვალა. განა ამას მისი მაშინდელი ან ახლანდელი მკითხვე-
ლი მიიჩნევდა მირიანის მიერ მოხდენილი სარწმუნოებრივი რე-
ფორმის მოკლე აღწერილობად? თუ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტო-
რი ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა იმ დამოუკიდებელ ნაშრომს.
როქელშიაც ეა ამბავი საგანგებოდ ჰქონდა მოთხრობილი, და დაინ-
ტერესებული მკითხველი მას მიაგნებდა?!

„ნინოს ცხოვრება“ ანუ „მოქცევა მირიან მეფისა და მის
თანა ყოვლისა ქართლისა“, რომ თავიდანვე ყოფილა მატიანეში
და ის რედაქტორის მიერ ჩაკერებული არაა იმ აბზაცებს შორის,
რომლებიც კ. კეკელიძეს აქვს მითითებული, აშკარად ჩანს იმ წე-
რილიდან, რომელიც ისტორიკოსის თქმით ბაქარ მირიანის ძეს
ჩამოუტანია კონსტანტინეპოლიდან: „მე, კონსტანტინე მეფე.
თვთმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა... მოვსწერე შენდა
ღმრთივ-განბრძნობილისა და ჩემთანვე ახალნერგისა, მორწმუნისა
მეფისა მირიანისსა. იყავ შენ თანა მშვლობა და სიხარული! ვინათ-

⁴² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, წიგნი I, გვ.
216.

გან იცან შენ სამება ერთარსება, ლმერთი დაუსაბამო. დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიქმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე...“⁴³.

ვიმეორებთ. თხზულებაში რომ მანამდე საუბარი არ ყოფილიყო მიჩიანის მიერ ქრისტეს სარწმუნოების მიღებაზე, მკითხველსათვის კონსტანტინე დიდის ეს წერილი სრულიად გაუგებარი იქნებოდა. როგორც ჩანს, „ნინოს ცხოვრების“, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოების შესახებ აზრის შემუშავებაში კ. კეკელიძე ეყრდნობოდა „ქართლის ცხოვრების“ პირველ მინაწერს, სადაც „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ „მეფეთა ცხოვრებისაგან“ განცალკევებულად არიან მოხსენებული. მაგრამ მინაწერის ამგვარი გაგება არ არის აუცილებელი. საკუთრივ „მეფეთა ცხოვრება“ (სათაურის მიხედვით გაგებული) არ გულისხმობს არც „ნინოს მიერ ქართლის მოქცევასა“ და არც „არჩილის წამებას“⁴⁴, როცა ისინი თხზულებაში ცალკე თავების სახით მოიპოვებიან. ამის გამო, მინაწერმა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. მაგრამ ერთი ავტორის სახელით აღნიშნა, რომ მკითხველს სხვაგვარი აზრი არ გასჩენოდა.

ახლა რაც შეეხება „ნინოს ცხოვრებას“, როგორც სხვა ავტორის თხზულების საკითხს. არის თუ არა „ნინოს ცხოვრება“ სხვა მწერლის ნაწარმოები, რომელიც განსხვავდება „მეფეთა ცხოვრებისაგან“ წყაროთა სარგებლობის წესით, სტილით, არქიტექტონიკით, გეოგრაფიული ცნობებით და ზოგიერთი სხვა რეალიებით?⁴⁵

როგორც აღვნიშნეთ, „ნინოს ცხოვრება“ წარმოადგენს მათიანის ორგანულ ნაწილს, ანუ დამუშავებულია ის „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის მიერ. ვინც მათიანისეულ რედაქციას საგანგებოდ შეისწავლის და მას „ნინოს ცხოვრების“ სხვა რედაქციებს შეუდარებს, ის არ შეიძლება ამაში არ დარწმუნდეს.

„ნინოს ცხოვრებაში“, მაგალითად, ვხვდებით ასეთ ცნობას:

⁴³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

⁴⁴ არც ესაა დამოკიდებული თხზულების სახით დაწერილი და შემდეგ შეტანილი მათიანეში.

⁴⁵ ვ. ი. ს. გ. ო. რ. ო. ყ. ა., ლონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი მე-8 საუკუნისა, გვ. 107—108.

„არა ნათელ-ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან“⁴⁶.

ასეთი მინიშნებით ეს ცნობა „ნინოს ცხოვრებაში“ შექმლო შეუტანა იმ მწერალს, რომლის მკითხველი უკვე იცნობდა იმ ფაქტს — რომ ფეროზს ჰქონდა მირიან მეფისაგან მიცემული რანი, ბარდავამდის. მართლაც, „მირიანის ცხოვრების“ თავში აღნიშნულია, რომ მირიანმა ხაზარებზე ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ სპარსეთიდან ქართლში მოიყვანა თავისი ნათესავი და. შამსადაძე, სპარსთა მეფეთა ნათესავიც, საბელით ფეროზ, თხზულებაში შემდეგ ვკითხულობთ: „და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული ოჯსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე... და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“⁴⁷.

თუ „ნინოს ცხოვრება“ მექანიკურად შეუტანიათ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს, ან ის ეკუთვნის სხვა ავტორს, იოანე დეკანოზს, როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებს. ან კიდევ, ის დამოუკიდებელი ნაწარმოებია სახით იყო დაწერილი „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის მიერ და შემდეგ შეუტანიათ მატთანეში, როგორც კ. კეკელიძე ასკენიდა, როგორ მოხვდა ფეროზის შესახებ ცნობა ასეთი სახით ამ თხზულებაში, რომელსაც, საერთოდ, „ნინოს ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილი არც ერთი რედაქცია არ იცნობს. ვეჭვობთ, რომ ვინმემ ამ ფაქტს სხვაგვარი ახსნა მოუძებნოს, მით უმეტეს, როცა კიდევ ასეთი ცნობაც იქნება მოტანილი.

„ნინოს ცხოვრებას“ შემდეგ „მეფეთა ცხოვრებას“ ერთ ადგილას ასეთი ცნობა შემოუნახავს: „ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა. მამის ძმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშვლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მა შ ი ნ ლ ა ნ ა თ ე ლ ი ლ ო ფ ე რ ო ზ და ერ მ ა ნ მ ი ს შ ა ნ“⁴⁸.

აი, ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ბუნებრივადაა გადაბმული „ნინოს ცხოვრება“ მატთანის წინა და მომდევნო ნაწილებ-

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 117.

⁴⁷ იქვე. გვ. 68—69.

⁴⁸ იქვე. გვ. 130—131.

თან. ხაზგასმული სტრიქონების დამწერი, ცხადია, ითვალისწინებს იმას, რომ ფეროზს მანამდე ქრისტიანობის მიღებაზე უარი განუცხადებია. ვიმეორებთ, თუ „ნინოს ცხოვრება“ „მეფეთა ცხოვრებისაგან“ ცალკე და უფრო ადრე, ან სხვა ავტორის მიერ და უფრო გვიან დაიწერა, როდის და როგორღა შეერწყმნენ ერთმანეთს ეს ცნობები ასე ორგანულად?

საერთოდ. „ნინოს ცხოვრებას“ რომ რედაქციული ცვლილება განუცდია, ამას არ უარეყოფთ. მაგრამ ის იყო და დარჩა იმ პირის თხზულებად, რომელსაც ეკუთვნის „მეფეთა ცხოვრება“⁴⁹. საერთოდ, „ნინოს ცხოვრება“ ფსევდოეპიგრაფიკული ძეგლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრების მატრიანისეული რედაქციის ავტორი, როგორც „აღმწერელი“, მოხსენებული ან მიჩნეული არ ყოფილიყო⁵⁰.

მაშ ასე, უკვე მივადექით „ვახტანგის ცხოვრებას“. მეორე შინაწერი გვაფრთხილებს, რომ აქედან სხვა ავტორის თხზულება იწყება. მაგრამ მისი ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგის წინა ნაწილი „აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“, არ გამართლდა. თან წინა თხზულება ისე მოულოდნელად ჩათავდა, რომ შეუძლებელია „ვახტანგის ცხოვრებაშიც“ არ გადავიხედოთ. ჭერჭერობით. თითქოს, არც ვამოთქმა „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“ უნდა გვეკრძალაყდეს ამას. ბოლოს და ბოლოს, „ვახტანგის ცხოვრება“ დამოუკიდებელი თხზულებაა თუ „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთი თავი?

1923 წ. კ. კეკელიძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ ვახტანგ გორგასლის ისტორია, მისი მახლობელი მემკვიდრეების ჩათვლით, ეკუთვნის ლეონტი მროველს — „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს. ააწუხნაროდ, ამ საესებით სწორმა შეხედულებამ ჩვენს წყარო-მცოდნეობაში ვერ მოიკიდა ფეხი. თუმცა თვითონ ავტორი თავის

49 როგორც ჩანს. მკვლევართ არც „ნინოს ცხოვრების“ დასაწყისი — „პირველად ვაქსენოთ“, არაფერს მოაგონებდათ.

50 შ. ბაღრაძე. ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის. გვ. 176. საერთოდ, „ნინოს ცხოვრების“ მატრიანისეული რედაქციის ავტორი არც მალავს თავის პიროვნებას. რომლის ნიმუშად შემდეგი მაგალითიც ემარა: „სხუანიცა მთუელნი უმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთვის წარკრბეს იგინი და შესტეთეს. და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე“ (126).

ნაშრომებში ამ დებულებას ბოლომდე იცავდა. შეიძლება ამ უნდობლობის მიზეზი ისიც იყო, რომ კ. კეკელიძემ მეორე მინაწერის გამოთქმა („ვახტანგისთვან“) არასწორად განმარტა. ჭერ როგორც exclusive⁵¹. შემდეგ კი, როგორც ბუნდოვანი და გაურკვეველი⁵².

„ვახტანგის ცხოვრების“, როგორც დამოუკიდებელი თხზულების დამცველებს, ჩვეულებრივ, საბუთად მოჰყავთ ის (რომ არაფერი ვთქვათ მეორე მინაწერზე), რომ ეს თხზულება გამოცალკეებულია „მეფეთა ცხოვრებისაგან“ საგანგებოდ დაწერილი თავით, რაც არც ერთი სხვა მეფის ცხოვრებას არ ჰქონია⁵³.

ამ საბუთის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: თავებად დაყოფა (ანუ გამოყოფა) ჩვეულებრივი ამბავია „მეფეთა ცხოვრებისათვის“. რაც შეეხება ცალკე სათაურს, ის წინ უძღვის „მირიანის ცხოვრებასაც“ — „აწ ვაქსენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არდაშირისი სასანიანისა“.

მაგრამ მთავარი ეს ფორმალური საბუთები როდია. „ვახტანგის ცხოვრება“, თუ მას ცალკე თხზულებად მივიჩნევთ, ცოტა არ იყოს, უცნაურად იწყება:

„ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ...“⁵⁴.

ივ. ჯავახიშვილი ამის გამო შენიშნავდა: „ჯუანშერის „ისტორიას“ უეჭველია თავი და შესავალი უნდა აკლდეს: ასე ერთბაშად, როგორც იგი ახლა იწყება სიტყვებით „ვითარ იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ“, შეუძლებელია რომელიმე მემატრიანემ დაიწყო თხზულების წერა“⁵⁵.

ამ სიტყვებს დავუმატებდით, რომ ასევე შეუძლებელია რომელიმე მემატრიანეს თავისი თხზულება ამგვარად დაესრულებინა: „ხოლო მირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკულა“⁵⁶.

„არ არის საეჭვო, რომ ორი სხვადასხვა ისტორიკოსი, ლეონტი მროველი და ჯუანშერი ვერ დაწერდნენ თავიანთ საისტორიო

51 კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია, გვ. 189.

52 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, წიგნი I, გვ. 217.

53 ს. ალექსიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, შესავალი, გვ. 023.

54 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

55 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 185.

56 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.

შრომებს ისე, რომ მათი ბოლო და დასაწყისი ასე ბუნებრივად გადაბმოდა ერთმანეთს. ცხადია, აქ რედაქტორის ხელი უნდა ვივარაუდოთ: მას შეუცვლია როგორც ლეონტის თხზულების ბოლო, ისე ჭუანშერის შრომის დასაწყისი“⁵⁷. — შენიშნავს ამ ფაქტთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი.

მაგრამ რა უშლის ხელს იმას. რომ ავტორს გადაება თავისი თხზულების სხვადასხვა ნაწილები „ასე ბუნებრივად“ ერთმანეთისათვის? ეს საბუთი ხომ არა? — „მართლაც და ვახტანგის ცხოვრება ლეონტი მროველს რომ ეკუთვნოდეს, სრულიად აუხსნელი დარჩებოდა ეს ფაქტი; რატომ დასჭირდა ლეონტი მროველს თავიდან დაეწყო ამ ამბის განმეორება?“⁵⁸.

გამოდის, რომ „ვახტანგის ცხოვრების“ ავტორი როცა თავის თხზულების წერას იწყებდა, წინასწარ ითვალისწინებდა, რომ მომავალში შედგებოდა საისტორიო თხზულებათა კრებული; სადაც მის ნაწარმოებსაც შეიტანდნენ იმ თხზულების შემდეგ. რომელიც მირდატის დატყვევებით წყდებოდა. მაგრამ გვეტყვიან. რომ აქ რედაქტორის ხელი ურევია. ალბათ, ეს „რედაქტორი“ იყო „მეფეთა ცხოვრების“ მესამე და მეოთხე თავი რომ გადააბა ერთმანეთთან:

„პირველსავე შესლვასა სპარსეთად ეწყო ქასრე, მეფე სპარსთა, და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი. და მიერიოგან ვერლარა წინააღუდგა ამათ მეფე იგი სპარსთა და განამრავლეს შესლვა სპარსეთად და ტყუენვა სპარსეთისა“ (59).

„ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთს და ოჭრება სპარსეთისა; და ვერლარა ოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა“ (60).

სწორედ, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის მეთოდია, საჭიროების შემთხვევაში, თხზულების ცალკეული თავების ამგვარი დაკავშირება (შეუღარეთ IV თავის ბოლო V თავის დასაწყისს). როცა ჩვენ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ „მეფეთა ცხოვრების“

57 ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. შესავალი, გვ. 07.

58 შ. ბაღრიძე. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნის შესახებ, გვ. 146.

ვანუყოველ ნაწილად მივიჩნიეთ, სხვა მრავალ ნიშანს შორის, ერთი. ესეც იყო.

კ. კეკელიძემ თავის დროზე აღნიშნა ორივე ცხოვრების ენისა და სტილის სრული ერთიანობა. მომავალში, როცა ამ თვალსაზრისით ეს თხზულებები სპეციალურად იქნება შესწავლილი, შეუძლებელია, რომ მიღებული არ იქნეს სრული სიმართლე ამ დებულებისა. ახლა კი, რომ ზოგადი მსჯელობა არ გამოგვივიდეს, შემდეგ სტერეოტიპულ ფრაზებს მოვიშველიებთ, რაც ლიტერატურული გავლენისა თუ მსგავსების ნაყოფი როდია, არამედ უნებლიე განმეორებები ერთი და იგივე ავტორისა.

„მეფეთა ცხოვრება“:

„ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად“ (131).

„და დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა“ (131).

„მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“ (15).

„ვერ წინააღუდგეს სომეხნი და ქართველნი, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი“ (16).

„აღჯდა ტაიქსა და რქუა სპათა თვსთა: „განმიამაგრეთ ზურგით-კერძო ჩემი, და ნუ შესძრწუნდებით“ (34).

„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“:

„ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანი“ (142).

„და დაჯდა მეფედ მის წილ ძე მისი მირდატ, და მეფობდა იგი... დიდსა სარწმუნოებასა შინა“ (143).

„მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსლვასა: ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა“ (178).

„ვერაოდეს წინააღუდგებოდა იგი, არამედ განამაგრნის ციხენი და ქალაქნი“ (141).

„აღჯდა ტაიქსა თვსთა, და რქუა სპათა თვსთა: „ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“ (153).

„მეფეთა ცხოვრება“:

„სცა სუმბატ ჰოროლნი სარტ-
ყელსა ზედა, და განავლო ზურგით
წყრთა ერთი“ (46).

„ჰკრა ადერკი ისარი მკერდას
არშაყისსა და ვერღარა უფარა
სიმაგრემან საჭურველისამან; გა-
ნვარდა ზურგით“ (34).

„მეფეთა ცხოვრება“:

„მაშინ იქმნა გლოვა და ტირი-
ლი; და ტყება ყოველთა ზედა
ქართველთა“ (53).

„იტყებდეს ყოველნი თავთა
თვსთა“ (53).

„ცხოვრება ვახტანგ გორგას-
ლისა“:

„სცნა ვახტანგ ოროლნი სარ-
ტყელსა ზედა; და ვერ უფარა
სიმაგრემან საჭურველისამან, და
განვლო ზურგით“ (153).

„სცნა ჰოროლნი სინდთა მეფე-
სა ბექსა მარცხენასა. ვერ უფარა
სიმაგრემან საჭურველისამან, და
იწყლა წყლულებითა დიდითა.
რამეთუ წინათ განევლო წყრთა
ერთი“ (194).

„ცხოვრება ვახტანგ გორგას-
ლისა“:

„მაშინ იქმნა გლოვა და წუხი-
ლი ყოველთა ზედა ქართველთა.
(გვ. 146).

„იტყებდეს ყოველნი თავთა
თვსთა“ (204).

ეს და სხვა წინადადებები ისეთივე უნებლიე განმეორებებია.
როგორც ამას ადგილი აქვს საკუთრივ „მეფეთა ცხოვრებაში“, ე. ი.
დამახასიათებელია ავტორისათვის.

„მეფეთა ცხოვრება“:

„და შემდგომად ამისსა რაო-
დენთამე წელიწადთა უცალო
იქმნა ქეკაპოს, მეფე სპარსთა,
რამეთუ იწყო ბრძოლა თურქთა“
(14).

„უმატა ყოველთა სიმაგრეთა
ქართლისათა. და უმეტეს მოამტ-
კიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქ-
სა წუნდას“ (30).

„და შემდგომად ამისსა რაოდენ-
თამე წელიწადთა უცალო იქმ-
ნა ქაიხოსრო მეფე, და იწყო
ბრძოლად თურქთა“ (15).

„ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა
ქართლისათა და უმეტეს ყოველ-
თასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკ-
რესისა ქალაქისანი“ (65).

უაღრესად ნაცნობაა გეოგრაფიულ ცნებათა გადმოცემის მანერა „ვახტანგის ცხოვრებაში“:

„და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთაგან ვიდრე არსიანთამდე, და ქვენი რომელნი მოსდგმანან ლადოთა“ (177);

„მოადგეს ციხე ქალაქსა, რომელსა ერქუა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი“ (159):

„ეგრისის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა“ (177).

ამათ და სხვა მსგავსის კითხვისას არ შეიძლება „მეფეთა ცხოვრების“ ე. წ. გეოგრაფიული ნაწილი არ მოგვაგონდეს.

მაგრამ „ვახტანგის ცხოვრება“ მარტო ენითა და სტილით როდია დაკავშირებული „მეფეთა ცხოვრებასთან“, არამედ სხვა მჭიდრო დაფებითაც.

ვახტანგის ბავშვობაში „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“⁵⁹. მემატიანის სიტყვით. საზღვრის მიტაცებამ ქართველებს შორის დიდი გლოვა და მოთქმა გამოიწვია: „სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენჯად უცხოთა ნათესავთა, და მიგვლო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიულო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი, და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი“⁶⁰.

ავტორი ამ ცნობას ისე გადმოგვცემს, რომ მკითხველს ქვეშეცნეულად მიუთითებს და მოაგონებს ქართლის ოცდამეშვიდე მეფის ამბავს, რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ დახასიათებით ყოფილა „ურწმუნო და მოძულე სჯულისა“⁶¹, და რომლის მეფობაში „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთაგან არსიანთამდე“⁶².

59 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 146.

60 იქვე.

61 იქვე, გვ. 135.

62 იქვე, გვ. 137.

„ვახტანგის ცხოვრებაში“ ერთ ადგილზე ასეთი მითითება მოიპოვება. „წარემართა ვახტანგ წასლვად საბერძნეთად. და მიიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ქსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი“⁶³.

ფეროზი აქამდე „ვახტანგის ცხოვრებაში“ მოხსენებული არ ყოფილა. მისი „პირველ ქაენება“ მხოლოდ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოიპოვება. ავტორის ამ პირდაპირი მითითებია წყალობით⁶⁴ აშკარაა, რომ „ვახტანგის ცხოვრება“ დამოუკიდებელი თაზულების სახით არ არსებულა და ის იმთავითვე „მეფეთა ცხოვრებრს“ გაგრძელება ყოფილა. ეს ჩანს იპითაც, რომ ისეთი გენეალოგიური ცნობების მიწოდება მკითხველისათვის, რომ ვახტანგი და ბიასი დები „იყვნენ ნათესავნი ბაქარ შირიანის ძისა. ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა. მირიანისვე ძისა“⁶⁵, „მეფეთა ცხოვრების“ გარეშე გაუგებარი უნდა დარჩენილიყო. საერთოდ, ქართლის მეფეთა შთამომავლობა-ნათესაობა ორივე ცხოვრებაში სრული თანხმობითაა წარმოდგენილი: „(მირიან) ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა. რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა“⁶⁶.

დასასრულ, უნდა აღანიშნოს ისიც, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოიპოვება ერთი მეტად საგულისხმო ცნობა. რომელიც ახსნილია „ვახტანგის ცხოვრებაში“.

ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა „მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გადამოიყვანნეს ოვსთა მეფენი... სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდამოიტანნეს თანა პაქანიკნი და ჯიქნი“⁶⁷.

ჯერ კიდევ კ. კეკელიძემ შენიშნა⁶⁸, რომ ამ „გადმოყვანის“ შესაძლებლობა ახსნილია „ვახტანგის ცხოვრებაში“, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც ვახტანგ გორგასალმა წარტყვევნა ოვსეთი,

63 ქართლის ცხოვრება. გვ. 159.

64 რაც, საერთოდ, დამახასიათებელია „მეფეთა ცხოვრებისათვის“: „სამ-ქრით მთა პირველ ქსენებული“ (8).

65 ქართლის ცხოვრება. I. გვ. 159.

66 იქვე. გვ. 151.

67 იქვე. გვ. 45.

68 კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი. ვვ. 196.

„მაშინ მუნ იყო პაქანიკეთი მოსაზღვრეთ ოკსეთისა, მდინარესა მას ოკსეთისასა წიაღ. და ჩიქეთი მუნვე იყო“⁶⁹.

ამრიგად. ორივე ცხოვრებაში ერთი და იგივე ცოდნაცაა გამომყვანებული და ერთი და იგივე შეცდომაც; რაც „ვახტანგის ცხოვრების“ მაგალითზე კარგა ხანია შენიშნა ივ. ჭავჭავაძემ⁷⁰.

ცხადია. ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბუთები სრული არაა: ნაწილი გარკვეული მიზეზების გამო ვერ წარმოვადგინეთ. ზოგიც კიდევ გამოვლინებას საჭიროებს, მაგრამ სიმაართლე კ. კეკელიძის დებულებისა. რომ „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ვახტანგის ცხოვრების“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს ერთისა და იმავე მწერლის ერთ მთლიან ნაწარმოებთან, ვფიქრობთ, რომ ექვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ სადამდე მოდის „მეფეთა ცხოვრება“?

კ. კეკელიძის აზრით, „მეფეთა ცხოვრება“ უნდა თავდებოდეს იქ. საიდანაც უკვე იწყება ახალი ხანა ჩვენს ისტორიაში. ხანა არა მეფეთა, არამედ ერისმთავართა ბაგრატიონების გვარიდან⁷¹. როგორც ვხედავთ, „მეფეთა ცხოვრების“ მოცულობის გარკვევაში კ. კეკელიძე ეყრდნობოდა თხზულების სათაურს, რომელიც უკვე ვეღარ პასუხობდა ამ ახალ, ე. წ. ერისმთავართა ხანას ჩვენს ისტორიაში. კეკელიძის საბუთს სიმტკიცე მაშინ ექნებოდა, რომ არაუბულიყო ახალი სათაური, რომელიც ამ ახალი თხზულების შინაარსს უპასუხებდა. თორემ რა გამოვიდა, — ახალი თხზულება ძველი სათაურით, რომელიც არ პასუხობს მის მიზანდასახულობას მაშინ რა უშლის ხელს იმას, რომ ეს, ვითომდა ახალი თხზულება ძველის ბუნებრივი გაგრძელება არაა. მართლაც და, „ვახტანგის ცხოვრების“ მთელი მომდევნო ნაწილი, ვიდრე ბაგრატიონთა გვარის მეფეებამდე: „მეფეთა ცხოვრების“ ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც „ვახტანგის ცხოვრება“. ამის საფუძველს იძლევა ლიტერატურული ანალიზი თხზულებისა, მეთოდი, გეგმა და ისტორიული კონცეფცია ავტორისა. ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში, ხაზს სტერეოტიპულ წინადადებებს გავუხვამთ და შესაძარებელ მასალას უმთავრესად, სწორედ „მეფეთა ცხოვრების“ ვახტანგამდელი ნაწილიდან მოვიტანთ.

69 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 156.

70 ივ. ჭავჭავაძის შვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 186.

71 კ. კეკელიძე. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, გვ. 191.

„იყო ესე მირდატ კაცი ქუელი, მჭედარი შემმართველი, ურწმუნო და უშიში ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი, და მინდობილი მხედრობასა თვისსა. არა მსახურა ღმერთსა, არცა აღაშენა ეკლესია. არცარა მატა შენებულთა“ (138).

„ვითარცა წერილ არს შიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (13).

„ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა“ (36).

„და მოკუდა ვარაზ-ბაქარ. და დარჩეს ძენი მისნი სამნი წურილნი. რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა. მაშინ...“ (137).

„მეფობდა ესე რევ კეთილად“ (58).

„მეფობდა უშფოთველად (137).

„შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგეს მტერნი აღმოსავალით“ (139).

„დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან“ (202).

„მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუდების წვერი კავკასიასა“ (5).

„ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა კმსახურა ღმერთსა, არცა კმატა სჯულსა და ეკლესიათა... ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მხედარი და შემმართველი“ (222—224).

„ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა“ (220).

„და მოკუდა ბაკურ. და დარჩეს შეილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა. მაშინ...“ (217).

„მეფობდა კეთილად და უშფოთველად“ (221).

„რამეთუ მას ჟამსა ბერძენნი უცალო იყვნეს; დასავლით მტერნი აღდგომილ იყვნეს“ (206).

„მირ დამძიმდა წყლულებისა მისგან“ (240).

„ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა. სადა წარწდების წვერი კავკასისსა ამის“⁷² (242).

⁷² ტექსტი აღდგენილი იქნა შიგნით.

„მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა“ (29).

„მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა“ (217).

„მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი“ (139).

ენობრივ-სტილისტური მთლიანობის გარდა, ტექსტებს შორის არის შინაარსობლივი ერთიანობაც.

თხზულებაში, მაგალითად, აღნიშნულია რომ სტეფანოზ I-ის სიკვდილის შემდეგ „კულად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი“⁷³. ეს „კულად“ გულისხმობს ბერძენთა მიერ ვახტანგის ბავშვობაში ეგრისის დაპყრობას ვიდრე ციხე-გოჯამდე⁷⁴, და უფრო ადრე, ვარაზ-ბაქარის მეფობაში. მათგან ყოველი კლარჯეთის წაღებას „ზღვთგან არსიანთამდე“⁷⁵. მას შემდეგ თხზულებით, ბერძენთა მიერ ქართლის ტერიტორიის დაპყრობას ადგილი არ ჰქონია.

„მეფეთა ცხოვრებაზე“ და, კერძოდ, ვახტანგისა და მისი მემკვიდრეების ისტორიაზე ეს ნაწილი გადაჯაჭვულია მთელი რიგი ასეთი მითითებებით:

„მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“⁷⁶.

„და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, ივინი დარჩეს კახეთს“⁷⁷;

„...დადევით ორთა მათ თანა გვრგვინთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა, რომელნი იგი გამოიტანნა მამამან ჩუენმან, დიდმან მეფემან ვახტანგ, ინდოეთით და სინდეთით..“⁷⁸.

⁷³ ქართლის ცხოვრება, გვ. 226

⁷⁴ იქვე. გვ. 146.

⁷⁵ იქვე, გვ. 137.

⁷⁶ იქვე. გვ. 218.

⁷⁷ იქვე. გვ. 219.

⁷⁸ იქვე. გვ. 236.

„შენ წარიხუენ ორნი იგი გვრგვნი, ოქროსა და ანთრაკი-
სანი: ერთი მირიან მეფეა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღუ-
ნა სპარსთა მეფემან ვახტანგს, ყოველსა თანა ოქროსა და ვეცხლ-
სა, რომელი აჰკიდა სატვრთავსა ხუთასსა და მკვრცხლსა ორიათას-
სა“⁷⁹.

„მეფეთა ცხოვრების“ ეს ბოლო ნაწილი ამჟღავნებს არა ნაკ-
ლებ საგულისხმოდ კავშირს ვახტანგის ისტორიის წინარე ნაწილთან.

მირი ეუბნება არჩილს: „შენ თვთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვი-
ლი ჩუენი, არა მივსციტ ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსციტ
მეფეთა, ანუ მო-ვინმე-ვიდის სპარსთავან ნათესავი მეფეთა, ვითარ-
ცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად“⁸⁰.

ამ ფეროზისა და მის შთამომავალთა საგამგეო ქვეყანა თხზუ-
ლების ორივე ნაწილში საგულისხმოდ თანხმობითა აღწერილი⁸¹.
საერთოდ, „მეფეთა ცხოვრების“ მთელ ამ ნაწილებს ერთნაირად
ახსიათებთ განსაკუთრებული ყურადღება ფეროზისადმი.

ახლა, რაც შეეხება „არჩილის წამებას“.

კ. კეკელიძის აზრით, ეს თხზულება „ნინოს ცხოვრების“ მსგავ-
სად შეადგენდა ლეონტი მროველის დამოუკიდებელ შრომას, რომ-
ელიც თავიდანვე „მეფეთა ცხოვრებაში“ არ ყოფილა შეტანილი⁸².
ეს შეხედულება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. „არჩილის წა-
მება“ „მეფეთა ცხოვრების“ ისეთივე ორგანული ნაწილია, რო-
გორც თხზულების დანარჩენი ტექსტი. ჯერ ერთი, წამება იწყება
წინა ტექსტიდან ამოღებული სიტყვებით („ვითარ გარდაქდეს წე-
ლიწადნი ორმოცდაათნი“), რაც, როგორც აღვნიშნეთ, „მეფეთა
ცხოვრების“ ავტორის მეთოდია, მაგრამ დამოუკიდებელი თხზულე-
ბისათვის ასეთი დასაწყისი გაუმართლებელი და გაუგებარი იქნე-
ბოდა. შემდეგ, „წამებაში“ ჩართულია ისეთი ცნობები („არა უწყ-
ია, თუ ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტეფანოზისი, ნათესავი
დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანი-
სა, ძისა ქასრესა. და ესე იყო მამისა თვისისა თანა, რაჟამს იგი დაჰ-
ფლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისათა; და იგიცა იცის,

79 იქვე.

80 იქვე, გვ. 240.

81 შტრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 130—131 და 241.

82 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 222.

რომელ ერეკლე მეფემან დაფლნა საგანძურნი)⁸³, რაც მხოლოდ „მეფეთა ცხოვრების ძირითად ტექსტთან კავშირშია გასაგები და გაუგებარი დამოუკიდებელი ნაწარმოებისათვის.

კ. კეკელიძე ამ თხზულებათა შორის არსებულ კავშირს ხსნიდა იმით, რომ „არჩილის წამების“ ავტორს (ლეონტი მროველს) თავისი თხზულების დაწერიასათვის გამოუყენებია ჯუანშერის შრომა (ანუ წინა ტექსტი), რის გამოც ვერ აუცილებია მისი (სინამდვილეში საკუთარი) შეხედულებები თუ შეცდომები⁸⁴. მაგრამ ასეთი ახსნა რიგი გაუგებრობის შემცველია: რა იყო იმის მიზეზი, როცა თხზულებას (სულერთია ვისად იქნება მიჩნეული) ჩაურთეს სხვა ავტორის შრომა, რომელიც პირველის საფუძველზე ყოფილა დაწერილი (რაც, თითქოს, ორივე ავტორს წინასწარ გაუთვალისწინებია). განა იქ არჩილის წამებაზე საუბარი არ იქნებოდა? მაშინ, როგორ უნდა გაგვეგო ის ფრაზა, რომელიც „არჩილის წამებას“ მოჰყვება: „შემდგომად ამისა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ...“, თუ ესეც რედაქტორის ნახელავია.

მაგრამ, როგორც ბუნებრივად აიხსნება ყველაფერი, თუ ჩვენ „არჩილის წამებას“ „მეფეთა ცხოვრების“ განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ. მაშინ აღარ დაისმება კითხვა, თუ რატომ დაწერა ის ავტორმა, რომელმაც სხვა თავისი ისტორიული თხზულება VI საუკუნემდე მოიყვანა, ან რატომ დარჩა ის დაუწერელი იმ მწერალს, რომელმაც, თითქოს, VI-XI საუკუნეების ისტორია დაგვიტოვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი თხზულება, რომლის სრული სათაურია — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, მთავრდება უკანასკნელი ხოსროიანების ჯუანშერისა და იოვანეს ცხოვრებით. ეს ორიოდე ფურცელი ისეთ სრულ შინაარსობლივ კანონზომიერებაშია წინა ტექსტთან, როცა არავითარ კავშირს არ აჩენს მომდევნოსთან. რომ ის უნდა მივიჩნიოთ ერთი მთლიანი თხზულების ბუნებრივ დაბოლოებად და არა ახალი თხზულების დასაწყისად. ამ ორგანიული კავშირის მშვენიერი ნიმუშია ის ცნობები, რომელიც ავტორმა უკანასკნელი სტრიქონების სახით დაგვიტოვა, მაგრამ რომელთა არსში ჩაწვდო-

⁸³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 246.

⁸⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 242.

მა მხოლოდ თხზულების წინა ფურცლების მეშვეობითაა შესაძლებელი. ტექსტში ვკითხულობთ:

„ხოლო რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა. რომლისად მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ“⁸⁵.

ჯერ ერთი, აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მწერალი ლეონ II-ს მკითხველს აცნობს ლეონ I-ის მეშვეობით (რომ ის იყო მისი ძმისწული), რადგან ითვალისწინებს იმ ამბავს, რომ მკითხველი უკვე იცნობს პირველს, რომელსაც კეისარმა „სამკვიდროდ“ უბოძა აფხაზეთი (ლეონი: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვდრობით...“)⁸⁶; შემდეგ, ბერძენთა „მოუძღურების“ აღნიშვნა იმიტომ დასჭირდა ავტორს, რომ „ყმის“ მიერ „პატრონის“ დაწუნებისა და „გადგომის“ მიზეზი მოეცა, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ლეონ II-ის მიერ ეგრისის დაპყრობას, ვიდრე ლიხამდე, და აფხაზეთის მეფის ტიტულის მიღებას, მოჰყვება მოკლე ფრაზა („რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ“), რომლის არსში ჩაწვდომა მხოლოდ წინა ტექსტის გათვალისწინების საფუძველზეა შესაძლებელი.

საქმე იმაშია, რომ ავტორის კონცეფციის თანახმად, რაც კეისრის ე. წ. „წერილშია“ გამოთქმული, აფხაზეთის ერისთავები მოვალე იყვნენ პატივი ეცათ ქართლის მეფეებისათვის, რაც, პირველ ყოვლისა, ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობაში უნდა გამოხატულიყო. მოგვყავს ავტორის ამ კონცეფციის შემცველი ნაწილი კეისრის „წერილიდან“ ლეონისადმი: „კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისითა, და ამიერითგან ნულარამცა ქელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“⁸⁷.

⁸⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 251.

⁸⁶ იქვე, I, გვ. 242.

⁸⁷ იქვე, გვ. 240.

მაგრამ ახლა აფხაზეთის ერისთავი კეისარს განუდგა და მათ ნაბრძანებს ვინლა იღებდა ყურად. ქართლის მეფეებიდან კი მხოლოდ დაბერებული ჯუანშერი იყო დარჩენილი და კეისრის ყოფილ და აწ გამდგარ „ყმასთან“ რას უნდა გამხდარიყო.

ჩვენ მხოლოდ ავტორის მოკლე და დაფარული შენიშვნა გვაქვს მისი თვალსაზრისის საფუძველზე გახსნილი, რაც თვითონ მას საჭიროდ აღარ (თუ საჩოთიროდ) მიუჩნევია. ჩანს, მის დროში უკვე სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი აფხაზ-ქართველთა მეფეების ურთიერთობის საკითხი და ის ასეთ ისტორიულ გამუქებას აღარ საჭიროებდა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოთ გაანალიზებული სტრიქონების მინიშნებით, ავტორს კარგად წარმოუდგენია და ესმის „ეგრისის“, როგორც პოლიტიკური ტერმინის, გაქრობის დრო და ამის მიზეზი, რაც „მეფეთა ცხოვრების“ შესწავლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ამოტ ბაგრატიონის ცხოვრებით, როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში იწყება ახალი თხზულება, რომელიც წინა თხზულებისაგან სრულიად განსხვავდება, როგორც ენით⁸⁸ და სტილით, ისე მეთოდითა და გეგმით. ვინც ამ თხზულების სანდო ცნობებსა და ზუსტ ქრონოლოგიას გაითვალისწინებს, ის ერთხელ კიდევ უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ იოვანესა და ჯუანშერის შესახებ მოთხრობა ამ ახალი მატეიანის დასაწყისი არ არის, მთელი ამ მძიმე ქრონოლოგიური შეცდომების წყალობით, რაც აგრე დამახასიათებელია „მეფეთა ცხოვრებისათვის“ და ამ ორიოდ ფურცელზედაც უხვად მოიპოვება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ავტორმა გამოტოვა ქართლის ერისმთავართა მთელი წყება, რითაც ჯუანშერი უშუალოდ ამოტ ბაგრატიონის ხანას

⁸⁸ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსიკა თხზულებისა. აქ გვარცელებული ისეთი ზმნები, როგორცაა: „შებმა“, „გაქცევა“, „დაწვა“, „დარბევა“, სრულიად უცხოა „მეფეთა ცხოვრებისათვის“, და ძალზე იშვიათია სახელები: „ცხენოსანი“, „ახოვანი“, „ლაშქარი“. თავის მხრით მას არ მოეპოვება „მეფეთა ცხოვრებაში“ ისეთი ფართო გვარცელების სიტყვები, როგორცაა: „მკედარი“, „შემმართებელი“, „რეცა“; იშვიათია „სპა“ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შებრძოლება-შეტაკების გამომხატველი ზმნისათვის ის ერთხელაც არ მიმართავს „წყობა“-ს, ხოლო „მეფეთა ცხოვრებისათვის“, როგორც აღვნიშნეთ, უცნობია ამ მნიშვნელობით ხმარება ზმნისა — „შებმა“. საერთოდ, ორივე მწერლის ლექსიკონის სპეციალური შესწავლა საჭირო საქმა.

დაუკავშირა, რაც წინა თხზულების მცდარი ქრონოლოგიური კონცეფციის ბუნებრივი გაგრძელებაა. ასეთი რამ კი მომდევნო თხზულების ავტორს არ შეიძლება მოსვლოდა, რომელსაც არა თუ ამის მსგავსი, მცირეოდენი უზუატობანიც კი იშვიათად უნდა მოეპოვებოდეს⁸⁹.

ეს ახალი თხზულება, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა პირობითად „მატიანე ქართლისა“ უწოდა, 1072—73 წლებამდეა მოყვანილი⁹⁰. ავტორი თვითმხილველია უკანასკნელი ამბებისა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებას, რომელსაც ადრე ს. კაკაბაძე და შემდეგ კ. კეკელიძეც იზიარებდნენ, რომ ეს მატიანე თავდაპირველად ბაგრატ IV-ის სიკვდილით მთავრდებოდა და გიორგი II-ის მეფობა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ უნდა ყოფილიყო აღწერილი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გაუგებარა იქნებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიის დასაწყისი, რომელიც ზოგიერთი იმ ამბის დამოუკიდებელ აღწერას შეიცავს, რაც წინა-რე მატიანეს ბოლოში მოეპოვება.

ამრიგად, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ჩვენ მიერ ნაჩვენებ ფარგლებში წარმოადგენს ერთი მწერლის მთლიანსა და განუყოფელ ნაწარმოებს. ტექსტის ყველა ნაწილში სრული იგივეობაა. როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. თხზულება რომ ირი ან რამდენიმე პირის მიერ ყოფილიყო დაწერილი, არ გვექნებოდა სრული ერთიანობა მსოფლმხედველობისა და ისტორიული კონცეფციისა მატიანის მთელს სიგრძეზე. ყოველივე ამას რედაქტორების საქმიანობის შედეგად ვერ მივიჩნევთ. მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა ისეთი განსხვავებული ცნობებისა და ისტორიული კონცეფციების შემცველი თხზულების არსებობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, როგორცაა სუბმატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

⁸⁹ მართალია, იქ დასაწყისშივე მოიპოვება ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა, როცა არაბი სარდლის მასლამას წარუმატებელი შეტევა კონსტანტინოპოლზე (717—718) ვადატანილია აშოტ კურაპალატის ხანაში („რამეთუ მათვე ეამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღურებული და გაწბილებული“). აღსანიშნავია, რომ არაბების ბრძოლა ბერძნების წინააღმდეგ მასლამას მეთაურობით. რასაც ადგილი ჰქონდა ხალიფა ეალიდის (705—724) მმართველობაში, წინა მატიანეს აღნიშნული აქვს არჩილის მეფობაში („პბრძოდა მასლამა ბერძენთა“), რაც კიდევ ერთი საბუთია ამ თხზულებათა გასამიჯნავად.

⁹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 201.

მაგრამ როდის უნდა იყოს დაწერილი „მეფეთა ცხოვრება“, ან ვინაა მისი ავტორი?

ახლა, როცა თხზულების მოცულობა, ვფიქრობთ, გარკვეულია, ძნელი აღარაა მისი დათარიღება. უნდა აღინიშნოს ის საყურადღებო გარემოება, რომ, როცა, თხზულებას ორ დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიიხნევდნენ (ლეონტიესულ და ჭუანშერისეულ), ივ. ჯავახიშვილი ორივეს XI ს-თ ათარიღებდა. ამავე ს-ის 60—80-იანი წლებით ათარიღებდა კ. კეკელიძე თხზულების ლეონტიესულ ნაწილს — ვიდრე გყარამ კურაპალატამდე. ხოლო მეორე ნაწილი („არჩილის წამების“ გამოკლებით) მან მიიჩნია VI—XI სს-ის ისტორიის ნაწილად, რომელიც უნდა ყოფილიყო დაწერილი XI ს. 70-იან წლებში⁹¹. ცხადია, რომ ეს თარიღი ვრცელდება VI—VIII სს-ის ისტორიის შემცველ ნაწილზედაც.

3. ინგოროყვას შეხედულება, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ეპიტანგის წინა ნაწილი ეკუთვნის VIII ს. ნახევრის ისტორიკოსს, ახლა, როცა, მისი თხზულების ბოლო მოტანილია VIII ს. დამლევისათვის, საბოლოოდ უნდა იქნეს უარყოფილი.

ივ. ჯავახიშვილსა და კ. კეკელიძეს კარგად აქვთ გარკვეული, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, დასაწყისიდან ვიდრე „არჩილის წამების“ ჩათვლით, შეიცავს ისეთ ცნობებს, რაც XI ს-ის უადრეს არ შეიძლება გაჩენილიყო⁹².

⁹¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 214.

⁹² ამ შემთხვევაში გადაწყვეტი თხზულებაში დაცული ცნობების სიძველე კი არაა, არამედ ის, რაც XI ს. ადრე არ შეიძლება გაჩენილიყო, როგორც, მაგალითად, ეს ფრაზა: „ვითარცა ნეელო ყრუმან კლისურა, რომელი მას ეამსა იყო სახლვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“ (235). ამ თვალსაზრისით, შეიძლება აღნიშნული იქნეს, აგრეთვე, რიგი გეოგრაფიული სახელებისა, რომელნიც მე-11 ს-ს უკუენემდე ჭერ კიდევ არ უნდა იყვნენ ხმარებაში დამოქცობულნი. მაგალითად, „შიდა ქართლი“, რომელიც მათიანის წერის ხანაში („აწ“) ცვლის „ზენა სოფელს“ (გვ. 10 და 241). ეს უქანასკნელი სახელწოდება კი, როგორც ცნობილია, გაბატონებულია VII—X სს. ძეგლებში — „კონსტანტინე კახას მარტვილობაში“ (IX ს.) და ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში. იხ. ს. ჯანაშია, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, შრომები, II, გვ. 282—305.

უფრადღებას იქცევს ასევე სურამის ქედის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელი „ლიხი“, რომელიც მათიანის მიხედვით შედარებით ახალ სახელწოდებად გამოიყურება „... (მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვანს ლიხი)“. ხოლო უფრო ძველი სახელწოდება იმიერ და ამიერ საქართველოს ამ გამოყოფი ქედისა იყო „მთა არგუეთისა“ („ყოველი ქართლი ვიდრე მთადმდე არგუეთისა“). იხ. ილ. აბულაძე,

კერძოდ, ივ. ჭავჭავაძის ჟღერის თხზულებებისათვის, როგორც *terminus post quem non* შენიშნული აქვს 1034 წელი⁹³, როცა თურქთაგან ოტებულნი პაქანიკინი, ავტორის თქმით, „წარვიდეს დასავლით კერძო“, მაგრამ ამ თარიღის გადმოწევა, ვფიქრობთ, შეიძლება 1046 წლისათვის. ავტორს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, რომ ოსებზე ძლევამოსილი ლაშქრობის ჩატარების შემდეგ ვახტანგ გორგასალს მცხეთაში დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს: „აყრიდეს თავსა დრამასა და დრაჰკანსა“⁹⁴, მწერალს ეს სურათი თავისდა უნებურად აღებული უნდა ჰქონდეს 1046 წელს მომხდარი ფაქტიდან, როცა „ქალაქის ბერების“ ძიერ ტფილისში მიწვეულ ბაგრატ IV-ს ქალაქის მოსახლეობა დიდი ზარ-ზეიმით შეეგება და „ასხმიდეს დრამაა და დრაჰკანსა“⁹⁵. ავტორს ეს ფაქტი, ვინ იცის, რომლის თვითმხილველიც კი იყო, გადაუტანია ვახტანგ გორგასალის ხანისათვის, როგორც ამ საზეიმო ცერემონიალის ერთ-ერთი პირობა.

ერად მატყაჷ. რომ იე-11 ს. 70-იან წლებზე ადრე დასრულებული არ ყოფილა, ამაზე ავტორი პირდაპირ მიგვინიშნებს. თხზულებაში ნათქვამია, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ წასული ვახტანგ გორგასალის ლაშქარი „მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქუა კარახპოლა“⁹⁶, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი“⁹⁷. კარნუ-ქალაქი ბერძნულ „თეოდოსიუპოლს“ (ძვ. სომხური „კარინი“), ცხადია, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა დარქმეოდა, როცა ეს ქალაქი საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდა. ეს კი მოხდა

სურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 206. ასევეა ეს ძველი მოხსენებული სომხურ უსახელო გეოგრაფიაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მატყანეში „დარაღის“ მნიშვნელობით ერთხელაც არაა ხმარებული „კარი ოვსეთისაჲ“. მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მხოლოდ ამ უკანასკნელ სახელწოდებას იცნობს, ხოლო VIII ს. მიწურულის ავტორი (როანე საბანისძე) მის გვერდით ხმარობს უკვე ირანულ „დარიაღანს“, რომელიც ქართული ფეოდალიზმის კლასიკური ხანის ძეგლებში ერთადად ბატონდება. მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღნიშვნის მოყვარულმა მწერალმა „ოვსეთის კარი“ არ მოიხსენა? ჩანს იმ უბრალო მიზეზით, რომ არსებული დარიალის კიდევ უფრო ძველი სახელწოდება — „არავისი კარი“, რომელსაც მისი დროის მკითხველი „დარიალის“ ცნებით უფროა გაგებდა („არავისი კარი, რომელ არს დარიალა“).

⁹³ ივ. ჭავჭავაძის, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 186.

⁹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 152.

⁹⁵ იქვე, გვ. 299.

⁹⁶ უნდა ყოფილიყო ალბათ „კარინპოლა“.

⁹⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159.

1072—1073 წწ., როცა ბიზანტიის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ „ქარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“⁹⁸ ვიორგი II გადმოსცა. აქი ამბობს დავითის ისტორიკოსი: „მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი“⁹⁹.

არა გვგონია, რომ ვინმემ აქაც რედაქტორ-გადამწერლობის საქმიანობის კვალზე მიგვეითითოს. „ქართლის ცხოვრების“ სხვა რომელი ავტორისათვისაა. დამახასიათებელი ამა თუ იმ ძველი სახელწოდების გვერდით მისი ახალი, თანამედროვე სახელის მოცემა? („...რომელსა აწ ჰქვან...“, „...რომელსა აწ ეწოდების...“).

როგორც ვხედავთ, მათიანის დასრულების მიჯნა უნდა იყოს არა უადრესი მე-11 ს. 70-იანი წლებისა, სადამდეცაა მოყვანილი მომდევნო თხზულება „ქართლის ცხოვრების“ კრებულისა, ე. წ. „მატიანე ქართლისა“¹⁰⁰. ამრიგად, პირველი მათიანის ავტორი უნდა იყოს მწერალი დაახლოებით მე-11 ს. 60—70-იანი წლებისა.

ახლა, თუ ჩვენ მიღებული შედეგების თვალთ შევხედავთ მინაწერებს, ჩვენი ყურადღება არ შეიძლება არ მიიქციოს პირველმა მათგანმა (მეორე მინაწერის ცნობა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ პირველი მათიანის გარკვეული ნაწილი („ვახტანგისთგან...“) დაუწერია ერისთავ ჯუანშერ ჯუანშერიანს, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს). პირველი მინაწერი ჩვენს ნდობას იმსახურებს იმ ცნობით, რომ „მეფეთა ცხოვრება“ „არჩილის წამების“ ჩათვლით, დაუწერია ერთ პიროვნებას — ლეონტი მროველს. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ეს ლეონტი მროველი უნდა ყოფილი-

⁹⁸ იქვე, გვ. 318.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ ივ. ჯავახიშვილმა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსზე დამყარებით, ამ ნაწარმოებს „მატიანე ქართლისა“ უწოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს იყო თხზულების სათაური, რომელიც მას დაკარგული ჰქონია (იხ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196—197). მაგრამ კ. კეკელიძის შენიშვნისა არ იყოს. დავით აღმაშენებლის შემათიანის სიტყვები — „ვითარცა მოგვითხრობს ძველი ნატიანე ქართლისა“, საეჭვოა აღნიშნავდეს რაიმე საგანგებო თხზულებას, რომელიც გარკვეული ეპოქის მათიანეს (იხ. კ. კეკელიძე ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, გვ. 192). ვფიქრობთ, ზედმეტია ძიება ამ მათიანის რაიმე საგანგებო სახელწოდებისა, რომელიც საერთო სათაურითაა პირველ მათიანესთან იმთავითვე გაერთიანებული.

ყო მოღვაწე მე-11 ს. 60—70-იანი წლებისა. საბედნიეროდ. 1957 წ. აღმოჩენილმა 1066 წლის წარწერამ თრეხვის ქვაბებიდან დადებითად უპასუხა ამ კითხვაზე¹⁰¹. არავითარი ეკვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ მინაწერსა და 1066 წ. წარწერაში მოხსენებული ლეონტი პროველი არის ერთი და იგივე პიროვნება, რასაც ადასტურებს რიგი სხვა გარემოებაც: „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის შესწავლით გაირკვა, რომ მისი ავტორი, ჩვენ მიერ ნაჩვენებ ფარგლებში, არის მწერალი მე-11 ს-ის 60—70-იანი წლებისა; „ქართლის ცხოვრების“ მინაწერმა ძირითადად დაადასტურა ჩვენი დაკვირვება მათიანის მოცულობის შესახებ და მოგვცა ისტორიკოსის სახელი; 1066 წ. თრეხვის ქვაბის სამშენებლო წარწერამ, თავის მხრივ, განამტკიცა მინაწერის ცნობაც და დაკვირვება.

ამრიგად, სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მათიანის ავტორი არის ლეონტი პროველი. სწორედ, ავტორი და არა რედაქტორი ან გადამწერი.

უნდა ვითქვით, რომ 1066 წ. აღფარსლანის სელჯუქების შემოსევის გამო თრეხვის ქვაბებში გახიზნული რუისის ეპისკოპოსი უკვე მუშაობდა თავის „მეფეთა ცხოვრებაზე“. წერდა თავის თხზულებას მეორე მემათიანეც, რომელმაც ცოტა უფრო გვიან¹⁰² თვითმხილველის თვალითა და განცდით აღწერა 1066 წ. შემოსევათა შედეგები საქართველოსათვის.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ეს ორივე მათიანე, რომლებიც მოგვეთხრობენ საქართველოს წარსულს უძველესი დროიდან ვიდრე XI ს-ის 70-იან წლებამდე, იწერებოდა თითქმის ერთდრო-

101 იხ. გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი პროველის 1066 წლის სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. 1961. I, გვ. 246—247.

102 1045 წლისათვის, როცა ლიპარიტმა და მისმა ნოკავშირეებმა იწყეს ახალქალაქის ზღუდის შენება, მემათიანე უმატებს: „რამეთუ მას ეამსა უზღუდო იყო“ (298). 1066 წელს, როცა აღფარსლანი შემოესია საქართველოს და მოადგა ახალქალაქს, მემათიანეს აღნიშნული აქვს, რომ: „არა ზღუდითა, მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი“ (306). ე. ი. როცა იგი ამ სტრიქონებს წერდა, ახალქალაქის ზღუდის მშენებლობა დასრულებული იყო ანუ საქართველოს თავზე 1066 წლის გრიგალს უკვე გადაეწყო. 1072—73 წლებისათვის მათიანე დასრულებულია. მაინცდამაინც ამ წლებზეა შეჩერებული. დაახლოებით ამ დროს უნდა დაემთავრებინოს თავისი მათიანე ლეონტი პროველსაც.

ულად¹⁰³. სამწუხაროდ ამ მეორე ისტორიკოსის სახელი დღემდე უცნობია ჩვენთვის.

მაგრამ რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საისტორიო მწერლობის წინაშე ჭუნაშერ ჭუნაშერიანს?

ჩვენი გამოკვლევის შედეგების მიხედვით ჭუნაშერ ჭუნაშერიანის სახელი, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორისა, მართალია უარყოფილია, მაგრამ ეს ნიშნავს საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების უარყოფას და, ვფიქრობთ, არა მეორე მინაწერის ცნობისას. მიღებული შედეგების თვალთ ჩვენ უკვე სხვაგვარად გვესმის ეს მინაწერი. როგორც ჩანს, საჭიროა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი მინაწერები წაკითხული და გაგებული იქნეს ერთმანეთთან კავშირში. პირველი მინაწერის ცნობას, ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ, „არჩილია წაიკების“ შემდეგ, მოჰყვება მოკლე შენიშვნა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ქამთა შლილობითა ჭერისაებრ ვერვის აღწერა“.

ეს მინაწერი და არა ანდერძმინაწერი¹⁰⁴ ჩვენ იმდაგვარად გვესმის, რომ ავტორმა (პირველი მინაწერის თანახმად, ისაა ლეონტი

¹⁰³ იქნებ ლეონტის შრომა იმთავითვე გათვალისწინებული იყო, როგორც „შეფთა ცხოვრების“ პირველი ნაწილი? სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ ლეონტის ნათქვამი მატეანის პირველსავე ფურცლებზე: „ვიწყით და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ეიღრე დღეთა ჩუენთამდე“ (8).

თუ ჩვენი გუმანი სწორია, ეპოქალურ ზღვრად ამ ორ თხზულებას შორის წინასწარვე აღებული ყოფილა დინასტიური მომენტი, რაც, მართალია, ვერ შეცვლიდა ვერც საერთო სათაურის შინაარსსა და ვერც თვით სათაურს მაგრამ მოცემულ ფარგლებში იქნებოდა მაინც საკმაოდ გარკვეული მიჯნა. ყოველ შემთხვევაში. ივ. ჭავჭავიძელის შეხედულება, რომ „ქართლის ცხოვრება“ თავდაპირველად მხოლოდ ლეონტი მროველისა და ჭუნაშერის ნაწარმოებებს შეიცავდა, რომლებიც ამ კრებულში შეუტანიათ XII ს-ში, საჭიროებს გადასინჯვას. სხვა რომ არაფერი იყოს, ამ შეხედულებაში უკვე ეჭვს იწვევდა ის გარეწობა, რომ ეს თხზულებები მოგვიტობებენ ქართველი ხალხის წარსულს უძველესი დროიდან მხოლოდ VIII საუკუნემდე, როცა საქართველოს ისტორია ამ დროისათვის, მეტი თუ არა, XI ს. 70-იან წლებზე მაინც იყო მოყვანილი.

¹⁰⁴ შ. ბადრიძეს ის ანდერძად მიაჩნია, რომელსაც ამგვარად განმარტავს:

„ეს ნაწარმოები ვიპოვეთ და არაფერი არ შეგვიცვლია, ისე შევიტანეთ „ქართლის ცხოვრებაში“ (იხ. მისი. ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, გვ. 177). მაგრამ მინაწერის ამგვარ განმარტებას ეწინააღმდეგება, როგორც „წამება“ (ის უკვე აღარაა „სულ მცირედ აღწერილი“), ისე თვით მინაწერი.

ნტი მროველი) თავის მატთანზე მუშაობისას მიაკვლია არჩილის წამების ძალზე მოკლე აღწერილობას, რომელსაც მანამდე, ჟამთა სიავის გამო¹⁰⁵, შესაფერი „აღმწერელი“ არ გაჩენია. აქ უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ, მინაწერის თანახმად, შესაძლებელი ყოფილა „მცირედ აღწერილის“ „ჭერისაებრ აღწერა“, ანუ მისი განახლება-გავრცელება ისე, რომ ალბათ, არც პირველ აღმწერელსა და არც გარდამკაზმველს ავტორის სახელი არ დაკარგოდა. ახლა თუ ამ მინაწერს პირველ მინაწერთან კავშირში განვიხილავთ, გამოვა, რომ არჩილის წამების ძალზე მოკლე აღწერილობას ლეონტი მროველის სახით ასეთი მწერალი გამოჩენია. ამრიგად. ამ მინაწერის მეშვეობით ჩვენ შევიტყვეთ ლეონტის ერთ-ერთი წყაროს შესახებ. ეს ყოფილა „სულ მცირედ აღწერილი“ „არჩილის წამება“. ამავე კუთხით ვაგრძელებთ შემდეგი მინაწერის ანუ ე. წ მეორე სარედაქციო შენიშვნის კითხვას. მინაწერის ცნობა, რომ „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“ ჩვენ გვესმის ისე, რომ ქართველთა ისტორია ანუ „ქართველთა ცხოვრების წიგნი“, საერთოდ. და თუნდაც ეს წიგნი („ქართლის ცხოვრება“), პირველ აღწერილის მნიშვნელობით, იწერებოდა დროაღწერა. ანუ ლეონტის წყარო ვიდრე ვახტანგ გორგასლის ხანამდე იყო სხვადასხვა დროს შედგენილი თხზულებები, ხოლო ვახტანგ გორგასლის შემდეგ. ვიდრე „არჩილის წამების“ ჩათვლით, არსებობდა უკვე გაბმული თხზულება, ალბათ, ისიც „მცირედ აღწერილი“¹⁰⁶, რომლის

¹⁰⁵ როგორც ვხედავთ. ამ სტრიქონების ავტორი გელისხმობს, რომ არჩილის „სულ მცირედ აღწერილი“ წამებასა და შემდეგ ლეონტის მიერ „ჭერისაებრ აღწერილის“ - შუა უძვეეს დიდი ზღვარი, — მთელი ხანა „ჟამთა შლილობისა“.

¹⁰⁶ ვფიქრობთ. რომ არჩილის წამების „სულ მცირედ აღწერილი“ „წიგნიც“ ჭუნაშერს უნდა ეკუთვნოდეს. რასაც მოწმობს თვით შენიშვნაც („ვიდრე აქამომდე“), ისე ის ფაქტი, რომ მწიგნობარი ერისთავი არჩილის თანამედროვე იყო და არჩილისაგან დაეაღებულს (არჩილს თავისი „რეფორმების“ დროს ჭუნაშერ-ჭუნაშერიანისათვის „უშეტესი ნაწილი“ მიუცია, რაც სხვა ერისთავებს, ცოტა არ იყოს, საწყენად დაჩვენიათ). მისი მეფობაცა და წამებაც უნდა აღეწერა, ხოლო, რადგან ეს უკანასკნელი ყოფილა „სულ მცირედ აღწერილი“, ამგვარივე სახის უნდა ყოფილიყო მთელი მისი თხზულება.

„აღმწერელი“ არჩილის ერისთავი ჯუანშერ ჯუანშერიანი ყოფილა¹⁰⁷.

მეორე მინაწერი ერთგვარი ცნობაა ლეონტის წინარე მატია-ნეებისა და, ამდენად, მისი წყაროების შესახებ. ცნობა, რომ „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“, არ გამორიცხავს იმას, რომ „ვახტანგ მეფისთგან“ ეს წიგნი აღარ დაწერილა „ჟამითი-ჟამად“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯუანშერი ვერ დაწერდა V—VIII საუკუნეების ისტორიას. ვერ დაწერდა თავის მატთანეს ამგვარი თხზულებების გარეშე, მით უმეტეს, ლეონტი მროველი, რომელსაც მინაწერების არაპირდაპირი მინიშნებით, აღნიშნული თხზულებების გამოყენებით, დაუწერია „მეფეთა ცხოვრება“, „არჩილის წამება“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ანუ „ჯერისაებრ“ აღუწერია „მცირედ აღწერილი“.

ასე წარმოგვიდგენია ჩვენ საქმის ვითარება საერთოდ და, კერძოდ, ამ შემთხვევაში.

¹⁰⁷ მეორე შენიშვნის ავტორი, რომელსაც შესაძლებელია პირველი მინაწერიც ეკუთვნოდეს, რამდენადმე მაინც უნდა იყოს დაპოკიდებული ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულების ანდერძმინაწერზე, რასაც უნდა მოწმობდეს იქიდან გამომდინარე უკანასკნელი ფრაზა შენიშვნისა: „მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.

იხვე ლეონტი მროველის თხზულების ერთი ადგილის განმარტებისათვის

შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა შორის ლეონტი მროველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თხზულება „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა მონათმფლობელური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის.

თხზულების ავტორის ზედწოდების — „მროველის“ მიხედვით ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ ლეონტი სასულიერო პირი, მროველი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის ეს ვარაუდი გამართლდა 1957 წ. თრეხეში (ქართლის რაიონი) აღმოჩენილი ქვაჭვარიანი წარწერის საშუალებით¹.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ლეონტი მროველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი XI საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია².

¹ გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1966 წ. სამშენებლო წარწერა თრეხის ქვაბებიდან. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1961, № 1, გვ. 239—262.

² სამწუხაროდ, ლეონტის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია არა აქვს აღნიშნული დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრება, რომ ლეონტი მროველი VII საუკუნის მოღვაწეა. იხ. Д. М. Бакрадзе, О 5 источниках и характере первоначальных преданий Картлис Цховреба или грузинских летописей. Известия Кавказского общества истории и археологии. Т. I, № 1, Тифлис, 1882, გვ. 31. მისივე, „ქართლის ცხოვრების პირველ-გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი. „ივერია“, 1885. № 1, გვ. 50. ამეამად აღმოჩენილია აკად. ნ. შარის ხელნაწერი ნაშრომი (О языковом екрещении в связи со эпохой Леонтия Мровели о грузинском языке. Ленинград. 1924, გვ. 1—69).

ლეონტი მროველი, როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, თავის დროისათვის ფრიად განათლებული და დიდი ერუდიციის ისტორიკოსი ყოფილა. ცნობილია, რომ მას ქართული პირველწყაროების გარდა გამოუყენებია, აგრეთვე, ბერძნული, სომხური და სპარსული საისტორიო ნაწარმოებიც.

ჩვენი წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების ერთი ადგილის ახლებურ გაგებას, კერძოდ, ქართული ენის წარმოშობის საკითხის გაშუქებას. ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს. ამიტომ საჭიროა ამ მოსაზრებათა გულისხმიერი განხილვა.

მოსაზრება აკად. ივ. ჯავახიშვილისა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომები, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, საფუძველს ან საყრდენს უქმნის ქართველოლოგიის ამა თუ იმ დარგს და მათ შორის, პირველ რიგში, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას. განსვენებული მკვლევარის კაპიტალურ ნაშრომებში გამოკვლეულია დღემდე ცნობილი ყველა ძველი ქართველი ისტორიკოსის ვინაობა და მისი დეაწლი ქართული კულტურის წინაშე. ამ თვალსაზრისით, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, ლეონტი მროველის ქართული ენის წარმოშობის შესახებ, ფრიად საყურადღებოა.

ლეონტი მროველის უწყების თანახმად, ვიდრე ბაბილონის სახელმწიფოს დიდი დამპყრობელი ნაბუქოდონოსორ II (604--562) იერუსალიმს დაიპყრობდა და გაანადგურებდა (586), „აქამომდის — აღნიშნავს ის — ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“-ო³. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ლეონტი მროველის

რომელიც ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში, ლენინგრადში (შოფრი A, 292). ამიტომ არაა მართებული, როდესაც პ. ინგოროყვას მოაწერენ მოსაზრებას, თითქოს მას ეკუთვნოდეს ლეონტი მროველის VIII საუკუნის მწერლად მიჩნევა. პ. ინგოროყვა არ უთითებს ლიტერატურას ამ საკითხზე.

³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 16.

აზრით, საქართველოში იმთავითვე გაბატონებული ყოფილა სომხური ენა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე ლეონტი მროველის ამ კატეგორიულ განცხადებას აკად. ივ. ჭავჭავაძის შემდგენიარად ხსნის: მკვლევრის აზრით, ლეონტი მროველზე დიდი გავლენა იქონია ფსევდოფერემის თხზულებამ, რომელსაც სახელად „განძთა ქუაბი“ ეწოდება. „ამ საშუალო საუკუნეების ისტორიკოსისათვის სამაგალითო თხზულებიდან ლეონტი მროველმა შეიტყო, — აღნიშნავს ივ. ჭავჭავაძის, — რომ თავდაპირველად გაბატონებული იყო ერთი ენა — ასურული, ვრცელ მანძილზე, რომელიც მიაწევდა „ვიდრე სომხითამდე“. მასხადამე. სომხითში ასურული არა ყოფილა გავრცელებული, არამედ სომხური, ასე უნდა ეფიქრა და სწორედ ასეც უფიქრია ჩვენს ისტორიკოსს. რაკი სომხითის მეტი ზემოპყვანილ თხზულებაში სხვა არც ერთი ქვეყანა დასახელებული არ არის, ამიტომ სომხეთი და სომხური ენა დიდმნიშვნელოვნად მიუჩნევია. ამით აიხსნება. რომ ლეონტი მროველი „პაოსს“ და სომხურ ენას ასეთს უპირატესობას ანიჭებს“-ო⁴.

ჩვენ არ უარყოფთ, რომ ლეონტი მროველი იცნობდა „განძთა ქუაბს“. მართებულად მიგვაჩნია აგრეთვე ისიც, რომ მას ხსენებული თხზულება გამოუყენებია. როგორც სათანადო წყარო თავისი ისტორიული ნაშრომის შედგენისას. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ აკად. ივ. ჭავჭავაძის იმ თვალსაზრისს, თითქოს ლეონტი მროველმა ქართული ენა წარმოშობის თეორია ისესხა ფსევდოფერემის ამ „განძთა ქუაბიდან“. მართლაც, თუ სომხეთში ასურული არა ყოფილა გავრცელებული, ეს კიდევ იმას როდი გულისხმობს, რომ მის ჩრდილოეთით მოსაზღვრე ქვეყნებში. კერძოდ საქართველოში უთუოდ სომხური უნდა ყოფილიყო გაბატონებული. მართალია, „განძთა ქუაბში“ ჩვენი ქვეყანა არ იხსენიება, მაგრამ ლეონტიმ ხომ იცოდა, რომ საქართველო გეოგრაფიულად სომხეთს ესაზღვრებოდა. ამასთან ცხადია, რომ ლეონტი მროველისათვის ქართლი ტერიტორიული თვალსაზრისით განცალკევებულია სომხეთისაგან.

⁴ ივ. ჭავჭავაძის, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 178.

აკად. კ. კეკელიძე თავის ერთ-ერთ წერილში („ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“) ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მაგრამ მისი გამოკვლევა, სამწუხაროდ, მეტად ცალმხრივია. ეს გარემოება იქიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ კ. კეკელიძე ფრიად ნებისმიერად აფასებს უცხო მწერალთა გავლენას, როგორც საქართველოზე საერთოდ, ისე ლეონტი მროველის თხზულებაზე განსაკუთრებით.

კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ლეონტი მროველის კონცეფცია სომხური ენის პრიორიტეტის შესახებ, უძველესი ხანის საქართველოში ცნობილი ძველი სომეხი ისტორიკოსის (IX ს.)⁵ მოსე ხორენელის თხზულებია „ცხოვრება სომხეთისა“ ანუ „სომხეთის ისტორიის“ გავლენით არის დაწერილი. „ამ ისტორიაში — აღნიშნავს კ. კეკელიძე, — მთელი ამიერკავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და კავკასიონის მთიდან სომხეთის სამხრეთ საზღვრამდე, წარმოდგენილია როგორც ჰაიკაანთ სამფლობელო (1, 8, 10, 14, 29 და სხვ.). მოსე ხორენელისა და ჩვენი ავტორის თეორიით, გამგობა და ბატონ-პატრონობა ძველად მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. თარგამოსის შვილებში კი უფროსად მათ გამოყვანილი ჰყავთ ჰაიკი (ხორენელით) ანუ ჰაოსი (მროველით); ის წარმოდგენილია მათ მძლეთა-მძლე გოლიათად, ბუმბერაზად და დევგმირად; მის წინაშე ქედს იხრიან არა მარტო კავკასიაში მობინადრე ტომები, არამედ სხვა, უფრო მსხვილი პოლიტიკური და ეროვნული ერთეულები. ერთი მისი შთამომავალი, არამი, აიძულებს მის ხელქვეითთა ქვეყნების მცხოვრებთ, ისწავლონ სომხური ენა⁶ (1, 14). აი, ამით უნდა აიხსნებოდეს, ჩვენი აზრით. ის საზღვრები, რომელთაც მემპტიანე უჩენს ჰაოსის სამფლობელოს, მისი ბატონობა კავკასიაში მობინადრე ტომების მამათმთავრებზე და სომხური ენის ბატონობა მთელს კავკასიაში, კერძოდ ქართლოსიანთა შორისაც. ერთი სიტყვით, სომეხთა პრიორიტეტობისა და უპირატესობის იდეა ამ ნაშრომში მოსე ხორენელის ისტორიიდან გამოსულა“⁷.

⁵ ამჟამად მ. ხორენელის მოღვაწეობის დრო გადატანილია V საუკუნეზე.

⁶ ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის, ა. ბ.

⁷ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. უნივერსიტეტის „მოამბე“, ტ. III, 1923, გვ. 35.

დაკვირვებული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ საკვლევადი-ებო საკითხის მარტოდენ უცხოური გავლენით ახსნა საკმარისი არ არის და კეშმარიტი სისწორით საკითხის გაშუქებას ვერ იძლევა. ასეთი ახსნა ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის სრულიად უმართებულო დამცირება იქნებოდა, მეტადრე XI საუკუნეში, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის, რასაც ზედ დაერთო გამწვავება პო-ლიტიკური ურთიერთობისა. ამ ეპოქაში არათუ არ იწერებოდა ამგვარი ხასიათის თხზულებანი, არამედ პირიქით, იმეამად ცდი-ლობდნენ, მოესპოთ ყოველგვარი ნაშთი იმისა, რაც უჩვენებდა ქართველთა და სომეხთა კულტურულ ურთიერთობას წარსულში.

1951 წ. კ. კეკელიძემ უარყო თავისი ეს შეხედულება და წერილში «Идея братства закавказских народов по генеа-логической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровელი»⁸, იმ აზრს დაადგა, რომ ლეონტი მროველის კონცეფ-ცია ამიერკავკასიის ხალხის ერთიანობის შესახებ მომდინარეობს იპოლიტე რომაელის (III ს.) ქრონიკის ცნობებიდან, რომელიც ქართულ ენაზე უთარგმნია და თავისებურად დაუმუშავებია XI ს-ის დასაწყისში ექვთიმე ათონელს. სწორედ ამ თარგმანით სარ-გებლობდა, კ. კეკელიძის აზრით, ლეონტი მროველი თავისი ეთნოლოგიური კონცეფციის შემუშავების დროს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძე სავსებით არ უარყოფს აგრეთვე მ. ზორენელის გავლენას ჩვენს ავტორზე.

1952 წ. გვქონდა შემთხვევა გვესაუბრა პროფ. ილ. აბულა-ძესთან ქართულ-სომხური ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. საუბრიდან ჩვენთვის იმთავითვე ცხადი შეიქმნა, რომ პროფ. ილ. აბულაძე უარყოფს მოსე ზორენელის გავლენას ლეონტი მრო-ველზე. მკვლევრის რწმენით, თუ საერთოდ დასაშვებია, რომ ლეონტი მროველი სარგებლობდა სომხური საისტორიო წყაროე-ბით, ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის აგათანგელოსის (V ს.) „სომხეთის ისტორია“-ზე, რომელიც მკვლევრის აზრით, უნ-და ეთარგმნათ სომხურიდან ბერძნულ ენაზე. ამ უკანასკნელ თარგმანს შესაძლებელია გაცნო ლეონტი მროველი. მაგრამ,

⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III, თბილისი, 1955, გვ. 96—107.

ამასთან, ილ. აბულაძე გამოთქვამს სავარაუდო მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, მართლაც, არსებულები ბერძნულ ენაზე მოსე ხორენელის ისტორია, თარგმნილი ორიგინალიდან, თუმცა სადღეისოდ ეს ჩემი მოსაზრება a priori არისო — დასძენდა პატივცემული მკვლევარი.

აქ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. საქმე ისაა, რომ მოსე ხორენელი, როგორც ცნობილია, ეპისკოპოსი იყო, ამასთან სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წარმომადგენელი, მაშინ, როდესაც, ლეონტი მროველი ეპისკოპოსი, დიოფიზიტური სარწმუნოებისა და დასავლეთის ორთოდოქსალური ქრისტიანობის მიმდევარი იყო. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია ის მოსაზრება, რომ ლეონტი მროველს ეს არმენოფილური კონცეფცია მწიგნობრული (ლიტერატურული) გზით შეეთვისებინა. ამ შემთხვევაში ლეონტი, როგორც ქართული საეკლესიო პირი XI ს-სა, არას გზით არ გაიზიარებდა მოსე ხორენელის აღნიშნულ კონცეფციას, რომ მას რეალურად რაღაც სანდო წყარო არა ჰქონოდა. ხოლო ეს წყარო, ჩვენი აზრით, უსათუოდ ქართული უნდა ყოფილიყო და არა სომხური, წინააღმდეგ შემთხვევაში ლეონტის მწვალებლობას დასწამებდნენ. როგორც ეს თავის დროს ეპისკოპოს მობიდანს ხვდა წილად.

ამრიგად, ჩვენ ექვს გამოთქვამთ, რომ ძველ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს, ქართულ საეკლესიო ენაზე აღზრდილსა და მოაზროვნეს, ამასთან ეპისკოპოსსაც, ესარგებლოს მოსე ხორენელის ისტორიით ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა არ გამოვრიცხავთ საერთოდ, შესაძლებლობას მის მიერ სომხური საისტორიო ლიტერატურით სარგებლობისას.

მოსაზრება პროფ. კ. გრიგოლიასი.

1949 წელს ისტორიის ინსტიტუტის ორგანო „მომომხილველში“ დაიბეჭდა პროფ. კ. გრიგოლიას საყურადღებო წერილი სათაურით— „ლეონტი მროველის ერთი ადგილის განმარტებისათვის“⁹. ეს ნაშრომი ჩვენთვის საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში უარყოფილია ლეონტის კონცეფციის უცხოური წარმომავლობა. გამოკვლე-

⁹ ამჟამად პროფ. კ. გრიგოლიას სხვა ნაშრომებშიც არის საუბარი ამ საკითხებზე. იხ. მისივე ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. I. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1954, გვ. 6—11. მისივე. ჩას მოგვიტხრობს ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1961, გვ. 86—91 და სხვა.

ვა, ჩვენი აზრით, სწორად აშუქებს საკითხს, მაგრამ საჭიროა ამასთან ზოგიერთი შენიშვნის გაკეთება.

კ. გრიგოლია შენიშნავს, რომ არარატის მთა თარგამოსიანთა (ქართველთა, სომეხთა და კავკასიის სხვა ხალხთა) უძველეს საცხოვრისს წარმოადგენდა ლეონტი მროველის თხრობის მიხედვით: „ლეონტი მროველის დროს — აღნიშნავს კ. გრიგოლია — არარატის მიდამოებში სომხეთი იყო და იქ მხოლოდ სომხურად მოლაპარაკე მოსახლეობა არსებობდა. ამიტომაც ის ფიქრობს, რომ იქ ქართველებიც სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ქართველთა თავდაპირველი სასაუბრო ენა, მისი აზრით, სომხური ყოფილა. სომხური ენით მოდიან ქართველები თავის ახალ საბინადრო ადგილზე — ქართლში. აქ ჩნდება ერთგვარი აღრევის შედეგად ქართული ენა და ქართველებიც საკუთარ ენაზე საუბარს იწყებენ, ასეთია მსჯელობის ის ბუნებრივი გზა, რომელსაც ლეონტი მროველი ესოდენ მტკიცედ მისდევს“¹⁰. კ. გრიგოლიას ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ასე მაგალითად, ახალ ბაბილონურ სახელმწიფოს დედაქალაქ ბაბილონში ჩვენ გვხვდება სულ სხვადასხვა ენაზე მოუბარი ხალხი. გვიანი ხანის ბაბილონის საქმიანი დოკუმენტები დაბეჯითებით მეტყველებენ, რომ ბაბილონში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი მრავლად ცხოვრობდა. ერთ-საქორწინო ხელშეკრულებაში აღნიშნულია ირანელის შეუღლება ბაბილონელ ქალთან. ამ ხელშეკრულების მოწმეებად გვევლინებიან რამდენიმე ბაბილონელი, ირანელი, ერთი თუ ორი ებრაელი, ერთი ეგვიპტელი, ერთი ელამიტელი და, ერთიც. რომელიდაც უცხო!¹¹. ამ საინტერესო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ბაბილონში სხვადასხვა წარმოშობის ხალხს უცხოვრია და ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა იმისი თქმა, რომ ყველა ეს ხალხი ბაბილონურად, ე. ი. სემიტური ენის ბაბილონურ დიალექტზე ლაპარაკობდა.

¹⁰ კ. გრიგოლია. ლეონტი მროველის ერთი დგილის განმარტებისათვის. „მომომხილველი“, თბილისი, ტ. I, 1949, გვ. 105

¹¹ В. В. Струве, История древнего Востока, 1941, гв. 350.

სხვას ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ და ლეონტი მროველის თხზულებას კარგად ჩავუკვირდეთ, დავინახავთ შემდეგს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“¹² — შენიშნავს ლეონტი მროველი. მისმა ჩვენებამ ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა მცხეთა-არმაზში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს. როგორც ცნობილია, მცხეთაში, — საქართველოს სახელმწიფოებრიობის ამ უძველეს დედაქალაქში, — აღმოაჩინეს ებრაული, არამეული და ბერძნული წარწერები, რომელთაც ახალი შუქი მოჰფინეს ძველი ქართული კულტურის ესოდენ მრავალ საკითხს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ არმაზის ბილინგვის აღმოჩენამ სავსებით ახლებურად დასვა საკითხი საქართველოში დამწერლობის გაჩენისა და მისი ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ.

მოსაზრება აკად. ნ. მარისა.

ამ რამდენიმე წლის წინ ცნობილი გახდა აკად. ნ. მარის ვრცელი ხელნაწერი (გამოკვლევა, დაცული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში. ლენინგრადი). ეს გამოკვლევა «О языковом скрещении в связи со словами Леонтия Мровели о грузинском языке» მიზნად ისახავს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარჩევას¹³. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოჩენილი მეცნიერის აღნიშნული ნაშრომი, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე შინაარსობლივად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებას და ამ საკითხში ბუნდოვანებაც კი შეაქვს.

აკად. ნ. მარის აზრით, ლეონტი მროველის კონცეფციას ქართული ენის შესახებ, ცხადია, არა აქვს პრეტენზია ლინგვისტიკური კვლევა-ძიებისა, მაგრამ მას, როგორც ჩანს, აქვს კავშირი ენათა შერევის მარისეულ თეორიასთან¹⁴.

აქ არ გამოვუდგებით ენათა შერევის მარისეული კონცეფციის კრიტიკას, რადგან იგი კარგა ხანია, რაც უარყოფილია ენათმეცნიერ-

¹² ქართლის ცხოვრება. დასახ. გამოცემა, გვ. 16.

¹³ ნ. მარის ამ სპეციალური ნარკვევის გარდა სხვაგანაც აქვს გამოქმულა ცაკისი აზრი ლეონტი მროველის აღნიშნულ კონცეფციაზე.

¹⁴ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 22, 56, 65.

რებასა და ისტორიაში, მაგრამ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ნ. მარს დარწმუნებით მიაჩნდა — ლეონტისეული თეორია ქართული ენის სომხური წარმომავლობის შესახებ სტიქიურად უკავშირდება ენათა შერევის თეორიასო. ამასთან ენათა შერევის მინც-დამაინც მარისეულ კონცეფციას. «Леонти Мровел(и) сочинял свои сведения общего характера об едином происхождении, точнее о родстве всех коренных языков Кавказа, и случайно совпал с одним из основных положений яфетического языкознания»¹⁵.

ამრიგად, ლეონტი პროველისა და ნ. მარის კონცეფციათა შორის არსებობს აშკარად მკიდრო კავშირი, რაც, სხვათა შორის, ჩვენი ავტორის აზრით, მისი თეორიის სისწორეზე მეტყველებს. ამ თვალსაზრისიდან იგი აკრიტიკებს ივ. ჭავჭავაძის და მიაჩნია, რომ მისი კონცეფცია მისაღები არაა. მაგრამ მაინც რაა ეს „სომხური ენა“, რომელზედაც ოდითგანვე ლაპარაკობდა ქართველობა და რა კავშირი აქვს მას ჩვენი ეროვნული ენის წარმოშობასთან? ასე სვამს კითხვას ნ. მარი და იქვე იძლევა პასუხს: «Независимо от преданий¹⁶, мы теперь знаем, что һау это тоже, что сон или swap, и это сон находится в составе so-теq, а теq, полнее mesq, разновидность другого этнического названия армян һаук, одновременно есть название яфетического племени. в Грузии... В термине «сомех», сваномесх и somqit «зотити» «страна их» означали и армян, и грузин, одно время и гибридный яфетический народ армянского, яфетического — индоевропейского вида, и гибридный яфетический народ, чисто яфетический, то сванского, то с приближением к грузинам более гомогенного типа... В грузинском языке мы имеем... более всего из сванского, гибридного и по-ныне спирантно-шипящего или шипяще-спирантного языка, который по данным совместного изучения этнической терминологии с лингвистическими данными соответственных языков должен был и действительно назывался свано-месхским или со-мехским. И этот сон-месхский язык, действительно, предшествовал как живой язык об-

¹⁵ Н. Я. М а р р, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

¹⁶ აკად. ნ. მარს საეხებოთ სამართლიანად მიაჩნდა, რომ ლეონტის თვისი ოხულებისათვის გამოყენებული აქვს ხალხში დაცული ზეპირგადმოცემები.

разовавшемуся впоследствии наличному состоянию грузинского языка»¹⁷.

აკად. ნ. მარის ამ ვრცელი ამონაწერიდან გამომდინარეობს, რომ, მისი აზრით, ბუნებაში არსებულან ჰიბრიდული წარმოშობის ტომები, რომელთაგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოირჩეოდა სო-მეხის ტომი და რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც ინდოევროპული არმენული მოსახლეობა, ისე განსაკუთრებით იაფეტური, ქართული, უფრო ზუსტად სვანური ელემენტი. სწორედ ეს სო-მესხური ენა რეალურად წინ უსწრებდა შემდგომში შეჯვარდინების საფუძველზე წარმოქმნილ თანამედროვე ქართულ ენას. ეს სო-მესხური ენა იგულისხმება, მაშასადამე, ლეონტი მროველის სომხურ ენაში, რომელზედაც ლაპარაკობდა ქართველობა წინაისტორიულ ხანაში.

აკად. ნ. მარის ამ შეხედულებებს, ცხადია, რეალური საფუძველი არა აქვს. თავი რომ დავანებოთ ენათა შეჯვარდინების მარისეულ გაგებას, რომლიდანაც გამომდინარეობს ტომთა ჰიბრიდიზაციის აგრეთვე მარისეული წარმოდგენები, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიბრიდული ენები ბუნებაში არ არსებულან და არც შეიძლებოდა მათი არსებობა გვევარაუდნა ისტორიულად, რადგან ენა საზოგადოებრივ მოვლენას ეკუთვნის, ხოლო საზოგადოება თავისი კანონების მიხედვით ვითარდება და არა ბიოლოგიურად.

ჩვენ აქ შევწყვეტთ კამათს აკად. ნ. მართან, თუმცა შევნიშნავთ, რომ გამოჩენილი მეცნიერის აღნიშნული მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ იმდენად შორს დგას ქეშმარიტებისაგან, რომ ამ პრობლემის შესწავლაში მხოლოდ ბუნდოვანება შეაქვს¹⁸.

ვამთავრებთ რა ყველა მეცნიერის მოსაზრებათა განხილვას ჩვენ მიერ კვლავ აღძრული საკითხის თაობაზე, ამრიგად, ვდგებით გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე.

საქმე ისაა, რომ ლეონტი მროველის ეს, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განცხადება, ჩვენი აზრით, ახსნას

¹⁷ Н. Я. Марр. დასახ. ნაშრ., გვ. 51—53, 57—58.

¹⁸ ასევე მიუღებელია, ჩვენი აზრით, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებაც. იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 057.

პოულობს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ ურარტუს ისტორიის მასალათა საფუძველზე.

დიდი ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი ერი თავისი წარმოშობით ამიერკავკასიის მკვედრია და მას მკიდრო ენობრივი კავშირი აქვს წინა აზიის უძველეს აბორიგენ მოსახლეობასთან პროტოხეთებთან, ხურიტებთან და სხვ. საბჭოურ მეცნიერებაში ამ ხალხებს იბერიულ-კავკასიური წრის ხალხთა სახელს აკუთვნებენ.

უძიილეს ხანაში. დაახლოებით III—II ათასწლეულში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, იბერიულ-კავკასიური წრის კოლექტივს ფრიად ვრცელი ტერიტორია ეკირა წინა და მცირე აზიაში. მაგრამ I ათასწლეულის დასაწყისიდან მდგომარეობა წინა აზიაში არსებითად იცვლება და კავკასიურ-იბერიული წრის ხალხთა შორის ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი წინაურდება. მას ასურული ლურსმული წარწერები „ურარტუს“ უწოდებენ.

ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს ეკავა წინა აზიის ჩრდილოეთი ნაწილის მაღალი მთაგორიანი მასივი, რომელსაც ეგრეთწოდებული სომხეთის ზეგანი ეწოდება. ძვ. წ. IX—VIII სს. ურარტუს სახელმწიფო ფრიად ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რომლის შემადგენლობაში, სხვათა შორის, თანამედროვე სომხეთისა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც შევიდა. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ გარკვეულ დროს მის ფარგლებში მოქცეულა აზერბაიჯანის სსრ ერთი ნაწილიც¹⁹.

ურარტუს სახელმწიფოს ისტორიის შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აკად. გ. მელიქიშვილს. მან გამოიკვლია არა მარტო საკუთრივ ურარტუს, არამედ მისი მომიჯნავე ქვეყანათა უძველესი ხანის ისტორია. გ. მელიქიშვილმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ძველადმოსავლური ხანის (I ათასწლეული) სამხრეთ ამიერკავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე (ერზერუმ-სარიყამიშ-ყარს-ლენინაკან-სევანის ტბის გაყოლებაზე) არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა უმეტესი ნაწილი ქართული წარმოშობის ტომთაგან შედგებოდა²⁰, რომელთაგან აღსანიშნავია:

¹⁹ И. И. Мещанинов, Восточное Закавказье времен халдских завоеваний, ВДИ. 1937, № 1, стр. 66—77.

²⁰ Г. А. Мелликишвили, Наирн-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 55—69, 249—269, 397—421.

დიაუხი, ზაბახაე, ივანიეხი, ყათარზა, კულხა, ლუშა, ხალიტუ და შეშეთი.

ყველა ეს ზემოჩამოთვლილი პოლიტიკური ერთეული ურარტუს ძლიერების ხანაში შესული იყო ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამდენად, ქართველ ტომებს მკიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ ურარტელებთან. ხშირად აწარმოებდნენ ისინი ერთმანეთთან ომებსაც, რომლის შედეგად სამხრეთ ამიერკავკასიის მსხვილი გაერთიანებანი, დიაუხი (ტაო) და კულხა (კოლხეთი), ზოგჯერ დამარცხებას განიცდიდნენ ურარტელთაგან. მაგრამ იყო უკუპროცესიც, როდესაც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის დასაწყისისათვის სამხრეთ ამიერკავკასიის უკანასკნელი ციტადელის თეიშებაინის განადგურებაში ძირითადი როლი შეასრულა ჩრდილოეთის ქართულმა გაერთიანებამ²¹.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების — სასპერთა ფართო გავრცელება ურარტუს ყოფილ ტერიტორიაზე ძვ. წ. VI ს., რომლის შესახებ საგულისხმო ცნობები შემოგვინახა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ. ეს ფაქტიური მასალა იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ქართველ ტომთა დიდი მასა ძველთაგანვე შევიდა როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ურარტუს სახელმწიფოში.

ჩვენ არ შევდივართ ძველი ეთნოლოგიის საკითხების დაწვრილებით განხილვაში და აქ ყურადღებას ვამახვილებთ ერთ საკითხზე, რომელსაც ჩვენთვის უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საკითხი ეხება იმის გარკვევას, თუ რა სახელით არის ცნობილი სომხები ისტორიულად.

სომხები ისტორიაში სამი სახელწოდებით არიან ცნობილი: „არმენ“, რა სახელსაც უწოდებს დღეს არსებული ყველა ერი; „სომეხი“ — რა სახელსაც მხოლოდ ქართველები მიაკუთვნებენ სომეხ ერს; და „პაი“ — რა სახელსაც უწოდებს თავის თავს საკუთარივ სომეხი ხალხი.

პირველი ტერმინი „არმენ“ — გეოგრაფიული სახელწოდებაა: ქვეყნის სახელისა: „არმენია|არმინა“²².

²¹ Г. А. Меликшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 415.

²² „არმინა“-ს შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

რას ნიშნავს ეთნიკური სახელწოდება „სომეხი“? რად უწოდებს ქართველი ხალხი ამ ერს სახელს „სომეხი“ და არა ყველასგან მიღებულ ტერმინს „არმენი“. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება, თითქოს „სომეხი“ და „სომხეთი“ „სამხრეთი“ სიტყვისაგან იყო წარმოშობილი. ეს აზრი გამოთქმული ჰქონდა აკად. მ. ბროსეს²³. ეს მოსაზრება გაიზიარეს აგრეთვე ქართველებმაც. კერძოდ, ზ. კიკინაძე თავის წერილში „სამხრეთი საქართველო (სომხეთი) გეოგრაფიული და სტატისტიკური წერილი“ აღნიშნავს, რომ „სომხეთი“ წარმოსდგა სიტყვა სამხრეთიდგან. აქ უნდა შევნიშნოთ, — წერს იგი, რომ სიტყვა „სამხრეთი“ საშუალო საუკუნეებში რაღაც მანქანებით მიეთვისა ჰაოსიანთ ძეთა სახელწოდებას, მათს გვარტომობის, ანუ მოდგმის ცნობას²⁴. „სომხეთის“ ამგვარი ეტიმოლოგია, რა თქმა უხდა, ბედარია და, ამდენად, მიუღებელი.

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, ცნობილმა არმენისტმა გრ. ხალათიანცმა და სახელოვანმა ქართველოლოგმა ალ. ხახანაშვილმა, ყურადღება მიაქციეს ასურულ-ლურსმულ დამწერლობაში, სახელდობრ, მეფე სალმანასარ III-ის (859—824 წწ.) წარწერებში მოხსენებული ქვეყანა „სუხმეს“ (Suḫme; māṭ su-uḫ-me) და სრულიად სამართლიანად შენიშნეს, რომ ქართველებმა „სომეხი“ და „სომხეთი“ ქვეყანა „სუხმედან“ გადაიღეს ქართული სუფიქს—„ეთ“-ის დამატებით. „სუხმე“ ქვეყანა მღებარეობდა მდინარეების ევფრატისა და არაცანის ზემო დინების აუზში²⁵. ბოლახ-ქოის სამეფო არქივის აღმოჩენის შემდეგ ცნობილი შეიქმნა, აგრეთვე, ასურული „suḫme“-ს ხეთური სახელწოდებაც „suḫma“-ს თუ „zohma“-ს²⁶ სახით.

²³ Brosset. Revue des antiquités géorgiennes. Bulletin scientifique, 1839, ტ. V, №. 3, გვ. 12.

²⁴ ზ. კიკინაძე. სამხრეთ საქართველო (სომხეთი), თბილისი, 1901, გვ. 4

²⁵ Г. А. Халатьянц, О некоторых географических названиях древней Армении в связи с данными ванских надписей. Древности Восточные, т. II, вып. II, Москва, 1901, გვ. 126; А. С. Хаканов. Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии. ЗКОИРГО. Кн. XII, Тифлис, 1903, გვ. 55 შედრ. Г. А. Меликшвили. დასახ. ნაშრ., გვ. 78, 81, 89.

²⁶ Б. А. Куфтин, Археологическая экспедиция, 1945 г. Тбилиси, 1949, გვ. 7.

გამოსარკვევი დაგვრჩა „ჰაის“ სახელწოდების წარმოშობა. ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქ ხატუშში (თანამედროვე სოფელი ბოლაზ-ქოი) აღმოჩენის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ახალ ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინას — ხეთოლოგიას, რომელმაც სრულიად ახალი შუქი მოჰფინა წინა აზიის უძველეს ისტორიას. ბოლაზ-ქოის სამეფო არქივში დაცულია ზოგიერთი სპორადული ხასიათის ცნობა „ხაიასას“ ანუ „აზის“ სამეფოს არსებობის შესახებ. ირკვევა, რომ ჭერ კიდევ ძვ. წ. XIV ს-ში, ზემო ეფრატის ველზე და მის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ „ხაიასას“ ტომები. ამ უკანასკნელებმა შესძლეს გაერთიანება ძლიერ ტომთა კავშირში, რომელთა წინამძღოლებს ხეთური წარწერები (მურსილის ანალები) „მეფეებს“ უწოდებენ. ხაიასას ტომთა კავშირი, ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ დამოუკიდებლობას მოიპოვებს. არმენიის ზეგანზე ხაიასას ქვეყანა ერთადერთ მხარეს წარმოადგენდა, რომელიც დაუპყრობელი დარჩა ურარტუს და მრავალი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას. ურარტუს დასუსტებისა და დაცემის შემდეგ პერიოდში ხაიასამ შეძლო ზოგიერთ ტომთა კავშირის გაერთიანება, წინათ რომ ვანის სამეფოს კუთვნილებას შეადგენდა. მისი ტერიტორია განსაკუთრებით გაფართოვდა VIII-VII საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, როდესაც მან თავის შემადგენლობაში შეიყვანა „არმენების“ ტომი, რომელიც არმენიის ტავრის სამხრეთით ბინადრობდა. ხაიასელები თანდათან იწყებენ არმენიის ზეგანის სიღრმეში შეჭრას. ხაიასელების ტომის ჩამოყალიბება თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მკვეთრად მოჩანს ძვ. წ. VII-VI სს. იმის გამო, რომ ხაიასელებმა წამყვანი როლი შეასრულეს სომეხი ხალხის წარმოშობაში, ამიტომ მათ თავისი სახელი მოახვიეს დაპყრობილ ტომებს, რის საფუძველზეც შემდგომში იგი იქცა სომეხ ტომთა საერთო სახელად.

ქართველთა პირველსაცხოვრისი არიან — ქართლი. თანამედროვე ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად საკითხს, როგორც ცნობილია, ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების პრობლემა წარმოადგენს. ზედმეტია იმაზე მითითება, რომ ამ საკითხის შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს.

მაგრამ ამოსავალ წერტილს ამ კონკრეტულ საკითხში აკად. ს. ჯანაშიას შრომებში ვეძიებთ²⁷.

საქართველოს ისტორიის ამ უბანზე მომუშავეთა შორის აკად. ს. ჯანაშია პირველთაგანი იყო, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით შეუდგა ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების რთულ პრობლემათა შესწავლას. განსვენებულმა მკვლევარმა თავისი მოღვაწეობა პირველ ხანებში ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლის საფუძველზე აწარმოა.

ქართველი ხალხის უძველესი ეროვნული გადმოცემა მათი წარმოშობის შესახებ დაცულია „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანეში, რომელიც, ავტორის აზრით, VII ს. გვიანდელი წარმოშობისა არ უნდა იყოს. ამ მატიანის უწყების თანახმად: „ესე აზრი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა. და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გა.“

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა-აზრი, ძე არიან ქართველთა მეფისაი, და მოკუდა“²⁸.

ს. ჯანაშიამ გააწვორა „მოქცევაი-ქართლისაის“ მატიანის სათანადო ცნობის მის დრომდე არსებული წაკითხვა და „მოქცევაი ქართლისაის“ უცნობი ავტორის „არიან“ მიიჩნია არა აზოს მამის საკუთარ სახელად, არამედ ქვეყნის, კერძოდ, ძველი ისტორიული ქართლის სახელად. ს. ჯანაშიას განმარტებით, ისეთ სინტაქსურ კონსტრუქციაში, როგორცაა: „ესე აზრი წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა“, სიტყვა არიან შეიძლება იყოს მხოლოდ მსაზღვრელი ქართლ — სიტყვისა და არა თავისთავადი სახელი — მეფის აღმნიშვნელი. რადგან ამ სიტყვის ფორმა უცვლელი ფუძეა, ამიტომ ტექსტის სინტაქსური წყობით ის, მის მომდევნო სიტყვასთან ერთად, კომპოზიტს შეადგენს: „არიან-ქართლი“, მსგავსად „ძუელ-მცხეთა“, „ერწუ-თიანეთი“. ამრიგად, არიან

27 ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინაღლებზე. ენიშკის „მოამბე“, ტ. V—VI, თბლისი, 1940, გვ. 633—634. დაუფასებელია ამასთან აკად. გ. შელიჭიშვილის შრომები ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებზე, მაგრამ საქმე ეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, არიან-ქართლის ლოკალიზაციას.

28 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 648—649.

„მსაზღვრელია, რომელიც ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების სახელს მიემართება“, და გულისხმობს ისტორიული ქართლისაგან განსხვავებულ, სამხრეთით მდებარე სხვა ქართლს. სიტყვის ამგვარ სემანტიკას ადასტურებს ისტორიული ცნობებიც: „ქართლის მოქცევით“ თხრობის არიან-ქართლი, — აღნიშნავს აკად. ს. ჯანაშია, — წარმოადგენს მოგონებას ჰარი — ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ²⁹. „რეალურად — განაგრძობს ავტორი — აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც..., ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც“³⁰.

აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომში უფრო ღრმად ჩაკვირდება გვარწმუნებს იმაში, რომ არიან-ქართლი, განსვენებულ მეცნიერს, ურარტუ-მანას ტერიტორიაზე ეგულებოდა.

ამრიგად, ს. ჯანაშიას დაკვირვებით, „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანის „არიან“ უდრის ხურის ქვეყანას, ხოლო უფრო ვიწრო გაგებით — ურარტუს ქვეყანას.

მაშასადამე, ეკვი არ არის, რომ ქართველ ტომთა ერთ-ერთი უძველესი პოლიტიკური საზღვარი სამხრეთის მიმართულებით (შეადარე კარდუხები ქსენოფონთან) ვანის ტბის სანახებში მდებარეობდა, როგორც „მოქცევაი-ქართლისაის“ მატიანის მიხედვით, ისე ძველი აღმოსავლური, კერძოდ, ურარტული წყაროების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება საკითხი: თუ ყოველივე ზემოთქმული ისტორიულ რეალობას შეესაბამება, მაშინ რა ენაზე უნდა ელაპარაკნა იქ მცხოვრებ ქართველ ტომებს? პასუხი ჩვენი აზრით, აქ შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: უქვევლია ისინი ქართველურ ენაზე მეტყველებდნენ.

ენის შესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოგვეპოვება ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. მაშასადამე, ცალკეული ენის შესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საკუთარი გრამატიკული წყობა და საკუთარი ძირითადი ლექსიკური ფონდი გააჩნია. ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის, უწინარეს ყოვლისა, ძირეული სიტყვები. ძირითადი ლექსიკური ფონდი წარმოადგენს ბაზას სიტყვა-

29 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 671.

30 იქვე.

თა წარმოქმნისათვის, ენის ლექსიკური შემადგენლობის ჩამოყალიბებისათვის. ენათმეცნიერებაში ცნობილია, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კიდევ უძველეს დროში, მონობის ეპოქაზე ადრე. ეს იყო არართული ენა, რომელსაც მეტად მცირე ლექსიკური ფონდი გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა თავისი გრამატიკული წყობა, მართალია პრიმიტიული, მაგრამ მაინც გრამატიკული წყობა. და ძირითადი ლექსიკური ფონდი ქმნის ენის საფუძველსო— წარმოადგენს შესანიშნავ განზოგადებას კონკრეტულ ენათა, ან შემთხვევაში, ქართველურ ენათა მეცნიერულ შესწავლისას.

ურარტულ არმინას სახელწოდების შესახებ. როგორც ცნობილია, ურარტუ ურარტუს ფორმით გვხვდება აქმენიდური დინასტიის სპარსეთის მეფის დარიოს ჰისტასპის (521—486 წწ.) ბექსიტუნის წარწერის ბაბილონურ ტექსტში, ამასთან სპარსულ რედაქციაში იგი შეცვლილია ტერმინით „არმინა“ (armina), ე. ი. აქ შერმინდელი არმენია ანუ სომხეთი იგულისხმება. მაშასადამე, ასურული ურარტუ, ბაბილონური ურარტუ და სპარსული არმინა იდენტური სახელწოდებებია და ერთ ხალხს, კერძოდ, ურარტელებს გულისხმობს.

ურარტუ ლურსმულ დამწერლობაში უკანასკნელად გვხვდება ქსერქსეს წარწერაში, V საუკუნის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით, ამასთან ისევ ბაბილონური სახელწოდებით ურარტუ (urartu).

ლეონტი მროველის დროს არმენიას სომხეთი ან, უკეთ რომ ვთქვათ, სომხითი ეწოდებოდა. რადგან ტერმინი არმენია VI საუკუნის დასაბრუნებულ ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს ურარტუს გულისხმობს³¹, ხოლო მასში ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიაც შედიოდა, ამიტომ ლეონტი მროველს, რომელსაც სახელმძღვანელოდ ჰქონია რომელიღაც უძველესი და საქმის ვითარებაში კარგად ორიენტირებული საისტორიო პირველწყარო და რომელშიაც ლაპარაკი ყოფილა ქართველთა მოძრაობაზე (მიგრაცია) სამხრეთიდან, რისი ანარეკლი „მოქცე-ქარ.-შია“ უკვე დადასტურებული). კერძოდ, სომხეთიდან ურარ-

³¹ ჩვენ იდენტიფიკაციას მხოლოდ ტერმინებში ვახდენთ, კერძოდ ურარტუსა და არმინაში. ეთნიკურად რა თქმა უნდა ურარტელები და სომხები სხვადასხვა წარმოშობის ხალხია.

ტუდან, მართებულად შეუნიშნავს, რომ ქართველები იქ სომხურად resp. ქართულად ლაპარაკობდნენო. ამ ქართულ ენაში ჩა თქმა უნდა ვგულისხმობთ ქართველურ-ეთნიკურ ჯგუფიდან გამოყოფილ ქართულ-ზანურ ენობრივ კოლექტივს³².

რაც შეეხება ურარტულისა და ქართველური ენების ნათესაობის საკითხს, დიდიხანია გამორკვეულია, რომ მათ აქვთ მკაფიო და გარკვეული გენეტიკური კავშირი³³. რაც უფრო მეტად იქნება შესწავლილი ქართველური და ურარტული ენები, მით უფრო ნათელი გახდება მათი მჭიდრო, ორგანული კავშირი, კავშირი არა მარტო ლექსიკური, არამედ გრამატიკული, რაც ქეშმარიტად არსებითია ენათა გენეტიკური ურთიერთობისათვის. აი რას ამბობს ერთი საბჭოთა ენათმეცნიერი ენათა ნათესაობის შესახებ გრამატიკული სტრუქტურის თვალსაზრისით: «Языки, обладающие общими грамматическими структурами, следует рассматривать как языки, показывающие самые веские свидетельства своей родственности, так как грамматические элементы являются наиболее стабильными и не поддаются перенесению из одного языка в другой. Лексическая близость языков имеет не меньшую важность при решении вопроса родственности языков»³⁴.

ამრიგად ირკვევა, რომ ლეონტი მროველის „სომხური ენა“, რომელზედაც თითქოს ლაპარაკობდნენ ქართველი ტომები უძველეს დროს, სინამდვილეში ყოფილა ქართველური ენა და არა ძველი სომხური ენა. ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის კონცეფცია ქართული ენის წარმოშობის შესახებ სარწმუნო ხასიათისაა. რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეთხზულად მის მიერ. იგი ჩანს ძველ ისტორიულ ტრადიციას შეიცავს და მომდინარეობს უძველესი ქართული საისტორიო პირველწყაროდან.

ამრიგად, მნიშვნელობა ლეონტი მროველის თხზულებისა, როგორც საისტორიო ძეგლისა, უმთავრესად იმაში მდგომარეობს,

³² გ. შელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965, გვ. 71—72.

³³ უახლესი ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ იხ. Г. А. Мелникшвили и Урартский язык. М., 1964 გვ. 14 და შემდ.

³⁴ В. А. Звегинцев, К понятию внутренних законов развития языка. Изв. АН СССР, отд. лит. и языка, 1951, т. X, вып. 4, გვ. 333.

რომ მას, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია უძველესი ხანის ქართული საისტორიო წყაროები. რომელთაც ჩვენ დრომდე, სამწუხაროდ, არ მოუღწევიათ და რომელთა გადმონაშთები დაცული გვაქვს „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთას“ თხზულებაში.

ამრიგად, ჩვენი დასკვნა ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე შემდეგი იქნება:

1. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში სადღეისოდ არსებული ცდები, აიხსნას ლეონტი მროველის ქართული ენის სომხურიდან მომდინარეობის თეორია, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს პროფ. კ. გრიგოლიას ზემოთ განხილული მოსაზრება.

2. ძველი წელთაღრიცხვის IX—VIII საუკუნეებში ურარტუს ტერიტორია მოიცავდა ისტორიული საქართველოს საკმაოდ ფართო მიწა-წყალს. არიან-ქართლი, როგორც ირკვევა, სწორედ ურარტუს მიერ მიტაცებული ოლქი უნდა ყოფილიყო, კერძოდ, დიაიენი, დიაუხი, ტაო. მაშასადამე, ლეონტი მროველის ცნობაში იმის შესახებ, რომ ქართველები არმენიაში სომხურად ლაპარაკობდნენ, იგულისხმება ქართულ-ზანური ენობრივი ჯგუფი.

3. ასურული ურარტუ, ბაბილონური ურაშტუ და სპარსული არმინა იდენტური სახელწოდებებია, თუმცა არმინა ეთნიკურად სხვა, ინდოევროპული წარმოშობის ხალხს, არმენებს გულისხმობს უკვე ადრე ანტიკურ ხანაში.

4. ურარტუს სახელის გაქრობა V საუკუნის დასაწყისიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს და მის სანაცვლოდ ახალი ტერმინის (არმინა) წარმოჩენა მიგვაჩინა იმ მიზეზად, რომლის საფუძველზე ლეონტი მროველმა სომხური ენა ქართველების თავდაპირველ ენად გამოაცხადა.

ა. გრიგოლია

ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა

ა. ზოგადი ცნობები ძეგლის შესახებ

„ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიას საკმაოდ ვრცელი თხზულება მისდევს, რომლის არც სათაური და არც ავტორი ცნობილი არ არის. გარდა იმისა, რომ ეს თხზულება დღეს უსათაუროა, ის იმდენად უმეშვეოდ მისდევს „თამარის ცხოვრებას“, რომ შესაძლებელია ადამიანს თამარის ისტორიის ბუნებრივ გაგრძელებად მოეჩვენოს და ორივე ძეგლი ერთ თხზულებად იქნეს აღიარებული. პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლი, ცალკე, დამოუკიდებელ თხზულებად გამოაცხადა და ასე განიხილა კიდეც იგი აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა რეზანე ჯავახიშვილმა. მისი სიტყვით, მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიის შემდეგ...“ იწყება მოთხრობა, რომელიც ლაშა გიორგის მეფობითგან მოკიდებული შეუწყვეტლივ მომდინარეობს გიორგი ბრწყინვალეს ტახტზე ასვლამდე, ანუ ხელნაწერით 72; გვერდითგან 932 გვერდამდე“ და „ეს 209 გვერდზე აწერილი ასი წლის იატორია ერთი თხზულება არის...“¹ მართლაც, ამ თხზულებაში გაშუქებულია საქართველოს ისტორია XIII საუკუნისა და მომდევნო საუკუნის დასაწყისიც (თამარის მომდევნო ხანა).

* ეს ნაშრომი ჩვენ დავეწერეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დაკვეთით.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წილათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი. 1916. გვ. 193.

ჩრადგან ამ ძეგლის არც ავტორი და არც სათაური ცნობილი არ არის საისტორიო მწერლობაში, მისი მითითების გაადვილების მიზნით, აკად. ივ. ჯავახიშვილმა ზენოანური თხზულების ავტორს პირობით უამთაადმწერელი უწოდა, ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ თვითონ უცნობი ავტორი თავის თხზულებაში, ისტორიასა და საისტორიო მწერლობას უამთაადმწერლობას ეძახის, ხოლო ძველი სამყაროს ცნობილ ისტორიკოსს — იოსებ ფლავიოსს ის არა ერთხელ, უამთაადმწერლის სახელით იხსენიებს. ამის მიხედვით, დიდმა მკვლევარმა თვითონ იმ უცნობ ავტორსაც უამთაადმწერელი შეარქვა, რაც სრულიად ბუნებრივია. მკვლევარს თედო უორდანიას, რომელმაც „ქართლის ცხოვრება“ პირველმა განიხილა, როგორც კრებული და მისი შემადგენელი ნაწილები საკმაო დაზუსტებით აღწახა კიდევ, უამთაადმწერლის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. აღნიშნული კრებულის შემადგენელ თხზულებათა მიმოხილვას ის თამარის მათიანით ამთავრებს, რომლის შემდეგ მას ნათქვამი აქვს: „შემდეგის მეტად არეულ და გადარეულ მათიანეების გამორკვევა და გაცხრილვა, რასაკვირველია, უფრო ადვილია (და დიდაც უფრო საჭირო), როგორც ჩვენდა უფრო დაახლოებული დროებისა, რადგან უმეტესი საბუთები მოიძებნება უახლესთა დროთა მათიანეების შესამოწმებლად; მაგრამ ეს შრომა ჩვენ შემდეგისთვის გადაგვიღვია“². გაპოჩენილ მკვლევარს ამის შემდეგ ასეთი ნაშრომი ჰართლაც დაუწერია, რომელიც სწორედ უამთაადმწერლის თხზულების, ან „ასწლოვანი ჯაყელთა მათიანის“, როგორც ამას ის უწოდებს, განხილვას ეძღვნება. ეს არის ვრცელი თხზულება (საერთო რვეულის 85 გვ.), რომლის დაბეჭდვა მას ვერ მოუხწრია და დღესაც ხელნაწერად ინახება მის პირად არქივში³.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ, თბილისი, 1892, გვ. LII.

³ ამ მასალის არსებობა თავზიანად მიმოითა დოც. შ. ხანთაძემ, რის გამოც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ — კ. გ.

3 ქამთააღმწერლის ვინაობის საკითხისათვის

ვინ იყო ქამთააღმწერლის სახელით ცნობილი მემატია-
ნე — ჩვენ არ ვიცით. ამის შესახებ არსებობს მხოლოდ რამდენიმე
მოსაზრება. თ. ჟორდანიას მიხედვით, ეს თხზულება ჭაყელთა
საგვარეულო მატიანეს წარმოადგენს და მას „ასწლოვან ჭაყელ-
თა მატიანეს“ უწოდებს კიდევ. ეს თხზულება, იმავე მეცნიერის
აზრით, არა მარტო ჭაყელთა საგვარეულო მატიანეა, არამედ ის
თვითონ ჭაყელ-ციხისჯვარელ მთავართა მიერ დაწერილი ძეგლია.
მისი სიტყვით, „პირველი და უდიდესი მისი ნაწილი, როგორც
ცხადდება შინაური ნიშნებისაგან დაწერალია „პაპა სარგისისაგან“
ხოლო დანარჩენი მისის ძია ბექასაგან⁴. ამის მიხედვით გამოდის,
რომ მესხ-მთავრებს სარგისსა და ბექას თვითონ დაუწერიათ თა-
ვიანთი ისტორია. შემდეგში ამ თხზულებას, იმავე მეცნიერის
დაკვირვებით, გარკვეული რედაქციაც გამოუვლია, რომელიც
ვიღაც ვარძიელ წინამძღვარს განუხორციელებია. ჩვეულებრივ
რედაქციასთან ერთად, მას ამ თხზულებაში მესხეთის ეკლესიას-
თან დაკავშირებული ჩანარებიც შეუტანია⁵.

ქამთააღმწერლის ვინაობის პრობლემას გაკვირთ ნ. ბერ-
ძენი შვილიც შეეხო, მისი აზრითაც ის მესხი მწერალია⁶, ამ
პრობლემით დაინტერესდა, აგრეთვე, და საკმაო ყურადღება და-
უთმო „თავის რუსთველიანაში“ მკვლევარმა პავლე ინგო-
რო ყვამ. მისი სიტყვით: „... თვით თხზულებაში დაცული დეტა-
ლების მიხედვით ირკვევა, რომ ავტორი ეკუთვნოდა დიდ-
გვარიან ფეოდალთა თორელთა გვარეულობას“⁷. ამ დებულებას
იქვე პატივცემული მკვლევარი დასძენს: „ავტორი ჯერ ერის-
კაცი ყოფილა, იგი, როგორც ჩანს, სახელმწიფოს მმართველ წრე-
ებთან დაახლოებული პირი იყო და თავადაც სახელმწიფო მოღვა-
წე უნდა ყოფილიყო; მაგრამ ამ თხზულების დაწერის დროს იგი
ბერად არის შემდგარი და თვით თხზულებაც ყველა ნიშნებით

⁴ საქართველოს სსრ ისტორიული არქივი, ფონდი № 1462, რეეული № 4, გვ. 260.

⁵ იქვე, გვ. 30.

⁶ ნ. ბერძენი შვილი, ძლევა, თბილისი, 1949, გვ. 34.

⁷ პავლე ინგორო ყვა, რუსთველიანა, თხზ., ტ. 1, 1963, გვ. 119.

მონასტერშია დაწერილი“. მკვლევარი ამ უკანასკნელი მოსაზრების დეტალიზაციასაც ახდენს და ამბობს: „უამთა-აღმწერელობის“ ტექსტის ზოგიერთი რეალიების მიხედვით, საფიქრებელია, რომ ავტორი მოღვაწეობდა კლარჯეთში, „საქართველოს სინაჲს“ თორმეტ მონასტერთა ჯგუფის მთავარ სავანეში, ოპიზის სახელგანთქმულ მონასტერში⁸. (თ. ჟორდანიას მოსაზრება, რომ აღნიშნული თხზულების (XIII საუკუნისა და XIV საუკუნის დამდეგის ისტორია) ავტორი მესხეთიდან უნდა ყოფილიყო, რომ ის მესხი-ა, ნამდვილად სწორეა და ამის სასარგებლოდ მის მიერ მოტანილი საბუთებიც დამაჯერებელია. მაგრამ მისი დებულება, რომ ეს თხზულება დაწერილია ჯაყელ-ციხისჯვრელ მთავრების სარგისისა და მისი შვილის ბექას მიერ, სწორედ ისევე. როგორც ამას მკვლევარი პ. ინგოროყვა თორელ მოღვაწეს მიაწერს, არაფრით დასაბუთებული არ არის და დაუჯერებელია. ასევე შეუწყნარებელია თ. ჟორდანიას მითითება ამ ძეგლის რედაქციის შესახებ — XIV საუკუნის შუა წლებისათვის ვიღაც ვარძიელ წინამძღვრის მიერ. არც ამის დამადასტურებელი საბუთი მოიპოვება სადმე. ხოლო რაში გამოიხატებოდა ამ თხზულების „შინაური ნიშნები“, ან კიდევ, „თვით თხზულებაში დაცული დეტალები“ თუ „ზოგიერთი რეალიები“, რაზედაც მიუთითებენ თ. ჟორდანიასა და პ. ინგოროყვა არსაიდან სამწუხაროდ არ ჩანს.

ამგვარად, „უამთააღმწერელი“ შემატანიის ვინაობა დღესაც ცნობილი არ არის. არავითარი ცნობა მისი სახელისა და მამის შვილობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, თვითონ ძეგლის გულდასმით შესწავლის შემთხვევაში, ვფიქრობთ, შესაძლებელია ზოგი რამ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით მაინც გაირკვეს, როგორც მაგალითად მისი ტომობა-ნათესაობის (ეროვნება) სადაურობისა და მედასეობის საკითხები. თავის ტომობა-ნათესაობას ავტორი თხზულების დასაწყისშივე თვითონ ამჟღავნებს. ერთგან ის მონღოლურ წელთაღრიცხვას აშუქებს და თავის მხრივ დასძენს: „ესენი აქუნდის წელიწადის სათუალავად, ვითა ჩუენ ქართველთა ქორონიკონი“⁹. რო-

⁸ პ ა ე ლ ე ინ გ ო რ ო ყ ვ ა. რუსთველიანა. თხზ. I. 1963. გვ. 119.

⁹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის მიერ, ტ. II. თბილისი, 1959. გვ. 159.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ამ ნაშრომში, ყველგან, სადაც კი მითითებულია მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“, სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება—კ. გ.

გორც ვხედავთ, ჟამთააღმწერელს აქ სრულიად შემთხვევით აქვს გამოკვლავებული თავისი ტომობა-ნათესაობა — ის ქართველი ყოფილა. ავტორი აქ არაფერს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ საქართველოს რომელი კუთხიდან იყო იგი, მაგრამ თხზულებაში ამის შესახებ ზოგიერთი მითითება განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს. ასე მაგალითად, უცნობი ისტორიკოსი ეხება დავით VI, ნარინის ურდოდან სამშობლოში დაბრუნების ამბავს და აღნიშნავს: „ვითარ მოიწია ნარინ დავით ქუეყანად ავაგ ათაბაგისა, შეურაცხითა შესამოწლითა, იხილა იგი მომავალი ნადირობას მყოფმან სუმბატ ორბელმან... და მოიწია თორს, ლიპარიტ, თორელისასა, რომელსა დევის ყურცა ეწოდებოდა. და მან უძღუნა ცხენი და შესამოსელი და წარჰყვა ქუთათის“¹⁰. ასევე საგულისხმო ჩანს, ჟამთააღმწერელთან, თხრობა ულუ ყაენის წინააღმდეგ ალათემურის აჯანყების შესახებ, რომელიც ასე მთავრდება: „...ივლტოდა, და მომართა სამცხის კერძო“. აჯანყებულმა მოხელემ, მემატიანის სიტყვით, მიადწია ქუენა არტაანს „სოფელსა, რომელსა ჰქვან გლინაი“. იქ შეხვედრია მას მურვან გურკელელი, რომელმან მიანდო ის და „მოასხნა სამცხეს“¹¹. ან კიდევ ეგვიპტეს სალაშქროდ მიმავალი საქართველოს მეფის ულუ დავითის (დავით VII, ლაშას ძე) შესახებ მემატიანეს ნათქვამი აქვს: „წარემართა ლაშქრად მისრეთს დავითარ მოიწია ქუეყანად ჭავახეთისად დაამტყცა განდგომა“ და სხვა. მაშასადამე, თბილისიდან ყაენის დასახმარებლად შორეულ ლაშქრობაში მიმავალმა მეფემ, მიადწია თუ არა ჭავახეთს, ყაენისაგან განდგომა გადაწყვიტა და ლაშქრობაზე უარი თქვა. საგულისხმოა, რომ გამდგარი მეფე არ დაბრუნდა უკან თბილისში. ჟამთააღმწერლის სიტყვით, სარგის ჭაყელ-ციხისჭუარელმა მეფე „წარმოიყვანა სამცხეს სახლსა მისსა, და ფრიადითა პატივითა განუსუენა უმეტეს წესისა მეფეთასა“¹². ყაენმა კი, როგორც ცნობილია, გამოაგზავნა თავისი ნონი არღუნ დიდითა ლაშქრითა „დევნად და ძებნად“ მეფისა, რომელიც „...მოვიდა სამცხეს და ესრეთ იწყო ოჯრებად და ტყუენვად სამცხესა და მოადგა ციხისჭუარსა...“ თუ ჩვენ არ ვცდებით,

¹⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 228—229..

¹¹ იქვე, გვ. 252.

¹² იქვე, გვ. 239.

გემატიანის მიერ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ნახმარი გამოთქმე-
ბი: „წარმოიყვანა სამცხეს“, „მოვიდა სამცხეს“, „მოადგა ციხის-
ჯუარსა“ და სხვა ამის მსგავსად არ ტოვებს არავითარ ეჭვს, რომ
თვითონ ავტორის ადგილსამყოფელი სამცხეა და
სწორედ იქ წერდა ის თავის ქვეყნის ისტო-
რიას.

ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს ისიც, რომ უამთააღმ-
წერელს გარკვეულად ეტყობა მიდრეკილება, რაც შეიძლება ლა-
მაზ ფერებში ხაზგასმით წარმოუდგინოს თავის მკითხველს სამ-
ცხის მესვეურთა (ათაბაგების) მათი ხელქვეითთა და, საერთოდ,
მესხთა ღვაწლი და დამსახურება საქართველოს სახელმწიფოებ-
რივ ცხოვრებაში. უამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს ერთი მო-
ულოდნელი ომის ამბავი, რომელშიც ქართველთა მცირე. ოთს-
ათასიანი ჯარი, გიორგი ლაშას აჩქარებისა და გაუფრთხილუბ-
ლობის წყალობით, იძულებული გამხდარა, შეებოდა ქ. განძის
კედლებთან მტრის გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან (ათი-
ათასიან) ლაშქარს. მიუხედავად ძალთა, აშკარად არასახარბიე-
ლო შეფარდებისა, ამ ომში ქართველებს მაინც გაუმარჯვნიათ.
მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმო ის გარემოებაა, რომ გემა-
ტიანეს ამ ცნობისათვის საჭიროდ დაუნახავს სპეციალური გან-
მარტება დაერთო და ეთქვა: „ამას შინა უმეტეს მესხნი იყვნეს“—
ღსხვაგვარად, ქართველთა იმ მცირერიცხოვან ჯარში, რომელ-
საც ხსენებული უთანასწორო ომი მოუგია, უმეტესობა მესხე-
ბი ყოფილან. ის ამას იქვე დასძენს: „... წინამბრძოლობდეს
ძლიერად ყუარყუარა ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურ-
კელი, ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა განე-
წესნეს“¹³. მაშასადამე, წინარიგებში მებრძოლნიც. თითქმის
ყველანი მესხები ყოფილან. ასე, რომ ამ ომის მოგება ქ. განძის
კედლებთან უამთააღმწერელს მაინცდამაინც მესხთა დამსა-
ხურებად მიაჩნია. ასევე, თათარ-მონღოლებთან ერთად, და-
ვით ულუს მეთაურობით, ეგვიპტეში ქართველთა ლაშქრობის
დროსაც, თავი განსაკუთრებით მესხებს უსახელებიათ. უამთააღმ-
წერლის სიტყვით, ქ. დარბუზაქის აღების დროს, „გამოვიდეს მო-
ჭალაქენი კარით, და იქმნა ომი, სადა იგი ბეჭამან და მისთა მყოლ-

თა მესხთა ძლიერად ილუაწეს უფროს სხუათა თათართა და ქართველთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეტევნეს¹⁴. ამგვარად, ამ შორეულ ლაშქრობაშიც მესხებს მემატიანის მიხედვით არა მარტო თათარ-მონღოლებთან, არამედ თვით ქართველებთან შედარებითაც უფრო მწნედ და ვაუჟაცურად უბრძოლიათ და სხვაზე მეტად უსახელებიათ თავი. ეპითაღმწერლის მიხედვით ღმერთიც თურმე, განსაკუთრებით წყალობდა მესხებს და, კიდევ, არაჩვეულებრივ გამარჯვებებს არგუნებდა ხოლმე მათ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, აგრეთვე ბექას მიერ ხუთასი მესხით ოცდაათასიანი თურქთა ლაშქრის დამარცხება ვაშლოვანთან. მემატიანის სიტყვით. „იქმნა ომი სასტიკი, და პირველსავე შერკეპა მიდრკეს თურქნი სიელტოლად და იოტნეს ძლიერად, და ესოდენ მოსრდეს, რომელ შექცეულთა აღრიცხეს სარაზმოთა ზედა მდებარე მკუდარი თურქი, პოვეს ხუთას და ცამეტი თვნიერ რომელი დევნასა შინა მოკუდა... ხოლო მოხდნა ღმერთმან წყალობითა მოსავთა ჯურისათა, რამეთუ განსაკვრებელ არს სმენად, რომელ ეგოდენსა წყობასა შინა არა მოიკლა ბექას ლაშქარი ხუთთა კაცთა კიდე; იგინიცა უსახელო ვინმე“¹⁵. საუბარი მესხთა ამგვარ გამარჯვებათა შესახებ, როგორც ირკვევა, მემატიანეს განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა. ახვევ პიმენ სალოსთან ერთად, ლეკების გაქრისტიანების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღია ანტონ ნაოწრებელისძესაც, რომელიც „ნათესავით მესხი“ ყოფილა და ამ გარემოებას მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს.

ეპითაღმწერლის მესხობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ სამცხე-საათაბაგოში მოხდარი ამბების გაშუქებისას, მემატიანე არა ერთხელ ამჟღავნებს ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილების კონკრეტულ ცოდნას. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ცნობა თეგუდარყაენის მხედრობის სასწაულებრივი განადგურების შესახებ ოპიზის საყდრის მისადგომებთან. ამ ცნობის თანახმად თეგუდარს გაუგზავნია ლაშქარი ერთი ათასეულის რაოდენობით, ხსენებული საყდრის გასაძარცვად. ყაჩაღთა ათასეული მიახლოვებია საყდარს, მაგრამ უცბად ჩამოწოლილ ნისლსა და სიბნელეს შეუჩერებია ისინი ერთ მთასთან, ხევში, რომელიც ძეგლის სახელწოდებით ყოფილა ცნობილი.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 279.

¹⁵ იქვე, გვ. 314.

ამის შემდეგ წამოსულა ისეთი სიტყვა, წვიმა და ქარი, რომ წარმოქმნილა დიდი მდინარე ღელვით „ვითარცა შუა ზღუასა“, წყლის დონე გასწორებია იმ მთის („ძეგლი“) მწვერვალს, ასე რომ აქათებულ მდინარეს სულ ერთიხად გაუნადგურებია თეგუდარის მიერ საყაჩაოდ წარგზავნილი მხედრობა. ამ ზღაპარს მეცნიერებისათვის რასაკვირველია არ აქვს არავითარი ღირებულება, მაგრამ უთუოდ მნიშვნელოვანი ჩანს ის შენიშვნა, რომელიც მას უმეშვეოდ მისდევს და ასე იკითხება: „რომელი აწცა იხილვების დიდი იგი ნაღუარევი რომელი შთავალს მართლ ზედა-ზედა წყალსა შავშურსა“-ო¹⁶. ამ შენიშვნაში უთუოდ მნიშვნელოვანია ოპიზის მონასტრის მიდამოთა ტოპონიმიკის კონკრეტული დასახელება. ასეთია, მაგალითად, მემატიანის ცნობა მთის სახელწოდების შესახებ, რომელსაც ძეგლი ჰრქმევია. იქ დასახელებულია აგრეთვე შავშურის წყალი, რომელშიც ჟამთააღმწერლის სიტყვით, ჩადიოდა „მართლ“ (პირდაპირ) ხსენებული დიდი ნაღუარევიც. საფიქრებელია, შავშურის წყალი იგივე შავშეთის წყალი იყოს, რომელიც XI საუკუნის ცნობილ ოპიზართა და მიჯნაძოროელთა სიგელში იხსენიება. ამ უკანასკნელის მიხედვით, შავშეთის წყალში ჩადიოდა სამწყრის წყალი. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, შავშეთის წყალი ძველად ეწოდებოდა მთლიანად მდ. იმერხევს და არა მარტო იმ პატარა ხევს, „რომელიც იმერხევს ერთვის და რომელსაც შენარჩუნებული აქვს ეს სახელი“...¹⁷

თუ საშოვარზე გაგზავნილი ათასეული თეგუდარს ასე დაუმარცხდა, უკეთესი ღღე არ დადგომია მის მთავარ ბანაკსაც მესხეთის მთებში. ჟამთააღმწერლის ცნობით აბალა ყაენის წინააღმდეგ აჯანყებულ თეგუდარს სარგის ჯაყელმა, რომელიც აბალას ერთგული იყო, სამცხეზე გავლით დასავლეთ საქართველოში წასასვლელი გზა არ დაანება. პირიქით, მას თავისი ლაშქარი შეატაკა პირისპირ და აიძულა თეგუდარი დაუყოვნებლივ გაელოდა სამცხის ფარგლებს. ამ უკანასკნელმა არტაანის მთებისაკენ დაიხია, მაგრამ იქაც მას შეჩერებისა და შესვენების საშუალება არ მისცემია. თეგუდარი იძულებული გამხდარა იქაურობასც სას-

¹⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 260.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1914, გვ. 278.

წრატოდ გაცლოდა და სრულიად უგზო-უკვლო ადგილებით სხვა-
გან გადაკარგულიყო. აი, ამასთან დაკავშირებით რა არის ნათქვა-
ნი ჟამთააღმწერელთან: „და ვითარ მისკირდა თეგუდარს, ივლ-
ტოდა უცნაურად, რომელიმე აპარით და რომელიმე ნიგალის ჭე-
ვით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან, და არა დასაჯერებელ
არს კაცთაგან, უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარ-
ვლნეს, რამეთუ ყოვლად შესაძრწუნებელ არს სლვა კაცისა, არა-
თუ ცხენისა, პირველ სიმყაფრითა და მერმე ტყისა სიჭშირითა
და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმალ ეწოდების, გან-
რთხმული ბრძღუამლითა, რომელი ნადირთაგანცა უვალ იყო
ადგილი, რომელი შთავლეს. და იქნა ესეცა, რომელ განვლეს
ტყესა ერთსა ქუეშეთ კლდიანსა და ზედათ მიწისა მცირისა მქო-
ნებელსა, და ზედა მოშენებული იყო ტყე; გაღმართ განმავალთა
წარუსქდა მთა იგი, ვითარცა ზუავი თოვლისა კაცსა ვითარ ათას-
სა. დედაწულისა მქონებელსა და შთავიდა ჭევსა აპარისასა, და და-
იპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად უჩინო ყო და ესრეთ საწყალობ-
ელად მოისრვოდეს. და ჯერეთცა ადგილსა მას სთხრიან მაჰარელ-
ნი და ჰპოებენ სამკაულთა დედათასა, ოქროსა და ვეცხლისა-
თა“¹⁸. როგორც ვხედავთ, თეგუდარის მიერ გადაღახული მთე-
ბის აღწერილობა იმდენად კონკრეტული და ისე ცოცხალ ფერებ-
შია წარმოდგენილი, რომ მის მიერ დაძლეული გზის განსაკუთრე-
ბულ სიძნელეთა სინამდვილეში დაეჭვებაც კი შეუძლებელია. ხო-
ლო სიტყვები: „...უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლ-
ნეს, რამეთუ ყოვლად შესაძრწუნებელ არს სლვა კაცისა, არათუ
ცხენისა...“ აშკარად მოწმობს მემატიანის პირად გარკვეულობას
ხსენებული გზის ფიზიკურ თვისებებსა თუ სხვა სიძნელეებში.

მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნე-
ლოვანია ის გარემოებაც, რომ ჟამთააღმწერელმა იცის ისეთი
ადგილიც აპარა-მესხეთის მთებში, სადაც „სთხრიან მაჰარელნი და
ჰპოებენ სამკაულთა დედათასა, ოქროსა და ვეცხლისათა“. მართალია, მემატიანეს ოქროსა და ვერცხლის ეს სამკაული, რო-
მელსაც იქ აპარელნი პოულობდნენ, თეგუდარის იმ ათასეულის
კუთვნილებად მიაჩნია, რომელსაც ხსენებული მთების გადაღახ-
ვის დროს თურმე მეწყერი დაატყდა თავს და თან ჩაიტანა, მაჰ.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 261.

რამ ხსენებული მოვლენა ასეთი განმარტების გარეშეც უსაფუძვლო არ არის და არც სათანადო დამაჯერებლობას არის მოკლებული.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს. რომ უამთაღმწერელი არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ მოღვაწეობითაც სამხრეთ დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული პიროვნებაა. ის ამ მხარეში, როგორც ჩანს, ხშირად არის ნამყოფი. მას თავის თვალთ ქპონია ნანახი და, შესაძლებელია, არაერთხელ მოსინჯულიც, ამ მხარის მთები, ხევები, მდინარეები, ნამეწყარალი თუ ნალვარევი ადგილები, მისი მცენარეული საფარი და სხვა ფიზიკური ნიშნები. ყოველ შემთხვევაში, მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თვისებებისა და ტოპონომიკის კონკრეტული ცოდნა უამთაღმწერლის მკვიდრობის მაუწყებელია.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, მედასეობის თვალსაზრისით. ამ თხზულების ავტორი — უამთაღმწერელი? საერო კაცი იყო ის თუ სამღვდელოების წარმომადგენელი? თუ ჩვენ არ ვცდებით, აღნიშნული საკითხის გასარკვევად თვითონ თხზულებაში ზოგიერთი მითითება უთუოდ მოიძებნება. ხსენებული თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას, უპირველესად ყოვლიანა, ის გარემოება იპყრობს, რომ მისი ავტორი საეკლესიო-ბიბლიურ ლიტერატურაში განსაკუთრებით განსწავლული ჩანს, რადგან ჩვენ ავტორს თავის თხზულებაში ბიბლიურ-აგიოგრაფიული ლიტერატურის გამოყენება უფრო ემარჯვება, იქმნება შთაბეჭდილება მისი სამღვდელო პირად მიჩნევის სასარგებლოდ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ შუასაუკუნეებისათვის, ფეოდალურ საზოგადოებაში, ყოველი მწერლის, მით უფრო მემპტიანე-ისტორიკოსის განათლებას, მსოფლმხედველობას და მეთოდოლოგიასაც, ეკლესია განაზღვრავდა. ასე რომ უპირატესი განწყობილება ბიბლიისადმი არც გასაკვირია. ვერც ერთი მწერალი მაშინ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ამიტომაც ეს გარემოება ნიშანდობლივი ხასიათისა არ არის და ავტორის მედასეობის მისათითებლად არც გამოდგება. აღნიშნული პრობლემის გასარკვევად, ჩვენი აზრით, საჭიროა თხზულებაში მოიძებნოს ავტორის ისეთი გამონათქვამი, თუ კონცეფცია, რომელიც სასულიერო პირისათვის იქნებოდა სპეციფიკური, დამახასიათებელი. ასეთად მიგვაჩნია, მაგალითად.

მისი მსჯელობა ამ ქვეყნიური ცხოვრების ამაოების შესახებ. თავის თხზულებაში ავტორი ამაზე არაერთხელ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ერთგან, ის ეხება გაქცეული ჯალალედინის საბერძნეთში მკვლელობის ამბავს ვილაც „შეურაცხი კაცის“ მიერ და ამბობს: «ვინა დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამოსა, ვითარ იტყვს ბრძენი ეკლესიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“. ამისთჳს ამაო იქმნეს სპანი და სიმტიციე ქედისა, წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე. და ყოველივე ამაო არს, გარნა საუკუნო იგი უკუდავი ცხოვრება დაუღვენელი“¹⁹. მეორე შემთხვევაში მემპტიანე ამ საკითხს ეხება საქართველოს მეფის დიმიტრი II მძიმე მღვთმართობასთან დაკავშირებით, რომელშიც აღმოჩნდა ის, განრისხებული ყაენის მიერ ურდოში დაბარების გამო. დიმიტრე: „მეფე მძიმე არჩევანს აკეთებს და ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე მსჯელობით ინუგეშებს თავს: „მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უნებელ და მსწრაფლ თანაგუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტვრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან“²⁰. ხოლო ასეთი მსჯელობა სააქაო ცხოვრებაზე, ჩვენი აზრით, სასულიერო დასის წარმომადგენელს უფრო შეეფერის, ვიდრე საერო პირს.

მემპტიანის მედასეობის დასადგენად ვფიქრობთ უმნიშვნელო არ უნდა იყოს მისი რწმენის გამომჟღავნება წმინდანებისა და მათი ხატების სასწაულთმოქმედებისადმი. განსაკუთრებით დაჯერებულია ის ღვთისმშობლის ღვთაებრივ მფარველობაში ქართველებსა და საქართველოზე. ამიტომ წარმოდგენილია აწყურის, დმანისის, მეტეხთა ღვთისმშობლის ხატების სასწაულთმოქმედებათა აღწერილობანი. ჟამთააღმწერლის თხზულებაში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე, მარტყოფის ღვთაების, ალავერდის წმ. გიორგისა და სხვა ხატების სასწაულთმოქმედებასაც. როგორც აღინიშნა, ვრცლად არის ჟამთააღმწერელთან მოთხრობილი ოპიზის მონასტრის სასწაულთმოქმედებები გადარჩენის ამბავიც თათარ-მონღოლთა

¹⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 185.

²² იქვე, გვ. 273.

მიერ გაძარცვა-განადგურებისაგან. ხოლო მემატიანის ასეთი განწყობილება, ბუნებრივია, აძლიერებს ჩვენს ეკვებს მისი სამღვდლო დასის წარმომადგენლად აღიარების სასარგებლოდ.

ამასთან ერთად, საგულისხმოდ მიგვაჩნია ის გარეგნობაც, რომ მემატიანე საეკლესიო ტვიპიკონში კარგად გარკვეული ჩანს და თან დროის აღრიცხვა მას უფრო საეკლესიო კალენდრის მიხედვით ემარჯვება. გარდა დიდი საეკლესიო დღესასწაულებისა, იქ ჩვენ ვხვდებით დიდმარხვის კვირებისა და დღეების დასახელებასაც. დამახასიათებელია ისიც, რომ უამთააღმწერელი სამღვდლო დასისადმი კეთილსასურველად განწყობილი პიროვნება ჩანს. ის განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს სამღვდლოებას ღვაწლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიაი სიტყვით, იმ მძიმე განსაცდელის უამს, რომელიც ქართველობას ხვარაზმელთა შემოსევის დროს დაუდგა „...პატიოსანნი მღვდელნი ეკლესიათა შინა, თვთ ხატთა და ჭუართა თანა შეიმუსკროდეს“²¹. საშინელი მტრის შემოსევისა და მძიმე განსაცდელის დროს, მას გადარჩენა კი არ უცდია, არამედ ერთგული დარჩენილა თავის ეკლესიისა და მრისხანე მტერს ეკლესიებში ხატებთან და ჭვრებთან ერთად შეუმუსრავს. მემატიანეს მიერ სამღვდლოების ღვაწლის ასე გახაზვა, ვფიქრობთ, თვითონ მის სამღვდლო დასისადმი კუთვნილებაზე უნდა მიუთითებდეს. აღნიშნულ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ჩვენი მემატიანე ეკლესია-მონასტრების მშენებლობას და სამღვდლოების პატივისცემას კეთილ და სათნო საქმედ უთვლის დიდ ისტორიულ პიროვნებებს. მაგალითად, ჩვენი მემატიანის მიხედვით, ბექა I, სარგის ჭაყელის ძეს, გარეგნულ სიმშვენიერესა და სხვა კეთაღვისებებთან ერთად, საეკლესიო სფეროში მოღვაწეობაც ახასიათებდა. უამთააღმწერლის სიტყვით: ბექა ყოფილა „მაშენებელი ქუეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა, და ღმრთის მოსავეთა კაცთა პატივისცემელ, მლოცავი, რომელ არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად ვითარ ტვბიკონი მოსცემდის წესსა ლოცვისასა“²². ხოლო ბექას მეუღლეს, რომელსაც ვახაჩი რქმევი, ყოფილა „მარხვისა და გლახაკთა მოწყალებისა, მონასტე-

²¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 176.

²² იქვე. გვ. 273.

რთა და ხატთა პატივის მოყუარე, ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი“. მემატიანის სიტყვით: ხოლო საყუარელი მეუღლე მისი იყო გამცემელ ეპისკოპოსთა და მონაზონთა, და ყოვლისა სამღვდელოსა და საეკლესიოსა საქმართა, ესოდენ რომელ საღმრესის კეთილი მოღუაწე და მეცნიერი ეპისკოპოსი, გინა მონაზონი, მის წინაშე მოუწოდის და მიიყვანის. და მრავლითა ნიჭითა და პატივითა ამყოფის. და სავსე იყო სახლი მისი მონაზონითა და ხუცითა“²³. თუ ჩვენ არ ვცდებით, ამ სტრიქონებშიც სამღვდელოების წარმომადგენლის მაჯისცემა საკმარისად იგრძნობა.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, უამთაღმწერლის თხზულებაში ერთი ისეთი მოტივი მოიპოვება, რომელიც ავტორის ერისკაცობას კატეგორიულად გამორიცხავს. ამ მოტივის მიხედვით, ჩვენი მემატიანის სამღვდელო მედასეობა ყოველგვარ ექვგარეშე ღება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეფეთა და დიდებულთა მიერ, ეკლესია-მონასტრებისათვის ოდინდელი შეწირული მამულების გამოწირვის ტენდენცია, რამაც XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ფართოდ მოიკიდა ფეხი. უამთაღმწერელი, დროის უწყებულ მონაკვეთისათვის საქართველოში დამკვიდრებულ უკეთურებათა შორის ასახელებს გამოწირვას. მისი სიტყვით: საქართველოს მეფე დავით VII, ულუ „...უამსა სიბერიისა მისისასა არა მართლად ვიდოდა წინაშე ღმრთისა და მძლავრებისა განთათართასა უცალო ქმნილმან, იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა, რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიქნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონასტერთა“²⁴. საქართველოს მეფეს ეკლესია-მონასტრებისათვის ძველად შეწირული მამულების გამოწირვა (წართმევა) და თავისი საჭიროებისამებრ მათი ხელახლა გაცემა შემოულია. ამ საქმეში, ბუნებრივია, მეფეს არც მისი დიდებულები ჩამორჩებოდნენ. შემოსავლის ახალ წყაროს ისინიც გულმხურვალედ დაეძებდნენ. იმავე მემატიანის მიხედვით „... მთავართა იწყეს ჭელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ჴე-

23 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 323.

24 იქვე, გვ. 256.

და დიდებულსა აწყუერისასა. დაღათუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყუერელი ჟუანშერის-ძე, გარნა არავინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა“²⁵.

როგორც ცნობილია, ხსენებული მოვლენა (ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირული მამულების გამოწირვა) თავის დროზე ღრმა სოციალ-ეკონომიური მიზეზებით ყოფილა შეპირობებული. ირკვევა, რომ სამეფო ხაზინა მონღოლთა ბატონობის პერიოდში, შედარებით სწრაფად დაცარებდა. გარდა ამისა, სამეფო სახლს თავისუფალი მიწა-მამულებიც შეჰოაკლდა. ასე რომ მას არაფერი ჰქონდა თავისი დიდებულებისა და აზნაურებისათვის ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მისაცემი. თავისუფალი მიწების მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა, აგრეთვე, ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენებშიც. საქმე ის იყო, რომ ფეოდალური არისტოკრატია ხშირად მიმართავდა შემოსავლის გადიდების მიზნით მიწა-მამულების გაყიდვის ხერხსაც. ხოლო ფეოდალთა მიერ მამულების გაყიდვას, მამულების ე. წ. ამოძრავებას საბედისწერო შედეგები მოყვა. აკად. ივ. ჭავჭავაძის დაკვირვებით, ძირძველ საგვარეულოთა უმიწაწყლოდ დარჩენამ, ცხადია, მეურნეობის მოშლა, დაცემა და შემდეგ შიმშილობაც გამოიწვია. მდგომარეობა სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვდა. იმავე მეცნიერის სიტყვით: „აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მწიგნობართუხუცესად ბასილი უჯარმელი იყო და მან გადაწყვიტა, რომ უმიწაწყლოდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მიწის დასარიგებლად წინანდელ მეფეთაგან ეკლესიისათვის შეწირული მიწები ყოფილიყო გამოყენებული. საქართველოს მთავრობამ ამ საშუალებით სცადა ეკონომიური კრიზისი შეენელებინა“²⁶. საერო ხელისუფლების ამ ღონისძიებამ, ბუნებრივია, საეკლესიო წრეების აღშფოთება გამოიწვია. ეკლესიის მესვეურები არ ერიდებოდნენ უმაღლესი მთავრობის წინააღმდეგ საჯაროდ გამოხატვას და მისი ანტიკლერიკალური საქმიანობის მკაცრად გაიცხვას. ამ მიზნით მათ, 1263 წ. საეკლესიო კრებაც კი მოუწვევიათ. ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, საქართველოს მეფისათვის კატეგორიულად

25 ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 276.

26 ივ. ჭავჭავაძის შრომა, XI—XV საუკუნეების საქართველოს ისტორია. საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, თბილისი, 1940. გვ. 201.

მოუთხოვია საეკლესიო მამულების არა მარტო გამოწირვის შეწყვეტა-შეჩერება, არამედ უკვე მიტაცებული მამულების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში საეკლესიო კრება ეკლესიის დაკეტივითა და ყოველგვარი მღვდელთმსახურების შეწყვეტით იმუქრებოდა. ამასთან ერთად ცნობილია ისიც, რომ ეკლესიის აღნიშნულ ღონისძიებებს მაშინ სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი საერო ხელისუფლება იძულებული ყოფილა წარბშეუხრელად გაეგრძელებინა უკვე დაწყებული გამოწირვის პოლიტიკა.

მაგრამ ეს მხარე, ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური მოვლენისა, ჩვენ, ამჟამად აღარ გვაინტერესებს. ჩვენს ყურადღებას ამ ფაქტის მხოლოდ კლასობრივი, უფრო სწორად შინაკლასობრივი ასპექტი იქცევს, რომელმაც მაშინდელი საქართველოს უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატის ორ, შეუკრიგებელ ბანაკად გათიშვა გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში, საეკლესიო მამულების გამოწირვა აღმოჩნდა და ძალთან და აზრთან გამყოფი ის ძირითადი ხაზი, რომელმაც XIII საუკუნის საერო და სასულიერო ქართველი ფეოდალები მკვეთრად დაუპირისპირა ერთიმეორეს. იბადება კითხვა, ვის მხარეზეა ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჟამთააღმწერლად წოდებული მემათიანე? ვის ინტერესებს იცავს ის, ან, რაც იგივეა, რამდენად ახლოა მის გულთან საეკლესიო მიწების გამოწირვის პოლიტიკა? უბრალო დაკვირვება, ვფიქრობ, საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ხსენებულ ბრძოლაში ჟამთააღმწერელი ეკლესიის მხარეზეა. ის შეუპოვრად იცავს მის ინტერესებს. საეკლესიო მიწების გამოწირვა მას საღმრთო გზიდან გადახვევად მიაჩნია, ამ მოვლენას ჟამთააღმრიცხველი ისეთ „უწესობად“ და „ბოროტებად“, აცხადებს, რომელმაც მისი კონცეფციით, დიდი უბედურება მოუტანა როგორც სამეფო სახლს, ასევე მთელ საზოგადოებას. ვფიქრობთ, ასეთი კონცეფციის წყალობით, ჟამთააღმწერლის მედასეობა ზედმიწევნით ირკვევა. ამის მიხედვით დაეკვებაც კი არ შეიძლება იმაში, რომ ხსენებული მემათიანე სამღვდელთმსახურების წარმომადგენელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ იგი ამ საკითხში მეფის ან კიდევ მესხ მთავართა საპირისპირო პოზიციაზე აღმოჩენილიყო.

გარდა ამისა, ეამთაღმწერლის ამ ცნობაში, საეკლესიო მამულების გამოწირვასთან დაკავშირებით, მოიპოვება კიდევ ერთი მხარე, რომელიც ჩვენი დაკვირვებით, არა ნაკლებ საგულისხმო ჩანს მემატრიანის საღაურობის დასაზუსტებლად. საქმე ისაა, რომ ეამთაღმწერელს ზემოაღნიშნულ ცნობაში საეკლესიო მამულების გამოწირვის მისათითებლად აწყურის ღვთისმშობლის საყდარი აქვს დასახელებული, რომელსაც ის „ღიდებულის“ ეპითეტით იხსენიებს. მისი სიტყვით, ყველაზე მეტი მიწა-მამული მესხ მთაერებს („უმეტეს მესხთა“) მიუტაცნიათ და ისიც აწყურის ღიდებული საყდრისათვის. ეამთაღმწერელი თავის თხზულებაში აწყურის საყდარზე საგანგებოდ ჩერდება არა მარტო საეკლესიო მამულების „გამოწირვის“, არამედ საქართველოში მომხდარი მიწისძვრასთან დაკავშირებითაც. როგორც ირკვევა, მიწის ძვრა ძლიერი, კატასტროფული ყოფილა. მას ადგილი ჰქონია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, „მცხეთის საყდარიცა დაიქცაო“— იუწყება მემატრიანე. მაგრამ ის ამ შემთხვევაშიც საგანგებოდ გამოჰყოფს სამცხესა და აწყურის საყდარს და თავის თავის საწინააღმდეგოდ აღნიშნავს შემდეგს: „ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია... გარნა სხვაგან არასადა ევნო“. ამ უბედურების დროს აწყურის საყდარიც დაქცეულა, მაგრამ იქ სასწაული მაინც მომხდარა, რომლის აღწერას ეამთაღმწერელი მიუცილებელ საჭიროდ მიიჩნევს. აი, რა არის ნათქვამი ამის შესახებ მის თხზულებაში: „...რამეთუ ყოვლად წმიდა აწყურისა ღმრთის მშობელი, ლიტანიობით შესუენებული (მიწის ძვრა, როგორც ირკვევა, აღდგომის ღამეს მომხდარა) საშუალ საყდრისა ესუენა; გუმბათი ჩამოიქრა, და ვითარ ქუდი კაცისა ესრეთ თავსა დაერქუა და დარჩა უვნებლად, ძლიერებითავე მიიბთა“²⁷. ამგვარად, თითქოს, აწყურის ღვთისმშობლის ხატი მაშინ ასე სასწაულებრივ გადარჩენილა. ჩვენთვის აქ საგულისხმოა მხოლოდ ის გარემოება, რომ მემატრიანე ამ საყოველთაო უბედურების აღწერის დროსაც, სამცხესა და აწყურის საყდარზე გამოყოფით ლაპარაკობს. საქართველოს ეს მხარე და მისი საყდარიც იმდენად მახლობელი და ძვირფასი ჩანს მისთვის, რომ ამ საგნებზე ის სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას. მემატრიანე მცხეთის საყდრის დაქცევას მხოლოდ ზო-

27 ქართლის ცხოვრება II, გვ. 278.

გადად აღნიშნავს, აწყურის ამბავს კი დაწვრილებით გვიყვება და მისი ღვთისმშობლის ხატის „სასწაულმოქმედების“ გაშუქებასაც საკიროდ მიიჩნევს. ხოლო ეს გარემოება, იმასთან ერთად, რაც ჩვენ უკვე ეამთაღმწერლის სადაურობის შესახებ ვიცით, უთუოდ საგულისხმო და მანიშნებელია. ამ მასალების მიხედვით, თემობრივად ის მესხი ჩანს (სამცხიდან), რადგანაც ჩვენ ეამთაღმწერლის მედასეობის საკითხი გამორკვეული გვაქვს და მისი მაღალი სამღვდელოებისადმი კუთვნილებაში ექვი არ გვეპარება, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის XIV საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი მაწყვერელი ან უფრო ოპიზარ-მაწყვერელი უნდა ყოფილიყო²⁸.

ამის შემდეგ თუ ჩვენ გვეცოდინება XIV საუკუნის შუა წლების მაწყვერელთა ვინაობა, შესაძლებელი იქნება ეამთაღმწერლის ვინაობაც უფრო კონკრეტულად დავადგინოთ. სამწუხაროდ, ხსენებული საუკუნიდან, ჭერჭერობით, ჩვენ მხოლოდ ორი მაწყვერელი ვიცით: ნიკოლოზი და პიმენი, მაგრამ პირველი თვითონ ეამთაღმწერლის თხზულებაში იხსენიება, როგორც მესამე პირი, ამიტომ ძალიან საეჭვოა ამ უკანასკნელის ავტორობა მას მივაწეროთ. ხოლო პიმენი 1400 წ. იერუსალიმში ჩასულა, რომელიც შემდეგ, ჭვარის ქართველთა მონაატრის წინამძღვარი ან ჭვარის მამა გამხდარა, ამიტომ საეჭვოა მისი მაწყვერელობა XIV საუკუნის შუა წლებისათვის ვივარაუდოთ²⁹. ყოველ შემთხვევაში, ამ პრობლემას შემდგომი დაკვირვება ესაქიროება.

გ. ეამთაღმწერლის მსოფლმხედველობა

ყოველი ლიტერატურული ძეგლის, მით უფრო ისტორიული თხზულების შესწავლისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი ავტორის მსოფლმხედველობას აქვს. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ჩვენ შევძლებთ გამოვარკვიოთ საკითხი იმის შესახებ,

²⁸ უაღრესად საგულისხმოა, რომ ეამთაღმწერლის მედასეობის საკითხთან დაკავშირებით. ანალოგიურ დასკვნამდე მისული ჩანს. ჩვენგან დამოუკიდებელი, მკვლევარი პ. მურადიანი იხ. მისი Неопубликованная статья Н. Я. Марра об «Аркауне», Известия Академии наук Армянской ССР, 12 декабря 1964, გვ. 54.

²⁹ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 33.

თუ როგორ უყურებდა თბზულების ავტორი რეალურ სინამდვილეს, როგორ ესმოდა მას ადამიანის როლი ამ სინამდვილეში, როგორი იყო მისი რელიგიური წარმოდგენები და სხვ.

შუასაუკუნეებში. როგორც ცნობილია, მწერალი-ისტორიკოსის მსოფლმხეველობასა და განათლებასაც, საყოველთაოდ, ბიბლია ან დაბადება განსაზღვრავდა. დაბადება იყო იმ დროს ერთადერთი, იდეოლოგიური წყარო, რომლის გვერდის ავლა არავის შეეძლო (რასაკვირველია, თუ ვინმეს ნამდვილი უბედურების ატეხა არ უნდოდა თავის თავისთვის) მით უფრო უამთააღმწერელი, რომელიც სამღვდელოების დასს განეკუთვნებოდა, აღნიშნულ იდეოლოგიურ საფუძველს ვერსად გაექცეოდა. ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას ისიც დაბადების მიხედვით ხსნიდა.. შუა საუკუნეებში სწორედ ბიბლიის მიხედვით შემუშავებულ იქნა მოძღვრება ქვეყნის, მისი მოსახლეობის (ერა. საზოგადოება) გენეალოგიისა და ისტორიული მისიის შესახებ. ასე რომ ზეგარდმო განგება წარმართავს მის საქმიანობას და თვალყურს ადევნებს მის ყოფას. ყოველდღიურ ცხოვრებას. მაგრამ უამთააღმწერელმა იცის, რომ სინამდვილეში არა მარტო ერთი დასაწყისი არსებობს, არამედ ბოროტიც, ხოლო ამის გამო არ არის გამორიცხული შესაძლებლობა: საზოგადოება. ხალხი აცდეს სწორ გზას, ჩაიდინოს რაიმე დანაშაული (ცოდვა), ე. ი. შეცოდოს ღმერთს და უკეთური გზით დაიწყოს სიარული. ასეთ შემთხვევაში, უამთააღმწერლის კონცეფციის მიხედვით, ღმერთი დასჯის შეცოდებულთ, რისხვას მოუვლენს მათ და ამ გზით ეცდება მოაბრუნოს და კვლავ მართალ გზაზე დააყენოს ის. ასე მაგალითად, უამთააღმწერლის სიტყვით, საქართველოს მეფე გიორგი ლაშა „მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა; ვითარც სოლომონისთვს წერილ არს, რომელი შეაცთუნეს დედათა...“, მან „განაშორნა ვაზირნი სანატრელის დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარა თანამოჰასაკენი მოსამურობათა და დედათა უწესობათა თანა აღრევითა...“, მან დაარღვია საქართველოს სამეფო კარზე ძველიდანვე არსებული წესი და ცოლად ვიღაც ველისციხელი ქალი მოიყვანა³⁰. მემატანის აზრით, ლაშა გი-

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, 154.

ორგის აღნიშნული საქციელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქართველოს თავს დასტეხოდა ისეთი უბედურება, როგორც თათარ-მონღოლთა პირველი გამოჩენა და მათგან ქვეყნის აოხრება იყო. რუსუდანის გამეფების შემდეგ ქვეყანამ თითქოს დაწყნარება დაიწყო. მაგრამ ამაოდ. ეს იყო მხოლოდ პირველ ხანებში. მალე რუსუდანმა თავისი ძმის ლაშას გზით დაიწყო სიარული. დღეებულებმაც, ბუნებრივია, მას მიბაძეს და ჩვენი მემკვიდრის სიტყვით: „გარნა იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან, და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ვითარ არა გამოიციადეს ღმერთი, ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან უჭეროდ გინებად და ჯოცად წარმართთა მიერ. რამეთუ მეფეცა რუსუდან ჩუეულებითა წესსა ძმისა თვისისასა ვიღოდა განცხრომითა და სიმღერითა. ამისთვის აღდგეს ბოროტნი უდიდესი“³¹.

სხვა ადგილას უამთააღმწერელთან ღვთაების განრისხების მიზეზად დასახელებულია უსჯულობა: ღვთის მსახურების მოკლება. ეკლესიათა რღვევა (საეკლესიო მამულებზე ხელყოფა აგულისხმება), სამ-სამი ცოლის მოყვასა, როგორც ეს დიმიტრი თავდადებულმა და მისმა მთავრებმა გააკეთეს და სხვ. ერთგან მემკვიდრე აღნიშნავს იმასაც თუ როგორ „სენი იგი სოფომელთა და საღმობა გომორელთა მოიწია და ამის ძლით მისცნა იგინი ღმერთმან წარწყმედად ბოროტად“.

უამთააღმწერლის კონცეფციით, როგორც საზოგადოების, ხალხის შეცოდება ღვთის წინაშე მრავალსახოვანია, ისე ამით გამოწვეული „ზეგარდამო“ რისხვაც, შეცოდებულთა მისამართით, ერთნაირი არ არის. ეს შეიძლება გამოიხატოს „შეცოდებულთა“ ხალხის ომში დამარცხებით, ქვეყნის აოხრებით, მოსახლეობის მოსრვა-დატყვევებით და სხვა სახის უბედურებით. ასე მაგალითად, საქართველოში თათარ-მონღოლთა პირველ გამოჩენასა და ქართველთა დამარცხებასთან დაკავშირებით. ჩვენი მემკვიდრე აღნიშნავდა: „მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენათავს, და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვთ მეფე ლაშა, და ურიცხვ სული ქრისტინე მოკუდა, საღო იგი დიდცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ხალი განერა, და მექურკლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი ბე... მოი-

³¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 168.

კლა, ძლიერად ბრძოლილი“³². ღვთაების განაჩისება საზოგადოებაზე, იმავე მემატიანეს სიტყვით. შესაძლებელია გამოხატული იქნას პირადად მეფის ან მისი ოჯახის შვილთა სიკვდილ-თაც, როგორც მაგალითად, „რამეთუ არა დასცბრა გულისწყრონა უფლისა, რომლითა განუარისხეთ მრავალ მოწყალე იგი და სხიერი და აღესრულა მეფე ლაშა“³³. ან კიდევ, მემატიანეს სიტყვით: „ამისთვის რომელ მოაკლო ღმრთის მსახურება, და იწყურლუევაჲ საყდართა და შლად. ამისთვის აღილო ღმერთმან ჰელი წყალობისა და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირშმო გიორგი. სიკეთე-აღმატებული, და აქა მიიცვალა დავითცა მწუხარებითა ძისათა“³⁴. ზეგარდმო რისხვა შეიძლება გამოხატული ყოფილიყო მოუსავლიანობით და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შიმშილობითაც. ასე მაგალითად. ჩვენი მემატიანის სიტყვით: „რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა. სოდომურთა ცოდვითა შემოსრულთათჳს, განრისხნა ღმერთი. და ეიქმნენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ქოცასა და მესამედ იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად, არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განჰქნდა შინშილი, რომელ მძორსა არაწმიდასა ურიდად ჰამდეს“³⁵. ღვთაების განრისხება შეიძლებოდა გამოხატულიყო აგრეთვე მწიხის ძვრითაც, რომელიც თუ ძლიერი იყო. წარმოუთქმელ უბედურებას დაატეხნა საზოგადოებას.

გარდა დ უ ა ლ ი ზ მ ი ს ა. ჟამთააღმწერელს ღრმად სწამდა დაბადების მეორე ძირითადი პრინციპი — ბ რ ო ვ ი დ ე ნ ც ი ა ლ ი ზ მ ი ც, რომლის მიხედვით. საზოგადოების ცხოვრებაში, თავისთავად, თვითონ ადამიანთა სურვილით ან ამქვეყნური უბრალო მიზეზით არაფერი არ ხდება. ყველაფერი, კირი თუ ღზინა, მტერზე გამარჯვება და დამარცხება, წარმატება თუ წარუმატებლობანი „ზეგარდამო“ განგებით (ღვთის მიერ) წინასწარ არის განსაზღვრული და ყოველი მოვლენა საზოგადოებას ცხოვრებაში ღმრთის ნებით ხორციელდება. აღნიშნული კონცეფციის ამჟამად გამოვლინებას ჟამთააღმწერელი ხედავს რუსუდან დედოფლის

32 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

33 ი ქ ვ ე, გვ. 166.

34 ი ქ ვ ე, გვ. 267.

35 ი ქ ვ ე, გვ. 310.

ვერაგული გადაწყვეტილების გაკუდებასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, დაარღვია თავისი ძმის გიორგი ლაშას ანდერძი, გადაწყვიტა მცირეწლოვანი ძმისწულის — დავითის მოსპობა და სამეფო ტახტზე თავისი შვილის — დავითის დაპყვირება. ცნობილია ისიც, რომ ამ მიზნის მისაღწევად რუსუდანმა დავით ლაშას ძე გაუგზავნა თავის ქალიშვილს თამარს, რომელიც მცირე აზიაში იყო სულთან ყიასდინზე გათხოვილი და მისი მოსპობა უბრძანა. მას იქ, მართლაც დიდი უბედურება დაატყდა თავს: ხუთი წელი „ღრმა ჭურღმულში“ (თითქოს, გველებთან ერთად) მშვიერ-მწყურვალად გდება, ამის შემდეგ ღია ზღვაში გადაგდება და სხვა. მაგრამ, როგორც იუწყება ჟამთააღმწერელი „ესე ზემოქსენებულნი ზრახვანი დაქსნა ზენამან განგებამან ღმრთისა“. დავითი ლაშას ძე გადაურჩა ყოველგვარ განსაცდელს და საბოლოოდ მაინც საქართველოს სამეფო ტახტი დაიპყვირა. ასევე მემატთანეს მოთხრობილი აქვს ერთი შემთხვევაც თათარ-მონღოლთა სინამდვილიდან, როდესაც ბარახა ყაენი და თეგუდარი შეთქმულებას აწყობენ აბალა ყაენის წინააღმდეგ. მაგრამ ჟამთააღმწერლის სიტყვით: „განგებამან ზენამან განაქარვა განზრახვა მათი, და დავითსა აბალა უმანკოებისათვის და სიწორფოებისა და სიმართლისათვის...“ შემდეგ მოთხრობილი აქვს ხსენებულ შეთქმულთა დამარცხების ამბავიც. აღნიშნული მაგალითების მიხედვით, ჩვენი მემატთანე ამქვეყნიური ცხოვრების აშაობას ასკვნის. თუ მართლაც, ყველაფერს „ზენა“ წყვეტს, მაშინ ამქვეყნიური ცხოვრების აშაობა თავისთავად აშკარა იქნება. მაგრამ ღვთაება ჟამთააღმწერლის კონცეფციით დიდი სახელმწიფო მოღვაწის, საზოგადოების (ხალხის) ცხოვრების არა მარტო „ზეგარდამო განგებით“ კმაყოფილდება, არამედ ის, ზოგჯერ, პირადათაც ერევა მოვლენათა მსვლელობაში და ამ გზით ეწევა ის თავის ხელდებულთა მფარველობას და მათ მართალ გზაზე დაყენებას. ასევე ღრმა რწმენით გამაჰკვალულია მემატთანე ღვთისმშობლის განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებაში ქართველი ხალხისადმი, საქართველოსადმი. მას სჯერა, რომ ღვთისმშობელი ქართველთა მფარველია და მას თავისი სატების სასწაულმოქმედებით, თუ პირადი ჩარევით, არა ერთხელ გადაურჩენია ეს ქვეყანა, მისი ხალხი და მეფე მძიმე განსაცდელისაგან. მისი სიტყვით, დავით ლაშას ძეს, სულტნის ბრძანებით ღია ზღვაში გადაგდების წინ, ამოუღია „უბითგან ხატი ყოვლად წმიდი-

სა ღმრთისმშობლისა, რომელი ვედრების სახედ დასახულ იყო და მარადის თანა აქუნდის“, მიუმართავს მისთვის ლოცვით და ამ განსაცდელისაგან ხსნა უთხოვია³⁶. ჟამთააღმწერლის რწმენით, ან ხატს ზღვაში გადაგდებული უფლისწულა, ძართლაც, გადაურჩენია და ის სასწაულებრივ ხმელეთზე გამოუყვანია. მეორე შემთხვევაშიც, იმავე ვედრების ხატს და მეტეხის ღვთისმშობელს გადაურჩენიათ იგივე დავითი, — უკვე საქართველოს მეფე დავით VII. ულუ. აჯანყების შემდეგ ურდოში დაბარებული ყაენის რისხვისაგან³⁷. ხოლო, როდესაც ხსენებულ მეფეს თავისი პირმო (უფროსი ვაჟი) გიორგი „მეტელის“ საღმობით მძიმე ავად გაუხდა. „როველ კნიონლა მკუდარ საგონებელიც“ გაახსენდა მეფეს ღმრთისმშობელი და დაუყონებლივ წაიყვანა თავისი ავადმყოფი ხსენებულ ხატთან და მისი განკურნება უთხოვია. ჟამთააღმწერლის სიტყვით. „მაშინ შეისმინა ვედრება მათი წმიდათა უწმიდესისა ღმრთისმშობელმან და მყის შეხებასავე თანა, და პირსა ზედა შეხებასა, თუალნი აახუნა მსწრაფლ და ვითარცა უვნებელი წარმოჰდა“³⁸.

ჟამთააღმწერელი დარწმუნებულია, რომ ღვთისმშობელი არა მარტო თავისი ხატების, არამედ პირადათაც, უმეშვეო გამოცხადების გზით ცდილობდა ქართველთა შველას განსაკუთრებული გასაჭირის დროს. მას მოთხრობილი აქვს ამის ორი შემთხვევა: მისი სიტყვით, ღვთისმშობელს გადაურჩენია აღმუთს თათარ-მონღოლებთან ერთად სალაშქროდ ჩასული ქართველობა დიდი განსაცდელისაგან ჩაღატანონის საიდუმლო მკვლევობასთან დაკავშირებით. ღვთისმშობელი გამოცხადებია ლერწმებში ჩამალულ ნამდვილ მკვლელს და მისთვის საჯაროდ უთქმევინებია. რომ მან მოკლა ჩაღატა. ამით, ცხადია, ქართველებს მოეხსნათ ჩაღატას მოკვლის ბრალდება და ისინი გადურჩნენ საშინელ ზიფათს.

მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონია დიმიტრი II თავდადებულის ზეობაში, როდესაც ხსენებული მეფე „სიბოროტედ მიდრკა“ და მან და მისმა დიდებულებმა უწესო ქორწინება დაიწყეს, საშინაში ცოლის მოყვანა და სხვა უჯერო საქციელი. აი, მაშინ ღვთისმშობელს მოციქულად გამოუგზავნია საქართველოში ბასილი მთაწმინდელი, რომელიც „ძლიერად ამხილებდა და წინაღუდგებოდა მე-

36 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 201.

37 იქვე, გვ. 247.

38 იქვე, გვ. 255.

ცესა“. ის ასწავლიდა მას და მის დიდებულებს. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მაგრამ ბასილის ქადაგება აქ არავის შეუწყნარებია. თითქოს. ამიტომ დატყდომია თავზე დიმიტრი მეფეს ბასილის ნათქვამი უბედურება და „ესრეთ სრულ იქნა წინასწართქმული ბასილი მთაწმინდელისა“ — დასძენს ქამთაღმწერელი.

არსებითად. ასეთი მოძღვრება ბიბლიის ზემოაღნიშნულ კონცეფციიდან გამომდინარეობდა და ჩვეულებრივ ფეოდალური ისტორიოგრაფიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

დ. ავტორის განათლება, წყაროები და მეთოდოლოგია

ყოველი ისტორიული თხზულების შესწავლისას. ჩვენს ყურადღებას. ძალაუვნებურად მისი ავტორის განათლება იპყრობს. უმნიშვნელო როდია ცოდნა იმისა, ჰქონდა თუ არა მას მწერალ-ისტორიკოსისათვის აუცილებელი ზოგადი და სპეციალური განათლება: მწერალი იყო ის თავისი მოსაქმეობით, თუ შემთხვევითი პიროვნება. რომელი და როგორი წყაროებით სარგებლობდა მემატთანე და, რაც მთავარია, რა ხერხებით და საშუალებებით ეწეოდა ის სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლას.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ქამთაღმწერლის თხზულებას, დაერწმუნდებით. რომ მისი ავტორი უაღრესად განათლებული პიროვნებაა. როდესაც ადამიანი კითხულობს ხსენებულ თხზულებას, ის ძალაუვნებურად იხიბლება მისი ავტორის აზროვნების სიღრმითა და, რაც მთავარია, მისი განათლების სიფართოვით.

ქამთაღმწერელი საქართველოს ისტორიკოსია. მას მხოლოდ საქართველოს ისტორიის, და, ისიც ერთი საუკუნისა და ცოტა მეტის შესწავლა-გაშუქება ჰქონდა მიზნად დასახული. მიუხედავად ამისა. ჩვენი მემატთანე მსოფლიო ისტორიის კარგ ცოდნასაც აქვდა ენებს. ის ჩინებულად ერკვევა ძველი სამყაროსა და თავის თანამედროვე ხალხთა ისტორიის ძირითად მომენტებში. მას ძველი ბერძნების, ებრაელების, ირანელებისა თუ რომაელთა ისტორიიდან არა ერთი მონდენილი მაგალითი მოეპოვება. რადგანაც XIII საუკუნე და მომდევნო საუკუნის პირველათეული წლები საქართველოსათვის თათარ-მონღოლთა ბატონობის ხანა იყო, ბუნებრივია. მათი ამბავი მას დაწვრილებით აქვს აღწერილი.

აქად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით: „ცხადია. რომ ჩვენს ისტორიკოსს ასი წლისა და უფრო მეტი ხნის ამბები ზეპირ გადმოცე-

მითა და „თავით თვისით“ არ შეეძლო დაეწერა. უეჭველია, მას საისტორიო წყაროები ექნებოდა და მის თხზულებითგანაც ჩანს, რომ ჰქონია კიდევ³⁹. „მაგრამ საკითხავია, რომელი ქართული წყარო ეკირა ჟამთააღმწერელს ხელთ, ან, რაც იგივეა, რას გულწახმობდა მემართიანე იმ ძველ წიგნთა სახით, რომლებშიც მას ჯალალედინის მიერ თბილისის აოხრების მსგავსი ამბავი ვერ უპოვია? სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჟამთააღმწერელს ერთ-ერთი ასეთი წიგნის ავტორი თავის თხზულებაში დასახელებულიც ყავს. ის „ვინმე ბერი მღვმელი“ ყოფილა, რომელსაც ხვარაზმელთა შემოსევის დროინდელი თბილისის საშინელი თავგადასავალი აღწერილი ჰქონია. სამწუხაროდ, ჩვენ მისი ვინაობა არ ვიცით, თუქცა, როგორც აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, მისი სახელი არც ჟამთააღმწერელს სცოდნია“⁴⁰. ამასთან ერთად ჟამთააღმწერლის თხზულებაში დასახელებულია კიდევ ერთი: „წიგნი მეფეთა ბაღუაშისთა და ნათესავთა მისთა“. მემართიანე ეხება რაჰის ერისთავის კახაბერიძის განდგომილების ამბავს, მოგვითხრობს, თუ როგორ უღალატა კახაბერმა საქართველოს მეფეს დავით VI და აბლა ყაენა მიემხრო. თავის მხრივ ის დასძენს, რომ კახაბერი „იყო თესლით ბოროტი“, რომ მას „გუარისაგან მოაქუნდა ორგულობა“ და იმოწმებს წიგნს: ვითარ გვაუწყებს წიგნი მეფეთა, ბაღუაშისთა და ნათესავთა მისთა“ რას გულიანხმობს ჩვენი მემართიანე მის მიერ დამოწმებული „მეფეთა, ბაღუაშთა და მისთა ნათესავთა“ წიგნის სახით, ხომ არ არის ასეთი წიგნი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დღემდე შემორჩენილი? ან რაც იგივეა, სად შეეძლო ჟამთააღმწერელს ასეთი ცნობები კახაბერ კახაბერიძის წინაპართა შესახებ ამოეკითხა? თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს, დავრწმუნდებით, რომ ასეთი ცნობები ბაღუაშთა შესახებ მას, უპირველესად ყოვლისა, შეეძლო დავითის ისტორიკოსთან ამოეკითხა. კიდევ უფრო ვრცლად ბაღუაშების ამბავი მოთხრობილია იმ წიგნში, რომელიც „მართიანე ქართლისაჲს“ სახელწოდებით არის ცნობილი. მასში საუბარია ბაღუაშების საქმიანობის შესახებ XI საუკუნის საქართველოში. ამ მხრივ საკმარისია

39 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 204.

40 იქვე.

აღინიშნოს ლიპარიტ ლიპარიტის ძისა და მისი შვილების ივანესა და ნიანიას ხანგრძლივი ბრძოლის ისტორია საქართველოს მეფეების გიორგი II-ისა და განსაკუთრებით კი, ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. „ერმარავალმა“ და „მკლავმავარმა“ ლიპარიტმა. როგორც ცნობილია. სიცოცხლე გაუმწარა საქართველოს მეფეს — ბაგრატ IV. ცნობილია ისიც. რომ ამ დაუნდობელ. მძიმე ბრძოლაში. წარმატება დიდხანს ლიპარიტის მხარეზე იყო და ერთხანს ამ უკანასკნელმა იძულებული გახდა მეფე. დაეტოვებინა თავის ქვეყანა და ბიზანტიისათვის შეეფარებინა თავი. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „ამაზე მეტი გამარჯვება შეუძლებელი იყო: ქვეშერდომა მეფე იძულებული ჰყო საკუთარ სამეფოთაგან უცხოეთში წასულიყო“⁴¹. „მატიანე ქართლისაჲში“ საუბარია, როგორც საქართველოს მეფეების (ბაგრატ III, გიორგი I. ბაგრატ IV, გიორგი II), ისე ბალუაშების — ლიპარიტის, ლიპარიტ ლიპარიტისძისა და მისი შვილების შესახებ. ასე რომ, არსებითად, „მატიანე ქართლისაჲ“ მეფეთა წიგნიც არის. ჟამთააღმწერელს „მეფეთა და ბალუაშთა წიგნის“ სახით. შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიც, სწორედ ეს წიგნი ჰქონდა ხელთ და სათანადო ცნობებიც ბალუაშთა შესახებ მას იქიდან ამოეკრიბა. ამასთან ერთად, ირკვევა. რომ ჟამთააღმწერელს დავითის ისტორიკოსის თხზულებაც გამოუყენებია და მრავალი მოვლენა მას სწორედ იმის მიხედვით გაუშუქებია. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ერთი და იგივე ისტორიული პიროვნება, ივანე ციხისჯვრელი, ერთნაირი ეპითეტით — „რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების“, იხსენიება, როგორც ჟამთააღმწერელთან ისე თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიც („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). თუ ეს ერთი ნიშანი საკმარისია, შეიძლება ითქვას, რომ ჟამთააღმწერელს თამარის ხსენებული ისტორიაც უნდა ჰქონოდა ხელთ⁴². ყოველ შემთხვევაში, „მატიანე ქართლისაჲს“ და „დავითის ცხოვრებას“ გამოყენების მიხედვით, ვფიქრობთ, ჟამთააღმწერელს „ქართლის ცხოვრება“ უნდა ჰქონოდა ხელთ, რადგან ამ თხზულებათა არსებობა გარეშე „ქართლის ცხოვრებისა“ არსად, ჭერჭერობით, ცნობილი არ არის.

⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1916. გვ. 443.

⁴² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49, 191.

ქართულ ენაზე ქამთაღმწერელს, გარდა ნარატიული ძეგლებისა, ხელთ ჰქონია და გამოუყენებია ოფიციალური დოკუმენტური წყაროებიც. ისტორიკოსი ეხება ურდოდან დაბრუნებული ორივე დავითის ერთობლივ მეფობას საქართველოში და ამბობს: „და ორნი დასსდეს ტახტსა ზედა და აზომ. რომელ მრავალი სიგელი იპოვების, და თვთ მე მინახავს რომელ სიგლებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიანნი“ და „ნებითა ღთისათა დავით და დავით“ და ელიცა ორთავესი რთავს „ჩემ დავითისგან მტკიცე (არს) და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“⁴³. ამგვარად, ქამთაღმწერელი პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელიც ოფიციალურ საბუთებს მიმართავს, როგორც წყაროს, და ისტორიული მოვლენის გაშუქების დროს მათ ჩვენებაზე ემყარება.

ქამთაღმწერლის ფართო განათლებაზე მეტყველებს ისიც, რომ მას, გარდა ქართული წყაროებისა, ხელთ ჰქონია, აგრეთვე, უცხოური საისტორიო წყაროებიც. ამ მხრივ, ბერძნული წყაროებია პირველ რიგში აღსანიშნავი. რომ ქამთაღმწერელმა ბერძნული ენა კარგად იცოდა და ბერძნულ მასალებსაც იყენებდა. დიდიხანია შენიშნულ იქნა აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ. თვითონ ქამთაღმწერლის თხზულებაში ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი მოიპოვება. სამწუხაროდ, დღემდე გარკვეული არ არის ყველა წყარო, რომელიც ქამთაღმწერელს ბერძნულ ენაზე უნდა ჰქონოდა ხელთ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ქამთაღმწერელს კარგად ცოდნია ალექსანდრე მაკედონელის ისტორია და ბერძენთა უძველესი ისტორიაც, ტროანელებთან ომის შესახებ. ეს უკანასკნელი, მისი დაკვირვებით, ჩვენ შემთხვევით ცოდნია ბიზანტიური წყაროების მეშვეობით⁴⁴. რაც შეეხება იმ ბერძნულ წყაროთა რაობას, რომელიც ხელთ უნდა ჰქონოდა მას ანტიპატროსზე და კასანდროსზე წერის დროს. ამავე მკვლევრის დაკვირვებით გარკვეულად არ არის და მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას⁴⁵. ქამთაღმწერელს სომხური წყაროებიც უნდა გამოეყენებინა. მკვლევარ ნოდარ შოშიაშვილის მიერ დადგენილია, „რომ ქამთაღმწერელი იცნობდა

43 ქართლის ცხოვრება, XI, გვ. 226.

44 ს. ყაუხჩიშვილი, ფორესტე ორესტე. ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 159, 165.

45 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 036.

გრიგოლ აკანელის თხზულებას ან მის წყაროს⁴⁶. „მას უნდა ცოდნოდა. აგრეთვე. სხვა სომეხი ავტორებიც: სტეფანოს ორბელიანი, ვარდანი. კირაკოს განძაკელი და სხვ. ასევე. ჟამთააღმწერლის მიერ სპარსული ენის ცოდნა და სპარსულენოვანი მასალების გამოყენება, თითქმის, ნახევარი საუკუნის წინ ძეგ ივ. ჭავჭავაძის ალნიშნა. მაგრამ. საკითხი იმის შესახებ. თუ რომელი სპარსული წყარო უნდა ჰქონოდა ხელთ ჩვენ მემატთანეს, ამ ბოლო ხანებამდე გარკვეული არ ყოფილა. მხოლოდ ახლახან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რ. კიკნაძემ დასაბუთებულად გაარკვია, რომ ჟამთააღმწერლის სპარსული წყარო ილხანთა დროის გამოჩენილი ისტორიკოსის, ალა ედდინ ათა მალიქ ცჰუვეინის თხზულება ყოფილა, რომელიც „ქვეყნის დაპყრობის ისტორიის“ სახელწოდებით არის ცნობილი⁴⁷. იმავე მკვლევრის დაკვირვებით, გარდა ჭუვეინისა, ჟამთააღმწერელს სხვა წყაროც უნდა ჰქონოდა სპარსულ ენაზე. რადგანაც მას ზოგიერთი ისეთი ცნობაც გააჩნია, რომელიც ჭუვეინთან არ მოიპოვება. (რეზო კიკნაძე ასახელებს იმ მეორე წყაროსაც, რომელიც ხელთ უნდა ჰქონოდა ჟამთააღმწერელს. მისი სიტყვით, ეს უნდა ყოფილიყო რაშიდ ედდინის „ისტორიათა კრებული“⁴⁸.)

ამასთან ერთად, კარგა ხანია /ცნობილია ჟამთააღმწერლის მიერ მონღოლური ენის ცოდნის ფაქტიც, მის თხზულებაში. მართლაც, მონღოლთა ენის, მათი ყოფისა და ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის მაუწყებელი მაგალითები საკმაოდ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, საკითხი თუ რომელი მონღოლური წყარო უნდა ჰქონოდა ხელთ ჩვენ მემატთანეს, საკმარისად გარკვეული არ არის. სამაგიეროდ, გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჟამთააღმწე-

46 ნ. შოშიაშვილი, გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორიის“ ცნობების შეკრება სხვა საისტორიო წყაროთა ცნობებთან. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია. თბილისი, 11, გვ. 77.

47 რ. კიკნაძე. ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები, ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, 11. თბილისი. 1962, გვ. 131.

48 რ. კიკნაძე. ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები, ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კავკასიურ-აღმოსავლური კრებული. II, თბილისი, 1962. გვ. 155.

რელს, ბევრი რამ მონღოლთა შესახებ, თავისი პირადი დაკვირვებითა და ზეპირი თქმულება-გადმოცემებით უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

ასეთია წყაროთა საკმაოდ არასრული ნუსხა, რომლის მიხედვით ეამთაღმწერელი თავის თხზულებას წერდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეამთაღმწერელი ხშირად თავისი წყაროების კრიტიკულად შეფასების უნარსაც აქვლავნებს. მან იცა, რომ წყაროს მითითება ყოველთვის მართალი არ არის და ზოგი რამ მასში შესაძლებელია შეუწყნარებელიც იყოს. ასე მაგალთად, ერთგან ის ეხება უიღურელთა საქმეებს, რომელნიც მას, როგორც ეს ახლა გამორკვეულია რ. კიკნაძის მიერ, ჭუვეინთან ამოუკითხავს და თავის მხრივ დასძენს: უიღურელთა „საქმენი განსაკვრებელ არიან ვითა ზღაპარი, და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქმა“⁴⁹. ასე, რომ ეამთაღმწერელს უიღურელთა საქმეები, ზღაპრული ხასიათის გამო, არც შეუტანია თავის თხზულებაში, მაშინ როდესაც ჭუვეინს, მკვლევარ რ. კიკნაძის გონებამახვილური დაკვირვებით, თუმცა მათი ზღაპრული ხასიათი აღუნიშნავს. მაგრამ ისინი მაინც შეტანილი ჰქონია თავისი „ქვეყნის დამპყრობის ისტორიაში“⁵⁰. მეორე შემთხვევაში ის აგვიწერს ხორასანში მონღოლთა მიერ ნიშაბურელთა დამორჩილების ამბავს და თან დასძენს: „უკეთუ არა ჯერ ხართ, სამართლადცა არს: დიდისა სიბდივნისა ხოჯა შამშადინის ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოოჯრებასა“⁵¹. საუბარო ეხება ჩინგიჟაენის უმცროსი შვილის — თულის მეთაურობით, მონღოლთა მიერ ნიშაბურის აღების საქმეს და ნათქვამია: მონღოლებს პირველსავე ბრძოლაში აუღიათ ხსენებული ქალაქი და იქ სამასი ათასი კაციასათვის დაუყრევინებიათ თავები. მეორე ბრძოლაში, ნიშაბურელებთან, ასი ათასი კაცი დაუხოცნიათ, ხოლო მესამედ—ოცდათორმეტი ათასი. ამგვარად, მონღოლებს ამ ქალაქისათვის სამივე ბრძოლაში სულ ოთხას ოცდათორმეტი ათასი კაცი დაუხოციათ. თავისთავად ეს რიცხვი იმ ზომამდე დიდია. რომ თვითონ ამბავიც რასაკვირველია, ზღაპრულად გამოიყურება: ამ ცნობისადმი ეამთაღმწერელიც ერთგვარ

49 ქართლის ცხოვრება, II. გვ. 162.

50 რ. კიკნაძე, ეამთაღმწერელის სპარსული წყაროები. კავკასიური-აღმოსავლური კრებული, II. თბილისი. 1962. გვ. 144.

51 ქართლის ცხოვრება, II. გვ. 181—182.

კრიტიკულ მიდგომას ავლადენებს და თავის მკითხველს ეუბნება: თუ ამ ცნობას არ დაიჯერებთ. მართალიც იქნებაო. მაგრამ იგი იქვე ასახვლებს თავის წყაროს. დიდის საქებლივინის ხოჯა შამშადინის ძმას, რომლის თხზულებაზედაც ის ამ შემთხვევაში, დამყარებული ყოფილა. საგულისხმოა. რომ ეპითაღმწერელი არა მარტო თავის წყაროს ასახვლებს. არამედ მის ხარისხსაც უსვამს ხაზს. ხოჯა შამშადინის ძმა, რომელსაც ეპითაღმწერელი იმეორებს ყოფილა ხსენებული მოვლენის (ქ. ნიშაბურის აღება) თანადამხთერი, მაშასადამე, თანამედროვე და თვით მხალველიც. ხოლო ეპითაღმწერლის ასეთი კრიტიკული მიდგომა მის მიერ გამოყენებულ ცნობისადმი, მის უაღრეს კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს მხოლოდ.

კიდევ უფრო საგულისხმოა ეპითაღმწერლის დამოკიდებულება იმ ცნობისადმი, რომელიც ურდოში დიდი ყაენის მიერ საქართველოს სამეფო ტახტის მადიებელთა — ორავე დავითის მეფედ დამტკიცებას შეეხება. მის გადმოგვცემს თუ როგორ დაბრუნდა ორივე მეფე თავის სამშობლოში „და დასხდეს ტახტთა მამათათათასა, ტფილისს, დავით და დავით ორნივე“. მაგრამ ის იქვე დასძენს: „ხოლო მოწვევულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთაღმწერელი იტყვს, ვითარმედ „ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა, გუჟა ყაენმან ესრეთ გაბჰო: რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ. გადა ესრეთ წარმოავლინა და რუსუდანიისა ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპირა და წარვიდა აფხაზეთს, და მე არა შევიწყნარებ ამას“⁵². ამით ირკვევა, რომ მემატრიანეს უწყებული მოვლენის სხვა ვარიანტიც ცოდნია. ამ უკანასკნელის მიხედვით ყაენს ორივე დავითი კი არ დაუმტკიცებია მეფედ, როგორც ეს ახლაა შეწყნარებული მეცნიერებაში, არამედ მხოლოდ ერთი — დავით ლაშას ძე. მეორე კი — დავით რუსუდანიის ძე, მაშინვე გამოპარულა ღამით და გამოქცეულა თავის ქვეყანაში. განსაკუთრებით საგულისხმო ის გარემოებაა, რომ ამ შემთხვევაში ეპითაღმწერელი საჭიროდ მიიჩნევს გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება ამ (მეორე) ვარიანტისადმი და სიტყვებით „მე არა შევიწყნარებ ამას“ მკვეთრად ემიჯნება მას. ეპითაღმწერელი პირველი ვერსიის დასაბუთებას ცდილობს. ამ მიზნით

ის საბუთებს მიმართავს. ამ შემთხვევაში, ქაშთაღმწერლის ცნობა რომ ჰაერში ჩამოყიდებული არ არის და საქართველოში ორი დავითის ერთობლივ მეფობას მართლაც ჰქონდა ადგილი. დასტურდება სოფ. აბელიის (ქვემო ქართლი) ეკლესიის მშენებნიერი ასომთავრული წარწერითაც⁵³.

ყველაფერი ეს საისტორიო წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების (ისტორიული კრიტიკის), უთუოდ. საგულისხმო ნიმუშებია.

საისტორიო მწერლობის აღსანიშნავად ჩვენი ისტორიკოსი, როგორც ცნობილია, ქაშთაღმწერლობას ხმარობს. ხოლო მწერალ-ისტორიკოსს ის ქაშთაღმწერელს უწოდებს. სწორედ ამ გარემოების გამო. აკად. ივ. ჯავახიშვილმა თერთონ იმასაც (ჩვენ მემათიანეს) ქაშთაღმწერელი უწოდა. იმავე მკვლევრის დაკვირვებით. ქაშთაღმწერლობა ბერძნულ „სნოროგრაფიას“ და სომხურს ქამანაკაგრუთიუნს“ უღრის⁵⁴. გარდა ამისა, ქაშთაღმწერლის თხზულებაში მწერალ-ისტორიკოსის მნიშვნელობით გვხვდება ჩვენ „მრავალმომთხრობელი“, „ყოველთაღმწერელი“ და „სიტყვის მომქმედი“. აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით. „ორივე სიტყვა. ალბათ, ბერძნულს „პოლვისტორს“ უღრის⁵⁵. ჩვენი მემათიანის მიხედვით, ქაშთაღმწერელი და მრავალმომთხრობელი ერთი და იგივეა. ასეთად მას დასახელებული ჰყავს იოსიპოს („ვიითარცა ქაშთაღმწერელი და მრავალმომთხრობელი იოსიპოს წარმოიტყვა“) ⁵⁶, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში დღეს შეწყნარებული აზრის თანახმად, მრავალმომთხრობელი და ყოველთაღმწერელია არა მარტო იოსიპოს, არამედ ჭუვეინი და რაშიდედ-დინიც, რომელთა თხზულებით უხვად სარგებლობდა ქაშთაღმწერელი. ასეთი გაგების წყალობით ირკვევა, რომ მრავალმომთხრობელი და ყოველთაღმწერელიც ისეთი ისტორიკოსი ყოფილა, რომელიც მსოფლიო ისტორიას წერდა და მრავალი ქვეყნის თავგადასავალს მოგვითხრობდა. ისტორიის მნიშვნელობით

53 E. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Белоключи, Известия Кавказского отделения императорского московского археологического общества. Вып. I, თბილისი. 1904, გვ. 15.

54 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 197.

55 იქვე.

56 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 176.

ჟამთააღმწერელთან ნახმარი ჩანს — ა მ ბ ა ვ ი ც. ასეა იქ დასათურებული ჩინგის ყაენისა და, საერთოდ, თათარ-მონღოლთა ისტორია („ამბავი ჩინგიზყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქუეყანასა აღმოსავლეთისასა“) ან კიდევ, იმავე თათარ-მონღოლთა შესახებ ნათქვამია: „რამეთუ არცა ძუელთა წიგნთა შინა სადამე იპოვების ამბავი მათი“⁵⁷. ხოლო ერთ-ერთი თავისი წიაღსვლის შემდეგ იგივე მემატიანე აღნიშნავს: „რამეთუ ზემოდატევებული ამბავი აღმართ ამბიჯებელთა კულად ვიწყოთ“⁵⁸. ყველა ამ აღნიშნულ შემთხვევაში. ვფიქრობთ, ამბავი ისტორიის მნაშენელობით იხმარება და სხვა გაგება მას ჟამთააღმწერლის თხზულებაში არც აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავი ის გარემოებაა, რომ ჟამთააღმწერელი თავის დიდ წინამორბედთა (ძველი ქართველი ისტორიკოსები) მსგავსად, შეიარაღებულია გარკვეული თეორიით ისტორიული მეცნიერების, ისტორიის რაობისა და მისი წერის ხერხების შესახებ. თეორიით, თუ როგორ და რა პრინციპების მიხედვით უნდა იწერებოდეს ქვეყნის, ხალხის ისტორია. ამ მხრივ თვალში მოსახვედრია ჟამთააღმწერელთან დევიზი, რომლითაც ის საისტორიო მწერლობაში შემოდის: „უ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ლ ო ბ ა ქ ე შ მ ა რ ი ტ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა ა რ ს და ა რ ა თ უ ა ლ თ ა ხ მ ა ვ ი ს თ ვ ს მ ე“. ისტორია — ქეშმარიტების გაშუქებაა, ქეშმარიტებაზე საუბარია, ხმამაღლა აცხადებს ჩვენი მემატიანე. ისტორიკოსმა, მისი ღრმა რწმენით, ქეშმარიტებაზე უნდა ილაპარაკოს მხოლოდ.

სულ სხვა საქმეა, როგორ, ან რამდენად სრულყოფილად ახორციელებდა ჟამთააღმწერელი ამ ამოცანას, მაგრამ თავისთავად ფაქტი, ისტორიული კვლევა-ძიების ქვაკუთხედად მაქსიმალური ობიექტურობისა და იდეალური პირუთვნელობის გამოცხადებისა, უადრესად საგულისხმოა. ამ მხრივ, ჩვენი მემატიანე დავითის ისტორიკოსის ღირსეული გამგრძელებელი ჩანს.

ჟამთააღმწერლის აღნიშნული ბულისკვეთება (მხოლოდ ქეშმარიტებაზე საუბარი) ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მას. მწარე სინამდვილე არა ერთხელ აიძულებდა მემატიანეს

57 ქართლის ცხოვრება, II გვ. 157.

58 იქვე, გვ. 179.

აღნიშნული პრინციპის ღალატისა და უარყოფის წინაშე დამდგარიყო. ასე ემართება ჩვენ მემპტიანეს მაშინ, როდესაც მისი საუბარი მეფეს ეხება და განსაკუთრებით ისეთ მეფეს. რომელმაც სამღვთო წესები დაარღვია და „შეცოდებაც“ შესაძლებელია, არა ერთი ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია. მისი კონცეფციის წყალობით მან უნდა ამხილოს მეფის უკეთური საქციელი და „უშვერი“ სიტყვაც უნდა ითქვას მისი მისამართით, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც მისი მეთოდოლოგიური საფუძველი — ბიბლია პირდაპირ აფრთხილებდა მემპტიანეს „არა საკადრებელ არს თბრობა მეფეთათჳს უშუერსა რასმე“. ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერელი, როგორც იტყვიან ხოლმე, ორ ცეცხლს შუა არის, მან არ იცის როგორ მოიქცეს: თქვას სიმართლე და ჭეშმარიტების დროშა მალღა ასწიოს, თუ დაემორჩილოს ბიბლიის მითითებას, პირში წყალი ჩაიყენოს და მეფის შესახებ ცუდი არაფერი თქვას. ასე მაგალითად, რუსუღან დედოფლის ამბავთან დაკავშირებით მემპტიანე კიდევ ერთხელ გულისწუხილით აღნიშნავს: „რამეთუ სირცხულ მიჩნს კადრებად და კუალად ვერ მიძღავს ღუმილად. რამეთუ უპატიო ჰყო თავი თვისი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულის თვისსა ზედა“⁵⁹. ეს გარემოება აწუხებს მას და აყენებს მძიმე მდგომარეობაში, მას არ სურს ამაზე ილაპარაკოს, მაგრამ აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მემპტიანეს განცხადება იმის შესახებ. რომ მას ღუმილი მაინც არ შეუძლია და ძალაუნებურად, მეფის მოღვაწეობის ეს მხარეც უნდა გააშუქოს. ამგვარად, მემპტიანე საბოლოოდ არჩევანს მაინც აკეთებს და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამას მეცნიერების. ჭეშმარიტების სასარგებლოდ სწყვეტს.. ის დაუთარავად მოუთხოვს თავის მკითხველს, ამ მხრივ, რუსუღან მეფის უღირსი საქციელის შესახებ. მაგრამ შუასაუკუნეების ისტორიკოსისათვის ეს საქმე იმდენად უჩვეულო ყოფილა, რომ ის ამის უბრალოდ გაკეთებას მაინც ვერ ახერხებს და საკიროდ მიიჩნევს, საგანგებო ჰოტივირება წარმოუდგინოს თავის მკითხველს. მისი სიტყვით: „ვინაოვან წიგნი ესე შუამღებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა. შენდობილი იყენენ სიტყუანი ჩემნი, რამეთუ ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს, და არა თვალახმა ვისთჳსმე“⁶⁰.

59 ქართლის ცხოვრება. II. გვ. 201.

60 იქვე. გვ. 199.

გული სტკივა და ღუმლის საჭიროებას გრძნობს ჩვენი ქემატიანე არა მარტო მაშინ. როდესაც ქვეყნის მმართველის, მეფის უკეთური საქციელის გაშუქების აუცილებლობის წინაშე დგას, არამედ მაშინაც, როდესაც მას ასეთივე უსიამოვნო საუბარი მოელის ეკლესიისა და ქვეყნის მძიმე გასაჭირის შესახებაც. ასე მაგალითად, ჟამთააღმწერელი ხვარაზმელთა მიერ თბილისში დატრიალებული საზარელი ამბების მოთხრობისას. თავი მხრივ აღნიშნავს: „ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოქაენებად. თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა. ვინმე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა? აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა“⁶¹.

ჟამთააღმწერლის თხზულება გარკვეული გეგმით დაწერილი ძეგლია. სწორედ მკაცრი გეგმიანობისა და მჭიდრო შინაგანი კავშირის წყალობით ჟამთააღმწერლის თხზულება ერთიანი მონოლითური ძეგლის შთბეჭდილებას ახდენს და მის ნაწილებ შორის საკმაო მთლიანობა იგრძნობა. მიუხედავად ამისა, ჟამთააღმწერლის თხზულებაში მთავარი თემიდან გადახვევების შემთხვევებიც შეიძლება არ არის. პირიქით, წიაღსვლები ჟამთააღმწერელთან საკმაოდ ხშირია. მაგრამ მემკვიდრეებს ასეთ შემთხვევებშიც ზოპირება არ ავიწყდება და მთავარ გზაზე დაბრუნებას არასოდეს არ ივიწყებს. გარდა ამისა, ჟამთააღმწერელთან კიდევ ერთი ისტორიოგრაფიული ხერხი შეიმჩნევა, რომელიც უთუოდ ღირსია ყურადღებისა. საქმე ის არის, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქემატიანე თავის მთავარ ხაზს მიჰყვება და ძირითადი თემის გაშუქებას ცდილობს, მისი მსჯელობა ამ უკანასკნელზე გარკვეული თვალსაზრისით შეზღუდული ჩანს: ის ყველაფერს არ ლაპარაკობს, რაც მან თვითონ ამ პრობლემის შესახებ იცის. ასე რომ ჟამთააღმწერელი, მეთოდოლოგიურად უაღრესად გაწაფული ისტორიკოსი ჩანს. „სიტყვის ფაზი“ და „საუბრის ზომა“ მან კარგად იცის. მოვლენის შესახებ ის ყოველთვის უმთავრესსა და დამახასიათებელს გვეუბნება. დეტალების გარკვევაში არასოდეს არ შედის. ასე რომ ტიპოლოგიური მსჯელობის თვალსაზრისითაც

61 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 175.

ქამთაალმწერელი დავითის ისტორიკოსის პირდაპირი და ღირსეული გამგრძელბელი ჩანს.

ქამთაალმწერელი მხატვრული შედარების ჭიდი ოსტატია. მართალია, მას ასეთი შედარების შემთხვევები ხშირად არ აქვს, მაგრამ, რაც არის, ზედმიწევნით მკაფიო და დამახასიათებელია. მაგალითისათვის შესაძლებელია გიორგი V-ის აღზევების მთიებთან შედარება დავასახელოთ. ასევე ქამთაალმწერელს, სარგის ჯაყელი, საქართველოს მეფესთან — ულუ დავითთან ერთად, ყაენთან მისული აჯანყების თაობაზე ლომთან ყავს შედარებული. მისი სიტყვით, როდესაც მეფემ საპასუხო სიტყვა ვერ იპოვა, შეხედა ჰის უკან მდგარ ჯაყელს „და იხილა სარგის ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად, მეფემან მას ზედა მიუტევა საქმე“⁶². უთუოდ ძლიერა სურათია წარმოდგენილი. ან კიდევ, მემბტიანის მიხედვით, ერთ-ერთ ომში ქართველთა გმირული მონაწილეობით თათრებს გაუმარჯვიათ და მათ მხედართმთავარს, აბალა ნოინსა მტრის ერთი მებრძოლი დაუჭერია და ეს უკანასკნელი მას ომის მთელი მსვლელობის განმავლობაში შეპყრობილი ჰყოლია „ვითარცა არწივისა კაკაბი“⁶³. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქამთაალმწერლის თხზულება ამ მხრივაც გამართული ძეგლია და, თავისი დასაბუთებით, მსჯელობის სიღრმითა და ფართო ჰორიზონტით, ერთ-ერთი უშესანიშნავესთაგანია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში.

ე. ქამთაალმწერლის თხზულების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის

ქამთაალმწერლის თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ჯერ ერთი, ის დაწერილია ისეთ ხანაში (XIV ს.), რომელშიაც სხვა ნარატიული ხასიათის ძეგლი თითქმის არ მოგვეპოვება. გარდა ამისა, ეს თხზულება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ პერიოდს ეხება (XIII საუკუნე და XIV საუკუნის დამდეგი), რომლის შესახებ, საერთოდ, ბევრი არაფერი გავგაჩნია. ასე რომ საქართველოს ისტორიის უწყებულები მონაკვეთისათვის ასეთი ვრცელი თხზულების არსებობა დიდ ბედნიერებად უნდა

⁶² ქართლის ცხოვრება, II. გვ. 247.

⁶³ იქვე, გვ. 264.

იქნეს მიჩნეული. **ქ**ადნიშნული თხზულების კრიტიკულმა შეაწავლამ ათქმევინა ამ ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ 1916 წ. შემდეგი: „ჩვენი ქამათაღმწერლის თხზულება, როგორც ირკვევა, სანდო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს“⁶⁴. მართლაც, ხსენებული თხზულების ცნობები ძალიან ხშირად პოულობენ დადასტურებას სხვა ავტორებთან და სხვა წყაროებშიც. ასე რომ ქამათაღმწერლის სახელით ცნობილ მემატიანეს, გარდა ბიბლიური აქსესუარებისა, რომელშიც ეს თხზულება ჩვეულებრივ განკვეულია, უსაფუძვლოდ არაფერი აქვს ნათქვამი და მისი ცნობები უაღრესი ნდობის ღირსია. ასე რომ ხსენებული ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ „ქამათაღმწერლობა ქეშმარიტების მეტყველება არის და არა თვალასმა ვისიმე“ თვითონ მის თაზულებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ზედმიწევნით განხორციელებულია. **მ**ემატიანე უთუოდ გარკვეულია იმ ისტორიულ პროცესში. რომელსაც მის მიერ აღებულ ხანისათვის ჰქონდა ადგილი საქართველოში. მან კარგად იცის, რომ გიორგი ლაშას მეფობაში მოხდა ის საბედისწერო გარდატეხა, რომელმაც სულ მალე საქართველო დიდი უბედურების წინაშე დააყენა. სწორედ ასეთი იყო. მისი აზრით, მარცხი, რომელიც განიცადეს ქართველებმა თათარმონღოლთა პირველ გამოჩენისთანავე ამიერკავკასიაში; **მ**ისი სიტყვით, „...დაიქმნა უჟუქცევა სუე-სვანისა ბედისა, მადლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა. რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება, აქა ქამამდე სჯანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯუებული. არასადა ძლეულ იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა. არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ქამამდე ჩუენთა“⁶⁵. **ს**წორად აქვს აღბეჭდილი მემატიანეს ის პოლოტიკური სიტუაცია, რომელიც დამყარდა საქართველოში რუსუდან მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მისი სიტყვით: „...რამეთუ არღარა-ვინ იპოვებოდა ნათესავი მეფეთა, რამეთუ ნარინ დავით ყარაყურუმს წარავლინა და სხუა იგი დავით (იგულისხმება ლაშას ძე, კ. გ.) მკუდრად საგონებელი იყო. აქა რუსუდან გარდაიცვა-

64 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 213. მ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

ლა...“⁶⁶ რუსუდანის სიკვდილით საქართველოს სამეფო ტახტი სრულიად დაცარიელებული აღმოჩნდა. ტახტის მემკვიდრეთაგან ახლო-მანლო აღარავინ იმყოფებოდა. უმეფობამ, თავის მხრივ, ქვეყნის ისედაც მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა უაღრესად გაართულა. ასეთ პირობებში ბუნებრივია დიდ აზნაურებს, დიდებულებს შემდგომი დაწინაურება და თავისი პოლიტიკური უფლებათა კიდევ უფრო გაფართოება აღარ გაუძნელდებოდათ. თითოეული ქართველი დიდებული დამოუკიდებელიც და უმეშვეოდ ცდილობდა ურთიერთობის დამყარებას თათარ-მონღოლთა ხელისუფლებასთან] ეამთააღმწერლის სიტყვით: „ამისთჳ თვთოეული თავისა თვისისათჳს განაგებდა და ზრუნვიდა რამეთუ თვთოეული ერისმთავარი თვთოსა ნოინსა შეუღდა...“ და სხვა, ამის მსგავსად⁶⁷. ეს, მით უფრო, რომ მაშინ თათარ-მონღოლთა პოლიტიკაც საქართველოში სწორედ ამგვარ სიტუაციას უწყობდა ხელს. ბუნებრივია, ის ქართველი მთავარი ანუ ერისთავი, რომელიც თათარ-მონღოლებთან ურთიერთობას უმეშვეოდ ამყარებდა, ყაენის ერთგულ სამსახურს კისრულობდა. და, ამ გზით, მისი გულის მოგებას ცდილობდა. ყაენიც, თავის მხრივ, მის ერთგულ ერისთავს საგანგებოდ მფარველობდა. და ეს უკანასკნელი ყაენის ხელდებული ხდებოდა. ამიერიდან მას საქართველოში ავი თვალითაც კი ვერავინ შეხედავდა.) ამიტომაც გასაგებია, ეამთააღმწერლის სიტყვები: „ვერცა დავით მეფემან სწუართნა ერისთავნი შიშისათჳს ყაენისა“. ცხადია, ყაენის უნებურს დავით მეფე ვერაფერს იზამდა⁶⁸. ასეთ ვითარებაში ზოგიერთი გაბედული, სათანადო პირადი თვისებებითა და უნარით დაჯილდოებული უგვაროც ახერხებდა მონღოლებთან დაახლოებას და შემდეგ თვალსაჩინოდ დაწინაურებასაც. ღმ მხრივ საგულისხმო ეგარსლან ბაკურციხელის დაწინაურებაა, რომელიც მონღოლებს სწორედ XIII საუკუნის შუა წლებშიათვის პირველი „ღუმანისთავად“ დაუყენებიათ და მისთვის ჰერეთ-კახეთ-კამბეჩოანის ლაშქარი ჩაუბარებიათ—„ტვილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისა“⁶⁹. ამის შემდეგ ეგარსლანი კიდევ უფრო განდიდებულა და უმეფობის

66 ი ქ ე ე, გვ. 207.

67 ი ქ ე ე, გვ. 207.

68 ი ქ ე ე, გვ. 268.

69 ი ქ ე ე, გვ. 207.

ბანაში უმაღლესი ხელისუფლება, მეფობა კინალამ ჩაუგდია ხელთ, ოუ რუსუდახის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის შიგნით ასეთი პოლიტიკური სიტუაცია დამკვიდრდა, (საქეთილო არც საგარეო პდგომარეობაში ყოფილა რაძე. პირიქით, როგორც მემატიანე აღნიშნავს: „გარნა ვინათგან განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა, აღიძვროდეს ყოველნი ნათესავნი ოჭრებად ქართველთა“⁷⁰) ასე რომ უამთაღმწერელი თავის სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას თათარ-მონღოლთა ბატონობის დროს კარგად იცნობდა და სათანადო პოლიტიკური სურათიც მას მართებულად აქვს მოზაზული. (მან კარგად იცის, რომ მეფეთა დავით ულუ და დავით ნარინ შორის აშლილობა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ვაყოფას ნიშნავდა. მემატიანის სიტყვით: „და აქა იქმნა განყოფა სამეფოთა და მიერთგან შეიქმნა ორ სამეფოდ“⁷¹.)

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ უამთაღმწერელს ახასიათებს გარკვეული ტენდენციაც, ფილოსოფიურად ვაიაზროს საქართველოში XIII საუკ-ის შუაწლებიდან მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები და მათ მოუძებნოს დამაჯერებელი საფუძველი თვითონ საზოგადოებაში. მისი სიტყვით, „სამნი არიან პიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: კემოთმოყუარებანი, ვეცხლის მოყუარება და დიდების მოყუარება; ამათნი პირმშონი არიან: სიძენი, მრუშებანი, რისხვა, მწყნარობა, ამპარტავენება“ ამათგან გამოდის ყოველგვარი უბედურება რომელთა სათითაოდ დასახელებას ის არ კისრულობს, მაგრამ პათ ნამდვილად ხედავს ლაშა-გიორგის დროიდან საქართველოში და იმათგან აღმოცენებულად მიაჩნია „მიზეზნი... საქართველოსა პოჭრებისანი“-ო. მისი დაკვირვებით „გემოთმოყუარება“ ანუ პირუტყველი გაუმაძღვრობა და ვნებათა აყოლა წარმოშობენ ისეთ სიტუაციას, როდესაც ადამიანთა შორის ძლიერდება ეგოისტური სწრაფვანი, ხოლო ინტერესი საერთო, საქვეყნო საქმისადმი ელდება. ამ ნიადაგზე წარმოიშობა ბოროტი ქიშპობა, შური და პტრობა, რომელმაც თავის დროზე დალუპვის კარზე მიიყვანა საქართველო. ასეთმა ბოროტმა მოვლენებმა, კერძოდ შურიანობის დამლუპველობამ, მემატიანის აზრით, თავდაპირველად თავი იჩინა საქართველოს ისტორიაში ხვარაზმელთა შემოსევის დროს,

70 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 213.

71 იქვე, გვ. 165.

როდესაც ივანე ათაბაგმა, რომელიც ქართველთა ლაშქრის მთავარსარდალი იყო — მტერთან შებრძოლების დროს, დაჯიჯღუხი და არ მიეშველა მის მიერვე დადგენილ წინამებრძოლებს. თორელებს, ივანე და შალვა ახალციხელებს, და მტერს გამარჯვების საშუალება მისცა. ჟამთააღმწერელი ამ მოვლენას შურიცხსნის და ამბობს: „ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთა მიხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათანა მრაველთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით, და არა ინებებულა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყუან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“⁷². მთავართა შორის, სწორედ ასეთმა შეუთანხმებლობამ, შურმა და მტრობამ იჩინა თავი არა მარტო ხვარაზმელთა, არამედ თათარ-მონღოლთა შემოჭრის დროსაც და, საერთოდ, შეიძლება ითქვას, ამან დაღუპა საქართველო.)

ჟამთააღმწერლის თხზულებაში საგულისხმო ცნობები მოიპოვება XIII—XIV საუკუნეთა საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებაც. აღნიშნული პრობლემის გაშუქება ჩვენი ისტორიკოსის მიზანდასახულებაში ჩვეულებრივ არ შედიოდა. ის უფრო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებით, უფრო სწორე, მეფე-მთავართა სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობით გატაცებული ჩანს. მაგრამ თავისი ძირითადი ამოცანის გაშუქებასთან ერთად, გზა და გზა ის არაერთხელ იძლევა ობიექტურნიშნებს საზოგადოებრივი ყოფის ამ მხარის დასახსიათებლადაც. ასე მაგალითად, ჟამთააღმწერელი ერთგან გადმოგვცემს იმ საუბარს, რომელსაც ადგილი ჰქონია ურდოში ბათო ყაენთან გამობახებულ ავაგ ათაბაგსა და მის ეჯიბს შორის. ურდოში მისვლისას ეჯიბ — დავით ივანე ახალციხელისძეს უთქვამს თურმე თავისი პატრონის ავაგ ათაბაგისთვის „ვინათგან უცხოთა ნათესავთა მობართ მოიწიე, და არა უწყი თუ რა ყოფად არს ჩუენდა, ესრეთ განგაზრახებ, რათა ვიქმნე მე, ვითარცა პატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე მონა; უკეთუ ენებოს მოკუდინება შენი, მე მოვიკლა და არა შენ, და არღარა ვეჭუ, უკეთუ ბატონი მოიკლას, ყმათაცა დაქოცად“⁷³. ასე გააკეთეს, შეუწავლეს ერთი მეორეს

72 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170.

73 იქვე, გვ. 197.

ადგილები და წარდგნენ ბათო ყაენის წინაშე. ბათომ ისინი კეთილად ისტუპრა და არც ერთისათვის არაფერი დაუშავებია. ამის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ ყაენთან მიღების დროს, ავაგი, რომელიც ადრე გააცნეს მას, როგორც ათაბაგის ეჭიბი, დაწინაურდა და დაიწყო ყაენისათვის პასუხების მიცემა. ყაენი ერთხანს გაოცებული შეყურებდა მას. მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვერ მოითმინა და ეუბნება: „არა სადამე მეცნიერ ხარა, რომელ პატრონი არს შენი, რომელი უკანის შენსა დგას და შენ წინა—წარმოსძლომიხარ?“⁷⁴. აი, ამ ამბავს ღიმილით გამოეხმაურა დავითი. გაუმელავნა ყაენს თავისი ვინაობა და ასეთი ნაბიჯის მოტივიც აუხსნა. ამან ბათო ყაენის განცვიფრება გამოიწვია და მან დიდად მოუწონა ასეთი საქციელი ქართველებს. როგორც ვხედავთ, ამ საუბარში დასახელებულია XIII საუკუნის საქართველოს ძირითადი საზოგადოებრივი კლასები: პატრონი და მონა ან ყმა. თათარ-მონღოლთა მიერ საქართველოში მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელს დასახელებული ყავს გლეხიც, რომ სრული ფუძის მქონებელ ცხრა გლეხს (გლეხობის ცხრა კომლს) ერთი მოლაშქრის გამოყენა ევალებოდა. ჩვენს მემატთანეს გლეხი ისეთ სოციალურ კატეგორიად ეხატება. რომელიც ფუძესთან იყო გარკვეული აუცილებლობით დაკავშირებული. საგულისხმოა, რომ გლეხი XIII საუკუნეში გარდა სრულფუძიანისა ყოფილა ისეთიც, რომელსაც ფუძის ნაწილი ჰქონია მხოლოდ. ამასთან ერთად, ჟამთააღმწერელთან საკმაოდ ხშირად დასახელებულა თავადიც, მაგრამ საჭიროა ითქვას, რომ თავადი აქ წოდებრივი შინაარსის ცნება არ ჩანს და, როგორც ირკვევა, ნახშიარია ძველი გაგებით, როგორც გაერთიანებული, დიდი გვარის მეთაური — დიდებულა, მთავარი. ხსენებულ მემატთანესთან დასახელებულნი არიან აგრეთვე ისეთი სოციალური ჯგუფები, როგორიც იყვნენ: ვაჭრები და გლახაკებიც. დიდი ვაჭრები გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ვაჭრებისაგან გაიგეს ქართველმა დიდებულებმა მცირე აზიაში დიდი ხნის წინათ გადაკარგული დავითის სიცოცხლის ამბავი და სხვ. ხოლო იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენი სიმდიდრისა და პოლიტიკური გავლენის

74 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 198.

მოპოვებას ახერხებდა ზოგიერთი დიდვაჭარი თათარ-მონღოლთა ბატონობის დროს, სადუნ მანკაბერდელის მაგალითიც საკმარისია.

გლახაკნი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქვედა ფენა ჩანს XIII საუკუნის ქართველი ფეოდალური საზოგადოებისა. გლახაკთ, ჩვეულებრივ, წარმოების უნარი დაკარგული ჰქონდათ და, ამიტომ, ისინი უმთავრესად, მეფეების, ეკლესიისა და დიდკაცობის მოწყალეებით ცხოვრობდნენ. ჟამთააღმწერლის მიხედვით, საქართველოს მეფე დიმიტრი II თავდადებული (1270—1289) ყოფილა „გლახაკთა, ქურიეთა და დაერდოზილთა მოწყალე“. მისი სიტყვით. მეფეს „რამეთუ აქუნდა ჩუეულება, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დაერდომილნი და ობოლნი, და თვსითა ჳელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდნიან მოწყალეება მეფისა, და ამისთვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვნენ მეფესა“⁷⁵. გლახაკები არავის სიკეთეს არ ივიწყებდნენ და, ზოგჯერ, პატრონობაააც კი უწყევდნენ უპატრონოდ დარჩენილთ. ასე მაგალითად, როდესაც მესტუმრე ჭიქური დავით ულუს ბრძანებით მოულოდნელად, ღამით მეფის სასახლის აივნიდან პირდაპირ მტკვარში გადაჩეხეს, გათენებისას იპოვეს მისი გვამი წყლის მიერ რიყეზე გამოგდებული. მაგრამ ჭიქური უშვილო ყოფილა და სხვა ჳირისუფალი არავინ ჳყოლია, ამის გამო, როგორც ჩვენი მემკვიდრე იუწყება: „და შეკრბეს ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ჳვრივნი და ევედრნეს მეფესა, რათა მიანიჳოს გუამი ჳიქურისი, ამაღ რომე მრავალი კეთილი ექმნა მათ ჳედა. ისპინა დავით და მისცა გუამი მისი და მრავლითა გოდებითა წარიდეს ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა ჳრისტინასსა, რომელი ჳუარაზმელთაგან დარღუეული ახლად აღშენებული იყო და მუნ დაფლეს დიდითა პატივითა, რაცა ოდენ გლახაკთა ძალ-ედვა“⁷⁶.

ასევე, საგულისხმო ცნობები მოიპოვება ჟამთააღმწერელთან ჳვეყნის სამეურნეო (ეკონომიკის) ცხოვრებაზე. მარტო ის რად ღირს, რომ მას. შემონახული აქვს ცნობა თათარ-მონღოლთა მიერ ჳვეყნის ორჯერ აღწერის შესახებ. ორივე ეს აღწერა ყაენის ბრძანებით არღუნს ჩაუტარებია ჟამთააღმწერლის სიტყ-

⁷⁵ ქართლის ცხოვრება, II. გვ. 271.

⁷⁶ იქვე, გვ. 238.

ვით: „და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ქირსა მიეცნეს ყოველნი მკვდრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე. ყანით ვენაჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოჯდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა ღუმანი მვედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“⁷⁷. უეჭველია, ეს მრავალმხრე საგულისხმო ცნობაა. უაღრესად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გარკვეული დროის შემდეგ კვლავ მოსულა საქართველოში იგივე არღუნ „რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარძი ქუეყანა აღშენდა, გინა აოჯრდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უმრავლესი მოოჯრებული იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კაშპეჩის ვაკენი მოოჯრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყენი დიდი ბერქა“⁷⁸. ამ ცნობის მიხედვით, ზედმიწევნით მკაფიოდ ირკვევა თათარ-მონღოლთა ბატონობის კატასტროფული ხასიათი საზოგადოდ, და კერძოდ საქართველოში. ჩვენ საგულისხმოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, უამთაღმწერლის ცნობა XIII საუკუნის საქართველოში პურიით ვაჭრობის შესახებ. მას მოთხრობილი აქვს ამ საუკუნის ბოლოსათვის ქართლში გაჩენილი ერთი შიმშილობის ამბავი და აღნიშნავს: „...იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად. არცა დიდითა ფასითა... და უპრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქუეყანად ბექასსა, სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“⁷⁹. მართალია, მემატთანეს აღნიშნული მოვლენა ე. წ. შეცოდებისა და ღვთაების გაწყრომის შედეგად მიაჩნია, რასაც ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ეს არ არის აქ მთავარი. აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმის დადასტურება, რომ პურიით ვაჭრობა, საფასით პურის ყიდვა, მაშინ, ფეოდალური საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა (სწორედ ამიტომ მიაჩნია მემატთანეს მისი აოკვეთა ღვთაების რისხვად), ხოლო ეს გარემოება, თავისთავად, სახალხო

77 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 325.

78 იქვე, გვ. 274.

79 იქვე, გვ. 310.

მეურნეობის განვითარების დონის დამახასიათებლად უაღრესად მნიშვნელოვანია.

როგორც ვხედავთ, ქამთაღმწერელთან XIII—XIV საუკუნეთა საქართველოს ისტორიის მრავალი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა განხილული და საგულისხმოდ გაშუქებულიც. რაც მთავარია, თითქმის ყველაფერი, რასაც ის ამბობს (რასაკვირველია, სასწაულებისა და სხვა, ბიბლიური არგუმენტაციის გარდა) პირდაპირ თუ არა პირდაპირ დამოწმებას ძალიან ხშირად სხვაგანაც პოულობს. ასე რომ ჩვენი დაკვირვებითაც, ქამთაღმწერელი ნდობის ღირსია და მისი სახით, XIII—XIV საუკუნის უთუოდ სანდო საისტორიო წყაროსთან გვაქვს საქმე.

შ. ხანთაძე

ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის
ისტორიიდან

1 (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე)

ქართველოლოგიას ევროპაში რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ ნამდვილ მეცნიერულ დარგად იგი მხოლოდ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა. ქართველოლოგიის გადაქცევა ცალკე მეცნიერულ დისციპლინად ევროპაში დაკავშირებულია გამოჩენილი მეცნიერის, პირველი სპეციალისტი ქართველოლოგის -- მარი ფელსიტე ბროსეს (1802—1880) სახელთან.

ბროსეს მიერ ამ მსრივ გაწეულ მუშაობას ჩვენ სხვა ნაშრომში ვეხებით¹, ახლა კი გვინდა ზოგადად მამოვიხილოთ ქართველოლოგიის განვითარება ევროპაში მარი ბროსემდე, ე. ი. ამ დარგის ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებამდე. ეს პერიოდი (XIX ს. 30-იან წლებამდე) ხასიათდება ევროპაში ქართველოლოგიური ცოდნის გარკვეული მარაგის შექმნით, სპეციალისტი-ქართველოლოგის გაჩენისათვის ნიადაგის შემზადებით. ამასთან ერთად, ამ პერიოდში ვხვდებით ცალკეული ქართველოლოგიური საკითხების მეცნიერული შესწავლის ცდებს, რომლებიც დარჩნენ, როგორც ღირსშესანიშნავი მიჯნები ქართველოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბების გზაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპის ხალხთა ინტერესი ქართული კულტურისადმი, საქართველოს წარსულისადმი და, საერთოდ, ქართველი ხალხისადმი მეტად მრავალმხრივ მკრავნდებოდა. იგი თავს იჩენდა მოგზაურთა დღიურებსა და ელჩების მოხსენებებში, მისიონერთა რელაციებსა და მეცნიერთა ნარკვევებში, ბელეტრისტთა შემოქმედებასა და ხალ-

¹ უნან. „ისკარი“, 1960, № 1, გვ. 107—111; შ. ხანთაძე — მარი ბროსე, თბ., 1966.

იურ ზეპირსიტყვიერებაში, კოლექციონერთა მოღვაწეობასა და ვაჭარ-მრეწველთა საქმიანობაში... მრავალ ნაკადად მიედინებოდა ევროპაში ცნობები საქართველოს ისტორიის, სულთერის კულტურისა და მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს შესახებ ევროპაში გამოქვეყნებული ცნობები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა დაკვირვებისა და შესწავლის საგანი. ჯერ კიდევ 1837 წელს მარი ბროაემ გამოაქვეყნა იმ დროისათვის ევროპაში აოსებული ლიტერატურისა და ქართულ წერილობით ძეგლთა არასრული სია². ამ ბიბლიოგრაფიულ ცნობარს კარგი სამსახურის გაწევა შეეძლო დაინტერესებულ პირთათვის. ეს იყო კვალიფიციურად შედგენილი პირველი ცნობარი არა მარტო ევროპულ ენაზე არსებული ნაშრომების შესახებ, არამედ იმ ქართულ სიძველეთა შესახებაც, რომლებიც მოიპოვებოდა იმდროინდელ ევროპასა და რუსეთში. რუსეთში დატულ ზოგიერთ ქართულ ხელნაწერთა შესახებ ბროსეს ცნობა მიაწოდა აკად. ხ. ფრენმა.

ცოტა გვიან, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი ყაზბეგმა გამოაქვეყნა კავკასიის შესახებ იტალიელ ავტორთა ნაშრომების მოკლე მიმოიხილვა³. ამასთანავე მან თარგმნა და თითქმის მთლიანი სახით დაბეჭდა პიეტრო დელა ვალეს რელიაცია საქართველოს შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მანვე გამოაქვეყნა კავკასიისა და საქართველოს შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგულ ჟურნალებში დაბეჭდილი მასალები⁴. ეს შედეგი იყო იტალიისა და საფრანგეთის წიგნთსაცემებში ავტორის ხანგრძლივი მუშაობისა. გ. ყაზბეგის ამ წერილებმა საგრძნობლად გააფართოვა მკითხველთა წარმოდგენა საქართველოს შესახებ ევროპაში არსებულ ლიტერატურაზე.

1873 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა კრიტიკულად განიხილა და შეაფასა ქართული ენის შესახებ ევროპაში გამოქვეყნებული გრამატიკული ნაშრომები⁵. ალ. ცაგარლის ეს წიგნი შესანიშნავ-

² M. Brasseur, *Éléments de la langue géorg.*, Paris, 1837, გვ. XVI-XXII.

³ Г. Казбек, *Итальянцы о Кавказе*, об. габ. «Кавказ», 1867, № 4, G. 35, 36, 40, 41, 42, 54; 1868, № 72, 73, 75, 78, 79.

⁴ Г. Казбек, *Журналы „Nouvelles annales de voyages...“ и „Journal asiatique“ о Кавказе*, об. габ. «Кавказ», 1868, № 59, 61, 63.

⁵ А. Цагарели, *О грамматической литературе грузинского языка*. СПб., 1873 г.

სიღრმითა და სისრულით აშუქებს ევროპელ ავტორთა მიღწევებს ქართული ენის შესწავლის საქმეში. საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, კვალიფიციური მსჯელობა და მაღალი მეცნიერული დონე დაწახასიათებელია ალ. ცაგარლის ამ ნაშრომისათვის.

საქართველოს წარსულის შესწავლის ხაზით ევროპელ ორიენტალისტთა მიერ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის მიმოხილვა მოცემული აქვს დ. ბაქრაძეს⁶, რომელმაც ამასთან ერთად თავის არა ერთ წერილში ხაზგასმით აღნიშნა და დაახასიათა მარი ბროსეს ღვაწლი ევროპულ ქართველოლოგიაში. დიდძალი ევროპული ლიტერატურა და საარქივო მასალა გამოავლინა და გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის. რომისა და ვატიკანის წიგნთსაცავებში მან გამოავლინა და შეისწავლა პირველხარისხოვანი ისტორიული მასალები საქართველოს შესახებ, მოგვცა მათი აღწერა და მრავალი მათგანი ვრცელი ამონაწერების სახით გამოაქვეყნა თავის ნაშრომებში⁷.

დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ევროპელ ავტორთა ცნობებისადმი და საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის საკითხისადმი ზ. ჭიჭინაძემ. გასული საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დასაწყისში მან რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე⁸. მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი ნაკლისა (წყაროების მიუთითებლობა, ციტაციის უზუსტობა), ზ. ჭიჭინაძის ეს ნარკვევები ჩვენი ისტორიოგრაფიის საინტერესო შენაძენია.

1908 წ. ივ. ჭავჭავაძემ კრიტიკულად განიხილა ევროპელ მეცნიერთა შეხედულებები ქართული ენის ბუნებისა და წარმოშობის საკითხზე⁹.

⁶ დ. ბაქრაძე, შრომა ევროპელ მსწავლულთა, განსაკუთრებით ბროსეს ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში, იხ. „ივერია“. 1883. № 3; მისივე — Статьи по истории и древностям Грузии, СПб, 1887.

⁷ იხ. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902; მისივე — L'Église géorgienne... 1910. Rome. მისივე, ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში, „ივერია“, 1903, № 137; შდ. შ. ლომსაძე, მ. თამარაშვილი, თბ., 1963.

⁸ ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს შესახებ ევროპელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, თბილისი, 1895; მისივე — უმთავრესი მიზეზები ქართველთა მემართ რომის ყურადღებისა, თბილისი; მისივე — საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან XII ს. და სხვა.

⁹ И. А. Джавахов, Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка, иб. ЖМНП, 1908, т. XVI, № 8, стр. 241—258.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ევროპელ ავტორთა თხზულებების თარგმნა (ნაწყვეტებად) და გამოქვეყნება ქართული პერიოდიკის ფურცლებზე მე-19--20 საუკუნეებში. ჩვენი პერიოდიკა ამ მხრივ დიდძალ მასალას გვაწვდის. მთარგმნელები და გამომქვეყნებლები ზოგ შემთხვევაში საინტერესო კომენტარებსა და მიმოხილვებს ურთავენ ევროპელ ავტორთა ცნობებს. მათი ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა. ქვემოთ თავ-თავის ადგილზე მივუთითებთ მათზე.

როგორც ვხედავთ, რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია საკმაო ყურადღებას უთმობდა ევროპულ ლიტერატურას საქართველოს შესახებ, აქვეყნებდა და იყენებდა მას.

კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა ევროპელ ავტორთა ნაშრომებსა და მათ ცნობებს საქართველოს შესახებ საბჭოთა პერიოდში. ითარგმნა და გამოქვეყნდა არქანჯელო ლამბერტის, შარდენის, დიუბუა დე მონპეროსა და სხვათა ნაშრომების ის ადგილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქართველოს შესახებ. კრიტიკულად იქნა შესწავლილი და შეფასებული ევროპულ ავტორთა არა ერთი თხზულება. ამჟამად აკად. ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის განყოფილებები საგანგებოდ სწავლობენ ევროპულ ავტორთა ცნობებსა და მათ შეხედულებებს ჩვენი ქვეყნის წარსულზე.

აკად. ს. ჯანაშიამ სპეციალური წერილი უძღვნა აბატ დე ლა პორტის ცნობებს საქართველოს შესახებ და გამოარკვია მათი რუსული თარგმანის ინტერპოლაციების წყარო¹⁰. პროფ. ს. კაკაბაძემ 1940 წ. გამოაქვეყნა პეისონელის ცნობები და მათ საფუძველზე შეისწავლა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესები საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნის შუა ხანებში¹¹. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის ნარკვევი მე-16 საუკუნის ენათმეცნიერთა მიერ ქართული ენის შესწავლის ცდებზე¹². მ. ხუბუაძე

¹⁰ ს. ჯანაშია, დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ... იხ. მსკი. 1937, ნაკვ. III.

¹¹ ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 ს., იხ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940, გვ. 109—123.

¹² ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხურისა და ქართული ენის კვლევის ისტორიიდან (დას. ევროპაში XVI ს. პირველ ნახევარში, თსუ შრომები, III, 1936, გვ. 234—252.

ვამოაქვეყნა ჰანვეის ცნობები სპარსეთში მოღვაწე ქართველების შესახებ¹³. არა ერთი ნაკვეთი მიეძღვნა რომში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვის ისტორიასა და ამ საქმის მონაწილე ქართველს — ნიკიფორე ჩოლოყაშვილს. ევროპელ ავტორთა ცნობების კრიტიკულ განხილვას ვხვდებით პროფ. ვ. გაბაშვილის, ქრ. შარაშიძის, პროფ. გ. ყორღანაის, ბ. გიორგაძისა და სხვა ავტორთა შრომებში. ევროპელ ავტორთა ცნობებს გულმოდგინედ სწავლობენ აგრეთვე ევროპული ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტები (ნ. კაკაბაძე, შ. რევიშვილი, ნ. ორლოვსკაია და სხვები). ყველა ნაშრომის ჩამოთვლა და განხილვა, ვფიქრობთ. საპირობას არ წარმოადგენს. უდავო ფაქტია, რომ ევროპული ლიტერატურა და ევროპელთა შესედულებები საქართველოს შესახებ დიდი ყურადღებით სარგებლობს ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ევროპელ ავტორთა ცნობებს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ თუ უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში (ზ. ავალიშვილი, მ. თარხნიშვილი, ა. მანველიშვილი, დ. ლენგი, ჯ. ალენი და სხვანი). მათვე მოეპოვებათ საკმაოდ მდიდარი ბიბლიოგრაფიული მითითებები ევროპულ წყაროებსა და ლიტერატურაზე. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში გამოქვეყნდა რამდენიმე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი საქართველოს ირგვლივ. მათი საშუალებით მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა რამდენადმე სრული წარმოდგენა იქონიოს ევროპაში საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურაზე¹⁴.

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფ. მ. პოლიექტოვის ნაშრომს: „Европейские путешественни-

¹³ მ. ხ უ ბ უ ა, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, ვენიკის „მოამბე“, V—VI, თბილისი, 1940.

¹⁴ ესენია: Ch. Beridzé, Bibliographie française de la Géorgie, *ib.* Revue de Bibliothèque, vol. 38—39, P. 1931—1932. L.-H. Malclès-Les sources de travail Bibliographique, Geneve, 1950, vol. I, გვ. 302—336. ამ წიგნში შესული ბიბლიოგრაფია საქართველოს შესახებ ეკუთვნის ა. ჯაფარიძეს. ცნობა მოგვაწოდა დოც. ა. ჩ ხ ე ი ძ ე მ, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ. H. Rohrbacher — Materialien zur georgischen Bibliographie, Teil I, Deutsches Schrifttum, *ib.* ყურნალი «Bdci Kartlisa», 1959, № 32—33, გვ. 105—144. ძველი ბიბლიოგრაფიული ცნობარების (შოანსაროვი, ბეგიჩევი, პაგიჩევი და სხვ.). დასახელება ზედმეტად მიგვაჩნია.

კი по Кавказу“, ტ. I, 1935 წ.: ტ. II, 1946 წ. პირველი ტომი XVII: საუკუნის დამლევამდე მოდის, მეორე ტომი კი მოიცავს 1801--1830 წლებს. ეს ნაშრომი იშვიათი გულმოდგინებითა და სისრულაით არის შედგენილი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მეორე წიგნში ორიოდ ავტორია გამოტოვებული, ხოლო ასევე. ორიოდ ავტორის ვინაობაზე ბიბლიოგრაფიული ცნობები სრულ არ არის (ამაზე ქვემოთ), მ. პოლიექტოვის წიგნი წარმოგვიდგება. საქართველოსა და კავკასიის შესახებ ევროპულ და რუსულ ენებზე არსებული ლიტერატურის უნივერსალურ საცნობარო წიგნად. რომელსაც შეუძლია უდიდესი სამსახური გაუწიოს საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს. სწორედ ასეთი სამსახური გაგვიწია მან. კერძოდ. ჩვენც. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნაშრომი გამოიცა სომხეთშიც¹⁵.

ევროპული ქართველოლოგიის განვითარების საერთო სურათის მოცემა, ჭერჭერობით, არავის უცდია. შესაძლებელია ამაჟამად ეს ნაადრევიც იყოს. ჭერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაველინებელი და შესასწავლი ამ ხაზით. მაგრამ დრო და დრო ჩატარებული მუშაობისათვის თვალის გადავლება და საკითხის ზოგადი მონახაზის შედგენა მაინც აუცილებელია ხოლმე. სწორი თვალსაზრისის შემთხვევაში ამგვარ ზოგად მიმოხილვას შეუძლია საშაბურ გაუწიოს საკითხის შემდგომ შესწავლას¹⁶.

1. აღწერილობითი ლიტერატურა

ცნობები საქართველოს შესახებ დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნების დროიდან ჩნდება¹⁷. ჯვაროსნულმა ომებმა, როგორც

¹⁵ კ. კაკობიანი, მოგზაურობათა აღწერა (!.ო.მ. ენაზე), ტ. I, (1253 — 1582). ერევანი, 1932. იგივე, ტ. VI, ერევანი, 1934. სხვა ტომები ვფიქრობთ, არ გამოკვეთა.

¹⁶ წინამდებარე ნარკვევის თემა თავისი ხასიათით ქმნიდა საშიშროებას. ეს წერილი გადაქვეულიყო ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიულ ცნობარად. ვცდილობდით რა თავი დაგვეღწია ამისათვის, ჩვენ შეგნებულად ავეუარეთ გვერდი ყველა ნაშრომის დასახელებას და მათი შინაარსის ვაღმოცემას. მაგრამ, როგორც ვატყობთ ამ სიძნელეს მთლიანად თავი მაინც ვერ ვავართვით.

¹⁷ ჩვენ მხედველობაში გვაქვს შუა და ახალი საუკუნეების ევროპა, რომელიც ძველი რომის ნანგრევებზე აღმოცენდა და რომელშიც თანამედროვე ევროპელი ერები განვითარდნენ. ძველი დროის ბერძენ და რომაელ ავტორებს ჩვენ ახლა არ ვეხებით, თუმცა კარგად გვესმის, რომ ისინი ევროპული ლიტერატურის წარმომადგენლები არიან. მათი ცნობები საქართველოს შესახებ ერთ-ერთი წყარო იყო ევროპელთათვის საქართველოს გაცნობის საქმეში.

ცნობილია, ერთგვარად გაარღვიეს შუა საუკუნეების ევროპის ზღუდეები და მისი ხალხები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიიყვანეს. თურქ-სელჯუთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გაიცნეს ერთმანეთი ევროპელებმა და ქართველებმა. ბუნებრივია, რომ ევროპელთა უძველეს ცნობებში საქართველოს შესახებ აისახა სწორედ ამ ბრძოლის მომენტები და მოცემულია მისი მნიშვნელობის შეფასება. ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი, ანტიოქიის ომების მეჩატიანე გოტიე იძლევა დიდგორის ომისა და ამ ომში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღწერას (1121 წ.). ტენდენციურად განწყობილი ავტორი ამ დიდ გამარჯვებას თურქ-სელჯუთა კოალიციურ ლაშქარზე, ხსნის დაეთ აღმაშენებლის ჯარში 200 ფრანგი რაინდის ყოფნით. ეს რაზმი, როგორც ჩანს, დაქირავებული ჰყოლია საქართველოს მეფეს¹⁸.

გოტიეს თვალსაზრისით საქართველო იყო ის დიდი ზღუდე, რომელიც ეღობებოდა წინ თურქ-სელჯუტებს ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუკი თურქები დაამარცხებდნენ ქართველებს, მათ გაეხსნებოდათ გზა ანტიოქიისა და სხვა ქვეყნების ქრისტიანების გასაწვევტად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და დიდგორის ველზე თურქ-სელჯუტებმა სასტიკი დამარცხება იწვნინეს. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯვაროსნები ქართველთა ბრძოლას თურქ-სელჯუტა წინააღმდეგ, რა სასოებითა და იმედით შეჰყურებდნენ ისინი ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობებს საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით გამოთქვა იერუსალიმელმა ბერმა ანსელიუსმა,

¹⁸ გოტიეს ნაშრომი: *Bella antiochiena*, 1121, პირველად გამოქვეყნდა 1611 წ., შემდეგ დაიბეჭდა კრებულში: *Recueil des historiens de Croisades. Auteurs occidentaux*, V, P, 1895. იხ. ზ. ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, პარიზი, 1929. შდრ: ს. კაკაბაძე, *დაეთ აღმაშენებლის ორი დიდი ომი*, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, IV, 1942; ი. ბერაძე, *საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის*, თსუ შრომები, 87, 1960. შ. მესხია, *დიდგორის ბრძოლა*, თბ. 1965, შდ. აგრეთვე — L. Bloy, *Constantinople et Byzance*, P. 1917, გვ. 151—201.

რომელმაც საქართველოს პირდაპირ უწოდა „ჩვენი ავანპოსტი მიდიელების და სპარსელების წინააღმდეგ“¹⁹.

ასეთივე განწყობილებით არის გამსკვალული XIII საუკუნის დასაწყისში მცხოვრებ რაინდ დე-ბუას წერილი ბიზანსონის არქივისკოპოსისადმი. აქ ავტორი ალტაცებით ლაპარაკობს იერუსალიმის გასანთავისუფლებლად ქართველთა განუზოციელებელ ლაშქრობაზე. მას იგი მომხდარი ფაქტი ჰგონია (ქართველთა უთვალავმა ლაშქარმა უკვე აიღო 300 ციხე და 9 ქალაქი...) და მის მიზნად ასახელებს წარმართთა მთელი სამყაროს დაპყრობას, თამარის ანდერძის შესრულებას — მის დაშარბვას იერუსალიმში²⁰.

როგორც ჩანს, იმდროინდელი ევროპა ცხოველმყოფელ დაინტერესებას იჩენს საქართველოა მიმართ. საქართველოს შესახებ ცნობები მოეპოვებათ შუა საუკუნეების ევროპელ მემატიანეებს: ორდერიკი ვიტალის (XII ს.), ვილჰელმ ტვირელს (XIII ს.), ეაკ დე ვიტრის (XIII ს.) და სხვებს²¹.

თითქმის იმავე ხანებში, თუ ცოტა უფრო ადრე არა, ცნობები საქართველოზე რუსეთშიაც ჩნდება. რუსი მემატიანის ცნობა—ზი-ასლავ მტიხლავის ძის მიერ ქართველთა მეფის ასულის ცოლად შერთვის შესახებ, საქართველოს მოხსენიება ვლადიმერ მონომახის მთავრობის დასასრულის ამბებთან დაკავშირებით, „Liber generationis“ რუსულად მთარგმნელის განმარტება „იბერისა“ და „ობეზის“ იდენტურობის შესახებ, თქმულების გაჩენა დინარ დედოფალზე და მისი პოპულარობა რუსეთში, და სხვა ამგვარი ცნობები იდასტურებენ რუსი ხალხის ცხოველ ინტერესს საქართველოსა და ქართველების მიმართ²².

¹⁹ ანაელიუსის წერილი დაიბეჭდა Migne-ის პატროლოგიის 162-ე, ტომში და წიგნში: *Carulaire général de Paris...* par R. de Lastayrie, P., I, 1887, გვ. 171—172. ცნობა მოგვაქვს ზ. ავალიშვილის ზემოდასახელებულ წიგნიდან.

²⁰ საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., ნაწ. I, 1948, გვ. 225.

²¹ იხ. ზ. ავალიშვილის დასახ. ნაშრომი. IV ნარკვევი, „სხივი დასავლისა“.

²² ი. ცინცაძე, ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში, XI, XII, XIII საუკუნეებში, ენიშკის შოამბე, IV, გვ. 86—95. მისივე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XV სს.), თბ., 1956, იხ. აგრეთვე — П. Б. Утков — О браках князей русских с грузинками... იხ. «Сев. Архив», 1825, XIII.

XIII საუკუნეში საქართველოს ძლიერება მონღოლებმა შე-
მუსრეს. საქართველო ჩაიძირა მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის
ზღვაში და ევროპაში კარგახანს არათფერი იცოდნენ იმის შესახებ.
თუ რა ბედი ეწიათ მონღოლთა ბატონობის პირობებში ამიერკავ-
კასიის ქრისტიან ხალხებს. რუსუდან მეფისა და სხვა ქართველ
მოდვაწეთა მიწერ-მოწერა რომის პაპთან კარგად ადასტურებს.
რომ იმ დროს ევროპაში საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა
ჰქონდათ საქართველოზე²³.

მონღოლთა იმპერიამ იმთავითვე მიიპყრო ევროპის სახელმწი-
ფოების ყურადღება. ამ ქვეყნებმა მონღოლების სახით დაინახეს
მოკავშირი ძალა თურქ-სელჩუთა წინააღმდეგ ბრძოლაში და გადა-
წყვიტეს მისი გამოყენება. რომის პაპმა და საფრანგეთის მეფემ ელ-
ჩები გაგზავნეს მონღოლთა იმპერიაში და დაავალეს გამოერკვიათ
ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. აღმოსავლეთში ნამყოფმა
ელჩებმა საინტერესო ცნობები ჩაიტანეს ევროპაში მონღოლთა
უღელქვეშ მოხვედრილ ხალხთა შესახებაც. ამავე დროს, აღმოსავ-
ლეთის ქვეყნებში მისიონერებიც გაიგზავნენ. საქართველოში ნამ-
ყოფი მისიონერებიც იაკობ როგასანელის (1223—1224), ივანე მონ-
თეკორბინელის (1289 წ.) და, ვანსაკუთრებით კი, ორი ათეული წლის
განმავლობაში საქართველოში ნამოდვაწარ ივანე ფლორენცი-
ელის (XIV ს. 20-იანი წლები) რელაციები. რომლებიც ვატიკანის
არქივში იყრიდნენ თავს, უხვად შეიცავდნენ ცნობებს საქარ-
თველოს შესახებ.

იმავე ხანებში პალესტინაში და ათონის მთაზე ნამყოფმა
რუსმა პილიგრიმებმა აღწერეს იქაური ქართული მონასტრები²⁴.

ქრისტიანული ევროპის ინტერესს აღმოსავლეთისადმი გარ-
კვეულად აძლიერებდა შუა საუკუნეების მთარული ლეგენდა
აღმოსავლეთ აზიაში იოანე მღვდლისა და მისი შვილის დავითის

²³ ეს მიწერ-მოწერა ნაწილობრივ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გამო-
ქვეყნდა წიგნში: Odericus Reynaldus-Annales ecclesias tici, 1667, Roma,
იხ. Г. К а з н е к, დასახელებული ნაშრომი, გაზ. «Кавказ», 1867, № 4.
მეორედ გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა — ისტორია კათოლიკობისა... გვ. 7—
18.

²⁴ Б. М. Д а н ц и г, Из истории русских путешествий и изуче-
ния Ближнего Востока в допетровской Руси, иб. Очерки по ист. русс.
востоков., I, 1953, გვ. 195—213.

მიერ შექმნილი ქრისტიანული სამეფოს არსებობის შესახებ²⁵. ამავე ინტერესით იყო ნაკარნახევი ზრუნვა აღმოსავლური ენების შესწავლაზე. 1243 წელს პარიზში არსდება არაბული ენის კათედრა, ხოლო 1312 წ. ვენაში ევროპის სახელმწიფოების მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შეექმნათ აღმოსავლური ენების კათედრები რომში, პარიზში, ბოლონიაში, ოქსფორდსა და სალამანკაში²⁶. ეს გადაწყვეტილება იმ ხანად ვერ განხორციელდა.

ოტა გვიან, XIV—XV საუკუნეებში, თურქ-ოსმალების გაძლიერებამ ახალი საფრთხე შეუქმნა ევროპის ქვეყნებს. აღმოსავლეთისაკენ დაიძრა ევროპელი ელჩებისა და მოგზაურების ახალი ტალღა. თურქეთის მზარდი ძლიერებით შეშფოთებული ევროპის ქვეყნები მოკავშირეს ეძებდნენ მტრის ზურგში და ესპანელი, ვენეციელი თუ გერმანელი ელჩები ხშირა სტუმრები გახდნენ თემურ-ლენგის, უზუნ-ჰასანისა და შაჰ-აბასის კარზე. თავის მხრივ, იმავე ხანებში საქართველოც გზავნის თავის ელჩებს ევროპაში (რომში, საფრანგეთში, ესპანეთში) და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდებს ევროპის ქვეყნებს. ყოველივე ამის წყალობით ევროპაში ახალი ცნობები იყრის თავს საქართველოს შესახებაც. ი. გუტენბერგის გენიალური გამოგონების წყალობით ეს ცნობები ხელმისაწვდომი ხდება ევროპელი მკითხველისათვის.

მაგრამ ყველაზე ადრე დაბეჭდილი ასეთი წიგნი არც ელჩს ეკუთვნოდა და არც მისიონერს. 1460 წლის ახლოს აუსბურგში გამოქვეყნებული მიმუარები ეკუთვნოდა იოანე შილტბერგერს — ოცი წლის განმავლობაში ჯერ თურქებისა, ხოლო შემდეგ, თემურისა და თემურიდების ტყვეობაში ნამყოფ ბავარიელ რაინდს, რომელმაც თავის მბრძანებლებთან ერთად მცირე ხნით დაჰყო დასავლეთ საქართველოში. მისი წიგნიდან მკითხველი შეიტყობდა, რომ საქართველოს სამეფო ქრისტიანებით დასახლებული ქვეყანაა, მის ნაწილებს შეადგენს აფხაზეთი, სამეგრელო, დიდი ქა-

²⁵ В. В. Бартольд. О христианстве в Средней Азии в до-монгольский период, сб. Зап. ВОИРАО, VIII, гл. 1—32.

²⁶ В. В. Бартольд — История изуч. Востока, Л., 1924, гл. 77; შტრ: G. D u g a t. Histoire des orientalistes de l'Europe, I, Paris, 1868, შესავალი.

ლაქებია სოხუმი, ბათუმი და სხვ. ქართველები საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ, ისინი ძალიან მამაცნი არიანო — შენიშნავს ი. შილტბერგერი²⁷.

იმავე XV საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა ვენეციელი ელჩის ამბროზიო კონტარინის ჩანაწერები აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ. ამ ნაშრომში ასახულია ის მძიმე და დაძაბული ვითარება, რომელიც იყო საქართველოში მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში. ქვეყანა იმ დროს პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცების პროცესს განიცდიდა და ამ პროცესს თან ახლდა განუწყვეტელი შინაომები, ურთიერთთავდასხმები, ხალხის რბევა და აწიოკება. ასეთ ვითარებაში ა. კონტარინის მრავალი ხიფათი გადახდა თავს, იგი ბევრჯერ ჩავარდა გაჭირვებაში და კმაყოფილი დარჩა, როცა უვნებლად გააღწია ამ ქვეყნიდან. ამიტომ, რომ იგი მძიმე შთაბეჭდილებების ქვეშაა, მეტად მუქ ფერებში აღწერს ხალხსა და ქვეყანას, არც თუ სიმპატიით ლაპარაკობს მათზე. კონტარინი ჩამოთვლის და აღწერს საქართველოს სხვადასხვა ნაწილებს (სამეგრელოს, იმერეთს, ქართლს) და დასახლებულ პუნქტებს (ბათუმს, ფოთს, ქუთაისს, სკანდას, გორს, თბილისს), იძლევა მოკლე ცნობებს ქვეყნის მეურნეობაზე (მევენახეობა-მელვინეობა, მარცვლეული კულტურები, ხელოსნობა, ვაჭრობა) და ხალხის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებაზე. იგი ხაზს უსვამს ქართველთა ქრისტიანობას და იქვე დასძენს — ბერძნულ რწმენას აღიარებენო²⁸.

²⁷ J. Schiltberger, Reisen in Europa, Asia und Africa... რუს. ენაზე: Путешествия Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394—1427; Записки Новороссийского Университета, т. I, вып. I—II, Одесса, 1867, გვ. 30, 40—46. თარგმანი ეუთუნის ფ. ბ რ უ ნ ს და აღჭურვილია მისი მრავალრიცხოვანი შენიშვნებით. შდრ.: М. Полневков, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 97—99. შილტბერგერის შემუშარები ძალიან პოპულარული იყო ევროპაში, იგი მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა.

²⁸ Ambrosio Contarini, Il viaggio... რუს. ენაზე: Путешествие Амбросия Контарини... к Узун-Гассану, совершенное в 1473 году, сб. Библиотека иностранных писателей о России, т. I, отд. I, СПб, 1896, გვ. 1—130 (აქვეა იტალიური ტექსტი, გვ. 131—189). ნაწყვეტები კონტარინის თხზულებიდან, ქართულად, იხ. უფრ. „მოამბე“, 1894, № 11, (განც. II); გვ. 45 და შმდ.

მე-16 საუკუნეში ევროპაში ქვეყნდება მოგზაურობათა აღწერილობების რამდენიმე კრებული. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, ანტონიო მანუჩიოს მიერ, 1541—1543 წლებში, ვენეციაში გამოცემულ კრებულში, ა. კონტარინის შემოხსენებულ ნაშრომთან ერთად გამოქვეყნებულია მეორე ვენეციელი ელჩისა და მოგზაურის — იოსაფა ბარბაროს ჩანაწერები აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ. ი. ბარბარო კონტარინზე აღრე იყო საქართველოში და სულ სხვა შთაბეჭდილებით წავიდა აქედან ვიდრე ეს უკანასკნელი. იგი გულთბილად აღწერს ჩვენს ქვეყანას. აღნიშნავს მის მთაგორიანობას, ბუნების მრავალფეროვნებას. ტყეების სიმრავლეს. საქართველო მშვენიერი ქვეყანაა — წერს იგი — მდიდარია საქონლით, პურიით, ღვინით, ხილით. მცხოვრებნი ტანმალაღნი და ლამაზი ხალხია. ღირსშესანიშნავი ქალაქებია თბილისი და გორი. შემდეგ ბარბარო აღწერს ქართველთა ზოგიერთ ზნე-ჩვეულებასა და ჩაცმულობას²⁹.

მეორე კრებულში, რომელიც ჯოვანი რამეზიომ იმავე ხანებში გამოაქვეყნა ვენეციაში, კონტარინისა და ბარბაროს შემუარებთან ერთად, დაიბეჭდა ძენო კატარინოს. ანჯიოლელოსა და მარკო პოლოს ჩანაწერები აღმოსავლეთში ყოფნის შესახებ. ძენო კატარინო და ანჯიოლელო სპარსეთში უზუნ-ჰასანის კარზე ცხოვრობდნენ კარგახანს. ისინი ახლდნენ სპარსეთის შაჰს საქართველოში შემოსევების დროს, ძენო კატარინო — 1471 წელს, ანჯიოლელო — 1477 წელს. მათ მოეპოვებათ ამ ლაშქრობების აღწერა³⁰.

მარკო პოლო საქართველოში არ ყოფილა. ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ მან შეკრიბა საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან გავლის დროს. იგი იხსენიებს თბილისს, ლამაზსა და მდიდარ ქალაქს, რომელსაც ირგვლივ ციხეები და სოფლები არტყია.

²⁹ Josafa Barbaro, *Il viaggio...*—რუს. ენაზე ერთი ნაწილი: Путешествие в Тану Иосифа Барбаро... იხ. Библиотека иностранных писателей о России», იქვე. ნაწყვეტები ქართულად შურნ. „მოამბეში“, იქვე.

³⁰ კატარინოს ნაშრომს ეწოდება *Storia della sue avventure in Persiae*, ანჯიოლელოსას: *Brave relatione della vita et fatti de Usuncassano*. ეს თხზულებები შესულია აგრეთვე პანკლითის კრებულში: *A narrative of Italian travels in Persia in XV—XVI c.*, Hancluyt series, I, vol. 49, L. 1870.

მცხოვრებნი მისდევენ ხელოსნობას, ამზადებენ აბრეშუმის ქსოვილს. ქართველები — წერს მარკო პოლო — ლამაზნი და მამაცნი არიან, შესანიშნავად ისვრიან მშვილდ-ისარს და კარგ მებრძოლებად ითვლებიან³¹.

მე-16 საუკუნის დამლევს (1589 წ.) ლონდონში, ჰანკლითის კრებულში გამოქვეყნდა XIII საუკუნის ელჩთა და მოგზაურთა გ. რუბრუკისის, პლანო კარპინის და სხვათა ჩანაწერები. გ. რუბრუკისი იყო საქართველოში, მან აქ გაიცნო სამცხის მთავარი შანშე და მისი შვილი ზაქარია, მას მოეპოვება შენიშვნები სამცხის შესახებ. რუბრუკისი იხსენიებს თბილისს. პდ. პტკეარს, მტკვრის სახელიდან გამოჰყავს ქართველების სახელი გურჯი, და დასძენს — ჩვენ მათ გეორგიელებს ვეძახითო. პლანო კარპინი არ ყოფილა საქართველოში. მის ჩანაწერებში საუბარია მხოლოდ იმ ქართველებზე, რომლებიც მას ყარაყორუმში უნახავს. ესენი იყვნენ საქართველოს უფლისწულები — დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე, მათი მსლებლებითურთ. პლ. კარპინს იქ შეუტყვია, რომ ქართველები მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებიანო³².

საქართველოს შესახებ მცირეოდენ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე თემურ ლენგთან ნამყოფი კასტილიელი ელჩის რუი გონსალეს დე კლავიხოს და გერმანიის იმპერატორის მიერ შაჰ-აბასთან გაგზავნილი ელჩის სტ. კაკაშის მდიენის იაბელ-გეორგ ტექტანდერის ჩანაწერებში მათი მოგზაურობის შესახებ. ქართველები შესანიშნავი აღნაგობისა და ლამაზი შესახედიობის ხალხია — წერდა კლავიხო — მათი რწმენა ბერძნულია და ენა საკუთარი აქვთო³³. ტექტანდერს კი მოეპოვება ცნობა კახეთის მეფესთან, ალექსანდრესთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ. კახეთის მე-

³¹ Книга Марко Поло, М., 1955, გვ. 57, 58, 252 შენ.

³² გ. რუბრუკისისა და პლ. კარპინის ნაშრომები ქართულად გამოქვეყნებულია მსკი-ში, 1942, ნაკვ. II და V. ორივე ძეგლის თარგმანი ეკუთვნის გ. ქიქოძეს.

³³ კლავიხოს ნაშრომი: Vida y Hasanas des Gran Tamerlan... რუს. ენაზე გამოქვეყნებულია: Сборник отд. языка и литературы ИАН, ტ. XXVIII, № 1, გვ. 1—388. საქართველოს შესახებ იხ. გვ. 381—388.

უცეს გამოუთქვეს სურვილი, დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის იმპერატორთან — რუდოლფ მეორესთან³⁴.

XVI საუკუნის ბოლო წლები და XVII საუკუნის დასაწყისი ახლო აღმოსავლეთში დიდხნიძენელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ირან-ოსმალეთის ომი განახლდა, შაჰ-აბასმა დიდი რეფორმები განახორციელა და სპარსეთის სახელმწიფო გაქლიერების გზაზე დააყენა. რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მან ოსმალეთს ხელიდან გამოსტაცა თითქმის მთელი ამიერკავკასია... ევროპელი ელჩები და მისიონერები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ამ მოვლენებს. ცხოველდება ინგლისის ურთიერთობა ირანთან, მრავლდება ევროპელ აგენტთა რიცხვი ახლო აღმოსავლეთში. ევროპაში ზედიზედ გამოდის ნაშრომები (მემუარები და ჩანაწერები) ირანისა და თურქეთის ამბებზე (თომაზო მინადლი, დონზუან სპარსელი, ჟან-ჟან ბუასარდი, ბოდერო ჯოვანი, ა. ჯენკინსონი, ს. შვაიგერი, ანტონიო გოვეია და სხვანი). ამ ნაშრომებში საკმაოდ საინტერესო ცნობებია მოყვანილი საქართველოზეც. ამ ლიტერატურაში აღწერილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და პირობები, ქართველების ბრძოლა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ, ირანში, ოსმალეთში მოღვაწე ქართველების თავგადასავალი და სხვა. მათი საშუალებით ევროპელ მკითხველს, ირანისა და ოსმალეთის ამბებთან ერთად, გარკვეული წარმოდგენა შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოს მდგომარეობაზედაც.

ახლა, თუ ერთი თვალის გადავლებით გადავხედავთ XIII—XVI საუკუნეებში საქართველოს შესახებ ევროპაში შექმნილ აღწერილობით ლიტერატურას, შევნიშნავთ, რომ მათი ავტორების დიდი უმრავლესობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ნამყოფი ელჩები და მოგზაურები არიან. ეს ელჩები გავლით ეცნობოდნენ ჩვენს ქვეყანას. საქართველო მათთვის არ გაჰხდარა ბანგრძლივი დაკვირვებისა და ბეჭითი შესწავლის საგანი, როგორც ეს მომდევნო ხანაში მოღვაწე მისიონერთათვის იყო. ევროპის სახელმწიფოების უურადლება იმხანად მონღოლეთისაკენ და ირანისაკენ იყო მიპყ-

³⁴ М. Полиевктов, *დასახ. ნაშრომი*, I, გვ. 182—184. ტექტანდარი რუს. ენაზე: *Чтения в обществе истории и древностей российских при МГУ*, II, 1896.

რობილი, სადაც ისინი მოკავშირეებს ეძებდნენ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამიტომ, მათი ელჩების ჩანაწერებში საქართველოსა და ქართველებს მთავარი ადგილი არ ეკავათ. ამით აიხსნება, რომ მათი ლიტერატურა საქართველოს შესახებ, ცნობების სიუხვითა და შინაარსის სიმდიდრით, საგრძნობლად ჩამოუვარდება შემდგომი პერიოდის ლიტერატურას, რომელსაც უმთავრესად ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივად ნამყოფი მასიონერები გვითვებენ. ამასთან ერთად, XVII საუკუნიდან ახლო აღმოსავლეთის ხშირი სტუმრები ხდებიან ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტები, ვაჭრები-მოგზაურები, რომელთა ჩანაწერებიც მდიდარი შინაარსით გამოირჩევა.

ფეიქრობთ, პირობითად, XIII—XVI საუკუნეებს, ევროპული აღწერილობითი ლიტერატურის თვალსაზრისით, შეიძლება ვუწოდოთ ელჩებისა და მოგზაურების ხანა.

ამავე პერიოდის რუსეთში ცნობები საქართველოს შესახებ. ჯერ კიდევ ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. დინარ დედოფალზე თქმულების გვერდით, ქართული თემა და ქართველები სხვა თქმულებებშიც ჩნდებიან. ასეთი თქმულებები იყო: თქმულება ივერიის ღვთისმშობლის ხატზე, თქმულება ბაბილონის სამეფოზე. თქმულება ვლადიმირის მთავრებზე და სხვ. ამასთანავე, რუსულ მატრიანეებში თავს იჩენს ზოგიერთი ფრაგმენტული ცნობა საქართველოზე, ასეთია, მაგალითად, ცნობა ქართველი ელჩების მოსკოვში ყოფნის შესახებ — XV ს. დამლევეს. ხოლო, XVI საუკუნის დამლევეს და მე-17 საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის გამოცოცხლებისა და გაძლიერების შედეგად, რუსეთში ელჩებს დიდძალი ცნობები ჩააქვთ საქართველოზე. ისინი აღწერენ საქართველოს გეოგრაფიულ, პოლიტიკურ-ეკონომიურსა და კულტურულ მდგომარეობას... მაგრამ იმხანად მთელი ეს მასალა რუსეთის მთავართა არქივთსაცავებს არ გასცილებია და გამოქვეყნებული არ ყოფილა.

XVII საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა რომის პაპის მისიონერთა მომრავლება ახლო აღმოსავლეთში. ამ მოვლენას თავისი მიზეზები გააჩნდა: რეფორმაციამ და დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების ეკლესიების ჩამოცილებამ რომი აიძულა ყურადღება გაექცია აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი, ეზრუნა ამ ქვეყნებში კათოლიციზმის ქადაგებაზე, რათა რამდენადმე მაინც შე-

ეკსო დასავლეთში განცდილი დანაკლისი. რომში 1622 წელს შეიქმნა აონგრეგაცია, რომლის მიზანი იყო კათოლიკობის გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნებში. რამდენიმე წლის შემდეგ დაარსდა ე. წ. ურბანის კოლეგიუმი (Collegium Urbanum), სადაც აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს კათოლიციზმის საფუძვლებს ასწავლიდნენ და სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ. ქართველებს ამ კოლეგიაში ორი ადგილი ჰქონდათ დათმობილი³⁵.

საქართველოში მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ძლიერდება მისიონერთა მოღვაწეობა. 1614 წ. სამეგრელოში ვხედავთ იეზუიტ გრანეეს, 1626 წლიდან საქართველოში თეათინელთა მისია მკვიდრდება პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით. მისიონერთა წრეში იქმნება პირველხარისხოვანი აღწერილობითი ლიტერატურა (ლამბერტი, კასტელი), იქმნება ქართული ლექსიკონები, გრამატიკული ნაშრომები და სხვ.

1621 წ. ნეაპოლში დაიბეჭდა პაოლო და ფენცას პატარა წიგნი საქართველოს შესახებ, 1627 წ. რომში გამოდის პიეტრო დელა ვალეს ვრცელი და შინაარსიანი რელაცია, ცოტა გვიან იბეჭდება არქანჯელო ლამბერტის შრომები დასავლეთ საქართველოზე.

პაოლო და ფენცა³⁶ ქებით იხანეიებს ქართველებს (სულით ცოცხალი ხალხია, ძალზე მამაცი, კარგი ქცივის. ქალები ლამაზები არიან, ტანადი, მალეები...), ხაზს უსვამს მათ თავდადებას ქრისტიანობისათვის და, მოკლედ, აღწერს ხალხის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებას. პიეტრო დელა ვალეს³⁷ მოეპოვება საქართველოს გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის ვრცელი აღწერა, იგი აღწერს, აგრეთვე, ქართველების თავდადებულ ბრძოლას შაჰ-აბა-

³⁵ ამ საკითხებზე იხ. მ. თამარაშვილის დასახ. ნაშრომი; ტ. კასრატის დისერტაცია—რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში, 1947, ხელნაწერი თსუ ბიბლიოთეკაში; А. Х а х а н о в — Есть ли грузино-католики? Кутаис, 1900.

³⁶ Sincera relatione dei regni della Georgia, მთლიანად აქეს დაბეჭდილი მ. თამარაშვილს. იხ. მისი — L'Eglise géorgienne... გვ. 494—496.

³⁷ Informazione della Georgia, რუს. ენაზე: Г. К а з н е к. დასახ. ნაშრომი, იხ. «Кавказ», 1867, № 41, 42. ქართულად — „ივერია“, 1879, № 3, გვ. 29—64.

სის წინააღმდეგ, მათ მარცხს, შაჰ-აბასის ღონისძიებებს, თეიმურაზის საქმიანობას და სხვ. რაც შეეხება არქანჯელო ლამბერტის თხზულებებს³⁸, განსაკუთრებით სამეგრელოს აღწერას, მისი მდიდარი შინაარსი, მრავალმხრივი ხასიათი და, ძირითადად, სანდოობა საყოველთაოდაა ცნობილი და ჩვენ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მისიონერთა ამ ნაშრომებს შეეძლო საკმაოდ სრული წარმოდგენა მიეცათ ევროპელი მკითხველისათვის საქართველოზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პიეტრო დელა ვალეს ცნობების მიხედვით შექმნა ცნობილმა გერმანელმა დრამატურგმა ანდრეა გრიფიუსმა თავისი ცნობილი ტრაგედია: „Katarina von Georgien“³⁹.

ისეთ ავტორთა ნაშრომები, როგორებიც იყვნენ — ჯოვანი ლუკა (1663.), იოსებ მარია ცამპი (დაიბეჭდა შარდენის 1711 წლის გამოცემაში), დიონიჯი კარლი (1687 წ.), ფილიპ აერილი (1692 წ.), ალექსანდრო როლესი (1653 და 1658 წწ.), კლეპენტ გალანო (1686 წ.) და სხვები⁴⁰, მართალია, შინაარსის სიმდიდრით ჩამოუვარდებოდნენ ზემოხსენებულ ნაშრომებს, მაგრამ მათი ცნობები, ერთგვარად, მაინც ავსებდნენ ევროპელი მკითხველის წარმოდგენას საქართველოზე და, რაც მთავარია, ხელს უწყობდნენ საქართველოს პოპულარობის ზრდას ევროპაში. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ნაშრომებს, რომლებიც შეიცავდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში დაარსებული მისიების

³⁸ Relazione della Colchide — ქართულად: სამეგრელოს აღწერა, აღკუთნის თარგმანი, თბ., 1938, მეორე ნაშრომი: Colchida Sarca, Napoli, 1657, ჭრჭერობით თარგმნილი არ არის.

³⁹ ა. ბ ი ბ ი ჩ ა ძ ე. გრიფიუსის ქეთევან დედოფლის ისტორიულ წყაროთა შესახებ, იხ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958, გვ. 69—91; ქეთევან დედოფლის წამების შესახებ 1633 წ. ოქტომბერში გამოვიდა წიგნი — A letter concerning the martyrdom of Ketevan... იხ. ი რ. კ ე ნ კ ო შ ვ ი ლ ი — ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, ჟურნ. „მნათობი“, 1961, № 1, გვ. 163—168. იხ. აგრეთვე ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს — წამება ქეთევან დედოფლისა, პარიზი, 1937, შდ. ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა — ლიტ. ნარკვევები. 1948.

⁴⁰ ჯ ო ვ ა ნ ი ლ უ კ ა რ უ ს. ენაზე: იხ. Записки Одесского общества истории и древностей, XI, 1879, გვ. 473—493; ცამპი ქართულად, იხ. მწუყემსი, 1886, № 34, 1887, № 2—4 და შდ. დ. კ ა რ ლ ი ს წიგნიდან ნაწევები გამოაქვეყნა ბ. ვ ი ო რ გ ა ძ ე მ, იხ. მსკი, ნაქ. 29, 1961, გვ. 155—182.

მოდეაწეობის აღწერას. თომა იეზუიტის წიგნში (1613 წ.) გვხვდება ცნობები სიმონ მეფის ურთიერთობაზე პაპთან და პაპის მიერ საქართველოში 1595 წელს სტეფანე კოლენცას გამოგზავნის შესახებ. ი. სილოს წიგნი (1655 წ.) შეიცავდა ცნობებს ნიკ. ირბახის (ჩოლოყაშვილის) საქმიანობაზე ევროპაში, დომინიკელთა სამისიონერო მოღვაწეობაზე საქართველოში საუბარია ფონტანას ნაშრომში (1666 წ.) და ა. შ.⁴¹.

როგორც აღენიშნეთ, ევროპული სავაჭრო კაპიტალის მოძალეობამ აღმოსავლეთისაკენ, აქ, ვაჭარ-მოგზაურთა მომრავლება გამოიწვია, თუ მისიონერთა წრემ მე-17 საუკუნეში არქანჯელო ლამბერტი მოგვცა. ვაჭარ-მოგზაურთა შორის გვყავს ორი შესანიშნავი ავტორი: ჟან-ბატისტ ტავერნიე და ჟან შარდენი.

ჟ. ბ. ტავერნიესთან ვხვდებით თბილისის აღწერას, ცნობებს აბრეშუმით ვაჭრობაზე, საქართველოში არსებულ რკინის, ვერცხლისა და ოქროს საბადოებზე, ხალხის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებაზე (ნადიმი, ქალის მოტაცება) და სხვ. ავტორი აქებს ქართველი ხალხის ხასიათს, ზნეს, გარეგნობას — კაცები ახოვანნი და მოყვანილნი არიან, ქალები — შესანიშნავი სილამაზისანიო⁴².

შარდენის ნაშრომი დიდძალ ცნობებს შეიცავდა საქართველოს შესახებ, მასში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები (გორა, თბილისი და სხვ.), დაწერილებითაა საუბარი ქვეყნის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, მეფე-მთავართა შინაომებზე მე-17 საუკ. 70-იან წლებში და სხვა საკითხებზე⁴³.

საინტერესო ცნობებს შეიცავდა აგრეთვე მე-17 საუკუნის სხვა ავტორთა მემუარები ირანზე, თურქეთსა და, საერთოდ. აზიის ქვეყნებში მოგზაურობაზე (ა. ოლეარიუსი, ბულიე დე-გუ.

⁴¹ ამ ნაშრომთა შესახებ იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნში — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.

⁴² ტ ა ვ ე რ ნ ი ე. Les six voyages de I. B. Tavernier, P., 1676. 2 ტომი. ცნობები საქართველოს შესახებ. იხ. ჟურნ. „მოამბე“, 1897. № 6 (განყ. II), გვ. 1—10. შდრ.: გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა — ტავერნიეს ცნობები საქართველოს და ქართველთა შესახებ, თსუ ახალი ისტორიის კათედრის II სამეცნიერო სესია, თეზისები, 1962.

⁴³ ჟ. შ ა რ დ ე ნ ი. Journal du voyage du chevalier J. Chardin, L., 1686. საქართველოს შესახებ იხ. ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ჯარგმანი ვ. ბარნოვისა, თბ., 1935.

პულე. სანსონი. კარე, კარერი და სხვანი). მათთან ჩვენ ვხვდებით ცნობებს ირანში მყოფ ქართველებზე, მათ ვაქრობაზე, პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სხვა ამგვარ საკითხებზე⁴⁴.

ეს მრავალფეროვანი ლიტერატურა, პირველ რიგში კი შარდენის მოგზაურობის აღწერა, ხელს უწყობს იმდროინდელ ევროპაში ქართული თემის შექრას მხატვრულ შემოქმედებაში. მრავალმწერალს მოეპოვება ქართულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები (ე. ბ. შევერემონი, მარმონ დიუ ოშანი, უ. კოლინსი და სხვ)⁴⁵.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას ვხვდებით ამავე ხანის ზოგიერთ სხვა ავტორთან (პ. დავითი, ო. დაპერი და სხვ.)⁴⁶.

მე-17 საუკუნეში რუსეთშიც შეიქმნა, ჩვენი თვალსაზრისით. საინტერესო წერილობითი ძეგლები. ეს იყო ვ. გაგარას მოგზაურობის აღწერა (1634 წ.) და არსენი სუხანოვის „პროსკინიტარი“ (პილიგრიმი). ყურადღებას იქცევს ვ. გაგარას მიერ თბილისის აღწერა, აღწერა თბილისის გოგირდოვანი აბანოებისა, მცხეთის საკათედრალო ტაძრისა. არსენი სუხანოვი საქართველოში იყო 1652 წ. იგი შეხვდა და ესაუბრა როსტომ მეფეს, თბილელ ეპისკოპოს ელისეს. მასაც აღწერილი აქვს მცხეთისა და კავთისხევის მონასტრები. ვ. გაგარასა და ა. სუხანოვის ჩანაწერები იმხანად არ გამოქვეყნებულა, ისინი მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იქნა დაბეჭდილი⁴⁷.

⁴⁴ იხ. გ. ჯორდანია, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 8, გვ. 174—184.

⁴⁵ ნ. ო რ ლ ო ვ ს კ ა ი ა, შარდენისეული ქართული ნასალები XVII—XVIII ს. ფრანგულ გალანტურ რომანში, თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ის II სამეცნიერო სესია, თეზისები, 1963, გვ. 7—8. მისივე. Грузия во французском романе XVII века, იხ. ლიტერატურული ურთიერთობანი, I, 1965, გვ. 183—196. მისივე—Грузия в литературах Зап. Европы XVII—XVIII веков, Тб., 1965. შდრ.: (Carré)—Voyage des Indes Orientales, P., 1699; Histoire et les aventures de Kaminski Géorgienne, Bruxelles, 1697.

⁴⁶ P. D'Avity, Description général de l'Asie, 1637, P., გვ. 227 და შგლ.

⁴⁷ გაგარას და სუხანოვის ცნობები გამოქვეყნდა ППС-ში 1889 და 1891 წწ., ეს ცნობები შემოკლებით მოყვანილია კრებულში Мис-топись дружбы, I, 1961, თბილისი, გვ. 35—39.

დიდალი აღწერილობითი ლიტერატურა იქმნება მე-18 საუკუნეშიც. ამ ლიტერატურის მომრავლებას, გარდა აღმოსავლეთისადაც ვეროპელთა ინტერესის საერთო ზრდისა, ძალიან შეუწყობ ხელი, ერთი მხრივ, რუსეთის აქტიურმა გამოსვლამ კავკასიის (კერძოდ, კასპიისპირეთის) მიდამოებში, და მეორე მხრივ, ირანში დატრიალებულმა ამბებმა (გადატრიალებებმა და აჯანყებებმა), რომელთაც მიიპყრეს ვეროპელთა ყურადღება.

პეტრე პირველის ლაშქრობას კასპიისპირეთში წინ უძღოდა და თან სდევდა კავკასიისა და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის ინტენსიური დაზვერვა და შესწავლა. ლაშქრობის შემდეგ, რუსეთის სამსახურში მყოფი ორი უცხოელი — ჯ. პერი და ვარტისი, აქვეყნებენ ვოლგისპირეთის, კასპიისპირეთისა და ამიერკავკასიის აღწერას, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს⁴⁸. ამ ლაშქრობის დროს შეკრებილი აღწერილობითი მასალის დიდო ნაწილი რუსეთის არქივთსაცავებში დარჩა გამოუქვეყნებელი. შემდეგ ხანებში, ი. გერბერი განაგრძობდა კასპიის ზღვის დასაველით მდებარე ქვეყნების შესწავლას. მისი ჩანაწერები 1756 წ. გამოქვეყნდა ფრანგულად ბერლინის აკადემიის მოამბეში, ხოლო 1760 წ. დაიბეჭდა რუსულად⁴⁹. გერბერს მოეპოვება ცნობები კახეთის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა), ლეკიანობაზე, თურქების ბატონობაზე კახეთში და სხვ.

იმავე საუკუნის 60-იან წლებში სპარსეთში გოლიცინის ელჩობის მონაწილე ი. ლერპი ნიურბერგში, ე. წ. ბუშინგის კრებულში, თავის ჩანაწერებთან ერთად აქვეყნებს ამავე ელჩობის მონაწილეების ი. ვოლფისა და შნეზეს შენიშვნებს, რომლებშიც

⁴⁸ Perry und Wartis. Der allerneuste Staat von Casan Astracan, Georgien... Nuremberg, 1723. გვ. 143—227. სხვათა შორის, ჯონ პერიმ, ჯერ კიდევ 1716 წ., ლონდონში, გამოსცა წიგნი რუსეთზე: «The State of Russia under the present Csar», სადაც მას შეტანილი აქვს ცნობები არჩილ მეორისა და მისი ვაჟის — ალექსანდრეს შესახებ. 1727 წ. ეს წიგნი ფრანგულადაც დაიბეჭდა.

⁴⁹ რუს. ენაზე: Известие о находящихся с западной стороны Каспийского моря... народах и землях... иб. Ежемесячные сочинения и переводы... СПб, 1760. გვ. 1—48, 99—140, 195—232, 291—308. კახეთის შესახებ იხ. გვ. 137—140.

გვხვდება ცნობები საქართველოს შესახებ. 1790—1791 წლებში ეს მასალები რუსულადაც გამოქვეყნდა⁵⁰.

უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის 1768—1774 წლების სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ რუსეთში და, კერძოდ, კავკასიაში. ამ ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ ი. ა. გიულდენშტედმა იმოგზაურა საქართველოში და დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის შესანიშნავი აღწერა, აღწერა, რომლის მსგავსიც, მ. პოლიევქტოვის სიტყვით, მანამდე არც რუსულ და არც დასავლეთ ევროპულ კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში არ მოიპოვებოდა⁵¹. გიულდენშტედტის ნაშრომში⁵² მოცემულია მე-18 საუკუნის საქართველოს ცხოვრების მრავალმხრივი სურათი, აღწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, სახელმწიფო და სამოხელეო წყობა, გადასახადები და სხვ. მოცემულია დაკვირვებები ქართულ ენაზე და მის კილოკავებზე, მოცემულია აგრეთვე საქართველოს სამეფოსამთავროთა მოკლე ისტორიული მიმოხილვები და სხვ.

საქართველოში გიულდენშტედტი გაეცნო ქართულ ისტორიულ ქრონიკას — „ქართლის ცხოვრებას“, მას მოეპოვება მისი შინაარსის მოკლე გადმოცემა, იგი აქვეყნებს აგრეთვე ზოგიერთი ქართული ეკლესიის წარწერას (ანანურის, გელათისა და სხვ.).

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც იმავე ხანებში გამოქვეყნდა და შეიცავდა დიდძალ ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, ეკუთვნოდა ი. რაინეგსს⁵³, რომელიც 1779—1782 წლებში იყო საქართველოში. ეს ის ხანაა, როცა მზადდებოდა ნიადაგი

⁵⁰ Новые ежемесяч. Сочинения, 1791, т. LXI, ივლისის თვის ნომერი.

⁵¹ М. Полиевков, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 125.

⁵² Reisen durch Russland und im Caucasischen Gebirge, ტ. II, 1787--1791 წ. ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1962 წ. გ. გელაშვილის მიერ: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, ტ. II, თბილისი, 1964. ნაწყვეტები რუს. ენაზე დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1809 წ. Географическ. и статист. описание Грузии и Кавказа. Из путеш. акад. И. А. Гюльденшtedта, СПб. 1809 г., მთარგმნელია კ. გერმანი.

⁵³ J. Reineggs, Allgemeine historisch — topographische Beschreibung des Kaukasus... ტ. I, Gotha und SPb, 1786; ტ. II. Hildesheim und SPb, 1797, ფ. ე. შრედერის რედაქციით. იხ. М. Полиевков, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 168. ქართ. ნაწყვეტი: „ივერია“, 1889, № 4, გვ. 142—152.

რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებისათვის. ი. რაინეგსმა გარკვეული როლი ითამაშა ამ პოლიტიკური აქტის მომზადებაში. მისი ნაშრომის მეორე წიგნი შეიცავს საქართველოს დაწერილებით აღწერას; თავისი სისრულით იგი მხოლოდ გიულდენშტედტის ნაშრომს თუ დაუთმობდა პირველობას.

მე-18 საუკუნის დამლევს ქვეყნდება პოლკ. ბურნაშოვის მეტად საინტერესო ნაშრომი საქართველოს შესახებ⁵⁴. ბურნაშოვი იმ ჭარბის სარდალი იყო, რომელიც რუსეთმა 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად გამოგზავნა საქართველოში. მისი ნაშრომი შეიცავს საქართველოს პოლიტიკური წყობისა და მდგომარეობის მოკლე აღწერას.

როგორც აღვნიშნეთ ევროპელთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ირანში მე-18 საუკუნეში მომხდარმა არეულობა-გადატრიალებებმა (ავღანთა აჯანყებები, ნადირის აღზევება და გახელმწიფება...). ამ მოვლენებთან დაკავშირებით გამოსულ წიგნებში ვხვდებით ცნობებს საქართველოზე და განსაკუთრებით კი იმ ქართველებზე, რომლებიც ირანში იმყოფებოდნენ და იქ მოღვაწეობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები ამ მხრივ გამოაქვეყნეს ჰანეიმი და პეისონელმა. ჰანევის აღწერილი აქვს ირანში შაჰის კარზე მყოფ ქართველთა მოღვაწეობა, აქვს ცნობები საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე და სავაჭრო ურთიერთობაზე სპარსეთთან. პეისონელს დაწერილებით აქვს აღწერილი საქართველო-ირანის ურთიერთობა 1747—1753 წლებში. ერეკლესა და თეიმურაზის საქმიანობა ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ. პეისონელის ნაშრომებში მოცემულია, აგრეთვე, ცნობები საქართველოსადმი ევროპის კაპიტალის სავაჭრო ინტერესებზე, შავი ზღვის ვაჭრობაზე⁵⁵. ევროპაში ერეკლე მეორის

⁵⁴ С. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств карталинского и кахетинского; Курск, 1793. მეორე გამოცემა, Тифл., 1896.

⁵⁵ ჰანევის ცნობების ერთი ნაწილი განხილული აქვს მ. ხუბუას. იხ. მონი, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, ენიშვის შრომებ, V—VI, 1940, გვ. 147—250. პეისონელის ცნობებს იხილავს ს. კაკაბაძე — საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკ., ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, 1940, გვ. 113—121. ნაწყვეტები პეისონელიდან იხ. „ივერიაში“, 1879, № 7—10; 1884, № 9—10.

პოპულარობა პეისონელის ნაშრომების გამოქვეყნების შედეგი იყო (ფრიდრიხ მეორის სიტყვები...).

ამავე მოვლენების აღწერას შეიცავდა მისიონერ კრუზინსკის მემუარები და, აგრეთვე, ამავე ხანებში ანონიმურად გამოცემული რამდენიმე წიგნი⁵⁶.

აღწერილობითი ლიტერატურის ნამდვილი მოზღვაება ეკროპაში მე-19 საუკუნიდან იწყება. ამას დიდად შეუწყობ ხელი ახლო აღმოსავლეთში ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის წინააღმდეგობათა გამწვავებამ. ნაპოლეონის ომებმა, მისმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ, ინგლისის ოსტ-ინდური კამპანიის საქმიანობამ, რუსეთის წინსვლამ კავკასიასა და შუა აზიისაკენ განაპირობა დიდალი მემუარული და აღწერილობითი ლიტერატურის გაჩენა.

ორიენტალისტიკის დაწინაურება ევროპაში, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის დაწყება, აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერულ კერათა წარმოქმნა ევროპის რიგ ქალაქებში ხელსაყრელ პირობებს ქმნის საქართველოს შესახებ ახალ-ახალი ცნობების შემცველი წიგნების გამოქვეყნებისათვის.

საქართველოს ან მისი ცალკეული ნაწილების ისტორიულ-გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ აღწერას იძლევიან ლატურ დოვერნ კორე (1800 წ.) პ. გოსელინი (1805 წ.), ინჯიჯიანი (1806 წ.), პ. ლევესკი (1812 წ.), შ. რეშბერგი (1812 წ.) ბრეტონი (1813 წ.), ა. ჟურდენი (1814 წ.) და სხვები...

იხსენებენ ძველ გეოგრაფოსთა და მოგზაურთა მიერ დატოვებულ აღწერებსაც. 1803—1804 წლებში ქვეყნდება რამდენიმე ნაშრომი კავკასიის სტრატონისეული აღწერის შესახებ (გ. ლუნემანი, დ. რომელი...), 1820 წ. ს. რიტერა აქვეყნებს პეროდოტეს ცნობებს კავკასიის შესახებ. 1811 წ. ლანგლემ, პარიზში, 10 ტომად გამოსცა შარდენის მოგზაურობათა აღწერა...

განსაკუთრებით მომრავლდა მოგზაურ-აგენტთა მემუარული ლიტერატურა (ი. როილი — 1806, ფ. ლაგორიო — 1809, ჯ. მო-

⁵⁶ კრუზინსკი ფრანგულად: Histoire de la dernier revolution en Perse, P. 1728, ტ. 2 ანონიმი (A. Claustre?) — Histoire de Thomas Kouli Khan, Sophie de Perse, Amst. 1741, ნაწ. II; ანონიმი (J. A. Ducerceau?) — Thomas Kouli Khan, nouveau roi de Perse... P. 1742.

რიერი --- 1812, 1818, ფ. და ვ. ფრეიგანგები — 1812, გ. ოლივიე — 1807, პ. ა. გარდანი --- 1809, ჯ. ჯონსონი, მ. დიუპრე, მ. კოცებუ. პ. კერ-პორტერი, ე. ჰედერსონი და სხვ.) საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ გამბას ორტომიანი ნაშრომი, რომელიც მრავალ და საინტერესო ცნობებს იძლეოდა, საერთოდ, საქართველოსა და განსაკუთრებით კი, მისი სავაჭრო-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ⁵⁷.

იმავე პერიოდში პარაზში მალტ-ბრუნის ჟურნალში ქვეყნდება რიგი წერილებისა საქართველოზე, რეცენზიები კავკასიისა და საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებზე, ნაწყვეტები ამ შრომებიდან და სხვ.⁵⁸.

საქართველოს შესახებ მრავალი წერილი იბეჭდება რუსულ ჟურნალ-გაზეთებშიც: «Вестник Европы», «Северная почта», «Сын отечества», «Северный архив» და სხვა რუსული ჟურნალები აქვეყნებს საქართველოში მოგზაურობათა ნაწყვეტებს, საქართველოში მოღვაწე სამხედრო პირთა მოგონებებს, ჩანაწერებს და სხვა მასალებს.

ერთი სიტყვით, მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ევროპაში საქართველოს შესახებ დიდძალი აღწერილობითი ლიტერატურა არსებობდა. ეს ლიტერატურა შეიცავდა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს მდგომარეობის სხვადასხვა თვალსაზრისით აღწერას. მე-18-19 საუკუნეებში შექმნილ ნაშრომთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც შეიცავდა მეცნიერულ დაცვირებებს ქვეყნის წარსულზე, ენაზე. ეს ლიტერატურა კარგად ამჟღავნებდა ევროპის ქვეყნების ღრმა ინტერესს საქართველოსადმი. იგი ამასთანავე გარკვეულად უწყობდა ხელს საქართველოს წარსულისა და კულტურის მეცნიერულად გააზრებისა და შესწავლის საქმეს. ბროსეს მეცნიერულ მუშაობაში ერთობ ხშირად ვხვდებით ამ

⁵⁷ ამ მოგზაურთა შესახებ იხ. М. Полневков — Европ. путешестви... ტ. II, 1946. ცნობები არაა სრული, გამოტოვებულია, მაგალითად, როილი, ფონტანიე, პუდბერგი, ლეტელიე და სხვანი.

⁵⁸ ეს ჟურნალი 1807 წლიდან იწოდებოდა «Annales des voyages»... 1819 წლიდან — «Nouvelles ann. des voyages...» მისი მასალების მიმოხილვა იხ. Г. Казбек-ის ზემოდასახელებულ წერილში, გაზ. «Кавказ», 1868, № 52, 61, 63.

ნაშრომთა გამოყენების შეძობხვევებს. ნაწილი აღწერილობით-
ცნობებისა ბროსემ თვითონაც გამოაქვეყნა „აზიური საზოგადოე-
ბის“ ეურნალში.

2. ქართული მასალები ევროპაში მე-19 ს ა უ- კუნის 20-იანი წლებისათვის

შუა და ახალ საუკუნეებში ევროპასა და საქართველოს შო-
რის არსებული ურთიერთობის ერთ-ერთი შედეგი იყო ქართული
ისტორიული ძეგლების თავმოყრა ევროპის ზოგიერთ კულტურულ
ცენტრში. აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში
ნამყოფ პირებს — ელჩებს, მისიონერებს, მოგზაურებს ევროპაში
ჩაჰქონდათ აქ მოპოვებული საინტერესო ხელნაწერები, მონეტები,
ნივთები. მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდებოდა, ხდებოდა
მათი აღწერა, შესწავლა და გამოქვეყნება.

ერთ-ერთ ასეთ ცენტრს რომში ვატიკანის ბიბლიოთეკა წარ-
მოადგენდა. ვატიკანში ქართული ხელნაწერი პირველად მე-17
საუკუნეში იქნა ჩატანილი პიეტრო დელა ვალეს მიერ, ეს იყო
ძველი ქართული ოთხთავი, რომელიც შემდეგში ი. ასემანმა
აღწერა⁵⁹. ი. ასემანის აღწერილობიდანვე სჩანს, რომ ვატიკანის
სიძველეთა საცავში ძველი ქართული მონეტებიც ინახებოდა.
შემდეგ ხანებში ვატიკანში ქართულ ხელნაწერთა რაოდენობა
განუწყვეტლივ იზრდებოდა და მე-18 საუკუნის დამლევს იქ უკვე
ქნიშვნელოვანი კოლექცია იყო შექმნილი. კ. ალტერის წიგნიდან⁶⁰
ჩანს, რომ ამ დროისათვის ვატიკანში იყო დაცული შემდეგი ქარ-
თული ხელნაწერები: ქართლის ცხოვრება, ვახტანგ მეექვსის კა-
ნონთა კრებული, ანტონ I-ის გრამატიკა და სხვ. იქვე მოიპოვე-
ბოდა ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, ძირითადად საეკლესიო
ხასიათისა: ბიბლია, ფსალმუნი, დამასკელის თხზულება, ლოცვანი
და სხვ. დაბეჭდილი თბილისში და მოსკოვში მე-18 საუკუნეში.
მეტად საყურადღებო ქართული ძეგლი იყო ვახუშტი ბატონიშვი-

⁵⁹ J. A s s e m a n u s—Bibliotheca Orientalis, Rome, 1719, ორ წიგნად,
იხ. წიგნი I, გვ. 587.

⁶⁰ F. C. A l t e r — Uber Georgianische literatur, Wien, 1798.

ლის ნაშრომი, რომელიც 1789—1804 წლებში შეუწირავთ რომის ბიბლიოთეკისათვის⁶¹.

მე-18 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართული ხელნაწერების მოპოვებაზე ზრუნავენ ფრანგი სწავლულებიც. ეპანი იყვნენ სე-ვინი და მიშელ ფურმონი, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ გაგზავნა კონსტანტინეპოლში აღმოსავლური ხელნაწერების მოსა-პოვებლად. კონსტანტინეპოლში მათ ერთი კაპუცინისაგან შეიტ-ყვეა. რომ საქართველოში დიდძალი ხელნაწერები მოიპოვებოდა. მი-სიონერების მეშვეობით მათ სცადეს კიდევ ხელთ ეგდოთ ქართუ-ლი ხელნაწერები, მაგრამ ამ ცდას შედეგი არ გამოუღია⁶². სამაგი-ეროდ წარმატება ხვდა წილად მათი მისიის გამგრძელებელს მარკიზ ვილნოვს, რომელმაც 1730 წელს ერთი მისიონერი ბერის დახმარე-ბით შეძლო რამდენიმე ქართული ხელნაწერის შექმნა და გაგზავნა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში. ეს იყო ქართული ლოცვანი, სვინაქსარი და სხვა საეკლესიო ხელნაწერები⁶³. რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში ქართული ხელნაწერები ჩაიტანა ვიქტორ ლეტე-ლიემ. მან სამეფო ბიბლიოთეკას გადასცა ქართული ლოცვანი და კათიხიზისი, ისტორიული ქრონიკა. სულხან საბას ლექსიკონი და სხვ⁶⁴. დაბოლოს, სამეფო ბიბლიოთეკა შეივსო თურქეთში უშულის მიერ ნაპოვნი ხელნაწერებით: ლოგიკის ელემენტები, „სომხური ქრონიკა“⁶⁵. პარიზის ქართული ხელნაწერების ფონდი შემდეგ ხანებშიც შეივსო, ეს უკვე ბროსეს მოღვაწეობის დროს (ამის შესახებ ქვემოთ). ამრიგად, პარიზში ქართულ ხელნაწერთა საკმაო რაოდენობა დაგროვდა. მათი შესწავლის შედეგად შეიძლე-

⁶¹ იხ. თ ა შ ა რ ა შ ვ ი ლ ი — ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიო-თეკაში, ვახ. „ივერია“, 1903, № 137, 26 ივნისი.

⁶² H. O m o n t — Missions archéologiques en Orient au XVII et XVIII s., Paris, 1902, გვ. 512, 665, 667.

⁶³ F. r. M a c l e r — Catalogue des manuscrits arménien et géorgien de la Bibliotheque National, P., 1908, შესავალი, გვ. XXVIII.

⁶⁴ ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქარ-თული ხელნაწერები, იხ. ეურნ. „მოამბე“, 1898, I, განყ. II, გვ. 1—20. მი-სივე — Грузинские рукописи в европейских книгохранилищах, ДВ, 1913, ტ. IV, გვ. 1—34. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი — პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამ-წერლობის ნიმუში, პარიზი, 1933.

⁶⁵ NJAS, II, 1828.

ბოლა მეცნიერული წარმოდგენის შემუშავება ქართველოლოგიის რიგ საკითხებზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქართული ხელნაწერის მფლობელი იყო ე. სენ-მარტენი. მას ჰქონდა, მაგალითად, ბარამიანის ხელნაწერი, რომელიც მისთვის თბილისიდან გაუგზავნია ცნობილ ქართველ ვაჭარსა და მოღვაწეს — მიხეილ სარაჯიშვილს.

ერთი საეკლესიო ხასიათის ხელნაწერი დაცული იყო ვენის სამეფო ბიბლიოთეკაშიც, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის კ. ალტერი⁶⁶.

XIX ს. 30-იანი წლების დამლევს ქართული ხელნაწერები ჩნდება ბრიტანეთის მუზეუმშიც. ეს იყო წმინდათა ცხოვრება და „სტიქარი“, გადაწერილი XI—XII საუკუნეებში. ეს ხელნაწერები ბრიტანეთის მუზეუმის თანამშრომლებმა ალექსანდრიაში შეიძინეს ერთი სომეხი მღვდლისაგან⁶⁷.

რუსეთში ქართული ხელნაწერების გაჩენა დაკავშირებულია XVII—XVIII სს. ქართველთა ემიგრაციასთან, რომელიც ჯერ არჩილ მეორის, ხოლო შიშლიძე ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების შემდეგ იყო. საფიქრებელია, რომ მათ მიერ მოსკოვში დიდძალი ქართული ხელნაწერი იქნა გაზიდული. ქართული წიგნები მოსკოვისა და პეტერბურგის სტამბებში ამ ხელნაწერების მიხედვით იბეჭდებოდა. სამწუხაროდ, ზუსტი ცნობები ხელნაწერთა რაოდენობისა და რაობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ეს ხელნაწერები რუსეთში დასახლებულ ქართველთა კერძო ბიბლიოთეკაში რჩებოდა. მხოლოდ მე-19 საუკუნეში ვხვდებით შემთხვევებს, როცა ესა თუ ის ქართველი მოღვაწე თავის პირად ბიბლიოთეკას ამა თუ იმ სამეცნიერო საზოგადოებას წირავს ან უტოვებს მემკვიდრეობით.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაში ქართული ხელნაწერი პირველად 1777 წელს გადავიდა. ეს იყო „ქართლის ცხოვრება“ და მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსების: სეზნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის თხზულებები. ეს ხელნაწერები საქართველოში მოგზაურობის დროს მოიპოვა აკად. გიულდენშტედტმა, გადააწერინა ისინი, რუსულად ათარგმნინა რუსეთის სამსახურში მყოფ ბართლომე სევარსამიძეს (რომელსაც

⁶⁶ შტრ. А. Х а х а н о в-ის ზემოხსენებული წერილი, გვ. 15—16.

⁶⁷ იქვე, გვ. 1—4.

ენმარებოდა პეტრე გრიგორიევი) და შემდეგ მთელი ეს მასალა გადასცა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას⁶⁸.

მე-19 საუკუნის დამდეგს ქართველ ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლებას შედეგად მოჰყვა ქართულ ხელნაწერთა ახალი დონი „ემიგრაცია“ რუსეთში. მდიდარი, პირადი ბიბლიოთეკები წაიღეს პეტერბურგში და მოსკოვში დავით და იოანე ბატონიშვილებმა, ბაგრატმა, თეიმურაზმა და სხვებმა. ქართული ხელნაწერები ქჷონდათ რუსეთში გადასახლებულ სხვა ქართველებსაც (გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი და სხვ.).

გარდა ხელნაწერებისა, ქართველებმა რუსეთში გაიტანეს სხვა ქართული სიძველენი: ხატები, ძველი ჭურჭელი, საეკლესიო ნივთები და სხვ. რუსეთში მათი მოღვაწეობის მრავალი ნაშთი იყო დარჩენილი (ეკლესია-სამლოცველოები, მათი წარწერები...) ქართული წიგნებით, ხელნაწერებითა და სხვა სიძველეებით. განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთი ევროპაში ყველაზე მდიდარი ქვეყანა შეიქმნა. ქართველოლოგიური მუშაობისათვის იქ გაცილებით უკეთესი პირობები იყო, ვიდრე დასავლეთში.

გარდა ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნებისა ევროპაში მოიპოვებოდა ქართული მონეტები, რომლებიც აღწერილი იქნა სხვადასხვა ავტორების მიერ. კერძოდ, ვენეციაში, ბორჯიების მუზეუმში, დაცული გიორგი ლაშას დროინდელი მონეტა აღწერილი იქნა 1782 წ. ადლერის მიერ⁶⁹ ამ მონეტის აღწერას ადლერმა დაურთო მოკლე ცნობები ქართველების ვინაობაზე. ქართულ დამწერლობაზე და ქართული წელთაღრიცხვის წისზე

ცოტა ხნის შემდეგ აღწერილ იქნა გოტინგენის მუზეუმში, დაცული რამდენიმე ქართული მონეტა (თამარ მეფისა, იორგი დიმიტრის ძისა, ერეკლე II-ის ორი მონეტა). ამ აღწერის ავტორი იყო ტიხსენი⁷⁰. 1819 წელს კასტილიონემ აღწერა მილანში და-

⁶⁸ P. Орбелли — Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.-Л., 1956, გვ. 23.

⁶⁹ J. G. C. Adler — Museum cuficum Borgianum velitris, Rome, 1782, გვ. 161—165, ტაბულა IV, № XXXII.

⁷⁰ T. C. Tichsen — Commentariones des numis orientalibus in bibliotheca regia Gottingensi adserbatis, Gottingae, 1790. ტაბ. IV, № 65, ტაბ. III, № 3.

ცული ქართული მონეტები (თამარ მეფისა, გიორგი ლაშასი, რუსუდანის, დავით გიორგი ლაშას ძისა და სხ.). ქართული მონეტების აღწერას შეიცავდა აგრეთვე 1823 წელს ლონდონში გამოქვეყნებული მარსდენის კაპიტალური ნუმისმატიკური ნაშრომი⁷¹.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პარიზში, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა ქართული სამეფო გერბის გამოსახულება. ამ გერბს საინტერესო ისტორია აქვს. მისი მფლობელი ალექსი სენ-პრი (Saint-Pris) იყო დედის მხრიდან ვახტანგ VI-ის შვილიშვილის შვილიშვილი. ვახტანგის შვილიშვილი გიორგი ბატონიშვილის ასული, რუსეთში ცოლად შეურთავს გრაფ გოლიცინს. ამ გოლიცინის ქალიშვილი გათხოვილა საფრანგეთის ელჩზე კონსტანტინეპოლში, ვინმე სენ-პრიზე, რომელიც რევოლუციის წლებში რუსეთში გამოხიზნულა. ბურბონთა რესტავრაციის ხანაში სენ-პრი დაბრუნებულა პარიზში. მის მეუღლეს პარიზში თან წაუღია დედამისის ნაჩუქარი საქართველოს სამეფო გერბის გამოსახულება და, შემდეგ, იგი თავისი შვილისათვის ალექსი სენ-პრისათვის გადაუცია⁷².

ასეთი იყო ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ის ქართული ხელნაწერები და სხვა სიძველენი, რომლებიც არსებობდნენ ევროპაში მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის. ამ სიძველეთა უშუალოდ შესწავლის შესაძლებლობა ახალ პერსპექტივებს უხსნიდა იქ ქართველოლოგიის დაწინაურების საქმეს.

3. ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი უ რ ი ძ ი ე ბ ე ბ ი ე ვ რ ო პ ა შ ი მ ა რ ი ბ რ ო ს ე მ დ ე

ევროპაში საქართველოს შესახებ აღწერილობითი ლიტერატურის დაგროვებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ქართულის შესწავლის ცალკეულ ცდებს. საინტერესო დაკვირვებებს ქართულ ენაზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ. ვკედებით, ჯერ კიდევ, აღწერილობითი ლიტერატურის ავტორებთან უკვე, გ. რუბრუკისი აკვირდებოდა და მსჯელობდა ქართველთა

⁷¹ W. Marsden — Numismata orientalia illustrata, Lond., 1823.

⁷² იხ. NJAS, IX, 1832, გვ. 193 და შმდ. ალექსი სენ-პრიცო ბილი დიპლომატი და ისტორიკოსი იყო. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ისტორიულ თემებზე.

ეთნიკურ სახელწოდებაზე და მათ აღმოსავლურ სახელს, გურჯს, მდინარე მტკვრის სახელიდან აწარმოებდა (კურ, გურ, გუოჯი). ამავე ჯროს, აღნიშნავდა, რომ ევროპელები ქართველებს გეორგიელებს ეძახიანო, მაგრამ ამ სახელწოდების ახსნას იგი არ იძლეოდა.

ქართველთა წარმოშობაზე და მის წინაპრებზე მსჯელობდა პიეტრო დელა ვალე. იგი ქართველთა ერთ-ერთ წინაპრად სამართლიანად მიიჩნევდა ძველ ბერძენ ავტორებთან მოხსენებულ მესხთა ტომს. ასევე მსჯელობდნენ საქართველოს წარსულზე. ქართულ ენაზე, ა. ლამბერტი, კლ. გალანი და სხვა მისიონერები. მე-18 საუკუნეში კი სწავლულ მოგზაურთა ჩანაწერებში ამგვარი დაკვირვებები და დასკვნები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი რაოდენობით გვხვდება.

ახლა, ჩვენ გვინდა გამოვყოთ ისეთი ნაშრომები, რომლებიც სპეციალურად ქართული ენის, ლიტერატურის ან ისტორიის შესწავლას ისახავდა მიზნად, ან ქართული მეცნიერული მასალების პუბლიკაციას ახდენდა. ასეთი ნაშრომები ევროპაში უკვე მე-16 საუკუნიდან გვხვდება. ამ მხრივ ყველაზე უადრესია გ. პოსტელის ნაშრომი აღმოსავლური ენების შესახებ. გ. პოსტელი მე-16 საუკუნის ცნობილი ორიენტალისტი და პოლიგლოტი იყო. დაბადებით მას შედარებითი ფილოლოგიის ფუძემდებლად თვლიან. გ. პოსტელმა, სამეცნიერო მიზნებით თურქეთში მოგზაურობის დროს, შეკრიბა ცნობები ქართული ენის შესახებაც და შ-მდეც, 1538 წ., პარიზში გამოქვეყნებულ ნაშრომში⁷³ სპეციალური თავი დაუთმო მას. იქვე პოსტელმა გამოაქვეყნა „ქართული ალფაბეტი“, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ქართული ბგერების ბერძნულ ტრანსკრიფციას. ამის საფუძველზე ერთ-ერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ პოსტელს ცნობები ქართული ენის შესახებ უნდა მიეღო უცნობი ბერძენი ბერისაგან, რომელმაც ეს ენა კარგად არ იცოდა⁷⁴. ამიტომაც, რომ პოსტელი, არსებითად ვერაფერს ვერ ამბობს ქართული ენის შესახებ, ვერ ახასიათებს მას.

⁷³ G. Postellus — *Linguarum diodecim characteribus differentium alfabetum*, Paris, 1538. იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი — სომხურისა და ქართული ენის კვლევის ისტორიიდან... თსუ შრომები, ტ. III, 1936, გვ. 234.

⁷⁴ T h. N a s k i d a c h w i l i — A propos d'une grammaire de G. Postel, იხ. ჟურნ. «Bedi Kartlisa», 1959, P. № 32—33. გვ. 145—147.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი კოსტელის ამ ნაშრომს სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებს ევროპაში ქართულის შესწავლის „პრეისტორიას“. პოსტელს, საერთოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აღმოსავლურ ენებზე. აკად. ვ. ბარტოლდი შენაშნავდა: «Сколько инбудь правильного представления о характере языков он, конечно, не имел, всецело оставаясь на почве индлийских преданий»⁷⁵.

აქვე, „პრეისტორიას“ უნდა მიეკუთვნოს იმავე ეპოქის მეორე პოლიგლოტის ა. თეჯეს გაკვრითი საუბარი ქართული ენის შესახებ⁷⁶.

ქართული ენის შესწავლის ამ პირველი ცდების ასეთი წარუმატებლობა ადვილი ასახსნელია. ამ დროისათვის ევროპაში არ მოიპოვებოდა არც ქართული ხელნაწერები და არც სხვა ძეგლები. ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი არც საფუძვლიანი აღწერილობითი ნაშრომები. ზემოთ ჩვენ ამ ეპოქას არსებითად „ელჩებისა და მოგზაურების ეპოქა“ ვუწოდეთ და აღვნიშნეთ მათი ცნობების სიღარიბე, მიუვითათეთ ამის მიზეზებზე. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო გ. პოსტელის მარცხი

ფრიად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული ნუსხა-ხუცური აღფავეიტი გამოქვეყნება სოლ. შვაიგერის მიერ 1608 წ. შვაიგერი იყო კონსტანტინეპოლში გაგზავნილი გერმანელი ელჩის ი. ფონ ზიტცენდორფის მდივანი. 1577—1578 წლებში მას კონსტანტინეპოლში გაუცენია იქ მყოფი ქართველები: ყვარყვარე ათაბაგი და ღისი ძმა მანუჩარი და ქართველების შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა მიუღია მათგან. ყვარყვარე ათაბაგის მხლებელ ბერს, ვინმე იოსებს შვაიგერისათვის გაუცენია ქართული ნუსხა-ხუცური აღფავეიტი, რომელიც ამ უკანასკნელმა

⁷⁵ В. В. Бартольд — История изучения Востока... 1925, Л.-град., 105. პოსტელის შესახებ იხ. აგრეთვე: P. Desbillons — Nouveau éclaircissement sur la vie et les ouvrages de G. Postel, Ziège, 1773. G. Weil-De G. Possitelli vita et indole, Paris, 1892 და ს. ოლდენბურგის წერილი, ЖМНП, 1894, ტ. ССХСII, განყ. II, გვ. 257 და შმდ.

⁷⁶ A. Theseus — Introductio in Chaldicam linguam..., P. 1539, გვ. 208. იხ. მელიქსეთ-ბეგი. დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაბეჭდა თავისი მოგზაურობის აღწერაში⁷⁷.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით გახდა თუ არა ეს აღფავეტი იმ დროს ენათმეცნიერთა დაკვირვების საგანი.

ქართული ენის შესწავლისათვის ევროპაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მხედრული აღფავეტისა და ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოქვეყნებას რომში 1629 წელს. ეს წიგნები გამოაქვეყნა სტეფანე პაოლინიმ, რომში მყოფი ქართველი მოღვაწის ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე) უშუალო მონაწილეობით.

ამ გამოცემაში ქართული აღფავეტი⁷⁸ 37 ასოთაა წარმოდგენილი. მათ მიწერილი აქვთ იტალიური შესატყვისა. აღფავეტს ერთვის ლოცვები, ჭერ ქართულად, შემდეგ ლათინურად — ქართული ტრანსკრიფციით.

ლექსიკონში 3084 სიტყვაა. დასაწყისში აქაც ქართული აღფავეტია დაბეჭდილი. ბოლოში კი ლექსიკონში მოცემული სიტყვებია იტალიურ შესატყვისთა ანბანური საძიებელი⁷⁹. ამ ლექსიკონმა მიუხედავად მრავალრიცხოვანი ხარვეზისა, ხელი შეუწყო ქართულს შესწავლას დასავლეთში. ამ ლექსიკონის საფუძველზე იმავე მე-17 საუკუნის დამლევს, ცნობილმა გერმანელმა თილოსოფოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ენა ინდოევროპულ ენათა რიცხვს უნდა მიეკუთვნებოდეს და ენათესავება ბერძნულს⁸⁰. ამ მოსაზრებას წილად

⁷⁷ გ. ნ ა თ ი ძ ე. საუკუნეების სიღრმიდან... ექვრნალი „დროშა“, 1961, № 11. S. Schweiger — ის ნაშრომს ეწოდება: Eine neue Reyssschreibung aus Deutschland nach Constantinopole und Ierusalem, Nurburg. 1608.

⁷⁸ Alfabetum Ibericum, sive Georgianum, Romae, MDCXXIX, იხ. ქართული წიგნი, I, თბილისი, 1941, გვ. 2.

⁷⁹ Dittionario Giorgiano e Italiano. Composito da Stelano Paolini can l'aiuto del M.R.P.D. Nicelforo Jrbach i georgiano; In Roma. MDCXXIX; იხ. ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 1—2. ამ წიგნის განხილვა, იხ. ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა — იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 22—26.

⁸⁰ А. Ц а г а р е л н. О грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, гв. 67—68.

ხედა, გაბატონებულიყო ევროპულ ენათმეცნიერებაში და შეენარჩუნებინა ასეთი მდგომარეობა მე-19 საუკუნის დამლევამდე. ამავე მოსაზრებას იზიარებდა მარი ბროსეც. მას საამისოდ გარკვეული საბუთების ძიება ჰქონდა. შემდეგ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ეს მოსაზრება გადაისინჯა და უკუგდებულ იქნა. მეცნიერებმა ადვილად გამოარკვეეს ლაიბნიცის შეცდომაა წყარო. საქმე იმაში იყო, რომ ლაიბნიცმა პაოლინის ლექსიკონიდან ამოკრიფა ის სიტყვები, რომლებიც ქართულში ბერძნული ენიდანაა წარმოსახული და მათ საფუძველზე მივიდა დასკვნამდე ქართულის ინდოევროპულობის შესახებ. ეს სიტყვები კი ქართული ენის აუნების სწორად გაგებისათვის, ცხადია, არ გამოდგებოდა. მალე ამ ლექსიკონის გამოქვეყნების შემდეგ, კერძოდ 1643 წ., რომში დაიბეჭდა პირველი ქართული გრამატიკა. შედგენილი ლათინურ ენაზე ფრანცისკო მარია მაჯიოს მიერ⁸¹. ავტორი კარგი ფილოლოგი იყო, მაგრამ ქართული ენა სუსტად იცოდა და, ამის გამო, მის ნაშრომს სერიოზული ხარვეზები დაჰყვა. არადამაკმაყოფილებლად იყო დაბასიათებული ქართული ზმნა. მკითხველს რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქართულ ზმნებს ფორმათა წარმოების არავითარი საერთო წესი არ გააჩნიათ, თითქოს თითოეული ზმნა საკუთარი წესით იცვლება, რაც საოცრად აძნელებს ქართულის შესწავლას. ეს შეხედულება დიდხანს ბატონობდა ევროპულ ქართველოლოგიაში. იგი უკუგდებულ იქნა მარი ბროსეს გრამატიკული ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ.

მაჯიოს გრამატიკამ მიიქცია ენათმეცნიერთა ყურადღება. ერთ-ერთ გერმანულ ეურნალში ამ წიგნზე რეცენზია გამოქვეყნდა⁸².

⁸¹ *Sintagmation Linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur...* Rome, 1643; იხ. ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 24. ფ. მ. მ. ა. ჯიო პალერმოელი იყო, დაიბადა 1612 წ., იმოგზაურა სპარსეთში, სომხეთში, იყო საქართველოში, გარდაიცვალა 1686 წ. იხ. *Materiaux pour servir à l'histoire des études orientales en Italie par Angelo de Gubernatis*. Paris, 1876, გვ. 295, შენიშვნა. შდ. A. Цагарели — დასახ. ნაშრომი, გვ. 46—55; ა. ჩიქობავა — დასახ. ნაშრომი, გვ. 26—56.

⁸² ეურნალს (*Giornal de litterati...*) ალ. ცაგარელის ცნობით, ასახელებს ლაიბნიცი, მაგრამ არ უთითებს არც წელს, არც ნომერს, რის გამოც მისი მოძებნა ალ. ცაგარელს ვეღარ მოუხერხებია. A. Цагарели — დასახ. ნაშრ. გვ. 61.

იმავე საუკუნის დამლევს ევროპაში მეორედ დაიბეჭდა ქართული მხედრული ალფავიტი, გამოქვეყნდა ქართული წერილის ფაქსიმილე. ეს იყო ამსტერდამში, ცნობილი ჰოლანდიელი მწიგნობრის ნიკოლა ვიტსენის ტიპოგრაფიაში. ვიტსენთან ურთიერთობა ჰქონდა არჩილ მეორეს, რომელმაც ვიტსენს ძიაწოდა ვრცელი ცნობები საქართველოს შესახებ და თხოვა ჩაძოესხა ქართული შრიფტი, რაც მან შეასრულა კიდევ⁸³. ვიტსენი განათლებული მწიგნობარი იყო (ვოლტერი თავის „პეტრე პირველის ისტორიაში“ მას დადებითად ახასიათებს). მან თავის წიგნში აზიის ხალხთა შესახებ შეიტანა ცნობები საქართველოზე, დაბეჭდა ქართული ალფავიტი. ნოათავსა არჩილ II-ის წერილის ფაქსიმილე და გამოაქვეყნა არჩილ II-ის და ერეკლე I-ის (რუსეთში ნიკოლოზად წოდებულის) პორტრეტები⁸⁴.

მე-18 საუკუნის დამლევს სტოკჰოლმში ქვეყნდება ცნობილი ლინგვისტის ჰენრიკ ბრენერის წიგნი მოსე ბორენელის შესახებ. ბრენერს, მ. ბროსეს ცნობით. მოეპოვებოდა, რაღაც ქართული ქრონიკა, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ⁸⁵.

1715 წელს, ბუქარესტში. ბირძნულ ენაზე, დაიბეჭდა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის ნაშრომი იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიის ძეგლებზე. ამ ნაშრომში მოყვანილი იყო მეტად საინტერესო ცნობები საქართველოს ეკლესიის ძველი ისტორიის შესახებ. ავტორმა პირველად გამოაყენა იშვიათი ქართული ისტორიული ძეგლი „აფხაზთა მეფის დივანი“.

მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ქართული ენის შესწავლის ცდებს ადგილი აქვს რუსეთშიც. პეტერბურგში ქართულის შესწავლისათვის ხელი მიუყვია ცნობილ ორიენტალისტს დანიელ-გოტლიბ მესერშმიდტს (1733 წ.). მის ხელნაწერებში დარჩენილია ქართული ალფავიტი, შენიშვნები ქართულზე გვხვდება მის ერთ-ერთ ნაშრომში აღმოსავლური ენების შესახებ⁸⁶. საერთოდ, ეს

⁸³ ქ. რ. შ ა რ ა შ ი ძ ე — ქართული შრიფტი ამსტერდამში 1688—1687 წწ., იხ. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1837.

⁸⁴ N. Wilsen — Noord en Oost Tartarye... Amsterdam, 1785, მეორე გამოცემა, გვ. 503—546. შდ. ნ. ტატიშვილი—ქართველები მოსკოვში.

⁸⁵ ბროსე მას იხსენიებს ასე: Suite des roi de Géorgie, იხ. Elements... 83. XVIII.

⁸⁶ С. К. Булич — Очерк истории языкознания в России I, СПб, 1904, გვ. 474.

ხანა აღინიშნება რუსეთში ორიენტალისტური კვლევა-ძიების გაძლიერებით. ჟერ კიდევ 1714 წ., პეტრე პირველის მიერ დაარსებულმა კუნსტ-კამერამ დაიწყო აღმოსავლური სიძველეების შეკრება⁸⁷. 1724 წლიდან გ. ზ. ბაიერი რუსეთის აკადემიაში არაბულ ენას ასწავლიდა⁸⁸. 1733 წელს აკად. კერმა მთავრობას წარუდგინა, იმ დროის კვალობაზე, გრანდიოზული გეგმა რუხეთში აზიური აკადემიის დაარსების შესახებ⁸⁹. რუსეთის მთელ რივ ქალაქებში იწყება აღმოსავლური ენების სწავლება. ამ საერთო ფონზე ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა ქართული წიგნების გამოცემის საქმეს მოსკოვსა და პეტერბურგში. პეტერბურგში გადასაღებულმა ქართველებმა, 1736 წლიდან, სინოდის ნებართვით განაახლეს ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე და მოკლე ხანში რამდენიმე სქელტანიანი წიგნი დაბეჭდეს⁹⁰. ამათ შორის, ევროპული ქართველოლოგიის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ-ქართულ საეკლესიო ანბანს ლოცვებითურთ, რომელსაც ერთვოდა ქართული ალფავიტის ლათინური ტრანსკრიპცია, გერმანული განმარტებები და „მამაო ჩვენო“ ქართულად და ლათინურად⁹¹. დიდი მნიშვნელობისა იყო აგრეთვე „ბიბლიის“ გამოცემა, 1743 წელს, ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილების მიერ.

მე-18 საუკუნის 30-იან წლებშივე პეტერბურგში ზ. შანშოვანს რუსულად შეუდგენია ქართული ენის გრამატიკა, მაგრამ იგი მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე გამოუქვეყნებელი დარჩა⁹².

⁸⁷ Г. В. Станюкович — Кунст-камера Петербургской АН. М.-Л., 1953.

⁸⁸ П. Пекарский — История ИАН в СПб-е, СПб, I, ЖМНП, 1817, гл. 180—186.

⁸⁹ П. Савельев — Предположения об учреждении Восточной Академии в СПб-ге в 1733 и 1810 гг. СПб, 1855. იხ. აგრეთვე: ЖМНП 1855, т. XXXIX, отд. 3, гл. 27—26.

⁹⁰ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, 1941, გვ. IX—XI, 35 და შუდ.

⁹¹ ამ ანბანის გამოცემის თარიღი დაზუსტებული არაა. რუსი მეკლევარი როდოსკი თვლის, რომ იგი 1735 წ. უნდა დაბეჭდილიყო, მის მიერ აღწერილი წიგნის თავფურცელზე კი 1730 წელი იყო მითითებული. ს. ბულიჩი ფიქრობს, რომ ეს ანბანი 1737 წელს დაბეჭდა. იხ. С. Булич — დასახელებული ნაშრომი, გვ. 475—476.

⁹² იხ. Краткая грузинская грамматика сост. З. Шаншоваши, СПб, 1881.

ზ. შანშოვანს ამ წიგნის შედგენის დროს დახმარებას უწევდა ვახუშტი ბატონიშვილი.

საერთოდ, რუსეთში გადასახლებული ქართველები დიდ დახმარებას უწევდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებითა და ენებით ლათინურესებულ ევროპელ სწავლულებს. მაგ., ვ. ნ. ტატიშჩევის ცნობები საქართველოს წარსულის შესახებ ბაქარ ბატონიშვილისაგან მიუღია⁹³. იმავე ბაქარ ბატონიშვილმა, რუსეთის სამსახურში ისეთ ცნობილ ფრანგ ასტრონომს დელილს გადასცა საქართველოს მეფეთა სრული გენეალოგიური ნუსხა, შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე. ეს ნუსხა, როგორც ღირშესანიშნავი ისტორიული მასალა, ი. დელილმა გაუგზავმა პარიზის საეფთხო ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნაწერების კურატორს იოსებ დეგინს. ხოლო ამ უკანასკნელმა იგი გამოაქვეყნა თავის სპექტანიან ნაშრომში აზიის ხალხთა ისტორიის შესახებ⁹⁴. ნუსხა ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს მიაღვეს, შეიმჩნევა მცირე გადახვევები. ნუსხას ახლავს მცირე კომენტარები იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ. რომელთაც ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ ქართველი მეფის ზეობის დროს (საქართველოში უფლის კვართის ძოტანა, ქრისტიანობის მიღება, კერპებისათვის ბავშვების შეწირვის აკრძალვა და სხვ.) და, აგრეთვე. მითითება იმის შესახებ, თუ რომელი ქართველი მეფე იხსენიება ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან. ამ ნუსხის გამოქვეყნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ევროპელ ორიენტალისტებს შესანიშნავ მასალას აძლევდა ხელთ და მათაც არ დააყოვნეს მისი გამოყენება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გ. ბრაიტენბაუხის ნაშრომი „საქართველოს სამეფოთა ისტორია“, რომელიც 1788 წ. გამოქვეყნდა მემინგენში⁹⁵. აქ დეგინისეული ნუსხა ფართოდაა გამოყენებული. ბრაიტენბაუხის ეს ნაშრომი ევროპაში პირველი ცდაა საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის წარმოდგენისა.

⁹³ გ. რ. შ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — საქართველო ვ. ნ. ტატიშჩევის შრომებში, იხ. მნაობი, 1961, № 10, გვ. 147—148.

⁹⁴ J. Deguignes — Histoire générale des huns, des turcs, des mongols et des autres tartares occidentaux... Paris, 1756, ტ. I, ნაწ. I, გვ. 433—440.

⁹⁵ G. A. Breitenbach — Geschichte der Staaten von Georgien, Memmingen, გვ. 1788, გვ. 116, ტაბულებით.

შიუხედავად წყაროების მეტისმეტი ნაკლებობისა, ბრაიტენბაუხმა მაინც შეძლო საკმაოდ სწორი ზოგადი წარმოდგენა მიეცა მკითხველისათვის ჩვენი ქვეყნის წარსულზე. მისი ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია საქართველოს ისტორია, მეორე ნაწილი კი შეიცავს საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას⁹⁶.

ავტორი გაშოკოვოს ორ პერიოდს ქართველი ხალხის ისტორიაში: მთლიანობის ხანას და დაქუცმაცების ხანას (XV საუკუნის შემდეგ). ამ უკანასკნელის აღწერისას ავტორი ცალცალკე აშუქებს ქართლის, კახეთის, იმერეთისა და ქართულ სამთავროთა ისტორიას. ნაშრომს ერთვის საქართველოს მეფე-მთავართა გენეალოგიური ნუსხები.

ნაშრომში მაქსიმალურადაა გამოყენებული ევროპელი ავტორების (ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების, ბიზანტიელი ისტორიკოსების, ევროპელი მოგზაურებისა და სხვათა) ნაშრომები.

ბრაიტენბაუხს თავის ნაშრომში ჩართული აქვს გორელი პატრის, სტეფანე ავთანდილაშვილის, საინტერესო ნარკვევი — ძველი ქართული ქრისტიანული მწერლობის შესახებ.

მე-18 საუკუნის დამლევს სხვა საინტერესო ნაშრომების გამოქვეყნებითაც აღინიშნა. 1793 წელს ჰენრიხ ჰერმანი ანონიმურად აქვეყნებს ნარკვევს ერეკლე მეორის მეფობის შესახებ. ნაშრომს თან ერთვის საქართველოს ისტორიული რუკა⁹⁷.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლიტერატურის ძეგლთა მიმოხილვის გამოქვეყნება კ. ალტერის მიერ 1798 წელს⁹⁸. ალტერი ჩამოთვლის რომში, ვატიკანის ბიბლიოთეკაში

⁹⁶ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბრაიტენბაუხის ეს ნაშრომი ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილის თხოვნით, უკვე 1793 წელს, უთარგმნია რუსულად ვინმე ივანე კუქელევს. თარგმანი ხელნაწერის სახით დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი Rossica, № 393.

⁹⁷ Kurze geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Lpzg, 1793. ამ წიგნზე ცნობები მოგვაწოდა გ. გელაშვილმა. წიგნის ავტორი დადგენილია წერილში: F. Baumhauer — Eine anonyme Schrift über den Prinzen Heraclius von Georgien, 1793. იხ. ჟურნ. «Caucasica», 1930, ტ. 6. Lpzg.

⁹⁸ K. Alter — Über die georgianische literatur, Wien, 1798.

და ვენაში დაცული მწერლობის (ძირითადად საეკლესიო) ძეგლებს და დაწვრილებით იხილავს ქართულ სახარებას.

მე-18 საუკუნის დამოკვეს სხვა ნაშრომებიც შეიცავდა ცნობებს ქართულისა და საქართველოს შესახებ. პალასს შედარებით ლეჰაიონში გამოყენებული აქვს ქართული სიტყვები (1786). ეიხპორნი იხილავს ქართულ დაბეჭდილ ბიბლიას (1795), ლორენცო ჰარვასს თავის უნივერსალურ პალეოგრაფიაში მოეპოვება ორგვარი ქართული შრიფტის (ხუცური და მხედრული) დახასიათებ (1798). ქართული ენის შეახებ საუბარია ჰ. რუდიგერის წიგნში და სხვ.

ორიენტალისტიკის სწრაფი დაწინაურება და მეცნიერულ საფუძვლებზე დადგომა ევროპაში მე-19 საუკუნეზე მოდის. ამ საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის აღმოჩველურმა პოლიტიკამ (ინდოეთში ლაშქრობის გეგმა, ირან-ოსმალეთის რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებამ...) და ახლო აღმოსავლეთში ევროპის დიდ სახელმწიფოთა კიდილმა უამრავი ლიტერატურა წარმოშვა. ამ პერიოდის აღწერილობით ლიტერატურაზე გავრით ზევით ვილაპარაკეთ. ახლა ორიოდ სიტყვით შევეხოთ ქართული ენისა და კულტურის მეცნიერული შესწავლის ცალკეულ ეპიზოდებს.

მე-19 საუკუნისათვის, ზედაპირული, მკრთალი აღწერილობითი ცნობები აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ უკვე აღარ აკმაყოფილებდა ევროპის ბურჟუაზიას. იგი ახლა მოითხოვდა ამ ქვეყნების ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, დაკვირვებულ მეცნიერულ გამოკვლევებს მათი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

პარიზში შეიქმნა სპეციალური სასწავლებელი, სადაც აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის შესწავლა ხდებოდა. იგი დაარსდა 1795 წ. 12 აპრილს⁹⁹. 1814 წ. საფრანგეთის კოლეჯში ჩინური ენის სწავლება შემოიღეს, მისი პირველი პროფესორი იყო ე. აბელ-რემუზა¹⁰⁰. იგი ასწავლიდა მანჭურულსაც. განსაკუთრებით დაწინაურდა ინდო-ევროპული ენების შესწავლა აღმოსავ-

⁹⁹ ეწოდება: Ecole Spéciale des langues orientales vivantes. იბ. Dugal-ის დასახ. ნაშრომი, შესავალი. შდ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე — დასახ. წერილი.

¹⁰⁰ В. Бартольд — დასახ. ნაშრომი, შდრ.: M. Landresse — Notice sur la vie et les travaux de M. Abel-Remusat, იბ. NJAS, ტ. XIV, 1834, გვ. 205—231, 196—316.

ლურ ენებთან მიმართებით (ფრ. ბოპპი)¹⁰¹. ორიენტალისტიკის ვანკითარებაში, მე-19 საუკუნის დასაწყისს, დიდი წვლილი შეაქვს რუსეთს. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში იხსნება აღმოსავლური ენების კათედრები — ხარკოვში (1805 წ. — ბრენდტი), მოსკოვში (1811 წ. — ბოლდირევი), ყაზანში (1807 წ. — ფრენი)¹⁰².

რუსეთში კვლავ გაცოცხლდა იდეა აზიური მუხეუმის დაარსებისა. 1810 წ. ს. ს. უვაროვმა შეადგინა და მთავრობას წარუდგინა შესაბამისი პროექტი, მაგრამ იგი განუხორციელებელი დარჩა¹⁰³.

ქართველი ბატონიშვილებისა და მათი თანმხლები პირების ვადასახლებამ რუსეთში მე-19 საუკუნის დამდეგს დიდად შეუწყობელი ქართველოლოგიური კვლევა-ძიების გაშლას პეტერბურგსა და მოსკოვში. 1802 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ნაშრომი საქართველოს შესახებ. ეს იყო ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნი¹⁰⁴. ავტორის ცნობით, ეს წიგნი შედგა «из оригинальных источников, большею частью сообщенных от пребывающих ныне в Санкт-Петербурге грузинских посланников и депутатов». წიგნი შეიცავდა ცნობებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე, საეკლესიო და საერო ლიტერატურაზე, ქართულ ქრონიკებზე, პოეტიკაზე და ა. შ. ცნობების სისრულით და მრავალმხრიობით ეს წიგნი ყველაზე საუკეთესო იყო საქართველოს შესახებ დას. ევროპაში და რუსეთში ამჟამად არსებულ წიგნთა შორის. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი თარგმნა გერმანულად და გამოიცა ლაიპციგსა და რიგაში¹⁰⁵.

¹⁰¹ ფ. ბოპის წიგნის ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობაში M. Bréal-ს მოცემული აქვს, ამ მხრივ, მე-19 საუკუნის დასაწყისში პარიზში მიმდინარე მუშაობის დახასიათება. იხ. Fr. Bopp — Grammaire comparée... 1, Paris, 1846, შესავალი, გვ. XII და შმდ.

¹⁰² Н. И. Веселовский — Сведения об официальном преподавании восточных языков в России, СПб, 1879.

¹⁰³ Projet d'une Academie asiatique, 1810. რუსულად: Вестник Европы, 1811, ნაწ. 55, № 1, გვ. 27—51; № 2, გვ. 96—120.

¹⁰⁴ Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб, 1802, გვ. 101.

¹⁰⁵ ამ წიგნის შესახებ იხ. თ. შ ა ქ ა ე ა რ ი ა ნ ი — ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, საქართველოს საერო ბიბლიოთეკის შრომები, 1937, ტ. III.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველები თვითონაც აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. 1805 წ. დავით ბატონიშვილმა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა საქართველოს მოკლე ისტორია¹⁰⁶, 1814 წელს იქვე ღაბიბქდა ვახტანგ ბატონიშვილის ისტორიული ნაშრომი, ხოლო ორი წლით ადრე გამოაქვეყნდა მისი პოლიტიკურ-ფილოსოფიური წერილები¹⁰⁷. პეტერბურგში დიდ ლექსიკოლოგიურ და ისტორიულ-ფილოლოგიურ მუშაობას ეწეოდა იოანე ბატონიშვილი.

1818 წელს პეტერბურგში დაარსდა აზიური მუზეუმი, რომელმაც დაიწყო აღმოსავლური, მათ შორის. ქართული ხელნაწერების შერკება. ამაზე ადრე 1815 წ. მოსკოვში გაიხსნა ლაზარევთა აღმოსავლური ინსტიტუტი, რომელიც მალე გადაიქცა რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო ცენტრად. 1823 წელს პეტერბურგში საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გაიხსნა აღმოსავლური ინსტიტუტი. ფართოვდება აღმოსავლური ენების სწავლება რუსეთის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

მალე რუსეთში გამოჩნდა მეცნიერი, რომელიც სპეციალურად დაინტერესდა კავკასიისა და საქართველოს ისტორიული წარსულის საკითხებით. ეს იყო პ. გ. ბუტკოვი. მან 1824 წელს გამოაქვეყნა წერილი არჩილ მეფის ანდერძის შესახებ¹⁰⁸. ავტორი დაუინტერესებია ბიშინგისა და გალემის¹⁰⁹ ცნობას იზიან შესახებ, რომ, თითქოს, არჩილ მეფეს სიკვდილის წინ ანდერძით პეტრე პირველისათვის დაუტოვებია თავისი უფლებები იპერეთის სამეფოზე. ბუტკოვმა გრაფ. თ. ა. ტოლსტოის ბიბლიოთეკაში იპოვნა ამ ანდერძის პირი, დაურთო მას შესავალი წერილი, სადაც გააშუქა არჩილის მოღვაწეობა და გაუყუთა კომენტარები. ამ უკანასკნელთაგან საყურადღებოა ავტორის შენიშვნები ქართველ

¹⁰⁶ Царевич Давид — Краткая история о Грузии, 1805, СПб.

¹⁰⁷ Грузинский царевич Вахтанг — Сбозрение истории грузинского народа, СПб. 1814; Письма царевича Вахтанга Ираклиевича, СПб, 1812, об. შ. ხანთაძე — ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII—XIX ს. მიჯნაზე (ვახტანგ ბატონიშვილის წერილები), თბ. „მნათობი“, 1962, № 12.

¹⁰⁸ История о духовном завещании Имеретинского царя Арчила, об. თურბ. «Северный Архив», 1824, часть XII, № 23—24, გვ. 203—222

¹⁰⁹ ბიშინგი — Азия и Аравия, გვ. 118; გალემი — Жизнь Петра, III, გვ. 9; ვუთითებთ ბუტკოვის მიხედვით.

ბაკრატიონთა ჩამომავლობის შესახებ (ძველი ბიზანტიური და სომხური წყაროების მოშველებით). ბუტკოვის მეორე წერილი ეხებოდა რუს და ქართველ მმართველთა დინასტიურ კავშირებს XII ს-ში¹¹⁰. იგი ანალიზს უკეთებს რუსი მემკვიდრე ცნობას იზიასლავ მტისლავის ძის ქართველ ბატონიშვილზე დაქორწინების შესახებ და ქართული ქრონიკების მონათხრობს თამარ მეფის რუს-უფლისწულზე გათხოვების შესახებ. ბუტკოვის ეს ორი ნაშრომი რუსეთის ქართველოლოგიურ ლიტერატურაში უთუოდ თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში რუსეთში ქართული სიძველეებით დაინტერესდა აგრეთვე აკად. ხ. ფრენი. იგი ფართო მასშტაბის ორიენტალისტი იყო¹¹¹. ხ. ფრენმა შეისწავლა ქართული მონეტები, სპეციალური წერილი უძღვნა გელათში დაცულ არაბულ წარწერიან რკინის კარებს¹¹². მან პირველმა რუსეთის მეცნიერებს შორის მიაქცია ყურადღება რუმიახმეის მუზეუმში დაცულ „ქართლია ცხოვრების“ ხელნაწერს და დააყენა საკითხი მისი შესწავლისა და გამოქვეყნების შესახებ¹¹³. იგი იყო აგრეთვე დიდი ენთუზიასტი აღმოსავლური. და, მათ შორის, ქართული ხელნაწერების შეკრება-შეგროვებისა. ამ მიზნით მან 1834 წ. სპეციალური ინსტრუქცია (უკეთ, ხელნაწერთა სია) შეადგინა საქართველოში და სხვა ქვეყნებში გამომგზავრებულ პირთათვის¹¹⁴.

იმავ ხანებში ქართული სიძველეების გაცნობა და შესწავლას აწარმოებდა ანდ. შეგრენიც. 1836 წ. მან იძგზაურა საქართველოში, აქ იგი დაუკავშირდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს

¹¹⁰ О браках князей Русских с грузинками и ясынами в XII в. иб. ჟურნ. «Сев. Архив», 1845, ч. XIII, № 4, გვ. 317—333.

¹¹¹ П. С а в е л ь е в — О жизни и трудах Френа, СПб. 1855, 81 გვ.

¹¹² X. F r a e h n — Erklärung der arabischen Juschrift des eisernen Torflügels zu Gelathi in Jmereth. იბ. Mém. de l'Academ. VI-e serie, ტ. III. ნაწყვეტი აქედან: Bsc, I, № 3, 1836, გვ. 20—21.

¹¹³ X. F r a e h n — Über die michtighten Orientalischen Handschriften des Rumiauzowischen Mus., Bsc, I, 1836, გვ. 156—160.

¹¹⁴ მ ი ს ი ე — Хронологический список некоторых армянских историков... с указанием важных рукописных сочинений из разных других литератур и отысканию и приобретению копх мог бы представлять случай в Грузии и в других странах. 1834 ; მეორე გამოცემა ყაზანში 1841.

პლ. იოსელიანს, გაიცნო განათლებული იმერელი დეკანოზი ნიკოლოზ ქუთათელაძე, აკადემიის სახელით სთხოვა მათ. შეეკრიბა და გაეგზავნათ აკადემიისათვის ქართული ხელნაწერები, ძველ მონეტები თუ სხვა სიძველენი.

თავის მოგზაურობის შესახებ შეგრენი ვრცელ მოხსენებებზე გაუგზავნიდა აკადემიას, ატყობინებდა მას თავისი მუშაობის შედეგებს. ეს მოხსენებები ფაქტიურად მოგზაურობის დღიურებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთ მათგანში შეგრენი ატყობინებს აკადემიას, რომ აზიურ მუზეუმს სტევენმა გაუგზავნა რუსული საბუთები საქართველოს შესახებ. ეს იყო 1803—1804 წლების კამერალური აღწერების ფრაგმენტები¹¹⁵. ეს აღწერები ანუ ამაღ ცულია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკ. 30-იანი წლებისათვის რუსეთში უკვე დაწყებული იყო ქართულ სიძველეთა შესწავლა. გამოქვეყნებული იყო ცალკეული წერილები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ქართულ სიძველეებზე, ქართულისადმი ინტერესი გაზრდილი იყო.

მივუბრუნდეთ დასავლეთ ევროპას. 1806 წ., ბერლინში დაიბეჭდა იოჰან ზრისტიან ადელუნგის ნაშრომი, რომელშიც იყო მსჯელობა ქართული ენის შესახებაც¹¹⁶. ეს მსჯელობა მრავალ შეცდომას შეიცავდა. ადელუნგი იმეორებდა აზრს იმის შესახებ, თითქოს თითოეულ ქართულ ზმნას საკუთარი უღვლოების წესი ჰქონდეს. მაგრამ მასში იყო ზოგიერთი სწორი დაკვირვებაც (მაგ. სუფიქსებზე).

ქართული მწერლობის ძეგლებზე ყურადღება გაამახვილეს ბიბლიურმა საზოგადოებებმა რუსეთში და დასავლეთში. რუსეთში ბიბლიური საზოგადოების ინიციატივით დაიბეჭდა ახალი აღთქმის წიგნები (პეტერბურგი, 1818). ასევე, საყურადღებოა ლონდონის ბიბლიური საზოგადოების საქმიანობა ამ მხრივ. ეს საზოგადოება

¹¹⁵ A. Sjoegren — Manuscripts relatifs au Caucase offerts au Musée asiatique par M. Steven. იხ. Bsc, III, 1838; გვ. 383. შეგრენის სხვა წერილები. იხ. Bsc, I, 1836, გვ. 111—112; 118—119; Bsc, III, 1838, გვ. 168—272.

¹¹⁶ J. Cii. Adelon: — Mithridates oder allgemeine Sprachkunde, Berlin, 1806, I, იხ. A. Царепин — დასახ. ნაშრომი, გვ. 55—59.

1804 წ. დაარსდა¹¹⁷, მისი აგენტები მოედნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს და აგროვებდნენ ცნობებს ქრისტიანული მწერლობის შესახებ სხვადასხვა ხალხებში. ერთი ამ აგენტთაგანი, ვინმე პინკერტონი, ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს ეცნობოდა. ამ მიზნით მან იმოგზაურა ათონზე, იყო რუსეთშიც და შეკრიბა ცნობები ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლებზე. პეტერბურგში მას ცნობები მიაწოდა ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ დოსითეოზ ფიცხელაურმა¹¹⁸. ათონზე პინკერტონმა 39 ქართული ხელნაწერი აღწერა (ბიბლია, ოთხთავი, ბასილ დიდის ნაწერები, იოანე ხრისტოსტომის კომენტარები და სხვა). ქართული ძეგლების ეს მიმოხილვა მან გამოაქვეყნა თავის ორ პატაჟში ბიბლიური საზოგადოებისადმი. პირველი დაიბეჭდა 1816 წელს, მეორე — 1820 წელს¹¹⁹.

ამავე საზოგადოების აგენტი იყო ებენცერ ჰენდერსონი, რომელმაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მისიონერული მიზნებით იმოგზაურა კავკასიაში (იყო საქართველოშიც) და დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის ვრცელი აღწერა¹²⁰.

ევროპაში ორიენტალისტიკის (და, კერძოდ, ქართველოლოგიის) წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიური საზოგადოებების დაარსებას. პარიზში ასეთი საზოგადოება დაარსდა 1822 წ., ლონდონში — 1823 წ., გერმანიაში — 1844 წ.

პარიზის აზიური საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ სახელგანთქმული ორიენტალისტები: ა. ი. სილვესტრ დე-სასი, ე. პ. აბელ-რემუზა, ა. ე. სენ-მარტენი, პ. ი. კლაპოტრი¹²¹. საზო-

¹¹⁷ W. Canton — The History of the British and Foreign Bible Society, Londre, 1904.

¹¹⁸ დოსითეოზ ფიცხელაურის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: სოციალური ბრძოლის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX—B, 1959, გვ. 139—169.

¹¹⁹ პინკერტონის პატაჟებზე ჩვენ ხელი არ მივიწვდა. მათ შესახებ ცნობებს ვიძლევიტ მ. ბროსებზე დაყრდნობით. იხ. მისი — Elements... გვ.

¹²⁰ იხ. М. Полневиков — Европ. путеш... II, 1946, გვ. 95—97.

¹²¹ იხ. Société Asiatique. Le livre de Centenaire (1822—1922), Paris, 1922. დამაარსებელთა შესახებ: H. Deherain — Silvestre de Sacy, ses contemporains et ses disciples, P., 1938; M. Brosset. Notice historique sur A. J. Saint-Martin, წიგნში: Histoire du Bas. Empire, ტ. XIII, P., 1832,

გადოებამ თავის სამუშაო პროგრამაში საგანგებოდ შეიტანა ქართული და სომხური ენებისა და ლიტერატურის შესწავლა.

თავისი მიზნების მისაღწევად საზოგადოებამ ფართო მუშაობა გააჩაღა. მის წევრებად ითვლებოდნენ რუსეთში — ბ. ფრენი და ფ. შარმუა, ავსტრიაში — ნომანი, ვენეტიკში — ზორაბი და სხვ. ამ საზოგადოების წევრი იყო იმ ხანად საქართველოში მყოფი ვ. ლეტელიე და ვაჰარი ერნოზანი. საზოგადოება მეცნიერულ მივლინებებში გზავნიდა თავის წევრებს და ავალებდა მათ ხელნაწერების თუ სხვა ისტორიული ძეგლების შეკრებას. ჩვენთვის საინტერესო შედეგები ჰქონდა შულცის მოგზაურობას აღმოსავლეთ თურქეთში. აქ მან მოიპოვა რამდენიმე სომხური ხელნაწერი, რომელთა შორის აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ერთ-ერთი ნუსხა, ვახუშტის ქრონიკონების სომხური თარგმანი და სხვ. შულცმა აგრეთვე გადმოიღო თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ეკლესიის (ქულოხიის) წარწერა და გაუგზავნა ეს მასალა სენ-მარტენს, ხოლო ამ უკანასკნელმა „აზიური საზოგადოების“ ჟურნალში გამოაქვეყნა შულცის ჩანაწერები, თავისი შენიშვნებითა და კომენტარებით¹²².

პარიზის აზიურ საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ჟურნალი *journal asiatique*, რომლის ფურცლებზეც ჩვენთვის საყურადღებო მრავალი ნარკვევი გამოაქვეყნდა¹²³. ამ წერილების ავტორები არიან ე. სენ-მარტენი, პ. ი. კლაპროტი, პოლკოვნიკო როტიე¹²⁴ და სხვანი.

1822 წელს ს. ფატერი ჰალეში აქვეყნებს ქართული ენის გრამატიკას¹²⁵. ეს იყო კომპილაცია უკვე არსებული გრამატიკული

გვ. I—XXII. C. Landresse—Notice historique et litteraire sur M. Klaproth, NJAS. XVI, 1835, გვ. 243—273 და მისივე ზემოდასახელებული წერილი ე. აბელ-რემუზას შესახებ.

¹²² იხ. Extrait des lettres de M. Schulz, pendant son sejour à Constantinople et à Arzroum, NIAs. I, 1828, გვ. 7, 66—84, 125—142. აგრეთვე J. Saint Martin—Notice sur le voyage litteraire de M. Schulz en Orient... NJAS, ტ. II, 1828, გვ. 161—188.

¹²³ მათი მიმოხილვა იხ. Г. Казбек-ის ზემოდასახელებულ წერილში.

¹²⁴ Rotliers-ის წერილებიდან გვინდა აღვნიშნოთ ორი: Notice biographique sur Marie dernier Reine de Georgie, იხ. IAS, X, 1827, გვ. 367—379; და De la religion chretienne en Géorgie... JAS, XI, 1827, გვ. 193—217.

¹²⁵ S. V a l t e r — Grusinische oder georgische Sprachlehre, Halle, 1822, იხ. A. Harapeliu — დასახ. ნაშრომი.

ნაშრომებიდან (მაჯიო. გაიოზი, ფირალოვი). კომპილაცია საკმაოდ უხეიროდ იყო შედგენილი და. ამდენად, ფატერის ნაშრომი ქართული ენის შესწავლის საქმეს ახალს ვერაფერს მატებდა.

მ. ბროსეს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის ევროპული ქართველოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ე. სენ-მარტენი და პ. ი. კლაპროტი.

ანტუან-ჟან სენ-მარტენი დაიბადა 1791 წელს. პარიზში, შეძლებული ვაჟის ოჯახში; მამამ თავდაპირველად იგი სავაჭრო საქმიანობაში ჩააბა. მაგრამ ბავშვის გატაცებამ წიგნების კითხვით, ბრწყინვალე ფალოლოგიურმა ნიჭმა და საოცრად ძლიერმა მეხსიერებამ სხვა გზით წაიყვანა კბუჯი სენ-მარტენი. 20 წლისამ მან უკვე კარგად იცოდა არაბული და სომხური, სპარსული, თურქული და სირიული ენები. მუშაობაში იყენებდა ზენდურ და ქართულ ენებსაც. 1811 წელს იგი აქვეყნებს ნაშრომს ეგვიპტის ფარაონების შესახებ, ხოლო 1812 წლისათვის უკვე მზად ჰქონდა ორტომიანი ნაშრომი სომხეთის ისტორიაზე და გეოგრაფიაზე. ეს უკანასკნელი მან 1818 წელს დაბეჭდა¹²⁶. 1820 წელს იგი პარიზის აკადემიის წევრად აირჩიეს. ორი წლის შემდეგ პარიზის „აზიური საზოგადოების“ დაარსებაში იღებს მონაწილეობას და ხელმძღვანელობას უწევს მის მუშაობას. 1824 წლიდან იწყებს ლეზოს მრავალტომიანი „ბიზანტიის ისტორიის“ გამოცემას. ამავე წელს გაიცნო იგი მარი ბროსემ და დაუმეგობრდა კიდეც. ა. ი. სენ-მარტენი დახმარებას უწევდა ახალგაზრდა ბროსეს, აწვდიდა მას საინტერესო მასალებს, წიგნებს, ეხმარებოდა რჩევა-დარიგებებითა და მთელი რიგი საკითხების ახსნა-განმარტებებით, ბეჭდვდა რეცენზიებს ბროსეს ნაშრომებზე.

სენ-მარტენის ზემოხსენებულ კაპიტალურ ნაშრომში ქართულ მასალებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. „ქართლის ცხოვრებას“ იგი იცნობს და იყენებს კლაპროტის მიერ გამოქვეყნებული ფრაგმენტებით. სტეფანოს ორბელიანის თხზულებისადმი დართულ შენიშვნებში საქართველოს მრავალ გეოგრაფიულ-ისტორიულ საკითხს განმარტავს.

¹²⁶ Mémoires historique et géographique sur l'Arménie, par M. I. Saint-Martin. Paris, 1818, ტ. I-II.

„აზიური საზოგადოების“ ეურნალში სენ-მარტენის წერილები მრავლადაა გამოქვეყნებული. ეს წერილები, ძირითადად, სომხეთის ისტორიის საკითხებს აშუქებენ. მაგრამ მათ შორის გვხვდება საქართველოს ისტორიის ან ქართული ლიტერატურის შესახებ დაწერილი წერილებიც. ერთ-ერთ მათგანში: „Rapport sur la littérature géorgjienne“, რომელიც 1822 წელს გამოქვეყნდა სენ-მარტენი მიმოიხილავს ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ევროპაში არსებულ ნაშრომებს, მიუთითებს მათ ნაკლოვანებაზე და მსჯელობს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე¹²⁷. აქ იგი ჩამოთვლის, აგრეთვე, მისთვის ცნობილ ქართული მწერლობის ძეგლებს, ახასიათებს ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობას რომში, აღწერს ვახტანგ VI-ის კულტურულ საქმიანობას და სხვ.

სენ-მარტენის ეს წერილი ერთ-ერთი ადრეული და თვალსაჩინო მიმოხილვაა ქართული მწერლობისა ევროპულ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში.

ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ქართველოლოგიაში გასული საუკუნის პირველ მესამედში იყო ჰაინრიხ იულიუს კლაპროტი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომში საქართველოს შესახებ დიდძალი მასალა იყო გამოქვეყნებული.

კლაპროტი დაიბადა ბერლინში 1783 წელს, ცნობილი ქიმიკოსის მარტინ-ჰაინრიხის ოჯახში. ჯერ კიდევ სკოლაში დაინტერესდა იგი ჩინური ენით და დამოუკიდებლად დაიწყო მისი შესწავლა¹²⁸. 1801—1803 წლებში პალეს უნივერსიტეტში სწავლობს კლასიკურ ფილოლოგიას და განაგრძობს მუშაობას სინოლოგიაში. 1802 წელს იგი ვაიმარში აქვეყნებს თავის პირველ კრებულს აზიურ ხალხთა ენებისა და ისტორიის შესახებ. 1804 წ. კლაპრო-

¹²⁷ იხ. JAS. II, 1822, გვ. 117—125.

¹²⁸ კლაპროტის ბიოგრაფი ლანდრესი აღმოგვცემს, ჰაინტერესო შემთხვევას: ვიშნაზიაში გამოცდაზე კლაპროტს ვერ უპასუხია ვერც ერთ საკითხზე. მასწავლებელი, უთქვამს მისთვის — შენ არაფერი არ იცი, ჰაინრიხ! სამაგიეროდ მე ვიცი ჩინური — უპასუხა კლაპროტმა. როგორ ჩინური? — ვაიკვირეა მასწავლებელმა — საიდან და ვისგან ისწავლე? — ჩემით — უპასუხა კლაპროტმა და იქვე უჩვენა გამოცდელს ჩინური ტექსტი, რომელიც მის თვალწინ თარგმნა გერმანულად. თარგმანი იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება.

ტი მიიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის აღიუნქტად. 1805—1807 წლებში კლაპროტი ახლდა რუაეთის ელჩს გოლოვკინს ჩინეთში. ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ იგი ექსტრაორდინარულ აკადემიკოსად აირჩიეს და სამეცნიერო მივლინებით გამოგზავნეს კავკასიაში. 1807—1808 წლებში იმოგზაურა საქართველოში. 1811 წელს მას მოუვიდა უთანხმოება რუსეთის აკადემიის მესვეურებთან, რას გამოცდატოვა რუსეთი და დაბრუნდა გერმანიაში. 1815 წლიდან კი პარიზში გადასახლდა და იქ დარჩა გარდაცვალებამდე (1835).

საქართველოში მოგზაურობის აღწერა მან ჯერ გერმანულად გამოაქვეყნა პალეში 1812—1814 წლებში¹²⁹, ხოლო შემდეგ შემოკლებით დაბეჭდა ფრანგულადაც 1823 წ. გერმანულ გამოცემას კლაპროტმა საინტერესო დამატებები დაურთო: მეფე-მთავართა გენეალოგიები, რუკები და სხვ. აქვე იგი აქვეყნებს „ქართლის ცხოვრების“ მოკლე შინაარსს და შემდეგ განაგრძობს საქართველოს ისტორიის თხრობას 1800 წლამდე.

კავკასიის ქვეყნებისა და ხალხთა აღწერას, მათ ისტორიასა და ენას კლაპროტმა მრავალი ნაშრომი უძღვნა¹³⁰.

1822 წლიდან კლაპროტი პარიზის „აზიური საზოგადოების“ წევრია და ამ საზოგადოების ჟურნალში საქართველოს შესახებ რამდენიმე საინტერესო წერილს ბეჭდავს. ასეთებია: „საქართველოში და სომხეთში XIII ს-ში მონღოლთა შემოსევების მიმოხილვა“¹³¹. „საქართველოს ისტორია“¹³² (ნაწყვეტები „ქართლის ცხოვრებიდან“), „საქართველოს გეოგრაფიული აღწერიდან“¹³³ (ნაწყვეტები ვახუშტის გეოგრაფიიდან), „შენიშვნები მეგრული ენის შესახებ“¹³⁴ და სხვა.

1822 წელსვე კლაპროტს მიანდეს ქართულ-ფრანგული ლექსიკონისა და ქართული ენის გრამატიკის შედგენა. 1827 წ. მან ლექსიკონი დაბეჭდა, ხოლო გრამატიკის გამოქვეყნება ველარ მო-

¹²⁹ Reise in dem Kaukasus und nach Georgien... Halle—Berlin, 1812—1814.

¹³⁰ მათი ნაშრომია იხ. М. Полневктов, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ.

¹³¹ NJAS, ტ. XII, 1833, გვ. 193—214; 273—305.

¹³² იქვე, 518—541; ტ. XIII, 1834, გვ. 21—56.

¹³³ NJAS, II, 1829, გვ. 203—234, 349—376; ტ. V, 1830, გვ. 20—59.

¹³⁴ NJAS, III, 1829, გვ. 154—161.

ასწრო. 1835 წელს კლაპროტი გარდაიცვალა და მის მიერ დაწყებული გრამატიკის გამოცემა მ. ბროსემ დაამთავრა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ევროპულ ქართველოლოგიაში მოიპოვებოდა დიდძალი აღწერილობითი ცნობა საქართველოს შესახებ, ევროპის სხვადასხვა პუნქტში თავმოყრილი იყო ქართული სიძველეები, ხოლო ცალკეულ საკითხებზე არსებობდა მეცნიერული გამოკვლევებიც. სპეციალისტი-ქართველოლოგის გამოჩენისათვის ნიადაგი ყოველმხრივ შემზადებული იყო.

საქართველოს XVI—XVIII სს. ეკონომიური ისტორიის
შისწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში*

XV—XVI საუკუნეების მიჯნა საქართველოს ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისია. ამ დროისათვის ერთიანი ფეოდალური მონარქია საბოლოოდ დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად. ეკონომიური რეგრესი, რომელმაც მოიცვა ქვეყანა, სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, მეტამეტად საგრძნობი გახდა მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება, ქალაქებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის დაქვეითება, ინტენსიური სოფლის მეურნეობის მოშლა. საერთო ეკონომიური დაცემა თავისი შედეგებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო, ბატონყმობამ უკიდურესად მახინჯი ფორმები მიიღო.

აღწერილი სურათი შედეგი იყო მახლობელ აღმოსავლეთში მომთაბარე-მეჯოგე ტომების იმ განუწყვეტელი შემოსევებისა, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან. საქართველოს მეზობელი, კულტურულად და წინაურებული ფეოდალური ქვეყნები ამ მოვლენის მსხვერპლი გახდა. გარკვეული მიზეზების გამო საქართველომ ძირითადად შეინარჩუნა თავისი სოციალურ-ეკონომიური წყობა, მაგრამ თავიდან ვერ აიცილია ეკონომიური დაქვეითება და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგები.

XV—XVI საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის აგრესიამ საქართველო მთლიანად მოწყვიტა მსოფლიოს დანარჩენ კულტურულ ცენტრებს, საბოლოოდ შეიკრა მტრული გარემოცვის წრე, რომლის შიგნით მოექცა ფეოდალური საქართველო.

* სტატიაში ასახულია ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევები 60-იანი წლების დასაწყისამდე.

მიუხედავად ამისა ქვეყნის გამაერთიანებელი პროგრესული ძალები საბოლოოდ არასოდეს ჩამკვდარა. განვითარების შეჩერებისა და გარკვეული ზომით უკანდახევის მიუხედავად, არ მოსპობილა წინსვლის საერთო ტენდენცია, რომელიც შესამჩნევად იწყებს გამოვლინებას XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების მიერ ამ დროიდან გატარებული ღონისძიებანი, მიმართული ქვეყნის „გაევროპელებისაკენ“, — რეალურ შინაგან და საგარეო საფუძველს ეყრდნობოდა. ამ დროიდან იჩენს თავს ის მოვლენები, რომელიც დამახასიათებელია, საერთოდ, გვიანდელი ფეოდალიზმისათვის. ამიტომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ფეოდალიზმის გვიანდელი პერიოდის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

ბურჟუაზიული ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მართალია, დასვა საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხი, მაგრამ ვერ მოგვცა, და არც შეეძლო მოეცა, დასმული საკითხის გადაწყვეტა. ის, საერთოდ, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ფეოდალური დაშლილობის პერიოდის ისტორიის შესწავლას. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვეყნის ეკონომიური ისტორიის პრობლემების შესწავლის მიმართ. ამ ისტორიოგრაფიის უპოვარესი დამსახურება ისტორიული წყაროების შეგროვება-გამოცემაში გამოიხატა. უკიდურესად ღარიბი შემკვიდრეობა, რომელიც ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ მიიღო, კრიტიკულ ათვისებას საჭიროებდა. მაგრამ ახალი ისტორიოგრაფია ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა და მის წინაშე უპირველეს ამოცანად დადგა საქართველოს ისტორიის პრობლემების მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე შესწავლა. ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ისტორია პირველ რიგში იქნა დაყენებული.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის პირველ პერიოდში (1921 წ. — 30-იანი წლების I ნახევარი) ბევრი გაკეთდა, როგორც წყაროების შესწავლა-გამოქვეყნების, ისე ზოგადი ისტორიული პრობლემების შესწავლის საქმეში, მაგრამ ამ პერიოდის ისტორიოგრაფია ვერ ასცდა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთგვარ გავლენას. პერიოდის დასასრულს მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

საბჭოური ისტორიოგრაფიის მეორე პერიოდში (30-იანი წლების II, 50-იანი წლების I ნახევარი) კონკრეტული ისტორიული პრობლემების მარქსისტული შესწავლის საფუძველზე, ახალი, დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. მაგრამ ამ პერიოდის ისტორიოგრაფიის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია დოგმატიზმმა და მედავითნეობამ. რომელმაც ჯერ კიდევ 30-იან წლებში იჩინა თავი.

მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლების შუახანიდან იწყება საბჭოური ისტორიოგრაფიის ახალი, მესამე პერიოდი. ამ პერიოდში ისტორიული მეცნიერების წინაშე დაისვა დოგმატიზმისა და მედავითნეობის დაძლევის ამოცანა, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია წარმატებით ახორციელებს.

ასეთია მოკლედ და ზოგად ხაზებში საქართველოს XVI—XVIII სს. ისტორიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპები, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს ამ ისტორიოგრაფიის მიერ მოცემული პერიოდის საქართველოს ეკონომიური ისტორიის პრობლემების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობისა და ამ მიმართულებით მდგარი მორიგი ამოცანების განხილვა.



ეკონომიური ისტორიის შესასწავლად უპირველესი მნიშვნელობა სათანადო წყაროების შესწავლა-შერჩევასა და გამოქვეყნებას ენიჭება. ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა. ბუნებრივია, რომ მოკლე სტატიაში შეუძლებელია წყარომცოდნეობითი მუშაობის სათანადო გარჩევა-შეფასება. ამიტომ მხოლოდ ყველაზე უმთავრესის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები დაწვრილებით აქვს განხილული აკად. ივ. ჭავჭავიშვილის¹. მას შემდეგ სხვადასხვა სახის (ზოგად-ისტორიული, სიგელ-გუჯრები, ეკონომიურ-

¹ ივ. ჭავჭავიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930, გვ. 3—128.

ფინანსური და აღწერილობითი ხასიათის) მრავალი ისტორიული წყარო გამოქვეყნდა. ყველაზე დიდი შრომა სპეციალურ ეკონომიური წყაროების შესწავლის საქმეში აკად. ნ. ბერძენიშვილმა გასწია. მის მიერ შერჩეული და გამოცემული „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“² ძვირფას საბუთებს შეიცავს გვიანფეოდალური საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. ამ გამოცემის პირველ წიგნში თავმოყრილია მასალები ხელფასის, ქირისა და ფასების შესახებ, მეორეში — ვალის, იჯარისა და ვაჭრობის და მესამეში — აღმშენებლობის, ქონებისა და სახელმწიფო ეკონომიკის შესახებ. სამივე წიგნის ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა მამისა ბერძენიშვილმა და ცალკეა გამოცემული IV წიგნის სახით³. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემის ძვირფასი მასალები, ჯერ კიდევ, ჯეროვნად არაა გამოყენებული ეკონომიური ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად.

მიუხედავად წყაროების პუბლიკაციის საქმეში მოპოვებული გარკვეული წარმატებებისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენ არ გვაქვს ეკონომიური ისტორიისათვის ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლის მეცნიერული გამოცემა, როგორცაა დასტურლამალი. ბევრი ძვირფასი ისტორიული წყარო რევოლუციამდელ პერიოდში გამოიცა, მაგრამ, რომ არაფერი ვთქვათ ამ გამოცემათა ხარვეზიანობაზე, ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის თვით სპეციალისტებისათვისაც კი.



ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის პირველ პერიოდში, საქართველოს ეკონომიური ისტორიის პრობლემებზე მუშაობდნენ ისტორიკოსთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები — ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე, ს. ჯანა-

² ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, 1938, წიგნი II, 1953, წიგნი III, 1955.

³ „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის შეადგინა მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1958.

შია. ნ. ბერძენიშვილი და სხვები. მეცნიერ-ისტორიკოსთა ძირითადი ძალები თავმოყრილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცენტრალურ არქივსა და სახელმწიფო მუზეუმში. კვლევის საგანი იყო ზოგადი და ეკონომიური ისტორია — ქვეყნის ისტორიის მთელ სიგრძეზე. სათანადო ადგილი ეკავა საქართველოს XVI—XVIII საუკუნეების ეკონომიური ისტორიის საკითხებსაც.

საქართველოს XVI—XVIII საუკუნეების ეკონომიური ისტორიის საკითხების შესწავლა სათანადოთ აისახა ზოგადისტორიული ხასიათის შრომებში. ამათგან აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნი. ამ წიგნის პირველი ნაკვეთი, რომელიც XV საუკუნის ისტორიას შეიცავს, — 1924 წ. დაიბეჭდა, მეორე ნაწილი კი, რომელიც 1924—25 წწ. ძირითადად დაწერილი ჰქონდა ავტორს, — პირველად გამოქვეყნდა 1948 წ. პირველ წიგნთან ერთად⁴. ნაშრომში მოცემულია XV—XVI საუკუნეების საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი სურათი. საქართველოს ეკონომიურ დაცემაში ავტორი განაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგარეო შემოსევათა და მის თანმზღებ მოვლენათა შედეგად გამოწვეულ ქვეყნის მოსახლეობის შემცირებას, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა და სახელმწიფოს შემოსავლის შემცირება. დაცემის პირობებში სახელმწიფოს ფინანსიური პოლიტიკა გამოიხატა ახალი გადასახადების შემოღებაში და ძველის გადიდებაში. ავტორის გამოანგარიშებით, XVI საუკუნის დასაწყისისათვის, ლიტრის ზომა წინანდელთან შედარებით, 6-ჯერ გაიზარდა. ავტორის სამართლიანი დასკვნით, გადასახადების გადიდება ეკონომიური დაქვეითების პირობებში უფრო მეტი გალარბების მიზეზი ხდებოდა⁵. საჭიროა აღინიშნოს, რომ ავტორი ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის საქმეში გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „ქართველი ერის წიაღში არსებული... გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილი თემობრივი განკერძოებობადმი მისწრაფებას“, რომელიც ყოველთვის ძლიერი იყო და რომელიც კიდევ უფრო გააძლიერა საგარეო შემოსევებმა⁶.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი IV, 1948.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

⁶ იქვე, გვ. 175, 176.

დასახელებული ზოგადი ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია ს. კაკაბაძისა და გ. ნათაძის შრომები. 1922 წ. გამოცემულ ს. კაკაბაძის წიგნში⁷ საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის ზოგადი ეკონომიური მდგომარეობისა და ეკონომიური ისტორიის ზოგიერთი კონკრეტული საკითხების განხილვას. ავტორი სწორად აფასებს XV—XVI სს. მსოფლიო ისტორიული ხასიათის მოვლენების მნიშვნელობას საქართველოსათვის. ავტორის გამოანგარიშებით, XVI ს-დან XVII საუკუნის I ნახევრამდე, ქართლის მოსახლეობა სამჭერ შემცირდა, ამდენჯერვე შემცირდა ს' ელმწიფოს შემოსავალი ერთი საუკუნის განმავლობაში. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ერთგვარი ეკონომიური წინსვლა იწყება XVIII საუკუნიდან. ეს აზრი ავტორმა უფრო განავითარა ნარკვევში, რომელიც მიძღვნილია XVIII საუკუნის საქართველოს ეკონომიური მდგომარეობას მიმოხილვისადმი⁸. ამ ნაშრომში პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნე გარდატეხის საუკუნეა, რომელსაც საფუძველი დაუდვა სპარსეთ-ოსმალეთისაგან თავის დაღწევამ და რუსეთ-ევროპასთან კავშირის გაბმამ საუკუნის II ნახევარში. ნაშრომში საქართველოს დაცემა დაკავშირებულია წინა აზიის ეკონომიურ დაცემასთან მონგოლების დროიდან. რუსეთთან დაახლოება საშუალებას აძლევდა საქართველოს თავი დაეღწია ღრმა ეკონომიური კრიზისისათვის და თავისი მომავალი განვითარებისათვის ეზრუნა, მაგრამ შინაგანი და საგარეო მიზეზების განვითარებამ შეუძლებელი გახადა საქართველოს საკუთარი ძალებით დაეძლია ეკონომიური კრიზისი, რაც განსაკუთრებით XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა საგრძნობი⁹.

პროფ. ს. კაკაბაძე ნაშრომში, რომელიც შეეხება ფიოდორის წყობილებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამრიგებდა ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალური წყობის ერთიანობას XVI—XVIII სს-ში. თუმცა, იგი ცნობდა ქართული ფიოდორის სპეციფიკურობას, მაგრამ მას არსებით მნიშვნელობას არ

⁷ ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეები. ეპოქა, (1500—1810) ტფ., 1922.

⁸ ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ XVIII საუკუნეში (საზოგადო მიმოხილვა). „მნათობი“, 1924, № 2 და 3.

⁹ ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკ. ვითარების შესახებ... „მნათობი“, № 2, გვ. 242, გვ. 275—276.

ანიკებდა¹⁰. ასეთივე აზრი გაიმეორა მან ნაშრომში «Краткий обзор истории Грузии». ავტორის ეს შოსაზრება არაა გაზიარებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში¹².

პროფ. გ. ნათაძის ზოგადი ხასიათის ნაშრომში, რომელიც ეყრდნობოდა საქართველოს ისტორიის იმ დროისათვის გამორკვეულ და დადგენილ ფაქტებს და ამდენად უშუალო კვლევითი ხასიათის არ არის¹³, მოცემულია ცდა საქართველოს ისტორიის განზოგადებისა, რომელმაც უნდა უჩვენოს საქართველოს ადგილი მსოფლიო ისტორიული განვითარების პროცესში. ავტორი სამართლიანად უკავშირებს საქართველოს აღორძინების დასაწყისს რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს აქტიურ გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე და განსაკუთრებით აღმოსავლეთში¹⁴. ავტორის აზრით, ერეკლე მეორის დროს, ქართლ-კახეთში სავაჭრო კაპიტალი გაჩნდა და ქვეყანამ ეკონომიური აღორძინება იწყო, მაგრამ სავაჭრო კაპიტალმა და ხელოსნობამ ისეთ ძლიერებას ვერ მიაღწია, რომ მას მსხვილი ფეოდალური მემამულეობის დარღვევა შესძლებოდა¹⁵. ავტორი საქართველოს ეკონომიური დაცემის სწორ სურათს იძლევა, ხაზს უსვამს საგარეო ფაქტორის მნიშვნელობას, მაგრამ ვერ იძლევა ქვეყნის ეკონომიური დაცემის მიზეზების სწორ ახსნას, რამდენადაც გადამწყვეტ როლს ამ საქმეში გეოგრაფიულ პირობებს ანიკებს. ავტორის აზრით, საქართველოში წარმოება არასოდეს არ ყოფილა ისე განვითარებული, რომ მას მიეზიდა ცენტრისაკენ პერიფერიები; ეს წარმოება არ იწვევდა საქართველოს ერთიანობის საჭიროებას და XI—XII საუკუნეების საქართველოს დაწინაურება მისი შინაგანი განვითა-

¹⁰ С. К а к а б а д з е, Черты феодального строя в Грузии и в ханствах Закавказья в новые века. Бюллетень Кавказского историко-археологического института в Тифлисе (БКИАИ), № 8, 1931.

¹¹ Сухуми, 1941.

¹² იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII საუკუნეში, თბ., 1958, გვ. 16, 99—100.

¹³ გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, II, ტფ., 1925.

¹⁴ გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 111—112.

¹⁵ იქვე, გვ. 118.

რების შედეგი არ იყო¹⁶, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ეკონომიური კეთილდღეობა ხარკზე და ნადავლზე იყო დამყარებული და არა საკუთარი მეურნეობის შემოსავალზე¹⁷. ავტორი აღიარებს თავისებური კაპიტალიზმის არსებობას რამდენადმე ძველ აღმოსავლეთში და უფრო მეტად ძველ რომში¹⁸ და ეს არასწორი შეხედულება გავლენას ახდენს ავტორის შიერ საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდების შეფასება-განზოგადებაზე.

ქართული ისტორიოგრაფია განსაკუთრებით დაწინაურდა მისი განვითარების მეორე პერიოდში ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის შრომების წყალობით. ს. ჯანაშიას შრომებმა. საქართველოს ძველ და საშუალო საუკუნეთა ადრეული პერიოდის ისტორიის საკითხებზე, გააადვილა შემდგომი პერიოდის რთული და საკვანძო პრობლემების სწორ ნიადაგზე გადაწყვეტის ამოცანა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის ზოგადი ხასიათის შრომები, რომლებიც ჩვენ შიერ აღებულ პერიოდს შეეხება, დამყარებულია მდიდარი ისტორიული პირველწყაროების ღრმა მეცნიერულ შესწავლაზე; რიგი საკითხებისა ამ შრომებში ახლებურადაა დასმული და სათანადოდ გადაჭრილი. 1937 და 1938 წლებში გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის შრომები ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საკითხებზე XIII—XVI საუკუნეების საქართველოში¹⁹. ხოლო ავტორის შემდგომი კვლევა-ძიების შედეგები ამ დარგში ასახულია ნაშრომებში, რომლებიც 1954 და 1955 წლებში დაიბეჭდა²⁰. აქ აღნიშნული ზოგადი ხასიათის ნაშრომებში მოცემულია დასკვნები, რომლებიც მიღებულია ნ. ბერძენიშვილის შიერ ცალკეული პერიოდებისა და კონკრეტულ-ისტორიული სა-

¹⁶ გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, ნაწ. I, გვ. 36—38.

¹⁷ იქვე. ნაწ. II, გვ. 66—67.

¹⁸ გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, ნაწ. I, გვ. 13.

¹⁹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტი კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (შემდ. მსკი), ნაკვ. I, 1937; Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тб., 1938.

²⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6; კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955.

კითხების შესახებ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, რომლის ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს.

აკად. ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის ქართული და აღმოსავლური სოციალ-ეკონომიური წყობის პრინციპულად ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათის გარკვევა, იმ მიზეზების ახსნა. რომლებმაც შესაძლებელი გახადა შედარებით მოწინავე და პროგრესული ქართული ფეოდალური წყობის შენარჩუნება. ავტორის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლა ნელი, თანდათანობითი და ხანგრძლივი პროცესია, XV საუკუნის დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, მისი დასასრულია; სათავადოების სისტემა „კეთილშეზობლობისა“ და „შეყრილობის“ ინსტიტუტებით ამ დროის მოვლენაა, რომელიც შეუძლებელი იყო ძლიერა ცენტრალური ხელისუფლების პირობებში²¹.

ნ. ბერძენიშვილმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა სათავადოების წარმოშობის მიზეზები, სათავადოთა სისტემის ადგილი და როლი ქვეყნის შემდგომი სოციალ-ეკონომიური განვითარების საქმეში. სათავადოების ჩამოყალიბება განაპირობა ეკონომიურმა რეგრესმა რაც, თავის მხრივ, მომთაბარე-მეჯოგე ტომების განუწყვეტელი შემოსევების შედეგი იყო, და სათავადოების ნიადაგზე ერთიანი ფეოდალური საქართველო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა²². ნ. ბერძენიშვილის ძირითადი დებულებები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ: XIII საუკუნისათვის ფეოდალური საქართველოს სოციალური ზრდა ძირითადად დასრულებული იყო, ფეოდალურმა ურთიერთობამ თავისი განვითარების აღმავლობის უმაღლეს ზღვარს მიაღწია და „ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ“²³, მაგრამ მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს სოციალ-

²¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს.-ში, გვ. 27—28, 55.

²² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 126—127.

²³ იქვე, გვ. 125.

რად ზრდადამთავრებული ფეოდალური საზოგადოება ჩიამი მო-
ქცია, მას შემდგომი განვითარების ზრდა დაეხშო: 300 წლოვან
ბრძოლაში საქართველომ თავისი სოციალ-ეკონომიური წყობა
შეინარჩუნა, მაგრამ ქვეყნის შიგნით თავი იჩინა განვითარების
შეფერხებით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა და მხოლოდ XVIII
საუკუნის შუა წლებიდან შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის
„გამოხსნისა და აღდგომისათვის“, რაც დაკავშირებული იყო რუ-
სეთის ძლიერი სახელმწიფოს გამოსვლასთან საერთაშორისო ას-
პარეზზე.

ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებმა, მისი განვითარების
მეორე და მესამე პერიოდში, სათანადო ასახვა ჰპოვა საქართვე-
ლოს ისტორიის სახელმძღვანელოებში. 1941 წ. მეცნიერებთან
აკადემიისა და მის სისტემაში ისტორიის ინსტიტუტის ჩამოყ-
ლიბებამ, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად ცენ-
ტრად იქცა, სამოღვაწეო ასპარეზზე ისტორიკოსთა ახალი თაო-
ბის გამოსვლამ. შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიის
მარქსისტული კურსის შექმნა.

1943 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიაში²⁴. მართალია,
დამაკმაყოფილებლად ვერ აისახა XVI—XVIII საუკუნეების სა-
ქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორია, მაგრამ, სამა-
გიეროდ, საკმაო სისრულითაა ის წარმოდგენილი 1958 წ. გამო-
სულ სახელმძღვანელოში²⁵. სახელმძღვანელოს ამ ნაწილს ავტო-
რია პროფ. შ. მესხია.

ამრიგად, ზოგადი ხასიათის ისტორიულ ნაშრომებში, რომ-
ელთა დიდი ნაწილი კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების კვლე-
ვა-ძიების შედეგებს ემყარებოდა, ქართულმა საბჭოურმა ისტო-
რიოგრაფიამ, ძირითადად, სწორად გადაჭრა ქართული ფეოდალ-
ლიზმის რიგი, ძირითადი, საკვანძო საკითხები. ამასთან ერთად,
საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ერთიანი ფეოდალური
მონარქიის დაშლის მიზეზების რკვევის პროცესში წამოიჭრა სა-
კითხი XI—XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს ძლიე-

²⁴ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართვე-
ლოს ისტორია, თბ., 1943.

²⁵ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. ცუცუაძე, გ. მე-
ლიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია,
ნაწ. I, 1958.

რების ხასიათის შესახებ. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ეს ძლიერება არ ემყარებოდა ქვეყნის შინაგან საწარმოო ძალთა განვითარებას, რომ გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ეკონომიური ძლიერების უმთავრესი წყარო სამხედრო ნადავლი და ხარკი იყო და გაერთიანება ეფემერულ ხასიათს ატარებდა²⁶. აკად. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ვნახეთ, საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას. მისი აზრით, გაერთიანებული საქართველოს სიძლიერე შესაფერის სოციალ-ეკონომიურ პირობებს ემყარებოდა²⁷. ამავე თვალსაზრისზე იდგა აკ. ს. ჯანაშია, როგორც ეს ჩანს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (1943 წ.) მის მიერ დაწერილ ნაწილში²⁸.

ჩვენი ისტორიის ეს კარდინალური საკითხი, რომელიც იძლევა გასაღებს საქართველოს, როგორც ადრეფეოდალური პერიოდის, ისე XIII—XVIII საუკუნეების ისტორიული განვითარების ხასიათის შესახებ, — უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული ფეოდალიზმის მკვლევართა ნაშრომებში. აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულებებმა XII—XIII საუკუნისათვის, ქართული ფეოდალიზმის ზრდის დასრულების შესახებ, რომლის შემდეგაც ფეოდალური ურთიერთობის რღვევა უნდა დაწყებულიყო ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ. — ახალი დადასტურება ჰპოვა პროფ. შ. მესხიას უაღრესად საყურადღებო ნაშრომში თბილისის საქალაქო კომუნის შესახებ²⁹. შ. მესხიას სამართლიანი დასკვნით, თბილისის საქალაქო კომუნა ნიშნავდა „ფეოდალური ქვეყნის უმსხვილეს ცენტრში ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ძალების გამარჯვებას“³⁰, კომუნა და „სიმ-

²⁶ გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. II, გვ. 66—67. ქ. რაკველიშვილი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, 1927, გვ. 14. ამავე თვალსაზრისზე იდგა ი. ჯავახიშვილი, იხ. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 81—82.

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 122; კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება... გვ. 167—168.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 150—154, 193—197, 215—217 და სხვ.

²⁹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.

³⁰ იქვე, გვ. 148.

დიდრით ალაღებულთა“ კლასობრივი ბრძოლა, და. საერთოდ. XI—XII საუკუნეების საქართველოს ვითარება „ამელავნებს“ ანტიფეოდალური ძალების განმტკიცებისა და გამარჯვების შესაძლებლობის ნიშნებს“³¹. აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულებათა დადასტურებაა პროფ. ვ. გაბაშვილის საინტერესო მონოგრაფია ქართული ფეოდალიზმის შესახებ³². ეპყარება რა ნ. ბერძენიშვილს დებულებებს, ვ. გაბაშვილი ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სათავადოების სისტემა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბატონყმობის ნორმალური განვითარების შედეგი, რომ განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება არ ყოფილა არც ქართული, და არც აღმოსავლური ფეოდალიზმის კანონზომიერი და ბუნებრივი განვითარების შედეგი“³³.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: XI—XII საუკუნეების საქართველოს ფეოდალური მონარქია არ ყოფილა ეფემერული გაერთიანება, მსგავსად ადრეფეოდალური ხანის ფრანკთა მონარქიისა. საქართველოს ფეოდალიზაციის პროცესი ბატონყმობის წარმოშობის პროცესია, ფეოდალიზაციის დასასრული ბატონყმობის გამარჯვებაა. ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის მომწიფება XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე დამთავრდა. ამის შემდეგ არსებული ეკონომიური აღმავლობის პირობებში სოციალურად ზრდადასრულებული საზოგადოების კანონზომიერი კრიზისი უნდა დაწყებულიყო. — გვიანფეოდალური პერიოდი უნდა დამდგარიყო. საამისო ნიშნებიც უკვე ჩანდა, მაგრამ თითქმის მუდმივად მოქმედმა საგარეო ფაქტორმა ეკონომიური რეგრესი გამოიწვია და მივიღეთ განვითარების საწინააღმდეგო პროცესი: განვითარებული ფეოდალიზმის ხელოვნური გახანგრძლივება და პოლიტიკური დაშლილობა. ერთგვარი „ხელახალი დაყმევების“ პროცესი, რომლის დროსაც ბატონყმობამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო.

³¹ ი ქ ე ე, გვ. 149—150.

³² ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958.

³³ ი ქ ე ე, გვ. 413.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეკონომიური ისტორიის სპეციალური საკითხების კვლევას მისი განვითარების პირველი პერაოდთანვე ექცეოდა სათანადო ყურადღება.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლა ივ. ჯავახიშვილმა რევოლუციამდელ პერიოდში დაიწყო და კვლევის შედეგების ერთი ნაწილი კიდევაც გამოაქვეყნა. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 1927 წლამდე, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიური ისტორიის კურსს კითხულობდა. ამ პერიოდში და მომდევნო წლებში იგი შეუდგა ეკონომიური ისტორიის დაწერას ფართო გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა 4 წიგნის გამოცემას. 1930 წ. გამოვიდა მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნი, ხოლო 1934 წ. — მეორე. ამ ნაშრომებში და მესამე წიგნში განხილული უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობის ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან XIII საუკუნის დამდეგამდე, ხოლო XIII—XVI საუკუნეების ეკონომიური ისტორია მოცემული იქნებოდა მეოთხე წიგნში. III და IV წიგნი არ დაბეჭდილა, მაგრამ როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, IV წიგნი 1927 წლისათვის მთლიანად, ხოლო III ნაწილობრივ, დაწერილი ჰქონდა³¹.

აღნიშნული ნაშრომები ალბათ მეცნიერის არქივში ინახება და სასურველია მათი გამოცემა.

ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიური ისტორიის I და II წიგნებში ბევრი მასალაა თავმოყრილი XVI—XVIII საუკუნეების ისტორიისათვისაც მის იმ ნაწილში, რომელიც ეკონომიური ისტორიის წყაროების, სათანადო ტერმინოლოგიის, ბუნებრივ-ეკონომიური ზონების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას რომ შეეხება. ამიტომ XVI—XVIII საუკუნეების ეკონომიური ისტორიის მკვლევარი ვკვრდს ვერ აუვლის მეცნიერ-ისტორიკოსის ამ ნაშრომებსაც.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი. I. 1930, გვ. IV.

ეკონომიური ისტორიის შესწავლა შეუძლებელია წონა-ზომის ერთეულების შესწავლის გარეშე; რომელთა საშუალებით ხდებოდა ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ფაქტების აღნუსხვა. ეს ერთეულები ისტორიული კატეგორიებია, ისინი სხვადასხვა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ხშირად ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეკონომიური ისტორიის შესწავლისათვის ამონაჯვარი წონა-ზომის ერთეულების ისტორიული შესწავლა უნდა იყოს.

ქართული მეტროლოგია-ნუმისმატიკის დარგში თავისი კვლევადობის შედეგები აკად. ი. ჭავჭავიძემ 1925 წ. გამოაქვეყნა ცალკე წიგნად³⁵. ამ ნაშრომში პირველწყაროების განხილვა საფუძველზე მოცემულია საფას-საზომების ისტორიული ცვალებადობა, დადგენილია მათი ოდენობა, ნაჩვენებია საფას-საზომების ერთეულთა ცვალებადობის კავშირი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან. მიუხედავად უდიდესი მნიშვნელობისა, რომელიც ამ ნაშრომს ჰქონდა და აქვს, მასში დაშვებულია ზოგაერთი შეცდომები. რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მისი სარგებლობის დროს. ამ შეცდომებზე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, რომელთაგან აღსანიშნავია ს. კაკაბაძის³⁶, ე. პახომოვის³⁷, ნ. ქოიავას³⁸, დ. კაპანაძის³⁹ შრომები. პროფ. ს. კაკაბაძეს შეუძლებლად მიაჩნდა XVIII საუკუნის ქართული მონეტის სინჯის დადგენა. უახლეს გამოკვლევაში ქართლ-კახეთის თულის მიმოქცევის შესახებ. რომელიც პროფ. ნ. ქოიავას ეკუთვნის, ეს სინჯი ზუსტად დადგენილია.

³⁵ ი. ე. ჭ ა ვ ა ჭ ი შ ვ ი ღ ი, ქართული საფას-საზომთა მეტროლოგია, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925.

³⁶ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასიხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, XI, 1924, გვ. 71—102; „სადასის ისტორიისათვის საქართველოში“, იქვე, წიგნი I, 1925, გვ. 1—35; ქართული მეტროლოგია, იქვე, გვ. 51—85; რეცენზია ი. ე. ჭ ა ვ ა ჭ ი შ ვ ი ღ ი ნაშრომზე, იქვე, წიგნი II, 1924.

³⁷ Е. П а х о м о в, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв., Баку, 1928.

³⁸ ნ. ქოიავა, თულის მიმოქცევა, კრედიტ და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963.

³⁹ დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1950; რუს. ენაზე, მოსკოვი, 1955.

დასაქმეთ საქართველოში ხმარებული საწყაოების შესახებ XVI—XVIII საუკუნეებში აღსანიშნავია ლ. მუსხელიშვილას სტატია⁴⁰.

XVI—XVIII სს. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. საბჭოური ისტორიოგრაფიის პირველ პერიოდში. რამდენიმე გამოკვლევა გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ. ნაშრომში, რომელიც XV—XVIII საუკუნეების დასაქმეთ საქართველოს შეეხება⁴¹, გამოაქვეყნებული და ავტორის მიერ მოპოვებული საარქივო მასალების საფუძვლებზე, დადგენილია მოსახლეობის წოდებრივი შემადგენლობის პროცენტული შეფარდება. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ XVI—XVIII საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონდა აზნაურთა რიცხოვრივ ზრდას. გადასახადების განხილვის შედეგად, ავტორი აკეთებს დასკვნას. გლეხთა საგრძნობი გაღარიბებისა და ნატურალური მეურნეობის გაძლიერების შესახებ XVII—XVIII სს.-ში. ავტორს დადგენილი აქვს მსახურთა თანდათანობითი დეგრადაციის პროცესი. სტატიაში, რომელიც სავაჭრო კაპიტალის როლისადმი მიძღვნილი⁴², ავტორი აღნიშნავს, რომ სავაჭრო კაპიტალის განსაკუთრებული გამოცოცხლება აღინიშნება XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფოში. მისი გამოანგარიშებით აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო მიმოქცევა 1795 წლამდე, დაახლოებით 300 ათას მანეთს შეადგენდა. ამასთან, 1800 წლისათვის რუსეთთან ვაჭრობის საჭონელობრუნვა მთელი საგარეო ვაჭრობის 1/4 უდრიდა. სავაჭრო კაპიტალის გაძლიერება სათანადო გავლენას ახდენდა სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ამ გავლენის ფაქტები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში განხილულია ს. კაკაბაძის ნაშრომში, რომელიც გლეხთა საკითხს და გლეხთა მოძრა-

⁴⁰ ლ. მუსხელიშვილი, ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დასაქმეთ საქართველოში XVI—XVIII საუკუნეებში, საქართველოს სახმუზეუმის მოამბე, ტ. 11-ბ, 1941, გვ. 20—24.

⁴¹ ს. კაკაბაძე, მასალები დასაქმეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტორიო კრებულ“, წიგნი I, 1928, გვ. 1—94 და წ. III, 1928, გვ. 10—75, ამ ნაშრომის რეზიუმე რუსულ ენაზე; БКИАИ, № 4, 1928.

⁴² С. К а к а б а д з е. Роль торгового капитала в жизни Восточной Грузии в XVII—XVIII вв., БКИАИ, № 8, 1931.

ობას შეეხება⁴³. ს. კაკაბაძემ ცალკე სტატია მიუძღვნა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესების ზრდის საკითხს საქართველოს მიმართ XVIII საუკუნეში. სტატია უმთავრესად პეისონელის შრომის თარგმანია ავტორის კომენტარებით⁴⁴.

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას 1930 წ. სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. გ. ნათაძემ⁴⁵. ავტორი იხილავს შინაგანი და საგარეო ვაჭრობის მრეწველობის, სავაჭრო გზებისა და სხვ. საკითხებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სავაჭრო „კაპიტალიზმის განვითარებამ. XVIII საუკუნის ბოლოს, უკვე მოასწრო ფეოდალური წყობილების საფუძვლების შერყევა“⁴⁶. ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობისაკენ და, მეორე მხრივ, გლეხებზე ფეოდალების ბატონობის დაცვისაკენ, ისეთ პირობებში, როცა თავადაზნაურებისა და სავაჭრო-სამრეწველო კლასების ინტერესთა შერწყმა, ჯერ კიდევ, არ იყო წასული იმე შორს. რომ ერთი გარკვეული პოლიტიკით შესაძლებელი ყოფილიყო ერთის და მეორის დაკმაყოფილება, — გამოიწვია ოპოზიცია ორივე კლასის მხრივ⁴⁷. ამრიგად, პროფ. გ. ნათაძე ფაქტობრივი მასალების შესწავლის შედეგად მივიდა იმის საწინააღმდეგო დასკვნამდე, რასაც თვითონ ამტკიცებდა 1925 წელს⁴⁸.

პროფ. გ. ნათაძის ეს ნაშრომი მიმართული იყო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ტრადიციულ შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც XIX საუკუნის დასაწყისი რუსეთის გაბატონებასთან დაკავშირებით წარმოადგენდა სრულიად

⁴³ С. К а к а б а д з е, Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке, Сб. История классовой борьбы в Закавказье, 1930, стр. 153—194.

⁴⁴ ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს-ში, ჭუთაისის ა. წელეკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიკის ინსტიტუტის შრომები, I, 1940, გვ. 109—122.

⁴⁵ Г. Я. Н а т а д з е, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, Сб. История классовой борьбы в Закавказье, 1930, стр. 123—152.

⁴⁶ გ. ნათაძე, დასახელ. ნაშრომი, გვ. 148—149.

⁴⁷ იქვე, გვ. 151.

⁴⁸ იქვე, გვ. 160.

ახალსა და უცხოს საქართველოს ცხოვრებაში. ავტორის სამართლიანი დასკვნით ეს შეხედულება შერყეულად უნდა ჩაითვალოს და უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს განვითარება XIX საუკუნეში იყო წინა პერიოდის გაგრძელება, მაგრამ გაგრძელება უფრო გადამწყვეტი და მტკიცე, უფრო დაჩქარებული ტემპებით. განსაკუთრებით რუსეთის მიერ კავკასიაში დაპყრობითი ომების დამთავრების შემდეგ.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა სამღებროების საკითხს XVIII საუკუნის საქართველოში⁴⁹. ამ საკითხზე მან მოხსენება წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტის სსდომაზე 1934 წელს. ნაშრომი 1937 წ. გამოქვეყნდა. ღებვის საქმეს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა. ყველაზე უფრო მსხვილი სამღებროები იყო თბილისში, გორში, ცხინვალში, ანანურში, დუშეთში და სხვაგანაც. სამღებროებს ზრდის ტენდენცია ჰქონდა, რაც ავტორის სამართლიანი დასკვნით, მიუთითებს საფეიქრო წარმოების ზრდა-განვითარებაზე. მღებრობა ქსოვისაგან გამოყოფილი იყო და მეურნეობის ცალკე დარგს წარმოადგენდა. ავტორის აზრით, მთავარი ის იყო, რო? სამღებროები მასიური მოხმარების საქმეს აკეთებდნენ⁵⁰. ავტორს მოჰყავს ცნობები სამღებროებში მოიჯარადრის მიერ ოსტატისა და სხვა მუშაკთა დაქირავების შესახებ. ეს გარემოება, ავტორის აზრით, სამღებროს მანუფაქტურის შინაარსს აძლევდა და აქვეა მოცემული შესაძლებლობა, რომ ამ სახელოსნოებში სხვაზედ ადრე დაირღვევა ხელოსნურ-ამქრული წარმოების წესი და მის ადვილს მანუფაქტურულ-ბურჟუაზიული წესი დაიჭერს⁵¹.

ნ. ბერძენიშვილი საცესებით დამაჯერებლად აკრიტიკებს პროფ. ნათაძეს, რომელსაც სამღებრო საბაჟოდ მიაჩნდა. ავტორი სვამს საკითხს სამღებროთა განვითარების შესახებ და იმ აზრისაა, რომ ადრე სამღებრო საოჯახო მეურნეობის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ მეურნეობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ფეოდალთა მონოპოლიის საგანი გახდა თავის ამ მოსაზრებას, ოდეს-

⁴⁹ ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მსკი, ნაკვ. VI, 1937, გვ. 431—470.

⁵⁰ იქვე, გვ. 445—446.

⁵¹ იქვე.

ლაც, თავისუფალი სამღებროს მონოპოლიის ობიექტად ქცევის შესახებ, ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს ტერმინ „სამღებრო ბაჟის“ შინაარსის გახსნით⁵².

XVIII საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარების შესწავლას ისახავს მიზნად დ. უჩანიშვილის ნაშრომი⁵³. მასში განხილულია ქალაქების მდგომარეობის, ვაჭრობის, კაპიტალის დაგროვების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი ვიწრო, და განსაზღვრული მიზნით შერჩეულ ფაქტობრივ მასალებს ემყარება. რის გამოც, ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებისა და მისი ზრდის ტენდენციის თვალსაზრისით, რაიმე შესამჩნევ მოვლენას ადგილი არ ჰქონია, — არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს და, იგი, არცაა გაზიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

როგორც დავინახეთ, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მეორე პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ეკავა XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიური განვითარების საკითხებს. ამ საკითხებზე 30-იან წლებში ისტორიკოსთა შორის დისკუსია მძმინარეობდა. დისკუსიის პროცესში გაირკვა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა არსებობა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფო ტიპური ნატურალური მეურნეობის ქვეყანა იყო და სიახლის ნიშნები, მისი ზრდის ტენდენციები, არ ჩანდა. ისტორიკოსთა მეორე ნაწილის აზრით კი სავაჭრო კაპიტალი უკვე იკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას და ფეოდალური მეურნეობის რღვევა აშკარად საგრძნობი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ თავისებურ გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი როგორც ერთთა, ისე მეორეთა მიერ, მაგრამ დისკუსიამ დადებითი შედეგი გამოიღო და დამტკიცდა, რომ XVIII საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარება არ იყო მოწყვეტილი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის ისტორიას, პირიქით. მეორე პირველის გაგრძელება

⁵² ი ქ ვ ე. გვ. 467.

⁵³ Д. У ч а н и ш в и л и. К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII века, Тбилиси, 1937, гл. 377—428.

იყო ახალ პოლიტიკურ ვითარებაში. რამაც განვითარების ტემპები დააჩქარა. ეს შეხედულება. ამჟამად, საყოველთაოდ მიღებული და დასაბუთებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეკონომიური განვითარების სპეციალურ გამოკვლევებშიც.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მესამე პერიოდი აღინიშნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიების გამოქვეყნებით XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიური ისტორიის დარგში. ამ ნაშრომთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პროფ. შ. მესხიასა და ვ. გაბაშვილის მონოგრაფიები.

პროფ. შ. მესხია 40-იანი წლებიდან წარმატებით სწავლობდა ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიას ფეოდალურ ხანაში. მისი მრავალი გამოკვლევების ძირითადი შედეგები ასახულია კაპიტალურ მონოგრაფიაში, რომელიც ქალაქებისა და საქალაქო წყობილების საკითხს შეეხება XVII—XVIII საუკუნეებში⁵¹, ამიტომ მხოლოდ ამ ნაშრომის განხილვით შემოვიფარგლებით.

ნაშრომი დაფუძნებულია მდიდარ პირველწყაროებზე, რომელთა უდიდესი ნაწილი გამოვლინებულია თვით ავტორის მიერ რუსეთისა და საქართველოს არქივებში. ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ქალაქებისა და საქალაქო წყობილების ზოგადი მიმოხილვა უძველესი დროიდან XVI საუკუნის ბოლომდე. შემდეგ თავებში დაწვრილებითაა განხილული მოცემული საკითხი XVII—XVIII საუკუნეებში.

XV—XVI საუკუნეებში ადგილი აქვს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემას საქართველოში, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის უკიდურესად გართულებით, რის შედეგადაც საქართველო მტრულ და ჩამორჩენილ სოციალ-ეკონომიური წყობის გარემოცვაში მოჰყვა. მწარმოებელი მოსახლეობის კატასტროფული შემცირება, გადასახადების გადიდება და ახლების შემოღება სერიოზულ საფრთხედ გადაიქცა კვლავწარმოებისათვის, ქალაქებში გაიზარდა უმაღლესი ფეოდალური ზედაფენის პოლიტიკური უფლებები⁵².

⁵¹ Ш. А. М е с х и я. Города и городской строй феодальной Грузии. XVII—XVIII вв., Тб., 1959.

⁵² შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 90—91.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და ძველი სავაჭრო გზების გაუქმებამ, მტრული გარემოცვით ჩაკეტილი საქართველოს შემდგომი ეკონომიური დაცემა გამოიწვია. ქალაქთა ერთი ნაწილი სავაჭრით გაქრა (ოძრხე, სამშვილდე, თმოგვი, დმანისი და სხვ); მნიშვნელოვნად შემცირდა თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, სუბუმი და სხვ. ოსმალთა აგრესიის შედეგად, საქართველომ დაკარგა მნიშვნელოვანი ქალაქები (ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, არტაანი, ოლთისი და სხვა).

საქართველოს ყველა სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით კახეთი ერთადერთი იყო, სადაც XVI საუკუნეში ადგილი ჰქონდა საერთო ეკონომიურ აღმავლობას, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის ზრდას, მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდან, ისიც დანარჩენი საქართველოს ბედის მოზიარე ვახდა.

ავტორის სამართლიანი დასკვნით მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, როგორც აღმოსავლეთ იანე დასავლეთ საქართველოში, იქმნება შედარებით ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფოების ურთიერთობის განმტკიცებას რუსეთის სახელმწიფოსთან⁵⁶.

პროფ. შ. მესხიას დასაბუთებული აქვს, რომ XVIII ს. II ნახევრის თბილისის მსხვილ საწარმოებში, ძირითადად, დაქირავებული შრომა იყო გამოყენებული⁵⁷. ავტორი იხილავს საქართველოს ცალკეულ ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის მდგომარეობას და მიდის სწორ დასკვნამდე სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ისტორიული როლის შესახებ, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ხელს უწყობდა ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევას, აფართოებდა საქონელმომოქცევას და ამზადებდა წინაპირობებს ქვეყანაში საერთო ბაზრის შექმნისათვის. სავაჭრო-სავაჭრო კაპიტალი თავის რიგებში ითრევდა ფეოდალური არისტოკრატის ზედა ფენას (თუმანიშვილები და სხვ.)⁵⁸.

⁵⁶ ი ქ ე ე, გვ. 104.

⁵⁷ ი ქ ე ე, გვ. 127.

⁵⁸ ი ქ ე ე, გვ. 139—140.

ავტორის გამოკვლევით. XVII—XVIII საუკუნეების ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის ძირითად მასას ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდა, თავისუფალთა რიცხვი, შედარებით, უმნიშვნელო იყო⁵⁹. ქალაქის თავისუფალ-პრივილეგირებულ ფენას, ძირითადად, მსხვილი ვაჭრები შეადგენდნენ, რომლებიც, როგორც მოქალაქეთა პრივილეგირებული წოდება, XVI—XVIII საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა⁶⁰. თვით მოქალაქეთა ფენა, ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდა.

XVIII საუკუნეში ძლიერდება ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაცია, რაც ახალი გადასახადების შემოღებასა და ძველის გადიდებაში გამოიხატებოდა. ეს გარემოება იყო მიზეზი კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა ფეოდალურ ქალაქებში⁶¹. კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში უმთავრესად ორი მიმართულებით სწარმოებდა: ქალაქის მოსახლეობის ანტიფეოდალური ბრძოლა და ბრძოლა ამ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის⁶².

ნაშრომის V თავში განხილულია ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციების საკითხი. ავტორს გარკვეული აქვს, რომ ეს ორგანიზაციები ეკონომიური ინტერესების საფუძველზე იყო შექმნილი და ამ ინტერესების ერთიანობის პირობებში არ არსებობდა არც რელიგიური, არც ნაციონალური და არც სოციალური ცენ-
⁶³.

პროფ. შ. მესხიას მონოგრაფია ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამდენხანს არსებობდა XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ისტორიის, ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ადგილისა და როლის შესწავლის დარგში. ავტორი უთუოდ სწორია, როცა ასკვნის, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, რასაც ადგილი ჰქონდა XVII—XVIII სს. საქალაქო ცხოვრებაში, ძირითადად, მაინც ამ პერიოდის ქალაქების ისტორია წინა პერიოდის ისტორიის

⁵⁹ შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 161..

⁶⁰ იქვე. გვ. 171..

⁶¹ იქვე. გვ. 214..

⁶² იქვე. გვ. 223..

⁶³ იქვე. გვ. 333..

გაგრძელება⁶⁴. მოცემულ მონოგრაფიაში ავტორს სპეციალურად შესწავლილი აქვს ქალაქებში სოციალური ურთიერთობის, საქალაქო წყობილების, ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების და ქალაქების გარეგანი სახის საკითხები. ამასთან დაკავშირებით, ავტორთან ერთად უნდა გავიმეოროთ, რომ მოცემულ მონოგრაფიაში, შედარებით, მოკლედაა განხილული ქალაქთა ეკონომიური მდგომარეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხები და მათი სპეციალური შეხწავლა ცალკე გამოყოფას მოითხოვს⁶⁵.

ქალაქების მნიშვნელობის საკითხს ფეოდალურ საქართველოში შეეხო პროფ. ივ. სურგულაძე⁶⁶. ავტორი იხილავს მხოლოდ ერთ საკითხს: საქართველოს ქალაქების ეთნიკური შემადგენლობის მნიშვნელობას ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში. ავტორის ძირითადი დასკვნები ასეთია: საქართველოს ქალაქების და განსაკუთრებით თბილისის ვაჭართა ფენა უმრავლეს შემთხვევაში არ იყო დაინტერესებული საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებით, მისი ცენტრალიზაციით; ამის მიზეზი ვაჭართა ფენის არაქართველური შემადგენლობა იყო; ადგილობრივი ვაჭრების შექმნას ხელი შეუშალა საქართველოს ცალკეული ნაწილების განცალკევებულობამ და სხვა. ავტორის ეს აზრები მცდარია. ჯერ ერთი: აღნიშნული დებულებები არაა შეფარდებული კონკრეტულ ისტორიულ გარემოსთან; მეორე მხრივ, ცნება — „ვაჭართა ადგილობრივი ფენა“, არ გამოხატავს რეალურად არსებულ ვითარების შინაარსს: თბილისის არაქართველ ვაჭრებს დიდი ხანია საკუთარი სამშობლო დაკარგული ჰქონდათ და ისინი ადგილობრივნი. მკვიდრნი იყვნენ. ამასთან ცნობილია, რომ არამც თუ საქართველოს არაქართველი ვაჭრები, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრებნიც საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გეგმებს ადგენდნენ. სულ სხვაა ვაჭართა ორიენტაციის საკითხი კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში.

⁶⁴ ი ქ ვ ე, გვ. 4.

⁶⁵ ი ქ ვ ე.

⁶⁶ ივ. სურგულაძე, ქალაქების მნიშვნელობა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 89, 1960, გვ. 35—42.

პროფ. ვ. გაბაშვილმა⁶⁷ სპეციალურად შეისწავლა ქართული და აღმოსავლური ფეოდალური წყობილება. მისი მონოგრაფია ამ საკითხის შედარებითი შესწავლის პირველი და წარმატებითი გამოკვლევაა. გამოკვლევა ეყრდნობა ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის და საბჭოური აღმოსავლეთმცოდნეობის უახლეს მიღწევებს. მასში ფართოდაა გამოყენებული ქართული და ქართულ-სპარსული დოკუმენტები. აღმოსავლური ფეოდალიზმის საფუძვლიანი ცოდნა, ქართული სინამდვილის კონკრეტულ შესწავლასთან შეხამებული, ავტორს საშუალებას აძლევს სწორად გადაწყვიტოს დასმული საკითხის ძირითადი პრობლემები.

პროფ. ვ. გაბაშვილის ნაშრომში შემდგომი დადასტურება კპოვა აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულებებმა, საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებათა შესახებ. ავტორის აზრით, „საქართველოს ეკონომიური დაქვეითების უმთავრესი მიზეზი მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ბატონობის შედეგებში უნდა ვეძიოთ“⁶⁸. საგარეო მიზეზებით გამოწვეულმა ეკონომიურმა დაცემამ განაპირობა დაქვეითებული ფეოდალური ეკონომიკის შესაფერისი მიწათმფლობელობის ფორმების გაძლიერება („სახასო“, „საუფლისწულო“). რამაც „სათავისთავო“ საკუთრების სუსტად განვითარების პირობებში — სათავადოები წარმოშვა, რომელსაც ბატონყმობა თავისებურად შეუთავსდა⁶⁹. ირანში, მცირე აზიაში და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საგარეო ფაქტორი შინაგან ფაქტორად იქცა, საქართველოში ეს არ მომხდარა, მაგრამ საგარეო ფაქტორმა აქაც უდიდესი, გადამწყვეტი გავლენა იქონია განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივების საქმეში. ავტორი ამ დებულებას ასაბუთებს ქართული და აღმოსავლური მიწისმფლობელობის ფორმების, საგადასახადო სისტემის და გლეხთა ექსპლოატაციის ფორმების შედარებითი შესწავლის საფუძველზე.

ავტორი ირანული და აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტების საქართველოში დამკვიდრების ცდების მარცხს სამართლიან-

⁶⁷ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958.

⁶⁸ იქვე, გვ. 112.

⁶⁹ იქვე, გვ. 114.

ნად ხედავს ქართველი ხალხის ენერგიულ ბრძოლაში, მეზობელი მოძმე ხალხების (სომხები, აზერბაიჯანელები) დახმარებაში და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე რუსეთის გაძლიერებული სახელმწიფოს გამოსვლაში⁷⁰. ავტორის ძირითადი და ამოსავალი დებულება (საგარეო ფაქტორის გადამწყვეტ როლზე საქართველოს მიმართ მოცემულ პერიოდში) ემყარება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დებულებას იმის შესახებ, რომ „ბარბაროსული ხალხების შემოსევა, ჩვეულებრივი ომებიც კი საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდანვე დაიწყოს“⁷¹.

პროფ. გაბაშვილმა სავსებით სამართლიანად დასვა საკითხი გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ საქართველოში, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორის მოსაზრებას, რომ გვიანფეოდალური პერიოდი XVIII—XIX საუკუნეებში (გლახთა რეფორმამდე) უნდა თავსდებოდეს⁷². როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ის ნიშნები, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია გვიანდელი ფეოდალიზმისათვის საქართველოში, ასე თუ ისე, თავს იჩენს მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამიტომ, ეს დრო უნდა მივიღოთ გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის დასაწყისად.

ქართლის სათავადოების ისტორია მონოგრაფიულად შეისწავლეს პროფ. დ. გვრიტიშვილმა⁷³ და გ. ჭამბურია⁷⁴. დ. გვრიტიშვილის მონოგრაფიაში ერთი თავი დათმობილი აქვს სათავადოების მეურნეობის განხილვას. რამდენადაც, საერთოდ, მწირი ისტორიული დოკუმენტები ამის საშუალებას იძლევა, ავტორი ცდილობს, მოგვცეს ქართლის ექვსი სათავადოს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვი-

⁷⁰ ი ქ ვ ე, გვ. 417.

⁷¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბილისი, 1948, გვ. 66.

⁷² ე. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

⁷³ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, არის რუსული თარგმანიც.

⁷⁴ გ. ჭამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

თარების დონე მთისა და ბარის ზონებში. ავტორს დადგენილი აქვს ცალკეული სათავადოების სავაჭრო ცენტრები, სავაჭრო გზები და სხვ. ავტორი იძლევა ეკონომიური განვითარების პოლიტიკური პირობების განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში ეკონომიური ისტორიის საკითხებს მცირე ადგილი აქვს დათმობილი. ნაშრომის ამ ნაწილის მთავარი ნაკლი ისაა, რომ სათავადოების ეკონომიკა განხილულია სტატიურად, მისი განვითარების ტენდენციების ჩვენების გარეშე⁷⁵.

გ. ჯამბურის მონოგრაფიაში განხილულია ქვემო ქართლის სათავადო-საყაფლანიშვილო. ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც ეხება აღნიშნული სათავადოს ეკონომიური ისტორიის საკითხებს, განხილულია სოფლის მეურნეობის დარგები: მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, ტექნიკური კულტურები, მესაქონლეობა და ვაჭრობა-ხელოსნობის მდგომარეობა. ავტორი ცდილობს მოგვცეს მეურნეობის დარგების განვითარების სურათი საერთო ეკონომიური დაქვეითების პირობებში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ XVIII საუკუნისათვის ადგილი ჰქონდა ფულადი რენტის, სასაქონლო მეურნეობის ზრდას, თუმცა გაბატონებული ადგილი ნატურალურ მეურნეობას ეჭირა⁷⁶.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხებზე ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს პროფ. პ. გუგუშვილი. მართალია ავტორის კვლევის საგანი საქართველოს XIX—XX საუკუნეების ისტორიაა, მაგრამ მის შრომებში ასახულია ჩვენ მიერ აღებული პერიოდის სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხებიც. პროფ. პ. გუგუშვილი ჭერ კიდევ 30-იანი წლებიდან ასაბუთებდა XVIII საუკუნის საქართველოში მანუფაქტურული ტიპის საწარმოების არსებობას⁷⁷. მრეწველობის ისტორიის საკითხებზე პროფ. პ. გუგუშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგები თავმოყრილია 1957 წ. გამოცემულ ნაშრომში⁷⁸, რომელშიც შესულია ავტორის მიერ

⁷⁵ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146—182.

⁷⁶ გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—110.

⁷⁷ პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მანუფაქტურული მრეწველობის ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, მსკი, 1938.

⁷⁸ П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв. т. I, Тб., 1957.

შემეშავებული მრეწველობის ფორმათა ახალი სოციოლოგიური კლასიფიკაცია. ნაშრომმა დიდი ინტერესი და ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო სოციოლოგთა წრეში.

ფულის მიმოქცევის კრედიტისა და ფინანსების ისტორიის საკითხები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში, განხილულია პროფ. ნ. ქოიავას ნაშრომში⁷⁹. ავტორის ეს ნაშრომი მონოგრაფიების კრებულია, რომლებზედაც ის მუშაობდა 1938—1945 წლებში, და, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იყო 1946—1951 წლებში. დასახელებულ ნაშრომში ეს სტატიები შევსებული და გადამუშავებულია ახალი მასალების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ნ. ქოიავას ნაშრომი ერთადერთია ამ საკითხზე აღნიშნული ეპოქისათვის და ავტორმა წარმატებით გადაჭრა კონკრეტული ეკონომიური ისტორიის რიგი საკითხები. ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ფულის სისტემა და სამონეტო სისტემა, ფულის ერთეული, მონეტის გაფუჭების საქმე, ფულის ფუნქციების განვითარება, სამონეტო ბაზარი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ამოსავალია ეკონომიური ისტორიის შესასწავლად.

ნაშრომის მეორე ნაწილში (კრედიტი), განხილულია შემდეგი საკითხები: მსესხებელნი, გამსესხებელნი, პროცენტები, სესხისა და პროცენტის დაფარვის წყაროები, საგირაო სესხი, თამასუქი, ნისიად ვაჭრობა და სხვა. ავტორის სამართლიანი დასკვნით, კრედიტი, ძირითადად, მოხმარებას ხმარდებოდა და, ამიტომ, მისი დაფარვის ძირითადი წყარო იყო წერილი მწარმოებლის მცირე შემოსავალი და, ზოგ შემთხვევაში, ქონებაც კი. ავტორი სწორია, როცა ასკვნის, რომ სავაზმო კაპიტალი იწვევდა, როგორც წერილი მწარმოებლის, ისე ფეოდალის მეურნეობის დაცემასაც და ის არ იყო მოკლებული რევოლუციურ როლს ფეოდალური წყობილების რღვევის საქმეში⁸⁰.

პროფ. ნ. ქოიავას ნაშრომის მესამე ნაწილში განხილულია ქართლ-კახეთის ფინანსები 1701—1761 და 1762—1801 წლებში. ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული სახელმწიფოს ბიუჯეტი,

⁷⁹ ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ., 1963.

⁸⁰ ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 102—103.

სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები, მონოპოლია და ბაჟები. ავტორს დასაბუთებული აქვს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გადასახადებს ეტყობა ერთგვარი უნიფიკაცია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიმართ, ხდება ზოგიერთი ნატურალური გადასახადის გადაყვანა ფულადზე⁸¹. ამ პერიოდში წარმოქმნილი ახალ საწარმოთა დიდი უმრავლესობა ფულად შემოსავალს იძლეოდა⁸². ცვლილებები სახელმწიფოს გასავალში უმთავრესად გამოიხატა სამხედრო-თავდაცვითი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების ზრდაში. შემოსავლის ნაწილში ცვლილებები გამოიხატა სასაქონლო ბრუნვის ზრდაში და ამის შესაბამისად ბაჟის შემოსავლის გადიდებაში. იზრდებოდა საბაჟო განაკვეთიც, მაგრამ განსაკუთრებულ მფარველობაში იმყოფებოდა რუსეთთან და იმერთთან ვაჭრობა. საუკუნის ბოლოსათვის ჩნდება ახალი — სამღებრო ბაჟი⁸³. ავტორი სწორია, როცა მიუთითებს, რომ მთელი საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო დაძაბული ფინანსიური მდგომარეობა და საგარეო სესხის არ არსებობის პირობებში, დეფიციტის დაფარვის საშუალებად, გამოიყენებოდა მონეტის გაფუჭება და შინაგანი სესხი, რადგან გადასახადების გადიდება და ახალი, საწარმოების დაარსება საკმარისი არ იყო⁸⁴.

იჯარის საკითხს XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ეხება ნ. ქანთარია სტატია⁸⁵. ავტორს განხილული აქვს სახნავი მიწის, ვენახისა, და ბალის შემოსავლის იჯარით გაცემის საკითხები. განსაკუთრებით საყურადღებოა, თბილისში, ს. და მ. თუმანიშვილების მიერ ბალის შემოსავლის იჯარით გაცემის ხშირი შემთხვევები. იჯარის ამ სახეში მნიშვნელოვანი ის არის, რომ იჯარადარი უშუალო მწარმოებელი არაა, თვით მეზღვე იჯარადარია, და, მოსავლის იჯარით ამღები წვრილი ვაჭარია, ბალის პატრონიც ბალს აშენებს ბაზრისათვის. ეს უკვე ახალი მოვლენაა და ერთხელ კიდევ ადასტურებს ფულადი კაპიტალის გაზრდილ

⁸¹ ნ. ქ. ი. ა. ვ. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 102—103.

⁸² ი. ქ. ვ. ე., გვ. 205.

⁸³ ი. ქ. ვ. ე., გვ. 219—220.

⁸⁴ ი. ქ. ვ. ე., გვ. 233.

⁸⁵ ნ. ქ. ა. ნ. თ. ა. რ. ი. ა., იჯარა XVIII ს. საქართველოში, საქართველოს სახ. მუზეუმის შრომები, 1957, ტ. XIX-A და XXI-B, გვ. 67—79.

როლს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალის დაბანდება წარმოების სფეროშიც ხდება.

XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ცალკეული პროვინციების ეკონომიური ვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია პროფ. ი. ანთელავას⁸⁶, ზ. ანჩაბაძის⁸⁷, გ. ტივაძის⁸⁸ და სხვ. ნაშრომები.

მოცემული პერიოდის ეკონომიური ისტორიის ცალკეულ საკითხებზე უშუალო, ან მომდევნო პერიოდის ისტორიასთან დაკავშირებული ხასიათის ნაშრომები, აქვთ: პროფ. შ. ჩხეტიას, პროფ. ა. ფირცხალაიშვილს, გ. გამყრელიძეს, ო. სოსელიას, ბ. ლომინაძეს, გ. აკოფაშვილს დ. ჯანელიძეს და სხვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პერიოდის ეკონომიური ისტორიის პრობლემებთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხები განხილული აქვთ სამართლისმცოდნეობის მეცნიერულ-მკვლევარებს (ი. დოლიძე, ივ. სურგულაძე, ალ. ვაჩიეშვილი და სხვ). რამდენადაც აღნიშნული საკითხები მათ ნაშრომებში განხილულია სამართლის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით — ეს ნაშრომები ცალკე უნდა იყოს განხილული. ამავე მიზეზით არ ვეხებით აქ აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომებს ქართული სამართლის ისტორიის დარგში. სტატიაში არაა აგრეთვე ასახული ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების ნაშრომები, სისრულით არაა განხილული მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გაწეული შრომა, რომელთაც, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად კავშირი აქვთ XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიური ისტორიის პრობლემებთან.

ამრიგად, XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიური განვითარების ზოგად-ისტორიული პრობლემები, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, სათანადოდ შესწავლილია, მაგრამ

⁸⁶ И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1949, стр. 88—122; Социально-экономические отношения в Абхазии в XVI—XVIII вв. в книге: Очерки истории Абхазской АССР, Сухуми, 1960, стр. 100—111.

⁸⁷ З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVIII в), Сухуми, 1959.

⁸⁸ გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაუთრის მიხედვით. „მნათობი“, 1946, № 8.

ეს არ შეიძლება ითქვას ეკონომიური ისტორიის კონკრეტული პრობლემების მიმართ. ჩვენ არა გვაქვს მონოგრაფიული გამოკვლევები შინაგანი და საგარეო ვაჭრობის, შინაგანი ბაზრის, საქონელზე ფასების მოძრაობის, მეურნეობის დინამიკის, სამთამადნო მრეწველობის, საწარმოთა ეკონომიური ბუნებისა და სხვა საკითხების შესახებ. კონკრეტულ ეკონომიური ისტორიის ამ საკითხების მონოგრაფიული შესწავლა მის სიღრმე-სიგანეში ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მორიგი და საპატიო ამოცანაა.

6. როლონია

მე-19 საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ბევრი რამ დახვდა გასაქმებელი მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიის კვლევის დარგში. რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევა ამ საკითხის შესწავლაში იყო აღიარება კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისა მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში¹. თვით კაპიტალისტური წარმოების წესის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხარეები შეუსწავლელი იყო. ინტერესი აღებული საკითხებისადმი გაძლიერდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან. სწორედ ამ დროიდან ექცევა განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს სამრეწველო განვითარების ცალკეული საკითხების შესწავლას (ფ. მახარაძე, გ. ხაქაპურიძე, პ. გუგუშვილი). იგი კიდევ უფრო ფართოვდება 40-იანი წლებიდან; ბურჟუაზიული ხანის საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და, კერძოდ, მისი სამრეწველო განვითარების ისტორიის სისტემატური შესწავლა, განსაკუთრებული ინტენსივობით იშლება 50-იანი წლებიდან. საქართველოს ახალი ისტორიის ამ უბნის შესწავლის ცენტრად იქცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, სადაც 1954 წელს ჩამოყალიბდა ბურჟუა-

¹ იგი უკავშირდება მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. ქართველმა მარქსისტებმა თეორიულად დაასაბუთეს, რომ ჩვენში აღებულ ხანაში განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობა და რომ მას შედეგად უნდა მოჰყოლოდა კლასთა ბრძოლის შემდგომი გამწვავება.

ზიული ხანის ისტორიის განყოფილება: პარალელურად აქტიური მუშაობა წარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში; ისტორიკოსების გვერდით ამ პრობლემას სწავლობენ ქართველი ეკონომისტები. დღეისათვის არსებობს მთელი რიგი გამოკვლევებისა საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხებზე. ამასთანავე, ბევრი რამ გაკეთდა სათანადო საარქივო და სხვა ხასიათის მასალების გამოვლენისა და პუბლიკაციის ხაზით.

ამგვარად, დღესდღეობით ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდძალი მასალაა დაგროვილი მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხებზე. ბევრი პრინციპული მნიშვნელობის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია. ბევრი კი კვლავ რჩება სადავო.

ქვემოთ მოტანილია აღებულ საკითხზე ჩვენს ისტორიულ და ეკონომიურ მეცნიერებაში არსებული მოსაზრებანი და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნები. წარმოდგენილ სტატიაში ვეხებით მხოლოდ სამრეწველო განვითარების ორ საკითხს: მანუფაქტურულ სტადიასა და მსხვილ ფაბრიკულ-ქარხნულ მრეწველობას².

საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობაში მანუფაქტურული სტადიის შესახებ დღეისათვის უმთავრესად ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს: ერთი მათგანი უარყოფს საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის მიერ მანუფაქტურული სტადიის გავლას, ხოლო მეორე დადებით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე და აღიარებს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას ჩვენში მარქსის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით (მარტივი კოოპერაცია-მანუფაქტურა-ფაბრიკა). პირველის ავტორია პროფ. ა. კიკვიძე, ხოლო მეორე მოსაზრება ეკუთვნის პროფ. პ. გუგუშვილს.

1954 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ პროფ. ა. კიკვიძე იხილავს რა საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხებს მე-19 საუკ. 40-50-იან წლებში, სვამს კითხვას — თუ რა საწყისებმა განსაზღვრეს ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენება. იგი წერს: „დღემდე დაბეჭდილ შრომებში კაპი-

² ეს ნაშრომის მოცულობითაა გაპირობებული.

ტალიზმის შესახებ საქართველოში მოცემულია მხოლოდ კაპიტალისტური საწარმოების აღწერილობა, წარმოების ტექნიკური მხარე და არ არის ახსნილი კაპიტალისტური ურთიერთობის გაჩენის საკითხი³. ა. კიკვიძეს მოაქვს საკმაოდ ვრცელი თეორიული მსჯელობა კ. მარქსისა და ვ. ლენინის ნაშრომებზე დაყრდნობით, სადაც განმარტავს, თუ რა გზებით შეიძლება გაჩნდეს კაპიტალისტური მანუფაქტურა. კერძოდ, რომ მანუფაქტურის აღმოცენება თავისთავად მოასწავებს სავაჭრო კაპიტალის უმადლეს განვითარებას, როცა იგი მწარმოებელს დაქირავებულ მუშად აქცევს. სავაჭრო კაპიტალის განვითარება წვრილ მრეწველს სწყვეტს როგორც ნაწარმის, ისე ნედლეულის ბაზარს და ამით. საბოლოოდ იმორჩილებს მას. არსებობს კაპიტალისტური მანუფაქტურის წარმოშობის მეორე გზაც — როცა ვაჭარი უშეალოდ იმორჩილებს წარმოებას, იგი ხდება მრეწველი. ჰქონდა თუ არა ადგილი საქართველოში ასეთ პროცესებს? ა. კიკვიძე ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს, „XIX საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების არც ერთი ფაქტი არ მოწმობს კაპიტალისტური მანუფაქტურის ასეთ ფაზებს ჩვენში“⁴. იგი აცხადებს, რომ. მართალია, 40-50-იან წლებში ჩვენში ჰქონდა გასაქანი სავაჭრო კაპიტალს, ე. ი. იყვნენ მსხვილი შემსყიდველები, მაგრამ ისინი მხოლოდ სამუშაოს დამკვეთნი იყვნენ და არ შეეძლოთ მწარმოებლების გადაქცევა დაქირავებულ მუშებად⁵. საქართველოში მრეწველობის მანუფაქტურული სტადიის არარსებობას ა. კიკვიძე ხსნის „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიური მდგომარეობით... ეს იყო მიზეზი, რომ კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ ჩვენში ვერ მოასწრო განვითარება“⁶. ა. კიკვიძე ჩვენში კაპიტალისტური მრეწველობის საწყისად პირდაპირ მექანიზებურ წარმოებას გულისხმობს, იმონებებს რა მარქსის სიტყვებს: „მეტროპოლიები ისწრაფვიან კოლონიებში მუშების ფაბრიკაციისაკენ“⁷. ამბობს, „სწორედ ამით აიხსნება, რომ კაპიტალისტური საწარ-

³ ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკ., თბ., 1954, გვ. 226.

⁴ იქვე, გვ. 227.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 228.

⁷ მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 959.

მოები ჩვენში თავიდანვე მექანიკური სახელოსნოების სახით იჩენენ თავს, და თუმცა უმეტესი მათგანი მალე ქრება, მაგრამ რაც რჩება, გზადაგზა, არა იშვიათად, ასეთი მექანიკური სახელოსნოები მანუფაქტურებს ითავსებს. ასე, რომ არა თუ 40-50-იან წლებში, შემდეგში XIX საუკუნის 90-იან წლებშიც ბევრ წარმოებაში მანქანას თან ახლავს ხელით მუშაობა. მაგრამ ეს ხომ კაპიტალისტურ მანუფაქტურას და მის სტადიურობას არ მოწმობს?«⁸.

როგორია პ. გუგუშვილის თვალსაზრისი? — პ. გუგუშვილი საქართველოში მანუფაქტურული წარმოების საკითხს პირველად შეეხო 1938 წ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში — „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“. უფრო ადრე, 1934 წ., გამოვიდა მისი წიგნი — „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ (ქრესტომათია, ტ. 1). რომელშიც იგი ზოგადად ეხება მანუფაქტურული წარმოების საკითხს და განიხილავს მას სხვა ქვეყნების მაგალითზე. ამ ნაშრომის შემდგომი საფეხური იყო აღნიშნული მოხსენება, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. ამ მოხსენებაში პ. გუგუშვილმა დააყენა საკითხი ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარებაში მანუფაქტურული სტადიის შესახებ. იგი შემდგომში ანვითარებს ამ შეხედულებას, ხოლო მის ვრცელ ანალიზს იძლევა 1957 წელს გამოცემულ ნაშრომში⁹. პ. გუგუშვილი აღიარებს საქართველოს მრეწველობაში მანუფაქტურული სტადიის არსებობას. «...Мануфактурное производство, которое являясь для огромного большинства стран необходимой ступенью развития, существовало и у нас в Закавказье и характеризовалось заслуживающим большого внимания своеобразными чертами»¹⁰.

პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურული წარმოება პირველ რიგში ფებს იკიდებს გადამუშავებითი მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებიც ადრე წვრილი მრეწველობის (მაგ. ხელოსნობის) სახითაც კი არ იყო განვითარებული. ასეთი დარგე-

⁸ ა. კ ი კ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

⁹ П. Г у г у ш в и л и, Развитие капитализма в промышленности в Грузии и Закавказье XIX-XX вв, т. I, 1957.

¹⁰ ი ქ ე ე, გვ. 225.

ბია მეკასრეობა, მინის წარმოება და სხვ. ან ისეთ დარგებში, რომლებიც იყო მეტ-ნაკლებად განვითარებული, მაგრამ არ შედიოდა ხელოსნურ წარმოებაში (მაგ., საფეიქრო მრეწველობა).

აბრეშუმის ძაფსახვევი, მინისა და მაუდის სარეწი მანუფაქტურების განხილვის საფუძველზე, პ. გუგუშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასტელას ფაბრიკა თბილისში იყო მანუფაქტურა¹¹, დამყარებული დაქირავებულ შრომაზე, სადაც წარმოების პროცესი შრომის დანაწილებას ემყარებოდა. ასეთივე სურათია ელიზბარ ერისთავის მინის ქარხანაში, სოფ. დრეში არსებულ მაუდის სარეწი და ა. შ. პ. გუგუშვილი მანუფაქტურული სტადიის დასასრულად მიიჩნევს მე-19 საუკუნის 80-იან წლებს, საიდანაც იწყება გადასვლა მანქანურ წარმოებაზე.

ამ ორი საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობის პირობებში ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო ინტენსიური მუშაობა საქართველოს ბურჟუაზიული ხანის ისტორიის საკითხების კვლევის ხაზით, რაც, პირველ რიგში, ეკონომიური ხასიათის საკითხებით დაინტერესებაში გამოვლინდა. საჭირო იყო ამ საკითხების შესწავლა მონოგრაფიულად, ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ყველა მხარის გათვალისწინებით. ამ საკითხს ხელი მოჰკიდეს ახალგაზრდა ქართველმა ისტორიკოსებმა. კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გაცნობისა და მისი გაანალიზება-განზოგადობის საფუძველზე მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საკვლევი საკითხის გაშუქებაში. აღნიშნულ საკითხებს სპეციალური ნაშრომები უძღვნეს ისტ. მეცნ. კანდიდატებმა ე. ხოშტარიამ და დ. გოგოლაძემ¹². ახალი საარქივო მასალების გამოვლენის, შეს-

¹¹ დღეს არსებობს მოსაზრება, რომ კასტელას საწარმო იყო არა მანუფაქტურა, არამედ ფაბრიკა, სადაც შრომის პროცესი მექანიზაციას ემყარებოდა. მისი ავტორია ისტ. მეცნ. კანდ. შ. სამსონაძე, იხ. მისი ნაშრომები „მე-19 საუკ. რეფორმადელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან“, „მაცნე“, 1964, № 1; „თბილისის სამრეწველო განვითარება მე-19 საუკ. რეფორმამდე ხანაში“, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, 1964.

¹² ე. ხოშტარიამ, დაქირავებული შრომა საქართველოში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX ს. I ნახევარში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები III. ეხლახან გამოვიდა ე. ხოშტარიას მონოგრაფია — „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში“, 1966, თბ., ამ ნაშრომში იგი იძლევა აღნიშნულ საკითხების ვრცელ განხილვას.

დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდე ხანაში.

წავლისა და ანალიზის საფუძველზე (თიხის კერქლის „ქარხნები“. აგურის, კრამიტის, არყის სახდელი, ტყავისა და სხვ.) ე. ხოშტარია ამტკიცებს, რომ ამ დროის საქართველოში არსებული წვრილი საწარმოების ნაწილი „კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. შედარებით დიდი ზომის საწარმოების შესწავლამ (აგურის, ტყავის, აბრეშუმის ძაფსახვევისა და სხვ.) მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „აღნიშნული დროისათვის არსებული აგურის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მანუფაქტურის ტიპის, შედარებით. მსხვილ საწარმოებს წარმოადგენდნენ“¹³. ე. ხოშტარია 40-იანი წლების დამპყვებელ მრეწველობაში გამოპყოფს რამდენიმე ფორმას. ხელოსნური წარმოების გვერდით არსებობდნენ კაპიტალისტური საწარმოებიც—კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციები. „წვრილ სარეწებს შორის, რომელნიც საქართველოში არსებულ საწარმოთა უმრავლესობას შეადგენდნენ, გამოირჩეოდნენ შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებშიც, ადგილი ჰქონდა დაქირავებულ მუშათა შორის შრომის განაწილებას. ეს გარემოება ამ საწარმოებს უკვე მანუფაქტურის ხასიათს აძლევდა“¹⁴.

ე. ხოშტარია მანუფაქტურის შესახებ უფრო ვრცელ მსჯელობას იძლევა 1966 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში¹⁵, წარმოების მთელი რიგი დარგების (მინის, აბრეშუმის, საფეიქრო ნაწარმის. შაქრის თამბაქოს და სხვ.) შესწავლის შედეგად იგი ასკვნის „რეფორმამდელ ხანაში საქართველოში, უმთავრესად კი თბილისში არსებობდა არა ერთი შედარებით მსხვილი მანუფაქტურის ტიპის საწარმო, რომელნიც, მართალია, მრავალრიცხოვანი არ იყვნენ, მაგრამ უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში“¹⁶. ე. ხოშტარია ჩვენში მანუფაქტურის თავისებურებად მიიჩნევს საწარმოებში მანქანების გამოყენების ფაქტებს, „მანუფაქტურული წარმოება საქართველოში ვითარდებოდა მანქანურ წარმოებასთან შერევით და მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პროცესი მრეწველობის სხვადასხვა

¹³ ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

¹⁴ იქვე, გვ. 178.

¹⁵ ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1966.

¹⁶ დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

დარგში აქ გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში, მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებამდე¹⁷.

მანუფაქტურული სტადიის საკითხს ეხებიან აგრეთვე დ. გოგოლაძე¹⁸, გ. ბაქრაძე¹⁹, მ. სამსონიძე²⁰ და სხვ. გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ «паряду с домашней промышленностью и ремесленными и кустарными промыслами в дореформенный период в Грузии появились предприятия, которые основывались не только на капиталистической простой кооперации, но имели, также, форму мануфактуры»²¹.

მაგრამ იგი საკმაოდ სუსტად განვითარებულად წარმოგვიდგენს ამ უკანასკნელს და, ამიტომაც, ასკვნის, რომ რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური წყობა არ არსებობდა²².

აქვე უნდა გავისხენოთ ის შეხედულება, რომელიც მოტანილია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. აქ აღნიშნულია, რომ რეფორმამდელ ხანაში საქართველოში იწყებს ჩასახვას კაპიტალისტური მრეწველობა წერილი მანუფაქტურებისა და ფაბრიკების სახით²³. საბოლოო დასკვნა კი ასეთია: „საქართველოს მრეწველობამ ფეოდალიზმის ეპოქაში განვლო კაპიტალისტური წარმოების ისეთი საფეხურები, როგორცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა“²⁴. რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს მრეწველობის შესწავლიდან კარგად ჩანს, რომ ეს დასკვნა მართო რეფორმამდელ ხანისათვის ცოტა გაზვიადებულად გამოიყურება. მანუფაქტურული სტადიის გავლა თავისთავად ნიშნავს უკვე მრეწველობის შემდგომ მაღალ ფორმაზე — ფაბრიკაზე გადასვლას, ხოლო საქართველოს რეფორმის შემდგომი სამრეწველო განვითარების სურათი ნათელყოფს, რომ ეს პროცესი იწყება მხოლოდ 80-იანი წლები-

¹⁷ ე. ხ. შ. ტ. ა. რ. ი. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

¹⁸ დ. გ. გ. ო. ლ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრომი.

¹⁹ Г. Б а к р а д з е. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958.

²⁰ მ. ს. ა. მ. ს. ო. ნ. ა. ძ. ე., მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან, „მაიენი“, 1964, № 1. მისივე, თბილისის სამრეწველო განვითარება მე-19 ს. რეფორმამდელ ხანაში, საღისეურტა-ციო ნაშრომი, 1964.

²¹ გ. ბ. ა. ქ. რ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

²² ი. ქ. ვ. ე., გვ. 60.

²³ საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 450.

²⁴ ი. ქ. ვ. ე., გვ. 498.

დან (ზოგიერთ ავტორს ეს ზღვარი 90-იან წლებამდეც კი მი-
ჰყავს). ასე, რომ რეფორმამდელ ხანაში ლაპარაკი შეიძლება მხო-
ლოდ მანუფაქტურული წარმოების არსებობის ფაქტზე; იგი განა-
გრძობს არსებობას რეფორმის შემდგომაც — 60—70-იან წლებში,
როგორც წამყვანი ფორმა კაპიტალისტური წარმოებისა; მანუ-
ფაქტურების არსებობა დადასტურებულია თვით მე-19 საუკუნის
მიწურულშიც, ფაბრიკული წარმოების ბატონობის პირობებშიც.
სწორედ ამაშია საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის
განვითარების ერთ-ერთი თავისებურება. მრეწველობის ფორმების
თანაარსებობა დამახასიათებელია მთელ მე-19 საუკუნის საქარ-
თველოსათვის, რა თქმა უნდა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე
პრიმატი ეკუთვნის ჯერ მანუფაქტურას, მერე კი ფაბრიკას. მრეწ-
ველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობას აღიარებენ ა. კიკ-
ვიძე, ე. ხოშტარია და გ. ბაქრაძე.

ასე, რომ დღეისათვის საქართველოში წარმოების მანუფაქ-
ტურული სტადიის არსებობის საკითხი ექვს აღარ იწევებს. ზემო-
აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებიდან იგი აშკარაა. რაც შეეხება
მარქსის დებულებას — მეტროპოლიების სწრაფვის შესახებ კო-
ლონიების ფაბრიკაციისაკენ, აქ ანგარიშგასაწევია ისევ და ისევ
საქართველოს განვითარების სპეციფიკურობა. მარქსს მხედველო-
ბაში ჰყავდა ისეთი კოლონიები, სადაც ადგილი ჰქონდა კაპიტა-
ლისტური მრეწველობის სუფთა იმპორტს. ამ ქვეყნებში იმ დრო-
ისათვის არ იყო არავითარი შინაგანი პირობა ასეთი განვითა-
რებისათვის. სწორედ ამიტომ, მეტროპოლია იქ პირდაპირ ქმნიდა
მსხვილ ფაბრიკულ საწარმოებს არსებული ბუნებრივი სიმდიდრე-
ების ბაზაზე, ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე და ამ გზით
ადგილობრივ მოსახლეობას აქცევდა დაქირავებულ მუშებად. რა
ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? ჩვენში უკვე მე-19 საუკუ-
ნის 30-40-იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობს ფეოდალური
მეურნეობის რღვევის პროცესი, რაც გვირგვინდება 60-იანი წლე-
ბის ბურჟუაზიული რეფორმებით. არსებობს დიდძალი მასალა,
რომელიც ნათლად აჩვენებს იმ გამწვავებულ კლასობრივ ბრძო-
ლას, რასაც ადგილი აქვს ჩვენში 50-60-იან წლებში. 60-იან
წლებში საქართველოში მკვეთრად გამოხატული რევოლუციური
სიტუაციაა. ასეთ პირობებში მეტროპოლიის მიერ მუშების ფაბ-
რიკაციაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მრეწველობის, განსაკუთრებით კი დამმუშავებელი მრეწველობის გაცნობა ნათელჰყოფს, რომ ადებულ ხანაში საქართველოს მრეწველობა იზრდება, აღმავალი გზით მიდის, იქმნება მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, ვითარდება ძველი და ყოველივე ეს აგვირგვინებს მსხვილი კაპიტალისტური წარმოების გამარჯვებას ჩვენში. რა ვითარებასთან გვაქვს საქმე, ხდება თუ არა მსხვილი მანქანური წარმოების განვითარება მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე კანონზომიერი გადასვლის გზით? ცალკეული დარგების განხილვისას ნათელი ხდება თბილისის მაგალითზე, რომ თითქმის მრეწველობის ყველა დარგში ერთდროულად არსებობდა კაპიტალისტური წარმოების სამივე ფორმა. მაგ. ტყავის წარმოებაში 70-იან წლებში ადელხანოვის ტყავის ქარხნის გვერდზე, რომელიც ამ დროისათვის მსხვილი მანქანური წარმოებაა, არსებობდნენ მთელი რიგი მსხვილი კაპიტალისტური მანუფაქტურებისა, როგორც იყო მელიქოვის და ბარსეგოვის საწარმო, სადაც 30-40 დაქირავებული მუშა მუშაობდა და ადგილი ჰქონდა შრომის დანაწილებას. მსგავსი ხასიათისა იყო 26 კაცის საკუთრება-საწარმო, სადაც საშუალოდ 200 კაცი მუშაობდა, ჩიკვაძის და K^o, 60 კაცამდე მუშით. მათ გვერდით არსებობდნენ ისეთი მცირე ზომის კაპიტალისტური კოოპერაციები, სადაც 1-3 დაქირავებული მუშა ასრულებდა მთელ სამუშაოს. ეს სურათი შეიმჩნევა მთელი მე-19 საუკუნის II ნახევარში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა მსხვილი საწარმო მანუფაქტურიდან ფაბრიკად არ გადაზრდილა, იგივე ადელხანოვის ტყავის ქარხანა შეიქმნა 1875 წ. პირდაპირ ფაბრიკის სახით, მაგრამ არტემ პოპოვისა და K^o ტყავის საწარმო, რომელიც 70-იან წლებში დაარსდა, თავდაპირველად ფართო მასშტაბის მანუფაქტურა იყო, სადაც 200 მამაკაცი და 25 მცირეწლოვანი დაქირავებული მუშა ხელით ასრულებდა ტყავის გადამმუშავების ოპერაციებს, მაგრამ 80-იან წლების ბოლოს აქ უკვე მანქანები დგას.

მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადაზრდის ნათელი მაგალითია თამბაქოს წარმოებაში ბოზარჯიანცისა და ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, რომლებიც 50-იან წლებში ჩამოყალიბდნენ თბილისში ფართო მანუფაქტურების სახით 80-იანი წლების ბოლოსათვის ფაბრიკად იქცნენ. მაგრამ მათ გვერდით მთელი მე-19

საუკუნის II ნახევრის მანძილზე არსებობდნენ მთელი რიგი წერილი კაპიტალისტური საწარმოებისა, რომლებიც არ გამოიჩინებოდნენ წარმოების მასშტაბებით. მსგავსი მდგომარეობაა საპნისა და სტეარინის სანთლის წარმოებებში, ხე-ტყის დამამუშავებელ მრეწველობაში, კვების პროდუქტების დამამზადებელ და სხვ. საწარმოებში. აქედან ნათელია, რომ საქართველოს სინამდვილეში ხშირად ერთდროულად არსებობდა კაპიტალისტური მრეწველობის სამივე ფორმა, ხოლო ზოგიერთი დარგი პირდაპირ ფაბრიკის სახით შეიქმნა.

მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიასთან უშუალო კავშირშია მისი მომდევნო ფორმა, კაპიტალისტური მრეწველობის უმაღლესი სტადია — ფაბრიკული წარმოება. ამიტომაცაა ამ ორი საკითხის ისტორიოგრაფია გადაჯაჭვული. იმ აეტორთა უმრავლესობა, რომლებიც მანუფაქტურას ეხებიან, ყურადღების გარეშე არ ტოვებენ არც ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარების საკითხებს. ამ უკანასკნელის შესწავლა ნათელს ხდის მისი წარმოშობისა და განვითარების ტენდენციას, ვლინდება მანუფაქტურულ წარმოებასთან მისი თანაფარდობის საკითხი; თუ არა ამ გზით, სხვაგვარად შეუძლებელია სწორად იქნეს გაგებული თვით მანუფაქტურული წარმოების ხასიათი საქართველოში, მისი ადგილი კაპიტალისტურ მრეწველობაში. ამიტომაცაა, თუ გვინდა რომ სწორად წარმოვიდგინოთ მანუფაქტურის ბუნება, თვალი უნდა გავადევნოთ რეფორმის შემდგომ ხანას, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლის პროცესიც.

ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის შესწავლისადმი საპეციალურად მიძღვნილი პ. გუგუშვილის ნაშრომი — „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში“²⁵ (თსუ შრომები, ტ. XVI, 1940). წიგნში დარგობრივად არის განხილული ამიერკავკასიის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა (შრომის საშუალებათა შემკეთებელი, აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი, ბამბეულისა და სხვა საწარმოები). მოტანილია ციფრობრივი

²⁵ ამ საკითხს ორი რიგის ნაშრომებში ვხვდებით. ერთნი საპეციალურად არიან მიძღვნილი ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის შესწავლისადმი. მეორე რიგის ნაშრომებში განხილულია საქართველოს ახალი ისტორიის რომელიმე, სხვა, მომიჯნავე საკითხი და მრეწველობის ისტორია ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების მიმოხილვით ნაწილშია განხილული. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ საპეციალურ გამოკვლევებზე ვჩერდებით.

მონაცემები საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობისა და მუშადა რაოდენობის შესახებ. ნაშრომში არაფერია ნათქვამი მრეწველობის ისეთ მხარეებზე, როგორცაა თვით წარმოების პროცესი, ნედლეულის წყაროები, გასაღების ბაზარი, მუშახელის წყაროები და სხვ. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს თამბაქოს წარმოება. რომლის აღწერისას პ. გუგუშვილი ეხება თამბაქოს ფაბრიკებში შრომის პროცესებსაც. ეს გარემოება იმ დროისათვის ცნობების უქონლობით აიხსნება.

ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის მიმოხილვას დიდ ადგილს უთმობს გ. ბაქრაძე ზემოთ დასახელებულ ნაშრომში²⁶. მასში რეფორმამდელი ხანის მრეწველობის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, მოცემულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საამაოდ ჯრცელი სურათი. ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი წერს: «На основе анализа большого фактического материала и цифровых данных автор стремился систематически изложить и дать научное освещение вопросов образования и развития капиталистической крупной промышленности Грузии в период разложения феодализма и развития промышленного капитализма»²⁷

ფეოდალიზმის წიაღში, მისი რღვევის პროცესში კაპიტალისტური წარმოების ჩასახვის პროცესი წიგნში, შედარებით, მკრთალად არის ასახული და მთავარი ყურადღება სწორედ რეფორმის შემდგომ ხანაზეა გამახვილებული. ავტორს მიზნად დაუსახავს მრეწველობის ფორმების საკითხის გარკვევა, ფაბრიკის გამოყოფა ხელოსნურ-კუსტარული, წერილსასაქონლო და მანუფაქტურული საწარმოებისაგან.

გ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება საქართველოში ჩნდება XIX ს. 70-იან წლებიდან. ნაშრომში მოტანილია დიდძალი მასალა ქალაქების მოსახლეობის ზრდის, მისი წყაროების შესახებ. მსხვილი კაპიტალისტური ფაბრიკების განვითარებით არის ახსნილი საქართველოს ქალაქებში წერილი საწარ-

²⁶ Г. Ба к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, тб., 1958.

²⁷ ი ქ ვ ე, გვ. 3.

მოების დაცემა; ფაბრიკები ამსხვრევდნენ მრეწველობის ძველ ფორმებს;

გ. ბაქრაძე უხვად გვთავაზობს ცხრილებს, რომლებიც მას შეუდგენია საარქივო მასალების მიხედვით და რომელთა დანიშნულებასაც შეადგენს მრეწველობის ზრდის ნათელყოფა. იქვეა მოცემული თანაფარდობა საქართველოს მრეწველობაში კაპიტალისტური წარმოების მარტივ ფორმებსა და ფაბრიკებს შორის. ყველგან ხაზგასმითაა აღნიშნული ამ უკანასკნელთა ზრდის ტენდენცია. აქედანვე გამომდინარეობს წარმოების კონცენტრაციის ზრდა, მუშახელის რაოდენობის ზრდა საქართველოს ფაბრიკულ მრეწველობაში.

შემდეგ ავტორი დიდ ადგილს უთმობს ორთქლის ძრავების გაჩენისა და გამოყენების საკითხს საქართველოს მრეწველობაში. განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაფარდობა და მათი სტრუქტურა, კაპიტალის და მრეწველობის კონცენტრაცია, აქციონერული საზოგადოებების შექმნა და სხვ. ეხება, აგრეთვე, სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირებისა და მისი ზრდის საკითხებს.

გ. ბაქრაძე საქართველოში მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას უკავშირებს არა მარტო რუსული კაპიტალის გაფართოების აუცილებლობას, რომელიც ეძებდა გასაღების ბაზარსა და ნედლეულის წყაროს, არამედ უცხოური სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის შემოსვლასაც.

გ. ბაქრაძე მანქანური წარმოების ეტაპად მიიჩნევს 70-იან წლებს, ამასთანავე იგი რეფორმამდელ ხანაში სავსებით გამოირიცხავს კაპიტალისტური წყობის არსებობას. მაშ როდისღა განვილო მანუფაქტურული სტადია საქართველოს მრეწველობამ? აქ უკვე ადგილი აღარ რჩება მანუფაქტურისათვის. 70-იანი წლების გამოცხადება მანქანური წარმოების საწყისად, ტექნიკური გადატრიალების საწყისად, მეტისმეტად ნაადრევია, ისევე, როგორც ნაგვიანევად გამოიყურება ამ ეტაპის გადატანა 90-იანი წლებისათვის. ე. ზოშტარიას შიანია, რომ მანუფაქტურულმა სტადიამ მრეწველობაში იარსება 80-90 წლებამდე, სწორედ ამ ხანიდან იწყება გადასვლა მანქანურ წარმოებაზე — აღნიშნავს იგი. ეს თუ ასეა. მაშინ ძალზე მცირე დროის მონაკვეთი რჩება იმისათვის, რომ 900-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოს მრეწველობაში

აღმოცენებულიყო მსხვილი სამრეწველო გაერთიანებები, აქციონერული საზოგადოებები, ხოლო მრეწველობის ზოგიერთ დარგში იმპერიალიზმის ნიშნების გაჩენაც. საქართველოს მრეწველობაში მანქანურ წარმოებაზე გადასვლა იწყება 80-იანი წლებიდან, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი შემდეგშიაც არ გრძელდება, იგი 90-იან წლებშიც კი მიმდინარეობს, მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა.

შემდეგი სპეციალური ნაშრომი მრეწველობის ისტორიის საკითხებზე არის ნ. ტყეშელაშვილის „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან“²⁸, იგი მოიცავს პერიოდს საგლეხო რეფორმიდან, თითქმის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ავტორი წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ ნაშრომში მოცემულია რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგების სათანადო დახასიათების, მისი კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარებისა და ამ განვითარების მთავარი შედეგების შესწავლის ცდა²⁹. ავტორი აცხადებს, რომ ნაშრომში განხილულია მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარების მთავარი საკითხები და მოცემულია მრეწველობის თანდათანობითი ევოლუციის საერთო კანონზომიერების ანალიზი.

ნაშრომში განხილულია მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა ტყიბულის ქვანახშირის წარმოება, მარგანეცის მრეწველობა, რკინიგზის გაყვანა და მისი მნიშვნელობა, ნავთობის პროდუქტების ტარის წარმოება, ქალაქის მოსახლეობის ზრდა რეფორმის შემდგომ პერიოდის საქართველოში და სხვ.

ნ. ტყეშელაშვილისათვის ძირითად წყაროს, როგორც ჩანს, შეადგენს «Сборник сведений о Кавказе» და სხვა. მისი მსგავსი სტატისტიკური კრებულები, რომლებშიც შორალი ციფრობრივი მონაცემებია მოთავსებული მრეწველობის ცალკეული დარგების შესახებ, აგრეთვე, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიმოხილვები სხვადასხვა წლებისა. ყვილაზე ავტორიტეტული წყარო მისთვის არის გულიშამბაროვის ნაშრომი «Обзор фабрик и заводов Закавказского края». ნაშრომში, რომელიც

²⁸ ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, 1958.

²⁹ იქვე, გვ. 111.

სპეციალურად მრეწველობის ისტორიისადმი მიძღვნილი, არსად არ არის მითითება საარქივო დოკუმენტზე, ან მანამდე გამოცემულ ნაშრომებზე.

ხშირია ნაშრომში წინააღმდეგობრივი მოსაზრებები, ასე მაგალითად, ავტორი, ქ. თბილისის მრეწველობის მონაცემების განხილვის შემდეგ (ისინი ამოღებულია კრებულიდან «Сборник статистических сведений по Закавказскому краю», რომელიც ძალიან ღარიბია მონაცემებით) ასკვნის, რომ „90-იანი წლების ბოლოს, ქ. თბილისში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს, უპირატესად იყო წვრილი სამრეწველო საწარმოები. მაგრამ ქალაქი მაინც კაპიტალისტური ცხოვრებით სუნთქავდა და მისი ეკონომიური და კულტურული განვითარება მიმდინარეობდა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე“³⁰.

თავისთავად ეს დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურობას და ქეშმარიტებისაგანაც შორს დგას. თუ კი წვრილი წარმოების გარდა, სხვა სახის კერძო კაპიტალისტური წარმოება არ იყო განვითარებული 90-იანი წლების თბილისში, მაშინ როგორღა დაადგა ქვეყანა „სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების გზას“³¹, ესეც არ იყოს, ავტორი მთელ თავებს უთმობს თავის წიგნში იმის მტკიცებას თუ არა ილუსტრაციას მაინც, რომ საქართველოში 70-80-იანი წლებიდან ჩნდება მსხვილი კაპიტალისტური წარმოებები საკუთრივ თბილისში. იგი ხომ თვითონ ჩამოთვლის ისეთ ფაბრიკებსა და ქარხნებს, როგორიც იყო 90-იანი წლებში ჩითახოვის ბამბეულის ძაფსართავი ფაბრიკა (500-დე მუშით), კარაპეტოვისა და K⁰ მექანიკური ქარხანა (440 მუშით), სარაჯიშვილის სპირტის სახდელი ქარხანა (500 მუშით), მთელი რიგი თამბაქოს ფაბრიკებისა („ბოზარჯიანცის — 330 მუშით, ენფიანჯიანცის — 600-დე მუშით). მისივე განცხადებით, 1900 წელს, თბილისში იყო 14 სააქციო საზოგადოება, და ყოველივე ამის შემდეგ იგი აკეთებს ზემოთ მოტანილ დასკვნას. ეს გაუგებრობა უფროა ვიდრე დასკვნა.

6. ტყეშელაშვილი შედარებით ვრცლად ეხება ქალაქის მოსახლეობის ზრდის საკითხს რეფორმის შემდგომ საქართველოში,

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 47.

³¹ ი ქ ვ ე, გვ. 44—45.

რასაც თან სდევდა დაქირავებული შრომის ზრდა. მას მოაქვს ქალაქის მოსახლეობის ზრდის წყაროები (გლახთა დიდურენციაცია, საშოვარზე წასვლა), მისი მაჩვენებელი ციფრობრივი მონაცემები.

საყურადღებოა, გ. მარგიანის ნაშრომები ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის შესახებ²², რომლებშიც მოთხრობილია ტყიბულის ქვანახშირის წარმოების ისტორია, მისი განვითარება, წარმოების ხელისშემშლელი პირობები (დაბალი ტექნიკა, უგზოობა), მუშა ხელის რაოდენობა და მისი მდგომარეობა, პროდუქციის ბაზარი და სხვა საკითხები. ავტორი უმთავრესად ეყრდნობა საარქივო მასალებს, აგრეთვე გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულებს და სტატისტიკის მონაცემებს. გ. მარგიანი, ყოველივეს გაანალიზების საფუძველზე, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტყიბულის ქვანახშირის წარმოება ვითარდებოდა 900-იან წლებში და მასში გაჩნდა ზოგიერთი ისეთი ნიშანიც, რომელიც დამახასიათებელია იმპერიალიზმის ეპოქის მრეწველობის დარგებისათვის. ნაშრომი მოდის მხოლოდ 1907 წლამდე. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მოეცა წარმოების შემდგომი ხანის ისტორიაც, 1917 წლამდე მაინც.

ე. ხოშტარას მონოგრაფია „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში“, ძალზე საინტერესოა იმ მხრივ, რომ დაწერილია დიდძალი საარქივო მასალის საფუძველზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ახლად არის გამოვლინებული. ავტორს გათვალისწინებული აქვს ყველა მისი წინამორბედი მკვლევარის შეხედულება. წიგნში განხილულია ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის თითქმის ყველა დარგი და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მოცემულია მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება) თანაფარდობა. ავტორი სამი სხვადასხვა ხანის მონაცემების შედარების საფუძველზე (60-იანი, 80-იანი და 900-იანი წლების დასაწყისი) გვიჩვენებს მრეწველობის განვითარების ტენდენციას; კერძოდ, 60-იანი წლების შუახანებში საქართველოს მრეწველობაში გაბატონებული იყო წვრილი

²² გ. მარგიანი, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1, 1961).

წარმოება. 80-იან წლებში ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა შემცირებულია; უპირატესობა აქვს მანუფაქტურულ წარმოებას. ხოლო 90-იანი წლები ხასიათდება ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების სწრაფი განვითარებით. ეს დასკვნა საესებით მისაღებია, მაგრამ რამდენად უდგება იგი ავტორისავე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მანუფაქტურული წარმოება გაბატონებულია 80-90-იან წლებამდე? ავტორი ხომ აღნიშნავს, რომ 80-იანი წლების შეუახანება-სათვის „მუშათა რაოდენობის მხრივ უპირატესობის თვალსაზრისით უკვე მანქანური წარმოებაა წასული წინ“³³. სწორედ ეს გარემოებაა ანგარიშგასაწევი. 80-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობაში წამყვან ადგილს იკავებს ფაბრიკული წარმოება.

³³ ბოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

ბ. მარბიანი

აპკიტალისტური ხანის საქართველოს მარგანეციის მრეწველობის ისტორია რევოლუციამდე და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში*

ქიათურის მარგანეცის ** მრეწველობამ თავის განთიადიდანვე მიიპყრო თანამედროვეთა ყურადღება. მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს რევოლუციამდე, და, მეტადრე, საბჭოთა ხანაში მრავალი პუბლიცისტური, ისტორიული და ეკონომიური ხასიათის წერილი და გამოკვლევა მიეძღვნა. ეს გასაგებიცაა, რადგან რეფორმის მერმინდელ საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგი — ქიათურის მარგანეცის მრეწველობა — საიმპერიო და მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა.

თავის ჩაახახვიდან (1879 წ.) პირველ მსოფლიო ომამდე, როცა მსოფლიო მეტალურგიის განვითარებისდაკვალად მარგანეცზე მოთხოვნილება კოლოსალურად იზრდებოდა, ქიათურის მრეწველობამ სწრაფი აღმავლობა განიცადა და მარგანეცის მადნის საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენებური მადანი თვი-ობრივად და რაოდენობრივად, თითქმის, უცვლელად პირველობდა. მაგრამ, ამ დარგის

* ეს ნარკვევი 1966 წ. 13 იანვარს მოხსენდა აკად. ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილებას და იბეჭდება შემოკლებით.

** მარგანეცის მადანს ადრე „შავ ქვას“ — ქვა-გუნდას“ ან კიდევ „მარგანეცს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას, რივ ლექსიკონებსა და ზოგიერთ სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომებში, „მანგანუმი“ ეწოდება, ხოლო საზოგადოების ფართო წრეებში, თანამედროვე ქართულ პერიოდულ პრესაში და ოფიციალურ დოკუმენტებში. კი კვლავ „მარგანეცია“ მასობრივ ხმარებაში. ეს უკანასკნელი ჩვენც უფრო მისაღებად მიგვაჩნია, რადგან როგორც დიდი ილია ამბობდა, „ხალხია ვნის კანონის დამდები და არა ანბანის თეორეტიკა“ (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული 5 ტომად, ტ. II, თბ., 1941, გვ. 29).

აღმავლობა არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თანმიმდევრული და განუწყვეტელი. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მეტალურგიასთან და საგარეო ბაზართან მჭიდროდ დაკავშირებული, ქიათურის მარგანეცის მრეწველობა, წარმოადგენდა ერთგვარ ბარომეტრს, სადაც იმთავითვე აისახებოდა არა მარტო ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მომხდარი ძვრები, არამედ რუსეთისა და მსოფლიო მეურნეობაში მომხდარი კონიუნქტურული ცვლილებები. მარგანეცის მრეწველობამ ჩვენში განიცადა გასული საუკუნის 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობა, 1900-1903 წწ. კრიზისი, მისი მომდევნო დეპრესია და მსოფლიო-ომამდელი სამრეწველო აღმავლობა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წლებში კი სამრეწველო დაქვეითება. სამრეწველო კრიზისი ქიათურის მარგანეცის მრეწველობაში რამდენადმე გვიან, 1901 წ. დაიწყო. ჩვენში ის გღრმავდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და 1905 წ. რევოლუციის უმაგალითო გაქანების შედეგად. ამანვე გამოიწვია კრიზისის მომდევნო დეპრესიის ერთგვარი სიმკრთალე მრეწველობის ამ დარგში.

ქიათურის მრეწველობამ რევოლუციამდელ ხანაში მეტ-ნაკლები სისრულით განვლო კაპიტალისტური მრეწველობის სამივე სტადია: წვრილი სასაქონლო, მანუფაქტურული და ფაბრიკული. ამ სტადიების თანმიმდევრობასთან ერთად მისთვის დამახასიათებელია მრეწველობის სხვადასხვა ფორმათა თანაარსებობა და. რაც მთავარია, ფაბრიკულ-ინდუსტრიული სტადიის ერთგვარი თავისებურება (უსრულობა), დაკავშირებული მადნის მოპოვებაში ტექნიკურ სიახლეთა დაუნერგავობასთან.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობა და მისი ნაწარმოების გასაღების ადგილობრივი ბაზარი, 1879—1914 წწ. თითქმის განუწყვეტელიყო ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობისა და ურთიერთბრძოლის ასპარეზი; ამ ბრძოლაში ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალი ჩვენი საუკუნის პირველი ათწლეულის დამლევამდე, თითქმის ყოველთვის ინარჩუნებდა გადამწყვეტ პოზიციებს წარმოებაში, ხოლო უცხოური კაპიტალი კი თავიდანვე ბატონობდა მადნის ადგილობრივ, და, მით უმეტეს, საგარეო ბაზრებზე. პირველმა მსოფლიო ომმა ფაქტიურად აღკვეთა ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ქიათურაში: მარგანეცის მრეწველობასა და მადნის საერთაშორისო

ბაზარს შორის გზა ჩაიკეტა, მრეწველობას კარგა ხნით ჩამოშორდა არა მარტო რუსეთის მოწინააღმდეგე, არამედ მისი მოკავშირე ქვეყნების სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალი.

ფეიქრობთ, შეიძლება დაბეჭითებით ვამტყიცოთ, რომ ჩვენში კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი (ანტაგონისტური) კლასის — სამრეწველო ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის — ჩამოყალიბების კანონზომიერება და სპეციფიკური თავისებურება, იმდროინდელ საქართველოს მრეწველობის დარგებს შორის, ყველაზე მკაფიოდ სწორედ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში აისახა. აქ, ეროვნული სამრეწველო ბურჟუაზიის მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად, ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული სამრეწველო პროლეტარიატის ერთ-ერთი მძლავრი. მრავალათასიანი რაზმი, რომელშიც სხვა ეროვნების მუშეებიც შედიოდნენ. ამასთანავე, საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობაში მარგანეცის მრეწველობის ხვედრითი წონა თვალსაჩინო იყო: ნაწარმოების საერთო ღირებულებითა და მუშათა რაოდენობით, ის, მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან, მეტადრე 1906 წლიდან, თითქმის, მუდამ პირველობდა მრეწველობის დარგებს შორის.

საქართველოს მრეწველობის ეს მსოფლიო მნიშვნელობის დარგი, ბუნებრივია, ცხოველ ინტერესს იწვევდა ჩვენში, რუსეთსა და უცხოეთში. მის ირგვლივ უკვე ვრცელი და მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს.

წინამდებარე ნაკვეთის მიზანიც სწორედ ამ ლიტერატურის განხილვა-დახასიათებაა***. აქ შევეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თანმიმდევრულად და დიფერენცირებულად განვიხილოთ საკითხის რევოლუციამდელი და საბჭოთური, ბურჟუაზიული და მარქსისტული ისტორიოგრაფია. შესაფერის ნაშრომებს (მათ შორის ზოგიერთ პუბლიცისტურსაც) დავაჯგუფებთ მათი ავტორების მიერ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე წამოყენებული თვალსაზრისის, აგრეთვე, ამ ნაშრომთა გამოცემის თანმიმდევრობის გათვალისწინებით. ნარკვევი მიზნად არ ისახავს, და ვერც დაისახავს, განსახილველი ნაშრომების ავტორთა მსოფლ-

*** ჩვენ არ შევეხებით ვრცელ და თავისთავად დიდად მნიშვნელოვან შესაფერის ტექნიკურ-სამეცნიერო ლიტერატურას.

მხედველობის, თუნდაც სოციალ-ეკონომიური შეხედულებების საერთო შეფასებას და ის იფარგლება კიათურის მარგანეცის მრეწველობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში წამოყენებული ისტორიული თვალსაზრისის შეფასებით. საკითხის ლიტერატურაში დაშვებული ფაქტობრივი უსწორობანი და შეცდომები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ამა თუ იმ ავტორის თვალსაზრისზე. აქ არ იქნება აღნუსხული.

ჩვენი მიზნისათვის, ვფიქრობთ, არაა აუცილებელი განვიხილოთ საკითხის ირგვლივ არსებული ყველა სტატია და გამოკვლევა. ამიტომ შევევებით მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც (ახალი ფაქტებითა თუ აზრებით) პრინციპულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ საკითხის ისტორიოგრაფიისათვის.

* * *

კიათურის მარგანეცის მრეწველობას. როგორც მოსალოდნელიც იყო, თავიდანვე მზრუნველობით მოეკიდნენ თერგდალეულთა პლეადის სახელოვანი წარმომადგენლები, რომლებიც სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული სამშობლოს სამეურნეო წინსვლით, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ცოცხალი ძალებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების ბაზაზე. ქართველი რევოლუციონერი-დემოკრატები, რეფორმადელ და რეფორმათა ეპოქაში, როგორც ცნობილია, გამოდიოდნენ ფეოდალური ურთიერთობის დაუნდობელი კრიტიკით. რეფორმის მერმინდელ ხანაში კი იბრძოდნენ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მრავლად შემორჩენილი გადმონაშთების აღსაქრთად. ისინი მხარს უჭერდნენ და ქადაგებდნენ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო-კაპიტალისტურ განვითარებას. მგზნებარე სიტყვითა და ღაუღალავი პრაქტიკული საქმიანობით ხელს უწყობდნენ მრეწველობის, და, კერძოდ, კიათურის მარგანეცის მრეწველობის, აღორძინებას. ცნობილია, აკაკი წერეთლის დიდი ღვაწლი მარგანეცის მადნის კიათურის საბადოს შესწავლაში, მისი გეოლოგიური გამოკვლევის შედეგების პოპულარიზაციასა და სამრეწველო ინსპექტორატის დაწყებაში. დიდი მგოსანი მრეწველობის ამ დარგის ფუძემდებელია¹. აკაკი წერეთლის ამ პრაქტიკულ საქმიანობაზე

¹ დაწვრილებით იხ. ა. კ. ჯ. ლ. ა. ვ. ი. ლ. ა. წერეთელი და კიათურის მარგანეცი, თბ., 1958.

და მის მიერ 1880—1912 წწ. გამოქვეყნებულ წერილებზე, აქვე მოგონებებზე დაკვირება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სამშობლოს უანგარო მოამაგე, მარგანეცის მრეწველობის დასაფუძნებლად, 13 წელიწადი იღწვოდა, არამც და არამც პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ „საზოგადო საქმისათვის“, „ჩვენი ქვეყნის გამობრუნებისათვის“². აკაკის მალე მოუხდა მეწარმეობაზე ხელის აღება, მაგრამ, მგზნებარე პატრიოტი მერმეც მუდამ მზრუნველობით ეხმაურებოდა მარგანეცის მრეწველობისა და მშრომელთა მდგომარეობას ჭიათურაში. მან, პირველმა, ჯერ კიდევ 1880 წ., წამოაყენა ჭიათურაში ქართველ მრეწველთა გაერთიანების იდეა.

წერილში, „ქვაგუნდის ამბავი“, მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი აკაკის თვალსაზრისი და დამოკიდებულება მარგანეცის მრეწველობის აწმყოსა და მომავლისადმი, ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისადმი, წარმოებაში ჩაბმული მშრომელი ხალხისადმი. აქ ა. წერეთელი საფუძვლიან გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მარგანეცის მადნის უმდიდრესი საბადო უცხოელებს ზიზიდავდა, რადგან „თაფლი“ იყო, „ბუზი“ შორიდანაც მოფრინდებოდა, ამიტომ ადგილობრივ მეწარმეებს იმთავითვე გაერთიანებას ურჩევდა და ამტკიცებდა: „ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენშიდაც შედგეს მისთანა კომპანია, რომელმაც ეკ მადნეულობა ხელიდან არ გაუშვას“³. ის მოითხოვდა „ძალიან ძლიერი კომპანიის“ შექმნას, რომ მას „კონკურენტი ადვილად დაემარცხებია“⁴. ამასთანავე ასეთ კომპანიას მიზნად უსახავდა ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობის დასაქმებას. აკაკი მოითხოვდა „მუშები და ზედამხედველნი“ სულ ჩვენებურები ყოფილიყვნენ. მას სურდა ჩინებული სიმდიდრით ყველას ესარგებლა: „ჩემი სურვილი და ცდა, — წერდა აკაკი, — ის არის, რომ ყველამ ისარგებლონ და არც ერთი მადნის პატრონი და მუშა ჩვენში ხელცარიელი არ დარჩეს“⁵. ქართველ მრეწველთა მძლავრი გაერ-

² იხ. ა. იო ე ი ძ ი ს პუბლიკაცია. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე“, 1953, № 7, გვ. 420.

³ „დროება“, 1880 წლის 8 იანვარი, № 5.

⁴ ი ქ ვ ე.

⁵ „დროება“, 1880, 8 იანვარი, № 5.

თიანების შექმნისა და უცხოელ კაპიტალისტთა შესაძლებელი
შესაძლებების მოგერიების შემთხვევაში, მისი აზრით, წარმოებით
ისარგებლებდა ყველა „დიდი“ და „პატარა“, ბრეწველი და მუშა.
აქ მშრომელ ხალხზე აკაკის ზრუნვასთან ერთად, თვალში გვე-
ცემა იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მრეწველი-კაპიტალისტები
მოგების ნორმას სწორედ მუშათა ექსპლოატაციის მაქსიმალურად
გაძლიერებით ზრდიდნენ. ამიტომ, ცხადია, გამოჩენილი ჰუმანი-
ტის სურვილი არ იყო რეალური. დიდმა მგოსანმა, იმავე წერილ-
ში პირველმა წამოაყენა, ჩვენში, მარგანეცის მადნიდან ფერომარ-
განეცის წარმოების იდეა⁶, რაც მხოლოდ ნახევარი საუკუნის
შემდეგ, 1933 წ. განხორციელდა.

აკაკიმ ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღიმაღლა ხმა ჰიათურის
აუზში მარგანეცის მადნის საბადოების საექვო პირთა და უცხო-
ელთა ხელში გადასვლის წინააღმდეგ და მათ მფლობელებს სწო-
რად აფრთხილებდა: „აი, რა შეიძლება მოხდეს: ზოგი სიღარიბით.
ზოგი სულწასულობით, ზოგი უმეცრებით სულ ტყუილ-უბრალოდ
დაკარგავენ ამ საშვილიშვილო საქმეს და ისეთის ხელში ჩააგდე-
ბენ, რომ თვითონვე საშვილიშვილოდ უღლად დააწვნიენ კისერ-
ზე... მაშინ... შავი მიწის პატრონები თვითონ შავ მუშებად გადა-
იქცევიან და სხვის სამოწყალოდ დარჩებიან“⁷.

აქ, ისევე როგორც მგოსნის მრავალ, მერმინდელ წერილში⁸.
მკვეთრადაა გამოხატული მისი დაუცხრომელი ზრუნვა, ერთი
მხრივ, მარგანეცის მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე, უცხოელ
მრეწველთა მონაწილეობის გარეშე, აღორძინებისათვის, ხოლო
მეორე მხრივ, საბადოს ნაკეთთა მფლობელი ღარიბი გლეხობისა
და წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესები-
სათვის. მშობელი ქვეყნისა და მშრომელი ხალხის სიყვარულით
გულანთებული მოღვაწე მაცირად აკრიტიკებდა მრეწველობსა
და მრეწველთა საბჭოს საქმიანობას. ა. წერეთელი, 1902 წელს

⁶ ი ქ ე ე; ა. კ ო ლ ა ვ ა შ ე ი ლ ი, აკაკი წერეთელი და ჰიათურის
მარგანეცი, გვ. 66, 88.

⁷ „ღროება“, 1880, 8 იანვარი, № 5.

⁸ ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, კლდე ქვაგუნდის შესახებ, „ღროება“, 1886, № 113.
მისივე „შავი ქვა, „ივერია“, 1889, № 224, 257, 299; მისივე, მოგონებაჲი მარ-
განეცის გამო, „კვალი“, 1893, № 34, 46; მისივე, მცირე შენიშვნა, „კვალი“-
1902, № 50; მისივე, ცხელ-ცხელი ამბები, „ივერია“, 1902, № 229.

შეშფოთებით აცხადებდა: „ჭიათურის დღევანდელი მდგომარეობა უნუგეშოა და იმ სახით მრეწველობას, რა სახითაც დღეს მიმდინარეობს, არა თუ სარგებლობა, პირიქით, ზარალის მეტი არა მოაქვს რა ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, — განაგრძობს აკაკი, — რომ დიდძალი ფული შემოდის, როგორც ზნეობითად, ისე მატერიალურად ეცემა მხარე და შორაანის მაზრა, რომელიც თავისი პიწის მოსავალს სხვა მაზრებსაც უზიარებდა ხოლმე, დღეს თვითონ ჩავარდა შევიწროებაში და მეურნეობას ბოლო ეღება. ეს კიდევ არაფერი რომ მრეწველობა მაინც კარგად მიდიოდეს“.

„მუშები, — განაგრძობს აკაკი, — არა თუ ვერას იძენენ სხვადასხვა სახაფანგო წესრიგის წყალობით, უაზრო და უნაყოფოდ დაღვრილ საკუთარ თფლში იღუპებიან. უმეტესი მათგანი სნეულდება ტონელ-გვირაბებში... მადნის პატრონები (მხედველობაშია საბადო ნაკვეთთა მფლობელები — გ. მ.)... დაჩაგრულები, გაკირვების გამო, თითო ოროლა გროშის გულისათვის, რომელსაც სამოწყალოდ აწოდებენ მოიჯარადრეები, საშვილიშვილო სიმდიდრეს სამარადისოდ მარხავენ. ჩალვადრები და მეურმეები „სასწორ-სკიდკების“ წყალობით ვერას იგებენ. წვრილი მრეწველები, ორიოდე გაბატონებულ ექსპორატორების ყურმოჭრილ მონებად არიან გადაქცეულნი...“ დაბოლოს, ავტორი აღნიშნავს, რომ „დღევანდელი ჭიათურის მდგომარეობა სამწუხაროა“, რომ „შეგნებული მრეწველობის ადგილი ონავრობას და ძარცვა-გლეჯას უჭირავს ხელში“. აკაკი მოწოდებით მიმართავს მრეწველებს: „ნუ ჩავდგებით საშვილიშვილო ცოდვაში! გადავდვათ განზე პირადობა და ისე შევუდგეთ საქმეს“⁹. რა თქმა უნდა, მრეწველები „პირადობაზე“ ხელს არ იღებდნენ, ამ, აკაკის სიტყვით, რომ ვთქვათ, „ქირს“ ბოლოს ვერ მოუღებდა „მუშათა და ჩალვადარმეურმეთა არტელების“ და მათთვის „იაფფასიანი“ სასადილო სახლების მოწყობა, როგორც ამას გამოჩენილი მოღვაწე ვარაუდობდა. მარგანეცის მრეწველობაში შექმნილი ვითარების აღწერისას აკაკი, მთელი თავისი არსებით, თანაუგრძნობს მშრომელ ხალხს, ასევე საბადო ნაკვეთთა მფლობელ ღარიბ მოსახლეობას, რომელსაც მიწა იჯარით მეტისმეტად იაფად გაუცია, აგრეთვე წვრილმრეწველებს, რომლებიც უსახსრობის გამო, მადნის უცხო-

⁹ „კვალი“, 1902, № 50, გვ. 810—811.

ელ შემსყიდველთა მხრივ, საკუთრივაც განიცდიდნენ ექსპლოატაციას. ის არ ინდოვს მრეწველთა ყრილობას, მას „ყეენობას“ ადარებს, ააშკარავებს მათ კრებებზე მსხვილ და წვრილ მრეწველთა შორის გაჩაღებული ბრძოლის ხასიათს, მიუთითებს, რომ აქ „ყოველივე საზოგადო და ქვეყნის სასარგებლო მხოლოდ პირბადედ და ხელსაწმენდადაა“ გამოყენებული, ხოლო „თავიდათავი მიზანი კი პირადობა და ჩემიან-შენიანობაა“¹⁰.

აკაკის შესაძლებლად მიაჩნია მარგანეცის მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება, „რომ პიროვნული უკუღმართობა არ უშლიდეს ამ საზოგადო საქმეს“¹¹. აქ ჩანს, რომ მოღვეწე ჯეროვნად ვერ აფასებს ბოროტების საფუძველს — წარმოების არსებულ წესს, რომელიც გამორიცხავდა მუშათა მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების შესაძლებლობას, მაგრამ მთავარი მაინც ისაა რომ აკაკი ააშკარავებდა მრეწველთა ბოროტმოქმედებას, იცავდა მუშათა ინტერესებს¹². მრეწველობის ვითარების განხილვისას ა. წერეთელი სვამდა კითხვას: „ეშველება რამე კი ამ უბედურებას?!“ და პასუხობდა: „ეშველება, თუ წინამძღოლები და მეთაურები შეგნებული იქნებიან... იმათი გამობრუნება მხოლოდ ხალხს შეუძლია. გულწრფელ მუშას და მომავალიც მათთვის მიმინდვი“¹³. აქ, როგორც ჩანს, „წინამძღოლებისა და მეთაურების“ ქვეშ მრეწველებია ნაგულისხმევი. ამის მიუხედავად, დიდად საგულისხმოა მუშების ისტორიული როლის ავტორისეული გაგება.

ამრიგად, ცხადია, რომ ა. წერეთლის სიმპათიები მშრომელთა მხარეზეა, მუშათა კლასის მისიის შეფასებაში ის მარქსისტულ გაგებას უახლოვდება. მაგრამ, დიდი ჰუმანისტი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების იმედებს მრეწველებზეც ამყარებდა და ის, როგორც მოაზროვნე, მოცემულ საკითხში ვერ მივიდა ბოლომდე სწორ, მარქსისტულ გაგებამდე. სამაგიეროდ, უდავოა.

¹⁰ „ქვალი“, იჭიკე.

¹¹ „ქვალი“, 1902, № 50, გვ. 810--811.

¹² „ივერია“, 1902, № 229.

¹³ ა. კ. კ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. აკაკი წერეთელი და კიათურის მარგანეცი, № 229, გვ. 76.

რომ ა. წერეთელი, თავისი ისტორიული თვალსაზრისით, ქართველ რევოლუციონერ დემოკრატთა მარცხენა ფრთაზე იდგა.

მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თხოვნით, ა. წერეთელი: 1912 წ. მრეწველობის ისტორიის (მოგონების) დაწერას შესდგომია, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ დაუმთავრებია¹⁴. ამის მიუხედავად მან უმდიდრესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა მოცემული დარგის ისტორიის შესამუშავებლად.

ჭიათურის მარგანეცის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის წამოწყებაში, აკაკი წერეთელს, შესაძლებელ მხარდაჭერას უწევდა გამოჩენილი სამოციანელი ს. მესხი¹⁵, რომელიც არსებითად სწორად აფასებდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა ეროვნულ ნიადაგზე აღორძინების მნიშვნელობას ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

დიდი პატრიოტი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობის გარიჟრაჟზე შექმნილ მდგომარეობას. ამ ვითარების ამსახველ წერილს, რომელიც 1879 წ. გამოაქვეყნა გაზეთმა „დროებამ“, ს. მესხმა წარუძღვარა სპეციალური სტატია, სადაც შეშფოთებას გამოთქვამდა მარგანეცის მადნის საბადოთა მფლობელების მიერ უცხოელებზე მიწის ნაკვეთების გაცემის გამო და დარიგებას იძლეოდა: „ჩვენი რჩევა ეს არის, რომ ნუ აჩქარდებიან, ნუ ენდობიან ყველა უცნობ გამკვლელ-გამომკვლელს, ნუ დაერწმუნებიან იმათ დაპირებას, სიტყვას, ნურც იმათ ნოტარიალურ პირობას“. ს. მესხი შთააგონებდა საბადოთა მეპატრონეებს: „თუ ამდენი ხანი მოგიტმენიათ, თუ ამდენი ხანი შავი ქვა შვეკვად ყრილა, ერთ ორ წელიწადს, სანამ ყველაფერს დაწვრილებით და დაბეჯითებით გაიგებდეთ, კიდევ ეყაროს... თქვენი მადანი ისეთი საგნისათვის არის საჭირო რომ იმას შემდეგში, თუ არ მოემატება, დაკლებით მაინც არასდროს დააკლდება ფასი“¹⁶.

¹⁴ ა. კ. კ. ლ. ა. ვ. ე. ი. ლ. დ. ს. ხ. ნ. შ. რ., გვ. 79.

¹⁵ ა. კ. კ. ლ. ა. ვ. ე. ი. ლ. დ. ს. ხ. ნ. შ. რ., აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, გვ. 100. დოკ. ს. მესხის წერილი აკაკი წერეთლისადმი, 1871.

¹⁶ „დროება“, 1879, 30 ნოემბერი, № 248.

სახელმძღვანელები ქართველ მოღვაწეთა ხმა მთელი ერის მოწინავე ნაწილის გულისთქმა იყო და მან კეთილმყოფელი გავლენა იქონია ჩვენში მარგანეცის მრეწველობის მომავალზე.

სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის დაუღალავი მოამაგე, დიდი ილია, თავიდანვე მზრუნველობით მოეკიდა ქიათურის მარგანეცის მრეწველობას. ილია ჰავებდა იმედს, როგორც ცნობილია, „თავისი მომავალი იდეალური საზოგადოების საფუძვლად... მიიჩნია არა საფაბრიკო საქარხნო მრეწველობა... არამედ რაციონალურად მოწყობილი მიწადმოქმედება, ე. ი. სოფლის მეურნეობა“¹⁷. ამასთანავე, ის „...მომხრეა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებისა“¹⁸. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ილია უკვე აღიარებდა სამრეწველო განვითარების მნიშვნელობას ქვეყნის აღორძინებისათვის¹⁹.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას ილია „ჩვენს სატკივარს“ უწოდებდა²⁰ და იღწვოდა წარმოების ამ დარგის დასაწინაურებლად. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ხანგრძლივი მეცადინეობა სამრეწველო რაიონში გზების მოსაწყობად და რკინიგზის შესაყვანად. ამის გამო, ი. ჰავებდა სწერდა კავკასიის ადმინისტრაციის იმდროინდელ მესვეურს: „წინათაც გთხოვდით და ახლაც გთხოვთ... აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნებიდან შავი ქვის გადაზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადაზიდვის ქირამ ძალიან აიწია. გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რკინიგზა გაიყვანონ ს. ქიათურამდის“²¹. ამ საქმეში ილია მხარს უმშვენივრად უჭერდა ქიათურის რკინიგზისათვის მებრძოლ სხვა გააოჩენილ ქართველ მოღვაწეებს. ამ ბრძოლამ მალე თავისი ნაყოფი გამოიღო.

ილია სასტიკად აკრიტიკებდა მარგანეცის მრეწველთა შეუთანხმებელ და უმსგავსო მოქმედებას, მოითხოვდა, რომ „წყარო

¹⁷ პ. რატიანი, ილია ჰავებდა, მოღვაწეობა და აზროვნება, თბ, 1965, გვ. 242.

¹⁸ იქვე, გვ. 241—242.

¹⁹ ი. ჰავებდა, თხზ. ტ. IV, 1955, გვ. 10, პ. რატიანი, ილია ჰავებდას პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, „მნათობი“, 1955, № 9, № 10.

²⁰ „ივერია“, 1886, 16 ოქტომბერი, № 223.

²¹ ი. ჰავებდა, თხზ. ტ. VII, თბ., 1956, გვ. 247—248.

სიმდიდრისა“ გასწვდომოდა ყველას: საბადო-ნაკვეთების მფლობელებს, მრეწველებს და მუშებს. ის წერდა: „შესდგომიან საქმეს შავი ქვის მწარმოებელნი, მაგრამ თავისებურად კი... ყველას მარტო იმის მადა გაპლვიძებია, სხვას დაეკლო და მარტო ამ გზით მე შევიმატოვო, ყველა სცდილობს, რაც შეიძლება, დიდი ნაჭერი თითონ მოითალოს, დიდი ლუკმა ხელთ იგდოს და სხვა ცარიელზე დასევას, გამოსწიროს, გზა დაუხლართოს მეზობელს. არავის მიუდგეს და თავისთვის მარტო იმუშაოს. ერთი სიტყვით, შურს, მტრობას, წვრილმანობას, შავი ქვის საქმე დღეს იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა ქვამ მართლა „შავი ქვა და ნაცარ-ცხელი“-და მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაც“²². ამასთანავე ილია მოითხოვს კიათურაში საქმის ისე მოწყობას, „რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტ ხალხს მიეღინოს“²³.

ილია მკაფიოდ აღწერს და ამზეურებს მრეწველთა საქმიანობას, იცავს მშრომელ ხალხს, მაგრამ, ჭეროვნად ვერ ითვალისწინებს წარმოების კაპიტალისტური წესის ბუნებას, რომელიც მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებისადმი მისწრაფებითაც ხასიათდება. ამასთანავე, კიათურის მრეწველობისადმი ილიას დამოკიდებულებაზე დაკვირვებაც მოწმობს, რომ ის „ბოლომდე ვერ სწვდება ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა დიალექტიკას“²⁴.

ჩვენში, მარგანეცის მრეწველობის აღორძინებისათვის ხანგრძლივი და ენერგიული ბრძოლა აწარმოეს გამოჩენილმა მოღვაწეებმა — ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა. საყოველთაოდ ცნობილია მათი ამაგი კიათურის რკინიგზის შტოს მშენებლობის დაწყებაში და სხვ. კაპიტალისტური ევროპის ცხოვრებაში ჩინებულად გათვითცნობიერებულ მოღვაწეს, ნ. ნიკოლაძეს, სწორად ესმოდა კაპიტალისტურ საფუძველზე ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების მნიშვნელობა. ამიტომ ის, როგორც ცნობილია, საკუთრივ ენერგიულ და მრავალფეროვან პრაქტიკულ საქ-

²² „ივერია“, 1886, 16 ოქტომბერი, № 223.

²³ ი ქ ე ე.

²⁴ პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება, გვ.

მიანობასაც ეწეოდა ჩვენში ამ კანონზომიერი პროცესის დასა-
ჩქარებლად. იგი თითქმის, განუწყვეტელ კავშირში იყო
ქიათურის მრეწველობასთან; მით უფრო მეტი მნიშვნელობა
აქვს მის მდიდარ ლიტერატურულ შექვიდრებებს ამ დარგის
ისტორიისათვის.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიისა, და, თვით
ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებებისა და
იდეალების არსის გასაგებად, ფრიად მნიშვნელოვანია მისი მრავალ-
რიცხოვანი წერილები (მარგანეცის მრეწველობაზე), რომელთა
დიდი ნაწილი გამოქვეყნდა იმდროინდელ პრესაში, ნაწილიც —
დაცულია მოღვაწის პირად არქივში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ
ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი წერილები, რომლებიც ქიათურის მრე-
წველობის დაფუძნების ისტორიის ირგვლივ, ავტორის მიერ, ა. წე-
რეთლის წინააღმდეგ 90-იან წლებში წამოწყებულ დავას შეეხე-
ბიან, ტენდენციურობით ხასიათდება. უადგილობის გამო დეტა-
ლურად ვერ შევეხებით ნ. ნიკოლაძის მერმინდელ პუბლიცის-
ტურ და ისტორიულ ნაშრომებს, სადაც გაშუქებულია მრეწვე-
ლობის მოცემული დარგის ისტორიის ეპიზოდები, შეფასებუ-
ლია ისტორიული ფაქტები. მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით
საყურადღებოა მისი წერილი „ქიათურის შავი ქვა“²⁵, ასევე ნაშ-
რომები: Кавказское марганцевое самоуправление (СПБ, 1910
г.) და «Полукопеечный сбор...» (ფოთი, 1908 წ.) სადაც ავ-
ტორი, ისევე როგორც არა ერთ სხვა ნაშრომში, იცავს ერ-
თი მხრივ, წვრილ მრეწველთა, ხოლო, მეორე მხრივ, მშრომელ-
თა ინტერესებს. აქ შეფასებულია მარგანეცის მრეწველთა წარ-
მომადგენლობითი ორგანიზაციის, — ყრილობის, — მუდმივ მოქ-
მედ ორგანოს, — საბჭოს, — მუშაობა. ნ. ნიკოლაძე ამ ორგანოს
მართებულად ახასიათებს როგორც „მსხვილ მრეწველთა ინტერე-
სების დამცველს, აკრიტიკებს მრეწველთა პირველ ორ ყრილო-
ბას (კრებას), სადაც აშკარად შეიმჩნეოდა მსხვილ მრეწველთა ბა-
ტონობა. სამაგიეროდ, ნ. ნიკოლაძე მიესალმება მრეწველთა მესა-
მე ყრილობას, „რადგან ამ კრებაზე პირველად მიიღეს მონაწილე-
ობა წვრილ და საშუალო მრეწველებმა“²⁵. მოღვაწე ალაფრთოვანა

²⁵ „კვალი“, 1902, № 42, გვ. 681.

ამ ყრილობაზე წვრილ მრეწველთა ოპოზიციის მიერ შემუშავებული პროექტის მიღებამ (ბაქნებისა და ვაგონების განაწილების თაობაზე), ასევე, ყრილობის გადაწყვეტილებამ საპენსიო საღაროს დაარსებაზე, საავადმყოფოს აგებაზე და მუშათა დაზღვევაზე. ნ. ნიკოლაძე თანაუგრძობდა წვრილ მრეწველთა ოპოზიციას, რომელმაც „აღძრა და კიდევაც გაიყვანა კითხვა კვირაობით მუშათა დასვენებისა, სახალხო თეატრისა, საკვირაო სკოლისა და იაფი სასადილოების მოწყობის შესახებ“. დაბოლოს, ჩვენი ავტორი დასძენს: „იმედია ეს სიმპატიური ოპოზიცია მეოთხე კრებაზედაც წამოაყენებს სხვადასხვა კითხვებს მუშათა და მწარმოებელთა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ“²⁶. თავის მრავალრიცხოვან წერილებში ნ. ნიკოლაძე იცავდა ადგილობრივ მრეწველებს უცხოელ მრეწველთა წინაშე, წვრილ მრეწველებს მსხვილ მრეწველთა წინაშე, მოითხოვდა „მუშათა და მწარმოებელთა ცხოვრების გაუმჯობესებას“. ამრიგად, ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ნ. ნიკოლაძე, ისევე როგორც ი. ჰავჭავაძე და ა. წერეთელი, შესაძლებლად მიიჩნევს მრეწველთა ზრუნვას მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გამოჩენილი ჰუმანისტი ვერ მალდებდა ბურჟუაზიული საზოგადოების ორი ანტაგონისტური კლასის ურთიერთობის მარქსისტულ გაგებამდე. თავისებური თეორიული თვალსაზრისი ხელს უშლის მას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხასიათის, ანუ მისი ფორმის მართებულად შეფასებაშიც. ასე, მაგალითად, მისი აზრით ჭიათურის მრეწველობა „par excellenciam“ წარმოების ხასიათს ატარებს²⁷.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებში მარგანეცის მრეწველთა მხრივ მუშათა შევიწროების გამო, პროტესტთან ერთად, ყურადღებას იპყრობს რუსეთის მთავრობის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკის გაბედული კრიტიკა. ის თავს ესხმის ცარიზმის სატარიფო პოლიტიკას, რომელიც ჭიათურას რკინიგზის შტოზე ფაქტიურად ამკრძალავი ტარიფის დაწესებით, ერთგვარად, ამუხრუჭებდა ჩვენში მარგანეცის მრეწველობის განვითარებას²⁸.

²⁶ ი ქ ვ ე .

²⁷ „კვალი“, იქვე.

²⁸ „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

თავის ნარკვევში «К истории грузинской марганце-промышленности», რომელიც 1925 წ. გამოიცა, ნ. ნიკოლაძე ზოგადად, არსებითად სწორად ახასიათებს ქიათურის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მდგომარეობას. ავტორი ცდილობს გამოაან-კარაოს: «В каком беззащитном, беспомощном состоянии об-реталась красивая промышленность, с какою мертвешною оппа-тней относились к ея судьбам все организованные предста-вительства местного общества и населения: печать, дворян-ские собрания, городские думы и т. п.»²⁹. ნ. ნიკოლაძე სასტიკად აკრიტიკებს რუსეთის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის უზრუნველობას ქიათურის მრეწველობისადმი³⁰.

ნ. ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში დიდი დრო და ენერგია მოანდომა ქვეყნისა და კერძოდ ქიათუ-რის სამრეწველო განვითარებისათვის ზრუნვას, ბრძოლას ცა-რიზმის კოლონიურ-ეკონომიური, კერძოდ სატარიფო, პოლიტიკის წინააღმდეგ, რითაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მოცემული დარგის წინსვლაში.

მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გვერდს ვერ აუვლის რევოლუციამდელი ხანის ქიათურის მრეწველობის ისტორიის ბევრეგვარი.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიისათვის უდა-ვოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გ. წერეთლის წერილებს, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ნარკვე-ვი — „შავი ქვის წარმოება დასავლეთ საქართველოში“³¹, რომე-ლიც საკითხის ისტორიოგრაფიაში, რატომღაც რამდენადმე მივიწ-ყებულა. ეს პირველი ორიგინალური და საფუძვლიანი ნარკვევია, სადაც მოცემულია მარგანეცის მრეწველთა გენეზი-სის საყურადღებო ცდა: ადრე, გლეხების, მერე ვაჭრე-ბისა და, ბოლოს, მარგანეცის მრეწველთა — პ. მოსეშვილისა და გ. ჩუბინიძის — მაგალითზე ნაჩვენებია ადგილობრივი სავაჭრო

²⁹ Н. Николадзе, К истории грузинской марганце-промышленности, как построилась Чхатурская ветка, Тифл. 1925, стр. 12.

³⁰ Н. Николадзе, იქვე.

³¹ „ივერიან“, 1889, 12 იანვარი, № 8.

კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გარდაქმნა, ანუ ვაჭრების მრეწველებად გადაქცევა კიათურაში.

ასევე საინტერესოა ავტორის მეორე ცდა: „მე, — წერს გ. წერეთელი, — მსურს მკითხველს თვალწინ დაეუხატო კვალდაკვალ ასეთი სასტიკი ბრძოლა იმერლებსა და უცხოელებს შორის...“³² მარგანეცის მრეწველობაში. ნარკვევში მკაფიოდაა ნაჩვენები ადგილობრივი და უცხოური სამრეწველო კაპიტალის მეტოქეობა და ბრძოლა კიათურის მრეწველობაში 1879—1885 წწ., დასახელებულია ამ ბრძოლაში უცხოელთა დროებითი დამარცხების ფაქტები. გ. წერეთელი, რომელიც კიათურაში უცხოური კაპიტალის მოძალების წინააღმდეგ იბრძოდა, რუსეთის მთავრობასაც თხოვდა „ჩვენებურ მარგანეცის მრეწველთათვის“ „მოწყალე ხელის გაწოდებას“, რადგან მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში „ბურთი და მოედანი ამ წარმოებაში საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის ხალხს დარჩება და დარჩება“³³.

მარგანეცის მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე აღორძინებისათვის მებრძოლი გ. წერეთელი აღფრთოვანებით შეეგება მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის — „ყრილობის“ დაარსებას და ის შეაფასა, როგორც „პირველი“ ყრილობა ჩვენს სამრეწველო ცხოვრებაში³⁴. მან „ყრილობა“ დაახასიათა, როგორც სამრეწველო რაიონში ადგილობრივი კაპიტალის მიერ უცხოურის მოგერიების საშუალება, თუმცა მოღვაწე ცდებოდა, როცა მრეწველთა ამ ორგანიზაციას მტკიცე და ძმურ ოჯახად თვლიდა: მრეწველები, — წერდა გ. წერეთელი, — „შეუერთებია ეკონომიურ ინტერესებს ერთ განუყრელ ძმურ ჯგუფად და პირდაპირ უცხო ქვეყნის კაპიტალისა გამოსულან საბრძოლველად“³⁵. სწორედ რომ ეკონომიურ ინტერესთა სხვადასხვაობა თიშავდა და ასუსტებდა მრეწველთა დასახელებულ გაერთიანებას. გ. წერეთელი არასწორად აფასებდა მრეწველთა ყრილობის კლასობრივ ბუნებას; მართალია, ის თავს მარქსიზმის

³² „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8.

³³ იქვე.

³⁴ „კვლევი“, 1900, № 40, გვ. 630.

³⁵ იქვე.

მომხრედ აცხადებდა, ხშირად ექომაგებოდა სამრეწველო რაიონის მუშებს, მაგრამ ერთგვარად მფარველობდა ახალ კლასსაც — ბურჟუაზიას. ამიტომ გამოჩენილი მარქსისტი ა. წულუკიძე უთუოდ სწორი იყო, როცა მას საყვედურობდა: „ბატონი გიორგი, ... მითხარით როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთი მხრით, ცნობილი მეცნიერის (მხედველობაში კარლ მარქსი. გ. — მ.) სწავლა კლასიკურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავთ, და მეორე მხრით, თქვენი მფარველობითი კილო „ახლათ აღორძინებულ ვაჰარ-მრეწველის კლასის შესახებ“?!“³⁶.

ამრიგად, გ. წერეთელი მშრომელ ხალხსაც ექომაგებოდა და თან ახლად აღორძინებულ ბურჟუაზიასაც მფარველობდა.

თერგდალეულთა პლეადის სახელოვანმა წარმომადგენლებმა ვერ მოგვეცეს მრეწველობის მოცემულ დარგში დამკვიდრებულ სოციალურ ურთიერთობათა მარქსისტული შეფასება. სამაგიეროდ, მათ არსებითად სწორად დაახასიათეს ამ დარგის პროგრესული განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური წინსვლისათვის.

* * *

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მწერლის, ისტორიკოსისა და მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობით ორგანიზაციაში წვრილმრეწველთა „ოპოზიციის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ს. ქვარიალის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი, აგრეთვე მოგონება, მოთხრობა და ცენზურის მიერ აკრძალული ბროშურა, სადაც ავტორი განიხილავს ან ყურადღებას ამახვილებს ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობის ბევრ მნიშვნელოვან მხარეზე. „ოპოზიციის“ მეთაურმა, რომელმაც მრეწველთა ყრილობის ფარგლებში და მის გარეთ ხანგრძლივი ბრძოლა აწარმოა მსხვილ მრეწველთა წინააღმდეგ, თავის წერილებსა და მოგონებაში დაახასიათა საბადოთა იჯარით გაცემის პირობები, მსხვილ და წვრილ, ადგილობრივ და უცხოელ მრეწველთა, მრეწ-

³⁶ „ქვალი“, 1899, 18 აპრილი, № 16; ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 27.

ველთა და მადნის გადამყიდველთა თუ შემსყიდველთა ურთიერთობა. გადმოსცა მრეწველთა ყრილობებზე სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ბრძოლის, აგრეთვე, ქართველ მრეწველთა სინდიკატის, „შავი ქვის“, დაარსების თავგადასავალი³⁷.

ცენზურის მიერ აკრძალულ ბროშურაში — „შავი ქვის მუშა—მწარმოებელთა გაჭირვებანი“, ს. ქვარიანი (1900 წ.) აღწერდა და შეშფოთებას გამოთქვამდა მრეწველობაში და საკუთრივ ქიათურაში შექმნილი მდგომარეობის გამო. ის წერდა: „ძვირფასი მადნები იქცევა უპატრონოდ... უშუშო ლამპის კვამლით და ნესტით იხშობა და იწამლება ტუნელებში ათასი მუშები, უვარგის, დაკიდებულ გზებზე წყდებიან წელში ათასობით ჩალვადარი და პირუტყვი, კლდეებზე ცვივა ცხენი, ვირი და ხარ-კამეჩი... შავი მტყერი სვრის და ბილწავს ყველაფერს შინ და გარეთ... არსად ფარნები, არსად წყლის მილები, არსად მორწყვა, არსად სისუფთავე, არსად ხეირიანი აბანოც კი, არსად რიგიანი სასტუმრო, არსად რიგიანი ქსენონი, არსად საკვირაო სკოლა და სახალხო-კითხვები, ერთი სიტყვით ქიათურა წარმოადგენს... ჩაბნელებულ ხვრელს, სადაც იმიტომ მოსულა ადამიანი, რომ დაკარგოს ადამიანური ცხოვრება და შეეჩვიოს ველურ სიბინძურეს“³⁸.

მართალია, ს. ქვარიანი თავგამოდებით წერილ მრეწველებს იცავდა და მსხვილ მრეწველთა, ასევე ჩარჩთა მიერ მათს „ცარცვას“ ებრძოდა³⁹, მაგრამ ამასთანავე მან თავის წერილებში აღძრა რიგი ნიტკინეული სოციალური საკითხებისა, რომელთა ავტორისეული, ხშირად რეალისტური ინტერპრეტაცია მოწმობს, რომ ის ჩვენთვის საინტერესო საკითხში წერილობურეუაზიულ თვალსაზრისზე იდგა.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩვენში კაპიტალისტური წარმოების წესი საბოლოოდ იმარჯვებდა. ცხოვრების განვითარება საკუთრივ აქარწყლებდა ხალხოსნურ, უტოპიურ იდეებს; ხალხოსან მოღვაწეთა ერთ ნაწილში ისახება ქვეყნის სოციალურეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი კარდინალუ-

³⁷ იხ. „ქვალი“, 1900, № 39; „ნეერია“, 1901, 29 აგვისტო, № 86; 1901, 22 სექტემბერი, № 205; 1901, 26 ოქტომბერი, № 233; „ცნობის ჟურნალი“, 1902, 4 იანვარი, № 1688.

³⁸ იხ. „საისტორიო მოამბე“, 1956, № 9, გვ. 200—201.

³⁹ „ქვალი“, 1900, № 38, გვ. 603.

რი ცვლილებების, შედარებით, უფრო მართებული გაგება. ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ადრე ცნობილი ხალხოსანი⁴⁰, 90-იანი წლებიდან ქათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის უცვლელი თავმჯდომარე (1896—1917 წწ.) — გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი). მას უკვე არსებითად სწორად ესმის საქართველოს კაპიტალისტური განვითარების სინამდვილე, ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდაქმნები, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი ფაქტორები, ახალი იდეების წარმოშობის განმაპირობებელი ობიექტური პირობები. ასე მაგალითად, გ. მაიაშვილი, ეხება რა XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრების ახლებურად გარდაქმნის მიმდინარეობას, მის შედეგებს და სახელოვან ქართველ სამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას, ასეთ ახსნას იძლევა: „წარსულს საუკუნოებიდანვე რუსეთის დაახლოებას საქართველოსთან, არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა გავლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაზედაც. უწინდელი წარმოების ფორმები გაქვრნენ, ახლები დაიბადნენ. ძველი ცხოვრების მატერიალური პირობანი შეიცვალნენ, ხალხის მიერ უცნობის პირობებით... რუსეთმა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ახალი ელემენტი შემოიტანა, რომელიც წინად არ იყო, რისგანაც წარმოებრივი ურთიერთობანი ხალხისა ძლიერ შეიცვალა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში გლახთა შესახები რეფორმები მოხდა. ცვლილებამ იწარმოვა და ძველი წესები დაირღვა. და რადგან ცვლილება ბევრჯერ ხალხის სასარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღარიბეში ჩავარდა, — ეს ერთი, მეორეს მხრით, ხალხის ეკონომიური ცხოვრების ახალმა წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც, რომელმაც ამ საზოგადო მოძრაობას დასდო თავისი ფერი და სიცხველე. ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიურის პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ ასპარეზზედ. საზოგადო საქიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და არა მათ დრო“⁴¹.

⁴⁰ დაწვრილებით იხ. Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины 19 века и начала 20 века, т. II, Тб., 1959, стр. 86—96.

⁴¹ „ივერია“, 1882, იელის-აგვისტო, № 7 და 8, გვ. 165.

ამ ფრიადსაგულისხმო მოსაზრების განხილვას, უადგილობის გამო, არ შეეუდგებოდა და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მოღვაწე არსებითად სწორად აფასებს ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების გზაზე დადგომას. პროგრესული მოღვაწე გ. მაიაშვილი, ამიერიდან, ე. ი. 80-იანი წლებიდან, მთელი თავისი არსებით, სიტყვითა და საქმით ენერგიულად ემსახურება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობის წინსვლას, რაც თავის მხრივ უდავოდ შეიცავდა დადებით ელემენტებს.

გ. მაიაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და ნარკვევი. მან, როგორც მრეწველთა ყრილობის საბჭოს მეთაურმა, 1896—1917 წწ. დაწერა უამრავი მოხსენებები, შეამდგომლობები, განცხადებები, რომლებიც დიდძალ მასალას შეიცავენ მარგანეცის მრეწველობის ისტორიისათვის და საკუთრივ ავტორის შეხედულებათა რაობის დასადგენად, თუმცა გ. მაიაშვილის მიერ მთავრობის ორგანოებში წარდგენილ დოკუმენტებში მოტანილი მასალა და ფაქტები (ხშირად შეგნებულად) მეტისმეტად არაზუსტადაა მოტანილი. ამას იწვევდა მთავრობის მხარდაჭერის მოპოვებისათვის მებრძოლი მოღვაწის ცდა, რამდენადაც შეიძლებოდა შთამბეჭდავად დაეხატა მრეწველობის მიმე მდგომარეობა და გასაქირი.

გ. მაიაშვილი ხელმძღვანელობდა ყრილობის საბჭოს, რომელიც თავის საქმიანობაში, უმთავრესად, მსხვილ მრეწველთა ნებასურვილებს გამოხატავდა, თუმცა ზოგჯერ პროგრესულ ღონისძიებებსაც ახორციელებდა. ეს ორგანო სულ მუდამ ცდილობდა თავისი საქმიანობის არაპროგრესული მხარეების დაფარვას და „დემოკრატიულად მოიპრანჭებოდა“ ხოლმე. ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ორგანიზაცია ესწრაფვოდა უცხოური კაპიტალის მოძალების მოგერიებას სამრეწველო რაიონში. სამისოდ მისი თაოსნობით და მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქართველ მრეწველთა არა ერთი საეკპრო და სამრეწველო გაერთიანება, ამხანაგობა, „სინდიკატი“, სააქციო საზოგადოება.

გ. მაიაშვილი, მიზნად ისახავდა აგრეთვე მადნის რეალიზაციის სფეროში უცხოელთა მონაპოლიის აღკვეთას. ამ გზებზე გ. მაიაშვილი ადგილობრივ მრეწველებთან ერთად უფრო მარცხს განიცდიდა, ვიდრე წარმატებებს, რაც ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის შედარებითი სისუსტის შედეგი იყო.

გ. მაიაშვილი თავისთავს ხშირად ყველა კატეგორიის მრეწველთა და, ასევე, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველადაც აცხადებდა. მან აღიარა სამრეწველო რაიონის მუშათა აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების ფაქტი.

გ. მაიაშვილი გაბედულად აკრიტიკებდა ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას და, კერძოდ, მის სატარიფო პოლიტიკას, რომელიც ძლიერ ამუხრუჭებდა ქიათურის მარგანეცის მრეწველობის წინსვლას. ქიათურის რკინიგზაზე ტარიფის შესამცირებლად, ასევე, მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციისათვის განკუთვნილი საფუთო გამოსადების გასადიდებლად გ. ზდანოვიჩის თაოსნობით წარმოებულმა ხანგრძლივმა ბრძოლამ რამდენჯერმე გამოიღო ნაყოფი.

ცარიზმის პოლიტიკისა და უცხოური კაპიტალის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საბაბით, გ. ზდანოვიჩი, ქართველ მრეწველთა და მუშათა ერთიანობას ქადაგებდა. ამის მიუხედავად, გ. მაიაშვილის წერილებს, მის ხელიდან გამოსულ დოკუმენტებს, (მარგანეცის მრეწველობის თაობაზე დაწერილ უამრავ შუამდგომლობა-მოხსენებებს) გვერდს ვერ აუვლის ქიათურის მრეწველობის ისტორიის მკვლევარი.



ქიათურის მარგანეცის მრეწველობით თავიდანვე დაინტერესდა არა ერთი ცნობილი ქართველი მოღვაწე, მათ შორის გამოჩენილი კრიტიკოსი ივანე (კიტა) აბაშიძე⁴², რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი და მთავრობის ორგანოებში წარდგენილი მოხსენება-შუამდგომლობები, სადაც ასახულია ქიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა. კ. აბაშიძე, ისევე როგორც გ. ზდანოვიჩი, ხანგრძლივი დროის მანძილზე, პრაქტიკულად იღწვოდა ქიათურის მარგანეცის მრეწველობის წინსვლის პროგრესული საქმისათვის.

⁴² მისივე ცხოვრება-მოღვაწეობა ერკლადაა განხილული მკვლევარ დ. რამიშვილის ნაშრომში: კიტა აბაშიძე, თბ., 1964.

ქიათურის საბაღოს ათვისების დაწყებას 1879 წელსვე გამოეხმაურა საბაღო ნაკვეთების მფლობელი, მწერალი ნ. დადიანი, რომელმაც დაახასიათა ე. წ. „ქეაგუნდის გაწამაწია“⁴³. აქ საყურადღებოა სამრეწველო რაიონში სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულ სხვადასხვა სოციალური წარმოშობისა და ეროვნების საქმოსანთა მოზღვაეების ფაქტის აღნუსხვა, ასევე მეწარმეობისა და აღებ-მიცემობის გაძლიერების ავტორისეული დახასიათება. ბურჟუაზიული ინტელიგენტი არ ექომაგებოდა სამრეწველო აუზის მშრომელ მოსახლეობას⁴⁴.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობას, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ხშირად ადგილზევე სწავლობდა გ. ლასხიშვილი, რომელმაც ურნალ „მოამბესა“ და გაზეთ „ივერიაში“ მრავალი წერილი და ნარკვევი გამოაქვეყნა. მან, სათანადო სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით, ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა მარგანეცის მრეწველობის განვითარების საერთო სურათის შემუშავება, თვალი გაადევნა მადნის მოპოვების ზრდას, მრეწველთა რაოდენობის, ასევე სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა თანაფარდობის ცვალებადობას და სხვ. მართალია, ქიათურის რკინიგზის შტოზე მთავრობის მიერ მაღალი ტარიფის დაწესებას გ. ლასხიშვილი რამდენადმე ამართლებს, სამაგიეროდ, ის სწორია, როცა ედავება ზოგიერთ პუბლიცისტს, რომელთა მტკიცებით „ტარიფის სიდიდეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მუშებისათვის და, ამიტომ, მისი დაკლება მხოლოდ კაპიტალისტებისათვის არის სასურველი“⁴⁵.

გ. ლასხიშვილი, ისევე როგორც, ადრე, ა. წერეთელი. მარგანეცის მრეწველთა გაერთიანებას მოითხოვდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, დიდი მგოსნისაგან განსხვავებით, მხოლოდ მსხვილ

⁴³ „დროება“, 1879, № 252.

⁴⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. დადიანი შეფასებულია „პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტად“, რომელსაც „ქართულ შესამოტიანელების ნამდვილი ზორცი ესხა და მათივე სული ედგა“ (იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბ., 1948, გვ. 5), თუმცა ამას ეწინააღმდეგება, მაგალითად, გ. წერეთლის თვალსაზრისი ნ. დადიანზე (იხ. პასუხი თ. ნიკო დადიანს, „დროება“, 1879, № 105); ამასთანავე, ჩვენთვის საინტერესო საკითხში ნ. დადიანი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოზიციას იკავებდა.

⁴⁵ „მოამბე“, № 8, 1900, განყ. II, გვ. 83.

მრეწველთა ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მისი აზრით, თუ მრეწველები დაივიწყებდნენ „ცრუ თავმოყვარეობას, შურსა და სხვა არა სასიქადულო ხასიათებს, ერთმანეთს მეგობრულად ხელი-ხელს მისცემენ. შეერთდებიან... მხოლოდ მაშინ შევა ამათი საქმე, წარმატებაში“. გ. ლასხიშვილი მათ ურჩევს, „დააყენონ ესე საქმე, ისე, რომ თვითონ მრეწველობაც რიგიანი და ხანგრძლივი იყოს და მწარმოებელთაც სარგებლობა მისცეს“⁴⁶.

ავტორი შედარებით დაწვრილებით აღწერს მრეწველთა და მუშათა სოციალურ შემადგენლობას, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობას კიათურის მარგანეცის მრეწველობის გარეუბრაზე⁴⁷. ამ ხანაში აქ, გ. ლასხიშვილის დახასიათებით, „უწესო და ავაზაკური მრეწველობაა“⁴⁷.

მარგანეცის მრეწველობას წერილები და წიგნი უძღვნა სამთო ინჟინერმა—გ. დეკანოზიშვილმა. თავის პუბლიცისტურ წერილებში ავტორი ცნობდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების პროგრესულობას და კიათურის მარგანეცის მრეწველობის „მსოფლიო მნიშვნელობას“. ხაზგასმით აღნიშნავდა მშრომელი გლეხობის მასობრივ მონაწილეობას წარმოებაში და, აქედან გამომდინარე, მას თავისებურად უწოდებდა „ხალხურ მრეწველობას“⁴⁸. ის მიუთითებდა ქალთა და ბავშვთა შრომის ფართოდ გამოყენებაზე მარგანეცის წარმოებაში.

გ. დეკანოზიშვილი რკინიგზის შტოს გაყვანის მოწინააღმდეგე იყო, მაშინაც, როცა მისი მშენებლობა სრულდებოდა⁴⁹. ის, რატომღაც, დაბეჭითებით უგულვებლყოფდა აკაკი წერეთლის როლს კიათურის მარგანეცის მრეწველობის დაფუძნებაში.

გ. დეკანოზიშვილმა (მარგანეცის მრეწველთა ყრილობის დავალებით), მეტოქე ქვეყნების მარგანეცის მრეწველობის შესასწავლად, 1903 წელს, მოიარა ბრაზილია და კუბა. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ მან გამოსცა ვრცელი გამოკვლევა⁵⁰, რომე-

⁴⁶ „ივერია“, 1886, 16 ოქტომბერი, № 223.

⁴⁷ „ივერია“, 1886, 4 მაისი, № 97; 1886, 7 თებერვალი, № 30, 1887, 28 ოქტომბერი № 225.

⁴⁸ „ივერია“, 1893, № 256.

⁴⁹ იქვე, № 260.

⁵⁰ Очерк марганцевой промышленности Бразилии и остр. Кубы, Кутанс, 1905.

ლიც მდიდარი მასალებითაა ილუსტრირებული. აქ, ავტორი, ერთგვარ შედარებაში განიხილავს დასახელებულ ქვეყნებისა და კიათურის მარგანეცის მრეწველობას, აჩვენებს კიათურის რკინიგზის შტოზე ცარიზმის მიერ დაწესებული ტარიფის გაუგონარ სიდიდეს, მიუთითებს სამთო მუშათა სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე და მათი ხელფასის სიმცირეზე, თუმცა ის აქაც არაფერს გვეუბნება მშრომელი მასების სასარგებლოდ. აღნიშნულის მიუხედავად გ. დეკანოზიშვილის ვრცელი ნაშრომი არაა მოკლებული ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას, რადგან ის საშუალებას იძლევა დაკვირება ვაწარმოთ კიათურასა და უცხოეთში მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარებაზე, — ერთმანეთს შევადაროთ ანალოგიური პროცესის მიმდინარეობა ჩვენში და სხვაგან.

1912 წ. ცალკე წიგნაკად გამოიცა ნ. წუწუნავას ნარკვევი „შავი ქვა“, სადაც ავტორი, მოკლედ, ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციიდან, გადმოსცემს კიათურის მარგანეცის მრეწველობის თავგადასავალს, და, აღწერს მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების მძიმე პირობებს. ავტორი ერთგვარი სიმპათიითა გამსქვალული მრეწველთა ყრილობის საბჭოსადმი და გულგრილია მუშათა მიმართ.



მენშევიკების ბატონობის წლებში, როგორც ცნობილია, საქართველოს მრეწველობამ შემდგომი დაქვეითება განიცადა, ხოლო კიათურის მარგანეცის მრეწველობამ, თითქმის. შესწყვიტა მუშაობა. მაგრამ, მრეწველობის ამ დარგის წარსულზე, მის მსოფლიო მნიშვნელობაზე მსჯელობა გრძელდებოდა, იქნებ, დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების ამ სიმდიდრით დაინტერესების მიზნითაც. ამ კონტექსტში საყურადღებოა ცნობილი მოღვაწის, საქმონისა და მარგანეცის მრეწველის, სოლომონ წერეთლის ვრცელი ნარკვევი „მარგანეცის მრეწველობა და მისი განვითარების ისტორია საქართველოში“, გამოქვეყნებული 1920 წ. მენშევიკური გაზ. „საქართველოში“⁵¹. ავტორი მოკლედ გადმოსცემს კიათურის მრეწ-

⁵¹ იხ. გაზ. „საქართველო“, 1920, 21 იანვარი, № 14; 25 იანვარი, № 18, 1920, 29 იანვარი, № 20, 1920, 12 თებერვალი, № 31.

ველობის ისტორიას, ამ დარგის ჩასახვიდან 1918 წლამდე, აღძრავს მრეწველთა გენეზისის საკითხს, ეხება მათ ურთიერთობას მადნის უცხოელ შემსყიდველებთან და, არსებითად, სწორად აღნიშნავს, რომ მადნის უცხოელი ექსპორტიორები „არც ხნავდნენ, არც სთესავდნენ — იმკიდნენ კი“⁵². მრეწველთა ყრილობის საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელთაგანი, ამ ორგანიზაციის საქმიანობის აპოლოგეტია.

ს. წერეთელმა, პირველმა საკითხის ისტორიოგრაფიაში, წარმოადგინა ქიათურის მარგანეცის მრეწველობის თავისებური პერიოდიზაცია და სცადა მისი დასაბუთება. ავტორის შეხედულებით, ქიათურის მრეწველობამ რევოლუციამდელ ხანაში გაიარა ორი პერიოდი და შევიდა მესამეში: პირველი პერიოდი მოიცავს 1879—1896 წწ. მეორე 1896—1919 წწ. ხოლო მესამე კი 1919 წ. იწყება.

ს. წერეთელი წერს: „თუ პირველი ხანა იყო პრემიტულ-რაინდული ხანა მრეწველობის ისტორიაში, მეორე ხანა კუსტარული, ეს მესამე ხანა ისეთი იწყება, სადაც კუსტარულ წარმოებას ატავისტური ხასიათი ექნება და საერთოდ ხაზი კი იქნება ფართო მრეწველური, სადაც წარმოების ევროპულად დაყენებას ექნება უმთავრესი როლი დათმობილი“⁵³. ქიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების ავტორისეული პერიოდიზაცია, რა თქმა უნდა საფუძველშივე მცდარია, თუმცა მაინც საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრეწველობის დასახელებული დარგის ისტორიის პერიოდიზაცია, მერმინდელი ცდების მიუხედავად, კვლავ საჭიროებს საფუძვლიან დაზუსტებას და, გნებავთ, დადგენას მრეწველობის განვითარების დონის, მისი ფორმის გათვალისწინების საფუძველზე.

ს. წერეთლის ნარკვევი ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციიდანაა დაწერილი და მრეწველობის მოცემული დარგის ავტორისეული პერიოდიზაცია, ისევე, როგორც მასში მოტანილი მასალის ავტორისეული ინტერპრეტაცია, მიუღებელია.

ამის მიუხედავად, ნარკვევი, ჩვენი აზრით, დღემდე ინარჩუნებს ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას.

⁵² იხ. „საქართველო“, 1920, 12 თებერვალი, № 31.

⁵³ „საქართველო“, 1920, 29 იანვარი, № 20.

მარქსისტთაგან ჰიათურის მრეწველობისა და, მეტადრე, მუშათა მდგომარეობისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა ფილიპე მახარაძე. გამოჩენილმა პროლეტარულმა რევოლუციონერმა ამ საკითხს მრავალი წერილი უძღვნა და მას შემდეგშიც რამდენჯერმე დაუბრუნდა⁵⁴. ის მკაფიოდ და ხატონად აღწერდა სამთო, მადნის გადამზიდველ და მტეირთავ მუშათა მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებს. შემოფოთებით შენიშნავდა, „რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლად არსად არ უნდა აფასებდნენ როგორც ჰიათურაში“⁵⁵.

მუშათა ინტერესების მგზნებარე დამცველი დაუნდობლად აკრიტიკებდა მარგანეცის მრეწველთა ყრილობას⁵⁶ და მის ხელმძღვანელობას⁵⁷, რომელიც უმთავრესად მსხვილ მრეწველთა ნებას ექვემდებარებოდა და არც იყო მოწოდებული მუშათა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის.

საყურადღებოა ფ. მახარაძის დაკვირვება მარგანეცის მრეწველობის განვითარებაზე, მისი მცდელობა წარმოებაში სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა ხვედრითი წონის ცვალებადობის ტენდენციის დასადგენად და სხვ. ამასთანავე ძნელია დავეთანხმოთ მას, როცა დაასკვნის: „აგერ 22 წელიწადია. რაც ეს მრეწველობა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას ფერი არ უცვლია“⁵⁸.

გამოჩენილი რევოლუციონერის წერილებს უდავოდ სერიოზული მნიშვნელობა აქვს მუშათა მდგომარეობის შესასწავლად აღებული ხანის ჰიათურის მრეწველობაში.

ჰიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა ცხოვრებისადმი შეუწინაღებელ ინტერესს იჩენდა ა. წულუკიძე. გამოჩენილი პროლეტარული რევოლუციონერი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა

⁵⁴ ფ. მახარაძე, *История возникновения и развития рабочего движения в Грузии; мисия — Грузия девятнадцатого столетия* Тб., 1933.

⁵⁵ ფ. მახარაძე, *თხზ. ტ. II, ტფ. 1925, გვ. 53.*

⁵⁶ „კვალი“, 1902, № 50, გვ. 799—800; იგივე სტატია *იხ. ფ. მახარაძე, თხზ. ტ. II, გვ. 5—6.*

⁵⁷ ფ. მახარაძე, *თხზ. ტ. II, გვ. 53.*

⁵⁸ იქვე.

მარგანეცის მრეწველთა ყრილობისა⁵⁹ და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ⁶⁰.

ა. წულუკიძემ დაახასიათა მრეწველთა მე-5 ყრილობის მსვლელობა, ყრილობის დაჯგუფებანი. ყრილობის „დარბაზში, — წერს ის, — სამნაირი ელემენტი მოძრაობს: დღევანდელი საბჭოს მოწინააღმდეგე და უმრავლესი ნაწილი, რომელსაც პირადი მწარმოებელთა ინტერესები სიმართლეს ალაპარაკებს, უმცირესი რაოდენობა, რომელიც საბჭოს უმოქმედობას, თავგასულ საქციელს საზოგადო მოსაზრებებით შებრძოლებია და საბჭოს თავმჯდომარის ერთგული ყმანი, შეიარაღებული რაინდები, რომელთაც ჩვენი ინტელიგენციის სასახელო წევრები ხელმძღვანელობენ“⁶¹.

ა. წულუკიძის სიმპატიები, რა თქმა უნდა, მსხვილმრეწველთა ინტერესების გამომხატველ საბჭოს წინააღმდეგ მებრძოლ წვრილ მრეწველთა ოპოზიციის მხარეზეა. ის იცავს ოპოზიციის წარმომადგენელს, ნ. კიკინაძეს, რომელიც მე-5 ყრილობაზე „საბუთებით ხელში საბჭოს უმოქმედობას ამტკიცებდა და მის არარაობას არკვევდა, საზოგადოებას სინამდვილეს აუწყებდა“⁶². ავტორის პოზიცია გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, თუნდაც მხოლოდ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, წვრილ მრეწველთა უმრავლესობა საბადო ნაკვეთების მფლობელი და მათი დამუშავებელი ღარიბი გლეხებია, რომლებიც ხშირად, საკუთრივ მუშახელის როლშიც გვევლინებიან; მეორეც, წვრილი მრეწველები ყრილობებზე მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნითაც გამოდიოდნენ (მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სკოლების, სახალხო თეატრის, მუშათა დაზღვევისა და სხვა მოთხოვნები).

ა. წულუკიძე მკაცრად აკრიტიკებდა მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარეს — გ. ზდანოვიჩს, ხოლო ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის შეხედულებების კრიტიკას მთელი სიფრთხილით ეკიდებოდა⁶³.

⁵⁹ „კვალი“, 1903, 26 იანვარი, № 5; იგივე სტატია იხ. ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 83.

⁶⁰ „კვალი“, 1903; № 5; წულუკიძე, თხზ. გვ. 80, 81.

⁶¹ იქვე, გვ. 82.

⁶² იქვე, გვ. 82.

⁶³ იხ. ა. წულუკიძე, თხზ. გვ. 27.



ქართული ისტორიოგრაფიის ლენინური ეტაპის საწყის პერიოდში, ანუ 1895—1917—1921 წწ. ქიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას ვერ ჩაეყარა რამდენადმე მტკიცე საფუძველი, ხოლო საქართველოში მენშვეიკების ბატონობის პერიოდში, მით უფრო არ არსებობდა საამისო ობიექტური პირობები და ხელსაყრელი იდეური გარემო. ჩვენში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც ქიათურის მრეწველობის წარსულსა და მომავალს შეეხებოდა, იყო ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის ინიციატორთა და ტექნიკოსთა საერთო კრებაზე 1921 წ. 29 სექტემბერს ა. პ. სოლოვიოვის მიერ წაკითხული მოხსენება — „მარგანეცის მრეწველობა“, გამოცემული ცალკე წიგნად. ავტორი მოკლედ გადმოსცემს მრეწველობის მოცემული დარგის ისტორიას და მართებულად დაასკვნის: «Колосальная марганцевая промышленность Грузии, почти, такая же неиссякаемая, как нефть Азербайджана, является для нее главным валютным товаром, а для жел. дороги главным источником дохода»⁶⁴.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოცემულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია ფ. ბუბლენიკოვისა და ნ. ლესინგის გამოკლევა «Марганцевая промышленность СССР», სადაც მიმოხილულია ქიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა 1905—1921 წწ. ავტორები დამაჯერებლად გვიჩვენებენ ქიათურის სამრეწველო რაიონში არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკების მნიშვნელობას და, რაც მთავარია, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქიათურის მრეწველობის ნაციონალიზაციის თავისებურებას: «В Чинатурах вкитохლობот ნაშრომში были национализированы только недра, оборудованние же предприятий, обогатительные фабрики и запасы руды прежней добычи оставлены в собственности прежних владельцев»⁶⁵. ნაშრომში

⁶⁴ А. П. Соловьев, Марганцевая промышленность Грузии, Тиф., 1922 г., стр. 38.

⁶⁵ Ф. Бублеников, Н. Лесинг, Марганцевая промышленность СССР, изд. Центр. упр. печати ВСНХ СССР, М.-Л. 1925, стр. 8, 29.

ნაჩვენებია წარმოების მომავალი გეგმაზომიერი განვითარების, ასევე მექანიზაციის, აგრეთვე, რენტაბელობის ამაღლების გზები.

1926 წ. გამოიცა ქს. კვანტრეს ნარკვევი „საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია“, სადაც მიმოხილულია ქიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა მდგომარეობა და მათი ბრძოლის ზოგიერთი ეპიზოდი. მართალია, ეს მიმოხილვა არ ემყარება თემის ირგვლივ არსებული ვრცელი და მრავალფეროვანი წყაროების ჯეროვან გამოყენებასა და ანალიზს, რის გამოც ის მრავალ ფაქტიურ უზუსტობასაც შეიცავს, მაგრამ ამის მიუხედავად, ნარკვევი დღემდე ინარჩუნებს გარკვეულ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას, რადგან მასში საგრძნობია შესწავლილი მოვლენის სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან გაშუქების ცდა.

აღსანიშნავია ვ. ტუხულკას ნაშრომი «Железные и марганцевые руды», სადაც საკითხის ლიტერატურაში პირველადაა გამოხილული ყურადღება ქიათურის მრეწველობაში ორი მსხვილი გერმანული ფირმის (სააქციო საზოგადოებები: „გელზენკირჰენი“... და კავკასიის საბადოთა ამხანაგობა“) საქმიანობაზე⁶⁶.

საკითხის ისტორიოგრაფიაში რამდენადმე მივიწყებულია, თუმცა „თავისებურ“ სარგებლობაშია, დ. წერეთლის ვრცელი წიგნი „შავი ქვა“, გამოცემული 1930 წ. მართალია, ნაშრომში ზოგიერთი საკითხი ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციიდანაა გაშუქებული, მაგრამ, ამასთანავე საყურადღებოა ავტორის სოციოლოგიური მიდგომა მრეწველობის ისტორიისადმი. ავტორი ცდილობს ქიათურაში ეროვნული ბურჟუაზიის ჩასახვის, ასევე, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის სურათის დადგენას. საგულისხმოა ავტორის დაკვირვება ცარიზმის სატარიფო პოლიტიკაზე და, მით უმეტეს, მუშათა ხელფასზე რევოლუციამდელ ქიათურაში.

საკითხის ისტორიოგრაფიაში, ასევე, რამდენადმე იგნორირებულია ვ. ადამჩუკის ნაშრომი «Марганец СССР в мировой марганцевой промышленности»⁶⁷, სადაც, გადმოცემულია ქიათურის

⁶⁶ В. А. Т у х о л к а, Железные и марганцевые руды (об. Богатства СССР, Под общ. ред. А. Ф. Арского, М.-Л., 1927 г., стр. 66).

⁶⁷ В. А. А д а м ч у к, Марганец СССР в мировой марганцевой промышленности, М.-Л., 1932.

მრეწველობის ისტორია,—უფრო რელიეფურად 1900 წლიდან სოციალისტურ რევოლუციამდე. აქ საინტერესო მონაცემებია მოტანილი საერთაშორისო ბაზრებზე მარგანეცის მადნის ფასების მერყეობის საჩვენებლად. ავტორი მოკლედ განმარტავს პირველ მსოფლიოომამდელი ქიათურის მრეწველობის „სინდიკატიზაციის“ ცდების წარუმატებლობის მიზეზებსაც⁶⁸, ახასიათებს ცარიზმის დამოკიდებულებას ქიათურის მარგანეცის მრეწველობისადმი: «Марганцевая промышленность Кавказа, — წერს ვ. ადამჩუკი, — тормозилась царским правительством, смотревшим на эту отрасль с чисто Фискальной точки зрения... Одна только тарифная политика, не говоря о других мероприятиях, тормозила развитие этой промышленности и создавала благоприятные условия для развития Индийского и Бразильского марганца»⁶⁹.



როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში, რუსეთში და ჩვენში, რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ქიათურის მრეწველობას, თუმცა ის მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. ამ მიმართულებით სამუშაოების წამოწყებას, ჩანს, სერიოზული სტიმული მისცა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მ. გორკის ცნობილმა მოწოდებამ რევოლუციამდელი რუსეთის საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შესასწავლად. საქ. კ. ც. კ-თან არსებული სტალინის ისტორიულ-პარტიულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, 1933 წ., უკვე მუშაობდა რევოლუციამდელ საქართველოს ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის შემსწავლელი კომისია, გამოჩენილი მეცნიერის სიმონ ხუნდაძის ხელმძღვანელობით. ინსტიტუტის გეგმით 1933 წ. გათვალისწინე-

⁶⁸ ი ქ ვ ე, გვ. 14.

⁶⁹ ი ქ ვ ე, გვ. 16.

პული იყო გამოსაცემად: 1. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს ისტორია — 16 თაბახის მოცულობით; 2. კიათურის მარგანეცის მრეწველობისა და მუშათა მოძრაობის ისტორია — 24 თაბახი; 3. თბილისის ტრამვაი — 15 თაბახი⁷⁰. ამის შემდეგ, 1933 წ. 15 მარტს, ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის დირექციამ, კვლავ სპეციალურად განიხილა საკითხი „კიათურის მრეწველობის ისტორიის შესახებ“. აქ გამოვიდა არტემ კვირიკაძე, რომელსაც თავს უდვია კიათურაზე ნაშრომის შექმნა. საკითხი, ასევე, შესაძლებელი ნაშრომის გეგმა, განხილულ იქნა. ინსტიტუტის დირექციის სხდომამ მიიღო დადგენილება: „კიათურის მრეწველობის ისტორია გამოიცეს 2 ტომად, 45 თაბახის მოცულობით“⁷¹. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი ნაშრომი არ გამოცემულა. ქართველ საბჭოთა მკვლევარებიდან, პროფ. პ. გუგუშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეისწავლა ჩვენში და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების მთელი პროცესი. მისი ვრცელი მონოგრაფია „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, გამოცემული 1941 წ., მრავალფეროვანი წყაროების, მათ შორის სტატისტიკური კრებულებისა და პერიოდული პრესის მონაცემების საფუძველიანად შესწავლის შედეგია. აქ დარგობრივად განხილული საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობა, ნაცადია მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარების სტადიათა და ფორმათა კლასიფიკაცია. მონოგრაფიაში ამიერკავკასიის მრეწველობის დარგებს შორის თავისი ხვედრითი წონის შესაბამისი ადგილი უკავია კიათურის მარგანეცის მრეწველობის სოციალურ-ეკონომიურ ისტორიას. აქ წარმოდგენილია მოცემული დარგის ჩასახვა-განვითარების საერთო სურათი; საამისო სტატისტიკური მასალის მოტანითაა ნაჩვენები მარგანეცის მადნის მოპოვების მასშტაბის, მრეწველთა რაოდენობისა და სხვადასხვა კატეგორიის მრეწველთა ხვედრითი წონის

⁷⁰ ამ ცნობაზე ჩვენ მივეითთა და სათანადო საარქივო საბუთის ლეგენდაც თავაზიანად ვაღმოგვცა მკვლევარმა მაყვალა ნატმელაძემ, რისთვისაც მას მადლობას ვოვახსენებთ. საბ. იხ. სკპპ ცეკასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონ. 8, ანაწ. I, საქ. 10, ფურ. 4—7.

⁷¹ ი ქ ვ ე, ფურ. 90.

თანაფარდობის ცვალებადობა. საინტერესო სტატისტიკური მასალაა მოტანილი სამთო მუშათა რიცხვისა და მათი შრომის ნაყოფიერების ზრდის საილუსტრაციოდ, დახასიათებულია მუშათა მდგომარეობა ჭიათურაში. ავტორს ფრიადსაყურადღებო მონაცემები მოაქვს მრეწველთა ყრილობის საქმიანობის საჩვენებლად, თუმცა არ იძლევა ამ საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების ყოველმხრივ შეფასებას. ნაშრომში ნაჩვენებია ცარიზმის დამოკიდებულება ჭიათურის მრეწველობისადმი (რკინიგზის ჭიათურის შტოზე მთავრობის სატარიფო პოლიტიკის მაგალითზე), დასაბუთებულია, რომ „მეტროპოლია (ცარიზმი) ტრანსპორტის მონოპოლიით კოლონიაში (საქართველოში) აბრკოლებდა მრეწველობის განვითარებას და იმავე მეთოდით ეწეოდა ადგილობრივ საწარმოო ძალების სასტიკ ექსპლოატაციას“⁷².

განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის დაკვირვება წარმოების გამსხვილებისა და კონცენტრაციის ტენდენციებზე მარგანეცის მრეწველობაში⁷³. ამასთანავე, ის არ იძლევა მრეწველობის ბოცემული დარგის განვითარების პერიოდიზაციას, ასევე, ჩვენთვის საინტერესო დარგში, მრეწველობის ფორმათა და სტადიათა კლასიფიკაციასა და დიფერენციაციას. პროფ. პ. გუგუშვილი, ისევე როგორც არა ერთი სხვა მკვლევარი, მიუთითებს მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე⁷⁴. გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულსა და მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა წლებში, მაგრამ, მისი აზრით, „მრეწველობის ბაზას აქ წარმოადგენდა მარგანეცის მოპოვებისა და გადაზიდვის ტექნიკურად ჩამორჩენილი, პრიმიტიული საშუალებანი“⁷⁵. მკვლევარის დასკვნით, „მარგანეცის მოპოვება კარგა ხნის განმავლობაში ატარებდა მეტად წვრილი სარეწავეების ხასიათს და, ამგვარად, არ გასცილებია შინამრეწველობის ფორმას“⁷⁶. სხვანაირად, ავტორს მიაჩნია, რომ ჭიათურის მრეწველობა არ გასცილებია კაპიტალისტური მრეწველობის პირველ სტადიას, ანუ, ვ. ი. ლენინის

⁷² პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 261.

⁷³ იქვე, გვ. 264.

⁷⁴ იქვე, გვ. 261.

⁷⁵ იქვე

⁷⁶ იქვე, გვ. 259.

სიტყვით რომ ვთქვათ, „წერილი სასაქონლო წარმოების (წერილი, უმთავრესად გლეხური სარეწავების) სტადიას“. პროფ. პ. გუგუშვილის შეხედულებით, როგორც ცნობილია, ტერმინი „წერილი სასაქონლო წარმოება“ ზუსტად ვერ ასახავს სამრეწველო წარმოების შესაფერის საფეხურსა და ფორმას; მკვლევარის მიერ შემოთავაზებული სოციოლოგიური კლასიფიკაციით მას ასახავს ტერმინი „შინამრეწველობა“ (Кустарная промышленность)⁷⁷. ამრიგად, ჩვენი ავტორის აზრით, ჭიათურის მრეწველობა რევოლუციამდელ ხანაში არ გასცილებია კაპიტალისტური მრეწველობის პირველ სტადიას. ის რომ ასეთი აზრისაა ეს იქიდანაც, ჩანს, რომ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების მანუფაქტურული სტადიის ცნობილი მკვლევარი, თავისი ნაშრომის ამ ნაწილში არ მოიხსენიებს მანუფაქტურას. აქ, ისევე, როგორც, საერთოდ, საკითხის ისტორიოგრაფიაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს მრეწველობის დასახელებული დარგის განვითარების ერთგვარ შეუფასებლობასთან, მით უმეტეს, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მანუფაქტურული სტადია, ჩვენი დაკვირვებით; სახეზეა, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან მაინც. მოცემულ ხანაში აქ არც თუ ისე ცოტაა, შედარებით, მსხვილი სამთო საწარმოები, რომელთათვის დამახასიათებელია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — დამყარებული ხელით შრომაზე და მუშის დაოსტატებაზე: ამ საწარმოებში მუშები იყოფოდნენ მადნის გამომწვანებლად, მტვირთავებად, მზიდავებად, დამხარისხებლებად ანუ, როგორც „ივერია“ წერდა (1889 წელს), „მეკირკეებად“, „მელაფათქეებად“, „მეკაქეებად“ და „ქვის მწმენდელებად“⁷⁸.

⁷⁷ პ. გუგუშვილი, სოციოლოგია IV მსოფლიო კონგრესზე (იტალიაში) წაკითხული მოხსენება: მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის, პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტომი V, თბ., 1962, გვ. 575.

⁷⁸ „ივერია“, 1889, 12 იანვარი, № 8; სტატისტიკური კრებულის ავტორები ჩამოთვლიან და იმავე სახელწოდებათა მიხედვით აჯგუფებენ სხვადასხვა ხელობის სამთო მუშებს. ისინი ამასთანავე დასძენენ: «Названия эти характеризуют специальное занятие каждой отдельной группы рабочих», (см: Статистика марганцевого дела, 1907, стр. 35).

ამასთანავე, შრომის დანაწილებაზე და ხელით შრომაზე დაფუძნებული მსხვილი მანუფაქტურული ფორმის საწარმოთა შედარებითი რაოდენობრივი სიმცირე, წერილ (გლებურ) სამთო სარეწვევებთან შედარებით, ვერ გამოდგება მე-19 საუკუნის დამლევს ჭიათურის მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიაზე გადასვლის უარსაყოფად, რადგან, როგორც ცნობილია, საზოგადოდ «Мануфактура не была в состоянии ни охватить общественное производство во всем его объеме, ни преобразовать его до самого корня. Оно выделялось, как архитектурное украшение на здании, широким основанием, которого была городское ремесло и сельские побочные промыслы»⁷⁹.

ასევე, ცნობილია, რომ „წერილი სასაქონლო წარმოება და მანუფაქტურა ხასიათდება წერილ საწარმოთა ჭარბობით, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთია მსხვილი“. „კაპიტალისტური ურთიერთობა წერილ სარეწვევშიც მყარდება, ოღონდ აქ ის, ჯერ კიდევ, სუსტადაა განვითარებული და არ ღებულობს წარმოების მონაწილე პირთა ჯგუფების მკაცრი დაპირისპირების ხასიათს. აქ, ჯერ კიდევ, არ არის არც მსხვილი კაპიტალი, არ არიან არც პროლეტარიატის ფართო ფენები. მანუფაქტურაში ჩვენ ვხედავთ, რომ იქმნება ერთიც და მეორეც. წარმოების საშუალებათა მეპატრონესა და მომუშავეს შორის უფსკრული უკვე საგრძნობ ფარგლებს აღწევს“⁸⁰. ამრიგად, თუ ჩვენ იმ თვალსაზრისზე დაედგებით, რომ ჭიათურის მრეწველობა რევოლუციამდელ ხანაში არ გასცილებია წერილი სასაქონლო წარმოების სტადიას, რამდენადმე ძნელი ასახსნელი იქნებოდა საქართველოს პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — ჭიათურის მრავალათასიანი მუშათა რაზმის ჩამოყალიბება და მისი აქტიური მონაწილეობა ეპოქის გამათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობაში. მრეწველობის მოცემული დარგის განვითარების დონის შეუფასებლობას თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ოფიციალური დოკუმენტები აფასებენ მას როგორც „კუსტარული ხასიათის მრეწველობას“⁸¹. „მარგანეცის საქმის“ სტატისტიკოსები 1902 წ. ირწმუნებიან, რომ «Марганцевая

⁷⁹ К. Маркс. Капитал, т. I, 1953, стр. 376.

⁸⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტომი III, გვ. 644.

⁸¹ ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 55, д. 609.

промышленность в Шорапанском уезде в общем до сих пор сохраняет характер мелкой кустарной промышленности»⁸². მომდევნო ხანაში, მაგალითად, 1910 წ., სამთო უწყების წარმომადგენლები, ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდნენ ამ დარგის დახასიათებისას. როცა წერდნენ: «Марганцевая промышленность Шорапанского района приближается по характеру своему к кустарной промышленности»⁸³. ამავე დროს მეფის მოხელენი, რომლებიც ადგილზევე ეცნობოდნენ ჭიათურის მრეწველობას, ერთმანეთისაგან დიფერენცირებულად განიხილავდნენ კარგად მოწყობილ მსხვილ საწარმოებს («Хорошо поставленные крупные предприятия») და წვრილ, გლეხურ სარეწავებს («Мелкие крестьянские промыслы»)»⁸⁴. ხოლო, მარგანცის მრეწველი და შადნის ექსპორტიორი ი. ს. პერსინაკი, 1910 წ., ერთ-ერთ თათბირზე არ დაეთანხმა იმათ, ვინც ჭიათურის მრეწველობას „კუსტარულად“ მიიჩნევდა. ამ პირებს იგი პასუხობდა: «Что касается вопроса о том, кустарная это промышленность или нет, то я должен сказать, что конечно, нельзя требовать, чтобы марганце-промышленники владели большими капиталами, но, судя по количеству вывозимого за границу марганца, промышленность эту можно признать довольно солидной»⁸⁵. რა თქმა უნდა, დასახელებული მეწარმისაგან არც იყო მოსალოდნელი მრეწველობის მოცემული დარგის ხასიათის სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან შეფასება. ამავე დროს, ის მართებული წინამძღვრიდან გამომდის, როცა ჭიათურის მრეწველობის „კუსტარულად“ გამოცხადებას ეწინააღმდეგება. მართლაც, ვფიქრობთ, სადავოდ არავენ გაგვიხდის იმას, რომ ე. წ. „კუსტარული მრეწველობის“ ანუ, როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს, „შინამრეწველობის“ ნაწარმს არსად და არასდროს მოუპოვებია დიდად თვალსაჩინო და, მით უმეტეს, გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე, როგორც ეს ჭიათურის მარგანცმა მოიპოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც იქნება „კუსტარული“ და „შინამრეწველური“ წარმოება.

⁸² Статистика марганцевого дела. К. 1902. стр. 26.

⁸³ ЦГИАЛ, Ф. 565, оп. 7, д. 26907, 1910—1911 г. Л. 10.

⁸⁴ ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 72, д. 138, 1910г. Л. 72 об.

⁸⁵ ი ქ ე ე, ფურ. 180.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობა მსოფლიო ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან დარგს — მსოფლიო მეტალურგიულ მრეწველობას წარმატებით ემსახურებოდა, მასთან იყო სასიცოცხლოდ და ორგანულად დაკავშირებული. ამიტომ გარკვეული გაგებით ის შეიძლება შევადგასოთ, როგორც მსოფლიო მეტალურგიის ერთ-ერთი დასაყრდენი და შემადგენელი დარგი.

ქიათურის მრეწველობა 1894 წ. უკვე უზრუნველყოფილი იყო ორთქლის სარკინიგზო ტრანსპორტით, რასაც საკუთრივ სრულყოფილ საწარმოო ტექნიკასთან ერთად საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისათვის. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ქიათურაში ძირითადად დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება: სამრეწველო რაიონი დაიფარა ბრემსბერგებისა და საპაერო-საბაგირო გზების ქსელით, მიწისქვეშა და საბადოს ზედაპირზე გაყვანილი რელსებიანი გზებით, „ესტოკადებით“, წყალსაქაჩავებითა და მადნის დასაშვები „ღარებით“. ელექტრონისა და ორთქლის ძალა ფართოდ შემოვიდა ხმარებაში. ქიათურის აუზში მოქმედებდა 30-მდე გამამდირებელი ფაბრიკა, რომელთა უმრავლესობა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით იყო მოწყობილი. წარმოებაში გადაიწყვეტ როლს ასრულებდნენ მსხვილი მრეწველები და ფირმები, რომლებმაც ინდუსტრიულ ყაიდაზე მოაწყვეს წარმოება. მართალია, მადნის მონგრევა და ვაგონეტებში ჩატვირთვა ხელით სწარმოებდა, მაგრამ, მისი რელსებიანი გზით გაზიდვა, აქედანვე ბრემსბერგით ან კიდევ საპაერო-საბაგირო გზით მდ. ყვირილის ხეობაში გამართულ გამაუხვებელი ფაბრიკებისათვის მიწოდება, იქ მადნის მექანიკური გაუხვება და მისი „საესტოკალო გზით“ რკინიგზის შტოს ბაქნებადღე გაგზავნა — ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ მრეწველობის მოცემული დარგი ძირითადად ინდუსტრიულ ყაიდაზე გარდაიქმნა. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობამ და მრეწველობაში წვრილ სარეწავთა არსებობის შენარჩუნების ფაქტის გაზვიადებულმა შეფასებამ, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოშვა მცდარი თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქიათურის მრეწველობა „კუსტარული ხასიათის საწარმოდ“ იქნა მიჩნეული. ეს თვალსაზრისი ზოგიერთმა მკვლევარმა მთელი რევოლუციამდელი ხანის ქიათურის მრეწველობაზე გაავრცელა.

რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების დონის რამდენადმე შეუფასებლობა დამახასიათებელია არა მარტო პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომისათვის, არამედ ყველა ადრინდელი და გვიანდელი ნაშრომებისთვისაც.

პროფ. პ. გუგუშვილის მონოგრაფია და, კერძოდ, მისი ის ნაწილი, სადაც მარგანეცის მრეწველობის ჩასახვა-განვითარებაა დასურათებული, დღემდე ინარჩუნებს თავის ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას, რაც, სამწუხაროდ, არაა ჯეროვნად გათვალისწინებული ზოგიერთ მერმე გამოცემულ ნაშრომებში.

1953 წელს გამოიცა პროფ. ა. რობაქიძის საყურადღებო გამოკვლევა «Некоторые стороны быта рабочих Чнатурской марганцевой промышленности», სადაც მნიშვნელოვანი საარქივო პირველწყაროების, ეთნოგრაფიული მასალისა და რევოლუციამდელი პერიოდული პრესის მონაცემების ფართოდ გამოყენების საფუძველზეა წარმოდგენილი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის საერთო სურათი.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მარგანეცის საბადოთა სამრეწველო-ექსპლოატაციის დასაწყებად აკაკი წერეთლის მიერ გაწეული ხანგრძლივი პრაქტიკული საქმიანობის, აგრეთვე, ქვეყნის სამრეწველო განვითარებისა და, კერძოდ, მარგანეცის მრეწველობისადმი მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების ავტორისეული დახასიათება.

მიმზიდველად და საფუძვლიანადაა გაშუქებული მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საქმიანობა, ნაჩვენებია, ერთი მხრივ, მისი პროგრესულობა, მეორე მხრივ, მისი ლიბერალიზმი, დახასიათებულია ყრილობის საქმიანობის კლასობრივი არსი⁸⁶.

ჩვენი აზრით, ნაშრომის ერთ-ერთი, ყველაზე მთავარი ღირსებაა ჭიათურის სამთო მუშათა კონტიგენტის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება, — მუშათა ოჯახების გენეალოგიის დადგენადიდი ძალი ახალი მასალის ამეტყველების საფუძველზე⁸⁷.

ამის მიუხედავად, პროფ. ა. რობაქიძის წიგნი, სამწუხაროდ, რამდენადმე გაუთვალისწინებელია მერმე გამოცემულ ნაშრომებში.

⁸⁶ А. И. Р о б а к и д з е, Некоторые стороны быта рабочих Чнатурской марганцевой промышленности, Тб., 1953, стр. 30—32.

⁸⁷ ი ქ ვ ე. გვ. 24—25

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ზშირ შემთხვევაში, თითქმის ასევე იგრძნობა პროფ. ა. კიკვიძის ვრცელი გამოკვლევების რამდენადმე გაუთვალისწინებლობაც. ამავე დროს მის ორტომიან ნაშრომში („საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე“, თბ., 1954 წ. და „საქართველოს ისტორია XIX—XX სს“. თბ., 1959 წ.), ასევე, ავტორთა კოლექტივის (პ. რატიანი, ა. კიკვიძე, ი. კაჭარავა, ა. სურგულაძე) მიერ 1962 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიის II ტომში, მართალია დეტალურად არაა განხილული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, სამაგიეროდ იხინი მკვლევრისათვის გზის გამკვლევი განმაზოგადებელი ნაშრომის მნიშვნელობას, უდავოდ, წარმატებით ასრულებენ.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას და მის წარსულს მრავალი ნაშრომი უძღვნა ცნობილმა სპეციალისტმა, მკვლევარმა ა. გავაშელმა. მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წიგნი „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან“ (1957), სადაც დახასიათებულია მსოფლიოში ცნობილი მარგანეცის მადნის საბადოების სამრეწველო მნიშვნელობა, ასევე, მარგანეცის მრავალფეროვანი გამოყენება. შეფასებულია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების ხასიათი, საინტერესო ცნობებია მოტანილი მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასახასიათებლად. საყურადღებოა ავტორის დაკვირვება ადგილობრივ და უცხოელ მრეწველთა საქმიანობაზე, მუშათა მდგომარეობაზე და სხვ. ა. გავაშელის აზრით, ჭიათურის მრეწველობამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში განვლო ერთი ეტაპი. ის წერს: „პირველი ეტაპი ესაა პერიოდი 1879 წლიდან 1922 წლამდე, როცა ჭიათურის მარგანეცის მადნების ექსპლოატაციას ეწეოდნენ ადგილობრივი კერძო პირები, უცხოელი კაპიტალისტები და სააქციო საზოგადოებანი. ამ პერიოდში საბადო მუშავდებოდა ხელით, პრიმიტიული წესით“⁶⁸. ა. გავაშელის ნაშრომები, ისევე, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ავტორთა გამოკვლევები, რატომღაც გვერდავლილია არა ერთ მერმინდელ გამოკვლევაში.

⁶⁸ ა. გ ა ვ ა შ ე ლ ი, ჭიათურის მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1957 .
:33. 7.

1958 წელს გამოვიდა პროფ. გ. ბაქრაძის მონოგრაფია «Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке». ავტორმა გამოავლინა და სამეცნიერო ბრუნვაში მოაქცია მრავალფეროვანი, უპირატესად საარქივო წყაროები, ახლებურად გააშუქა კვლევისათვის აღებული პრობლემის არა ერთი საკითხი და, რაც მთავარია, სცადა (ზოგ შემთხვევაში წარმატებითაც) საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ფორმების დიფერენციაცია და სტადიების დადგენა. ამავ დროს, მკვლევარმა საფუძვლიანად არ გამოიყენა და უშუალოდ არ დაასახელა ქართულ ენაზე გამოცემული ზოგიერთი გამოკვლევა, კერძოდ პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომები, რომელთაც ის მოიხსენიებს ასე: «некоторые авторы», «некоторые работы», ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მათ აკრიტიკებს. ამ უკიდურესობას მეორე მოჰყვა: პროფ. ა. კიკვიძე, მეცნ. კანდიდატები ა. ბედიანიშვილი, ბ. ხასია გ. გვესელიანი, გ. თოდუა 1959 წ. გ. ბაქრაძის დასახელებულ გამოკვლევას შეეგებნენ ტენდენციურად დაწერილი და ასევე დასათაურებული კოლექტიური რეცენზიით: — „როგორ არ უნდა იწერებოდეს მონოგრაფიული გამოკვლევა“⁸⁹. მის საპასუხოდ გ. ბაქრაძემ 1963 წ. გამოაქვეყნა წერილი: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის“⁹⁰. ზემოთ მოხსენებული კოლექტიური რეცენზია უცვლელად (პირველად გამოცემიდან 6 წლის შემდეგ). 1964 წ., რატომღაც ხელმეორედ, უკვე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა სხვა სათაურით: «По поводу одной работы по истории капитализма в Грузии»⁹¹. სადაც ერთი სიტყვითაც არაა მოხსენებული გ. ბაქრაძის საპასუხო წერილი. ყოველივე ამის გამო, გ. ბაქრაძემ, 1966 წ., კვლავ, მანაც უკვე რუსულ ენაზე უბასუხა რეცენზიას წერილით: «К вопросу о развитии капиталистической промышленности в Грузии»⁹². ამჯერად უადგილობის გამო მოკლებული ვართ ამ თავისებური, — ვიტყოდით პირდაპირ, — არა ბოლომდე პრინციპული და აკადემიური პოლემიკის საფუძვლიანი

⁸⁹ იხ. ეურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1959, № 1, გვ. 90—95.

⁹⁰ იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 100, 1963, გვ. 233—251.

⁹¹ იხ. „მაცნე“, 1964, № 4, გვ. 282—288.

⁹² იხ. „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 228—248.

განხილვის შესაძლებლობას; ამასთანავე, ახლავე მიგვაჩნია საკუროდ, ერთი სიტყვით შევნიშნოთ, რომ კოლექტიური რეცენზია, რომელიც არა ერთ კვალიფიციურ შენიშვნასაც შეიცავს, თავის საფუძველშივეა უკიდურესად სუბიექტური და ტენდენციური. რეცენზიის მიზანია დაამტკიცოს, რომ წიგნის ავტორი გ. ბაქრაძე „ვერ ამალდა, ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევების დონემდე XIX საუკუნის საქართველოში მრეწველობის განვითარების შესწავლის დარგში“, რომ „მისი ნაშრომი არ შეიცავს არც ერთ ახალ დებულებას (დასკვნას) საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების შესწავლის საქმეში“⁹³. სინამდვილეში გ. ბაქრაძის მონოგრაფიას, სუსტ მხარეებთან ერთად, თავისი მაღალი ღირსებაც გააჩნია. სუსტ მხარეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე არსებითია საკვლევი საკითხის ისტორიოგრაფიის რამდენადმე იგნორირებაც, ხოლო მისი მაღალი ღირსება იმაშია, რომ მკვლევარმა, ადრეც ცნობილი, ასევე, აქამდე უცნობი ფაქტებისა და ცნობების სისტემატიზაციითა და, ხშირადაც, ახლებურად გააზრებით საგულისხმო ცდა ჩაატარა საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ფორმებისა და სტადიების დასადგენად. თუმცა, ამ უდავოდ ნაყოფიერ ცდაში შეიმჩნევა ერთგვარი ჩავარდნებიც. ასე, მაგალითად, ქიათურის მრეწველობის განვითარების დონის დახასიათებისას ჩვენი ავტორი წერს: «Несмотря на рост добычи руды, в действительности Чиатурская марганцевая промышленность все же являлась отсталой отраслю Грузинской промышленности»⁹⁴. საქართველოს მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგის ამგვარი შეფასების შემდეგ, ავტორი, ერთი მხრივ აცხადებს, რომ ქიათურაში 1914 წლამდე «...Рост производительности труда и увеличение добычи происходили не в результате улучшения техники производства и изменения форм промышленности»⁹⁵, ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ «В указанный период (с 1897 по 1921 год) Чиатурская марганцевая промышленность, в ос-

⁹³ საქართველოს ეკონომისტი, 1959, № 1, გვ. 95.

⁹⁴ Г. К. Ба к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тб., 1958, стр. 236.

⁹⁵ ი კ ე ე, გვ. 235.

ნაწარმით, იმელა ფორმა მელკოთვარნოგო ი კუსტარნოგო პროიზვოდსტვია, ოდნაკო იარჲდუ ს ეთნო ი სოკორიე პრომისლა იოსილი ხარაქტერ მანუფაქტურა, ა ს კონცა 90-ხ გოდო ვსტრეჩალის დაჯე ფაბრიჩნიე ფორმე»⁹⁶. მართალია, ავტორის მაჯელობა წინააღმდეგობრივია და, ამასთანავე, მას არ მოაქვს რაიმე ხელშესახეზი მონაცემეზი მარგანეცის მრეწველობის ფორმათა დიფერენციაციისათვის, მაგრამ აქ როგორც დაღებითი აღსანიშნავია, რომ მკვლევარმა საკითხის ისტორიოგრაფიაში პირველმა მიუთითა ქიათურის მრეწველობაში „ზოგიერთ საწარაოს“ მანუფაქტურულ და ფაბრიკულ ხასიათზე და ფორმაზე. ავტორი რამდენადმე სქემატურად, სამაგიეროდ, შედარებით, ზუსტად ახასიათებს მრეწველობის მოცემული დარგის მდგომარეობას 1900 წლამდე.

იმავე 1958 წ. გამოიცა პროფ. ნ. ტყეშელაშვილის ნაშრომი „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864—1920 წწ.)“, სადაც მარგანეცის მრეწველობაცაა განხილული. მოცემული დარგის ჩასახვა-განვითარებას ავტორი აშუქებს საკითხის ლიტერატურის რამდენადმე გაუთვალისწინებლად, უმთავრესად, გამოქვეყნებული დოკუმენტებისა და სტატისტიკური კრებულების მონაცემებზე დაყრდნობით. აქ საყურადღებოა შესაფერისი სტატისტიკური მასალის ზედმიწევნით დეტალური ანალიზი, მარგანეცის მრეწველობის ნაწარმოების მომხმარებლის, — მსოფლიო მეტალურგიის, — მდგომარეობის მიმოხილვა, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესზე დაკვირვება, მრეწველობის განვითარების ორი (მონოპოლიზმამდელი და მონოპოლისტური კაპიტალიზმის) პერიოდის ერთმანეთისაგან გამოყოფა. „ნარკვევების“ ავტორმა ქიათურის მრეწველობის პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო კაპიტალიზმის ორი სტადია. როგორ ახასიათებს და ერთმანეთისგან ასხეავებს ავტორი ამ ორ პერიოდს? „მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდის“ ქიათურის მარგანეცის მრეწველობის განხილვისას იგი დაასკვნის: „ამრიგად, წვრილი მრეწველები თანდათან უბრალო დანამატად იქცეოდნენ და თითქმის ემორჩილებოდნენ მსხვილი კაპიტალისტების თვითნებობასა და ძალას“⁹⁷, მეორე ადგილას კი წერს: „მარგანეცის მადნის ამოღე-

⁹⁶ ი ქ ე ე, გვ. 236.

⁹⁷ ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 23.

ბისა და ექსპორტის მონოპოლია თითქმის მთლიანად ჩაიგდეს ხელში მსხვილმა მრეწველებმა⁹⁸. და ბოლოს, მესამე ადგილას, ამტკიცებს: „სასტიკი კონკურენციის ბაზაზე მარგანეცის მრეწველობაში მიმდინარეობდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის გაძლიერებული პროცესი“⁹⁹. ამ დებულების დასაბუთება ავტორს თავის ნაშრომში არც უცდია, მაგრამ ვხედავთ, რომ იგი მრეწველობის დასახელებული დარგის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

როგორ წარიმართა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა „მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში“? ჩვენი ავტორის მტკიცებით ამ პერიოდში... „სავესებით ბუნებრივია, რომ საბადოს დამუშავება (მხედველობაშია მარგანეცის საბადო — გ. მ.) წარმოებდა სტიქიურად, პრიმიტიულად და მტაცებლურ-პირველყოფილი წესით“¹⁰⁰. ასეთი დასკვნა ჩვენი აზრით სავესებით არაა „ბუნებრივი“ და მართებული.

ამრიგად, პროფ. ნ. ტყეშელაშვილის ესოდენ წინააღმდეგობრივი მსჯელობით, მარგანეცის მრეწველობაში, მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდში, ანუ 1900 წლამდე, მარგანეცის მადნის ამოღებისა და ექსპორტის მონოპოლია, თითქმის, მთლიანად ჩაიგდეს ხელში მსხვილმა მრეწველებმა“, „სასტიკი კონკურენციის ბაზაზე მარგანეცის მრეწველობაში მიმდინარეობდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის გაძლიერებული პროცესი“, ხოლო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, ანუ, როგორც ჩვენი ავტორი ათარიღებს, 1900—1917 წწ., „სავესებით ბუნებრივია... საბადოს დამუშავება... პრიმიტიულად და მტაცებლურ-პირველყოფილი წესით“. გამოდის, რომ, მისი აზრით, მადნის მოპოვებისა და ექსპორტის მონოპოლიზაცია, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის გაძლიერებული პროცესი წარმოების „პირველყოფილ წესს“ ემყარებოდა.

1958 წ. გამოიცა მკვლევარ ა. კოკლავაშვილის მონოგრაფია „აქაი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი“, რომელსაც ერთვის

⁹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 20.

⁹⁹ ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 23.

¹⁰⁰ ი ქ ვ ე, გვ. 72.

ფრიადმნიშვნელოვანი დოკუმენტების პუბლიკაცია. ავტორი დიდძალი, მათ შორის ზოგიერთი, ადრე უცნობი წყაროების ზედმიწევნით დეტალური განხილვით, დამაჯერებლად ასაბუთებს ადრევე ცნობილ, მაგრამ თავიდანვე სადავოდ გამხდარ, მოსაზრებას ქიათურის მარგანეცის მადნის საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებაში აკაკი წერეთლის პრიორიტეტის, აგრეთვე, ექსპლოატაციის დაწყების დროის შესახებ.

ნაშრომში მთელი საბუთიანობითაა დამტკიცებული, რომ ქიათურის საბადოთა ექსპლოატაცია დაიწყო 1879 წ., რომ ლეგენდა ამ საქმეში „მერცენ ფელდის პიონერობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და ის ხელოვნურადაა შექმნილი“, „რომ ქიათურის მარგანეცის მრეწველობის ქეშმარიტი პიონერი და ორგანიზატორი, მისთვის მუდმივი ნებრძოლი იყო დიდი ქართველი პოეტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ქვეყნისა და მშრომელი ხალხის დიდი პატრიოტი—აკაკი როსტომის ძე წერეთელი“¹⁰¹. აქვეა გადმოცემული მრეწველობის მოცემული დარგის დაფუძნებისა და ქიათურის რკინიგზის მშენებლობის ისტორია.

აღსანიშნავია, ვ. ჯაოშვილის „ქიათურა (ეკონომიურ-ისტორიული ნარკვევი)“, გამოცემული 1959 წ. ნაშრომი მნიშვნელოვანწილად ადრევე ცნობილ ფაქტებსა და მოსაზრებებს იმეორებს. ამის მიუხედავად მას ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით გააჩნია ერთგვარი ღირსება: ესაა, პირველ რიგში, საკუთრივ ქიათურის, როგორც სამრეწველო რაიონის ცენტრის, ზრდა-განვითარების სურათის შევსება, ასევე, მარგანეცის მრეწველობის ისტორიის პერიოდიზაციის ავტორისეული ცდა. ქიათურის მარგანეცის მრეწველობამ, ვ. ჯაოშვილის აზრით, 1879—1921 წწ. განვლო სამი ეტაპი: პირველი ეტაპი 1879—1895 წ. მოიცავს, მეორე — 1896—1913, ხოლო მესამე — 1914—1921 წწ.¹⁰². ავტორს მიაჩნია, რომ ამ ეტაპებზე მრეწველობის ფორმაში ცვლილება არ მომხდარა და მადნის

¹⁰¹ ა. კოკლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ქიათურის მარგანეცი, თბ. 1958, გვ. 88, 89.

¹⁰² ვ. ჯაოშვილი. ქიათურა. ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1959, გვ. 25.

მოპოვება და დატვირთვა „კვლავ პრიმიტიული წესით სწარმოებ-
ლა“¹⁰³.

საყოფადღებოა სამთო საქმის სპეციალისტის, მკვლევარ ვლ. ჭანიშვილის ვრცელი ნაშრომი „მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში“ (1960 წ.), რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს ხანას მრეწველობის ჩასახვიდან 1941 წლამდე, ხოლო თემატიკურად მრეწველობის ისტორიას. საბადოს სამთო გეოლოგიურ და სამთო ტექნიკურ დახასიათებას და სხვ. ნაშრომში უხვადაა მოტანილი ადრევე ცნობილი. ასევე, ახალი საარქივო თუ სხვა მასალა. ამასთანავე აქ, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ნაშრომებში, იგრძნობა საკითხის ლიტერატურის ერთგვარი უგულვებელყოფა. ისტორიული კვლევისა და მასალის დალაგების ავტორისეული მეთოდი, ისევე როგორც მისი ზოგიერთი დებულება. არა ერთ, ჩვენი აზრით, სერიოზულ შენიშვნას იმსახურებს. ამის მიუხედავად. ვლ. ჭანიშვილის ნაშრომს უდავოდ გააჩნია თავისი ღირსება: ის წარმატებით ავსებს მრავალ ხარვეზს საკვლევი საკითხის შესწავლაში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიის სრულქმნილი სურათის შემუშავებას.

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია ქიათურის მარგანეცის მრეწველობა პირველმსოფლიოომამდელ ხანაში. აქ, საბადოს დახასიათებისა და მისი დამუშავების საკითხებთან ერთად, გაშუქებულია მარგანეცის მადნის ქიათურის საბადოს აღმოჩენისა და გეოლოგიური შესწავლის ისტორია, საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება და მისი მიმდინარეობა რკინიგზის ქიათურის შტოს გაყვანამდე და მის შემდეგ. ნაშრომში გადმოცემულია რკინიგზის დასახელებულ შტოს მშენებლობის ისტორია. დიდძალი მასალაა მობილიზებული მრეწველთა საქმიანობის, მათ გაერთიანებათა, ასევე, მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის, — ყრილობის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის, ამასთანავე, მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასახასიათებლად. ავტორი შეეხება მუშათა მდგომარეობასა და ბრძოლას, კერძოდ, „ქიათურის მალაროელთა 1913 წ. გაფიცვას“.

103 ი ქ ვ ე, გვ. 30.

ვლ. ჭანიშვილის ნაშრომში ყველა ეს საკითხი გაშუქებულია მეტ-ნაკლები სისრულითა და სიზუსტით. რამდენიმე სიტყვა უზუსტობებზე: ჟერ ერთი, საბადოს დამუშავების დასაწყისად ნაშრომში, ხან 1877 წელია ჩათვლილი, ხანაც—1876¹⁰⁴. ამ უზუსტობას ავტორი თავიდან აიცილებდა, რომ მას საფუძვლიანად გაეთვალისწინებინა საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, მეტადრე მკვლევარ ა. კოკლავაშვილის ვრცელი ნაშრომი „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი“, სადაც ეს საკითხი ზედმიწევნით დეტალურადაა გაშუქებული და დოკუმენტურადაა დასაბუთებული საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის 1879 წ. დაწყება¹⁰⁵. შეეხება რა ა. წერეთლის პრაქტიკულ მოღვაწეობას საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დასაწყებად, ვლ. ჭანიშვილი არ ითვალისწინებს ა. კოკლავაშვილის დასახელებულ ნაშრომს. ისევე, როგორც ვთქვამთ, ჭიათურის მუშათა 1913 წ. გაფიცვის განხილვისას, არ ითვალისწინებს გ. არუთინოვის ნაშრომს — «56 дневная стачка чипатурских рабочих в 1913 году»¹⁰⁶.

მეორე, ჩვენ არ გვეგულება სხვა გამოკვლევა, სადაც ისე რელიეფურად იქნებოდა განხილული მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საქმიანობა, როგორც ეს ვლ. ჭანიშვილის ნაშრომშია. მით უმეტეს, სასურველი იყო ამ ორგანიზაციის საქმიანობის ყრილობის სხვადასხვა დაჯგუფებათა პრინციპული შეფასება-დახასიათება. ავტორი საინტერესოდ აღწერს ყრილობათა მსვლელობას. სხვადასხვა დაჯგუფებათა ბრძოლას ყრილობებზე, მაგრამ თითქმის არაფერს გვეუბნება იმ სოციალურ ფენებზე, რომელთა ინტერესებსაც ეს დაჯგუფებანი გამოხატავდნენ.

მესამე, ნაშრომის უდავო ღირსებაა მარგანეცის მრეწველობის განვითარების პერიოდიზაციის ცდა. აი, ავტორისეული პერიოდიზაცია:

104 ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10, 11, 125, 539.

105 ა. კოკლავაშვილი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ., :958, გვ. 5—90. ამ ნაშრომზე ვლ. ჭანიშვილი მხოლოდ ერთჯერ, სქოლიოში მიუხიბნის, რომ მას შრომა დამთავრებული ჰქონდა, „როცა გამოვიდა ა კოკლავაშვილის საფუძვლიანი გამოკვლევა“ (ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102).

106 Исторические записки, №. 58, 1956.

I. საბადოს აღმოჩენის, მისი წინასწარი გეოლოგიური შესწავლისა და ექსპლოატაციის მოწადების პერიოდი (1846—1875 წწ.), II. მრეწველობის ჩასახვა-წარმოშობისა (1876—1879 წწ.), III მრეწველობის განვითარებისა და განმტკიცებისა (1879—1894 წწ.), IV პერიოდი „მსხვილი კაპიტალის შემოჭრით ხასიათდება“ (1894—1900 წწ.), V პერიოდი „მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და რეაქციის წლებს მოიცავს“ (1900—1910 წწ.), VI პერიოდი „პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინაწლებს მოიცავს“ (1910—1913 წწ.), VII პერიოდი — „პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებს მოიცავს“ (1914—1917 წწ.), VIII პერიოდი მარგანეცის მრეწველობის დაქვეითებისა და მთლიანად შეწყვეტისა (1917—1921 წწ.¹⁰⁷) და ა. შ. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ შესავალში მოცემული პერიოდიზაცია (პერიოდების სახელწოდებანი და ქრონოლოგიური ფარგლები) მნიშვნელოვნად შესწორებულა და სახეშეცვლილია საკუთრივ ნაშრომში¹⁰⁸.

‘ მოცემული პერიოდიზაცია ჩვენი აზრით მეტისმეტად „დეტალურიცაა“. სასურველი იყო, პერიოდიზაციას თავიდან ბოლომდე საფუძვლად დასდებოდა არა სხვადასხვა, ისიც ზედმიწევნით პირობითი ნიშნები, არამედ საერთო პრინციპი, პირველ რიგში მრეწველობის ეკონომიკასა და მის ბუნებაში მომხდარი კარდინალური ძვრები. უამისოდ გარკვეული უხერხულობა იქმნება: ასე მაგალითად, მრეწველობის მესამე პერიოდის (1879—1894 წწ.) გამოყოფას. ავტორის განმარტებით, საფუძვლად უდევს მრეწველობის განვითარებისა და განმტკიცების გათვალისწინება, მეოთხეს — (1894—1901 წწ.) მსხვილი კაპიტალის შემოჭრა, მეხუთეს (1900—1910 წწ.) — მუშათა რევოლუციური აღმავლობისა და რეაქციის წლების დადგომა და სხვ. ისმის კანონზომიერი კითხვა: თუ მრეწველობის განვითარებაში მომხდარი წინსვლა: „პერიოდიზაციის პრინციპი“ (თავი III) — ეს მომდევნო ხანაში, ვთქვათ 90-იანელების ბოლოს, 1906 წელს, ან მით უმეტეს I

107 Исторические записки, გვ. 11—14.

108 შეადარეთ ერთმანეთს თუნდაც ნაშრომის ს.ჩხევი (გვ. 5-6) და შესავალში მოცემული პერიოდიზაცია.

მსოფლიო ომის წინ ხომ უფრო საგრძნობია?! თუ მსხვილი კაპიტალის შემოქრაც შეიძლება იყოს პერიოდიზაციის საფუძველი. ესეც ხომ, 1894—1900 წლებთან შედარებით, უფრო შემდგომ ხანას. კერძოდ 1909—1914 წ.წ. ახასიათებს?! რაც შეეხება ავტორის მიერ გამოყოფილ მე-5 პერიოდს, რასაც ის 1900—1910 წლებით ათარილებს, ჯერ ერთი, ეს ხანა მოიცავს პოლიტიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამ სხვადასხვა პერიოდს: რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის, 1905—1907 წწ. რევოლუციისა და რეაქციისას. თუ ავტორის მიერ მიღებული პრინციპით ვიხეიძლევანელეთ, 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდი ხომ მაინც ცალკე უნდა გამოგვეყო, ამასთანავე კიათურის სამრეწველო რაიონში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ხომ არ დაწყებულა 1900 ან, გნებავთ, 1901 წ.?! უხერხულობას აღრმავებს 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის, 1901—1905 წწ. სამრეწველო კრიზისის, I მსოფლიო ომამდელი სამრეწველო აღმავლობის ერთგვარი შეუფასებლობა, რასაც ავტორისეული პერიოდიზაცია იწვევს, მით უფრო, რომ ეს მოვლენები ყველაზე მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან მრეწველობის განვითარების სხვადასხვა პერიოდებს.

კიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარება მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაშუქებულია. ა. კოკლავაშვილის მეორე მონოგრაფიაში „საქართველოს სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში (თბ. 1962 წ.). აქ კვლავ ახალი მასალის მოტანითა დაახასიათებული მარგანეცის საბადოთა აღმოჩენა¹⁰⁹, აკაკი წერეთლის დეაწლი მრეწველობის მოცემული დარგის დაფუძნებაში. ავტორის აზრით, „კიათურის მანგანუმის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის ცდები ა. წერეთელს 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაუწყია“¹¹⁰, მაგრამ ვერ მოუხერხებია¹¹¹.

ა კოკლავაშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ საბადოების დამუშავება აკაკის დაუწყია 1879 წ. დასაწყისში¹¹².

¹⁰⁹ ა. კოკლავაშვილი. საქართველოს სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება... გვ. 226.

¹¹⁰ იქვე, გვ. 237.

¹¹¹ იქვე, გვ. 238.

¹¹² იქვე, გვ. 273.

ქიათურის მარგანეცის მრეწველობა 1879-1895 წწ., როგორც ცნობილია. სამეცნიერო ლიტერატურაში ბენიამეტად ზოგად ხაზგდებულია მიმოხილული. მით უფრო მნიშვნელოვანია ა. კოკლავაშვილის ცდა. გააშუქოს მრეწველობის მდგომარეობა მოცემულ პერიოდში. მან საკითხის ისტორიოგრაფიაში. პირველმა მოიტანა ანგარიშგასაწევი ცნობები 1880-1883 და 1888 წწ. ქიათურაში მუშათა საერთო რაოდენობისა და თითოეული მუშის წლიური გამომუშავების შესახებ¹¹³. აქვე საგულისხმო და. ჩვენი აზრით, ძირითადად მისაღებია მრეწველთა ყრილობის საბჭოს და ყრილობის დაჯგუფებათა, მათ შორის „ოპოზიციის“ ავტორისეული დახასიათება, თუმცა, ის სწორი არაა. როცა მრეწველობის განვითარებაში ყრილობისა და საბჭოს ობიექტურად დადებითი როლის სამართლიანად აღიარების შემდეგ, შენიშნავს: „მაგრამ საბჭოს მუშაობაში ადგილი ჰქონდა რიგ პრინციპული ხაზითის შეცდომებსაც, რომლებიც სამართლიან კრიტიკას იწვევდნენ პროგრესულად განწყობილი მოღვაწეების მხრით“¹¹⁴. მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის მუდმივ მოქმედი ორგანო — საბჭო, როგორც ბურჟუაზიული ორგანო. უმთავრესად. ბუნებრივია, ხელმძღვანელობდა მსხვილ მრეწველთა ინტერესებით, ის საამისოდ იყო მოწოდებული და, ამიტომ. მისი მთელი საქმიანობის ბურჟუაზიული ხასიათი, თუ მეტი არა. საეჭვოა აიხსნებოდეს საბჭოს მიერ „პრინციპული ხასიათის შეცდომების“ დაშვებით.

ა. კოკლავაშვილის ნაშრომში საინტერესო ნარკვევია წარმოდგენილი ჩვენში ფერომარგანეცის წარმოების ცვლების საინტერესოდ, ასევე მუშათა მდგომარეობის დასახასიათებლად ავტორი მიუთითებს მუშათა კონცენტრაციის ფაქტზე ქიათურაში. ამრიგად, ა. კოკლავაშვილის მონოგრაფიას სერიოზული წვლილი შეაქვს ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლაში.

მკვლევარმა ა. ბენდიანიშვილმა ჯერ კიდევ 1956 წელს დაამთავრა ვრცელი ნაშრომი „ქიათურის მარგანეცის მრეწველობა 1879—1921 წლებში“. რომელიც სრული სახით დღემდე არ

113 ა. კოკლავაშვილი. იქვე. გვ. 285, 297.

114 იქვე. გვ. 298.

გამოცემა¹¹⁵. სამაგიეროდ, ავტორმა თავისი საინტერესო გამოკვლევების დედააზრი გადმოსცა სტატიაში: „ქართული, ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი 1879—1921 წწ. კიათურის სამრეწველო რაიონში“¹¹⁶.



დღემდე მრავალი მკვლევარი შეხება მუშათა მდგომარეობასა და რევოლუციურ ბრძოლას რევოლუციამდელ კიათურაში. მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები ზემოთ ჩვენ მიერ მოხსენებულ ავტორთა გარდა. გააშუქეს მკვლევრებმა პროფ. ი. ხუციშვილმა, ზ. გეგეშიძემ, გ. არუთინოვმა და სხვ¹¹⁷. უახლესი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ვ. ჯიქიას ნაშრომი, სადაც ახალი მასალების მოშველიებით უფრო ვრცლადაა გაშუქებული საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და საგაფიცო მოძრაობა 1900—1917 წლებში¹¹⁸. ასევე საყურადღებოა მ. ჯიქიშვილის ნაშრომი — „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.)“¹¹⁹, სადაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი რევოლუციამდელი ხანის კიათურის მარგანეცის მრეწველობას, სამრეწველო რაიონის პროლეტარიატის მდგომარეობისა და ბრძოლის დახასიათებას. როგორც ვხედავთ, საკითხის ისტორიოგრაფია ვრცელია. ამის მიუხედავად, კიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი დღემდე არაა სასურველი სისრულით შესწავლილი. შეუსწავლელია სამრეწველო რაიონ-

115 ნაშრომი იმავე 1956 წლიდან ინახება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების არქივში. სადაც 1957 წელს მას ჩვენ გავეცანით.

116 „მომავალი“, 1963, № 2. გვ. 92—113.

117 ი. ხუციშვილი. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბ., 1955; ზ. გეგეშიძე. 1905 წელი კიათურაში (იხ. კრებული 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში. პროფ. ი. ხუციშვილისა და სხვათა რედაქციით. თბ., 1955); მისივე „რევოლუციური წარსულის შესანიშნავი რელიეფი“ (იხ. კრებული: „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, ტ. 14. თბ., 1966); Г. Арутюнов, 56 дневная стачка Чнатурских рабочих в 1913 году (Исторические записки, М., 1956, № 58).

118 „მაცნე“. 1965, № 4.

119 წიგნი 1965 წელს გამოიცა.

ნის „მუშათა მასის“ კლასად ჩამოყალიბება, მუშათა კლასის რიცხობრივი და თვისობრივი ზრდის პროცესი. ამ მხრივ მდგომარეობას, სამწუხაროდ, ვერ ცვლის „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (ნაწ. I, თბ. 1957 წ.), სადაც ეს საკითხები მხოლოდ ზოგადადაა გაშუქებული, თანაც სათვალავში მხოლოდ სამთო მუშებია მიღებული. აქ მეტწილად კრიტიკული შეფასების გარეშეა გამოყენებული სამრეწველო სტატისტიკის ზოგადი ცნობები ქიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა რიცხვის დასადგენად. ასე მაგალითად, „ნარკვევებში“ ვკითხულობთ, რომ 1913 წ. ქიათურის მარგანეცის სამადნეებში 3.477 მუშაა¹²⁰. აქ საცხებიტ გაუთვალისწინებელია 1913 წ. ქიათურაში მოქმედი 25 გამამდიდრებელი ფაბრიკის 1800-ზე მეტი მუშა¹²¹ და რაც მთავარია ის, რომ ამ წელს სამრეწველო რაიონში სულ 12 ათასამდე მუშაა¹²²; სხვა საარქივო საბუთების მოწმობით, 1913 წ. ქიათურის საყოველთაო გაფიცვაში, 12 ათასი მუშა მონაწილეობდა¹²³.

„ნარკვევებში“ და სპეციალურ გამოკვლევებში ქიათურის სამრეწველო რაიონში მუშათა რევოლუციური გამოსვლების დასაწყისად 1903 წელია მიჩნეული, სინამდვილეში საარქივო საბუთები მოწმობს, რომ აქ მუშათა მძლავრი რევოლუციური გამოსვლები 1902 წ. ივლისიდან დაიწყო¹²⁴.



„ნარკვევებში“ და ჩვენში გამოცემულ უამრავ სპეციალურ გამოკვლევებში მეტისმეტად დაკნინებულადაა წარმოდგენილი რევოლუციამდეღ სსქართველოა და მთელი რუსეთის მრეწვე-

120 საქართველოს კომუნისტური პარტიის ნარკვევები, ნაწ. I, 1883—1921 წწ., ვ. ესაიანვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 263.
 121 ЦГИАЛ, Ф. 37, оп. 75, д. 691, л. 28—29; Ф. 1276, оп. 19, д. 1221, л. 27.
 122 სსსა ფ. 415, საქ. 109, ფ. 6—8. ეს საბუთი ჩვენ 1965 წ. მიეწოდეთ მკვლევარ მ. ჭიჭიშვილს, რომელმაც ის გამოიყენა თავის ნაშრომში „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში“, 1917—1921 წწ., თბ., 1965, გვ. 24.
 123 ЦГИАЛ, Ф. 23, оп. 19, д. 100, л. 100—101.
 124 ЦГИАЛ, Ф. 1263, оп. 2, д. 5734, л. 47—48.

ლობის განვითარების დონე. გაზვიადებულია I მსოფლიო ომის უარყოფითი ვაეღენა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაზე. ამ ნაშრომებში კვლავ ხშირად ვხვდებით თანამედროვე რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგა ხნის წინ გადასინჯულ. მეცნიერულად დაუსაბუთებელ განცხადებებს I მსოფლიომამდელი რუსეთისა და საქართველოს „მრეწველობის ჩამორჩენილობისა“ და „სუსტად განვითარების“ შესახებ¹²⁵, უსაფუძვლო მტკიცებას, რომ თითქოსდა I მსოფლიო ომმა „ჩაკლა ქვეყნის სამრეწველო და სასიცოცხლო მაჯისცემა“¹²⁶. რუსულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, როგორც აღვნიშნავდით, კარგა ხანია გადასინჯულია მცდარი მოსაზრება რევოლუციამდელი ამიერკავკასიის მრეწველობის ე. წ. „ძლიერ ჩამორჩენილობის“ შესახებ. ასე, მაგალითად, გამოჩენილი მკვლევარი პ. ლიაშჩენკო თავის კაპიტალურ ნაშრომში წერს, რომ ამიერკავკასიაში «...была создана капиталистическая промышленность, более мощная, чем в других национальных окраинах и по размерам производства и по числу вовлеченного в нее национального пролетариата»¹²⁷. ამის მიუხედავად, ჩვენში არა ერთი მკვლევარი წინასწარვე იახავს მიზნად აჩვენოს რევოლუციამდელი ამიერკავკასიის ეკონომიკის „ღრმა ჩამორჩენილობა“. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, მკვლევარ შ. ბასილაის ნაშრომი, სადაც ვკითხულობთ: «Большое место в нашей работе заняли экономические вопросы. Показана глубокая отсталость Закавказья, приведшая в годы первой мировой войны его хозяйство к упадку...»¹²⁸ შიშულრო ძნელი ასახსნელი ხდება ქართულ საისტორიო და პარტიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული, ორი, ერთი შეხედვით, თითქოსდა ერთმანეთთან შეთანხმებული, თვალაზრისი: ერთი, რომლის თანახმად რევოლუციამდელ საქართველოში მრეწველო-

125 საქ. კპ ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, გვ. 356, 367. ასევე, ს. ჩხარტიანი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1957, გვ. 27, 30.

126 ს. ჩხარტიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 30 და სხვ.

127 П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, капитализм, издание четвертое, М., 1956 г., стр. 563.

128 Ш. И. Басилая, Закавказье в годы первой мировой войны. Автореферат докторской диссертации, Сухуми, 1965, стр. 4 (ზაზგასმა ჩვენია.)

ბა „ძლიერ სუსტი იყო“. ხოლო მეორე, რომლის მიხედვით „მუშათა მოძრაობა ჩვენში ხასიათდებოდა განსაკუთრებული სიძლიერით, უმაგალითო გაქანებით“. ეს შეუსაბამობა არ დაიფარება რაგინდ ბევრი ვიმსჯელოთ კავკასიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებზე, რამაც თავის მხრივ უდავოდ შეუწყო ხელი მუშათა და გლეხთა მოძრაობის გაძლიერებას ჩვენში XX საუკუნის დამდეგის ქარიზხლიან წლებში. ამ მოძრაობის ავანგარდში იდგა საქართველოს მუშათა კლასის მრავალათასიანი და მრავალეროვანი რაზმი, რომელიც ჩვენში ისევე როგორც ნებისმიერ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, საკუთრივ იყო არა მრეწველობის „ძლიერი სისუსტის“. არამედ მისი შედარებითი ძლიერების შედეგი. ერთი სიტყვით, რუსეთის მებრძოლი მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე და მძლავრი რაზმი საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატი, სამრეწველო განვითარების ნაყოფია და არა მისი ჩამორჩენილობის განსახიერება. ეს კარგად ჩანს კიათურის მაგალითზეც. მართლაც, განა კიათურის მარგანცის მრეწველობის კაპიტალისტურ ყაიდაზე ძლიერ განვითარებულობის შედეგი არ იყო ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დამდეგიდან, უფრო ზუსტად, 1905 წლის შემდეგ კიათურის სამრეწველო პროლეტარიატი ტონს აძლევდა რევოლუციურ მოძრაობას დასავლეთ საქართველოში, გავლენას ახდენდა რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებაზე მთელს ამიერკავკასიაში, ზოგჯერაც რუსეთში¹²⁹. მეცნიერულად დაუსაბუთებელი თეზისი რევოლუციამდელი რუსეთისა და საქართველოს მრეწველობის ე. წ. ძლიერ ჩამორჩენილობასა და სისუსტეზე, შეუძლებელს ხდის ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ობიექტურ-ისტორიული წინამძღვრების მართებულად შეფასებას. ამ თეზისს ფალსიფიკატორული დანიშნულებით იყენებს თანამედროვე უცხოური რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, რომელიც ამტკიცებს, რომ რევოლუციას ჩვენში საფუძვლად ედო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და არა ეკონომიური ფაქტორები. უარყოფენ რა რუსეთში და, მით უფრო, მის განაპირა მხარეებში სოციალისტური რევოლუციის სოციალ-ეკონომიური წი-

¹²⁹ ამის საყურადღებო მაგალითია კიათურის მუშათა 1913 წ. საყოველთაო გაფიცვის გავლენა რუსეთზე («Исторические записки», 1956, № 58, стр. 330—331).

ნამძღვრების არსებობას, ატორიის ფალსიფიკატორები, თავისი ამოცანებისა და სუბიექტივისტური მეთოდოლოგიის შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებას შემთხვევით მოვლენად, „ისტორიულ პარადოქსად“¹³⁰ და რაღაც „Coup d'état“-ად¹³¹ აცხადებენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, ყოფილი ფაშისტი ისტორიკოსის, ამჟამად მარბურგის უნივერსიტეტის პროფ. გ. ფონ რაუხის კონცეფცია. იგი წერს: „წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა იმ ძალებზე, რომელნიც რუსეთის ისტორიაში გამოჩნდნენ, თუ კი დავუშვებდით, რომ ქვეყნის (მხედველობაშია რუსეთი — გ. მ.) განვითარებას აუცილებლობით მოჰყვა ბოლშევიზმი“¹³². ის უაპელაციოდ აცხადებს: ცარიელი ფიქცია იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღეს ძალაუფლება ხელთ იგდო მუშათა კლასმა“¹³³. რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შესწავლითა და მისი მიმდინარეობის ანალიზით ასევე თავს არ იწუხებს ვ. მარკერტი. რომლის განცხადებითაც ბოლშევიკების ქოსვლა ხელისუფლების სათავეში მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ცარიზმის დამხობამ რუსეთში შექმნა რაღაც „ვაკუუმი“, სიცარიელე¹³⁴. ტიუბუნგენის უნივერსიტეტის პროფესორის ამგვარ „თვალსაზრისს“ იზიარებს ე. ლემბერგი, რომელიც აცხადებს, რომ რომანოვების მონარქიის ლიკვიდაციამ გამოიწვია „ხელაწუფლების საბედისწერო ვაკუუმის“ შექმნა¹³⁵. ჰამბურგელი პროფ. ბ. მეისნერის აზრით, 1917 წ. რუსეთი „მოუმწიფებელი იყო“ მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის, მისი მტკიცებით, რუსეთის მუშათა კლასს მაშინ არ გააჩნდა შესაბამისი წინამძღვრები სოციალისტური იდეალების განხორციელებისათვის. ბ. მეისნერი აცხადებს: „1917 წლამდე, რუსეთში, არც კაპიტალიზმმა და არც პროლეტა-

¹³⁰ V. G l e r m a n n, Geschichte Russlands, Bd 1. s. 15.

¹³¹ M. K a r p o w i c h, Alecture on Russian History M. G., 1958; J. L a w r e n c e, Russia in the Making; G. v o n R a u c h, Geschichte des Bolschewistischen Russland, Wiesbaden, 1955.

¹³² G. v o n R a u c h, Geschichte des Bolschewistischen Russland, s. 15.

¹³³ ibid, s. 91.

¹³⁴ W. M a r k e r t, Zum Problem der Kontinuität in der russischen Geschichte. — „Deutschland und Europa,“ Düsseldorf, 1951, s. 308.

¹³⁵ E. L e m b e r g, Die Sowjetunion und Osteuropa, Salzburg, 1955 s. 155.

რიატმა არ მიაღწია თავის სრულ განვითარებას“, ამიტომ იქ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება შემთხვევითი ხასიათისაა¹³⁶. ჩვენში სოციალისტურ რევოლუციას „შემთხვევით“ და „ხელოვნურ მოვლენად“ აცხადებს აგრეთვე დასავლეთ გერმანელი პროფ. გ. რიტერი, რომელიც ლამობს იმის დამტკიცებას, რომ თითქოს რუსეთში 1917 წ. არ არსებობდა „მეურნეობის თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა“; ხოლო პროლეტარიატი კი წარმოადგენდა „სულიერად და სოციალურად გაუფორმებელ მასას“¹³⁷.

თანამდროვე ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს შორის მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას მხოლოდ გარეშე მიზეზებით ხსნიან. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, კალიფორნიელი პროფ. ტ. ლაუეს „კონცეფცია“, რომელიც უგულვებელყოფს ჩვენი ქვეყნის შინაგანი ცხოვრების განვითარების როლს სოციალისტური რევოლუციის მომწიფებაში. იგი წერს: „რუსეთის რევოლუცია განეკუთვნება რევოლუციების ახალ კატეგორიას, რევოლუციებს ჩამორჩენილ ქვეყანაში და ამიტომ ის შეიძლება გაგებულ იქნეს უმთავრესად როგორც რევოლუცია, რომლის მიზეზები უნდა ვეძებოთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ“¹³⁸.

ისტორიის ფალსიფიკატორები კიდევ უფრო დაეინებით უარყოფენ სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერებას ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოში. ისინი აზვიადებენ განაპირა მხარეების თავისებურებებს, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოსდა ამ მხარეებში სამრეწველო-ეკონომიური ცხოვრება იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ მას არც შეეძლო წარმოეშვა პროლეტარიატი, როგორც კლასი.

ისტორიის ფალსიფიკატორები ლამობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენში

¹³⁶ H. Meißner, Sowjetrussland zwischen Revolution und Restauration Köln, 1955, s. 22.

¹³⁷ G. Rutter, Lebendige Vergangenheit. München, 1958. s. 44, 45.

¹³⁸ Th. van Laue, Die Revolutionen ausser als erste Phase der Russische Revolution 1917. „Jahrbücher für Geschichte Osteuropas“, 1956, Bd. 4, H. 2, s. 138.

ადგილი არ ჰქონია არავითარ კლასობრივ ბრძოლას და, რომ საერთოდ თუ რაიმე მოძრაობა შეიმჩნეოდა აქ, ის იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და არა პროლეტარული. ამერიკელი პროფ. რ. პაიპის განცხადებით, ამიერკავკასიაში ამ დროს ძალზე ცოტანი იყვნენ ბოლშევიკებიც და სხვ.¹³⁹ ისტორიის ფალსიფიკატორების მიერ შეთხზული ვერსიით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ჩვენში იყო „არაკანონზომიერი მოვლენა“. გადატრიალება მოწყობილი საბჭოთა რუსეთის მიერ „შეიარაღებული ინტერვენციის“ გზით. ამ ვერსიით სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლი ქართველი ხალხისადმი მე-11 წითელი არმიის მიერ გაწეული დახმარება „მონათლულია“ როგორც „ბოლშევიკური ჩრდილოეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ“¹⁴⁰.

ამრიგად, თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია წინაზრახულად ცდილობს, დაამტკიცოს რევოლუციამდელი რუსეთის და მით უმეტეს მისი განაპირა მხარეების სამრეწველო-ეკონომიური ცხოვრების ე. წ. უკიდურესი ჩამორჩენილობა. ამ გზით ის ლამობს ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ობიექტურ-ისტორიული წინამძღვრებისა და მაშასადამე ჰისი კანონზომიერების უარყოფას, ან კიდევ, მას აფასებს როგორც რევოლუციას უკიდურესად ჩამორჩენილ ქვეყანაში.



ამგვარი „თეორიების“ წინააღმდეგ თავის დროზე დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა ვ. ი. ლენინი: როგორც ცნობილია, მარქსისტთაგან ვ. ი. ლენინმა პირველმა მოგვცა იმპერიალიზმის ეპოქის ღრმა ანალიზი. თავის კლასიკურ შრომებში ვ. ი. ლენინმა მკაფიოდ დაახასიათა იმპერიალიზმის ეპოქის რუსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროცესის მიმდინარეობა. მეცნიერულად დაასაბუთა, რომ რუსეთის შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობა იყო იმ-

¹³⁹ R. Pipes, The Formation of the Soviet Union. Communism and Nationalism 1917—1923. Harvard University Press, Cambridge, 1954, p. 98—99, 103—104.

¹⁴⁰ Review of the Institute for the study of the USSR, 1, München, 1954.

პერიალისტურ სახელმწიფოს შედარებითი ჩამორჩენილობა¹⁴¹. მიუთითებდა რა ყველაზე მოწინავე ქვეყნებთან შედარებით რუსეთის ჩამორჩენილობაზე, როგორც უკანასკნელის ერთგვარ თავისებურებაზე. ვ. ი. ლენინი წერდა: „მაგრამ ძირითადი ძალები — და საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები რუსეთში იგივეა. რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ასე რომ თავისებურებანი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ არა ყველაზე მთავარს“¹⁴².

ვ. ი. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა რევოლუციამდელი რუსეთის შედარებით ჩამორჩენილობის გაზვიადების წინააღმდეგ. რასაც დღეს თავგამოდებით ცდილობენ ისტორიის ფალსიფიკატორები. «Без известной высоты капитализма у нас бы. ничего не вышло — მიაწერა ვ. ი. ლენინმა ბუხარინის წიგნის — «Экономика переходного периода» — ერთ-ერთ გვერდზე, რომელიც შეიცავდა მტკიცებას, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრახი დაიწყო ყველაზე სუსტი სახალხო-მეურნეობრივი სისტემიდან. გახაზა რა სიტყვები «шансы капитализма», ვ. ი. ლენინმა მიაწერა: «Неверно: средние шансы»¹⁴³. ვ. ი. ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, როგორც ცნობილია. საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემდგომ შესწავლას, მათ შორის რევოლუციამდელი რუსეთისა და საქართველოს სამრეწველო-ეკონომიური განვითარების პროცესის შესწავლას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეში ჩავარდნები კვლავ შეინიშნება, კერძოდ, საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ზოგიერთი წამყვანი დარგების, მათ შორის ქიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება, ჭეროვანი სიღრმითა და სისრულით არაა გაშუქებული ქართულ საისტორიო და ეკონომიურ ლიტერატურაში. მკვლევართა ერთი ნაწილი მხოლოდ სამრეწველო მუშათა ყოფაცხოვრებისა და ბრძოლის ფაქტების აღწერით კმაყოფილდება და საკუთრივ სამრეწველო განვითარების პროცესზე დაკვირვებას არ აწარმოებს, ხოლო მეორე ნაწილი ასევე, იზოლირებულად, უმ-

141 В. И. Ленин, Соч., т. 39, стр. 179.

142 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. I, გვ. 369.

143 Ленинский сборник, XI, стр. 397.

თავრესად მხოლოდ სამრეწველო წარმოებას იკვლევს სამრეწველო მუშათა კლასის ჩამოყალიბებაზე დაკვირვების გარეშე. ამგვარი ნაშრომების ყველაზე სუსტ მხარეს საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების დონის შეუფასებლობა წარმოადგენს.



ჩვენ განვიხილეთ კაპიტალისტური ხანის საქართველოს მარგანეცის მრეწველობის ისტორიოგრაფია და დავინახეთ, რომ ამ დარგის ისტორიის შესამუშავებლად საბჭოთა პერიოდში უფრო ინტენსიურად გაიშალა მუშაობა: დაიწერა კვლევითი ან კიდევ მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომები, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არ გავაჩნია საკმაოდ საფუძვლიანი, განმაზოგადებელი მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან მთელი სისრულითა და სიზუსტით იქნებოდა გაშუქებული მრეწველობის ამ დარგის ისტორია. რევოლუციამდელი ქიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების დონის შეფასებისას, ასევე მოცემული პროცესის რიგი მხარეების გაშუქებისას, ზოგიერთი საბჭოთა მკვლევრის ნაშრომში შეინიშნება ბურჟუაზიული ობიექტივიზმის ერთგვარი გამოვლინება. სამაგიეროდ საბჭოთა პერიოდშივე შექმნილი არაერთი სერიოზული გამოკვლევა ხელსაყრელ პირობას ქმნის მოცემული დარგის სრულყოფილი ისტორიის შესამუშავებლად. ქიათურის მარგანეცის მრეწველობის მონოგრაფიულად გაშუქება ანუ მოცემულ დარგში სამრეწველო ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების, კლასობრივი ბრძოლის ჩასახვა-განვითარების პროცესის, ასევე მარგანეცის მრეწველობის განვითარების დონის დადგენა საქართველოს სამრეწველო ცხოვრებაში, მისი როლისა და ადგილის ჯეროვანი და საბუთიერი შეფასება, ჩვენი აზრით, ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა. ასეთი ნაშრომის შექმნით, უეჭველია გადაისინჯება ბაკითხის რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიისაგან მემკვიდრეობით მიღებული მცდარი თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქიათურის მარგანეცის მრეწველობა საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა და ის 1921 წლამდე „წვრილი: სასაქონლო და კუსტარული წარმოების“ ხასიათს ატარებდა.

3. რაბიანი

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის*

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის იმ სახელოვან მოღვაწეთა შორის ბრწყინავს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს თავისი ქვეყნის ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის ნამოქმედარი და ნაფიქრ-ნააზრი ქართული ისტორიული მეცნიერებისა და, საერთოდ, მთელი ქართული კულტურის ფასდაუდებელი სიმდიდრეა, ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის დამამშვენებელია. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და, საერთოდ, მთელი მისი მეცნიერული შემკვიდრების შესწავლას ენიჭება. ვფიქრობთ, როგორც ჩვენი სასიქადულო მეცნიერის დაფასების. ისე თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რომ ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხები სპეციალური კვლევა-ძიების საგნად ვაქციოთ. ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ სპეციალური. ბეჭითი და ყოველმხრივი შესწავლა ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა, მოგვცემს საშუალებას ღირსეულად დავაფასოთ დიდი ისტორიკოსის ღვაწლი და, ამავე დროს, ნათლად დავინახოთ ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევა-ნაკლოვანებანი. დავსახოთ ჩვენი შემდგომი წინსვლის გადაუდებელი ამოცანები. ამასთან, თავისთავად იგუ-

* წაკითხული იყო მოხსენების სახით 1966 წ. 26 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნ. სესიაზე.

ლისხმება, რომ რაგინდ დიდი და ძვირფასი არ უნდა იყოს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევები წარსულში, ჩვენ არ შეგვიძლია შევჩერდეთ მის რომელიმე ეტაპზე, რადგან ეს იქნებოდა ქართული ისტორიული აზრისა და, საერთოდ, ქართული კულტურის კრიზისის მაჩვენებელი. ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხსოვნა ვკავალეს. ისევე გაბედულად ვიართ წინ და განეავითაროდ ქართული ისტორიული აზროვნება თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისად. როგორც თავის დროზე თვით ისინი მიდიოდნენ წინ და მხარს უსწორებდნენ თავისი ეპოქის მოთხოვნილებებს.

წინამდებარე ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი მსოფლმხედველობის ყოველმხრივ განხილვასა და შეფასებას მიზნად არ ვისახავთ: ჩვენი მიზანია, დაეყენოთ და შეძლებისდაგვარად ნაწილობრივ მაინც გავაშუქოთ მხოლოდ ზოგიერთი, მის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი. რათა გავამახვილოთ ამ საკითხებზე სპეციალისტთა ყურადღება.

როგორც ცნობილია, ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში, სახელდობრ 20-30-იან წლებში, არა ერთხელ ყოფილა ცდები ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის შეფასებისა. მაგრამ იმდროინდელი ავტორები სამწუხაროდ, მისი მემკვიდრეობის შეფასებას უდგებოდნენ ცალმხრივად, უმთავრესად ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან. ამით აიხსნება, რომ მათ არა თუ ვერ შესძლეს ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის სწორი ახსნა და შეფასება, არამედ წარმოუდგენლად გაართულეს და დახლართეს მეცნიერის მსოფლმხედველობის გაგების პრობლემა, რითაც დიდი ხნით შეაფერხეს მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით. იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ერთი მხრივ, ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში იმ დროს შექმნილ ვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, მაშინდელი ისტორიოგრაფიული კრიტიკის დონეზე -- კრიტიკისა. რომელსაც მარქსისტულობის პრეტენზია გააჩნდა. თავს ნებას მიეცემთ მოკლედ შევეხოთ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებათა იმდროინდელი კრიტიკისა და შეფასების ზოგიერთ ნიმუშს.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელ ფრონტ-

ზე უადრესად დაძაბული იდეოლოგიური ბრძოლა სწარმოებდა. მარქსისტული მიმართულების ქართველმა ისტორიკოსებმა დიდი როლი ითამაშეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული შეხედულებების ნაშთების დაძლევისა და ისტორიის მატერიალისტური გაგების დანერგვის საქმეში. მაგრამ სამწუხაროდ ეს ისტორიკოსები არ იყვნენ სრულყოფილად დაუფლებული კვლევა-ძიების მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს და არც საქართველოს კონკრეტულ ისტორიის სათანადო ცოდნა გააჩნდათ; ისტორიული მოვლენებისა და ცალკეული ისტორიკოსების შეხედულებათა შეფასებას ისინი ძალიან ხშირად ეულგარულ-ნიჰილისტური პოზიციებიდან უდგებოდნენ. ამით აიხსნება, რომ მათ ვერ შეაძლეს რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის მემკვიდრეობის სწორი შეფასება და ამ მემკვიდრეობაში ავისა და კარგის გარჩევა. ამით აიხსნება ისიც, რომ ივ. ჭავჭავიძის ზოგიერთი შემცდარი შეხედულების სამართლიან კრიტიკასთან ერთად, მათ უარყვეს დიდი ქართველი ისტორიკოსის თითქმის მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა, გამოაცხადეს რა ივ. ჭავჭავიძის ნაციონალისტად და რეაქციონერად.

ჩვენ აქ რა თქმა უნდა არ გამოუვლდებოთ ივ. ჭავჭავიძის ზე ხანებელი პერიოდის ავტორთა ყველა გამონათქვამის გარჩევას, რადგან ამჟამად მათი მოგონებაც კი ჩვენში უსიამოვნების გრძნობას იწვევს, მაგრამ საკითხის ისტორიისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, გაკვრით მაინც შევეხოთ იმ დროისათვის დამახასიათებელ ორ კრიტიკულ ნაშრომს, რომლებშიც მოცემულია ივ. ჭავჭავიძის მსოფლმხედველობის შეფასების ცდა. მხედველობაში გვაქვს გიორგი სოსელიას სტატია «К вопросу о происхождении государства у картвельских племен», რომელიც 1931 წ. დაიბეჭდა, და კარლო ორაგველიძის მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც წაკითხული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სხდომაზე 1936 წ. 23 მარტს და იმავე წელს დაიბეჭდა უნივერსიტეტის „შრომებში“.

გ. სოსელია ცდილობდა დაერწმუნებინა მკითხველი, რომ თითქოს ქართველი ისტორიკოსები და, პირველ რიგში, მათი მეთაური ივ. ჭავჭავიძის მარქსიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და სწორედ ამ მიზნით ავრცელებდნენ ისინი ქართული სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ისეთ შეხედულებებს, რომელიც «Диамет-

რალის პროთივოპოჟენ მარქსისტული თეორიის პროსეჟდენიის გოსუდარსტვა»². ემყარებოდა რა ასეთ თვალსაზრისს. ავტორი: „მიწასთან ასწორებდა“ არა მარტო ივ. ჯავახიშვილსა და მის მიმდევრებს. არამედ იმ მარქსისტ ისტორიკოსებსაც, რომლებიც მისი სიტყვით, არასაკმარის ბრძოლას აწარმოებდნენ რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ და კუდში მისჩანჩალებდნენ მას³. თავის სტატიას ავტორი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: «Нам кажется, одним словом, что борьба с идеалистической, реакционной профессурой советской Грузии и, в частности, борьба реакционными теоретическими установками проф. Джавахишвили оставляет желать лучшего»⁴.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ დავიცვათ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ქართული სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რადგან ეს თვალსაზრისი მართლაც მცდარია, მაგრამ ამის გამო ივ. ჯავახიშვილის გამოცხადება მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოდ, რეაქციონერ ისტორიკოსად, მხოლოდ მარქსიზმის აშკარა ვულგარიზაციისა და პირდაპირი დამახინჯების შედეგად არის შესაძლებელი. ამგვარი მსჯელობა ივ. ჯავახიშვილზე მარტო ისეთ ავტორებს შეეძლოთ, რომლებიც საქართველოს ისტორიის კონკრეტულ კვლევა-ძიებას ციტატებით სცვლიდნენ და საოცრად აუბრალოებდნენ. ამახინჯებდნენ მარქსიზმის მოძღვრებასაც და საქართველოს ისტორიასაც.

სოსელიაზე კიდევ უფრო შორს წავიდა და ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობის აშკარად ცალმხრივი, არამეცნიერული შეფასება მოგვცა კ. ორაგველიძემ. მან ვრცლად განიხილა ივ. ჯავახიშვილის ისტორიული შეხედულებანი, შეუდარა ისინი მარქსია შეხედულებებს და იმ დაკვენამდე მივიდა, რომ „ი. ჯავახიშვილი უარყოფს არა მარტო მარქსის დიალექტიკურ მეთოდს, არამედ მის მატერიალისტურ თეორიასაც“⁵. ამ დასკვნის საფუძველზე ავტორმა ივ. ჯავახიშვილს უაღრესად მძიმე, მაგრამ სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებები წაუყენა. მისი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილი

² «Научные записки», ЗКУ, т. 1, вып. 5, 1931, გვ. 183.

³ იქვე, გვ. 220.

⁴ იქვე.

⁵ იხე „შრომები“, 1936, V, გვ. 16.

ერთსა და იმავე დროს ბურჟუაზიელი მიმართულების ისტორიკოსი არის და მემამულური მიმართულებისაც⁶, ამასთან. იგი წმინდა და წყლის იდეალისტი და რეაქციონერია. კ. ორაგველიძე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ თითქოს „ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა“⁷ და რომ იგი თითქოს „აშკარად დგას გაბატონებულ მემამულეთა კლასის თვალსაზრისზე“⁸.

დღეს რა თქმა უნდა ძნელია ადამიანმა უდიდესი განცვიფრების გარეშე წაიკითხოს ამგვარი მსჯელობა და აზრები. მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფიის იმდროინდელი დონისათვის ისინი უადრესად დამაბასათებელნი არიან. კ. ორაგველიძე, -- ისევე, როგორც მარქსიზმის ყოველი ვულგარიზატორი. ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობდა: რაკი ივ. ჯავახიშვილი არ არის დიალექტიკოს-მარქსისტი, მაშასადამე ის რეაქციონერია. იდეალისტიცა და ნაციონალისტიც. ასეთი უხამსი კრიტიკა, როგორც ცნობილია არა მარტო ივ. ჯავახიშვილს ხედა წილად. მას ვერ ასცდა თითქმის ვერც ერთი ჩვენი გამოჩენილი დემოკრატი მოღვაწე და მწერალი. ჩვენი ვითომდა მარქსისტი კრიტიკოსებისათვის არ არსებობდნენ დემოკრატიული მიმართულების მოღვაწენი. მათთვის თითქმის ყველა მეცნიერი და მწერალი. ვინც მარქსისტი არ იყო, ერთმთლიან რეაქციონულ ბანაქს შეადგენდა: ამ ბანაქს წარმომადგენლებს, მათი აზრით. შესწავლა და დაფასება კი არ ესაქიროებოდა, არამედ დამცირება და მიწასთან გასწორება. სამწუხაროდ, ჩვენში ამჟამადაც მოიპოვებიან ავტორები. რომლებიც ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს. ნაციონალიზმსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რის გამო ვერ აფასებენ ხალხისათვის თავდადებულ დემოკრატ მოღვაწეებს. მაგრამ. დღეს ეს უკვე აშკარა ანაქრონიზმია.

ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის გაგება. ჩვენი აზრით. შეუძლებელია ისე. თუ სათანადოდ არ გავითვალისწინეთ. ერთი მხრივ. ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იდეური ვითარება,

5 იქვე. გვ. 25. 44.

7 იქვე. გვ. 25.

8 იქვე. გვ. 27.

რომელშიც ეს მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიკოსის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი 1885 წ. შევიდა თბილისის პროგიმნაზიაში, ხოლო 1888 წ. ჩაირიცხა გიმნაზიის მეორე კლასში⁹. თბილისის გიმნაზია მან დაამთავრა 1895 წ. და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. პეტერბურგის უნივერსიტეტი ივანემ წარჩინებით დაამთავრა 1899 წ., რის შემდეგ დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1901 წ. დაამდგეს ივ. ჯავახიშვილი თბილისის საზღვარგარეთ და ერთხანს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებთან მუშაობდა თავის სპეციალობაში ცოდნის გასაღრმავებლად. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, 1902 წელს ივ. ჯავახიშვილმა, ნ. მართან ერთად, ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით იმოგზაურა არაბეთში, სინას მთაზე. ხოლო 1903 წ. იანვრიდან იგი დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტად და შეუდგა ლექციების კითხვას საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკითხებზე. ამ დროს იგი უკვე 27 წლის ქაბუკი იყო, — კარგად მომზადებული, დიდად ნიჭიერი და ენერგიით სავსე!

როგორც ამ ბიოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესი, ძირითადად, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მიმდინარეობდა. თუ წარმოვიდგენთ, იმ პერიოდის რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და ივ. ჯავახიშვილის აღზრდის პირობებს ოჯახსა, გიმნაზიასა და უნივერსიტეტში, აგრეთვე — ისტორიული მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობას, — ძნელი არ იქნება იმის მიხვედრა, თუ რა ფაქტორებს უნდა მოეხდინა გადამწყვეტი გავლენა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და განესაზღვრა ამ მსოფლმხედველობის მიმართულება და ხასიათი:

ივ. ჯავახიშვილის მამა, ალექსანდრე ჯავახიშვილი, განათლებული ქართველი არისტოკრატი, პროფესიით პედაგოგი ყოფილა და შვილები სანიმუშოდ აღუზრდია. როგორც ჩანს, ივანეს აღზრ-

⁹ ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიული ცნობები ამოღებული გვაქვს პროფ. დ. გვრიტიშვილის წიგნიდან „ქართლის ცხოვრების შესაიდუმლე“, 1960, თბილისი.

დაზე დიდი გავლენა ჰქონია აგრეთვე მის დედას. სოფიო ვახვა-
ხიშვილს, — მეტად ქვიანსა და ფაქიზი სულის ადამიანს. მოძა-
ვალი გამოჩენილი ისტორიკოსის ოჯახი ტიპური ქართული გა-
ნათლებული ოჯახი ყოფილა, სადაც პატრიოტული სულისკვეთება
სუფევდა და სადაც მოიპოვებოდა თითქმის ყველა წიგნი, რაც
კი იმ დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში იყო გამოცემული.
ექვსგარეშეა, რომ სწორედ აქ, საკუთარ ოჯახში ჩაენერგა პირვე-
ლად პატარა ივანეს თავისი სამშობლოსა და მისი წარსულისადმი
განსაკუთრებული სიყვარული და ამ სიყვარულმა შეაძლებინა მას.
ფიზიკურად სუსტ ადამიანს, გიგანტური შრომის გაწევა სამშობ-
ლო ისტორიის შესასწავლად.

სამშობლო ქვეყნის სიყვარული და მისი დიდებული წარსუ-
ლისადმი განსაკუთრებული ინტერესი კიდევ უფრო უნდა გაძლიერ-
ებულყო ივანე ჯავახიშვილის გულში გიმნაზიაში მისი სწავლის
დროს. როგორც ცნობილია, თბილისის გიმნაზიაში, ისევე რო-
გორც საქართველოს ყველა სხვა სასწავლებელში, იმ დროს მკაც-
რი რუსიფიკატორული რეჟიმი იყო გამეფებული და ქართული
ენა სასტიკად იღვევებოდა. ამით აიხსნება იმდროინდელი მოწი-
ნავე ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფება — დამოუკიდებლად.
სასწავლებლის გარეშე შეეძინა ცოდნა და შეესწავლა თავისი
დაჩაგრული სამშობლოს წარსული. ივ. ჯავახიშვილიც რომ იძუ-
ლებული იყო სწორედ ასევე მოქცეულიყო, ეს კარგად ჩანს მისი
სიყრმის მეგობრის ივანე ნიჟარაძის მოგონებიდან. რომელიც
უაღრესად საინტერესო დოკუმენტია მომავალი ისტორიკოსის
იმდროინდელი განწყობილების გასაგებად. „გიმნაზია ვანოს არ
მოსწონდა, — ამბობს ნიჟარაძე, — სწავლობდა კი კარგად. გარუ-
სების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავ-
და ქართველ შეგნებულ ახალგაზრდობას... შეგნებული ქართველი
ახალგაზრდობა დამოუკიდებლად სწავლობდა თავის ენასა და
კულტურას; მათ შორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ვანო.
მას უკვე გიმნაზიაში ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ უნივერსიტე-
ტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყო-
ფილებაზე შევიდოდა“¹⁰.

აქედან ჩანს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისას
ივ. ჯავახიშვილს უკვე ჰქონდა დასახული თავისი მომავალი მო-

¹⁰ დ. გერიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიღუმიე. 1960, გვ. 6.

ლვაწეობის ძირითადი მიმართულება. — ეს იყო სამშობლო ქვეყნის სამსახური. მისი ისტორიის მეცნიერული შესწავლა. მაგრამ რა გზით. რა მეთოდებით. როგორი თვალსაზრისით? ამ კითხვაზე მას ცხადია. ჯერ კიდევ არ ექნებოდა გარკვეული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული პასუხი, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ. რომ ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს უკვე გიმნაზიის წლებშივე ჩაესახა თავისი მომავალი მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ტენდენცია. — მაშინვე გამომვლავნდა მისი თვალსაზრისის დამახასიათებელი ნიშნები. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა იმავ. ნიჟარაძის ცნობა, რომლის მიხედვით ივ. ჯავახიშვილს გიმნაზიაშივე მოუმზადებია და წაუყითხავს საყურადღებო რეფერატები ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ და, აგრეთვე, თემაზე — „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში“.

რეფერატებისათვის ამ თემების არჩევა, რასაკვირველია, შემთხვევითი ფაქტი არ არის; ამგვარი არჩევანი ფრიად დამახასიათებელია არა მარტო ივ. ჯავახიშვილის პირადი კემოვნებისა და მისწრაფებებისათვის, არამედ ისტორიულ მეცნიერებაში იმ დროს გაბატონებული განწყობილებისათვისაც. ძნელი შეაამჩნევი არ არის, რომ ამ თემებს ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში შესვლამდე, შეჰყავდა იმ ისტორიკოსთა მეცნიერული ინტერესების სფეროში, რომლებიც მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მუშაობდნენ. ცნობილია, რომ რელიგიის ისტორიის შესწავლა ამ მეცნიერთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო: ცნობილია აგრეთვე, რომ ინგლისელი მეცნიერი ჰენრი ტომას ბოკლი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ისტორიკოსი იყო იმდროინდელ რუსეთში. ხოლო ის ფილოსოფიური მიმდინარეობა. — პოზიტივიზმი, — რომლის წარმომადგენელიც ისტორიულ მეცნიერებაში ბოკლი იყო, წარმომადგენდა იმდროინდელი რუსული პროფესიული ისტორიოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელო თეორიას. მის მსოფლმხედველობრივ, მეთოდოლოგიურ საყრდენს.

ამასთან დაკავშირებით და, აგრეთვე, იმისათვის. რომ წარმოვიდგინოთ პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ მეცნიერთა ჯგუფის მოღვაწეობის ხასიათი დამიმართულება. რომელთა შორის ივ. ჯავახიშვილი იზარდებოდა, ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ, როგორ დამახასიათებას აძლევს ხსენებულ მეცნიერთა მუშაობას საბჭოთა

რუსეთის უახლესი ისტორიოგრაფია. კაპიტალური ისტორიოგრაფიული ნაშრომის «Очерки истории исторической науки в СССР», მეხამე ტომში, რომელიც 1963 წ. დაიბეჭდა. ნათქვამია:

«Крайне немногочисленные кадры русских востоковедов академического направления группировались преимущественно вокруг Академии наук и восточного факультета Петербургского университета ... Характерным для большинства ученых востоковедов в конце XIX начале XX в. было сужение тематики их научных работ, уход от изучения современного Востока в глубь веков, увлечение исследованием религиозно-философских систем, изучением восточных рукописей и филологическими изысканиями...

Узкий круг ученых — востоковедов, представлявших академическое востоковедение, выступал под флагом аполитичности. Историки — востоковеды рассматривали государство как надклассовую силу, уделяли огромное внимание религии, роли личности в истории, мало занимались положением народных масс»¹¹.

შემდეგ: «Не сумев отстоять и развить прогрессивные традиции и тем более усвоить учение марксизма-ленинизма о классовом обществе и закономерностях его исторического развития, историки востока оставались на позициях идеализма, который все более приспособивался к обслуживанию интересов русского империализма и его колониальной политики на Востоке»¹².

აქედან ცხადია, რომ ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების კრიზისი, რომელმაც იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის ისტორიოგრაფია მოიცვა, აღმოსავლეთმცოდნეობის აკადემიურ ჯგუფზეც (ვ. ბარტოლდი, ნ. ვესელოვსკი, ვ. ჟუკოვი, ვ. როზენი, ნ. მარი და სხვ.) გავრცელდა და ეს გამოჩენილი მეცნიერებიც, მგეტი თუ ნაკლები ზომით. ცარინების კოლონიური პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაენერგა ე. წ.

¹¹ Очерки истории исторической науки в СССР, т. III, გვ. 538.

¹² იქვე, გვ. 536.

„სახელმწიფოებრივი («казенное») აღმოსავლეთმცოდნეობა“, რომლის წარმომადგენლები (მ. გრულევი, კ. სმირნოვი, ნ. ოსტროუმოვი და სხვ.) ზემოდან დასცქეროდნენ და აბუჩად იგდებდნენ აღმოსავლეთის ხალხებს, მათ შორის რუსეთის ქვეშევრდომ კავკასიელებს, და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ მათ გარუსებას¹³. — აღვილად წარმოვიდგენთ, რა რთულ და არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა ახალგაზრდა ივ. ჭავჭავიძის მსოფლმხედველობის ფორმირება.

ისტორიული მეცნიერების კრიზისი რუსეთში გამოწვეული იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით, რომლებიც თვითმპყრობელური სახელმწიფოს თვით საფუძვლებს ღრღნიდნენ. მასების რევოლუციურ მოძრაობას მეფის მთავრობამ აშკარა ძალადობა და სასტიკი ტერორი დაუპირისპირა. მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას მოჰყვა ცვლილებები იდეოლოგიის სფეროშიც. 80-90-იანი წლების ხანა რუსეთში რეაქციული იდეოლოგიის ზეიმის ხანა იყო. ოფიციალური საზოგადოებრივი მეცნიერებანი, და მათ შორის ისტორიული მეცნიერებაც, სულ უფრო და უფრო ეფლობოდნენ სუბიექტური იდეალიზმის კაობში; პოზიტივიზმი, რომელიც ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების თეორიულ საფუძვლად იქცა, აიძულებდა ისტორიკოსებს ხელი აეღოთ განმაზოგადოებელი ნაშრომების შექმნაზე, ისტორიის კანონზომიერებათა კვლევაზე და დაკმაყოფილებულიყვნენ მარტოოდენ ემპირიული ფაქტების აღწერით.

ასეთ ვითარებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა და მოახდინა კიდევაც ივ. ჭავჭავიძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე¹⁴. ამ გავლენამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ივ. ჭავჭავიძის აზროვნებაზე, განსაკუთრებით რევოლუციამდელ პერიოდში. ამ გავლენის შედეგია, კერძოდ, ივ. ჭავჭავიძის არასწორი თვალსაზრისი სახელმწიფოს წარმოშობაზე, რომლის მიხედ-

¹³ Очерки истории исторической науки в СССР, გვ. 537.

¹⁴ მართალია, იმავე 80-90-იან წწ. რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო განხლების დიადი პროცესი. რის შედეგად გზას იკაფავდა ყველაზე მოწინავე მეცნიერული თეორია, — მარქსიზმ-ლენინიზმი, მაგრამ მარქსისტული ლიტერატურა იმ დროს უმთავრესად არალეგალურად ვრცელდებოდა და ივ. ჭავჭავიძის, რომელიც თავისი წარმოშობით და მდგომარეობით არ იდგა ახლოს მარქსისტულ წრებთან, არ განუცდია ამ ლიტერატურის ცხოველყოფელი გავლენა.

ვით „საქართველოში გვარები და საგვარეულო წყობილება უნდა ჩაითვალოს სამეფო ხელისუფლების საფუძვლად“¹⁵. ამ გავლენის შედეგია აგრეთვე, რომ ივ. ჯავახიშვილი თავის აღრიხედელ შრომებში, შედარებით დიდ ყურადღებას უთმობდა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებას, ხოლო ისეთ თემებს, როგორცაა კლასთა ბრძოლა და მშრომელი მასების რაღი ისტორიაში, არასაკმარისად აშუქებდა. ჩვენი ფიქრით, სწორედ პოზიტიური ფილოსოფიის გავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სახელოვან ისტორიკოსს, — ყოველ შემთხვევაში რევოლუციამდელ პერიოდში, — მაინცა და მაინც არ იზიდავდა განმაზოგადებელი, თეორიული ნაშრომების შექმნა და უპირატესობას ემპირიული ფაქტების ძიებას ანიჭებდა.

მაგრამ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ. თითქოს რუსეთის იმდროინდელმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და ისტორიულმა მეცნიერებამ ივ. ჯავახიშვილზე მარტო უარყოფითი გავლენა მოახდინა და დადებითი კი არაფერი შესძინა. ასე მსჯელობა. ცხადია, საკითხის გაუბრალოება იქნებოდა. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ უარყოფით გავლენაზე, მხედველობაში გვაქვს უმთავრესად თეორიულ-მსოფლმხედველობრივი გავლენა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სერიოზულ ნაკლოვანებებთან ერთად, იმდროინდელი რუსეთის ისტორიოგრაფიას, კერძოდ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფს, ძალიან ბევრი დადებითი ნიშან-თვისებები გააჩნდა. კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი და დიდი წყაროთმცოდნეობითი ოსტატობა, განსაკუთრებული ინტერესი ფილოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, გაძლიერებული ყურადღება არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სხვა სპეციალური ისტორიული დისციპლინებისადმი, ფართო ერუდიცია, ენების ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება და მრავალი სხვა. ამგვარი თვისება ამშვენებდა პეტერბურგის ე. წ. „აკადემიური მიმართულების“ გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნეებს. რომელთა შორის მრავალი წლის მანძილზე იზრდებოდა და იწრთობოდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

15 И. А. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и древней Армении, 1905, гл. 9.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებზე დაკვირვება გვიჩვენებს. რომ მათი ავტორი ასურებდა გამოჩენილი რუსი მეცნიერებისაგან მიეღო და შეეფიცებოდა სწორედ ის, რაც მათში საუკეთესო იყო. ხოლო მათი რეაქციულ-კონსერვატული შეხედულებებისათვის გვერდი აევლო. ამის საუკეთესო მაგალითია ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ისტორიკოს სერგეი პლატონოვის შეხედულებებისადმი. როგორც ცნობილია, პროფ. ს. პლატონოვი ივ. ჯავახიშვილის პეტერბურგში ყოფნის დროს მოღვაწეობდა და ისტორიკოსთა პეტერბურგის „სკოლის“ აღიარებულ მეთაურად ითვლებოდა. მისი «Лекции по русской истории», რომელიც ათჯერ მაინც გამოიცა. შეიცავდა ისეთ შეხედულებებს, რომლებიც ახლოს იდგა იფიციალურ კონსერვატულ-მონარქისტული მიმართულების ისტორიკოსთა აზრებთან და ივ. ჯავახიშვილს, ცხადია, არ შეეძლო მათი გაზიარება. მაგრამ პლატონოვს ჰქონდა აგრეთვე ფრიად საინტერესო ისტორიოგრაფიული გამოკვლევები, რომლებიც არა მარტო ფაქტების დადგენის მხრივ, არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც საყურადღებო დაკვირვებებს შეიცავდნენ. ამ ნაშრომებში პლატონოვმა პირველად რუსულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გამოთქვა აზრი ისტორიული წყაროების ავტორთა „პარტიულობის“ შესახებ¹⁶. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა წყაროთა „გარეგან“ და „შინაგან“ კრიტიკას, პლატონოვი მოიხივდა, რომ გამორკვეულიყო «Кто писал, какой партии человек, с какой точки зрения, под каким влиянием, какие у него пристрастия, тенденции, настроения»¹⁷. ივ. ჯავახიშვილმა როგორც ცნობილია, წარმატებით გამოიყენა ეს თვალსაზრისი და შესანიშნავ შედეგებსაც მიაღწია თავის კაპიტალურ გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

ფრიად ნაყოფიერი იყო ივ. ჯავახიშვილისათვის მისი მუშაობა აკად. ვიქტორ როზენთან, რომელიც, პლატონოვისაგან განსხვავებით, შედარებით მოწინავე შეხედულებების მეცნიერი იყო და შეძლებისდაგვარად ებრძოდა კიდევაც მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას. მაგრამ განსაკუთრებით მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობა ივ. ჯავახიშვილს პროფ. ნიკო მარ-

¹⁶ «Очерки истории исторической науки в СССР», ტ. II, გვ. 591.

¹⁷ იქვე, ტ. III, გვ. 576.

თან ჰქონდა. ნ. მარმა ივ. ჭავჭავაძის დიდი ნიჭიერება და ჩინებულ მომზადება ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის დროს შენარჩუნდა. ამიტომ დაიხსოვება იგი და არა მარტო ლექცია-სემინარებზე ანეკდოტებდა, არამედ ბინაზეც იწვევდა დამატებით მუშაობისათვის. ნ. მარმა ყოველმხრივ შეუწყობ ხელი ივ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტში დატოვებას და მის პროფესორად მომზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ნ. მარმა ბურჟუაზიული ბერძნული მიმართულების მეცნიერი იყო და არასწორი შეხედულებები გააჩნდა არა მარტო ისტორიისა და ენათმეცნიერების რიგ ზოგად საკითხებზე, არამედ საქართველოს ისტორიის არა ერთ საკითხზეც: მიუხედავად ამისა. მან ბევრი რამ კარგი შესძინა ივ. ჭავჭავაძის და დიდად შეუწყობ ხელი მის. როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის. მომზადებას. ამით უნდა აიხსნას მათი იმდროინდელი მკიდრო ურთიერთობა და მეცნიერული თანამშრომლობა. კერძოდ, მათი ერთობლივი ექსპედიცია არაბეთში, სინას მთაზე. სადაც ამ გამოჩენილმა მეცნიერებმა დიდად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ქართული ხელნაწერების შესაწავლად: ამითვე აიხსნება ის ფაქტიც, რომ იმ დიდ იდეურ კამათში, რომელიც 90-იან წლებში გაჩაღდა, ერთი მხრივ, ნ. მარსა, ხოლო მეორე მხრივ. პატრიოტული მიმართულების ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, ივ. ჭავჭავაძის ნ. მარის მხარე დაიჭირა და საგანგებოდ დაწერილ ნაშრომში („მამულიშვილობა და მეცნიერება“. 1904 წ.) სცადა ნ. მარის შეხედულებების დაცვა.

ასეთია ზოგადად ივ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენის საკითხი. როგორც ამ გავლენის დადებითი, ისე მისი უარყოფითი ასპექტის გათვალისწინებით. ეს გავლენა იმდენად ძლიერი და ყოველმხრივია, რომ შეიძლება ითქვას: იმ დროს, — ე. ი. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ივ. ჭავჭავაძის თვითონაც ბურჟუაზიული-ლიბერალური მიმართულების ისტორიკოსი იყო და მისი მსოფლმხედველობის საფუძველს პოზიტივისტური ფილოსოფია შეადგენდა. მაგრამ ივ. ჭავჭავაძის ნაწერების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ მის მსოფლმხედველობაში ძალიან მალე. უკვე 1905 წ. პერიოდთან იწყება მნიშვნელოვანი ევოლუცია დემოკრატიზმისა და მატერიალური-საკუთ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

იდეების გავლენით. განსაკუთრებით კი 1905 წ. რევოლუციის იდეების გავლენით ივ. ჯავახიშვილი თანდათან თავისუფლდება ბურჟუაზიულ-ლიბერალური შეხედულებებისაგან და დგება დემოკრატიულ თვალსაზრისზე.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის დაძლევისა და რევოლუციური დემოკრატიზმის შეთვისების გზაზე ივ. ჯავახიშვილმა გადადგა 1906 წ.. როდესაც გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი ნაშრომი «Политическое и социальное движение в Грузии XIX в.». ეს ნაშრომი არა მარტო ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში, არამედ, საერთოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც დიდი სიღრმითა და ოსტატობით არის გაშუქებული საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა დაწვრილებით გაგვეჩია ამ ნაშრომის ღირსება-ნაყოფანებანი¹⁸ და ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ ამას კი ვიტყვი: მისი ავტორი გვევლინება უკვე, როგორც ნამდვილი დემოკრატი, — როგორც ქართველი გლეხობის ერთგული დამცველი და მეგობარი.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ლიბერალური შეხედულებების დაძლევისა და დემოკრატიული თვალსაზრისის შეთვისების გზაზე ივ. ჯავახიშვილმა გადადგა 1913 წ. შემდგომ პერიოდში, როდესაც იგი, ერთი მხრივ. „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე შევსებულ გამოცემაზე მუშაობამ, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულმა იდეურ-პოლიტიკურმა ბრძოლამ აიძულა არსებითად გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ნ. მარის შემცდარ შეხედულებებთან და ენერგიულად დაეცვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ხაზი. ვინც არ მოერიდება შრომას, ყურადღებით გადაათვალიეროს და ერთმანეთს შეუდაროს „ქართველი ერის ისტორიის“ აღრინდელი და შემდგომი გამოცემები, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ივ. ჯავახიშვილმა ხსენებული ნაშრომის მესამე (1928 წ.) გამოცემაში და ამ გამოცემის ე. წ.

¹⁸ იხ. პ. რატიანი, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ისტორიის ინსტ. შრ., ტ. III, 1958.

„შესავალ წიგნებში“ დაუნდობელი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ნ. მარის შემცდარი ისტორიულ-ფილოლოგიური შეხედულებანი, აგრეთვე ნ. მარის მოძღვრებასთან დაკავშირებული თავისი საკუთარი ადრინდელი აზრები. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა საქართველოს ძველი ისტორიის, თითქმის, არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, — ქართული ეკლესიის ისტორიით დაწყებული და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებით გათავებული, — რომელზეც ივ. ჯავახიშვილს არ გადაესინჯოს თავისი დამოკიდებულება ნ. მარის შეხედულებებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო მასალას შეიცავს ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელშიც სპეციალურად არის განხილული ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების შესახებ არსებული ლიტერატურა და, მათ შორის, ნ. მარის ე. წ. იაფეტური თეორია. ნაშრომის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი თვითონვე გულახდილად მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც იგი აიძულეს მოეკიდა ხელი სპეციალური ენათმეცნიერული საკითხების შესწავლისათვის და ძირფესვიანად გადაესინჯა ამ დარგის მკვლევართა წინანდელი შეხედულებანი. აი მისი სიტყვები:

„როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნს ვწერდი, ქართულ-ქართველურა ლინგვისტიკურ საკითხებზე მსჯელობის დროს, ნ. მარის ნაშრომებს და თეორიას ვემყარებოდი, რომელიც მაშინ შეუმცდარად მეჩვენებოდა. I წიგნის მეორე, გაფართოებულს გამოცემაზე მუშაობამ უკვე დამარწმუნა, რომ ქართულის სემურობის თეორიის დასაბუთება არც ისე ძტიციე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა... პირველი წიგნის მესამე გამოცემის შესავსებად მუშაობა უკვე იმ დროს მომიხდა, როდესაც წინანდელი დებულებების გამეორება უკვე სრულებით შეუძლებელი იყო...

ასეთ პირობებში, ან ქართველი ერის ისტორიის დასაწყისი ხანის განხილვის დროს ზემოაღნიშნული პრობლემების შესახებ მსჯელობაზე უნდა მეთქვა უარი, ანდა ამ საკითხების შესწავლას თვით შევდგომოდი...

ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ

ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსება-
ნაკლიც დამანახვა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნა-
ყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური
ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოჩარკვევად.
ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფობის ერთ მიზეზთაგანს იმ მეთო-
დოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობა შეადგენდა,
რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები
უნდა გამოკვლეული ყოფილიყო¹⁹.

აქედან სავსებით ცხადია, რომ ივ. ჯავახიშვილი, როგორც
მეცნიერი, წინ წავიდა, ახალი, უფრო მოწინავე მეთოდოლოგიური
იარაღი მოიმარჯვა და, რადგან წინანდელი ენათმეცნიერული
თეორიები აღარ აკმაყოფილებდა, თვითონვე შეუდგა მათ ძირფე-
სვიან გადასინჯვას და ენათმეცნიერებაში ახალი გზების გა-
კაფვას.

განსაკუთრებით ვრცლად და საფუძვლიანად მან აკად. ნ. მა-
რის შემცდარი შეხედულებანი გააკრიტიკა და, რაც მთავარია,
ნ. მარს მეთოდოლოგია დაუწუნა. ააშკარავებდა რა ნ. მარის
ეტიმოლოგიური ანალიზის თვით მეთოდის უვარგისობას, ივ.
ჯავახიშვილი დიდი დამაჯერებლობით, და ოდნავი ირონიითაც,
ასაბუთებდა მარის საენათმეცნიერო თეორიის სრულ უსაფუძვ-
ლობას, ის ამბობდა:

„ტომობრივი და გეოგრაფიული სახელების (არასწორმა)
ეტიმოლოგიებმა. იაფეტური მრავლობითი რიცხვების მისმავე
მწყრივმა მკვლევარს უცნაური სურათი გადაუშალა: ერთსა და
იმავე მიწაწყალზე, ერთსა და იმავე დროს ძველადვე მრავალი
სხვადასხვა სახელის მატარებელი ხალხი აღმოჩნდა მოსახლედ.
გასაოცარი ის იყო, რომ მარტო ერთგან სადმე კი არა, არამედ
ყველგან მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა ყოფილა. იმის მაგ-
ერ, რომ ამ საოცრებას ამ ეტიმოლოგიების შეუმცდარობისა და
სისწორის ექვი აღეძრა. აკად. ნ. მარმა ეს უცნაურობა კანონად
აღიარა და იაფეტური ენათმეცნიერების უდავო ჭეშმარიტებად
გამოაცხადა. საქმე ის არისო, ამბობს ნ. მარი თავის 1924 წ. გა-
მოსულ ერთს შრომაში, რომ ეხლა უკვე უცილებელი ფაქტია,

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება,
და ნათესაობა. 1927. გვ. XI—XII.

რომ სანამ ახალი ხალხები და ენები (ე. ი. სემიანნი და ინდოევროპელნი) შეიქმნებოდნენ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების ადრეული მოსახლეობა განუწყვეტლივ მძღვენო კვანძ კვანძებად იყო მოფენილი. მოსახლეობის ეს კვანძები სხვადასხვა. ერთი-მეორისაგან სრულიად დაშორებულ ადგილებშიც კი ერთი და იმავე ტომობრივი ჯგუფების გამეორებას წარმოადგენდნენ. რა აერთებდათ ამ მულამ ერთი და იმავე შემადგენლობის ჯგუფებს? როგორც ჩანს, ტომობრივ ძმადნაფიცობად ქცეული ტოტემური კავშირიო, რაც იაფეტიან ტომებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების უუქველეს, დააბამიდან მოსახლედ გვაფიქრებინებსო. ბრძანებს ავტორი.

აკად. ნ. მარი არ უხსნის თავის მკითხველს. თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ჯადოსანი, რომელმაც „იაფეტიანთა“ სხვადასხვა ტომები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს ერთი და იმავე ტომობრივი შენარევობით მოსახლეობის განუწყვეტელ კვანძებად მოჰფინა, ან ვინ ბრძანდებოდა ის დალოცვილი, ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე მშვიდობიანობის დამნერგველი, რომელმაც იაფეტიანთა ყველა ტომები ისეთ უმანკო კრავებად გახადა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ სურდათ და ბრძოლა-ჭიშობის მაგიერ მხოლოდ ტოტემურ ძმადნაფიცობას შეჰხაროდნენ? არა მგონია. ასეთი მისტიკური სურათისა და იდილიის დაჭერება ვისმე შეეძლოს²⁰¹!

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილს დიდ შეცდომად მიაჩნია ამა თუ იმ ხალხზე ცალკეული ეტიმოლოგიების მიხედვით მსჯელობა. ამ ხალხის ისტორიული ვითარებისა და მისი ენის შინაგანი ბუნების გაუთვალისწინებლად. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს უაღრესად საინტერესო თვალსაზრისია. წინ გადადგმული საყურადღებო ნაბიჯია, რომელიც გამოჩენილი ისტორიკოსის თვალსაზრისის თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე მეთოდოლოგიასთან აახლოვებს.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყბადაღებულ თეზისს. ხალხებისა და ტომების ვითომდა შესმატკბილებული. ძმური თანაცხოვრების შესახებ და სრულიად გარყვევით მიუთითებს, რომ უძველეს დროშიც, ხალხებსა და ტომებს

შორის. ძმადნაფიცობა კი არა, განუწყვეტელი ბრძოლა და ქიშპობა*სუფევდა. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამგვარი თვალსაზრისი შორს სცილდება სხვადასხვა იდეალისტურ-პოზიტივისტურ მოძღვრებებს და ისტორიის მატერიალისტურ გაგებას უახლოვდება.

თავის საინტერესო მსჯელობას ნ. მარზე ივ. ჯავახიშვილი შემდეგი საყურადღებო დასკვნით ამთავრებს: „აკად. ნ. მარის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულია, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო... ამ სფეროში მისი (ნ. მარის) დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია. რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიქიაა და დაუშრეტელი ენერჯის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც — კი, როგორც უცილობლად აკად. ნ. მარია“²¹.

ასე მკაცრად, მაგრამ სრულიად სამართლიანად შეაფასა ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის საენათმეცნიერო მოღვაწეობის შედეგები. ცხადია, მას ამის შესაფერისად უნდა შეეცვალა და შესცვალა კიდევაც თავისი აზრი ქართველოლოგიის ისტორიაში ნ. მარის ადგილის შესახებ; თუ წინათ „ქართველი ერის ისტორია“ აღრინდელ გამოცემაში იგი ნ. მარს ქართველოლოგიის საენათმეცნიერო დარგის ფუძემდებლად და მოთავედ მიიჩნევდა²², ახლა იმავე ნაშრომის შესამე გამოცემაში მან ქართველმცოდნეობის საენათმეცნიერო დარგის ფუძემდებლად და თაოსნად გამოჩენილი სამოციანელი მოღვაწე ალ. ცაგარელი გამოაცხადა²³, ნ. მარს კი ამ საქმის მხოლოდ გამგრძელებლის როლი მიაკუთვნა, რითაც ისტორიული სიმართლე აღადგინა.

ყოველივე ზემონათქვამიდან ნათელია, რომ ივ. ჯავახიშვილმა გადაჭრით უარყო ბურჟუაზიული ენათმეცნიერების გზა,

21 იქვე, გვ. 76.

22 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 3.

23 ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 7.

წავიდა წინ და ჩამოშორდა თავის წინანდელ მეგობარსა და მასწავლებელს ნ. მარს. მაგრამ ივ. ჯავახიშვილისა და ნ. მარის დაშორება განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულ მწვავე იდეურ ბრძოლაში, რომელიც ამ ორ მოღვაწეს შორის გაიმართა. ამ ბრძოლის აზრი რომ კარგად გავიგოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, ერთი მხრივ, ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც 1905—1907 წ. რევოლუციის შემდეგ რუსეთსა და საქართველოში შეიქმნა, ხოლო, მეორე მხრივ, ის მიზნები, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი იმ დროს ისახავდნენ.

როგორც ცნობილია, ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ოცნებობდნენ მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწენი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები, და არა მარტო ოცნებობდნენ, პრაქტიკულადაც იბრძოდნენ და ამზადდებდნენ პირობებს უნივერსიტეტის დაარსებისათვის; სწორედ ამის მოწმობაა ჩვენი უნივერსიტეტის ის დიდებული შენობა, რომელიც მათ საკუთარი თაოსნობით და დიდი გაჭირვებით შეგროვილი ფულით ააშენეს. მაგრამ ამ შესანიშნავმა ადამიანებმა ვერ შესძლეს, უკეთ რომ ეთქვათ, მათ არ შეეძლოთ ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რადგან ცარიზმი შეგნებულად უშლიდა ხელს და ახშობდა ერების მისწრაფებას, განევითარებინათ თავიანთი საკუთარი მეცნიერება და კულტურა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მასების მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ თვითმპყრობელობის ტახტი წალეკა, ხოლო შემდეგ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთის ექსპლოატატორ კლასთა ბატონობა დაამხო, გაჩნდა რეალური შესაძლებლობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა დამოუკიდებელი კულტურული განვითარებისა. ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც დიდი ხნით აღრე ემზადებოდა ამ მომენტისათვის, და ის, რაც მის სახელოვან წინაპართა მხოლოდ ოცნებას შეადგენდა, მან რეალურ ფაქტად აქცია: 1918 წ. 26 იანვარს (ძვ. სტილით) თბილისში ქართული უნივერსიტეტი დაარსდა.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა უდიდესი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ფაქტს ქართველ ხალხზე, რომელიც განსაკუთრებული სიხარულითა და აღფრთოვანებით შეეგება თავისი უნივერსიტეტის შექმნას. ეს სიხარული და აღფრთოვანება გასაგები

გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ დამცირებას, ტანჯვა-წვალებასა და ეროვნულ ჩაგვრას, რომელსაც ქართველი ერი. რუსეთის თვითმპყრობელობის მხრივ. ას წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში განიცდიდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის აგრეთვე ქართველი ხალხის იმდროინდელი ფსიქოლოგიური განწყობილება: 1905 წ. დიდი იმედების გაცრუების შემდეგ, როცა რუსეთში კვლავ შავი რეაქცია გაბატონდა და, თითქოს, აღარ ჩანდა სინათლის სხივი; როცა, ამავე დროს, ერთიმეორეზე ჩამოვიდნენ ცხოვრების სცენიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კორიფეები — ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი; როცა თითქოს გაწყდა სასოება ერისა, — გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც არა მარტო ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ ქართული კულტურის მთელ ფრონტზე გააგრძელა მათი დიდი საქმე და თბილისში ქართული კულტურის ჩაუქრობელი კერა აანთო. ეს ადამიანი იყო ივანე ჯავახიშვილი, და რა გასაკვირია, რომ ქართველმა ერმა იგი ისევე შეიყვარა, როგორც უყვარდა დიდი ილია, აკაკი, ვაჟა და „დედა-ენის“ შემქმნელი იაკობი.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წ. ჩვეულებრივი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას როდი ნიშნავდა; ეს იყო ქართული კულტურის გამარჯვების ზეიმი, მისი თვითმყოფობის, მისი წარსულის, აწმყოსა და მერმისის დადასტურება; ეს იყო, ნიკო ბერძენიშვილის სამართლიანი თქმით, მეცნიერულ-რევოლუციური აქტი²⁴, რომელიც თავისუფლებას მოასწავებდა.

მაგრამ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა ასეთი მისწრაფება თავისუფლებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისაკენ, არ შედიოდა რუსეთის გაბატონებულ კლასთა ანგარიშებში. ეს კლასები, განსაკუთრებით კი დიდმპყრობელურ-შოვინისტური ბურჟუაზია, მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგაც მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ერთა თვითგამორკვევისათვის და კვლავ განეგრძოთ მეფის მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკა. რუსეთის ბურჟუაზიისა და მისი დროებითი მთავრობის ამგვარმა ანტიხალხურმა მოქმედებამ გაააქტიურა ბურჟუაზიის იდეოლოგთა და, მათ შორის, მეცნიერთა ანტიხალხური მოღვაწეობაც. თუ წინად, 1905 წ. ქეჟა-ქუხილის დროს ლიბერალური ბურჟუა-

24 ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 266.

ზია და მისი იდეოლოგები, ჯერ კიდევ, ლიბერალიზმის დროშით გამოდიოდნენ და, ზოგჯერ, დემოკრატიზმსაც კი ეთამაშებოდნენ, ახლა ისინი აშკარად გადავიდნენ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. როგორც ჩანს, ამ ბანაკის გავლენას, სამწუხაროდ, ვერ ასცდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერიც კი, როგორიც ნიკო მარი იყო. ყოველ შემთხვევაში ასეთი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ის პოზიცია, რომელიც მან დაიკავა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და ზოგიერთი სხვა ეროვნული ხასიათის პრობლემისადმი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის რომ ნ. მარი უაღრესად ნიქიერი და ფართოდ ერუდირებული მეცნიერი იყო და დიდად ვაფასებთ იმ ღვაწლს, რომელიც მას უდავოდ მიუძღვის, საერთოდ, კავკასიის ხალხთა და, კერძოდ კი, ქართველები ენისა და კულტურის შესწავლის, ქართული ძეგლების სანიმუშოდ გამოცემისა და სხვა საქმეში, მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ნ. მარის, როგორც მეცნიერის, ერთი ფრიად სერიოზული ნაკლი, რომელიც მას ხელს უშლიდა მუშაობაში და რომელიც იწვევდა მის მრავალრიცხოვან სამწუხარო შეცდომებს: ეს ნაკლი გახლდათ მტკიცე და გარკვეული მსოფლმხედველობრივი პრინციპების უქონლობა. მის ნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნ. მარს არ გააჩნდა ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, ადვილად ეგუებოდა გაბატონებულ შეხედულებებს და იცვლიდა აზრებს გარეშე ვითარების შეცვლის კვალობაზე. ამით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ იგი ხან ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს იზიარებდა, ხან დემოკრატიზმს, ზოგჯერ რუსულ დიდმპყრობლურ შოვინიზმს უქმევდა გუნდრუკს და, ბოლოს, მარქსისტობაც მოინდომა. ასეთი მერყეობა და ხშირი ცვალებადობა მსოფლმხედველობისა არ შეიძლებოდა არ დატყობოდა და დაეტყო კიდევაც მის მეცნიერულ ნაშრომებს. იშვიათია ისეთი მეცნიერი, რომელსაც თავის სიცოცხლეში იმდენი სხვადასხვა და, ხშირად, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები გამოეთქვას, რამდენიც ნ. მარმა გამოთქვა.

ჩვენ აქ, ცხადია არ ვაპირებთ ნ. მარის მთელი შემკვიდრების მსოფლმხედველობრივი საფუძვლების გამოკვლევას; ჩვენ არც იმ წერილების შინაარსს გადმოვცემთ, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით ნ. მარმა რუსულ

პრესაში გამოაქვეყნა, რადგან ეს ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ გასაგები გახდეს, თუ რამდენად დაშორდა ივ. ჯავახიშვილი თავის წინანდელ მასწავლებელს და თანამოაზრეს, თავს ნებას მივცემთ, მოვიტანოთ რამდენიმე ამონაწერი ივ. ჯავახიშვილის ერთი გამოუქვეყნებელი მოხსენებიდან, რომელიც ავტორს დაუწერია 1922 წ. უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავზე²⁵.

ივ. ჯავახიშვილის ამ მოხსენებიდან ნათლად ჩანს, რომ ნ. მარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება ჩვენი ინტელიგენციის „უკიდურესად ნაციონალისტური, ავადმყოფური გრძობის წარმონაშობად“ მიუჩნევია და ამიტომ სასტიკი ბრძოლა გაუმართავს უნივერსიტეტის დამაარსებელთა წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი არა ერთხელ გამოსულა რუსულ პრესაში, მაგრამ ამასაც არ დასჯერებია და „რუსეთის განათლებული საზოგადოებისა და სამეცნიერო აკადემიისათვის შეუთხზავს“ სპეციალური მოხსენება, რომელიც აკადემიის უწყებებში დაუბეჭდავს.

ნ. მარს დიდათ აღუშფოთებია იმ. გარემოებას, რომ ქართველმა მეცნიერებმა პეტერბურგის უნივერსიტეტი მიატოვეს და მეცნიერების ამ დიდი წყაროს სამსახურს საქართველო და ქართული უნივერსიტეტი ამჟობინეს. და აი, იმისათვის, რომ დაემციერებინა ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობა, ნ. მარს საჭაროდ განუცხადებია, რომ, თითქოს, თბილისის „უნივერსიტეტის სამეცნიერო მხარე მხოლოდ და მხოლოდ მისი, ნ. მარსის სამეცნიერო მსოფლმხედველობის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის უხეირო ცდა ყოფილა“ (მოხს. გვ. 14); ერთადერთი ცვლილება, რაც ქართული უნივერსიტეტის მესვეურებს ნ. მარსის პროგრამაში შეუტანიათ, ვითომც ის ყოფილა, რომ ყველგან სიტყვა „იაფეტურის“ ნაცვლად, — განზრახ, ნაციონალისტური ზრახვების განსახორციელებლად, — სიტყვა „ქართული“ ჩაუწერიათ (გვ. 15). ნ. მარსის გულმოდგინება და ერთგულება რუსეთის გაბატონებული კლასებისადმი იქამდეც კი მისულა, რომ ქართველი ხალხის უფლება თბილისზე, როგორც საქართველოს დედაქალაქზე, ეპვს ქვეშ დაუყენებია.

²⁵ ეს მოხსენება ინახება ცენტრალურ საისტორიო არქივში (ცსაორ, ფონდი 471, საქმე — 74, ფურც, 180—289); მისი ასლი ჩვენ გადმოგვცა პროფ. დ. გვრიტიშვილმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

ივ. ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში დეტალურად არჩევს ნ. მარის მიერ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს და დიდი დამაჯერებლობით არღვევს მათ. ეხება რა, კერძოდ, პეტერბურგიდან ქართველ მეცნიერთა წამოსვლის მიზეზს, ივ. ჯავახიშვილი ამბობს:

„უცნაურია, რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად. ნ. მარს, რადგან ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალლო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს. მიკვირს სწორედ და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეეძლო როგორმე ეფიქრა, რომ ჩვენ, ქართველი მეცნიერები ჩვენი, გინდაც პატარა და დაჩაგრული სამშობლოს და ერის ინტერესებსა და სამსახურს კულტურული, უჩვენოდაც მდიდარი დიდი რუსეთის უნივერსიტეტების კეთილდღეობას ვანაცვალდებით და რომელიმე ჩვენგანი თავის ეროვნულ და საზოგადოებრივ მოვალეობას უღალატებდა“ (გვ. 25—27).

ივ. ჯავახიშვილი დაწერილებით არჩევს და კატეგორიულად უარყოფს აგრეთვე ნ. მარის უსაფუძვლო პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა და პროგრამები, ე. ი. უნივერსიტეტის მიმართულება და დედააზრი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტისა და პირადად მისი, ნ. მარის შეხედულებების საქართველოში გადმონერგვის ცდა ყოფილიყოს და მეტი არაფერი.

„საითგან წარმოადგინა ბ-ნმა მარმა, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რაიმე საერთო ექნებოდა? ხოლო თუ სიმართლის გაგონება სურს ნ. მარს, ჩვენ კი არ გავვიდევნია ტერმინი იაფეტური, არამედ სწორედ მან განდევნა რეალური ერთეული, ისტორიულად და ეხლაც არსებული ტერმინი ქართული და თავისი ჩვეულებრივი ჟინიანობით ყველგან ქართულის მაგიერ შემოიღო თავისაგან შეთხზული და მოგონილი, მისი ავტორისათვისაც-კი გამოურკვეველი ერთეულისა და ცვალებადი ცნების გამომხატველი ტერმინი „იაფეტური“...“

იაფეტური ენათმეცნიერება ნ. მარის პირადი მონოპოლიაა და, დამწვიდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი, არც ერთს

ჩვენგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებად არ ქონია განზრახული“ (17).

ივ. ჯავახიშვილის განსაკუთრებული გულისწყრომა გამოუწვევია ნ. მარის შემდეგ მსჯელობას:

«...В идейном обосновании даже законного и ныне тяготения грузин к Тифлису, тем более домогательства к полному в нем господству, кроется коренное недоразумение, политический анахронизм... Тифлис, исторически бесспорно грузинский город, за сто лет русск. правления вырос столь же бесспорно в центра всего Кавказа, который нет никакой возможности отождествить, ныне с Грузиею. Тифлис при этом центр не только административный, но и культурный всего Кавказа. И если эту реальность кто-либо может забыть, то не русский народ: русский народ не имеет права этого забывать» (стр. 1508, მოხს. გვ. 29-30).

ნ. მარის ამ, უდავოდ დიდმპყრობელური სულისკვეთებით გაყენებული მსჯელობის გამო, ივ. ჯავახიშვილი უდიდესი გულსტივილით ამბობს: „ნუთუ იმ დროს, როდესაც იგი ამ მუქარითა და ღვარძლით სავსე სტრიქონებს წერდა, ოდნავ მაინც ხელი არ აუკანკალდა და თავში რაიმე ეჭვმა არ გაუელვა? ბატონებო, თუ უზარმაზარი მიწა-წყლის მფლობელებს — რუსის ხალხს, რომლის მთავრობამაც, ამ ასი წლის წინად ქართველთა მოკავშირედ და მფარველად შემოშვებულმა, ვერაგობით თავისუფლება მოგვისპო და ტფილისი და საქართველო ხელში ჩაიგდო, ამ ერთი საუკუნის ძალმომრეობით მონაპოვრის დავიწყება არც შეუძლიან და არც უფლება აქვს, რა უფლება აქვს და როგორ უნდა დაივიწყოს ჩვენმა პატარა ერმა თავისი მრავალსაუკუნოვანი წარსული, მამა-პაპათა შრომითა და გამჭირაზობით მონაპოვარი და მათი თავგანწირული მამაცობითა და სისხლით დაცული თავისი პატარა სამშობლოს დედაქალაქი, რომელიც ყოველთვის ქართული ქალაქი იყო და ურომლისოდაც საქართველოს წესიერი არც პოლიტიკური და არც კულტურული ცხოვრება არ შეუძლიან“ (გვ. 30).

როდესაც დღეს ჩვენ ამ მკაცრ სტრიქონებს ვკითხულობთ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ აქ ბევრი რამ იმდროინდელი მომენტის სიმწვავით აიხსნება, მაგრამ საკითხის არსი დღესაც უცვლელია

კერძოდ უდავოა, რომ ნ. მარი და ივ. ჭავჭავაძეები ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ: ერთი მათგანი რუსეთის გაბატონებული კლასების, პირველ რიგში, ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის გზას დაადგა, ხოლო მეორე — თავისი დაჩაგრული ქვეყნისა და ხალხის, პირველ რიგში, გლეხობის ინტერესების დამცველად მოგვევლინა. ივ. ჭავჭავაძე თვითონვე დაუფარავად წერს ნ. მართან მისი ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზებზე და მიუთითებს, რომ ამის მიზეზი იყო როგორც ნ. მარის მიერ დაკავებული საზოგადოებრივი პოზიცია, ისე წმინდა მეცნიერული გზების სხვადასხვა მიმართულება. აი მისი სიტყვები:

„ჩვენ შორის მართლაც დიდი ხანია ორგვარ ნიადაგზე აღმოცენებული შეუთანხმებლობა იყო, მაგრამ მხოლოდ ეხლა. როდესაც ჩვენ, სამწუხაროდ დაგვიანებით, მისი უკანასკნელი 1917—1918 წ. მოღვაწეობის ძეგლები გადავიკითხეთ, ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენსა და ნ. მარს შუა სრული უფსკრული ყოფილა... ჩვენი უწმინდესი სულისკვეთება და უძვირფასესი გულისნაღები, ჩვენ წლობით ნათქვამი ოცნება მისთვის გაუგებარი ყოფილა და ფეხქვეშ გასათელი... ყოველი პირუთვნელი მკითხველი მიხვდება, თუ რამდენად ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ნიადაგზე ერთი ერთმანეთს დავეშორებოდით.

თუ ეხლა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას შევეხებით, აქაც ბევრი რამეს თქმა შეიძლება, მაგრამ ვეცდებით სიტყვა მოკლედ მოვქრათ... თვით აკად. ნ. მარი იძულებულია გამოტყდეს, რომ... რასაც იგი 30 წლის განმავლობაში გააფთრებული იცავდა სხვათა მკირეოდენი ექვისაგან და ყველას, მისი თეორიის უარყოფელთ, უვიცადა და უგუნურად სთვლიდა; ის, რასაც თავითგან ბოლომდის მეცნიერების უკანასკნელ და უცილობელ ჰემმარიტებად ასაღებდა. თურმე უნიადაგო თეორია ყოფილა, რომლის საძირკელის დანგრევა თვით მასვე წილად ხვდა... ნ. მარს თავის ენათმეცნიერულს გამოკვლევებში თავისი აზრების დაუდგრომელი ცვალებადობა თითქოს პრინციპად აქვს გადაქცეული და რასაც ის ეხლა ვითარცა ჰემმარიტებას თავგამოდებით იცავს, ორიოდ წლის შემდგომ თვითონვე ავიწყდება და მის მაგიერ ახალსა სთხზავს და იმავე გულმოდგინებით ფიცულობს და იცავს მის ჰემმარიტებას. აი სწორედ ამ ნიადაგზეც ჩვენი შეთანხმება შეუძლებელი იყო და ერთი მეორეს დავეშორ-

დით. ჩვენ შეგნებულად და გადაქრით უარყოფთ ამ გვარს გზასა და ამნაირს მიმართულებას ენათმეცნიერებაში და არც გვსურს, რომ ქართული ენათმეცნიერება მეთოდური, დინჯი და საფუძვლიანი კვლევა-ძიების მაგიერ ბრჭყვიალა და ფართო, მაგრამ ხანმოკლე და უნიადაგო თეორიების ტურფა საბალნაროდ იქცეს“ (24—25).

ასე გამოაცალკევა და გამოიჯნა ივ. ჯავახიშვილმა თავისი საკუთარი დემოკრატიული პოზიცია და მეცნიერული შეხედულებანი ნ. მარის ბურჟუაზიული პოზიციისა და შეხედულებებისაგან.

ივ. ჯავახიშვილის გულისწყრომა უმალლეს წერტილს აღწევს მოხსენების იმ ადგილს, სადაც იგი ეხება ნ. მარის განცხადებას, ქართველები აგრესორები არიან და მათ განზრახული აქვთ მთელი „ჩვენი (ე. ი. რუსეთის) კავკასია“ დაიპყრონო; რუსეთის საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე ასეთი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადებით გამოსვლა ივ. ჯავახიშვილს აშკარა პროვოკაციად მიაჩნია და იგი აღშფოთებით შენიშნავს: „ასეთი ცილისწამება ქართველთა წინააღმდეგ არა მგონია ბევრს ვისმეს ეკადროს წინათაც, როდესაც სუვორონის გაზეთის ბელადის მენშიკოვისა და შავრაზმელ „ქემშარიტ — რუბთა“ პოლიტიკოსს, განთქმულ მღვდელ ვოსტორგოვს გარდა, პატიოსან ადამიანს პოლიტიკურ საკითხებზე წერა არ შეეძლო. ყველამ კარგად იცის და მით უმეტეს აკად. ნ. მარს ეცოდინებოდა, რომ საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი პოლიტიკური პარტია, გინდ ჭგუფიც, არც ერთი მოღვაწე, თუნდაც უკიდურესი ნაციონალისტი, რომელიც საქართველოს ხსენების დროს კავკასიაზე ფიქრობდეს და მით უმეტეს კავკასია საქართველოდ მიაჩნდეს. ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ აკად. ნ. მარი, რომელიც 1906—1907 წწ. ვოსტორგოვის ამგვარს პროვოკაციას საჯაროდ ებრძოდა და ღირსეულს პასუხს აძლევდა, ათი წლის შემდგომ ისე დაუახლოვდებოდა მას სულიერად, რომ ვოსტორგოვის მსგავსი ენითა და იარაღით დაიწყებდა ჩვენ წინააღმდეგ თავგანწირულს ბრძოლას“ (34).

ასე მკაცრად და ენერგიულად, ასეთი გულისწყრომით უარყო ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის მიერ ქართველი მეცნიერებისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება. მაგრამ გამოჩენილი ისტორიკოსი ამითაც არ დაკმაყოფილებულა

და უდიდესი ძალით გამოააშკარავა ნ. მარის შეხედულებები და პოზიციის ნამდვილი ბუნება, მათი სოციალური არსი. „მაშასადამე, ჩვენ უკიდურესი ნაციონალისტები ვყოფილვართ“, — ამბობს ირონიულად ივ. ჭავჭავაძე და განაგრძობს: „ეხლა ვიკითხოთ, თითონ აკად. ნ. მარი ვინ ბრძანდება, რა სწადიან და რა მიზნებს ემსახურება? მას რომ ჰკითხოთ, ის ინტერნაციონალისტიცა, მსოფლიო კულტურას ემსახურება, ჩვენსავით განხეთქილებაზე კი არა, გაერთიანებაზე ოცნებობს და ფიქრადაც არ მოსვლია უნივერსიტეტს, კულტურულის გარდა, პოლიტიკური დანიშნულება დააკისროს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერადაა, საქმითა და მისი ნაწერებითგან კი სულ სხვა გამოდის... აბა გადაიკითხეთ მისი ნაწერები, გინდ იგივე მისი მოხატება ჩვენი უნივერსიტეტის გამო დაწერილი და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას არამც თუ ინტერნაციონალისტობისა არა სცხია რა, მხოლოდ უკიდურეს შოვინისტს შეეძლო იმის თქმა და დაწერა, რასაც იგი სწერდა“ (35, 36).

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული თბიქტივისტები და მათ შორის ნ. მარი ხშირად ლაპარაკობდნენ მსოფლიო მეცნიერებასა და კულტურაზე, მეცნიერის ინტერნაციონალურ მოვალეობაზე და სხვა, ამგვარ ზოგად საკაცობრიო ამოცანებზე. რითაც ფარავდნენ, ნიღბავდნენ თავიანთ ნამდვილ მიზნებსა და ზრახვებს; მსოფლიო კულტურაზე და ინტერნაციონალისტობაზე ლაპარაკი მათთვის იყო საფარი, ნიღაბი და ივ. ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მან ჩამოგლიჯა ეს ნიღაბი ნ. მარს და გააშიშვლა მისი პოზიცია, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესთა პირდაპირი დამცველისა.

მოხსენების დასარულს ივ. ჭავჭავაძე კმაყოფილებით და ერთგვარი სიამაყით ლაპარაკობს საქართველოს მშრომელებზე. — მუშებსა და გლეხებზე, რომლებმაც აქტიურად დაუჭირეს მხარი ქართული უნივერსიტეტის მშენებლებს. საქმე ისაა, რომ, თურმე, ნ. მარს იმედი ჰქონია, ქართველი ხალხი თვითონ გამოვიდოდა თავისი ეროვნული უნივერსიტეტის წინააღმდეგ და არ შეურიგდებოდა მის „მწვალებლურ-ნაციონალისტურ სულს“. „იქნებ მას და მის თანამოზიარე მკითხველებს, — ამბობს ივ. ჭავჭავაძე, — თვალზე წინ ეხატებოდათ სურათი, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელ „ნაციონალისტ“ პროფესორებს

კითხვებიდან ჩამოათრევდნენ... მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მათ იმედი გაუცრუა“ (41).

ასეთია ივ. ჯავახიშვილის ამ მეტად საინტერესო მოხსენების მოკლე შინაარსი, საიდანაც სრულიად გარკვევით და ნათლად ჩანს ივ. ჯავახიშვილისა და ნ. მარის ურთიერთობის ხასიათი.

საქართველოს მშრომელებმა თავისი უნივერსიტეტი არა თუ დასანგრევად არ გაიმეტეს, — როგორც ეს ზოგიერთებს სურდათ, — არამედ ეროვნული კულტურის უდიდეს კერად აქციეს, ხოლო მისი დამაარსებელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და დიდი საზოგადო მოღვაწე — ივანე ჯავახიშვილი, უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით დააჩილდოვეს. და ჩვენ გვესმის, გვჭერა, რა გულწრფელი იყო, რა სიამაყეს და სიხარულს განიცდიდა ივ. ჯავახიშვილი, როდესაც იგი 1925 წ. საკავშირო ცაკის თბილისში გამართული მესამე სესიის ტრიბუნიდან ამბობდა:

„როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეში მდგომს, როგორც მის ოფიციალურ წარმომადგენელს, მე დავალებული მაქვს მივესალმო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცაკის სესიას და სახალხო კომისართა საბჭოს, რომელთაც, დასამტკიცებლად იმისა, რომ საქართველო წარმომადგენს თანასწორუფლებიან წევრს რესპუბლიკების კავშირში, მორიგ სესიის ადგილად აირჩიეს საქართველოს დედა-ქალაქი—თბილისი...

საქართველოს და ქართველებს, რომელთაც მრავალსაუკუნოანი კულტურული წარსული, მდიდარი, მეტად საინტერესო ისტორიული ხანებით და მომენტებით, მშვენიერი მრავალფეროვანი ლიტერატურით, რომელსაც თავის საგანძურში მოეპოვება ჩვენი ერის ჭერ კიდევ პირველ საუკუნის ნაწარმოებნი და გენიალურ შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება, არქიტექტურულ და საჩუქურთმო ხელოვნების საუცხოო ძეგლებით, რომლებსაც ბედის უკუღმა ტრიალის წყალობით არა ერთხელ განუცდიათ მონობის უღელი და საშინელებანი, — კვლავ მიეცათ საშუალება სახელმწიფოებრივ და კულტურულ აღორძინებისა, და ამ მომენტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა თავის უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურ-

რულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ²⁶.

აი. როგორი იყო ივანე ჯავახიშვილი, — ქართული კულტურის ეს დიდი მოამაგე და ამაგდარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ქართული კულტურის მანამდე არნახული აყვავების ხანა დადგა, ივ. ჯავახიშვილს ძალიან ბევრი, წინანდელზე გაცილებით მეტი საქმე და საზრუნავი გაუჩნდა, მაგრამ განახლებულმა სამშობლომ ამ სუბტსა და ჭანგატეხილ ადამიანს გოლიათური ძალა შემატა და იგი ყველაფერს აკეთებდა, ყველა საქმეს ასწრებდა; უნივერსიტეტი და მუზეუმი, მცხეთის გათხრები და რუსთაველის იუბილე, წინანდელი მრავალრიცხოვანი ნაშრომების შეესება-გადაკეთება თუ ახლების დაწერა, — აი, ის ფართო ასპარეზი, რომელზეც ასე მხნედ და ენერგიულად მოღვაწეობდა ეს შესანიშნავი ადამიანი.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისი, როგორც მეცნიერის მსოფლმხედველობა სულ უფრო ვითარდებოდა და წინ მიდიოდა; მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მისი შეხედულებების დემოკრატიული ნაკადული, რომელიც თავის სათავეს მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე მოწინავე ქართველ მოღვაწეთა აზროვნების დიდ მდინარეში იღებდა. ივ. ჯავახიშვილი თვითონვე სულ უფრო მეტის ძალით გრძნობდა იმ სულიერ ნათესაობას, რომელიც მას მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებთან აკავშირებდა. მას კარგად ესმოდა, რომ არსებითად მთელი მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა და ისტორიკოსთა საქმის გაგრძელებასა და დაგვირგვინებას წარმოადგენდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ივ. ჯავახიშვილმა, — იმ დროს, როდესაც იგი უნივერსიტეტის დაარსებისათვის იღწვოდა, — თავის უახლოეს თანაშემწედ ექვთიმე თაყაიშვილი მოიწ-

²⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1925, 10 მარტი.

ვია და მასთან უმკვიდროესი თანამშრომლობა და მეგობრობა ჰქონდა; შემთხვევითი როდი იყო, აგრეთვე, რომ მან 1937 წ. საჭიროდ ჩასთვალა საგანგებო სიტყვით გამოსულიყო ი. გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე და განსაკუთრებული გულთბილობით, პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნა „დღეაენის“ შემქმნელის უკვდავი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. ეს და სხვა მრავალი ამის მსგავსი ფაქტი, და, რაც მთავარია, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა სავსებით ექვემდებარება გვიდასტურებს ივ. ჯავახიშვილის უახლოეს იდეურ ნათესაობასა და სულიერ კავშირს XIX საუკუნის დიდ მოღვაწეებთან. ივ. ჯავახიშვილი პროფესიულ-ისტორიულ მეცნიერებაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხაზის გამგრძელებელია. ამიტომ სავსებით მართალი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელოვანი მოწაფე სიმონ ჯანაშია, როცა შენიშნავდა: „აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი იმ სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა, რომელმაც საქართველო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოიცილა. ივ. ჯავახიშვილის შრომები ამ მოძრაობის იდეებითაა გამსჭვალული“²⁷.

ივ. ჯავახიშვილის სულიერი ნათესაობა XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეებთან განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს მის შესანიშნავ ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი ავტორის მსოფლმხედველობის გასაგებად. ეს ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში, და, საერთოდ, ქართული საისტორიო მეცნიერებაში, ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომთაგანია, იგი ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი თვალმარგალიტია. ამიტომ თავს ნებას მიეცემთ, მოკლედ მაინც შევჩერდეთ მის შინაარსზე.

რა მიზანს ისახავს ივ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში? იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანია, გამოარკვიოს ილია ჭავჭავაძის როგორც ზოგადი ისტორიული კონცეფცია, ისე მისი კონკრეტული წვლილი საქართველოს ისტორიის შესწავლაში. მიუხედავად ნაშრომის შედარებით მცირე მოცულობისა, ავტორი ახერხებს

27 „მომბე“. ტ. I, 1940, № 9, გვ. 644.

ამ თავისი მიზნის ბრწყინვალედ შესრულებას. ივ. ჯავახიშვილმა ძირითადად სწორად შეაფასა ი. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია და მისი ღვაწლიც საქართველოს ისტორიის შესწავლაში, რითაც მოგვცა გასაღები XIX საუკუნის ამ დიდი მოაზროვნის საზოგადოებრივ შეხედულებათა გასაგებად. საყურადღებო და ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში, მის ზოგად-თეორიულ შეხედულებებში არჩევს და იწონებს სწორედ ისეთ საკითხებსა და ისეთ დებულებებს, რომლებიც მართლაც განსაკუთრებით ძვირფასი და დასაფასებელია ილიას ნააზრევში. ეს სწორედ ის საკითხებია, სადაც ილია ჭავჭავაძე გვევლინება როგორც დიდი მატერიალისტი მოაზროვნე და მკვლევარი, რომელიც ამავე დროს მშვენივრად იცნობდა და ხშირად მარჯვედაც იყენებდა აზროვნების დიალექტიკურ წესს.

დავასახელოთ ორი-სამი მაგალითი:

პირველი, ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით გამოყოფს და მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის შემდეგ დებულებას: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილია ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც „ქეშმარიტი მესიტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“²⁸. ეს დებულება უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებაა. მართალია, ივ. ჯავახიშვილი არ იძლევა ილიას აქ გამოთქმული თვალსაზრისის თეორიულ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას, მაგრამ რაკი მან ასეთი თვალსაზრისი დიდი მოაზროვნის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნია, თავისთავად იგულისხმება, რომ მას მშვენივრად ესმოდა ამ თვალსაზრისის დიდი მნიშვნელობა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ი. ჭავჭავაძის ეს თვალსაზრისი, რომელიც ასე მოეწონა ივ. ჯავახიშვილს, მჭიდროდ უახლოვდება ისტორიული პროცესის დიალექტიკურ გაგებას, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი მოვლენები განხილული უნდა იქნან კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ადგილსა, დროსა და ვითარებაზე.

მეორე მაგალითი. ივ. ჯავახიშვილი აღფრთოვანებულია და ილია ჭავჭავაძეს ქებათა-ქებას ასხამს იმის გამო, რომ „მან პირ-

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, 1938, გვ. 7—8.

ველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა²⁹... „იმ ეკონომიურ საფუძვლად, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწათმფლობელობის წესი მიაჩნდა... საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თავისთავად ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება; აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჭერ კიდეც 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გაააგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“³⁰.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილს მოსწონს ილიას მსოფლმხედველობის სწორედ მეთოდოლოგიური მხარე, ე. ი. მის მიერ საკითხის მატერიალისტურად დაყენება. აქ ორივე მოაზროვნე ერთნაირად ფიქრობს და ამიტომაც ამბობს ივ. ჯავახიშვილი „ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული“³¹.

დაბოლოს, მესამე მაგალითი. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის იმ თავისებურებას, რომელიც დამახასიათებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადისათვის და რომელიც ძირფესვიანად განასხვავებდა მის მსოფლმხედველობას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების მოღვაწეთა სოცლმხედველობისაგან. ეხება რა ილიას მიერ ერის გამოჩენილ მოღვაწეთა დაფასების საკითხს, კერძოდ კი, საქართველოს წინაშე დავით აღმაშენებლის ღვაწლის ილიასეულ გაგებას, ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დავიწყება საქართველოს არ შეშვენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელიც მიაჩნდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოაზრებით. მისი სიტყვით, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა“, საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ თავის

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, 1938, გვ. 8—9.

³⁰ იქვე, გვ. 9—10.

³¹ იქვე, გვ. 9.

დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა“, იმავე დროს „დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“.. ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში... სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა“³².

აქედან ცხადია, თუ რა შორს იდგნენ ილიაცა და ივ. ჭავჭავიძეები შეზღუდული, ნაციონალისტური თვალსაზრისისაგან, რომელიც სხვა ერთა დამცირებას და დაჩაგვრას ქადაგებს; აქედან ცხადია, აგრეთვე, თუ რა ახლოს იდგნენ ეს დიდი მოღვაწენი ერთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის თანამედროვე, ე. ი. მარქსისტულ მოძღვრებასთან.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ივ. ჭავჭავიძეები, როგორც მოაზროვნე, ისტორიის მატერიალისტურ, ე. ი. მარქსისტულ გაგებამდე ამაღლდა. სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ არც ივ. ჭავჭავიძეები და არც სხვა რომელიმე დემოკრატიული მიმართულების ქართველი მეცნიერი, მათ შორის ისეთი ბუმბერაზი მოაზროვნეც კი, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო, ისტორიის მთლიან მატერიალისტურ გაგებამდე არ ამაღლებულა³³. ამით აიხსნება, რომ მათ ნაშრომებში, ისევე როგორც რუსეთისა და ევროპის ყველა მარქსამდელი მოაზროვნის ნაწერებში, ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ისტორიული მოვლენების იდეალისტური გაგების არა ერთი ნიმუში. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ზემოხსენებული ილიასეული შეფასება, რომელსაც ივ. ჭავჭავიძეები სავსებით ეთანხმება. ილია ამბობს: „დავით აღმაშენებელი... დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა... მაშინ, როდესაც იგი ყოველად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა“, როდესაც ის უკვე „სრულიად გაბა-

³² ივ. ჭავჭავიძე, იქვე. გვ. 10—11.

³³ ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძისა და ივ. ჭავჭავიძის საზოგადოებრივი შეხედულებანი სავსებით ერთნაირი როდია; ზოგიერთ საკითხში ივ. ჭავჭავიძის თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ილიას თვალსაზრისისაგან ერთ-ერთი ასეთი საკითხია, მაგალითად, ივ. ჭავჭავიძის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული როლის თავისებური, ჩვენი აზრით, არასწორი გაგება (ამის შესახებ დაწვ. იხ. ჩვენს ნაშრომში. „ივანე ჭავჭავიძეები და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, ისტორიის ინსტ. „შრომები“, ტ. III, 1958).

ტონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და ვანათლებული ქცევა მარტო იმის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და სხვას არაფერსაო³⁴. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს რა ეს ციტატი, სავსებით ეთანხმება ილიას აზრს და მას დიდად საყურადღებო აზრად მიიჩნევს. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ი. ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის ჰუმანურ სახელმწიფოებრივი პოლიტიკას მარტო მისი პირადი თვისებებით, კერძოდ, მისი „დიდბუნოვანი გულითა და გონებით“ ხსნის. რაც აშკარა იდეალიზმია. მარქსისტულ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევარი ამ შემთხვევაში, ცხადია, გაცილებით უფრო შორს წავიდოდა: მას ვერ დააკმაყოფილებდა მარტო მეფის დიდბუნებოვნებაზე მითითება და შეეცდებოდა გამოერკვია ის კონკრეტული ისტორიული პირობები, რომლებმაც დავით აღმაშენებლის ჰუმანური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბება განაპირობეს, ხოლო შემდეგ ცხოვრებაში მისი განხორციელება შესაძლებელი გახადეს.

ამგვარი, იდეალისტური თვალთახედვის დამამტკიცებელი მაგალითები ივ. ჯავახიშვილის ნააზრვეიდან ჩვენ შეგვეძლო გავგვემრავლებია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ივ. ჯავახიშვილის (ან ილიას) მთელი ისტორიული კონცეფცია იდეალისტურია; შეიძლება პირიქით ითქვას: მართალია ივ. ჯავახიშვილმა (ისევე როგორც ი. ჭავჭავაძემ) ვერ შესძლო იდეალიზმის საბოლოოდ დაძლევა და ისტორიული პროცესის თანმიმდევრული მატერიალისტური გააზრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მსოფლმხედველობა, ძირითადად, მატერიალისტურია და მისი ნაშრომებიც არსებითად მატერიალისტურ თვალსაზრისზეა დამყარებული. ამგვარი დასკვნის საფუძველს ჩვენ გვაძლევს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების ყურადღებით შესწავლა, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ დიდ მეცნიერს ისტორიული განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდა სწორედ მატერიალური ცხოვრების პირობები და არა ადამიანების, თუნდაც მეფეების ნება-სურვილი; ივ. ჯავახიშვილმა მშვენიერად იცოდა, რომ სწორედ საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქმნის საზოგადოებრივ შეგნებას და არა პირიქით; მას კარგად ესმოდა, თუ რა პირველხარისხოვანი მნიშვნე-

³⁴ ი ქ ვ ე, გვ. 10.

ლობა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისათვის ეკონომიურ ფაქტორს, საწარმოო ძალთა მდგომარეობას, შრომის იარაღებს. ამიტომაც იყო, რომ მან კოლოსალური ენერჯია დახარჯა საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. მის კაპიტალურ ნაშრომში — „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, შესწავლილი და გაანალიზებულია უამრავი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი მასალა, ურომლისოდაც შეუძლებელია საქართველოს სერიოზული ისტორიის შექმნა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ანალიზი, სამწუხაროდ, ვერ აიყვანა დიალექტიკური მატერიალიზმის მოთხოვნილებათა დონემდე. ამით აიხსნება, რომ იგი არსებითად გვერდს უვლის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორცაა წარმოების წესი და მასში მომხდარი ცვლილებების გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შესატყვისობა და აქედან გამომდინარე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ამა თუ იმ ეპოქაში და ა. შ. ავიღოთ მაგალითად, მისი უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ქართველი ხალხის შრომის იარაღებზე, კერძოდ კი ქართულ სახნავ იარაღებზე, რომელიც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომშია წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ეს გამოკვლევა ივ. ჯავახიშვილის ეკონომიური ნააზრევის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია, მაგრამ ამასთან ერთად ძნელი შესამჩნევი არაა ის ხარვეზები, რომელიც ამ ნაშრომს ახლავს, თუკი, რასაკვირველია, საქმეს შევხედავთ ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით, ე. ი. მარქსისტული თვალსაზრისით. ავტორი გულდასმით აღწერს თითქმის ყველა სახეობის სახნავ იარაღს, უმარტივესი კავით დაწყებული და ურთულესი გუთნით დამთავრებული, იკვლევს თითოეული მათგანის სადაურობას, ადარებს მათ სხვა ქვეყნებში ხმარებულ იარაღებს და ა. შ. მაგრამ იგი თითქმის არსად არ გრძნობს იმის საჭიროებას, რომ დასვას, მაგალითად, ამგვარი კითხვები: რა სახის ურთიერთობაა ის ურთიერთობა, რომელიც ამ იარაღის ხმარების პროცესში ადამიანებს შორის მყარდება? რა ცვლილებას იწვევს ამ იარაღის განვითარება-სრულყოფა ადამიანთა ხსენებულ ურთიერთობაში? შეუძლია თუ არა შრომის ამა თუ იმ იარაღის გავრცელებაზე გავლენა მოახდინოს სოციალურმა ფაქტორმა? და ა. შ.

„სახენელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო, ამბობს ივ. ჯავახიშვილი და განაგრძობს — ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გაიხსენებს“—ო³⁵. მაგრამ აქ ჩვენ ბუნებრივად გვებადება ეჭვი: შეიძლება თუ არა, რომ აღნიშნული მოვლენა მთლიანად ნიადაგისა და საქართველოს ბუნების თავისებურებებით აიხსნას? ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ერთ უღლიან, ორ უღლიან და ოთხ-ხუთ უღლიან გუთნებზე და მათ არსებობას ისევ და ისევ ნიადაგის თავისებურებით ხსნის, საკითხის სოციალურ მხარეს კი, მაშინაც არ ეხება, როდესაც არქანჯელო ლამბერტის ცნობას იმოწმებს, სადაც პირდაპირაა ნათქვამი: „რკინის გუთნის გაკეთებას მეტი ხარჯი სჭირდება“ და ამიტომაც სამეგრელოში უფრო ხის მარტივი სახენელი იყო გავრცელებულიო³⁶. ივ. ჯავახიშვილი არ ცდილობს სახენელი იარაღის ნაირფერობა გლეხის შეძლების საკითხს, კერძოდ კი იმ გამწვევი ძალის (ხარების) რაოდენობას დაუკავშიროს. რომელიც სახნავი იარაღის პატრონის განკარგულებაშია. ის თითქოს ვერც კი ამჩნევს, რომ სხვადასხვაგვარი სახენელების უკან დგანან ღარიბები და მდიდრები, შეძლებული და დაბეჩავებული კლასები, რომელთა შორის სასტიკი კლასობრივი ომია გაჩაღებული.

ყველივე ზემონათქვამიდან ცხადია, რომ, მართალია, ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და წინ მიდიოდა, მაგრამ დიდ მეცნიერს, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა საბოლოოდ დაედწია თავი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული შეხედულებების გავლენისაგან და დამდგარიყო თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე თეორიის — მარქსიზმის თვალსაზრისზე. ამის მიუხედავად ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული ისტორიოგრაფიისა და, საერთოდ,

35 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 1930,

36 იქვე.

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ეს როლი უდიდესია. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ისტორიული მეცნიერება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო რისი გაკეთებაც მან ვერ მოასწრო, აკეთებენ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, ოღონდ აკეთებენ არა როგორც ეპიგონები, არამედ როგორც ნოვატორი მეცნიერები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიკვან, დააფასონ და შემდგომ განაეითარონ ის წმინდა საქმე, რომელსაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა.

უ. სიღაპონიძე

ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან

(1917 წელი)

რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ, საზოგადოების ცხოვრებაში სოციალური პრობლემების გვერდით, დიდი ადგილი დაიკავა ეროვნულმა საკითხმა — ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნისათვის ბრძოლამ. XX საუკუნემ რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებით განავითარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობა და გაამწვავა ეროვნული ბრძოლა (ვ. ლენინი). „ხალხთა საყრობილეში“ გამომწვეული ჩაგრული ერები თავისუფლებას ეძიებდნენ. ამასთან დაკავშირებით სახეცვლილება განიცადა პოლიტიკური პარტიების პროგრამებმა, მათი ბრძოლის მიზნებმა და მეთოდებმა, — თავიანთი კლასების ინტერესებიდან გამომდინარე დროის მოთხოვნას შეეგუა.

1914 წ. კრაკოვში წაკითხულ მოხსენებაში ვ. ლენინმა აღნიშნა, რომ ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ყველაზე დამახასიათებელი მისწრაფებაა ეროვნული სახელმწიფოების შექმნა¹. და მართლაც, 1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას დიდი იმედები დაუსახა. ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა გამოჩნდა. ეს გზა სოციალისტური რევოლუციისაკენ მიდიოდა.

1917 წ. საქართველოში მწვავე სოციალური ბრძოლის გვერდით მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართული ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო. საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკუ-

¹ ლენინის კრებული, XVII, გვ. 228 (რუს. ენაზე).

რი პარტიები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში და ეძებდნენ ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნის ისეთ გზას, ეროვნული ცხოვრების მოწყობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მათი კლასების ინტერესებს.

პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლაში, პოლემიკაში იქმნებოდა პირველი ისტორიული აზრი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო ხანის ქართულ ეროვნულ საკითხზე. პირველი ისტორიკოსები, ისტორიული აზრის პირველი შემოქმედნი იყვნენ ისინი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ისტორიულ პროცესში.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ 1917 წ. მიმდინარე ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიოგრაფიის პირველი ნაბიჯები; თუ როგორ აფასებდნენ თანამედროვენი, ამ მოძრაობის მომსწრენი და მისი უშუალო მონაწილენი ქართულ ეროვნულ საკითხს. მათი მემკვიდრეობის კრიტიკული შეფასებით შესაძლებელი გახდება საკითხის საერთო ისტორიოგრაფიის გაგება.

ბოლშევიკურმა პარტიამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ შეიმუშავა თანმიმდევრული პროგრამა ეროვნულ საკითხში. ახალი ისტორიული პროცესების მოთხოვნით, დროის მოთხოვნით ბოლშევიკების ეროვნული პროგრამა ვითარდებოდა და სრულად პასუხობდა ჩაგრული ერების ინტერესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის შემუშავებისას პარტია ადღიწინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა პარტიის შიგნით და, ამის შემდეგ, უკვე გაუგებარი არ იქნება იმის თქმა, რომ ყველა ბოლშევიკი, ყველა პარტიული ორგანიზაცია, ერთნაირად არ იბრძოდა პარტიის ეროვნული პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის; ყველას ერთნაირად არ ესმოდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. საქართველოში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლას ეს სპეციფიკურობა ახასიათებდა. ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი სოციალისტური რევოლუციის განუყოფელი ნაწილის — ეროვნული საკითხის მნიშვნელობას უგულვებელყოფდა.

ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი: ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, პ. ჭაფარიძე, მ. ტოროშელიძე და სხვები 1917 წ. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოღვაწეობდნენ. ისინი იბრძოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლა-

ში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნულ საკითხს. ბოლშევიკური პრესა („კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“) გვერდს არ უვლიდა ეროვნულ მოძრაობას და მის ფურცლებზე იბეჭდებოდა კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელების წერილები, საჯარო გამოსვლები. აქ მოცემული იყო არსებულ მომენტში ქართული ეროვნული საკითხის, ეროვნული მოძრაობის შეფასება.

საქართველოს ბოლშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფ. მახარაძე თავის პოლიტიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ქართულ ეროვნულ საკითხს. 1917 წ. 20 მარტს გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი“ გამოაქვეყნა ფ. მახარაძის წერილი „საქართველოს ავტონომიის საკითხის გამო“². თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ქართველ საზოგადოებას აწუხებდა საქართველოს შემდგომი ბედი — მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმე. ფ. მახარაძემ ზემოთ დასახელებული წერილით სცადა პასუხი გაეცა ამ მწვავე საკითხისათვის. ის ეყამათებოდა ქართველ მენშევიკებს, რომლებიც 1917 წ. საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდნენ. მან წერილში თვალი გაადევნა საქართველოს ავტონომიის იდეის ისტორიას და აღნიშნა, რომ რსდმპ (ბოლშევიკები) 1905 წ. გადაქრით ილაშქრებდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ, რადგან ეს მოთხოვნა საქართველოს ექსპლოატატორული კლასების მისწრაფებათა გამოხატულება იყო. ფ. მახარაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია გაუღნითილი იყო ინტერნაციონალური სულისკვეთებით — „ყველა თავის მოქმედებებსა და გიროსვლებს უფარდებდა კავკასიის ყველა ხალხების მშრომელთა კლასების ინტერესებს“³. ფ. მახარაძე 1917 წ. შექმნილ ვითარებას შემდეგნაირად წარმოგვიდგენდა: 1905 წ. და მის წინარე ხანაში საქართველოს სოციალ-დემოკრატის შიგნით იყო ავტონომისტთა ჯგუფი ვლ. დარჩიაშვილის მეთაურობით. ეს ჯგუფი განწყობილი იყო ნაციონალისტურად და მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. მენშევიკთა უმრავლესობა ებრძოდა ამ ჯგუფს. რამდენიმე ხნის შემდეგ მენ-

2 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV.

3 იქვე, გვ. 118.

შევიკთა ერთმა ნაწილმა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას დაუპირისპირა კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. ეს იყო მენშევიკური პარტიის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი ნაციონალისტობისაკენ. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო ის, რომ შემდგომში მენშევიკებმა მოითხოვეს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. ფ. მახარაძის აზრით, რუსეთის რევოლუციის ხანაში (იგულისხმება თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია) ქართველი მენშევიკები ნაციონალისტებთან და შოვინისტებთან ერთად მოითხოვდნენ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას და ამით აძლიერებდნენ ნაციონალისტებისა და შოვინისტების გავლენას, ასუტებდნენ პროლეტარიატის ძალას, მის კავშირს პატარა ერებთან¹.

ამ წერილში საყურადღებოა ორი საკითხი: 1. ფ. მახარაძე არ აღნიშნავდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის ნიპილისტური დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი შეცდომა იყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი არ აღიარებდა პარტიის პროგრამის იმ მუხლს, სადაც ერთა თვითგამორკვევის უფლებაზეა ლაპარაკი. 2. ფ. მახარაძემ მენშევიკებისა და, საერთოდ, საქართველოს სხვა პარტიების პროგრამებს ეროვნულ საკითხში არ დაუპირისპირა ბოლშევიკების ეროვნული პროგრამა, და თუ რატომ არ დაუპირისპირა, ეს კარგად ჩანს მისი გამოსვლიდან რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციაზე. ფ. მახარაძე ამ წერილში ებრძვის ქართველი მენშევიკებისაგან ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას და, ცხადია, თვითონაც წინააღმდეგია ასეთი ავტონომიისა. ვ. ლენინი და ბოლშევიკების პარტია 1910-იან წლებში აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის, ამ ერების სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის. ბოლშევიკების პარტია იბრძოდა ერთა თანასწორუფლებიანობისათვის. თანასწორუფლებიანობას ერები ვერ მოიპოვებდნენ, ეროვნული ჩაგვრა არ მოისპობოდა, თუ ერებს არ ექნებოდათ სახელმწიფოებრიობა, არ ექნებოდათ სახელმწიფო საზღვრები. ამიტომ იყო, რომ ვ. ლენინი 1913 წ. ს. შაუმიანს წერდა: „ჩვენ ავტონომიის მომხრე ვართ ყველა ნა-

¹ ფ. მახარაძე, იქვე, გვ. 120.

წილისათვის... ავტონომია არის დემოკრატიული სახელ-
მწიფოს მოწყობის ჩვენნი გეგმა⁵. ეროვნულ-ტერიტორიული
ავტონომია აუცილებელი იყო ერისათვის, რათა მას დაერაზმა
თავისი ძალები, შეეცნო თავისი თავი და სხვ. (იხ. ვ. ლენინი, შე-
დეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ).

ქართველი მენშევიკები ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონო-
მიას მოითხოვდნენ, მაგრამ ქართველი ხალხისათვის ამ სასიცოც-
ხლო, საარსებო საკითხს თიშავდნენ მეორე, უფრო მნიშვნელოვან-
ი — სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხისაგან.
ეს იყო წვრილბურჟუაზიული რეაქციის გამოვლინება სო-
ციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში, ოპორტუნიზმის გა-
მოვლინება მუშათა მოძრაობაში. ეს ხელს უშლიდა მშორმელების
ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

1917 წ. აპრილში პეტროგრადში⁶ გაიმართა რსდმპ (ბ) VI:
(აპრილის) კონფერენცია. ამ კონფერენციის როლი პარტიის ის-
ტორიაში საყოველთაოდ ცნობილია. ბურჟუაზიულ-დემოკრატიუ-
ლი რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ საკითხს. კონფერენციამ
მოისმინა ი. სტალინის მოხსენება. მან ჩამოაყალიბა პარტიის ხაზი
ეროვნულ საკითხში: 1. ერთა თვითგამორკვევის უფლება; 2. იმ
ხალხებისათვის, რომლებიც რჩებიან არსებული ქვეყნების შემად-
გენლობაში — საოლქო ავტონომია; 3. ეროვნული უმცირესობისა-
თვის განვითარების გარანტიის მიმცემი განსაკუთრებული კანო-
ნები; 4. არსებული სახელმწიფოს ყველა ეროვნების პროლეტა-
რიატისათვის ერთიანი განუყოფელი პროლეტარული კოლექტივი,
ერთიანი პარტია⁶.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა ი.
პიატაკოვი, რომელმაც ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი რეაქ-
ციულად მიიჩნია. მან მოითხოვა ბრძოლა ეროვნული მოძრაობის
წინააღმდეგ. ვ. ლენინმა დაგმო ი. პიატაკოვის თვალსაზრისი, რო-
მელიც უარს ამბობდა რევოლუციის ეროვნულ რეზერვზე და რე-
ვოლუციას დამარცხების საშიშროების წინაშე აყენებდა. ვ. ლე-
ნინის აზრით, ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე უარის თქმა და

⁵ ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 598.

⁶ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 61.

იმ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მის პრაქტიკაში გატარებას, უდრიდა დამპყრობთა პოლიტიკის მხარე-
დაჭერას⁷.

კონფერენციაზე ი. პიატაკოვს მხარი დაუჭირა და ერთა თვით-
გამორკვევის წინააღმდეგ გამოვიდა ფ. მახარაძე. ეს არ იყო შე-
მთხვევითი ამბავი. ქართველ ბოლშევიკთა ნაწილი იმთავითვე
გვერდს უვლიდა საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს,
როგორცაა პარტიის პროგრამის მე-9 მუხლი — სახელმწიფოში
შემავალ ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ქართველ
ბოლშევიკთა ერთ ნაწილს სწორად ესმოდა ეროვნული საკითხის
მნიშვნელობა და დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს.
ი. სტალინი ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნა-
ციონალური საკითხი?“ (1904 წ. სექტემბერი) პროპაგანდას უწევ-
და პარტიის პროგრამას ეროვნულ საკითხში; ფედერალისტ-სოციალ-
დემოკრატებთან პოლემიკაში მან კომენტარები გაუყეთა პარტიის
პროგრამის შესაბამის მუხლებს და დაუშვა ისიც კი, რომ თუ შე-
საფერისი ეკონომიური და პოლიტიკური პირობების დროს, ერის
ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა ეროვნული ჩაგვრისაგან თავდა-
ხანა მოინდომეს, ამისათვის პარტიის პროგრამაში არის § 9 —
ერთა თვითგამორკვევის შესახებ. ი. სტალინი იმასაც უშვებდა,
რომ ეროვნული მოძრაობა შეიძლება სასარგებლო დარჩეს პრო-
ლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის⁸.
ცხადია, ეს ოდნავადაც ჩრდილს არ აყენებდა მის ღრმა რწმენას.
რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხი სოციალური პრობლემის
გადაწყვეტის განუყოფელი ნაწილი იყო.

ისინი, ვინც ეროვნული საკითხის მნიშვნელობის შეუფასებ-
ლობას იჩენდნენ, ვერ გაერკვნენ 1917 წ. შექმნილ ვითარებაში
და ძველი გზა განაგრძეს. ამის მაჩვენებელია ფ. მახარაძის წერი-
ლი „ნაციონალური საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატის
საერთო კონფერენციაზე“. წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ბრძოლაში“
1917 წ. 12 ივნისს⁹. ფ. მახარაძე ამ წერილში ასაბუთებდა იმას,
თუ რატომ გამოვიდა პარტიის პროგრამის მე-9 მუხლის წინააღმ-
დეგ. მისი აზრით, ერთა თვითგამორკვევა დაქსაქსავდა ექსპლოა-

7 ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 355.

8 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 48—49.

9 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV.

ტატორთა წინააღმდეგ მებრძოლ სოციალურ ძალებს ეროვნებათა მიხედვით. ძირითადია კლასობრივი ბრძოლა და ამ ბრძოლაში პროლეტარიატის გამარჯვება. ჯერ კიდევ 1914 წ., სტატიაში — „ორიოდე სიტყვა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესახებ“ წერდა, რომ ერი და კლასი ერთი და იგივე არ არის¹⁰, და აქედან გამომდინარე, მკვეთრ საზღვარს ავლებდა კლასობრივსა და ეროვნულ ინტერესებს შორის; წინა პლანზე აყენებდა სოციალურ საკითხებს და ერის ბრძოლას ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ეროვნული თანასწორუფლებიანობისა და, მაშასადამე, ავტონომიის, სახელმწიფოებრიობის მოპოვებისათვის მხოლოდ არაპროლეტარული კლასების ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებად სახავდა. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ფ. მახარაძისათვის სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

ქართველი ხალხი 100 წელზე მეტხანს განიცდიდა მძიმე ეროვნულ ჩაგვრას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ქართველ ხალხს ეროვნული თანასწორუფლებიანობის, თავისუფლების მოპოვების იმედები მისცა. რეალური გახდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროცესში საჭირო იყო ეროვნული ბრძოლა რევოლუციის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად გადაექციათ.

ფ. მახარაძე ამ წერილში წერდა, რომ მან კონფერენციის უმრავლესობის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ეროვნული საკითხი საზოგადოების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. ის აღიარებდა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, მაგრამ იქვე ამბობდა, რომ სოციალ-პატრიოტებისათვის „ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ენას, ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს თავისი დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველიაო“¹¹.

10 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 76.

11 იქვე, გვ. 129.

1916 წ. ჩატარდა დისკუსია ერთა თვითგამორკვევის შესახებ. დისკუსიის შედეგები მთელ რიგ სტატიებში შეაჯამა ვ. ლენინმა. მან მკაცრად გააკრიტიკა ნ. ბუხარინი და ი. პიატაკოვი, რომლებიც მოითხოვდნენ სამშობლოსა და ერის მიმართ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას. ნ. ბუხარინისა და ი. პიატაკოვის, ასევე მათი მიმდევრების აზრით, ერებისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემა გამოიწვევდა საერთაშორისო პროლეტარიატის გათიშვას და მუშების ბურჟუაზიასთან გაერთიანებას. ასევე ფიქრობდა ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი, რომელიც ნიპილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა ქართული ეროვნული საკითხის მიმართ. ვ. ლენინი მსგავს შეხედულებებს უწოდებდა კარიკატურას მარქსიზმზე, დოგმატიზმისა და სექტანტიზმის გამოვლინებას. იმ ეროვნულ საკითხს განიხილავდა, როგორც სოციალისტური რევოლუციის განუყოფელ. შემადგენელ ნაწილს. ვ. ლენინი მოითხოვდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეერწყოთ საერთო რევოლუციური ბრძოლისათვის. სახელდობრ, ამ მიზანს ემსახურებოდა ბოლშევიკური პარტიის მიერ წამოყენებული ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი¹².

ფ. მახარაძემ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ისტორიული აზრი მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს შესახებ („ახალი კავშირი“, გაზეთი „ბრძოლა“, 1917 წ., 17 სექტემბერი)¹³. 1917 წ. სექტემბერში საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთი ჯგუფი, სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნული დემოკრატები ერთი ფრონტით მოქმედებაზე შეთანხმდნენ და შექმნეს ინტერპარტიული ეროვნული საბჭო თავისი აღმასრულებელი კომიტეტით. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მოწინააღმდეგე ბანაკის გავლენიანმა პოლიტიკურმა პარტიებმა გააერთიანეს მოქმედება და გაგზავნეს წარმომადგენლები დემოკრატიულ თათბირზე. ინტერპარტიული საბჭო მოითხოვდა ერთა თვითგამორკვევას, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობას, საერთოდ ყველა ერის პოლიტიკურ უფლებას. ამ პარტიებს სოციალისტური რევოლუციის წინახანებში უკვე ჰქონდათ გარკვეული

¹² ვ. ლენინის კრებული, XVII, გვ. 228, (რუს. ენაზე).

¹³ ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV.

ეროვნული პროგრამა. ამას აღნიშნავდა სტ. შაუმიანი რსდმპ (ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე.

ფ. მახარაძე ზემოდასახელებულ წერილში არკვევდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების კლასობრივ რაობას. იგი სოციალისტ-ფედერალისტებზე წერდა, რომ მათი დასაყრდენი იყო გაკოტრებული თავადაზნაურობა, ქართველი უნიადაგო ინტელიგენცია; მათ ემხრობოდა თითო-ოროლა შეუგნებელი გლეხი და ქალაქის ხელოსნები. რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტი გაუღენთილი იყო წვრილბურჟუაზიული მეშჩანური იდეებითა და ნაციონალისტური მისწრაფებებით. ის იყო ანტისოციალისტური და ანტიდემოკრატიული. ეროვნულ-დემოკრატებს ფ. მახარაძე მიიჩნევდა ქართველი შოვინისტი ვაჭარ-მრეწველების წარმომადგენლებად, ხოლო მათ კლასობრივ დასაყრდენად გაბურჟუებულ თავადაზნაურობას. ე. ი. ეროვნულ-დემოკრატების პარტია ქართველი კაპიტალისტებისა და მემამულეების პარტია, შავრაზმული პარტია იყო.

ფ. მახარაძე იმ დროს დაწერილ ერთ, სხვა წერილშიც („ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება“) სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს ნაციონალისტურ პარტიებს, ქართველ ბურჟუა-კაპიტალისტებსა და მემამულეებს უწოდებს. ფ. მახარაძე, ორ, სრულიად სხვადასხვა შსოფლმხედველობას ქართულ სოციალ-ფედერალიზმსა და მარქსიზმს ერთმანეთისაგან ძირითადი ნიშნით—კლასობრივი ბრძოლის ცნობა—არცნობით არჩევს. მაშინ, როცა მარქსიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში კლასობრივ ბრძოლას ეყრდნობა, ქართული სოციალ-ფედერალიზმი კლასობრივი ბრძოლის უარყოფააო—წერდა ის.

იმ დროინდელ პარტიულ პუბლიცისტიკაში ხშირად შეეხვდებოდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შეფასებას. ეს შეფასება დღემდე თითქმის უცვლელად შემორჩა ქართულ ისტორიოგრაფიას¹⁴. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია აღიარებულია, როგორც ბურჟუაზიული, ნაციონალისტური, თავადაზნაურული

¹⁴ 1965 წელს გამოვიდა ი. მირცხულავას წიგნი „ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში“. ავტორი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიად მიიჩნევს.

და ა. შ. მწვავე პოლიტიკური ბრძოლის შემთხვევაში, პოლემიკის დროს ჩვეულებრივია მოწინააღმდეგის ტენდენციური შეფასება, მეტის ან ნაკლების მიწერა. ამას იწვევდა შექმნილი ვითარება.



ქეშმარიტების დასადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავარკვიოთ სოციალისტ-ფედერალისტების რაობა — ამას მოითხოვს ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის, მისი თეორიის, პუბლიცისტიკის გაცნობა იმის ღრმა რწმენას იძლევა, რომ ეს პარტია იყო წერილობრივ-ზიული (და დემოკრატიული) პარტია. სოციალისტ-ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერი არჩ. ჯორჯაძე წერილში — „ისტორიის სამართალი?“ წერდა, რომ ვისაც სოციალისტ-ფედერალისტური მოძრაობის სამართლიანი დაფასება უნდა, ის ამ მოძრაობას ევოლუციაში უნდა სინჯავდესო. მართლაც, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიის ევოლუციაში შესწავლამ დახატა სულ სხვა სურათი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შეფასებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

ვ. ლენინი წერდა, რომ პარტიათა ბრძოლაში ნამდვილი ბრძოლა არის ეკონომიური ბრძოლა და რომ ეკონომიურ საფუძველს უნდა შევადაროთ მისი იდეურ-პოლიტიკური ასახვა სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა პროგრამებსა, განცხადებებსა, მოთხოვნებსა და თეორიებში¹⁵. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა, ე. ი. ის, რაც ეკონომიური ბრძოლის ძირითადი იდეურ-პოლიტიკური ასახვაა, მიღებულია 1907 წ. ოქტომბერში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მესამე (დამფუძნებელი) კრების მიერ. ქართულ ისტორიოგრაფიაში სოციალისტ-ფედერალისტთათვის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კვალიფიკაციის მიცემა კი სათავეს იღებს ი. სტალინისა და ა. წულუკიძის იმ ნაშრომებში, რომლებიც დაიწერა 1905—1907 წწ. რევოლუციამდე (ი. სტალინი — „როგორ ესმის სოციალისტ-დემოკრატიას ნაციონ-

¹⁵ ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 268.

ნალური საკითხი?“, 1904 წ., ა. წულუკიძე, „ოცნება და სინამდვილე“, 1903 წ. და სხვა).

ამგვარად, ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი სოციალისტ-ფედერალისტების რაობის შესახებ, უფრო ადრეულია, ვიდრე თვით ეს პარტია შეიქმნებოდა და მიიღებდა თავის დამფუძნებელ კრებაზე (კონფერენციაზე) 1907 წ. პარტიის პროგრამასა და წესდებას.

სოციალისტ-ფედერალისტურმა მოძრაობამ 1907 წლამდე ერთი პერიოდი განვლო. ეს იყო ძიებისა და ჩამოყალიბების ხანა. XIX საუკუნის დასასრულს საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა. კაპიტალიზმი სულ უფრო ენაცვლებოდა ბატონყმობის ნაშთებს, სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ცხოვრებაში; სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა კლასთა ანტაგონიზმი და მათი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლაც სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შესატყვისი იყო. არაპროლეტარულმა კლასებმა შექმნეს თავიანთი ინტერესების დამცველი პარტიები. ერთ-ერთი ასეთი პარტია სოციალისტ-ფედერალისტების პარტია იყო, რომელიც სათავეს იღებს გაზეთების — „ივერია“ და „ცნობის ფურცლის“ ჯგუფიდან. გაზეთ „ივერიაში“ მივიდა ახალგაზრდების ჯგუფი. რომელმაც ილია ჭავჭავაძისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქართველი ზალხის ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა, გლეხკაცობის ბედზე ზრუნვა. მაგრამ მათ თან მოიტანეს უკვე იდეურად განადგურებული ზალხოსნობის იდეათა ნაშთები. ეს ჯგუფი ერთგვაროვანი არ იყო.

XIX—XX სს. მიჯნაზე რეაქცია მძვინვარებდა. მეფის რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა სულ უფრო შემტევ სახეს იღებდა. ასეთ პირობებში „ივერია“-„ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ცდილობს დაივიწყოს კლასთა არსებობა და შეაკავშიროს ქართველი ზალხი ერის გამოხსნისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ. ასე მოაზროვნეთა ჯგუფი გაიზარდა და შეხედულებათა სიჭრელის მიუხედავად, მაინც გამოვიდა ასპარეზზე. 1901 წ., საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე, ეს ჯგუფი გამოვიდა უფერული პროკლამაციით. 1903 წ. ამავე ჯგუფმა, პარიზში, გამოსცა გაზეთი „საქართველო“. გაზეთის ამოცანა იყო სოციალურ კლასთა პოზიციის გარკვევა. „საქართველომ“ ბევრ ძველზე ხელი აიღო. სულ უფრო მკვეთრად იმიჯნებოდა „საქართველოს“ პოლიტიკური

კურსი, სულ უფრო მკვეთრად ჩნდებოდა ის კლასი, რომლის ინტერესებსაც ის ემსახურებოდა — წვრილი მესაკუთრეები, წვრილი ბურჟუაზია. გაზეთმა ხელი აიღო საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიაზე და განაცხადა: „ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდებისა და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას. ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ მათთან გვაქვს შეთანხმების იმედი, ვინც უარყოფს წოდებრივს და ბურჟუაზიული კლასობრივი მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ჰკუას, ზნეობრივსა და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობას, ხალხის განთავისუფლებას მოახმარს“.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ საზღვარგარეთ სააწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფების ინიციატივითა და მეცადინეობით 1904 წლის აპრილში ქენევაში მოიწვია ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ სოციალ-დემოკრატებს — მათ კონფერენცია მეორე დღეს დატოვეს.

ქენევის კონფერენციის მონაწილეებს სოციალურ საკითხებზე ერთიანი შეხედულება არ ჰქონდათ. მათ აერთიანებდათ საქართველოს განთავისუფლების იდეა. ქენევის კონფერენციამ საქართველოს ყველა ე. წ. რევოლუციური ძალები გააერთიანა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიად. აქ იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტები, ანარქისტები, ესერები, ეროვნული დემოკრატები.

სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიისა და ფედერალიზმის მოსარჩლედ გამოვიდნენ. ავტონომიის მოპოვება არ ნიშნავდა სოციალური უთანასწორობის მოსპობას. ამისათვის საჭირო იყო თვითმპყრობელობის დამხობა და სოციალისტ-ფედერალისტების მეტად ჰრელი პარტია რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება. 1905—1907 წწ. რევოლუციის დროს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია აქტიურად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მათი რევოლუციური ბრძოლის ისტორია შეუსწავლე-ლია, მაგრამ ის ცნობილი ფაქტები (გემი „საირუსით“ იარაღის ჩამოტანა, ფულის ექსპროპრიაცია, აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური როლის შესრულება და დიდი გავლენა ამ გლეხებზე, შ. ჩიტაძისა და სხვათა რევოლუ-

ციური საქმიანობა და სხვა და სხვა) უფლებას იძლევა ვთქვათ, რომ სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის პირველ რევოლუციაში. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მეტად ახლოს იყო ესერებთან და ითვლებოდა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მემარცხენე ბლოკის აქტიურ პარტიად. 1904 წლის სექტემბერში სოციალისტ-ფედერალისტებმა მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიების კონგრესის მუშაობაში (პარიზი), 1907 წ. აპრილში კი სოციალისტ-ფედერალისტები მონაწილეობდნენ რუსეთის სარევოლუციო პარტიების კონგრესის მუშაობაში (ფინეთი). 1907 წ. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მიღებულ იქნა II ინტერნაციონალში.

ყოველივე ზემონათქვამი ეხება მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენ შეიძლება პირობითად ცენტრი ვუწოდოთ. პარტია შიგნით დაყოფილი იყო მიმდინარეობებად, მას არ ჰქონდა პროგრამა და წესდება. 1906 წელს პარტიის მემარჯვენეთა ნაწილმა—ეროვნულ-დემოკრატებმა შეიმუშავეს თავიანთი პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული პარტიის პროგრამის სახელით გამოქვეყნდა 1906 წ. აპრილში. ეს ეროვნულ-დემოკრატების ფაქტიური გამოყოფა იყო; ცალკე პარტიად 1917 წ. ზაფხულში გაფორმდნენ. 1907 წ. სოციალისტ-ფედერალისტებმა პარტიიდან გარიცხეს ანარქისტები, რომლებიც სოციალისტ-ფედერალისტების II კონფერენციაზე და მასზე ადრეც ცალკე ჯგუფად გამოვიდნენ.

1907 წ. ოქტომბერში შედგა სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის III პარტიული კრება (კონფერენცია). კონფერენციამ მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება და თავისთავს უწოდა დამფუძნებელი კონფერენცია. პარტია უკვე აღარ იყო ჰრელი; ის გაემიჯნა ყველას, ვისთანაც კი 1904 წ. ენევაში შეკავშირდა.

სოციალისტ-ფედერალისტები პროგრამაში აცხადებდნენ, რომ მათი უმაღლესი იდეალი სოციალიზმია. მათი პროგრამა-მაქსიმუმის ძირითადი პრინციპები იყო მშრომელი ხალხის განთავისუფლება ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული დამონებისაგან, ბურჟუაზიული წყობის დანგრევა და სოციალიზმის დამ-

ყარება. სოციალიზმი კი გააუქმებს კერძო საკუთრებას, განაზოგადებს საწარმოო ძალებს, მოსპობს კლასთა ბრძოლას. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა მოითხოვდა საწარმოო იარაღების ჩამორთმევას რევოლუციური გზით, მშრომელი ხალხის ყველა წრის ორგანიზაციას ერთი მხრივ, პოლიტიკურ პარტიად და, მეორე მხრივ, პროფკავშირებად.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პროგრამა-მინიმუმი შედგებოდა პოლიტიკური, ეკონომიური და აგრარული მოთხოვნებისაგან. აქ იყო პიროვნების სრული თავისუფლების, დემოკრატიული წარმომადგენლობითი მმართველობის, ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაციის, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის, მულმივი ჯარის გაუქმებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. ეკონომიურ სფეროში პროგრამა-მინიმუმი ითვალისწინებდა ფინანსების საქმის რეორგანიზაციას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, 8 საათიან სამუშაო დღეს, ბავშვთა შრომის აკრძალვას, ერთთვიან შვებულებას, შრომის ბიუროების დაარსებას, სქესის განურჩევლად შრომის თანასწორ ანაზღაურებასა და სხვა.

აგრარულ საკითხში სოციალისტ-ფედერალისტები მისდევდნენ ესერების მიწის სოციალიზაციის პროგრამას. სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას; კონფისკებული მიწების რევოლუციური გზით წერილი და მსხვილი ტერიტორიული ერთეულებისათვის გადაცემას. აგრარული პროგრამა ითვალისწინებდა მიწის კოლექტიური შრომით დამუშავებას, ხოლო სადაც ეს შესაძლებელი არ იქნებოდა იქ მიწა გლეხებისათვის უნდა გადაეცათ. წვილ მესაკუთრეებს, რომლებიც მიწას თვითონ არ ამუშავებდნენ, მამული უნდა ჩამორთმეოდათ. მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო. სოციალისტ-ფედერალისტების აგრარული პროგრამა მოითხოვდა, რომ საშუალო მიწისმფლობელებს იმდენი მიწა დარჩენოდათ, რამდენსაც პირადი შრომით დამუშავებდნენ. უნდა შემოეღოთ საყოველთაო გამათანასწორებელი გადასახადი რენტაზე.

სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა დევიზად აცხადებდა რევოლუციურ ბრძოლას სრულიად-რუსეთის დამფუძნებელი

კრებისა და ადგილობრივი დამფუძნებელი კრებების მოსაწყობად. რომელთა დროს შესაძლებელი იქნებოდა თვითმპყრობელობის დამხობა და პროგრამა-მინიმუმის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა.

სოციალისტ-ფედერალისტების სოციალიზმი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი იყო. ამ სოციალიზმს ორი მხარე აქვს. ერთი მხარეა, როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, ის, რომ მას მშვენივრად შეუძლიან შენიშნოს წინააღმდეგობა თანამედროვე წარმოებით ურთიერთობაში. მეორე მხარეა ის, რომ ეს სოციალიზმი არის უტოპიური, რეაქციული. ვ. ლენინი ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ წერდა, რომ წვრილბურჟუაზიისა და მისი პარტიის პროგრამის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ კლასის ორმაგი ხასიათი. წვრილბურჟუაზიული პარტია პროგრესულია. რამდენადაც ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებს და რეაქციულია, რამდენადაც იბრძვის წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობის შესანარჩუნებლად¹⁶.

სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა ორმაგი ხასიათისაა. მათი სოციალიზმი უტოპიური იყო. ისინი თავს აცხადებდნენ წვრილი მესაკუთრეების პარტიად და, ამასთან, აღიარებდნენ სოციალიზმს. მათ არ ესმოდათ, რომ „სოციალისტური შეიძლება იყოს მხოლოდ ის პარტია, რომელიც სოციალიზმს აერთებს... მუშათა მოძრაობასთან“ (ვ. ლენინი). ვ. ლენინი აკრიტიკებდა რუსეთის ესერებს იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ ერთნაირად დაყრდნობოდნენ ინტელიგენციას, პროლეტარიატს და გლეხობას. ასევე დაემართათ სოციალისტ-ფედერალისტებს. მათ თავიანთ სოციალურ ბაზად, საერთოდ, მშრომელები, წვრილი მესაკუთრეები მიიჩნდათ. მარქსიზმი ინტელიგენციას და გლეხობას მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის დასაყრდენად აღიარებს. ამგვარად, სოციალისტ-ფედერალისტების სოციალური ბაზა გამორიცხავდა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

ვ. ლენინი ესერების მიწის სოციალიზაციის პროგრამას მკაცრად აკრიტიკებდა. ამ მოთხოვნას შეცდომაში შეჰყავდა გლეხო-

¹⁶ ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 340.

ბა და მუშებიც კი. ასეთი მოთხოვნა სახელს უტეხდა მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას წარმოების ყველა საშუალებათა განზოგადების შესახებ. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა-მინიმუმი მოითხოვდა პროფესიულ და კოოპერატიულ ამხანაგობებისათვის ეკონომიურ დახმარებას. ვ. ლენინი ესერების შესახებ წერდა, რომ „როცა სოციალისტ-რევოლუციონერებს თავის პროგრამა-მინიმუმში შეაქვთ კოოპერაციების მხარდაჭერა და განვითარება, ამით ისინი სავსებით სტოვებენ რევოლუციური ბრძოლის ნიადაგს და აქვეითებენ თავის ვითომდა სოციალიზმს სრულიად ჩვეულებრივი წვრილბურჟუაზიული რეფორმატორობის დონემდე“¹⁷.

სოციალისტ-ფედერალისტების აგრარული პროგრამა ითვალისწინებდა მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობას. ეს იყო მავნე და განუხორციელებელი. თუმცა 1918 წ. თებერვალში საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო „მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი“, მაგრამ ეს იყო დროებითი ზომა, რათა გლახთა მასების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ. ამ კომპრომისმა დიდი როლი შეასრულა გლახთა მასების საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოყვანაში.

სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა უტოპიური იყო და ეს კარგად ჩანს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნიდან. მათი პირველი დევიზი იყო რევოლუციური ბრძოლა დამფუძნებელი კრებისათვის, რომლის მეშვეობითაც გადაჭრიდნენ სასიცოცხლო საკითხებს. ვ. ლენინის თქმით ასეთი რამის გაკეთება, ასეთი ილუზიის შექმნა მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს შეუძლიათ. მათი აზრით, კაპიტალიზმის დროს მშრომელ მასებს შეუძლიათ ჰქონდეთ ისეთი მაღალი შეგნებულება, ხასიათის სიმტკიცე, შორსმჭვრეტელობა და ფართო პოლიტიკური პორიზონტი, რომ მხოლოდ კ ე ნ კ ი ს ყ რ ი თ, ბრძოლის გამოცდილების გარეშე გადაწყვიტონ თუ რომელ კლასს და რომელ პარტიას უნდა გაჰყვნენ¹⁸.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პროგრამა აშკარად წვრილბურჟუაზიული პარტიის პროგრამა იყო, რომლის დამახა-

17 ვ. ლენინი, ტ. 6, გვ. 209.

18 იქვე, ტ. 30, გვ. 313—314.

სიათებელი უპირველესი ნიშანი ის იყო, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ითვალისწინებდა არა კლაობრივ ბრძოლას, არამედ საყოველთაო კეთილდღეობას.

სოციალისტ-ფედერალისტები პროგრამის დასაწყისში აცხადებენ, რომ მათი უმაღლესი იდეალი სოციალიზმია. ეს იდეალი, როგორც ზევით ვთქვით მათ მიერ დასახული გზით ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მათ პროგრამაში, მათ მთელ საქმიანობაში უარყოფითის გვერდით არ დაგვენახა მეორე, პროგრესული, დადებითი მხარე. მათი განცხადება რომ ისინი იბრძვიან მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული მონობისაგან; მათი მოთხოვნა კერძო საკუთრების გაუქმებისა, პიროვნების თავისუფლებისა და სხვა, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი მოთხოვნები მოწმობს იმას, რომ მათ პროგრამასა და საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა დემოკრატიულ ბრძოლას. ვ. ლენინი მოითხოვდა, რომ წვრილბურჟუაზიულ პროგრამებში მკაცრად გაერჩიათ ორი მხარე, უკუეგდოთ მათი თეორიების ყოველგვარი სოციალისტური ხასიათი, მაგრამ მხარი დაეჭირათ მათი დემოკრატიული ბრძოლისათვის. ვ. ლენინი ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ რომბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ვრცლად ახასიათებდა წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიების მოთხოვნების დემოკრატიულობას, მათი ბრძოლის პროგრესულ მნიშვნელობას. ის მკვეთრად გამიჯნავდა მათ პროგრამასა და საქმიანობაში იმას, თუ რას უნდა დაუჭირონ სოციალ-დემოკრატებმა მხარი და რას უნდა ებრძოლონ.

არჩ. ჯორჯაძე წერდა, რომ ქართული სოფელი გაყოფილია კატეგორიებად — მსხვილი მემამულეები, საშუალო შეძლების მემამულეები, თავადაზნაურობა, ვაჭრები და გლეხები — ღარიბ-ღატაკნი — დროებით ვალდებულნი, მოიჯარადრენი, წვრილი მესაკუთრენი და სხვა. მათ შორის წინააღმდეგობა იყო და სოციალისტ-ფედერალისტები ქართული სოფლის მხოლოდ ერთი ნაწილის ინტერესებს იცავდნენ, ესენი იყვნენ წვრილი მესაკუთრენი, მოიჯარადრენი, ხიზნები, დროებითვალდებული გლეხები და მოჯამაგირენი¹⁹. ამიტომაც, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პროგრა-

¹⁹ არჩ. ჯორჯაძე (საბუელი), როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საქმე? თბ., 1906, გვ. 6—7.

მაშინ ასეთი დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრარულ საკითხს. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის ის მოთხოვნები, რომ მოსპობილიყო მიწის კერძო საკუთრება, კონფისკებული მიწები გადასცემოდა მსხვილ და წვრილ ტერიტორიულ ერთეულებს, მომხდარიყო მიწების მოხმარების გათანაბრება, სხვა არა იყო რა, თუ არა წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოთხოვნები.

1905—1907 წწ. რევოლუციის შემდეგ, კვლავ მწვავედ დგას საკითხი სოფლად კაპიტალიზმის განვითარების გზების შესახებ. კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულმა გზამ აშკარად უპირატესობა მოიპოვა. ბრძოლა კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ და ამერიკულ გზებს შორის ასახავდა სოფლის ორი ძირითადი კლასის — მემამულეებისა და გლეხების ინტერესების ბრძოლას. რუსეთში მემამულეების ინტერესებს აშკარად გამოხატავდნენ კადეტები და მის მარჯვნივ მდგომი პარტიები, ხოლო გლეხობის ინტერესებს ტრუდოვიკები და მის მარცხნივ მდგომი პარტიები. რსდმპ გადაჭრით დაადგა გლეხური აგრარული რევოლუციის ცნობის გზას. პარტიის შიგნით ვ. ლენინი და ბოლშევიკები მოითხოვდნენ მიწის ნაციონალიზაციას და ამ გზით გლეხების ინტერესების დაცვას. მასლოვი, ნ. ჟორდანიი, ი. წერეთელი და სხვა მენშევიკები იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციას, რაც იყო აგრარული ბიმეტალიზმი — ყველაზე ძველი, მობერებული, დრომოკმული, შუასაუკუნეობრივი სანადელო საკუთრების შეერთება მიწის კერძო საკუთრების არარსებობასთან, ე. ი. საადგილმამულო ურთიერთობის უადრესად მოწინავე, თეორიულად იდეალურ წყობასთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში²⁰. პარტიათა იმ ჯგუფში, რომლებიც მარცხნივ იდგნენ, იყვნენ ესერები მიწის სოციალიზაციის პროგრამით. მიწის სოციალიზაცია თავის თავში გულისხმობდა მიწის ნაციონალიზაციას, რადგან უნდა მომხდარიყო მსხვილი მემამულეების მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა ტერიტორიული ერთეულებისადმი. კონფისკაცია გულისხმობდა ნაციონალიზაციას. 1918 წ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული „მიწის სოციალიზაციის კანონი“ მიწის ნაციონალიზაციით იწყებოდა. ამგვარად, სოციალიზაციის ესერული (და სოციალისტ-ფედერალისტური) პროექტი შეიცავდა ძირითად რაციონალურ მარცვალს — მიწის ნა-

20 ვ. ლენინი თხზულებანი, ტ. 13, გვ. 287.

ციონალიზაციის მოთხოვნას და, ამდენად, ეს პროგრესული იყო. ვ. ლენინი წერდა, რომ საჭიროა ჯეროვნად შეფასდეს ისტორიულ-პროგრესული მნიშვნელობა უაღრესად გაბედული პროგრესული ლოზუნგებისა.

„სოციალიზაციის“ რეალური შინაარსი ის იყო, რომ იგი უაღრესად თანმიმდევრულად უკაფავდა გზას კაპიტალიზმს, რომ ის გადაჭრით აღმოფხვრიდა ბატონყმობას. მემამულეთა მიწების კონფისკაცია, რასაც ქადაგებდა ესერების (და სოციალისტ-ფედერალისტების) სოციალიზაციის პროგრამა, მეტად მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ასეთი გადატრიალება მიწათმფლობელობის არსებულ პირობებში ილუზიურობასთან, უტოპიურობასთან ერთად აგრეთვე, იყო ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. ეს შეადგენდა ამ ილუზიური თეორიის რეალურ შინაარსს²¹.

ესერების (და სოციალისტ-ფედერალისტების) აგრარული პროგრამა მოითხოვდა მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობას. ეს დოქტრინა საერთოდ მკვდარი, განუხორციელებელი დოქტრინა იყო. მაგრამ, თუ მას ჩამოაცილებდნენ ჩენჩოს, მაშინ გამოჩნდებოდა გლეხური რევოლუციის ცხოველმყოფელობა. ჩამორჩენილ, რეაქციულ, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის დოქტრინებში იმალებოდა მოწინავე, რევოლუციური წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმი. თანასწორობის იდეა უაღრესად რევოლუციური იდეა იყო აბსოლუტიზმსა და განსაკუთრებით ძველ ბატონყმურ მიწათმფლობელობასთან ბრძოლაში. „თანასწორობის იდეა კანონიერი და პროგრესულია, როდესაც მას წვრილი ბურჟუა-გლეხი აყენებს, რამდენადაც ის ფეოდალური, ბატონყმური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს“²².

მენშევიკების მუნიციპალიზაციის პროგრამა სოციალიზაციის პროგრამიდან შორს იდგა. ვ. ლენინი წერდა, რომ მენშევიკები გლეხურ-აგრარულ რევოლუციაში უფრო შორს იდგნენ მიწის ნაციონალიზაციისაგან და უფრო ახლოს სანადელო და არა მარტო სანადელო საკუთრების ლიბერალურ-მემამულურ შენარჩუნებასთან. სოციალიზაცია კი გულისხმობდა ნაციონალიზაციას და ჩენჩოს — „სოციალიზაციის“, სიტყვების რახარუხის ჩამოცილების შემდეგ დარჩებოდა გათიშვა ფეოდალურ სიძველესთან, სანადე-

21 ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 290.

22 იქვე, გვ. 289.

ლო სისტემასთან, რუტინასთან. როცა მარქსისტები ამბობენ, რომ მიწათსარგებლობის გათანაბრება-გადაყოფიდან არაფერი გამოვალ, ლაპარაკობენ სოციალიზმზე, რომ ეს კაპიტალიზმს ვერ მოსპობს. მაგრამ ასეთი ცდიდან, სოციალიზაციის იდეიდანაც კი ძალიან ბევრი გამოვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების სასარგებლოდ²³, რომ ე. წ. „სოციალიზაციაში“ არის მიწის ნაციონალიზაციის კაპიტალისტური დედაარსი“²⁴.

ამგვარად, სოციალისტ-ფედერალისტების აგრარული პროგრამა გლენობის ინტერესებთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე მენშევიკების აგრარული პროგრამა.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტია რომ წვრილი მესაკუთრეების, გლეხების, ხელოსნების პარტია იყო, ეს სხვა მასალიდანაც კარგად ჩანს, (მაგალითად, არჩ. ჯორჯაძის ზემოდანახელებული ნაშრომებიდან. თ. ღლონტის ნაშრომიდან და სხვ.)

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შიგნით შემდეგში ორი ფრთა ჩამოყალიბდა — მემარჯვენე და მემარცხენე. მათი ერთი ნაწილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ლოიალურად შეხვდა და კომუნისტური პარტიის რიგებშიც კი შევიდა.

ორიოდე სიტყვა სოციალისტ-ფედერალისტების ნაციონალისტობის შესახებ. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პროგრამა აღნიშნავდა, რომ ეროვნული ურთიერთობა და ერთა შორის შუღლი აფერხებდა მშრომელი ხალხის განვითარებას და აიძულებდა მას მონაწილეობა მიეღო ისეთ ბრძოლაში, რომელიც კლასობრივ თვითშეგნებას აჩლუნგებდა. პროგრამა მოითხოვდა რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს შიგნით დამოუკიდებლობას შინაურ საქმეებში, ე. ი. ავტონომიას, ეროვნულტერიტორიულ ავტონომიას და საერთო საქმეებში შეთანხმებას, ე. ი. ფედერაციას. ეს, მათი აზრით, საუკეთესო გადაწყვეტა იყო ეროვნული საკითხისა და ნიადაგს შექმნიდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა ჩაგრულ ერებს გაცილებით მეტს — ერთა თვითგამორკვევის უფლებას აძლევდა.

23 იქვე, გვ. 348—349.

24 იქვე, გვ. 352.

მათვის, ვინც არ მოისურვებდა თვითგამორკვევას, ბოლშევიკებს ჰქონდათ ჯერ საოლქო თვითმმართველობის, შემდეგ კი საოლქო ავტონომიის მოთხოვნა.

საქართველოს წვრილბურჟუაზიული პარტიებიდან სოციალისტ-ფედერალისტები პირველნი იყვნენ, რომლებმაც მოითხოვეს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. ეს სავესებით გასაგებია. ეროვნული საკითხი გლეხური საკითხია (ი. სტალინი), სოციალისტ-ფედერალისტების პარტია წვრილი მესაკუთრეების (უმთავრესად გლეხების) პარტია იყო. დასაწყისში სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხში ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად გამოდიოდნენ; რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ გაიმიჯნენ.

სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნულ პროგრამაში. მათ საქმიანობაში (1917 წლის ოქტომბრამდე) ბევრი პროგრესული და დემოკრატიულია. ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო დემოკრატიული შინაარსი. ეს არის ბრძოლა ეროვნული ჩაგრვის წინააღმდეგ. ვ. ლენინი ამ შინაარსს ყოველთვის მხარს უჭერდა. მით უმეტეს, რომ სოციალისტ-ფედერალისტები წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიების რიცხვს ეკუთვნოდა და მათი ეროვნული პროგრამა სულაც არ იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას, საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნას. ეს ერთადერთი გზა იყო ერის თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში. ავტონომიის მოთხოვნა რეფორმატული მოთხოვნა იყო. ის მკვეთრად განსხვავდებოდა ბოლშევიკების ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნისაგან, რაც ნიშნავდა გამოყოფის თავისუფლებას და იყო რევოლუციური მოთხოვნა. რეფორმა კი ნაბიჯად რევოლუციისაკენ. ავტონომიის მოთხოვნა პროგრესული იყო იმიტომ, რომ ის ერს მისცემდა საშუალებას საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო ერთად, დაერაზმა თავისი ძალები, შეეცნო თავისი თავი და ძალა მოეკრიბა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად²⁵. ჩაგრულ ერთა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ უკვე 1913 წ. (გაეხსენა-

²⁵ ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 439.

ნოთ პორონიის თათბირის გადაწყვეტილება და ვ. ლენინის მთელი რიგი სტატიები და რეფერატები ეროვნულ საკითხზე).

შემდეგი არის სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ფედერაციის მოთხოვნა. არც ეს იყო შემთხვევითი ამ პარტიის მოღვაწეობაში. ესეც დროის, ეპოქის მოთხოვნის შედეგი იყო. 1914 წ. ვ. ლენინმა კრაკოვში წაიკითხა მოხსენება ეროვნულ საკითხზე. ამ მოხსენებაში მან თქვა: 1905 წ. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ბევრ განაპირა მხარეში ფედერალური მისწრაფებების ფორმით გამოვლინდა. ფედერალური მისწრაფება, ეს არის მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნისაკენ²⁶. ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ ვ. ლენინი უკვე იხრება ფედერაციის სასარგებლოდ, რადგან ის მომხრეა ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისა. ფედერალური მისწრაფებები კი არსებითად იყო მისწრაფებები საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნისაკენ (ვ. ლენინი). 1916 წელს სტატიაში „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“, ვ. ლენინი ეროვნულ უთანასწორობის არსებობასთან შედარებით ფედერაციას აძლევდა უპირატესობას. ის წერდა, რომ შეიძლება იყო ფედერაციის წინააღმდეგი, მაგრამ ეროვნულ უთანასწორობასთან შედარებით უპირატესობას აძლევდა ფედერაციას²⁷. ამგვარად, სოციალისტ-ფედერალისტების მიერ საქართველოს ავტონომიისა და ფედერაციის მოთხოვნა დროის, ეპოქის მოთხოვნის შედეგი და. „ხალხთა საპყრობილეს“ არაებობის პირობებში, ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნისათვის ბრძოლაში პროგრესული და დემოკრატიული იყო.

სოციალისტ-ფედერალისტების ნაციონალისტობისა და ბურჟუაზიულობის დასამტკიცებლად ხშირად მოჰყავთ არგუმენტებად ერთიანი მოქმედების ნიადაგის თეორია და სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ინტერესების დაცვა. ერთსაც და მეორესაც სოციალისტ-ფედერალისტები რუსეთის პირველ რევოლუციამდე ქადაგებდნენ, როდესაც კიდევ იკვებებოდნენ იმ ილუზიით, რომ შეიძლებოდა საქართველოს ყველა კლასებთან საერთო ენის გამოჩახვა. შემდეგში, როდესაც ყველაფერი

26 ლენინის კრებული, XVII, გვ. 233 (რუს. ენაზე).

27 ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 177.

გაირკვა, დაზუსტდა და რევოლუციამ ყველაფერი თავის ადგილზე დასვა, სოციალისტ-ფედერალისტებმაც საერთო მოქმედების ნიადაგზე და ქართველ ვაჟარ-მრეწველთა დაცვაზე ხელი აიღეს. 1911 წ. არჩ. ჯორჯაძე წერდა, რომ მისი საერთო მოქმედების თეორიის დამარცხება ლოგიკური იყო. საერთო მოქმედების ნიადაგი, ვაჟარ-მრეწველთა დაცვა და სხვა მსგავსი რამ, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიაში, ეპიზოდური იყო, როგორც ეს სწვევით წვრილბურჟუაზიულ პარტიებს.

როგორც ზევით ვთქვით, სოციალისტ-ფედერალისტებისათვის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კვალიფიკაციის ძიებმა სათავეს იღებს ი. სტალინთან და ა. წულუკიძესთან. ეს აღრეულ პერიოდს ეხება, როდესაც პარტია ჯერ კიდევ არ იყო საბოლოო სახით ჩამოყალიბებული. ამ პერიოდზე არჩ. ჯორჯაძე წერდა, რომ მაშინ ისახებოდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, მისი ნაბიჯები შეუცდომელი არ იყო. პარტიას ირგვლივ ეხვეოდა ისეთი ხალხი, რომელსაც მასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეს მოხდა იმიტომ. რომ გაზეთმა „საქართველომ“ ავტონომია აღიარა და ამ აზრს ჩაეჭიდა ქართველი საზოგადოება. სოციალისტ-ფედერალისტებს გაეხარდათ — თანამგრძობნი ვიშოვეთო და არ გაითვალისწინეს. რომ ეს თანამგრძობნი ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა მათ. არჩ. ჯორჯაძემ 1901—1903 წწ. ხარკი გადაუხადა ამ თანამგრძობებს საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიის აღიარებითა და ქართველ ვაჟარ-მრეწველთა ქომაგობით.

სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ეწეოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატია. ამან დიდი კვალი დააჩნია ქართულ ისტორიოგრაფიას სოციალისტ-ფედერალისტების შეფასების საქმეში. ის რაც ითქვა ამ 50-60 წლის წინათ სოციალისტ-ფედერალისტებზე, განუყოფლად ბატონობდა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ეს გასაგებიცაა, რადგან არ იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორიის შესწავლის პირობები. ამის შედეგი იყო ის, რომ ისტორიკოსებს ყურადღების გარეშე დარჩათ ვ. ლენინის სიტყვები, („ნაციონალური პროგრამის ისტორიისათვის ავსტრიასა და რუსეთში“. 1914 წ.), რომ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია“, გარდა ებრაელების ბურჟუაზიული პარტიებისა, ბუნდისა და ლიკვიდატორებისა, მიიღო კიდევ მხოლოდ შემარცხენე-ნაროდნიკული მიმართულების წვრილ-

ბურჟუაზიულ ნაციონალურ პარტიათა კონფერენციამ. მაგრამ იქაც ეს პოგრამა 4 პარტიამ მიიღო („სერპმა“ — ებრაელთა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ; ბელორუსთა გრომადამ, დაშნაკუთიუნმა და ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა), ხოლო ორმა ყველაზე დიდმა პარტიამ თავი შეიკავა: თავი შეიკავეს რუსმა მემარცხენე ნაროდნიკებმაც და პოლონელმა „ფრაკებმაც“ (პ. პ. ს.)!²⁸ მოტანილი ციტატიდან და საერთოდ მთელი წერილიდან, რომელიც მიმართულია ნაციონალიზმით დაავადებული სოციალ-დემოკრატებისა და წერილბურჟუაზიული (სოციალისტობას რომ ჩემულობდნენ) პარტიების წინააღმდეგ, ჩანს, რომ ვ. ლენინს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მიაჩნდა მემარცხენე-ნაროდნიკული მიმართულების წერილბურჟუაზიულ პარტიად. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ვ. ლენინს თხზულებათა კრებულის გამომცემლებს ტომის რედაქციისეულ შენიშვნებში ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია დაეხასიათებინათ, როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია.

გაუგებრობას იწვევს სხვა გარემოება — თუ რატომ დაუჭირეს მხარი ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას?! ისინი ხომ ტერიტორიული ავტონომიის პრინციპს იცავდნენ და მთელი ძალით ებრძოდნენ ქართველი მენშევიკების კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პროგრამას. ეს საკითხი, ალბათ, შემდეგი კვლევის შედეგად გაირკვევა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სოციალისტ-ფედერალისტების მეტად ავი სახელის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ბერიას წიგნაკმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის რაობის გასარკვევად ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში (და ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიაში) უკანასკნელ დრომდე მის შესახებ მცდარი აზრი იყო დამკვიდრებული.



ფ. მახარაძე წერილში — „ახალი კავშირი“, გაცემას გამოთქვამდა იმ მოულოდნელობის გამო, რომ სოციალისტ-ფედერალი-

სტები. ეროვნული დემოკრატები და მენშევიკები გაერთიანდნენ ინტერპარტიულ საბჭოში. ნამდვილად კი ეს მოულოდნელობა არ იყო. ეს კავშირი ლოგიკური იყო. ჯერ კიდევ მათფლიო ომის წინ, მენშევიკები, რომელთა დიდი ნაწილი ერთ დროს ეროვნულ ბრძოლას არ ცნობდა, კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას აღიარებდნენ. ჯერ კიდევ 1909 წელს, არჩ. ჯორჯაძე წერილში — „შეთანხმების იმედი“ (გამოქვეყნდა „დროებაში“) წერდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები) დაიძრა ძველი პოზიციიდან ეროვნული საკითხის გადასაწყვეტადო. არჩ. ჯორჯაძე წინასწარმეტყველებდა, რომ სოციალ-დემოკრატია მიიღებდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას და ამ ნიადაგზე მოხდებოდა მათი შეთანხმება სოციალისტ-ფედერალისტებთან და სხვა ავტონომისტებთან²⁹. ეს შეთანხმება მოხდა 1917 წ. ინტერპარტიული ეროვნული საბჭო დიდხანს მზადდებოდა. ფ. მახარაძე მკაცრად აკრიტიკებდა ინტერპარტიულ საბჭოს, რომელიც ლალატობდა რუსეთის რევოლუციას. ამ საბჭოს აფასებდა, როგორც მენშევიკების ბლოკს საქართველოს კონტრრევოლუციურ კლასებთან³⁰.

მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ფ. მახარაძემ პირველმა შექმნა აზრი საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე („საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, გაზეთი „ბრძოლა“, 1917 წ. 21 ნოემბერი).

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა, 1917 წ. 19 ნოემბერს, თბილისში მოიწვიეს ე. წ. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ფ. მახარაძე ააშკარავებდა მენშევიკების წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, მათ ლალატს მარქსიზმისადმი. ეს ყრილობა მოიწვია ინტერპარტიულმა საბჭომ და მას ესწრებოდა ქართველთა ვადანაურობა, ესწრებოდნენ ვაჭრები, მრეწველები, ეროვნული დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები, სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებების წარმომადგენლები, ინტელიგენტური პროფკავშირების წარმომადგენლები. მაგრამ აქ არ იყვნენ „ნამდვილი ხალხის წარმომადგენლები“ (ფ. მახარაძე), — მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების წარმომადგენლები. ფ. მახარაძე წერდა, რომ ეს იყო სინამდვილის გაყალბება. იქ, სადაც არ მონაწილეობ-

²⁹ არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 269 — 270.

³⁰ ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 117.

დნენ მუშები და გლეხები, ის ყრილობა არ შეიძლება ეროვნული ყრილობა ყოფილიყო. ამ წერილში კარგად ჩანს, რომ ფ. მახარაძე აქტიურ ბრძოლას ეწეოდა რუსეთისაგან საქართველოს მოწყვეტის წინააღმდეგ და მენშევიკების საქმიანობას კლასობრივ ახსნას აძლევდა — მათ უღალატეს მუშების საქმეს, მაშაადამე, თანახმანი არიან და ილწვიან იმისათვის, რომ საქართველოს მუშები მოწყვიტონ რუსეთში მომხდარ მუშურ რევოლუციას; მათ გაწყვიტეს კავშირი როგორც რუპეთის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატთან. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ქართველი მენშევიკების სრული გაკოტრება იყო — ასეთია ფ. მახარაძის აზრი ეროვნული ყრილობის შესახებ.

ფ. მახარაძის პუბლიცისტური წერილების იმ ჯგუფიდან, რომელიც ქართულ ეროვნულ საკითხს შეეხება, აღსანიშნავია „ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება“ (გაზეთი „ბრძოლა“, 1917 წ. 17 და 24 დეკემბერი³¹). ამ წერილში ფ. მახარაძე კვლავ ამხელდა ქართველი მენშევიკების მიერ მარქსიზმის ღალატს და მკაცრად აკრიტიკებდა მათ დამოკიდებულებას ქართული ეროვნული საკითხისადმი. იგი ააშკარავებდა მენშევიკების კავშირს საქართველოს არაპროლეტარულ პარტიებთან ეროვნული საბჭოს შიგნით. მისი აზრით ქართველმა მენშევიკებმა უარყვეს „კლასობრივი თვალთა ხედვის წერტილი“ და, სოციალისტ-ფედერალისტების მსგავსად, ერთიანი ნიადაგის თეორიას ქადაგებდნენ. ფ. მახარაძე გაზეთის მკითხველს მოაგონებდა, რომ არჩ. ჯორჯაძესა და ამ თეორიას ნოე ჟორდანიას და მენშევიკები თავგამოდებით ებრძოდნენ; თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კი არჩ. ჯორჯაძის ამ იდეალებს ისინი დიდი გულმოდგინებით ახორციელებდნენ.

ფ. მახარაძე პარალელს ავლებდა სოციალისტ-ფედერალისტებსა და ქართველ მენშევიკებს შორის და დაასკენიდა, რომ ისინი ერთმანეთში გაითქვიფნენ. ფ. მახარაძე აკრიტიკებდა მენშევიკებს, სოციალისტ-ფედერალისტობას სდებდა ბრალად მათ იმის გამო, რომ, თითქმის სრული თანაგრძნობით შეხვდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, კათალიკოსობის აღდგენას. ეს კრიტიკა სამართლიანია იმ თვალსაზრისით, რომ მარქსიზმის მსოფლმხედველობას

31 ფ. მახარაძე, იქვე.

საერთო არაფერი აქვს რელიგიასთან. მაგრამ ამის შესახებ ფ. მახარაძე არაფერს ამბობს. თავის დროზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგი, საქართველოს დაპყრობის ერთ-ერთი ნიშანი იყო. ფ. მახარაძის აზრით, მენშევიკები რუსული ეკლესიისაგან ქართული ეკლესიის ჩამოცილებას თანაგრძნობით შეხედნენ იმის გამო, რომ საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისას არ ეყრდნობოდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიას. ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ერთ-ერთი ნიშანი იყო და ფ. მახარაძის კრიტიკაც იქითგენაა მიმართული.

ფ. მახარაძე ერთ-ერთი პირველი იძლევა ისტორიულ აზრს ეროვნული საბჭოს მიერ ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნის შესახებ. ფ. მახარაძე წერდა, რომ მენშევიკების ხელმძღვანელობით ეროვნული საბჭოს მიერ ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნა სხვა არაფერია თუ არა ექსპლოატატორული კლასების დამცველი შეიარაღებული ძალების შექმნა. ეს არის კლასთა ბრძოლის თეორიაზე დაყრდნობილი ახალიზი საზოგადოებრივი მოვლენისა. ფ. მახარაძეს ჯარის ეროვნული ნაწილები შექმნა კონტრრევოლუციურ ზომად მიაჩნია იმის გამოც. რომ ამ აქტით ქართველ ჯარისკაცებს თიშავდნენ არაქართველი ჯარისკაცებისაგან და ამით ასუსტებდნენ რევოლუციას.

საინტერესო წერილი მიუძღვნა ეროვნულ საკითხს ცნობილმა ბოლშევიკმა პროკოფი (ალიოშა) ჭაფარიძემ. წერილი სათაურით „რევოლუცია და ეროვნული საკითხი“ დაიბეჭდა გაზეთში „კავკასსკი რაბოჩი“ (1917 წ. 7 აპრილი³²).

3. ჭაფარიძის ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ თებერლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კავკასიის ერებისა და მათ შორის ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი მხარე იყო ეროვნული მოძრაობა. 3. ჭაფარიძე წერდა, რომ ეროვნული საკითხითაა შეპყრობილი ყველა და ყველაფერი, რომ პოლემიკას ეროვნულ საკითხზე ხშირად მუშტი-კრივი ცვლის. ასეთ ვითარებაში, როდესაც მეფის რუსეთის მიერ ჩაგრული ერები ელიან ხსნას, ელიან ეროვნულ თავისუფლებას, 3. ჭაფარიძე მოუწოდებდა ხალხს თავი დაენებე-

32 3. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, რჩეული სტატიები, სიტყვები და წერილები 1905—1918, 1962, თბ.

ბინა ეროვნული საკითხისათვის. მისი აზრით, დროებითი მთავრობის არსებობის დროს უაზრო იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა. თუ საბოლოოდ გაიმარჯვებდა კერენსკი და კომპანია, მაშინ თავისუფლებას არ მისცემდნენ ჩაგრულ ერებს. ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს უნდა შეეწყვიტათ ხმაური ეროვნულ საკითხზე. ისინი უნდა დახმარებოდნენ რევოლუციურ რუსეთს ძველი წყობილების დანგრევაში. ვიდრე არ მოხდებოდა სოციალისტური რევოლუცია, ყველა საკითხი, და, მათ შორის, ეროვნული საკითხიც, უკანა პლანზე უნდა გადასულიყო. პ. ჭაფარიძე მოითხოვდა სახელმწიფოს საერთო დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით ადგილობრივ და სამხარეო დემოკრატიულ თვითმმართველობას. მისი აზრით, სოციალ-დემოკრატია კავკასიის ცალკეული ერების ავტონომიის წინააღმდეგ იყო. ჭერ კიდევ 1913 წ. რსდმპ ცკ-ს 1913 წ. „აგვისტოს“ („საფხულის“) თათბირმა დაადგინა, რომ აუცილებელი იყო ფართო საოლქო ავტონომია და სრული დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა. თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობებსა და ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით. პარტიის პროგრამის § 3-საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნა იმ ადგილებისათვის. რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით, და, რასაც ამჯერად პ. ჭაფარიძე მოითხოვდა, — პარტიისათვის უკვე განვლილი ეტაპი იყო³³.

პ. ჭაფარიძემ წერილი — „რევოლუცია და ეროვნული საკითხი“, რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის წინ დაწერა. ის მკითხველს პირდებოდა წერილების მთელ სერიას ეროვნულ საკითხზე. მაგრამ, როგორც ჩანს, კონფერენციის შემდეგ მან შეიცვალა შეხედულება ეროვნულ საკითხზე. შემდგომში მას ასეთი ხასიათის წერილები არ გამოუქვეყნებია.

1917 წ. შექმნილი ვითარების შეფასება აქვს მოცემული ქართულ ბოლშევიკს მ. ტოროშელიძეს მოხსენებაში ეროვნული საკითხის შესახებ. ის ამ მოხსენებით გამოვიდა რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო (სამხარეო) ყრილობაზე 1917 წ. ოქტომბერში³⁴.

³³ იხ. სკკპ რეზოლუციებსა... ნაწ. 1.

³⁴ გაზ. „კავკასსკი რაბოჩი“, 1917, 12 ოქტომბერი, № 171.

მ. ტოროშელიძემ მოხსენებაში მარქსისტულად გააშუქა ეროვნული საკითხის ზოგად-თეორიული ნაწილი: იმპერიალიზმის ეპოქაში ერების დამონებას დაუპირისპირა პროლეტარიატის პარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნა ერთა თვითგამორკვევისა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მ. ტოროშელიძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ რუსეთის რევოლუციამ პრაქტიკულად დასვა საკითხი ერთა თვითგამორკვევისა, ე. ი. ჩაგრული ერების განთავისუფლებისა. მან შეაფასა კავკასიის არაპროლეტარული პარტიების მიერ შედგენილი ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტები: ეროვნულ-კულტურული ავტონომია, კანტონალურ-ეროვნული, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ფედერაცია და ა. შ., მ. ტოროშელიძის აზრით, ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ასეთი პროექტები იმის ცდა იყო, რომ ეკონომიური ჩამორჩენილობის თვითმყოფადობის ნიადაგზე შეექმნათ ყოველმხრივ ეროვნული განვითარებისა და დამოუკიდებლობის გარანტია. ეროვნული საკითხის ირგვლივ მიმდინარე ბრძოლა მ. ტოროშელიძეს სამართლიანად, კლასობრივი ბრძოლის თვალთახედვით აქვს შეფასებული.

მ. ტოროშელიძის მოხსენებას გასდევდა ის აზრი, რომ კავკასიის პროლეტარიატის ერთობა და მისი კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან აგუებდა კავკასიის პროლეტარიატს ინტერნაციონალურ კულტურასთან და უზრუნველყოფდა მისთვის ყველაზე კარგ პირობებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში. აქედან გამომდინარე მ. ტოროშელიძე გადაქრით უარყოფდა კავკასიის გამიჯვნას ეროვნებათა მიხედვით (ეს მაშინ, როდესაც 1917 წ. VII (აპრილის) კონფერენცია მოითხოვდა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ნაციონალური ოლქების ავტონომიას). ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გავლენისაგან პროლეტარიატის მოძრაობის დასაცავად და კავკასიის ყველა ხალხების მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ის მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას. მ. ტოროშელიძის აზრით, დაწესებულებებში ჩინოვნიკის არჩევისას და შეცვლისას, ყველა ენა თანასწორად უნდა გამოცხადებულიყო.

მ. ტოროშელიძე მოითხოვდა, რომ ეკონომიური ნიშნის მიხედვით შეექმნათ ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ტერიტორიული ერთეულები. ამასთან ეს ერთეულები შეიძლებისდაგვარად უნდა დამთხვეოდნენ ერთგვაროვანი ეროვნული

შემადგენლობის ხალხით დასახლებულ ტერიტორიებს. ამის შემდეგ ის მოითხოვდა სრულიად კავკასიის საოლქო თვითმმართველობას (ავტონომიას).

მართალია, დღეს კამათია ერის ცნების გადასინჯვისათვის, მაგრამ დღემდე არსებულ მარქსისტულ ლიტერატურაში არავის არ უარუყვია ის, რომ ერის ძირითადი ნიშნებია ენა და ტერიტორია და ეს ნიშნები ერის ყველა ახალი ცნებისათვის დარჩება. აქედან გამომდინარე მ. ტოროშელიძე ცდებოდა, როცა ახალ ტერიტორიულ ერთეულებს მიჯნავდა ეკონომიური ნიშნის მიხედვით. ეკონომიური ერთობა ერის ცნება ერთ-ერთი ნიშანია. ერთ ტერიტორიაზე მოსახლე ერთი ენის მქონე მოსახლეებს, თუ აქვთ ეკონომიური ერთობა და კიდევ სხვა, ის წარმოადგენს ერს და, ამდენად, მომხსენებელს გამოიჭნავს ეროვნებას მიხედვით უნდა მოეხდინა. არსებობდა ქართველი ერი ენით, ტერიტორიით, ეკონომიური ერთობით და ამიტომ უნდა გამოიჭნულიყო ნაციონალურ ოლქად. ასეთი იყო პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში.

დასასრულს, მ. ტოროშელიძე მოითხოვდა სრულიად — კავკასიის საოლქო თვითმმართველობას (ავტონომიას). ამ თვითმმართველობისა თუ ავტონომიის შიგნით უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, ზემონახსენები ადგილობრივი თვითმმართველობების ახალი ტერიტორიული ერთეულები. ეს კარგად ჩანს ყრილობის რეზოლუციიდანაც, რომელიც მოითხოვდა კავკასიის ავტონომიას და მის შიგნით ფართო ადგილობრივი თვითმმართველობებს ახალი სამეურნეო ადმინისტრაციული ერთეულების შექმნით³⁵.

საოლქო თვითმმართველობების მოთხოვნა უკვე განვლილი ეტაპი იყო. პარტიის ეროვნული პროგრამა ოლქების ავტონომიის მოთხოვნას აყენებდა. ამის შესახებ ყრილობაზე სტ. შაუმიანმა მიუთითა მ. ტოროშელიძეს. ეს როგორც ჩანს, თვითონაც იცოდა მომხსენებელმა, რადგან იგი საოლქო თვითმმართველობასთან ერთად იქვე, ფრჩხილებში, ავტონომიას მოითხოვდა, მაგრამ უპირატეობას მაინც თვითმმართველობას აძლევდა.

საერთოდ კავკასიის ავტონომიისა (თუ თვითმმართველობის) მოთხოვნა არაფრით არ იყო გამართლებული და არ პასუხობდა

³⁵ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, დოკუმენტები და მასალები, (1917—1921), თბ., 1958 (რუს. ენაზე), გვ. 106.

ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. 1913 წ. ვ. ლენინმა ს. შაუშიანისადმი გაგზავნილ წერილში მოიხსენია პოლონეთის, კავკასიის. სამხრეთისა და ურალის ავტონომია. აქ ეროვნული ნიშანი ამ ავტონომიებისა არ ჩანს. ამ ოლქებისათვის ავტონომიურობის მინიჭებას ვ. ლენინი უყურებდა. როგორც გზას დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობისაკენ. მაგრამ, საერთოდ, წერილიდან ჩანს. რომ ყოველივე ეს გამოწვეულია ეროვნული საკითხით. იმავე 1913 წ. დაწერილ წერილში („კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“), ვ. ლენინი იცავდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს. მაგრამ იქვე წერდა, რომ ეს არ გამორიცხავდა ადგილობრივ თვითმმართველობას „ისეთი ოლქების ავტონომიით, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობებით. მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით და სხვ., არამედ, პირიქით, აუცილებლად მოითხოვს ერთსა და მეორესაც“³⁶. ამასთან ერთად აღნიშნავდა, რომ „ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიური. თუნდაც სულ მცირე ზომის ოლქების შექმნას მთლიანი, ერთიანი. ეროვნული შემადგენლობით“³⁷. ვ. ლენინი წერდა ამას და იქვე ამბობდა. რომ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ავტონომიების შექმნისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაგრამ არა ერთადერთი და არა უმნიშვნელოვანესი სხვა ფაქტორებს შორის. წმინდა ეროვნულ-ტერიტორიულ პრინციპზე დადგომა ოლქების გამიჯვნისას შეუძლებელია, რადგან ოლქებში არის ქალაქები ქრელი მოსახლეობით. ამ ქალაქებს კი ვერ მოწყვეტ ოლქებს მხოლოდ ეროვნული სიწმინდის დაცვის მიზნით.

ი. სტალინი ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ წერდა. რომ ეროვნულ საკითხს ვერ წყვეტს ნაციონალური ავტონომია და ერთადერთ სწორ გზად, საკითხის გადასაწყვეტად, მიიჩნევდა საოლქო ავტონომიას ისეთი ჩამოყალიბებული ერთეულებისა, როგორცაა პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, კავკასია და ა. შ. ასეთი ავტონომია არ მიჯნავს ადამიანებს ერების მიხედვით. არ ამაგრებს ეროვნულ ტიხრებს³⁸. ი. სტალინი ამას წერდა

36 ვ. ლენინი. თხზულებანი. ტ. 20. გვ. 39.

37 იქვე. გვ. 45.

38 ი. სტალინი. ტ. 2. გვ. 389—390.

1913 წ., როდესაც ებრძოდა კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას და როდესაც კავკასია „ჩამოყალიბებული“ იყო ე. წ. სამეფის-ნაცვლოდ. 1917 წ. კავკასიის სამეფისნაცვლო უკვე დაშლის პროცესში იყო, ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობის წინაშე, იდგა. ე. ლენინის მიერ დაწერილი რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამია. რომ პარტია მოითხოვდა საოლქო ავტონომიას, თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრების გარკვევას თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვათა მხედველობაში მიღებით³⁰. რეზოლუციაში კარგად ჩანს, მაგრამ შეიძლება გამოგვედაონ. რომ არ არის მკვეთრად ხაზგასმული საოლქო ავტონომიის ეროვნული ნიშანი. ბოლშევიკები ამ რეზოლუციას ყოველთვის ისე იგებდნენ. რომ ოლქები უნდა გამიჯნულიყვნენ ეროვნებათა მიხედვით (იხ. ი. სტალინის „ფედერალიზმის წინააღმდეგ“, სადაც წერს. რომ „რეზოლუციაში ლაპარაკია... ერთიანი (უნიტარული) სახელმწიფოს ფარგლებში ნაციონალური ოლქების ავტონომიაზე“)³¹. 1917 წ. მარტში ი. სტალინი წერილში „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ“ მოითხოვდა. რომ გამოცხადებულყო პოლიტიკური ავტონომია იმ ოლქებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიას მოსახლეობის განსაკუთრებულ ყოფა-ცხოვრებითა და ეროვნული შემადგენლობით. მშობლიური ენაზე საქმის წარმოებითა და სწავლებით³². კავკასიას კი ასეთ ერთიანი მშობლიური ენა არ ჰქონდა. აქ ივულისხმებოდა ეროვნული ოლქების ავტონომიები. ამგვარად, მ. ტოროშელიძე ამიერკავკასიის ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში უშვებდა შეცდომას, როდესაც მოითხოვდა კავკასიის თვითმმართველობასა თუ ავტონომიას და მის შიგნით კი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შექმნას: მას უნდა მოეთხოვა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ოლქების ავტონომია.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ზემოდასახლებული პროექტები ქართული ხალხისათვის არსებულ

30 ე. ლენინი. თხულებანი. ტ. 24, გვ. 356.

40 ი. სტალინი. თხულებანი. ტ. 3, გვ. 31.

41 სტალინი. იქვე, გვ. 21.

ვითარებაში მიუღებელი აღმოჩნდა⁴². ორიოდ სიტყვა მ. ტროშელიძის ამ მოხსენების ბედის შესახებ: 30-იან წლებში, მ. ტროშელიძე რეპრესირებული იქნა. ამის შემდეგ, მოღად შემოვიდა მთელი მისი საქმიანობისა და, ცხადია, ამ მოხსენების ხელაღებითი კრიტიკა. მის მოხსენებას ქართული ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიისათვის და მისივე პროექტს კავკასიის ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაზე მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთ-ერთი პირველი ისტორიული აზრია ამ საკითხზე

1917 წ. ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ისტორიული აზრის შექმნაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი სტ. შაუმიანი. 1917 წ. სტ. შაუმიანი კავკასიაში რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა; იბრძოდა დაშნაკების, მუსავატელების, მენშევიკებისა და სხვა პარტიების

42 ჩვენი აზრი, მ. ტროშელიძის კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტის შესახებ, ნათელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვეთანხმებით ქართული ისტორიკოსების მთელ რიგ შეხედულებებს მ. ტროშელიძის ამ პროექტის შესახებ. მ. ცერცვაძეს („რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1914—1917 წწ.“, ნაწ. II, თბ., 1960, გვ. 234, რუს ენაზე), მ. ტროშელიძის მოხსენებლად შესაბამისი ციტატი სწორად არა აქვს მოტანილი. მ. ტროშელიძის მოთხოვნა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობისა ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნით. გამოდის იდენტური მისივე მოთხოვნისა საერთო კავკასიის საოლქო თვითმმართველობისა (ავტონომიისა). ეს, როგორც ზევით ვნახეთ, ორი სხვადასხვა მოთხოვნა იყო. ი. მირცხულავას („საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბერძენული და წერილბერძენული პარტიების ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარებას პერიოდში“, „მაკენი“, 1965, № 3, გვ. 2) აზრით, მ. ტროშელიძე ამტკიცებდა, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფორმას წარმოადგენდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა, რისთვისაც სტ. შაუმიანმა სამართლიანად გააკრიტიკა მ. ტროშელიძე. მ. ტროშელიძე ყრილობაზე მოითხოვდა, როგორც სრულიად კავკასიის საოლქო თვითმმართველობას (ავტონომიას). ისე მის შიგნით ფართო ადგილობრივ თვითმმართველობებს ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნით. ფართო ადგილობრივ თვითმმართველობებზე პარტიას არასოდეს არ უთქვამს უარი. პარტიის პროგრამის § 3 ასე იწყება: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობები“ და შემდეგ მოდის მოთხოვნა საოლქო თვითმმართველობებისა. პორონინოს თათბირის (1913 წ.) რეზოლუციაში რომელიც საოლქო თვითმმართველობებს ცვლის ოლქების (საოლქო) ავტონომიით, წერია, რომ განსაკუთრებით, საჭიროა „ფართო საოლქო ავტონომია და სრულიად დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა“. კავკასიის — I. სამხარეო ყრილობამ რე-

წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში, პოლემიკაში იგი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს. როგორც იყო ეროვნული საკითხი. მან მოგვცა კავკასიაში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობის შეფასება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის პერიოდში. კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს აზრი კავკასიის ეროვნულ საკითხზე, ცხადია, ქართულ ეროვნულ საკითხსაც გულისხმობდა. ქართული ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიისათვის ამ კუთხით არის საინტერესო სტ. შაუმიანის მემკვიდრეობა.

სტ. შაუმიანი წირილში „დროებითი მთავრობის პოლიტიკა და ეროვნებანი“ (გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“. 1917 წ. 23 აგვისტო, №43)¹² განიხილავდა დროებითი მთავრობის დამოკიდებულებას ერთა თვითგამორკვევის უფლებისადმი. რევოლუციის დასაწყისში ყველა სოციალისტურმა პარტიამ აღიარა თვითგამორკვევა. წერილობრივად აღიარებული დემოკრატია ერებისათვის ასეთი უფლების მიცემის წინააღმდეგი არ იყო. მაგრამ ბურჟუაზია ამას ვერ ურიგდებოდა. ამის გამო, დროებითი მთავრობა წავიდა შეთანხმებაზე, წავიდა დათმობაზე ერთა თვითგამორკვევის საკითხში. ბურჟუაზია წერილობრივად აღიარებული პარტიების ხელით აკეთებდა თავის საჭ-

ხოლუციაში მოითხოვა იგივე, რასაც ამბობდა მ. ტროშკიძე: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობები კავკასიის შიგნით ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნით“. სტ. შაუმიანმა მ. ტროშკიძე გააკრიტიკა საოლქო და არა ადგილობრივი თვითმმართველობების მოთხოვნისათვის (იხ. სტ. შაუმიანი, რჩეული თხზულებანი, ტ. 2: მოსკოვი, 1958, გვ. 104, რუს. ენაზე). თვითონ სტ. შაუმიანი იმავე გამოსვლაში აღიარებდა ადგილობრივ თვითმმართველობებს — იგი ამბობდა, რომ „ჩვენ განათლების მთელი საქმე გადავეყვით ადგილობრივი ტერიტორიული დაწესებულებების — თვითმმართველობების ხელში, რომლებიც ხსნიან სკოლებს როგორც ეროვნულს, ისე შერეულს“ (გვ. 105). ერ. ახლობაჟე (წიგნი „ეროვნულ საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900 — 1917 წწ.)“ — გვ. 401, 402), წერს: მ. ტროშკიძეს შეეძლოთ ეგონა, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფორმას წარმოადგენდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. მ. ტროშკიძე სრულიად არ ფიქრობდა ასე და კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მისეულ პროექტში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნა თავის ადგილზე იღვა და სრულიად პასუხობდა პარტიის ეროვნულ პროგრამას. ერ. ახლობაჟე უკრიტიკოდ იღებს კავკასიის I სამხარეო ყრილობის რეზოლუციას კავკასიის შიგნით ტერიტორიული ერთეულების შექმნის შესახებ ფართო ადგილობრივი თვითმმართველობების ბაზაზე, და იგივეს შეცდომად უთვლის ყრილობის მთავარ მომხსენებელს.

ბეს - ალადობდა პატარა ერებზე. სტ. შაუმიანმა მოგვცა მარქსისტული კლასობრივი ბრძოლის თეორიაზე დაფუძნებული ასსნა დროებითი მთავრობის პოლიტიკისა ეროვნულ საკითხში. შემდეგში მას საინტერესო გამოსვლა ჰქონდა ეროვნულ საკითხზე 1917 წ. ოქტომბერში. თბილისში ჩატარდა რსდმპ (ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყრილობა თავის თავს უწოდებდა საოლქო ყრილობას. შემდეგ მან გადაარქვეს და უწოდეს სამხარეო ყრილობა. ეაეც მოწმობს იმას, რომ კავკასიის საოლქო ავტონომიის მოთხოვნა მცდარი იყო და შემდეგ უკანა რიცხვით ყრილობის სახელიც კი გადაკეთებულ იქნა.

ზევით უკვე ვთქვით, რომ ყრილობაზე მ. ტოროშელიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდა სტ. შაუმიანი⁴². მან აღნიშნა, რომ პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში დიდი ხნის წინათ იყო შედგენილი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შიგნით ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ამჟამად, 1917 წელს, ქვეყანა დგას სოციალისტური რევოლუციის წინაშე და ეროვნული პროგრამა უნდა შედგეს არა ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის. საკითხმა კონკრეტული ხასიათი უნდა მიიღოს: ქართველ და სომეხ არაპროლეტარულ პარტიებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული ეროვნული პროგრამები. პარტიის პროგრამა აღიარებდა საოლქო თვითმმართველობას და ამის პარალელურად ბოლშევიკები ცნობდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნადე. რსდმპ ცკ-ს „აგვისტოს“ თათბირზე პორონინოში (1913 წ. სექტემბერ-ოქტომბერი) ბოლშევიკებმა პროგრამა გაათართოვეს — საოლქო თვითმმართველობის ნაცვლად აღიარეს ოლქების ავტონომია. სტ. შაუმიანი პარტიის ეროვნული პროგრამის მიხედვით მოითხოვდა ოლქების ავტონომიას და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით სოციალისტურ რევოლუციას მით უფრო ნაკლებ უნდა გვეშინოდეს დეცენტრალიზაციისა.

ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, საინტერესოა სტ. შაუმიანის პროექტი კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. სტ. შაუმიანი აუცილებლად მიიჩნევდა ამიერკავკასიის

42 ს. შაუმიანი, რჩული თხზულებანი. ტ. 2, 1917—1918, მოსკოვი. 1953, (რუს. ენაზე).

43 სტ. შაუმიანი, იქვე.

ადმინისტრაციული ერთეულების გადაკეთებას. ის საეროდ სთვლიდა ამიერკავკასიის სამ ოლქად გაყოფას: 1) დასავლეთ ამიერკავკასია: ქუთაისის გუბერნია, ბათუმის ოლქი და თბილისის გუბერნიის ნაწილი; 2) აღმოსავლეთ ამიერკავკასია: ერევნის გუბერნია, თბილისის გუბერნიის ნაწილი, ყარსის ოლქი და ელისავეტპოლის გუბერნია; 3) ბაქოს გუბერნია, ელისავეტპოლის გუბერნიის ნაწილი და დაღიანის ოლქი.

სტ. შაუმიანი, თანახმად პარტიის პროგრამისა და ვ. ლენინის მიერ მისადმი 1913 წელს მიწერილი წერილისა, მომხრეა საოლქო ავტონომიისა. მაგრამ ეს ავტონომიური ოლქი ეროვნული უნდა ყოფილიყო — საქართველო. სომხეთი, აზერბაიჯანი, და არა მთლიანად კავკასია, როგორც ის ფიქრობდა. კავკასიის შიგნით ის მოითხოვდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ გადაკეთებას — სამი ოლქის შექმნას. ს. შაუმიანი ეროვნულ ნიშანს ამ ადმინისტრაციულ ოლქებს აძლევდა. როცა ამბობდა, რომ თურქეთის სომხეთის რუსეთში შემოსვლის შემთხვევაში ის სომხეთს უნდა შეუერთდესო.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საკითხს უკავშირებდა. ასეთი ამოცანის განსახორციელებლად საჭირო იყო პოლიტიკურ დარგში ორგვარი გარდაქმნა: ერთა სრული თანასწორუფლებიანობის გატარება და ერებისათვის პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლების მიცემა. მეორე გარდაქმნას რეალური ბაზა რომ მისცემოდა. საჭირო იყო სახელმწიფო საზღვრების დაწესება¹¹. აქედან გამომდინარე, ლენინური ეროვნული პოლიტიკა მოითხოვდა ამიერკავკასიის ხალხების სახელმწიფო საზღვრების დადგენას. ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა და წერილობურბურჟუაზიულმა პარტიებმა, ამ მხრივ, უკვე 1917 წ. ზაფხულში, დიდი საქმიანობა გაშალეს. დაკარგული სახელმწიფოებრიობის, ასიმილაციური პოლიტიკის შედეგად წაშლილი სახელმწიფო საზღვრების აღდგენა დღის წესრიგში იდგა და, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ეს არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დაეტოვებინათ ბოლშევიკებს. სტ. შაუმიანი მიერ კავკასიის საოლქო (სამხარეო)

ყრილობაზე წარმოდგენილი კავკასიის ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტი ამის პასუხი იყო.

ამიერკავკასიის ერების სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ დიდი დრო გავიდა; ბევრი რამ შეიცვალა ერების ცხოვრებაში. კაპიტალიზმის განვითარებამ და ბურჟუაზიული ერების ჩამოყალიბებამ ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობაში, მათ განსახლებაში, ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი ძვრები მოახდინა. ამ ერებს შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენა მოითხოვდა გაეთვალისწინებინათ მოსახლეობის ეროვნული კუთვნილება, ენა. ეკონომიური კავშირი და ისტორიული ტრადიცია. ამ უკანასკნელის გათვალისწინებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერკავკასიის ერები ახალი სახელმწიფოს შექმნას უკავშირებდნენ უწინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და სახელმწიფოებრიობის ტრადიციის გაგრძელებას. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირითადად (მცირედის გამოკლებით) ამ ნიშნებით მოხდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენა.

კავკასიის ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტი, რომელიც ს. შაუმიანი წარმოადგინა კავკასიის საოლქო (სამხარეო) ყრილობაზე, არ ითვალისწინებდა ყველა იმას, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სახელმწიფო საზღვრების დადგენა. არ შეიძლებოდა დაღისტნის ოლქი, რომელიც ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ ადმინისტრაციული ერთეული იყო, თავისი ეროვნული კუთვნილებით, ენით, ისტორიული ტრადიციითა და სხვა, შესულიყო მესამე ოლქში, რომელსაც ის, ალბათ, აზერბაიჯანად გულისხმობდა. კავკასიის რუკის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს პროექტი არ გამომდინარეობდა რეალობიდან და არ პასუხობდა ამიერკავკასიის ერების ინტერესებს.

ამგვარად, სტ. შაუმიანი ცნობდა საოლქო ავტონომიას და მ. ტოროშელიძის მსგავსად, მოითხოვდა კავკასიის საოლქო ავტონომიას. შემდეგ ის მოითხოვდა კავკასიის ავტონომიური ოლქის შიგნით სამი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას. თუ როგორი მმართველობა იქნებოდა ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში, ეს ჩანს იმავე გამოსვლიდან. იგი ლაპარაკობდა სკოლებზე და ამბობ-

და, რომ განათლების საქმე უნდა გადასცემოდა ადგილობრივ ტერიტორიულ დაწესებულებებს — თვითმმართველობებს. ამ შემთხვევაში სტ. შაუმიანი იდგა იმავე პოზიციაზე, როგორც მ. ტაროშელიძე (ორივე ერთად კი პარტ. ს. პროგრამიდან გამოდიოდნენ. ამან ასახვა ჰპოვა ყრილობის რეზოლუციაში). სტ. შაუმიანი იცავდა სკოლის მუნიციპალიზაციას და გამოდიოდა სკოლის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. მუნიციპალიზაციის დროს სკოლები იქნებოდა, როგორც ეროვნულ ენებზე, ისე შერეული. ჩვენთვის — განაცხადა მან — მთავარია ის, რაც უნდა ასწავლონ ბავშვებს და არა ის, თუ რა ენაზე იქნება სწავლა-განათლება. ის საოლქო ხელისუფლებას აძლევდა ავტონომიას სამეურნეო და კულტურის საკითხებში. დანარჩენი ძირითადი საკითხები — მუშათა, საბაჟო, მიწის, ომისა და მშვიდობის საკითხები უნდა შესულიყო ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში.

ეროვნულ საკითხს ეხება სტ. შაუმიანის წერილი „ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია კავკასიაში“ (გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“, 1917 წ. 18 ნოემბერი, № 86).

გაუქმდა ოზაკომი და შეიქმნა ახალი ხელისუფლება. კავკასია წვრილითურქუაზიული ქვეყანაა და აქ ყოველთვის უპირატესი როლს ასრულებდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები. წვრილბურჟუაზიულობა და ნაციონალიზმი არის კავკასიაში ბოლშევიკების პოლიტიკური ჩამორჩენილობის მიზეზი, — წერდა სტ. შაუმიანი. ის კარგად აფასებდა ისტორიულ პროცესს, მოვლენების განვითარებას და ამბობდა, რომ ახალი ხელისუფლება ამიერკავკასიას გაპყოფს სამ ეროვნულ ნაწილად. სტ. შაუმიანის ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. ეროვნული მოძრაობა ქვეყნად ისე გაძლიერდა, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიები, რომლებსაც შესაბამისი ეროვნული პროგრამები ჰქონდათ, სათავეში ჩაუდგნენ ამ მოძრაობას და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს.

სტ. შაუმიანი წერილში „რუსეთის რევოლუცია და ამიერკავკასიის ხელისუფლება“ (გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“, 1917 წ. 9 დეკემბერი, № 102)¹⁵. ბუნებრივად მიიჩნევს იმას, რომ ამიერ-

კავკასიის ერები გამოეყვნენ რუსეთს. ბოლშევიკებმა ერთა თვით-გამორკვევის უფლება გამოაცხადეთ — წერდა სტ. შაუმიანი. — მაგრამ არაბუნებრივი და უცნაურია ის, რომ დაშნაკებისა და მუსავატელების გვერდით აღმოჩნდნენ მენშევიკები, რომლებიც ტრადიციითა და პროგრამით სოციალ-დემოკრატობას ჩემულობენო. სტ. შაუმიანი ამ მოჩვენებით უცნაურობას კლასობრივი თვალთახედვით ხსნის. მენშევიკების დასაყრდენი წვრილბურჟუაზიული მასა იყო და კლასობრივი არსი უპირველესად გამოძვლავდა ეროვნულ საკითხში. სტ. შაუმიანი მენშევიკებს აკრიტიკებს არა ერთა თვითგამორკვევისათვის, რომელიც ბოლშევიკებმა გამოაცხადეს. არამედ იმისათვის. რომ ამ თვითგამორკვევას სოციალიზმის ნიღაბში გახვეული მენშევიკური პარტია აწყობდა. ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილება იმდენად დიდი ბოროტება არ არის წერდა სტ. შაუმიანი — რამდენადაც ის, თუ რა პირობებში მოხდა ეს გამოყოფა. ამიერკავკასიის კომისარიატმა კრიტიკულ მომენტში ზურგი შეაქცია რევოლუციურ რუსეთსო.



ისტორიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პარტიულ დოკუმენტებს, სადაც მოცემულია ეროვნულ საკითხზე აზრი. ეროვნული საკითხის შეფასება 1917 წ. ხშირად (და უფრო მეტად). პარტიულ დოკუმენტებში — კრებების, მიტინგების რეზოლუციებში მოცემული აზრი გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა ისტორიულ მეცნიერებაში. მათი კრიტიკული შეფასება შეუძლებელი იყო. ამდენად, საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლისას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმო ასეთ დოკუმენტებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1917 წ., კავკასიელი ბოლშევიკების ერთი ნაწილი ჭეროვნად ვერ აფასებდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობას მომავალი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში დელეგატების არჩევნებისას განაწესის — „ნაკაზის“ ბოლშევიკური პროექტი⁴⁶ (1917 წ. 21 მაისი).

⁴⁶ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. დოკუმენტები და მასალები (რუს. ენაზე). დოკუმენტი № 22.

ამ დოკუმენტში ბოლშევიკები ეხებიან ყველა მნიშვნელოვან საკითხს მაშინდელი საქართველოსა და კავკასიის ცხოვრებაში. ეროვნულ საკითხს კი განაწესში გვერდი აქვს ავლილი. ასეთივე სურათია რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის მიმართვაში მუშებისადმი ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით (1917 წლის 6 ივნისი)⁴⁷.

ოფიციალურ (დოკუმენტურ) მასალაში ბოლშევიკებმა 1917 წ. პირველად ყურადღება მიაქციეს ეროვნულ საკითხს თბილისის ქალაქის საოათბიროს რსდმპ (ბ) ფრაქციის დეკლარაციაში (1917 წ. 7 აგვისტო)⁴⁸.

ბოლშევიკური ფრაქცია მოითხოვდა სრულ დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებიდან (დროებითი მთავრობისაგან); სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე და, ამგვარად, აღიარებდნენ თვითმმართველობაში თვითგამორკვევას. ეს იყო არსებულ ვითარებაში ეროვნული საკითხის მნიშვნელობის სწორი შეფასება.

დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს რსდმპ (ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობამ. ყრილობის კომისიამ (მ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე, სტ. შაუქიანი) შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი. ყრილობა მოითხოვდა (1917 წ. 7 ოქტომბერი)⁴⁹ კავკასიის საოლქო ავტონომიის სეიმით და ამ ავტონომიის შიგნით ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულების შექმნას. ამ ერთეულებში იქმნებოდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. ადმინისტრაციული ერთეულები გამიჯნულნი უნდა ყოფილიყვნენ ეკონომიური და საყოფაცხოვრებო ნიშნებით და შეძლებისდაგვარად უნდა დამთხვეოდნენ ერთი ეროვნებით დასახლებულ რაიონებს. ეს უნდა მომხდარიყო ამ რაიონების მოსახლეობის სურვილით. ყრილობამ კავკასიის ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში ეროვნული მომენტის მნიშვნელობის შეუფასებლობა გამოიჩინა. საჭირო იყო და ასეც ფიქრობდა პარტიის VII (აპრილის) კონფერენცია, შექმნილიყო ეროვნული ოლქები (ცხადია, სახელი პირობითია), რომ ადმინისტრაცი-

⁴⁷ იქვე, დოკ. № 29.

⁴⁸ იქვე, დოკ. № 59.

⁴⁹ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებას გამარჯვებისათვის საქართველოში. დოკ. № 103.

ული ერთეულები უპირველესად გაემიჯნათ ეროვნებების მიხედ-
ვით. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარი ზევით გვქონდა.
როდესაც ვიხილავდით მ. ტროშკის მოხსენებას.

რსდმპ (ბ) I სამხარეო (საოლქო) ყრილობამ დროებითი
მთავრობისაგან მოითხოვა ერთა თვითგამორკვევის დაუყოვნებლი-
ვი აღიარება. ყრილობამ რეკომენდაცია გაუწია კავკასიის ხალხებს
თავი შეეკავებინათ გამოყოფისაგან. პირიქით, უნდა შემჭიდროვე-
ბულიყენენ, დაახლოვებულყენენ ეროვნების განურჩევლად. ყრი-
ლობის აზრით, განათლების საკითხი უნდა დამორჩილებოდა კავ-
კასიის სეიმსა და ადგილობრივ და საოლქო თვითმმართველობებს.
ეს ორგანოები მოთხოვნილებათა მიხედვით გახსნიდნენ როგორც
ეროვნულ, ისე შერეული ტიპის სკოლებს.

ყრილობა აღიარებდა ეროვნებისდა მიუხედავად ყველა მო-
ქალაქის თანასწორუფლებიანობას, მოითხოვდა სახელმწიფო ენის
პრივილეგიის მოსპობას და ენათა თანასწორუფლებიანობას ყველა
სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში.

ყრილობაზე სტ. შაუმიანმა დელეგატთა ყურადღება მიაქცია
თურქეთის სომხეთის საკითხს, მისი სახელმწიფოებრივი მოწყო-
ბის საკითხს. ყრილობამ განიხილა თურქეთის სომხეთთან ერთად
ირანის აზერბაიჯანისა და ლაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის
საკითხებიც. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ეს საკითხი ადგი-
ლობრივმა მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოსო. პარტიის ეროვ-
ნული პროგრამის სულისკვეთებით წყვეტდა რსდმპ (ბ) კავკასიის I
სამხარეო (საოლქო) ყრილობა ქართული მიწების საკითხს. ქართული
მიწების დანგრეული მეურნეობა უნდა აღედგინათ მეომარ ქვეყ-
ნებს საერთო ფონდიდან. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტიდან კარ-
გად ჩანს, თუ კავკასიის ბოლშევიკები როგორ ზრუნავდნენ თურ-
ქეთის მიერ საუკუნეების წინათ მიტაცებულ ქართულ მიწებზე.

1917 წ. 11 ნოემბერს, თბილისში, შედგა თათბირი იმის თა-
ობაზე თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ამიერკავკასიის მთავრობა.
ბოლშევიკების სახელით თათბირზე გამოვიდა მ. ცხაკაია. მან
თათბირს გააცნო რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის დეკლარაციის
თეზისები⁵⁰.

⁵⁰ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, დოკ.
№ 151.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ ხანაში ბოლშევიკები მოითხოვდნენ ამიერკავკასიისა და, მაშასადამე, საქართველოს დარჩენას რუსეთის (ახალი რუსეთის, საბჭოთა რუსეთის) შემადგენლობაში. დეკლარაციის მიხედვით ადგილობრივ საბჭოებს უნდა აერჩიათ სამხარეო ცენტრი, რომელიც შექმნიდა თავის შიგნით ადგილობრივ ხელისუფლებას — სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტს. სამხარეო ცენტრი იქნებოდა სრულიად-რუსეთის საბჭოების ყრილობის ნაწილი. კავკასიის ბოლშევიკები კვლავ ცნობდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ არ თვლიდნენ საჭიროდ კავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან. ანეთი გამოყოფა გაართულებდა ბრძოლას ზავისათვის, სოციალიზმისათვის.



მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ მასალას იძლევა იმდროინდელი პარტიული პრესა. ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე („კავკასსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“) მოცემულია ქართული ეროვნული საკითხის და, საერთოდ, ეროვნული საკითხის შეფასება, ამ საკითხის ადგილი იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრებაში, მისი მნიშვნელობისა და როლის გარკვევის ცდა. აქ შევეხებით გაზეთ „კავკასსკი რაბოჩის“ ორ სარედაქციო წერილს. წერილი — „კავკასიის თვითგამორკვევა“ (1917 წ. 17 ნოემბერი, № 202); არკვევს ამიერკავკასიის კომისარიატის წარმოშობის წყაროებს, იძლევა მის მარქსისტულ შეფასებას. გაზეთი აკრიტიკებდა ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობას. კომისარიატის წევრები — სოციალ-პატრიოტები (ა. ჩხენკელი), მენშევიკი — ობორონცები (ე. გეგუქორი), ბურჟუა-ნაციონალისტები (ალექსი მესხიშვილი — სოციალისტ-ფედერალისტი), ქმნიან არა საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ კალენდინის მსგავს ხელისუფლებას. ეს ხელისუფლება იქმნებოდა ზემოდან ანტიხალხური საშუალებებით. გაზეთის აზრით, ამიერკავკასიის კომისარიატის დანიშნულება იყო ის, რომ არ ეცნო ვ. ლენინის მთავრობა. გაზეთი „კავკასსკი რაბოჩი“ აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ გამორკვევა არ უნდა მოხდეს საბჭოების გარეშე, რევოლუციური დემოკრატიის გარეშე. ერთა

სხვაგვარ თვითგამორკვევას გაზეთი ანტიდემოკრატიულ. ანტირევოლუციურ ვსად მიიჩნევდა. აქ გაზეთმა ტოლობის ნიშანი დასვა კალედინის მთავრობასა და ამიერკავკასიის კომისარიატს შორის.

გაზეთმა „კავკასკი რაბოჩიმ“ კიდევ ერთი საყურადღებო წერილი დაბეჭდა (1917 წ. 23 ნოემბერი, № 208) სათაურით „ქართული ეროვნული კრება“. ამ წერილში მოცემულია ქართული ეროვნული კრების შეფასება. გარკვეულია მისი კლასობრივი შემადგენლობა და კლასობრივი მიზანი. გაზეთის აზრით, ეროვნული კრება გამომხატავდა მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების სრულ სოლიდარობას ეროვნულ საკითხში. ეროვნულ კრებას გაზეთი ახასიათებდა, როგორც ბურჟუაზიული პატრიოტიზმის საერთო აღფრთოვანებას.

გაზეთში მოტანილი იყო აკ. ჩხენკელის (ეს იმ მენშევიკთაგანი იყო, რომელიც, ჯერ კიდევ 1900-იან წლების ბოლოს, ეროვნულ საკითხში ნ. ყორდანიანზე შორს იყო წასული) განცხადება, რომ მენშევიკები იბრძოდნენ ეროვნულ ნიადაგზე. ეს კი ნიშნავდა სრულ ჰარმონიას ერის შიგნით, ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის შემუშავებას, კლასობრივი ბრძოლის შეცვლას „სამოქალაქო ზავით“, ბრძოლას სხვა ერებთან. ე. ი. სხვა ერების რევოლუციურ კლასებთან. გაზეთის აზრით, ეს ნიშნავდა მარქსიზმთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას.



1917 წ. მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაზე ისტორიული აზრი იქმნებოდა პოლიტიკურ პოლემიკასა და ბრძოლაში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. იმ ამბავმა, რომ ეროვნული მოძრაობის ხვედრითი წონა გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ხოლო ეროვნებათა გაერთიანების გზა - გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს შეიძლებოდა ჰგონებოდათ ბოლშევიკებს პირველ მსოფლიო ომამდე ან ოქტომბრის რევოლუციამდე (ი. სტალინი), ყველაზე მეტი დადი დაასვა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას. ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი ეროვნული საკითხის, როგორც სოციალისტური რევოლუციის განუყოფელი შემადგენელი

ნაწილის შეუფასებლობას იჩენდა. ასეთმა შეუფასებლობამ ბევრად განაპირობა წერილბურჟუაზიული პარტიების დროებითი წარმატება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა ეროვნული საკითხის ისტორიო-გრაფიაში, ყველა ამ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში. რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს ისტორიული აზრის ჩამოყალიბებაში. 1917 წ. ეროვნული საკითხის მარქსისტულ ისტორიო-გრაფიაში, იმ ძირითადის გვერდით, რომ მთავარის -- სოციალისტური რევოლუციის საკითხის — შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია ეროვნული საკითხი. რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო გადაეჭრა ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საკითხი, თავს იჩენდა. და არც თუ იშვიათად. ქართული ეროვნული მოძრაობის შეუფასებლობა. ამ მოძრაობის მნიშვნელობისა და როლის სათანადო გაგება-დაფასება.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი ხანის (1917 წ.) ეროვნული საკითხის მარქსისტულ ისტორიოგრაფიას საფუძველი ჩაეყარა იმავე 1917 წ. და განაპირობა ეროვნული საკითხის შესწავლაში მოპოვებული წარმატება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ჩვენი კრებული	5
2. ა. ბოგვერაძე — „ქართლის ცხოვრების“ პირველი შატიანე და მისი ავტორი	8
3. ა. რ. ბარამიძე — ისევ ლეონტი მროველის თხზულების ერთი ადგილის განმარტებისათვის	45
4. კ. გრიგოლია — უამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა	64
5. შ. ხანთაძე — ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე)	106
6. ვ. გოჩუა — საქართველოს XVI — XVIII სს. ეკონომიური ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში	154
7. ნ. როდონაია — მე-19 საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში	183
8. გ. მარჯიანი — კაპიტალისტური ხანის საქართველოს მარჯანეცის მრეწველობის ისტორია რევოლუციამდე და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში	199
9. პ. რატიანი — ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკაზხისათვის	225
10. უ. სიღამონიძე — ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.)	293

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
შხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი ნ. კოკონაშვილი

გადაეცა წარმოებას 18.8.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.XII.1967;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 21.1; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16.94; უე 01419; ტირაჟი 1000; შეევეთა № 1306;
ფასი 1 შან. 32 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15